ჭიდ კორაბელი

კუალოვის კასიჯანელი



გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1964

596
639,111,72(54)+599.74
კ 75

გამოჩენილი პროფესიონალი მონადირე ჯიმ კორბეტი შესანიშნავად აგვიწერს მტაცებელი მხეცების — ვეფხვებისა და ავაზების ცხოვრებას, მათ ჩვევებსა და ადამიანებთან შეტაკებებს ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებში. გზადაგზა ავტორი ეხება ინდოეთის, ამ ზღაპრული მხარის ულამაზეს ბუნებას და მისი მოსახლეობის საინტერესო ყოფაცხოვრებას.

თარგმანი სერგო აბულაძისა

ავტორის წინასიტყვაობა

ვინაიდან ამ წიგნში მოთავსებული ძოთხრობები მიძღვნილია კაციჭამია ვეფხვებისა და ავაზებისადმი, საჭიროა განიმარტოს, რატომ ხდებიან ეს ცხოველები კაციჭამიები.

კაციჭამია ვეფხვი ისეთი ვეფხვია, რომელიც მისგან დამოუკიდებელი პირობების გამო იძულებულია გადავიდეს უჩვეულო საკვებზე. ამის მიზეზი ათიდან ცხრა შემთხვევაში არის ჭრილობები, ერთ შემთხვევაში კი — სიბერე. ჭრილობა, რომელმაც აიძულა ვეფხვი კაციჭამია გამხდარიყო, შეიძლება იყოს მონადირის მიერ არაზუსტი გასროლისა და დაჭრილი ცხოველის მიტოვების ან მაჩვზლარბთან შეტაკების შედეგი. ადამიანები არ წარმოადგენენ ვეფხვის ბუნებრივ საკბილოს, მხოლოდ მაშინ, როცა მათ ჭრილობების ან სიბერის გამო აღარ შეუძლიათ გაანაგრძონ ჩვეულ ყაიდაზე ცხოვრება, იწყებენ ადამიანის ხორცით კვებას.

როცა ვეფხვი უსაფრდება ან ეპარება და ისე ჰკლავს მსხვერპლს, თავდასხმის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მის სისწრაფეზე, აგრეთვე მის კბილებსა და კლანჭებზე. თუ ვეფხვს აწუხებს ერთი ან რამდენიმე მწვავე ჭრილობა, თუ დაზიანებული აქვს კბილები ან გაცვეთილი აქვს კლანჭები, რის გამოც მას აღარ შეუძლია იმ ცხოველებზე ნადირობა, რომლებითაც ყოველთვის საზრდოობდა, მაშინ მას უხდება ადამიანების მოკვლა. მე მგონია, რომ ვეფხვის კაციჭამიად გახდომა შემთხვევით ხდება.

რომ განვმარტო, თუ რას ვგულისხმობ „შემთხვევითში", მოვიყვან მაგალითს. მუკტესვარის შედარებით ახალგაზრდა ძუ ვეფხვმა მაჩვზლარბთან შეხვედრისას დაჰკარგა თვალი და ამ ბრძოლაში წინაბეჭისა და მარჯვენა თათის იღლიის ქვეშ ჩა-

ერჭო ორმოცდაათამდე მაჩვზღარბის ნემსი, რომელსაც ერთიდან ცხრა დუიმამდე* სიგრძე ექნებოდა.

ზოგიერთი ეს ნემსი ძვლამდე დასვლისას უკან გადაიხარა და მიიღო U ფორმა, ისე, რომ ნემსის მახვილი წვერი და გადატეხილი ბოლო ერთმანეთს სავსებით მიუახლოვდა. იმ ადგილას, სადაც ძუ ვეფხვი ცდილობდა კბილებით ნემსების ამოღებას, გაჩნდა დაჩირქებული იარები. ალბათ, მაშინ, როცა ვეფხვი ხშირ ბალახში იწვა, ჭრილობებს ილოკავდა და შიმშილისაგან გამწარებული იყო, ვიღაც ქალმა განიზრახა სწორედ ამ ბალახის მოთიბვა ძროხისათვის. ძუ ვეფხვი ჯერ არ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ, როცა ქალი სავსებით მიუახლოვდა, მხეცი შეახტა მას და თათი დაჰკრა. დარტყმა ქალს თავის ქალაზე მოხვდა და იმწამსვე სული განუტევა. როდესაც მეორე დღეს იპოვეს ქალის გვამი, მოკლულს ერთ ხელში შეეცვებოდა ნამგალი, მეორეში კი იღლია თივა, რომელიც მოეთიბა ძუ ვეფხვის თავდასხმის მომენტში. ვეფხვს პირი არ დაუკარებია გვამისათვის, კოპლა-კოპლობით გაიარა ერთ მილზე მეტი და წაქცეული ხის ქვეშ პატარა ორმოში დაიმალა. ორი დღის შემდეგ ერთი მამაკაცი მივიდა იქ შეშის დასაპობად და ვეფხვმა ისიც მოჰკლა. იგი გარდიგარდმო დაეცა ხის შტამბზე და რადგან ძუ ვეფხვმა მას ზურგი გაუფატრა, როგორც ჩანს, სისხლის სუნმა პირველად აგრძნობინა, რომ შეუძლია ადამიანის ხორცით შიმშილის მოკვლა. ასე იყო თუ ისე, სანამ მიატოვებდა მოკლულს, ზურგზე ხორცის ნაპერი ააგლეჯა. მეორე დღეს „განგებ", ყოველგვარი მიზეზების გარეშე, სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მესამე მსხვერპლიც. ამ დროიდან გახდა ის ნამდვილი კაციჭამია და სანამ მოჰკლავდნენ, ოცდაოთხი კაცი იმსხვერპლა.

ნადავლიან დაჭრილ ხვადს ან ძუ ვეფხვს ბოკვრები თუ ასლავს, შეუძლია შემთხვევით მოჰკლას ადამიანი, რომელიც

---

* ამ წიგნის ავტორი სარგებლობს ინგლისური საზომი ერთეულებით: 1 მილი=1523,986 მეტრს, 1 იარდი=91,439 სანტ.; 1 ფუტი=30,48 სანტ.; 1 დუიმი=2,54 სანტ.; 1 აკრი=0,405 ჰექტ.; 1 გირვანქა=453,593 გრამს; უნცია=31,103 გრ (მთარგმნელი).

მას შეაშფოთებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ჩათვალოთ ასეთი ვეფხვები კაციჭამიებად, თუმცა მათ ხშირად ასე იხსენიებენ. რაც შემეხება პირადად მე, საჭიროდ მიმაჩნია, ზუსტად შევამოწმო ყველა პირობა, სანამ ამა თუ იმ ვეფხვს (ავაზას) კაციჭამიად მოვნათლავდე. იმ ადამიანთა გვამების შემოწმება, რომლებსაც ვეფხვებისა და ავაზების ან ბარში მგლებისა და აფთრების მიერ მოკლულად მიიჩნევენ, — ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა.

მე არ შევუდგები მაგალითების მოყვანას. თუმცა ჩემთვის ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც ადამიანთა მკვლელობას სრულიად შეცდომით მტაცებელ ნადირს აწერდნენ.

გავრცელებულია მცდარი აზრი, რომ ყველა კაციჭამია ვეფხვი ბებერი და ქეციანია, რადგან ჭარბი მარილი ადამიანის ხორცში იწვევს ქეცით დაავადებას. მე არ ვარ კომპეტენტური პიროვნება ადამიანის და ცხოველის ხორცში მარილის რაოდენობის დადგენის საკითხში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადამიანის ხორცით კვება არა თუ აზიანებს კაციჭამია ნადირის ბეწვეულს, არამედ პირიქით, საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. ყველა კაციჭამიას, რომელიც მინახავს, შესანიშნავი ბეწვი ჰქონდა

ბევრს ჰგონია, რომ კაციჭამია ნადირის ნაშიერი, თავისთავად ხდება კაციჭამია. ერთი შეხედვით ეს ვარაუდი თითქოს სავსებით დამაჯერებელია, მაგრამ იგი არ დასტურდება ფაქტებით. ამავე დროს ის მდგომარეობა, რომ ადამიანები არ წარმოადგენენ ვეფხვების ან ავაზების ბუნებრივ საკბილოს. გვაიძულებს გვაფიქრებინოს საწინააღმდეგო.

შვილი ჰამს იმას, რასაც დედა უზიდავს. მე ისეთი შემოხვევაც კი ვიცი, როდესაც ბოკვრები ეხმარებოდნენ დედას ადამიანზე თავდასხმაში, მაგრამ ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, რომ, მას შემდეგ, რაც ვეფხვს კაციჭამია მშობლებს უხოცავენ ან ის უკვე მოზრდილი, მშობლების მეურვეობიდან გამოდის, თვითონ გამხდარიყოს კაციჭამია.

ხშირად ისმება კითხვა, ვინ იმსხვერპლა ადამიანი, ვეფხვმა თუ ავაზამ. საერთო წესით, გამონაკლისი ჩემთვის უცნობია, ყველა მკვლელობას ვეფხვი ჩადის დღე, ავაზა კი — ღამე. ტყეების ორთავე ამ ბინადარს ერთნაირი ჩვევები აქვთ, ჰკლა-

ვენ თავიანთ მსხვერპლს ერთნაირად და შეუძლიათ მოკლული ადამიანის გადათრევა შორ მანძილზე. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისინი ერთსა და იმავე საათებში ნადირობენ. სინამდვილეში ეს ასე არ არის, რადგან ვეფხვი ავაზაზე უფრო გამბედავია. კაციჭამია ვეფხვი ყოველგვარ შიშს ჰკარგავს ადამიანის წინაშე და რადგან ადამიანები უფრო მეტად დღე დადიან, ვიდრე ღამე, ამიტომ კაციჭამია ვეფხვი თავის მსხვერპლს ჰკლავს დღისით, მზისით, და არ ესხმის თავზე ადამიანს ღამე მის საცხოვრებელ ბინაში.

ათეულობით ადამიანთა მკვლელ ავაზასაც კი ეშინია კაცისა. ის გაურბის დღე ადამიანებთან შეხვედრას და ჰკლავს იმათ ღამე გზაში ან სახლში თავდასხმისას. ამ თავისებურებათა გამო კაციჭამია ვეფხვის მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე კაციჭამია ავაზასი. კაციჭამია ვეფხვის მიერ ჩადენილ მკვლელობათა რაოდენობა, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია ბუნებრივ საზრდოზე იმ რაიონში, სადაც ის ბინადრობს, მეორე — იმ სახიჩრობის ხასიათზე, რომელმაც ის კაციჭამიად აქცია და მესამე იმაზე, თუ ვისთანა გვაქვს საქმე — ხვად თუ ბოკვრებიან ძუ ვეფხვებთან.

როდესაც არ შეგვიძლია ვიქონიოთ საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, მაშინ იძულებული ვართ სხვისი აზრი გავიზიაროთ. განსაკუთრებით ეს გვხვდება თვალში, როცა ლაპარაკია ვეფხვებზე — არა მარტო კაციჭამიებზე, არამედ, საერთოდ ვეფხვებზე. გამოთქმები — „ვეფხვივით სასტიკია“ ან „ვეფხვივით სისხლისმსმელია“, რომელიც პირველად იხმარა მწერალმა იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვა მის მიერ პიესაში აღწერილ ბოროტმოქმედის საზარელი თვისებებისათვის, ამჟღავნებს არა მარტო უვიცობას ნადირის ცოდნის საქმეში, ნადირისა, რომელიც მან ასე ბოროტად აგვისახა, არამედ მასზე არასწორ წარმოდგენას. ამ შეხედულებამ გავრცელება ჰპოვა ხალხში. სწორედ ამ გამოთქმებმა შეუწყვეს ხელი ხალხში ვეფხვებზე არასწორი აზრის გავრცელებას, გარდა გამონაკლისისა, რომლებმაც, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, შეძლეს თავიანთი დამოუკიდებელი აზრი ჰქონოდათ.

როცა ვკითხულობ სიტყვებს — „ვეფხვივით სასტიკი“ ან

„სისხლისმსმელი ვეფხვი“ — მახსენდება ერთი პატარა ბიჭი, ზუმბიანი ძველი თოფით, რომლის მარჯვენა ლულას ექვსი დუიმის სიგრძის ბზარი ექნებოდა, კონდახი და ლულა კი, რომ არ დაცილებულიყო, სპილენძის მავთულით იყო დამაგრებული და ეს ბიჭუნა დაეხეტებოდა ჯუნგლებში მაშინ, როცა იქ ათჯერ მეტი ვეფხვი იყო, ვიდრე ახლა. ბიჭუნა იქ იძინებდა, სადაც დაუღამდებოდა, გააჩაღებდა ხოლმე პატარა კოცონს. რომელიც ათბობდა და თან ართობდა ამ მარტოობის ჟამს. დროდადრო იღვიძებდა ვეფხვების ხან შორეულ, ხან ახლო ღრიალზე. შეუმატებდა ხოლმე ფიჩხს ცეცხლში, გვერდს იბრუნებდა და ისევ მშვიდად განაგრძობდა ძილს. საკუთარი გამოცდილებიდან და ჯუნგლებში ნამყოფ სხვა ადამიანთა გადმოცემიდან ბიჭმა იცოდა, რომ ვეფხვს თუ არ შეაშფოთებ, ისე იგი არ გაგნებს. დღე, ვეფხვს რომ დაინახავდა, ბიჭუნა გაეცლებოდა ხოლმე გზიდან, თუ ეს შეუძლებელი იყო, სრულიად უძრავად იდგა, სანამ ვეფხვი გვერდს არ აუვლიდა. მახსენდება იგივე ბიჭი გარეული ქათმების გუნდს რომ ეპარებოდა და გარემოს დასათვალიერებლად კვრინჩხას ბუჩქზე აცოცდა. უცებ ბუჩქი შეირხა, და მისი მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა ვეფხვი. იგი მიბრუნდა და შეხედა ბიჭს, თითქოს ეუბნებოდა: — ჰეი, ბიჭო, რა ეშმაკმა მოგიყვანა აქო?.. ვეფხვმა პასუხი რომ ვერ მიიღო, შემოუარა ბუჩქს და ნელა გაშორდა ისე, რომ ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

და მე კვლავ ვფიქრობ იმ ათეულ ათასობით კაცზე, ქალსა თუ ბავშვზე, რომლებიც ტყეში მუშაობისას, ბალახის თიბვის ან ფიჩხის მოგროვების დროს მთელ დღეებს ვეფხვების გვერდით ატარებდნენ, სახლში უვნებლად დაბრუნებულთ, ეჭვიც კი არ ეპარებოდათ, რომ მათ უთვალთვალებდა ეს „სასტიკი“ და „სისხლისმსმელი“ ნადირი.

ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ვეფხვი განერიდა კვრინჩხას იმ ბუჩქს, რომელზეც ბიჭუნა იყო ასული. ამ ნახევარი საუკუნის უკანასკნელი ოცდათორმეტი წელი მე, ცოტად თუ ბევრად, რეგულარულად ვდევნიდი კაციჭამია ვეფხვებს. თუმცა ისეთი სურათებიც მინახავს, რომლებიც ქვასაც კი აატირებდნენ, მაგრამ არ მახსოვს ერთი შემთხვევაც

კი, რომ ვეფხვს ემოქმედოს გაბზრაბ სასტიკად ან იმდენად სისხლისმსმელი ყოფილიყოს, რომ უმიზეზოდ ხალხი დიდი რაოდენობით დაეხოცოს თავისი და ბოკვრების დასანაყრებლად.

თუ იშვიათად, აუცილებლობის დროს ვეფხვი ძოჰკლავს ადამიანს ხალხის მიერ მათი ბუნებრივი საკვების * განადგურების გამო, ეს კიდევ არ არის საფუძველი იმისათვის, რომ ვეფხვები მოინათლონ სასტიკ და სისხლისმსმელ ცხოველებად.

უნდა ვაღიაროთ, რომ მონადირეები თავისი რწმენით კონსერვატორები არიან, რადგან მათი შეხედულებები წლობით ყალიბდება. ბუნებრივია, რომ მათი აზრი შეიძლება სხვადასხვა იყოს არა მარტო წვრილმანებში, არამედ ზოგჯერ მთავარშიაც კი. ამიტომ არ ვიმედოვნებ, რომ ჩემს მიერ გამოთქმული აზრი საყოველთაო აღიარებას ჰპოვებს.

მაგრამ ერთ რამეში დამეთანხმება ყველა მონადირე, — მიუხედავად იმისა, თუ როგორ ნადირობდა ვეფხვებზე — ხეზე ჩასაფრებული, სპილოს ზურგზე მოკალათებული, თუ ფეხზე მდგომი, — ეს არის ის, რომ სულგრძელი და დარბაისელი ვეფხვი უსაზღვროდ მამაცია. თუ იგი ამოწყვეტილი იქნება. და იგი ამოწყდება თუ საზოგადოებრივი აზრი არ აღსდგება მის დასაცავად, ინდოეთი დაჰკარგავს თავისი ფაუნის უმშვენიერეს წარმომადგენელს და გაღარიბდება.

ვეფხვებისაგან განსხვავებით, ავაზები ზოგჯერ გვამებს ჭამენ. ადამიანის მიერ ნადირის უზომოდ განადგურება ართმევს მათ ბუნებრივ საზრდოს, ამის გამო ის იძენს ადამიანის ხორცის გემოსადმი მიდრეკილებას და ხდება კაციჭამია.

ჩვენი მთების მცხოვრებლები მეტწილად ინდუსებია ** და ამიტომ ისინი წვავენ თავიანთ მიცვალებულებს. კრემაცია ხდება მდინარეების ნაპირზე, რათა ფერფლი ბოლოს და ბოლოს მოხვდეს მდინარე განგში და, შესაძლოა, ოკეანეშიც. სოფლე-

---

* ვეფხვების ჩვეულებრივი საკვებია მსხვილი და საშუალო ზომის ჩლიქოსანი ცხოველები.

** ინდუსები — ინდუიზმის რელიგიის სხვადასხვა სექტის მიმდევრები.

ბის უმეტესობა მაღლა, მთებში მდებარეობს, მაშინ, როცა მდინარეები ხშირად მათგან რამდენიმე მილის მოშორებით მიედინებიან ქვევით დაბლობებში. გასაგებია, რომ ამ პირობებში დამარხვა პატარა თემის წევრებისაგან მოითხოვს დიდ ძალ-ღონეს, მით უფრო, რომ მათ არა მარტო გვამი უნდა გადაიტანონ ქვევით, არამედ უნდა მოაგროვონ და გადაიტანონ სათბობი მასალაც კრემაციისათვის. ნორმალურ პირობებში დასაფლავების ყველა ჩვეულ ზუსტად იცავენ. მაგრამ როცა მთებში ეპიდემია მძვინვარებს და ადამიანები მრავლად იხოცებიან, მაშინ რთული ჩვეულების დაცვის მაგიერ იყენებენ სრულიად მარტივ წესებს. მიცვალებულს პირში უდებენ ცხელ მუგუზალს, რის შემდეგ გვამი მიაქვთ კლდესთან და გადისვრიან ქვევით ხევში. ამ რაიონში მოხვედრილი ავაზა, რომელსაც ბუნებრივი საკვები არ ჰყოფნის, აწყდება ამ გვამებს, ჭამს მათ და სწრაფად ეჩვევა ადამიანის ხორცის გემოს. როცა ეპიდემია თავდება და საკვების ეს წყაროც ილევა, ნადირი იწყებს ადამიანებზე თავდასხმას.

კუმაონის ორი კაციჭამია ავაზა, რომლებმაც 525 კაცი იმსხვერპლა, გამოჩნდა იმ საიდუმლო ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც თავს დაატყდა ინდოეთს 1918 წელს და მიიღო „ომის ციებ-ცხელების“ სახელწოდება.



ჩამპავატის კაციჭამია

მე სანადიროდ ვიყავი მალანში ედი ნაულსთან ერთად, როდესაც პირველად გავიგონე იმ ვეფხვის სახელი, რომელმაც საბოლოოდ ოფიციალურად ჩამპავატის კაციჭამიას სახელწოდება მიიღო.

ედი, რომელსაც კიდევ დიდხანს მოიგონებენ ჩვენს პროვინციაში, როგორც იდეალურსა და ნადირობაზე მოთხრობების უშრეტი მარაგის ავტორს, იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ბედნიერთაგანი, რომლებსაც ცხოვრებაში ყველაფერში ბედი წყალობს. მისი თოფი სიზუსტისა და დარტყმის ძალით უბადლო იყო, ერთ-ერთი მისი ძმა ინდოეთში ითვლებოდ: თოფის პირველ მსროლელად, მეორე კი — ინდოეთის არმიაში ჩოგბურთის საუკეთესო მოთამაშედ. ედიმ მითხრა, რომ

მისი ძუძუმტე. „საუკეთესო შიკარი * მსოფლიოში“, მივლინებულ იქნა მთავრობის მიერ ჩამპავატის კაციჭამიას მოსაკლავად, და მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ კაციჭამიას მოქმედებას მალე ბოლო მოეღებოდა.

რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო, ვეფხვი მაინც ვერ მოჰკლეს და ის დიდ ზიანს აყენებდა ხალხს კიდევ ოთხი წლის შემდეგ, ჩემი ნაინი-ტალში ჩასვლის დროს. დანიშნულ იქნა პრემიები, გაიგზავნა შიკარები და გურკების** რაზმიც კი ალმორის გარნიზონიდან; მიუხედავად ყველა ამ ზომისა, ადამიანთა მსხვერპლის რიცხვი კვლავ იზრდებოდა.

ძუ ვეფხვი (ბოლოს გამოირკვა, რომ იგი მართლა ძუ ვეფხვი იყო) გამოჩნდა კუმაონში ნეპალიდან უკვე კაციჭამიობას მიჩვეული. იქიდან ის გამოდევნა ნეპალელთა მთელმა რაზმმა მას შემდეგ, რაც მან ორასი ადამიანის სიცოცხლე მოსპო. შემდგომ კი ოთხი წლის მანძილზე კუმაონში ორასოცდათოთხმეტი ადამიანი იმსხვერპლა.

ასეთი მდგომარეობა იყო ჩემი ჩასვლის შემდეგ ნაინი-ტალში, სადაც მე ბერტაუდს შევხვდი. ბერტაუდი მაშინ მაზრის კომისრის მოადგილე იყო და საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მან მაცნობა, თუ რა შიშს განიცდიდა მაზრის მოსახლეობა კაციჭამიასაგან და რა შეშფოთებას იწვევდა შექმნილი მდგომარეობა. იმწამსვე დავპირდი ჩამპავატში დაუყოვნებლივ გამგზავრებას.

ამასთან ერთად, წამოვაყენე ორი პირობა: პრემიის გაუქმება და შიკარის ან ალმორის ჯარისკაცთა გაყვანა. ამ პირობების მოტივი არსებითად არ საჭიროებს განმარტებას, რადგან ყველა მონადირე მიხვდება ჩემს სურვილს, რომ არ მინდოდა ვყოფილიყავი ჩარიცხული პრემიის მსურველ მონადირეთა კატეგორიაში ან შემთხვევით მოკლული. ჩემს მიერ წა-

---

* შიკარი (ინდური სიტყვიდან შიკარ—ნადირობა) — პროფესიული მონადირე ინდოეთში.

** გურკი, ანუ გურკხი, ჩრდილოეთის ხალხი, ჰიმალაის სამხრეთ ფერდობებზე მცხოვრები.

მოყენებული პირობები მიიღეს. ერთი კვირის შემდეგ ბერტაუდმა მინახულა დილაადრიან და მაცნობა, რომ მალემსრბოლებს ღამით ეცნობებიათ, პალში, დები-დხურასა და დუნგატს შორის ვეფხვს ქალი მოეკლა.

რადგან იქ დიდხანს დარჩენას არ ვფიქრობდი, ამიტომ დავიქირავე ექვსი კაცი, რომლებსაც უნდა ეზიდა ჩემი ბარგი და საპურველი. საუზმის შემდეგ პირველ დღეს გავიარეთ ჩვიდჰეტი მილი ჯარამდე. მეორე დილას ვისაუზმეთ მორნაულში, ღამე დები-დხურაში გავათიეთ და პალში მივედით მეორე საღამოს, ქალის მოკვლის მეხუთე დღეს.

სოფლის მოსახლეობა, დაახლოებით ორმოცდაათი ქალი. ბავშვი და მამაკაცი შიშით იყო შეპყრობილი. თუმცა მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, მაგრამ მცხოვრებლები მაგრად კარჩაკეტილები დამხვდნენ სახლებში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩემმა მხლებლებმა კოცონი დაანთეს და ცეცხლს მივუჯექით ჩაის დასალევად, აქა-იქ სახლის კარებები გაიღო და დამფრთხალმა მცხოვრებლებმა გარეთ გამოიხედეს.

მითხრეს, რომ უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ვერავინ ბედავდა სახლის ზღურბლზე გადმობიჯებას. იმ ეზოს ანტისანიტარული მდგომარეობა, სადაც მე გავჩერდი, ნათლად მოწმობდა ამას. ხალხი ჩიოდა, რომ სურსათი აღარ ჰყოფნიდათ და შიმშილით ამოწყვეტა ემუქრებოდათ, თუ ვეფხვი მოკლული ან განდევნილი არ იქნებოდა ამ რაიონიდან.

ის, რომ ვეფხვი ჯერ კიდევ სადღაც ახლო ბინადრობდა. ნათელი იყო. უკანასკნელი სამი ღამის განმავლობაში ღრიალი ესმოდათ გზაზე, სახლებიდან ასი იარდის მოშორებით. ჩემი მოსვლის დღეს კი ვეფხვი სოფლის ბოლოს ენახათ.

მამასახლისს ოთახი უკვე მოემზადებია. ჩვენ რვანი ვიყავით და რადგან სახლის ერთადერთი კარი გადიოდა დანაგვიანებულ ეზოში, ამიტომ ღამის გათევა ღია ცისქვეშ ვამჯობინე.

მსუბუქი საუზმის შემდეგ, რომელსაც ჩემთვის სადილის მაგივრობა უნდა გაეწია, და დაიმედებული, რომ ჩემ ხალხს დახურულ შენობაში საფრთხე არ მოელოდა, გზის განაპირას ზურგით ხეს მივეყრდნე და საგუშაგოზე დავდექი. სოფლის

მცხოვრებლები მიამბობდნენ, რომ ვეფხვი, ჩვეულებრივ, ამ გზით დადისო. სავსე მთვარე ქათქათებდა და ვიმედოვნებდი, რომ იღბლიანი გასროლის შემთხვევა მომეცემოდა, თუ მე მოვასწრებდი ვეფხვის დანახვას.

ბევრი ღამე ვამითევია ჯუნგლებში, გარეულ ნადირს რომ ვდარაჯობდი, მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა, კაციჭამია ვეფხვთან რომ მქონდა საქმე. ჩემს წინ გზას მთვარე ანათებდა და მარჯვენა და მარცხენა მხარეს გადმოწოლილი ხეებიდან ვეებერთელა ჩრდილები ეშვებოდნენ. ღამის სიო არხევდა ტოტებს, ლანდები ადგილს ინაცვლებდნენ და მაშინ მეჩვენებოდა, რომ ვეფხვების მთელი ხროვა მიახლოვდებოდა. მწარედ ვნანობდი იმ გატაცებას, რომელმაც კაციჭამია ვეფხვს მიმცა სამოწყალოდ.

გამბედაობა აღარ მყოფნიდა სოფელში დაბრუნებულიყავი, თუმცა კარგად მესმოდა, რომ მეტისმეტად მეშინოდა იმ ამოცანის შესრულებისა, რომელიც მიზნად დავისახე. ასე გავატარე გრძელი ღამე. კბილს კბილზე მაცემინებდა შიშისა და სიცივისაგან. ჩემს წინ თოვლიან მწვერვალებზე აღმართულმა ნაცრისფერმა გარიჟრაჟმა მთვლემარეს მომისწრო: ვიჯექი მუხლებში თავჩაქინდრული, ასეთ მდგომარეობაში მნახა ერთი საათის შემდეგ მოსულმა ჩემმა ხალხმა. ვეფხვისთვის თვალიც არ მომიკრავს, მისი ხმაც არ გამიგონია.

სოფელში დაბრუნებისას მინდოდა მეთხოვნა მცხოვრებლებისათვის (ისინი გაოცებულნი იყვნენ, როგორ გადავრჩი ცოცხალი ამ ღამეს) ეჩვენებიათ ის ადგილები, სადაც ვეფხვი ესხმოდათ თავს. მსურველები არ აღმოჩნდნენ. გლეხები მხოლოდ ეზოდან მიმითითებდნენ იმ მიმართულებით, რომელსაც მივყავდი ადამიანთა დაღუპვის ადგილთან. უკანასკნელი შემთხვევა მოხდა მთის ფერდობზე სოფლიდან დასავლეთით; ქალები და ბავშვები (ისინი დაახლოებით ოცამდე იქნებოდნენ) თურმე პირუტყვისათვის ფოთოლს აგროვებდნენ, რომ ერთ-ერთი მათგანი მოეკლა ვეფხვს. აღელვებით გადმომცემდნენ ისინი ამ ამბის ყველა წვრილმანს. შუადღეს ორი საათი უკლდა, რომ ქალები სოფლიდან გამოვიდნენ. დაახლოებით ნახევარი მილის გავლის შემდეგ, ისინი აცოცდნენ ხეებზე და და-

იწყეს ფოთლების სხეპვა. კაციჭამიას მსხვერპლმა და ახვა ორმა ქალმა აირჩიეს ხრამის ნაპირას მდგარი ხე. შემდეგ გავარკვიე, რომ ამ ხრამს ჰქონდა ოც ფუტამდე სიღრმე და ათიდან თორმეტამდე სიგანე. ფოთლების გასხეპვის შემდეგ ქალმა დაიწყო ხიდან ჩამოსვლა. ვეფხვი შეუმჩნევლად მიეპარა მას და ფეხში სწვდა. ქალმა თავგანწირული დაძაბვის შემდეგ ხელი გაუშვა როკს, რომელსაც ეყრდნობოდა ხიდან ჩამოსვლის დროს, და ვეფხვმა მსხვერპლი ხრამში გადაჩეხა. ქალმა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ვეფხვმა მას პირი სტაცა ყელში, გაგუდა, შემდეგ ამოხტა ხრამის ნაპირზე და თავისი მსხვერპლით გაუჩინარდა ხშირ ბუჩქნარში.

ყველაფერი ეს მოხდა რამდენიმე ფუტის მოშორებით მყოფ ხეზე დარჩენილი ორი ქალის თვალწინ. როგორც კი ვეფხვი თავისი მსხვერპლით მიიმალა, შეშინებულმა ქალებმა და გოგონებმა სოფლისკენ მოკურცხლეს. მამაკაცები ის-ის იყო სადილად სხდებოდნენ.

შეიარაღებული დოლებითა და ლითონის ქვაბებით — ყველაფრით, რითაც კი შეიძლებოდა ხმაურის ატეხა. — გაემართა მაშველი ჯგუფი — კაცები წინ, ქალები უკან.

ხრამთან რომ მივიდნენ, სადაც ქალი იქნა მოკლული, ხალხი შეჩერდა და დაიწყო თათბირი, თუ როგორ მოქცეულიყო შემდეგში. მაგრამ ყოველგვარი კამათი შეაწყვეტინა ვეფხვმა. რომელიც ხმამაღლა ღრიალებდა ბუჩქებში ოცდაათი იარდის მოშორებით. მთელი ჯგუფი შებრუნდა, როგორც ერთი კაცი და სოფლისკენ მოუსვა. როცა სული მოითქვეს, დაუწყეს ერთმანეთს საყვედური: ვინ გაიქცა პირველი, ვინ გამოიწვია პანიკა? დიდხანს იდავეს, სანამ, ბოლოს ვიღაცამ არ შენიშნა, — რომ, თუ არავის შეშინებია და ყველა ისე გამბედავია, როგორც ამტკიცებთ, — მაშ რატომ კარგავთ ტყუილუბრალოდ დროს და ქალის გადასარჩენად არ მიდიხართო.

წინადადება მიღებულ იქნა და მაშველი ჯგუფი კვლავ სამგზის მიუახლოვდა ხრამს. ერთ-ერთმა მონაწილემ მესამედ გაისროლა (მას თოფი ჰქონდა) ვეფხვმა ბუჩქებში ისევ დაიღრიალა. ამის შემდეგ ქალის გადარჩენის ყოველგვარი ცდა „კეთილგონივრულად“ იქნა უარყოფილი. ჩემს შეკითხვაზე,

თუ რატომ გაისროლა ჰაერში და არა ბუჩქში, თოფის პატრონმა ასე მიპასუხა, რომ ვეფხვი ძალიან გახელებული იყო და თუ, საუბედუროდ, ტყვიას მოარტყამდა ნადირს, ცხადია, ეს უკანასკნელი მოჰკლავდა მას.

ამ დილით სამ საათს ვიხეტიალე სოფლის გარშემო ვეფხვთან შეხვედრის იმედითა და თანაც შიშით. ტყიან ხრამში ბუჩქების შემოვლის დროს დავაფრთხე მოვერცხლისფერო ხოხბების გუნდი, რომელიც ხმაურით აფრინდა. გული ამიძგერდა წარმატების იმედით.

ჩემმა ხალხმა გაწმინდა ადგილი კაკლის ხის ქვეშ და იქ ჩემთვის სასადილო მოაწყო. საუზმის შემდეგ სოფლის მამასახლისმა მთხოვა დამეცვა მცხოვრებლები პურის მკის დროს და დაუმატა, რომ, თუ მოსავალი აღებული არ იქნებოდა ჩემი აქ ყოფნისას, მაშინ მას სრულებით ვერ მოიწევდნენ — რადგან მოსახლეობა ისე იყო შეშფოთებული, რომ სახლებიდან გარეთ ვერ გამოდიოდა.

ნახევარი საათის შემდეგ სოფლის ყველა მცხოვრები ჩემი ხალხის დახმარებით შეუდგა გაჩაღებულ მუშაობას, მე კი გატენილი თოფით ხელში ვიდექი სადარაჯოზე. საღამოსათვის მოსავალი აღებულ იქნა ხუთი დიდი ყანიდან: მოუწეველი დარჩა ორი პატარა ნაკვეთი მშენებლობასთან; მამასახლისის სიტყვით, მისი აღება ადვილად შეიძლებოდა მეორე დღესაც.

გაუმჯობესდა აგრეთვე სოფლის სანიტარული მდგომარეობაც. ჩემი პირადი სარგებლობისათვის გამოყოფილ იქნა კიდევ ერთი შენობა. იმ ღამეს ვეფხვისაგან თავდასაცავად ვენტილიაციისათვის გაღებული კარი ამოვქოლე მიწაში ღრმად ჩაფლული ეკლის ბუჩქით და, როგორც იქნა, კარგად დავისვენე.

ჩემმა აქ ყოფნამ გაამხნევა მოსახლეობა. ხალხი დამშვიდდა და შეუდგა თავის ჩვეულებრივ სამუშაოს. მაინც ვერ დავიმსახურე იმდენი ნდობა, რომ ისინი გამყოლოდნენ ახლო მდებარე ჯუნგლებში. ამას კი ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გლეხებმა იცოდნენ სოფლის გარშემო რამდენიმე მილზე ყოველი ფუტი და შეეძლოთ ეჩვენებიათ ჩემთვის ადგილი, სადაც შემეძლო შევხვედროდი ვეფხვს ან, უკი-

დურეს შემთხვევაში, მენახა მისი ნაკვალევი. კაციჭამია რომ ვეფხვი იყო, ეს მტკიცედ იყო დადგენილი, მაგრამ რჩებოდა გაურკვეველი — ნადირი ხვადი იყო, თუ ძუ, ბებერი თუ ახალგაზრდა. ეს ცნობები აუცილებელი იყო ნადირის მისაკვლევად, მაგრამ მისი დადგენა' მხოლოდ ვეფხვის ნაკვალევის დათვალიერების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი.

დილაადრიან, ჩაის დალევის შემდეგ განვაცხადე, რომ მჭირდებოდა ჩემი ხალხისათვის სურსათ-სანოვაგე და გლეხებს ვთხოვე ეჩვენებინათ ადგილი, სადაც შეიძლებოდა გორალების* დახოცვა. სოფელი დიდი თხემის მწვერვალზე მდებარეობდა და აქედან გადაჭიმული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. პირდაპირ გზის ქვემოთ, სადაც წინა ღამე გავათიე, ბალახით დაფარული მთა რამდენიმე ტერასს ჰქმნიდა და ციცაბოდ ეშვებოდა ჩრდილოეთისაკენ. მაცნობეს, რომ იქ ბევრი გორალი ბინადრობდა. რამდენიმე კაცმა სურვილი გამოთქვა, რომ იქამდე გამაცილებდა. შევარჩიე სამი კაცი და გავემგზავრე. მამასახლისს ვუთხარი, რომ, თუ იქ ბევრ გორალს ვნახავ, როგორც მითხრეს, — ერთს ჩემი ხალხისთვის მოვკლავ, ორს კი სოფლის მცხოვრებლებისათვის-თქო.

გზიდან გადავუხვიეთ და ციცაბო ფერდობზე დავეშვით. თუმცა ყურადღებით ვიხედებოდით მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ვერაფერი დავინახეთ. ბორცვის ქვემოთ ნახევარ მილზე ორი ხრამი ერთმანეთს უერთდებოდა. აქედან იშლებოდა ბალახით დაფარული ქვიანი ფერდობის მშვენიერი ხედი. ზურგით მივეყრდნე განმარტოებით მდგარ ფიჭვის ხეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ყურადღებით ვათვალიერებდი გარემოს.

უეცრად ჩემი ყურადღება მიიპყრო ბორცვის მწვერვალზე რაღაც მოძრაობამ. მოძრაობა განმეორდა, და დავინახე ყურებაცქვეტილი გორალი. ცხოველი იდგა ხშირ ბალახში — მოჩანდა მხოლოდ მისი თავი. ჩემმა თანამგზავრებმა გორალი ვერ შეამჩნიეს, და რადგან ნადირი ახლა არ მოძრაობდა და

---

* მთის ანტილოპა—გავრცელებულია სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, სსრ კავშირში — მცირე რაოდენობით ზღვისპირეთში.

შეეხამებოდა გარემოს, მე არ შემეძლო მეცნობებია მათთვის, რომ მხეცი ჩემსკენ გამოეგდოთ. მე ვანიშნე მათ, რა მიმართულებით იდგა გორალი, ვუბრძანე დამსხდარიყვნენ და მოეცადათ, სანამ თოფს არ გავისვრიდი. მე შეიარაღებული ვიყავი ძველი შაშხანით, რომელიც თავის უკუდარტყმას უზრუნველყოფდა ტყვიის მომაკვდინებელი ძალით ნებისმიერ მანძილზე. მაგალითად, ორასი იარდის მანძილი არ წარმოადგენდა მისთვის გადაულახავ სიძნელეს. დავწექი მიწაზე, თოფი მივაყრდესე ფიჭვის ფესვს, გულდასმით დავუმიზნე და გავისროლე.

თოფისწამლის შავმა ბოლმა ჰაერი დაბურა, ჩემ თანამგზავრებს არ დაუნახავთ გასროლის შედეგი და ფიქრობდნენ, რომ კლდეს ან გამხმარი ფოთლების გროვას ვესროლე. ფეხი არ მომიცვლია. ხელახლა გავტენე თოფი და შევამჩნიე, იმ ადგილის ცოტა ქვევით, სადაც ვესროლე, ბალახი შეირხა და იქიდან გამოჩნდა გორალის უკანალი, შემდეგ კი ნადირის მთელი ტანი. იგი დაგორდა ციცაბო ფერდობზე, მწვერვალის შუა წელიდან და გაუჩინარდა ხშირ ბალახებში და დააფრთხო იქვე მწოლარე ორი გორალი, რომლებიც წამოხტნენ და შეშფოთებული გნიასით გაიქცნენ აღმართზე. მანძილი ჩვენს შორის პატარა იყო; მე კვლავ დავუმიზნე, დავუცადე, სანამ უფრო მსხვილი გორალი შეანელებდა სირბილს და ვესროლე ზურგში; როცა მეორე ცხოველმა გაირბინა ფერდობის გასწვრივ. მასაც მოვარტყი ბეჭში ტყვია.

არის ხოლმე საოცარი წარმატებების შემთხვევებიც. უხერხულად წაწოლილმა ვესროლე ორას იარდზე სამოც გრადუსამდე დახრილი კუთხით ისეთ პაწაწინა ნიშანში, როგორიც თეთრი წერტილია ნადირის ყელზე: მილიონიდან ალბათ ერთზე მეტი შანსი არ იქნებოდა ნიშანში მორტყმისა, თუმცა შავი თოფისწამლით დატენილი მძიმე ტყვია ერთ ბეწვზეც არ გადახრილა მიზნიდან და იქვე სული გააფრთხობინა ნადირს. შემდეგ მოკლული ცხოველი პატარა ხრამებითა და კლდის შვერილებით დასერილ ციცაბო ფერდობზე ჩაგორდა პირდაპირ იქ, სადაც ორი დანარჩენი გორალი ეგდო. პირველმა გორალმა ვერც კი მოასწრო ხშირი ბალახიდან თავის დაღწევა, რომ ორიც მას მიჰყვა ქვევით ფერდობზე. სამივე ნადირი ახლა

ღარტაფის ფსკერზე ეყარა. სასაცილო იყო გაოცება და სიხარული ჩემი თანამგზავრებისა, რომლებმაც პირველად იხილეს თოფის გასროლა და ნადავლისათვის ღარტაფში რომ ჩარბოდნენ, ვეფხვის არსებობაც კი დაავიწყდათ.

ამ გასვლას თან ახლდა მრავალმხრივი წარმატება. არა მარტო სურსათ-სანოვაგე ვუშოვე სოფლის მცხოვრებლებს, არამედ მათი ნდობაც დავიმსახურე. ცნობილია, რომ ნადირობის ამბები არაფერს კარგავს მათი მხატვრულად გადმოცემის გამო. გორალები რომ გაატყავეს და ხორცი გაანაწილეს, ჩემმა თანამგზავრებმა სრული თავისუფლება მისცეს ენას. შემდეგ სუფთა ჰაერზე საუზმის დროს თვალს ვადევნებდი შემოკრებილ ხალხს, რომელიც განცვიფრებული იყო იმ ამბის გამო, თუ როგორ მოვკალი გორალი ერთი მილის მანძილზე და მოჯადოებულმა ტყვიებმა არა მარტო დახოცა ნადირი, არამედ საიბთან მიიყვანა ისინი.

სადილის შემდეგ მამასახლისმა მკითხა, სად მსურდა წასვლა და რამდენი გამცილებელი დამჭირდებოდა. ჩემს ირგვლივ მჭიდროდ გარშემორტყმულ ხალხში ჩემი ყოფილი თანამგზავრებიდან ორი კაცი შევარჩიე და მათთან ერთად ტრაგედიის ადგილისაკენ გავეშურე.

ინდოელები აქ მტკიცედ იცავენ თავიანთ ადათებს, თუ ვინმე მოიტაცა კაციჭამია ვეფხვმა, ნათესავები ვალდებული არიან მოძებნონ გვამის რაიმე ნაწილი, თუნდაც ძვლების ნატეხები და დაწვან. უკანასკნელი მსხვერპლის მიმართ ეს ვალდებულება არ იყო შესრულებული და როდესაც წასასვლელად გავემზადეთ, მშობლებმა თხოვნით მოგვმართეს, მოგვეტანა ნეშტის რომელიმე ნაწილი, თუ კი მას ვიპოვიდით.

ბავშვობიდანვე მიტაცებდა ნაკვალევების ამოცნობა ჯუნგლებში. ამ შემთხვევაში მოვისმინე ქალის დაღუპვის დამსწრეთა ნაამბობი, მაგრამ მათზე დაყრდნობა ყოველთვის არ შეიძლება, ნაკვალევები კი იძლევა იმის ზუსტ სურათს, რაც ჯუნგლებში მოხდა. როგორც კი შევხედე ადგილს, დავრწმუნდი, რომ ვეფხვს მხოლოდ ხრამიდან ამოსვლის შემთხვევაში შეეძლო შეუმჩნეველად მისულიყო ხესთან. ხიდან ასი იარდის მოშორებით ხრამში ჩასვლისას, ორ ქვას შორის რბილ ნია-

დაგზე დავინახე თათების ანაბეჭდი. ნაკვალევი გვამცნობდა, რომ ნადირი ახალგაზრდა ძუ ვეფხვია. ხრამის ფერდობზე, ხიდან ცოტა მოშორებით, ათი იარდის მანძილზე ვეფხვი ჩასაფრებული იყო ქვასთან, იმის მოლოდინში, თუ როდის დაიწყებდა ქალი ხიდან ჩამოსვლას. ქალმა რტოების მოჭრა რომ დაამთავრა და ორი დუიმის სისქის როკზე დაყრდნობილმა დაიწყო ძირს დაშვება, ვეფხვი მიცოცდა და, უკანა თათებზე შემდგარმა, სტაცა პირი ფეხში და ხრამში გადაჩეხა. როკს აჩნდა ნაკვალევი იმისა, თუ როგორ თავგანწირვით იბრძოდა უბედური, რომ ხიდან არ ჩამოვარდნილიყო: მუხის მაგარ ქერქსა და ფოთლების კონას, რომელსაც ქალი ცდილობდა ჩაბღაუჭებოდა, თითებისა და ხელისგულის კანის ზოლები შერჩენოდა. იმ ადგილას, სადაც ვეფხვმა მოჰკლა თავისი მსხვერპლი, ჩანდა ბრძოლის ნაკვალევი და გამხმარი სისხლის ლაქა. აქედან უკვე გავყევი სისხლშემშრალი ხრამის მოპირდაპირე მხარეზე, ამ სისხლიანი ნაკვალევით ხრამიდან ამოსვლისას ვნახეთ ის ადგილი, სადაც ვეფხვს თავისი ნადავლი შეეჭამა.

ფართოდ არის გავრცელებული აზრი, თითქოს კაციჭამია ვეფხვები პირს არ აკარებენ თავიანთი მსხვერპლის თავსა და ხელ-ფეხს. ეს არ არის მართალი. თუ კაციჭამიას ხელს არ უშლიან, იგი ყველაფერს ჭამს, სისხლით გაჟღენთილ ტანსაცმელსაც კი, როგორც მე ეს ერთხელ ჩემი თვალით ვიხილე.

ჩვენ ვიპოვეთ ქალის ტანსაცმელი და ძვლების რამდენიმე ნატეხი, რომლებიც ამ მიზნისათვის წამოღებულ სუფთა ნაჭერში შევახვიეთ. როგორი მცირეც არ უნდა ყოფილიყო ეს უმწეო ნეშტის ნარჩენი, იგი მაინც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მიცვალებულის დაწვის წესი შესრულებულიყო.

ჩაის დალევის შემდეგ მეორე ტრაგედიის ადგილი ჰოვინახულე. რამდენიმე აკრი მოცულობის პატარა დასახლება მდებარეობდა გზის გადაღმა, რომელიც მას სოფლისაგან ჰყოფდა. ბორცვის ფერდობზე, პირდაპირ გზის დასაწყისთან, მეურნეობის პატრონს თავისთვის პატარა ქოხი აეშენებია. მისი ცოლი — ორი ბავშვის, ოთხი წლის ბიჭისა და ექვსი წლის გოგონას დედა — ერთხელ თავის უფროს დასთან ერთად თივას

ამზადებდა ბორცვზე, რომ მოულოდნელად გამოჩნდა ძუ ვეფხვი და უფროსი და გაიტაცა. უმცროსი და მთელი ასი იარდის მანძილზე მისდევდა ვეფხვს ნამგლის ქნევით და ეველრებოდა კაციჭამია ვეფხვს გაეშვა მისი და და მის ნაცვლად ის წაეყვანა. მთელი სოფელი იყო ამ წარმოუდგენელი გმირობის მოწმე. ვეფხვმა ათრია მკვდარი ქალი ას იარდზე, მიატოვა იგი და თავის მდევარს მიუბრუნდა. საშინელი ღრიალით გაექანა მხეცი მამაც ქალისაკენ; ქალი შებრუნდა და სირბილით დაეშვა ფერდობზე, გზა გადაჭრა იმ განზრახვით, რომ ეცნობებია მცხოვრებლებისთვის მომხდარი ამბის შესახებ. მაგრამ ისინი ყველაფერს ხედავდნენ. გაურკვეველი ხმები, რომელსაც გამწარებული ქალი გამოსცემდა, თავდაპირველად იმას მიაწერეს, რომ იგი აღელვებული და შეშინებული იყო. მხოლოდ მას შემდეგ, როცა სასწრაფოდ ორგანიზებული მაშველი ჯგუფი ხელმოცარული დაბრუნდა, გამოირკვა, რომ ის დამუნჯებულიყო. მთელი ეს ისტორია სოფელში მიამბეს. როცა ეს ქალი პირველად ვნახე, იგი უკვე ერთი წლის მუნჯი იყო.

თუ მხედველობაში არ მივიღებდით თვალების შეშინებულ გამომეტყველებას, ქალი სრულიად ნორმალური ჩანდა. როდესაც ამ ქალთან გამოსალაპარაკებლად შევჩერდი, და ვაცნობე ჩამოსვლის მიზეზი, რომ მისი დის მკვლელი ვეფხვი უნდა მომეკლა, მუნჯმა მუშტები მოკუმშა, მიწაზე დამხობილი ჩემს ფეხებს შეეხო, — თავი მეტად უხერხულად ვიგრძენი. მართალია, ვეფხვის მოკვლის მტკიცე განზრახვით ჩამოვედი, მაგრამ ამ განზრახვის განხორციელება სხვა არაფერი იყო, თუ არა თივის ბულულებში დაკარგული ნემსის ძებნა; მე საქმე მქონდა ისეთ მხეცთან, რომლის შესახებ ცნობილი იყო, რომ იგი ორგზის არ ჰკლავს ადამიანს ერთსა და იმავე ადგილას, არასოდეს არ უბრუნდება მოკლულ ნადავლს, მისი მოქმედების არე კი გადაჭიმული იყო რამდენიმე ასეული კვადრატული მილის მანძილზე.

ნაინი-ტალისკენ მიმავალ გზაზე მრავალნაირი გეგმა მოვიფიქრე. ერთი მათგანი ვსინჯე, და ვეღარავითარი ძალა ვერ მაიძულებდა გამემეორებია იგივე ცდა. მას შემდეგ, რაც მოქმედების ადგილს მოვხვდი, აღარც სხვა ვარიანტები მეჩვენე-

ბოდა მიმზიდველად. ამასთან ერთად, აქ არავინ იყო, რომ დამხმარებოდა თავისი რჩევა-დარიგებით — ეს იყო კუმაონში კაციჭამია ვეფხვის გამოჩენის პირველი შემთხვევა. მაგრამ მაინც რაღაც უნდა მეღონა. ამიტომ მომდევნო სამი დღის განმავლობაში მზის ამოსვლიდან დაბინდებამდე დავეხეტებოდი ჯუნგლებში, მოვიარე ახლო მდებარე ადგილები, სადაც, მცხოვრებლების სიტყვით, შეიძლებოდა ვეფხვს შევხვედროდი.

იძულებული ვარ აქ ცოტა შევწყვიტო ჩემი თხრობა: მე მინდა უარვყო ჩვენს მთებში გავრცელებული ხმები, თითქოს მე ქალის ტანისამოსში გადაცმული, დავდიოდი ჯუნგლებში, ვიტყუებდი კაციჭამია ვეფხვებს და ვხოცავდი ნამგლითა და ნაჯახით. ერთადერთი, რასაც, მართალია, ვაკეთებდი შესანიღბავად, — ეს იყო სარი (ქალის წამოსასხამი), რომელსაც ვიცვამდი და ამგვარი ტანსაცმლით ვთიბავდი ბალახს ან ხეზე ავდიოდი და ფოთოლს ვკრეფდი. მაგრამ ასეთ ეშმაკობას ჩემთვის წარმატება არ მოუტანია.

თუმცა, როგორც მერე გამოირკვა, ვეფხვები მითვალთვალებდნენ ხეზე, საფრებიდან (ერთ შემთხვევაში—კლდეს, მეორეში კი წაქცეულ ხეს ამოფარებულნი), ასე რომ გასროლა არ შემეძლო.

ვუბრუნდები ჩემს მოთხრობას. როგორც ჩანს, ვეფხვმა დასტოვა ეს ადგილი, და მე, პალის მცხოვრებლების სამწუხაროდ, გადავწყვიტე ჩამპავატში, პალიდან აღმოსავლეთით, თხუთმეტი მილის მოშორებით წასვლა. გამოვედი დილაადრიან, ვისაუზმე დუნაგხატში და მზის ჩასვლისას ჩავაღწიე ჩამპავატში; ამ ადგილებში გზები მაინცდამაინც არ იყო საშიშროებას მოკლებული და სოფლიდან სოფელში ან ბაზარში ხალხი მხოლოდ შიდ ჯგუფებად მიდიოდა. დუნაგხატიდან გამოსვლისას სულ რვა კაცი მახლდა, გზაში მათმა რიცხვმა იმატა და ჩამპავატში რომ მივედით, უკვე ოცდაათ კაცზე მეტი ვიყავით. ზოგიერთი ჩემი თანამგზავრი იმ ოცი კაცის რიცხვიდან იყო, რომელიც ჩამპავატში ყოფილიყო ორი თვის წინათ. იმათ მიამბეს სამწუხარო ისტორია: „ჩამპავატიდან ამ მხარეზე გზა რამდენიმე მილის მანძილზე გადის მთის სამხრეთ

ფერდობთან, ხეობის გასწვრივ, დაახლოებით ხევის ძირიდან ორმოცდაათი იარდით მაღლა. ორი თვის წინათ ოცი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ჩამპავატის ბაზრისაკენ მიედინებოდა. შუადღისას, სწორედ ამ გზის მონაკვეთზე რომ მივდიოდით, მოულოდნელად ხევიდან კაცის ყვირილი შემოგვესმა. გზის პირას შეჯგუფებულმა და შეშფოთებულმა ხალხმა შეამჩნია, რომ ყვირილის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. მალე გამოჩნდა ვეფხვი, მას თან მოჰქონდა გაშიშვლებული ქალი. ქალის თმები ვეფხვის ერთ მხარეს მისთრევდა მიწაზე, ფეხები კი მეორეზე. ვეფხვს ქალი წელით ეჭირა, ის კი მჯიღებს უშენდა მხეცს მკერდში, ხალხსა და ღმერთს საშველად მოუხმობდა. ყველაფერი ეს ჩვენ კარგად დავინახეთ. ვეფხვმა ორმოცდაათ იარდზე ჩაგვიარა: ყვირილი რომ მიწყდა, გზა განვაგრძეთ.

— და თქვენ, ოცმა მამაკაცმა ვერაფერი ზომები მიიღეთ?

— ვერა, საიბ, ვერაფერი, ისე ვიყავით შეშინებული. აბა რის გაკეთება შეუძლია შეშინებულ კაცს? კიდეც რომ წაგვერთმია ქალი, ისე რომ ვეფხვი არ გაგვებრაზებია და ჩვენი თავისათვისაც ვნება არ მიგვეყენებია, ეს სულ ერთია, იმ უბედურს არაფერს უშველიდა.

გვიან გავიგე, რომ ვეფხვის მსხვერპლი ჩამპავატის მიდამოს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები იყო. ვეფხვმა პირი დასტაცა ქალს, როცა იგი ფიჩხს აგროვებდა. მისი მეგობრები სოფელში გაიქცნენ და განგაში ატეხეს. ჩამპავატში მიმავალი ოცი მამაკაცი სწორედ მაშინ მოსულა ამ სოფელში, როცა იქედან „მაშველი ჯგუფი“ გადიოდა. რადგან მოსულებმაც იცოდნენ, რომელი მიმართულებით გაიტაცა ვეფხვმა ქალი, ისინიც შეუერთდნენ ამ ჯგუფს. აი მათი ნაამბობის გაგრძელება: „ჩვენ ვიყავით ორმოცდაათი თუ სამოცი ღონიერი მამაკაცი, ქალის გადასარჩენად რომ გამოვედით; ზოგიერთებს თოფები ჰქონდათ. დაახლოებით მილის ერთ მერვედზე იმ ადგილიდან, სადაც შეგროვილი ფიჩხი ელაგა და სადაც კაციჭამიამ მსხვერპლი მოიტაცა, დაფხრეწილი ტანსაცმელი ვნახე. აქ ხალხმა დასცხო დოლებს და თოფის სროლა ატეხა. ამგვარად ჩვენ გავიარეთ კიდევ ერთი მილი და შევედით ხევში. აი, აქ ვნახეთ ქალი — ის თითქმის გოგონა იქნებოდა, მკვდარი

ფილაქვაზე ეგდო. მიცვალებულის გვამი სრულიად მთელი იყო: ვეფხვს პირი არ ეხლო მისთვის, მას მხოლოდ გამოდენილი სისხლი აელოკა. ჩვენს შორის ქალი არ იყო და ჩვენ, მამაკაცებმა, პირი შევიბრუნეთ და ისე გავახვიეთ მიცვალებულის გვამი თეთრეულში, რომელიც ზოგიერთმა იქ დამსწრემ მოიხსნა. გოგონა მძინარესავით ზურგზე იწვა და გვეგონა, რომ იგი მამაკაცების შეხებისას სირცხვილისაგან გაიღვიძებდა".

ასეთ ისტორიებს ხშირად უამბობენ ერთმანეთს სოფლებში გრძელ უძილო ღამეებში მაგრად ჩაკეტილი კარის შიგნით. ბოლოს და ბოლოს გასაგებია, თუ როგორ იცვლება ჩვეები და ხასიათი იმ ადამიანებისა, რომლებიც მთელ წლებს იმ მიდამოებში ატარებენ, სადაც კაციჭამია ვეფხვები ბინადრობენ. გარედან აქ მოხვედრილ კაცს ეგონება, რომ იგი აღმოჩნდა შორეული წარსულის სამყაროში, კბილებისა და კლანჭების სამეფოში, როცა კბილბასრა ვეფხვი ადამიანებს ღრმა გამოქვაბულებში ერეკებოდა.

ჩამპავატის იმ შორეულ დღეებში მე გამოუცდელი და ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ იქ რამდენიმე დღის შემდეგ მიღებული რწმენა მხოლოდ შემდგომი ოცდაათი წლის გამოცდილების შედეგად განმტკიცდა; არაფერი იმაზე საშიში არ არის, ვიდრე კაციჭამია ვეფხვის სამფლობელოში ცხოვრება და იმის შეგრძნება, რომ ასეთსავე მდგომარეობაშია ყველა შენი ახლობელი. ჩამპავატის ტახსილდარი*, რომელსაც ჩემი რეკომენდაციები წარვუდგინე, ღამე მეწვია საფოსტო კანტორაში, რომელშიც გავჩერდი. მან მირჩია გადავსულიყავი მეორე შენობაში, კანტორიდან რამდენიმე მილის მანძილზე მდებარე ჯიხურში. მის მახლობლად ვეფხვს რამდენიმე კაცი მოეკლა.

მეორე დღეს, დილაადრიან, ტახსილდარის თანხლებით მივედი ჯიხურში. აივანზე ვსაუბრობდით, რომ ჩემთან ორი კაცი მოვიდა და მაცნობა, აქედან ათი მილის მოშორებით, სოფელ-

* ტახსილი — ადმინისტრაციული ერთეულია, შეეფარდება თემს. ტახსილდარი — თემის უფროსი.

ში ვეფხვმა ძროხა მოჰკლაო. ტახსილდარმა ბოდიში მოიხადა — სასწრაფო საქმეების გამო ჩამპავატში უნდა ყოფილიყო. მან მითხრა, რომ საღამოს დაბრუნდებოდა და ჩვენთან ერთად გაატარებდა ღამეს. ჩემი მეგზურები კარგი მოსიარულეები აღმოჩნდნენ; გზა ქვევით ეშვებოდა ფერდობებზე და ჩვენ მოკლე სარეკორდო ხანში ათი მილი გავიარეთ. სოფელში მიმიყვანეს პირუტყვთა ბაკთან, სადაც თავდასხმა მოხდა, დაახლოებით ერთი კვირის ხბო ავაზას მოეკლა და ნაწილობრივ შეეჭამა. მე არც დრო მქონდა ავაზას მოკვლისა, და არც სურვილი. ამიტომ ანგარიში გავუსწორე მეგზურებს და მარტო დავბრუნდი ჯიხურში. კიდევ ერთი საათი იქნებოდა დარჩენილი მზის ჩასვლამდის, როცა ჩოუკიდართან* ერთად წავედი იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც, მისი სიტყვით, ვეფხვს წყლის სასმელი ადგილი ჰქონდა შერჩეული. ეს იყო ბაღების მოსარწყავი არხის სათავე. წყალსაცავთან რბილ ნიადაგზე რამდენიმე დღის წინანდელი ვეფხვის ნაკვალევი იყო, მაგრამ ეს ნაკვალევი სავსებით განსხვავდებოდა იმ თათების ანაბეჭდებისაგან, რომლებიც ვნახე და გულდასმით შევისწავლე ხეკში, სადაც ვეფხვმა მოჰკლა პალელი ქალი.

ჯიხურში რომ დავბრუნდი, დამხვდა ტახსილდარი. აივანზე დავსხედით და ვუამბე დღის შედეგებზე. ტახსილდარმა სინანული გამოთქვა, რომ ამაოდ მომიხდა ასეთი გრძელი ექსპედიციის ჩატარება, ადგა და განაცხადა, რომ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს. ამან ძალიან გამაკვირვა, რადგან ადრე ტახსილდარი ორჯერ დამპირდა, რომ ღამეს ჩემთან გაათევდა. ცხადია, საქმე ჩემთან დარჩენაში როდი იყო, მე მესმოდა რა საშიშროება ემუქრებოდა ტახსილდარს. მას მაინც არ ესმოდა ჩემი მტკიცებები. როცა ტახსილდარი ჩამოვიდა ვერანდიდან წყვდიად ღამეში, ერთადერთი თანმხლებით, რომელსაც ხელში ოდნავ მბჟუტავი ფარანი ეჭირა და გაუდგა გზას, სადაც დღისით გავლაც კი გამბედაობად ითვლებოდა მთელი ჯგუფისათვის, მე, დავემშვიდობე და ქუდი მოვუხადე ამ ძალზე გაბედულ ადამიანს.

---

* ჩოუკიდარი — დარაჯი.

* * *

მეორე დილას დავათვალიერე ხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები და ღელეში ვიბანავე. დაახლოებით შუადღისას დაბრუნდა ტახსილდარი ჩამპავატიდან და შიში ვეფხვის შესახებ გამიფანტა.

მას ვესაუბრებოდი და ყანებით გარშემორტყმულ სოფლებსა და მთის დამრეც ფერდობებს ვათვალიერებდი, რომ უეცრად დავინახე ვიღაც კაცი სოფლიდან გამოვიდა და პირდაპირ ჩემსკენ მოემართებოდა. კაცი სირბილით მომიახლოვდა, — ალბათ, რაიმე მნიშვნელოვანი ცნობები მოჰქონდა. ტახსილდარს ვუთხარი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ დავბრუნდებოდი და მაცნეს შესახვედრად ბორცვიდან ქვემოთ დავეშვი. კაცი ჩამოჯდა, რომ სული მოეთქვა. როგორც კი მივუახლოვდი იმ მანძილზე, რომ ხმის მოწვდენა შეიძლებოდა, დამიძახა: „ჩქარა, საიბ, ვეფხვმა ეს-ესაა მოჰკლა ქალი". „იჯექი"— ვუპასუხე მე და გავიქეცი ჯიხურში. დავტაცე ხელი თოფსა და რამდენიმე ვაზნას, ვაცნობე ამის შესახებ ტახსილდარს და ვთხოვე სოფელში გამომყოლოდა.

მაცნე ეკუთვნოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა ენასა და ფეხებს არ ძალუძთ ერთდროულად მოქმედება. თუ იგი პირს გააღებდა, შეჩერდებოდა, და თუ მოძრაობდა, პირი დამუწული ჰქონდა. ვუბრძანე მას გაჩუმებულიყო და გზა განეგრძო, მე კი, უხმოდ ჩავირბინე ფერდობი.

სოფელში აღელვებული მამაკაცები, ქალები და ბავშვები შეგვხვდა, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, ყველა ერთდროულად ალაპარაკდა. ერთ-ერთი დამსწრე ამაოდ ცდილობდა ამ ბაბილონის გოდოლის მშენებელთა დაწყნარებას. მე გვერდზე გავიყვანე ეს კაცი და ვთხოვე ეამბნა რა მოხდა. მან მიმითითა სოფლიდან დაახლოებით მილის მერვედ მანძილზე დაშორებით დაბალ ფერდობზე მარტო მდგარ მუხაზე და მითხრა, რომ ამ მუხასთან სოფლის ოცი მცხოვრები ფიჩხს აგროვებდა. უეცრად გამოჩნდა ვეფხვი და სტაცა პირი ახალგაზრდა, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონას. ყველა გაიქცა სოფელში, და რადგან იცოდნენ, რომ მე ჯიხურში გავჩერდი, ჩემთან აფრინეს შიკრიკი.

იმ კაცის ცოლიც, რომელსაც ველაპარაკებოდი, ფიჩხს აგროვებდა და მან მიჩვენა ბორცვის ფერდობზე მოსახვევში მდგარი ხე, სადაც ქალიშვილი მოიტაცა ვეფხვმა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფიჩხის შეგროვების ვერც ერთმა მონაწილემ ვერ გაბედა უკან მოხედვა გაქცევის დროს, რომ გაეგო რა მიმართულებით გაიტაცა ვეფხვმა თავისი მსხვერპლი.

ხალხს ვუბრძანე არ ეხმაურა და ჩემს დაბრუნებამდე სოფელში დარჩენილიყო. მე კი ხისაკენ გავეშურე. ადგილი სრულიად გაშლილი იყო და ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი ცხოველი, როგორიც ვეფხვია, შეიძლებოდა შეუმჩნევლად მიპარვოდა ოცი კაცისაგან შემდგარ ჯგუფს და მისი იქ ყოფნა, მხოლოდ მას შემდეგ გაეგოთ, როცა გოგონამ დაიყვირა.

მკვლელობის ადგილას სისხლის გუბე იდგა, შეგუბებული წითელი სისხლის ახლოს კი, რაც მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენდა, ეგდო მუქი-ცისფერი მძივების გულქანდის ნაწყვეტები. აქედან კვალს მივყავდით ზევით, და შემდეგ ფერდობის მოხვეულისაკენ.

ძუ ვეფხვის ნაკვალევი კარგად ჩანდა. ერთ მხარეს, საითაც ქალს თავი ჰქონდა გადაკიდებული, მიწას სისხლის მსხვილი წინწკლები აჩნდა, მეორეს კი — მისი ფეხებისაგან გავლებული კვალი. ნახევარ მილზე ზევით ვნახე ქალის საბური, ხოლო ბორცვის წვერზე ქვედა კაბა აღმოვაჩინე. ძუ ვეფხვს ქალი კვლავ შიშველი მიჰქონდა. ამჯერად, ბედზე, მსხვერპლი მკვდარი იყო.

მწვერვალზე ნაკვალევმა ეკლიან ჯაგნარში შეგვიყვანა; აქაიქ ეკლებზე ეკიდა გოგონას შავი თმის კულულები, შემდეგ ვეფხვმა გაიარა ჭინჭრიანი. როცა ამ წინააღმდეგობის შემოვლა ვცადე, ჩემს უკან ნაბიჯის ხმა მოისმა. მიახლოვდებოდა თოფიანი კაცი. ვკითხე მას, რატომ გამომყვა უკან, როდესაც მე ვბრძანე, ფეხი არავის მოეცვალა სოფლიდან. მან მიპასუხა, რომ ტახსილდარმა მიბრძანა თქვენ გამოგყოლოდითო და შემეშინდა ამ ბრძანების შეუსრულებლობისაო.

გასაგები იყო, რომ კაცმა გადაწყვიტა ზუსტად შეესრულებია მიცემული დავალება, მასთან კამათი კი ძვირფას დროს დამაკარგვინებდა. ვუთხარი მას გაეხადა მძიმე ჩექმები, და მას

შემდეგ, როდესაც ისინი დამალა ბუჩქებში, ვურჩიე ჩემთან ახლოს ყოფილიყო და გულმოდგინედ ედევნებინა თვალყური ყველაფრისათვის, რაც ჩვენს ირგვლივ ხდებოდა.

მე მეცვა წყვილი თხელი წინდები, მოკლე შარვალი და რეზინისძირიანი ფეხსაცმელები. მიუხედავად დიდი უხერხულობისა, მაინც მომიხდა ვეფხვის ნაკვალევის გაყოლა ჭინჭრიანში, რადგან შემოსავლელი გზა არ იყო.

ჭინჭრიანში კვალი მარცხნივ უხვევდა, შემდეგ გვიმრითა და მთის ბამბუკით დაფარულ ძალზე ციცაბო მთიდან ქვევით ეშვებოდა. ასი იარდით დაბლა, კვალს მივყავდით მდინარის ვიწრო და ღრმა ხეობაში, სადაც ვეფხვი დიდი გაჭირვებით მიიწევდა—ეს ჩანდა ჩამოშვავებული ქვებიდან და ჩამოცვენილი ბელტებიდან. ამ ხეობაში გავიარე ხუთი-ექვსი იარდი და, რამდენსაც წინ მივიწევდით, მით უფრო შეშფოთებული მეჩვენებოდა ჩემი თანამგზავრი. თორმეტჯერ მაინც კი მტაცა მაჯაში ხელი და მტირალა ხმით ჩურჩულებდა, რომ ვეფხვის ხმა ხან ერთი მხრიდან ესმის, ხან მეორე და ხან, ზურგის მხრიდან. ნახევარი დაღმართი ჩავათავეთ და მივადექით ოცდაათი ფუტის სიმაღლის კლდეს. რადგან ჩემს თანამგზავრს ელანდებოდა, რომ მას მთელი ქვეყნის ვეფხვები მოსდევენ, ამიტომ ვუბრძანე, ასულიყო ამ კლდეზე და დამლოდებოდა. მან დიდი სიამოვნებით შეასრულა ეს, მიმოიხედა და მაცნობა, რომ ყველაფერი რიგზეაო. მე განვაგრძობდი გზას წყაროს გასწვრივ, რომელიც გარს უვლიდა კლდეს, ასი იარდის მანძილზე პირდაპირ მიედინებოდა და შემდეგ ხევის სიღრმეში იკარგებოდა. იმ ადგილას, სადაც ნაკადული ხევში ეშვებოდა, წყალი ქმნიდა მცირე მოცულობის წყალსატევს; ამ წყალსატევის ნაპირზე დავინახე სისხლის რამდენიმე წვეთი.

ძუ ვეფხვმა ქალიშვილი ამ ადგილამდე მიიტანა, ჩემმა მიახლოებამ, ცოტა არ იყოს, დააფრთხო ის ჭამის დროს. ძვლის ნამსხვრევები გაფანტული იყო ვეფხვის თათების ღრმა 'ანაბეჭდებს შორის, ანაბეჭდებისა, რომლებიც თანდათან ივსებოდა სუფთა წყლით. წყალსატევის კიდეზე შევამჩნიე საგანი, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ მაშინ, წყაროს გასწვრივ რომ ჩავდიოდი. ეს იყო ადამიანის ფეხის ნაწი-

ლი. ჩემი ნადირობის შემდგომ წლებში, არ მინახავს არაფერი ამ ახალგაზრდა ქალიშვილის მოყვანილ ფეხზე უფრო შემზარავი. მუხლის ცოტა ქვევით ისე იყო მოწყვეტილი, თითქოს გალესილი ნაჯახით მოეკვეთოთ. ფეხიდან სისხლი დიოდა.

ფეხს რომ ვათვალიერებდი, დამავიწყდა ძუ ვეფხვის არსებობა და ერთბაშად ვიგრძენი თუ რა დიდი საშიშროება მელოდა. სწრაფად მოვიგდე თოფი, დავადე თითები ორივე სასხლეტს, ავსწიე თავი და დავინახე თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე წყაროს მოპირდაპირე მხრიდან როგორ ჩამოცვივდა ნელ-ნელა გოროხები, დაგორდა ქვევით და ჩაცვივდა წყალსატევში. მაშინ გამოცდილება არ მქონდა ნადირობაში, თორემ არ ჩავიგდებდი თავს ასეთ ხიფათში. შესაძლებელია იმან გადამარჩინა, რომ სწრაფად მოვიგდე თოფი, — ვეფხვმა შეაჩერა ნახტომი ან მისცა სხვა მიმართულება მას და მაღლიდან მიწა ჩამოყარა.

ნაპირი ძალიან ციცაბო იყო და იქ ასვლა შეიძლებოდა მხოლოდ ნახტომით. ავედი დინების გასწვრივ ცოტა ზევით, გამოვექანე, გადავახტი წყალსატევს, ჩავეჭიდე ბუჩქს მოპირდაპირე ნაპირზე და ავითრიე ტანი აღმართზე. გაბადრული სტრობილნატების მოთელილი ტოტები მოწმობდა იმას, რომ აქ ცოტახნით ადრე ძუ ვეფხვს გაევლო. ცოტა მოშორებით, გადმოკიდული კლდის ქვეშ, დავინახე ადგილი, სადაც ნადავლი დაეგდო, თვალყურს რომ მადევნებდა.

ვეფხვს ისევ წაეღო ქალიშვილი — ახლა ნაკვალევს მივყავდი რამდენიმე აკრის მოცულობის კლდეებით დასერილ ადგილამდე, სადაც დეენა ძალზე რთული და საშიში ხდებოდა. კლდის ნაპრალები შენიღბული იყო გვიმრისა და მაყვლის ბუჩქებით. ერთი არასწორი ნაბიჯი, რის გამოც შეიძლებოდა ფეხი მომეტეხა, მიმიყვანდა იმავე საბედისწერო შედეგამდე. ასეთ პირობებში ძალაუნებურად ნელა მივიწევდი წინ, ვეფხვი სარგებლობდა ამით და ჭამას განაგრძობდა. თორმეტჯერ მაინც მივედი მისი დაყოვნების ადგილამდე და ყოველთვის ნაკვალევი თანდათან შესამჩნევი ხდებოდა.

ეს იყო ოთხას ოცდამეთექვსმეტე მსხვერპლი ძუ ვეფხვისა და მხეცი უკვე შეჩვეოდა იმას, რომ ჭამის დროს მას აწუ-

ხებდნენ მაშველი ჯგუფები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ასე დაჟინებით დევნიდნენ და მან თავისი უკმაყოფილება ღრენით გამოხატა. რომ სავსებით წარმოიდგინოთ, რას წარმოადგენს ვეფხვის ღრენა, უნდა იმყოფებოდეთ ისეთსავე ადგილას, სადაც მე მაშინ ვიყავი: ირგვლივ ხშირი ჯაგნარით დაფარული კლდეები; თითოეულ არასწორ ნაბიჯს შეუძლია ჩაგითრიოს ნაპრალში ან უფსკრულში.

არა მგონია, რომ მაშინდელი ჩემი განცდები სავსებით გასაგები იყოს მკითხველისათვის. ვეფხვის ღრიალი და მის მიერ თავდასხმის პერსპექტივა მაშინებდა კიდეც, და წარმატების იმედსაც მგვრიდა. თუ ვეფხვი მოთმინებიდან გამოვიდოდა და თავს დამესხმოდა, ჩემი ამოცანა შესრულებული იქნებოდა და ბოლოს მოვუღებდი კაციჭამია მხეცის მიერ ხალხზე მიყენებულ ტანჯვა-წამებას.

მისი ღრენა მხოლოდ მუქარა აღმოჩნდა, და როდესაც იგრძნო, რომ მე არა თუ დამაფრთხო, არამედ მაიძულა კიდევ უფრო სწრაფად გავყოლოდი მის ნაკვალევს, შეწყვიტა ღრიალი.

უკვე მთელი ოთხი საათი მივყვებოდი მის ნაკვალევს, თუმცა ხშირად ვამჩნევდი, როგორ ირხეოდა შამბნარი, მაგრამ თვითონ მხეცი ერთხელაც არ დამინახავს. მოპირდაპირე ფერდობიდან ასხლეტილმა ჩრდილმა მაგრძნობინა, რომ დროა დაღამებამდე სოფელში დავბრუნებულიყავი.

ვეფხვის მიერ მოკლული ქალი ინდოელი იყო, მაშასადამე, სხეულის ნაწილი საჭირო იყო დასაწვავად, ამიტომ წყაროს ახლოს რომ გავიარე, ფეხი ნაპირზე ჩავმარხე, რათა ადათის შესასრულებლად შემენახა.

კლდეზე დარჩენილ ჩემ თანამგზავრს განსაკუთრებით გაუხარდა ჩემი დანახვა. ჩემმა გადაკარგვამ და აქამდე მოღწეულმა ვეფხვის ღრიალმა აიძულა იგი ევარაუდებია, რომ მხეცმა იგდო ახალი მსხვერპლი. ამასთან, იგი გულახდილად აღიარებდა, რომ მას ყველაზე უფრო აშინებდა სოფელში მარტო დაბრუნება.

ნაკადულის დინებას რომ მივყვებოდი, ვფიქრობდი, რამდენად საშიშია ხელში თოფშემართული ნერვიული კაცის წინ

სიარული. თუმცა მე მომიხდა აზრის შეცვლა, როცა წინ მიმავალ ჩემს თანამგზავრს ფეხი დაუსხლტა და უკან დაეცა. მისი ჩახმახზე შეყენებული 450 ყალიბიანი თოფის ლულა ჩემსკენ შემობრუნდა, ამ დღიდან დავადგინე განუხრელი წესი (გამონაკლისს ვუშვებდი მხოლოდ იბოტსონისთვის) მევლო ვეფხვებზე სანადიროდ მხოლოდ და მხოლოდ მარტო, რადგან თუ თანამგზავრი უიარაღოა, ძნელია მისი დაცვა, მაგრამ თუ შეიარაღებულია, მაშინ თავის დაცვაა გაძნელებული.

მთის მწვერვალს რომ მივუახლოვდით, სადაც ჩემმა თანამგზავრმა ჩექმები დამალა, ჩამოვჯექი თამბაქოს მოსაწევად და შევუდექი მეორე დღის გეგმის მოფიქრებას. ძუ ვეფხვი უეჭველად შეჭამდა თავის ნადავლს და დღისით კლდეებში დაწვებოდა.

ადგილმდებარეობის პირობები მიახლოებისას მხეცის მოკვლის მცირე იმედს იძლეოდა. ამასთან, თუ წამოვაგდებდი ვეფხვს ისე, რომ არ მექნებოდა სროლის საშუალება, იგი ნამდვილად გაუჩინარდებოდა, რათა გვერდი აევლო ჩემთან შეხვედრისათვის. ამოცანის ერთადერთი სწორი გადაწყვეტა იყო ნადირის გამოგდების ორგანიზაცია, თუ მოვუყრიდით თავს მარეკების საკმაო რაოდენობას.

მე ვიჯექი კლდეების ფართო ამფითეატრის სამხრეთ ნაპირზე და ვერც ერთ საცხოვრებელ სახლს ვერ ვხედავდი. დასავლეთიდან მოჩუხჩუხე ნაკადული ფართო დაბლობს კვეთდა; აღმოსავლეთით იგი აღწევდა კლდემდე, უხვევდა ჩრდილოეთისაკენ, და ვიწრო ხეობაში შესვლის შემდეგ სტოვებდა ამფითეატრს.

ჩემს წინ აღმართული იყო 2 000 ფუტამდე სიმაღლის მთა, დაფარული დაბალი ბალახოვანი მცენარეებით, რომელთა შორის აქა-იქ იზრდებოდა ფიჭვის ხეები. აღმოსავლეთით გადმოკიდული იყო მეორე მთა, რომელიც თავის ციცაბო კალთებით მხოლოდ გორალებისთვის იყო მისაწვდომი. თუ მოვახერხებდი და შევაგროვებდი საკმაო რაოდენობით ხალხს, რათა დამეკავებია მთელი ქედი ნაკადულიდან ამ ციცაბო მთამდე და ამეგდო ვეფხვი, მაშინ მას მხოლოდ უკან დახევის ერთი გზა-ღა რჩებოდა — ხეობა.

ცხადია, გამოდენა ძალიან ძნელი იყო, რადგან ჩრდილოეთისკენ მიმართული ციცაბო მთის კალთა, სადაც ძუ ვეფხვი დავტოვე, დაფარული იყო ხშირი ტყით, და გადაჭიმული იყო მილის სამი მეოთხედის სიგრძეზე და ნახევარი მილის სიგანეზე. მაინც, თუ მარეკები ზუსტად შეასრულებდნენ ჩემს მითითებებს, შეიძლებოდა შედეგიანი გასროლის იმედი მქონოდა.

ტახსილდარი სოფელში მელოდა. მდგომარეობა ავუხსენი მას და ვთხოვე სასწრაფოდ მიეღო ზომები, რათა შეეგროვებია რაც შეიძლება ბევრი ხალხი და ხვალ დილის ათი საათისათვის დავუნიშნე შეხვედრა ხესთან, სადაც მოჰკლა ვეფხვმა ქალიშვილი. ტახსილდარმა აღმითქვა ყველაფრის გაკეთება და ჩამპავატში წავიდა, მე კი ჯიხურისკენ გავემართე.

მეორე დღეს — დილას, განთიადზე ავდექი. ჩემს ხალხს ვუბრძანე შეკრებილიყვნენ და ჩამპავატში დაეცადათ, მე კი წავედი, რათა ერთხელ კიდევ გადამეკლო თვალი ალყის შემოსარტყმელი ადგილისათვის. ყველა ვარაუდი სწორი მეჩვენა, შეკრებამდე ერთი საათით ადრე მე უკვე ვიყავი ადგილზე, სადაც ტახსილდარს უნდა შევხვედროდი.

ჩემთვის ნათელი იყო, რომ ხალხის შეკრებისას ტახსილდარის წინაშე წამოიჭრებოდა დიდი სიძნელეები. შიში ვეფხვის წინაშე ღრმად იყო გამჯდარი მთელ ამ არემარის მცხოვრებლებში. შთაგონება აღარ იყო საკმარისი, რომ ხალხი სახლებიდან გამომეყვანა. ათ საათზე გამოჩნდა ტახსილდარი, მას მხოლოდ ერთადერთი თანამგზავრი ახლდა. მაგრამ შემდეგ ხალხმა ორ-ორად, სამ-სამად იწყო დენა, მერე ათ-ათი კაცი მოდიოდა. შუადღისათვის 298 კაცი შეიკრიბა.

ტახსილდარმა განუცხადა მარეკებს, რომ იგი არა თუ წინააღმდეგია ცეცხლსასროლი იარაღებისა, რისი ნებართვაც მათ არა აქვთ, არამედ პირიქით, იგი მოამარაგებს ამ იარაღის მქონეთ ტყვია-წამლით. თუმცა მათ მიერ წამოღებული თოფები ისეთი იყო, რომ მათთვის საუკეთესო ადგილი მუზეუმი თუ იქნებოდა.

ხალხი შეიკრიბა და მიიღო ტყვია-წამალი, შემდეგ ისინი მივავლინე იმ გორასთან, სადაც ქალიშვილის კაბა ვიპოვე. მივუთითე მათ ფიჭვის ხეზე, რომელსაც მეხის დაცემის გამო

კანი ჰქონდა გამძვრალი, და მარეკებს ვუბრძანე ქედის გასწვრივ ეგლოთ. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ, როცა ფიქვის ქვეშიდან მივცემ ნიშანს ცხვირსახოცით, მათ უნდა ასტეხონ სროლა, ყიჟინა, დასცხონ დოლებზე, იყვირონ და ისროლონ ქვები. არავის არ ჰქონდა უფლება ადგილიდან დაძრულიყო მანამ, სანამ მე არ დავბრუნდებოდი და არ მივცემდი სათანადო განკარგულებას. დავრწმუნდი, რომ რაც ვთქვი, ყველამ გაიგონა და გაიგო. მე გავეშურე ტახსილდართან ერთად, რომელმაც თქვა, რომ თავს ჩემთან უფრო უშიშრად იგრძნობდა, ვიდრე მარეკებთან: ამ ხალხს თოფები გაუსკდებათ და უფრო მეტი უბედურებაა მოსალოდნელიო.

შორიდან შემოვუარეთ, გადავკვეთეთ ხეობის ზედა ბოლო, ავედით პირდაპირ მდებარე ბორცვზე და გავეშურეთ გამხმარი ფიქვის ხისაკენ. აქედან ჩასასვლელი ძალიან ციცაბო იყო; პატენტიანი მსუბუქი ტყავის ფეხსაცმელებში გამოწყობილმა ტახსილდარმა განმიცხადა, რომ აღარ შეეძლო გზის განგრძობა. სანამ იგი ფეხსაცმელებს გაიხდიდა, გორაზე მყოფმა ხალხმა იფიქრა, რომ მე დამავიწყდა პირობითი ნიშნის მიცემა, და თოფის სროლა და ყიჟინა ატეხა. მე კი ჯერ კიდევ ასი იარდით ვიქნებოდი დაშორებული გამოქვაბულიდან, და მხოლოდ იმის წყალობით, რომ მთებში დავიბადე და ფეხზე ისე მტკიცედ ვიდექი, როგორც ყოველი მთის ცხოველი, არ მოვიტეხე კისერი, დათქმულ ადგილზე რომ მივდიოდი.

ქვევით, მთის ფერდობზე რომ ჩავრბოდი, ხევის განაპირას შევამჩნიე ხშირი ბალახით დაფარული მოედანი; უფრო მოხერხებული ადგილის ძებნის დრო აღარ მქონდა და ჩავჯექი ბალახში ზურგშექცევით კლდისაკენ. ბალახი დაახლოებით ორი ფუტი სიმაღლისა იქნებოდა და დამჯდარს ნახევრად მფარავდა. თუ არ გავინძრეოდი, ვერ შემამჩნევდნენ. ჩემს წინ აღმართულ მთაზე მარეკები იყვნენ, ხოლო, გამოქვაბული, საიდანაც ველოდი ძუ ვეფხვის გამოჩენას, ჩემს უკან იყო, მარცხნივ.

მთაზე ატყდა შემზარავი ხმაური: თოფების სროლა, დოლების ბრახუნი და ასობით ადამიანის ყვირილი. როცა გნიასმა აპოგეას მიაღწია, დავინახე ძუ ვეფხვი, რომელიც გამოხტა

ბალახიან ფერდობზე ჩემგან მარჯვნივ, დაახლოებით სამასი იარდის მოშორებით. მან გაიარა მოკლე მანძილი და ტახსილდარმა, რომელიც ამ ხნის მანძილზე ფიჭვის ქვეშ იდგა, თავისი საფანტიანი თოფის ორივე ლულა დაცალა. ძუ ვეფხვი მკვეთრად მობრუნდა უკან და გაიქცა; შამბნარში რომ მიიმალა, მოვიგდე ბეჭზე თოფი და უიმედო გასროლა მივაყოლე.

ქედზე მყოფმა ხალხმა სამი გასროლა რომ გაიგონა, იფიქრა, ძუ ვეფხვი უკვე მოკლულიაო. დასცალეს თავიანთი თოფები და გაისმა საზეიმო ყიჟინა. სულგანაბული ვუგდებდი ყურს, ხომ არ ნიშნავდა ყვირილი მხეცის გამოჩენას მთის თხემზე, რომ მოულოდნელად, ჩემგან მარცხნივ, ბუჩქებიდან გამოხტა ძუ ვეფხვი, გადაახტა ნაკადულს და გაიქცა პირდაპირ ხევში.

500-ყალიბიანი თოფი, უკვამლო დენთიანი ვაზნით, მთაში ნორმალურ პირობებში ყოველთვის მიზანს აცილებს. როცა ძუ ვეფხვი მოულოდნელად შეჩერდა, მომეჩვენა, რომ მიზანს ავაცდინე. სინამდვილეში სწორად დავუმიზნე, მაგრამ ნიშანი ცოტა უკან ავიღე. ვეფხვმა თავი დახარა, ნახევრად შემობრუნდა ჩემსკენ და მომცა საშუალება მესროლა ბეჭში ოცდაათი იარდის მანძილზე. მეორე გასროლაზე ძუ ვეფხვი შეკრთა, მაგრამ განაგრძობდა დგომას ყურებაწკურული და კბილებდაღრეჭილი, მე კი თოფშემართული ვიჯექი და ვფიქრობდი, რა კარგი იქნებოდა, რომ იგი ახლა გატენილი ყოფილიყო. მაგრამ თოფი ცარიელი იყო და ვაზნებიც აღარ მქონდა; თან მხოლოდ სამი ვაზნა წამოვიღე, რადგან არ მეგონა, რომ ორჯერ მეტად მომიხდებოდა გასროლა, მესამე ვაზნა განსაკუთრებული შემთხვევისთვის გამოვიყოლე.

საბედნიეროდ, დაჭრილმა მხეცმა, რაღაც მიზეზის გამო, ვერ გაბედა თავდასხმა. იგი ნელა მიბრუნდა, გადავიდა ნაკადულზე, აჰყვა მიწაყრილს და გაჩერდა ციცაბო კლდიდან შვეულად გამოწეულ ვიწრო შვერილზე, დიდ ბრტყელ ქვასთან. აქ, ქვაზე პატარა ბუჩქი ამოსულიყო და შევნიშნე, რომ ძუ ვეფხვმა, შვერილზე ასვლის დროს, იგი გადასწია. ყოველგვარი სიფრთხილე უკუვაგდე და ტახსილდარს დავუყვირე თავისი თოფი მოეტანა. პასუხად, რაღაცას დიდხანს მიძახდა,

მაგრამ, ერთადერთი, რაც გავიგონე, იყო სიტყვა „ფუტი“. დავდე ჩემი თოფი, სირბილით დავეშვი ფერდობზე, დავტაცე ხელი ტახსილდარის თოფს და დაებრუნდი უკან.

ნაკადულს რომ მივუახლოვდი, ძუ ვეფხვი გამოვიდა ბუჩქებიდან კლდეზე ჩემს პირდაპირ. მისგან დაშორებული ვიქნებოდი ოცი იარდით, შევმართე თოფი, და ჩემდა საუბედუროდ, დავინახე, რომ მის სახაზინო ნაწილსა და ლულებს შორის დაახლოებით დუიმის სამი მერვედი მანძილი იქნებოდა. როცა ტახსილდარი ისროდა ორივე ლულიდან, თოფი არ ვამსკდარა, ვიმედოვნებდი, რომ იგი არც ახლა გასკდებოდა, მაგრამ თოფისწამლის აფეთქების შედეგად დაბრმავების საშიშროება მაინც მელოდა, თუმცა რისკზე წასვლა აუცილებელი იყო; მივაჩერდი სამიზნეს შემცვლელ მძივს და ვესროლე ვეფხვს ღია ხახაში. შესაძლებელია ავაცდინე, შესაძლებელია არც ეს თოფი ისროდა ცილინდრულ ტყვიებს ზუსტად ოცფუტიან დისტანციაზე. ყოველშემთხვევაში, ტყვია არ მოხვედრია ვეფხვს ხახაში, იგი გაერჭო მას მარჯვენა თათში (საიდანაც თითით ამოვიღე). საბედნიეროდ, ძუ ვეფხვი უკვე სულს ღაფავდა და თათში მოხვედრა საკმარისი იყო, რომ ადგილზევე შეძეჩერებია.

იმ მომენტიდან, რაც ვეფხვი გამოჩნდა და ცდილობდა ხევში გასვლას, მე დამავიწყდა მარეკები. მათი არსებობა მოულოდნელად მომაგონა საიდანღაც მაღლა მთიდან მოღწეულმა ხალხის ყვირილმა: „იგი აქაა, კლდეზე, გადმოაგდე იქიდან, რომ ნაკუწ-ნაკუწ დავგლიჯოთ“. ჯერ მე არ ვუჯერებდი ყურებს, რომ გავიგონე „ნაკუწ-ნაკუწ დავგლიჯოთო“, მაგრამ არ შევმცდარვარ, ახლა სხვა მარეკებმაც დაინახეს ძუ ვეფხვი და ატეხეს ყიჟინა მთის ფერდობებზე.

შვერილი, რომლითაც დაჭრილი მხეცი აბობღდა კლდეზე, საბედნიეროდ, მარეკების მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა, საკმაოდ ფართო იყო და არ მაძლევდა მიპარვის საშუალებას. კლდეზე ავედი და ვეფხვს თავზე დავადექი, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მხეცი მკვდარი იყო, ალარ მქონდა დრო გამომერკვია ეს ჩვეულებრივი გზით, მხეცისთვის ქვების დაშენით. მარეკები გამოვიდნენ ტყიდან და

თოფების, ნაჯახების, დაჟანგული შუბებისა და მახვილების ქნევით მოედვნენ გაშლილ არემარეს.

კლდესთან, რომლის სიმაღლე თორმეტი-თოთხმეტი ფუტი იქნებოდა, ხალხის მოძრაობა შეჩერდა, რადგან ძლიერი ნაკადებისაგან გაპრიალებულ კლდის ფერდობზე ხალხი შიშველ ფეხს ვერ იკიდებდა.

ხალხის მძვინვარება უბოროტესი მტრის დანახვაზე ყოველგვარ საზღვარს გასცდა. ამ ხალხს შორის არ იყო კაცი, რომ, ასე თუ ისე, ძუ ვეფხვს ზიანი არ მიეყენებიოს.

ვიღაც კაცი — იგი შეშლილი გეგონებოდათ და მოქმედებდა, როგორც წამქეზებელი — მახვილს იქნევდა და ყვიროდა: „ეს შაითანი ჩემი ცოლისა და ორი შვილის მკვლელია". როგორც ზოგჯერ ხალხში ხდება ხოლმე, აღტყინება ისევე მოულოდნელად დაცხრა, როგორც აინთო. ცოლისა და შვილების დამკარგავი ადამიანის პატივსაცემად უნდა ითქვას, რომ მან პირველმა დადო ძირს თავისი იარაღი, იგი მოვიდა კლდესთან და მითხრა: „ჭკუა დავკარგეთ, საიბ, მტერი რომ დავინახეთ, მაგრამ ახლა სიგიჟემ გაგვიარა და ვთხოვთ საიბსა და ტახსილდარს გვაპატიოს". ამოვიღე თოფიდან გამოუყენებელი ვაზნა, თოფი დავადე ვეფხვს, ჩამოვეკიდე ხელებზე და იქ მყოფთა დახმარებით ჩამოვედი კლდიდან. ხალხს ვუთხარი, როგორ ასულიყვნენ კლდეზე და მკვდარი მხეცი იქიდან გადმოეტანათ გაშლილ ადგილას. აქ შეიძლებოდა მოგროვილიყვნენ და ენახათ ვეფხვი.

როცა ძუ ვეფხვი კლდეზე იდგა და შემომხედა, შევამჩნიე, რომ ხახაში ყველაფერი წესრიგზე არ ჰქონდა. ახლა კი დავინახე მხეცის ორივე ყბის მარჯვენა მხარეზე ჩამტვრეული ეშვები. მასთან ზედა ყბაზე — ნახევრად, ხოლო ქვედაზე — ბოლიანად ძვლამდე იყო ჩამტვრეული. კბილების დაზიანებაა ტყვიით მიყენებული ჭრილობის შედეგი იყო და იგი არ აძლევდა საშუალებას მოეკლა თავისი ბუნებრივი ნადავლი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ძუ ვეფხვი კაციჭამია გახდა.

ხალხი მეოედრეობდა არ გამეტყავებია ვეფხვი ადგილზე და მთხოვდა ნებართვას, მზის ჩასვლამდე შემოგვეტარებია მხეცი ყველა სოფელში. იმათი ცოლები და ბავშვები მხო-

ლოდ მაშინ დარწმუნდებოდნენ საშინელი მტრის სიკვდილში, როცა ამას თავისი თვალით დაინახავდნენ.

ორი ნორჩი ხე მოვჭერით და მაგრად მივაბით მკვდარი ვეფხვი ჩალმებით, ქამრებითა და თეძოზე შემოსახვევებით. როცა ყველაფერი მზად იყო, ჯალამბარი ასწიეს და დავიძარით ციცაბო მთის კალთის ძირისაკენ. ხალხმა არჩია ვეფხვი აეტანათ ზევით, გორაზე, რომლის მოპირდაპირე მხარეს განლაგებული იყო სოფლები, და არ წასულიყო ხშირი ტყით დაფარული მთის ფერდობით, სადაც პირუტყვის შემოღობილი ბაკი იყო. სრულიად მარტივად ხალხისაგან ორი ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდა: ყოველ უკანა კაცს მაგრად ეკიდა ხელი წინ მიმავლის ქამარზე ან ტანსაცმლის სხვა ნაწილზე. როცა დავრწმუნდი, რომ ვეფხვის გადასატანად ხალხი საკმარისი იყო, ისინი გარს შემოერტყნენ ჯალამბარს, რათა საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდნენ ტვირთმზიდავებს და მათი დასაყრდენიც ყოფილიყვნენ. მთელი პროცესია დაიძრა ზევით მთისაკენ.

ეს სვლა მომაგონებდა ჭიანჭველების მიერ რაიმე დაბრკოლებაზე ხოჭოს გადატანას. მთავარი ძალების უკან მიდიოდა არიერგარდი ტახსილდარის ხელმძღვანელობით. ადამიანთა ცოცხალი ჯაჭვი რომ გაწყვეტილიყო ათასი ფუტის სიმაღლის აღმართზე, უბედური შემთხვევა გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ ჯაჭვი არ გამწყდარა. მცხოვრებლები გამოვიდნენ თხემზე და სიმღერით გაემართნენ აღმოსავლეთისკენ, ჩვენ კი ტახსილდართან ერთად გადავუხვიეთ დასავლეთისკენ და წავედით ჩამპავატში.

ჩვენი გზა თხემს მიჰყვებოდა, ბუჩქების ახლო, რომლებსაც ეკლებზე ქალიშვილის კულულები შერჩენოდა. შევჩერდი და უკანასკნელად მოვავლე თვალი მთების ამფითეატრს, სადაც ცოტა ხნის წინათ გათამაშდა ტრაგიკული სცენა.

მთიდან ქვევით გზაზე მიმავალმა მარეკებმა ნახეს უბედური ქალიშვილის თავის ქალა. კვამლის ვიწრო სვეტი, რომელიც მსუბუქ ჰაერში ადიოდა ხევიდან, მიუთითებდა, რომ იმ ადგილას, სადაც მხეცი იქნა მოკლული, მშობლები მიც-

ვალებულს, ჩამპავატის კაციჭამიას უკანასკნელ მსხვერპლს, წესს უგებდნენ.

ნასადილევს ტახსილდარის ეზოდან დავინახე დიდი მსვლელობა ჩირაღდნებით: პროცესია ზიგზაგებით ჩადიოდა მთის კალთაზე. ხალხი მღეროდა მთიელთა სიმღერას, რომელიც ბუნების მყუდროებას არღვევდა. ერთი საათის შემდეგ, ძუ ვეფხვი ჩემს ფეხებთან დააგდეს.

მშიდროდ გარშემორტყმულ ხალხში ვეფხვის გატყავება ძნელი იყო. სამუშაო რომ დამეჩქარებია, თავი და თათები მოვაჭერი იმ იმედით, რომ მოგვიანებით დავამუშავებდი. ვეფხვის ლეშს პოლიციელები ყარაულობდნენ. მეორე დღეს, როცა შემოიკრიბა მთელი არემარის მოსახლეობა, ვეფხვის კუდი და თათები ნაკუწ-ნაკუწ დავჭერით და გავანაწილეთ. კუდისა და ძვლების ეს ნაწილები გამოყენებულ იქნა ყელსაბამად, რომელსაც მთიელთა ბავშვები ატარებენ ყელზე. სხვა თილისმებზე ვეფხვის ნაჭრების მიმატებამ ყელსაბამის მატარებელს უნდა შემატოს გამბედაობა და თანაც უზრუნველჰყოს მისი უშიშროება გარეული მხეცების თავდასხმისაგან.

ქალიშვილის თითები, რომლებიც მთლიანად გადაეყლაპა ვეფხვს — ქილაში დასპირტული გამომიგზავნა ტახსილდარმა. მე ის ნაინი-ტალის ტბაში ჩავუშვი, ნანდადევის ტაძრის მახლობლად.

სანამ ვეფხვს გავატყავებდი, ტახსილდარი თავისი მსახურებით, მამასახლისების, მეზობელი სოფლების საპატიო მოხუცებისა და ჩამპავატის ბაზრის ვაჭრების მონაწილეობით, გართული იყო მეორე დღისათვის დიდი საზეიმო პროგრამის შედგენით. შუაღამისას ხალხის უკანასკნელი დიდი ჯგუფი გზას გაუდგა სიხარულის ყიჟინით, რადგან უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე შეკრული გზები და ბილიკები სოფლებს შორის ხელახლა გათავისუფლდა. დამშვიდობების წინ თამბაქო გავაბოლე და ვაცნობე ტახსილდარს, რომ აღარ შემიძლია მეტი დარჩენა. მასვე დავავალე გაეწია ჩემი მაგივრობა ზეიმზე და გადავწყვიტე ჩემი ხალხით გავდგომოდი გზას, იმ ვარაუდით, რომ სამოცდაათი მილი ორ დღეში გაგვევლო.

განთიადისას ვეფხვის ტყავი უნაგირზე მივაბი და დავწინაურდი, რათა მომესწრო დები-დხურაში ტყავის გამოყვანა. განზრახული მქონდა იქ ღამის გათევა. როდესაც სოფელ პალის ახლო ბორცვზე მდგარ ქოხს ჩავუარე, ვიფიქრე, განსაკუთრებულ სიამოვნებას მოვგვრი დამუნჯებულ ქალს, თუ ვაცნობებ, რომ მისი დის სისხლი აღებულია-თქო. ცხენი საბალახოდ დავტოვე (იგი დაიბადა თოვლიან ზოლთან და ჭამდა ყველაფერს მუხის რტოებიდან ჭინჭრამდე). ავედი ბორცვზე, ქოხთან, ვეფხვის ტყავი ქოხის კარის წინ გავშალე და თავქვეშ ქვა ამოვუდე. ქოხში მცხოვრები ბავშვები ამ სანახაობას განცვიფრებული მიჩერებოდნენ. ჩემი ხმა რომ გაიგონა, კარებში დედა გამოჩნდა.

მე ვერ გავბედავ გამოვედევნო შოკისა და მის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე თეორიულ მსჯელობას, რადგან არაფერი გამეგება ამ საკითხისა. ყველაფერი, რაც ვიცი, ეს ისაა, რომ ქალი, რომელიც დამუნჯდა თორმეტი თვის განმავლობაში და ოთხი დღის წინ კი ცდილობდა პასუხი გაეცა ჩემს შეკითხვებზე, ახლა გავარდა ქოხიდან გზაზე, — ქმარსა და მეზობლებს მოუხმობდა, მოსულიყვნენ და დაენახათ, რა მოიტანა საიბმა. მეტყველების ასე მოულოდნელმა აღდგენამ, ძალიან დააფიქრა ბავშვები, რომლებიც თვალს ვერ აშორებდნენ დედის სახეს.

სანამ ჩაი მზადდებოდა, სოფლის მცხოვრებლებს ვუამბე, როგორ მოვკალი კაციჭამია ვეფხვი. ერთი საათის შემდეგ ისევ გავუდექით გზას. მთელ ნახევარ მილზე გამომაცილა პალის მადლიერმა გლეხობამ.

მეორე დილას ავაზასთან შეხვედრა მომიხდა. ამ შეხვედრას იმიტომ ვიგონებ, რომ მან შეაფერხა ჩემი წასვლა დები-დხურადან, ჩემგან და ჩემი პატარა ცხენისაგან დამატებითი ენერგიის ხარჯვა მოითხოვა. საბედნიეროდ, ჩემს პონის ისეთივე მტკიცე ფეხები ჰქონდა, როგორიც ტყავი. ციცაბო აღმართებზე კუდში და უნაგირზე ხელჩავლებულმა, გაშლილ ვაკეზე და დაღმართებზე მის უკან მორბენალმა, შევძელი ნაინი-ტალამდე 45 მილის გავლა დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ექვს საათამდე.

რამდენიმე თვის შემდეგ, დურბარზე * ნაინი-ტალში შეერთებული პროვინციების გუბერნატორმა სერ ჯონ ხიუიტმა ჩამპავატის ტახსილდარი დაასაჩუქრა თოფით, კაცი კი, რომელიც მე მახლდა ქალიშვილის ძებნის დროს — მშვენიერი სანადირო დანით, იარაღზე ამოკვეთილი იყო სათანადო წარწერები, ორივე სახლის საოჯახო რელიკვიებში მან საპატიო ადგილი დაიკავა.

რობინი

მე არასოდეს არ მინახავს მისი მშობლები. კაცი, ვისგანაც იგი ვიყიდე, მეუბნებოდა, რომ ესაა სპანიელი, სახელად პინჩა და მამამისი იყო ფრინველზე მონადირე მშვენიერი ძაღლი.

კაცმა რომ თქვას, ლეკვი არ მჭირდებოდა, მაგრამ, შემთხვევით, ჩემი იქ ყოფნისას ერთ ჩემს მეგობარს ძალიან ბინძური კალათით მოუყვანეს ერთი ძაღლის ნაყარი შვიდი ლეკვი. პინჩა მათ შორის ყველაზე უმცროსი და ყველაზე გამხდარი იყო; აშკარად ჩანდა, რომ იგი მიახლოვებოდა თავისი არსებობის დასასრულს. ლეკვმა მიატოვა თავისი უფრო ნაკლებ უბედური და-ძმები, შემომიარა გარშემო და შემდეგ ჩემ ფეხებთან მოიკალათა. როცა ის ავიყვანე და უბეში ჩავისვი — ძალზე სუსხიანი დილა იყო, — ლეკვმა მადლობის ნიშნად, სახეზე ენა ამისვა, და მე ვცადე არ მეგრძნობინებინა მისოვის, რომ მაინცადამაინც დიდი სიამოვნება არ მიგრძვნია.

მაშინ ის სამი თვისა იქნებოდა და თხუთმეტ რუპიად ვიყიდე. ახლა ის ცამეტი წლისაა და მთელი ინდოეთის ოქრო არ ეყოფა, რომ გავყიდო.

როდესაც ლეკვი სახლში მოვიყვანე და შეეჩვია კარგ საჭმელს, თბილ წყალსა და საპონს, გამოვუცვალეთ სახელი პინჩა და რობინი დავარქვით, ბებერი ერთგული კოლის სამახსოვროდ, რომელმაც სიკვდილს გადაგვარჩინა მე (მაშინ

---

* დურბარი — ოფიციალური მიღება.

ექვსი წლისა ვიყავი) და ჩემი ძმა (ოთხი წლისა იქნებოდა) გააფთრებული დათვის თავდასხმისაგან.

რობინი ისე გრძნობდა გემრიელ საჭმელს, როგორც გვალვიანი მიწა წვიმას. რამდენიმე კვირის შემდეგ ერთ დილას იგი თან წავიყვანე. მინდოდა მიჩვეოდა ის თოფის გასროლის ხმას. ოდნავ განზე გავდექი და ორჯერ გავისროლე თოფი.

ჩვენი ეზოს განაპირას ეკალნარი იყო მოდებული. ამ ეკალნარს რომ შემოვუარე, იქიდან ფარშევანგი აფრინდა. დამავიწყდა, რომ უკან ფეხდაფეხ რობინი მომდევდა და თოფის გასროლით ჩამოვაგდე ფრინველი. ფარშევანგი ჩავარდა ბუჩქნარში და მას მიჰყვა რობინიც. ბუჩქნარი ხშირი იყო და ეკლიანი. შიგ შესვლა შეუძლებელი იყო. შემოვუარე მას და გავედი დიდ მდელოზე, სადაც უზარმაზარი ხეები ხარობდა. მე მქონდა კინოაპარატი და ერთადერთი თავისებური სურათის გადაღების შემთხვევა მომეცა. ფრთამოტეხილმა ბებერმა დედალმა ფარშევანგმა, რომელსაც კისერზე ბუმბული გაცლოდა, ტევრს მიაშურა და თან გაითრია კუდში კბილებჩაკლებული რობინი. მე მივირბინე, და მოუფიქრებლად ვსტაცე ფრინველს ხელი კისერში და ავწიე ზევით. მან სწრაფად მისცხო ძაღლს ორივე ფეხი და რობინი ყირამალა გადატრიალდა. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ იგი უკვე ფეხზე იყო, დახტოდა მკვდარი ფრინველის გარშემო და დრუნჩს ხან თავში და ხან კუდში ურტყამდა.

პირველი გაკვეთილისათვის საკმარისი იყო. სახლში რომ დავბრუნდით, ძნელი სათქმელია, თუ ჩვენ ორში ვის უფრო მოსწონდა თავი: რობინს — თავისი პირველი ნანადირევით, თუ მე, რომელმაც რობინი უმსგავსო კალათიდან გადავარჩინე. ნადირობის სეზონი უკვე იწურებოდა და რობინს აღარ ჭირდებოდა იმაზე უფრო მსხვილი ფრინველის ძებნა, როგორიც იყო მწყერი, გვრიტი და ზოგჯერ — კაკაბი.

ზაფხულს მთებში ვატარებდით. ერთხელ, ნოემბრის თვეში, ვაკეში ჩვენი ყოველწლიური გადასახლების დროს თხუთმეტმილიანი გზის ბოლოში, დიდ ჯოგს დაცილებული

ლანგური* ფერდობზე გაიქცა და გზაზე რამდენიმე დუიმის მანძილზე ცხვირწინ გადაურბინა რობინს. ძაღლმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს სტევენას და დაედევნა ლანგურს; ლანგური ხეზე აძვრა და უშველა თავს. ადგილი გაშლილი იყო, შორი-შორ გაფანტული ხეებით. ოცდაათ-ორმოცი იარდის მანძილზე ციცაბო დაღმართი თავდებოდა, მერე დავაკება იყო, შემდეგ, ისევ მკვეთრად ეშვებოდა ქვევით მდებარე ხევში. ამ სწორი მოედნის მარჯვნივ, წვიმის ღრმა ნაღვარევის გარშემო რამდენიმე ბუჩქი ხარობდა. რობინი გაბედულად შევიდა ამ ბუჩქნარში და უმალვე გამოხტა იქიდან. იგი ყურებდაწკურული და კუდჩამოშვებული მორბოდა, რათა ეხსნა თავისი ძვირფასი სიცოცხლე ვეებერთელა ავაზასაგან, რომელიც მოსდევდა მას და ყოველ ნახტომზე მათ შორის მანძილი მცირდებოდა. მე იარაღი თან არ მქონდა და ჩემ მხრივ დახმარება მხოლოდ მთელი ძალღონით ყვირილში გამოიხატებოდა. ჩემ ყვირილს შეუერთდა ჩემი ბარგის მზიდველთა ხმებიც. „კონცერტმა“ უმაღლეს წერტილს მიაღწია, როცა ასმა და კიდევ მეტმა ლანგურმა სხვადასხვა ხმაზე დაიწყო შემაშფოთებელი ღრიანცელი. უთანაბრო თავგანწირული დევნა ოცდახუთ-ოცდაათ იარდზე გრძელდებოდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა ავაზას შეეძლო პირი ეტაცა რობინისათვის, მდევარმა გვერდზე გაუხვია და ხევში მიიმალა. რობინმა კი შემოუარა მთის ფერდობს და შემოგვიერთდა გზაში. რობინის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და, ალბათ, ამ საბედისწერო შემთხვევამ დაარწმუნა იგი, რომ სახიფათოა ლანგურების დევნა, რომ მათი შეშფოთებული ყვირილი მოასწავებს ავაზას ახლო ყოფნას.

გაზაფხულზე კვლავ განვაგრძე რობინის შეწყვეტილი წვრთნა, თუმცა მალე ნათელი გახდა, რომ ადრეულ ასაკში მოუვლელობამ და ცუდმა კვებამ, ძლიერ იმოქმედა მის გულზე: იგი მალე იღლებოდა. მონადირე ძაღლისთვის არაფერი ისე აუტანელი არ არის, როგორც სახლში დარჩენა, როცა მისი პატრონი სანადიროდ მიდის. რადგან რობინი ვერ ნაღი-

* ლანგური — პატარა მაიმუნი — ინდოეთის ბევრ ადგილში ითვლება წმინდა ცხოველად და სასტიკადაა დაცული.

რობდა ფრინველზე, ამიტომ დავიწყე მისი წაყვანა მხეცებზე სანადიროდ. ის ისე სწრაფად შეეგუა ამ სპორტს, როგორც ხვი წყალს და მალე ჩემს მიერ ჩატარებული ყველა თოფიანი ექსკურსიის მონაწილე გახდა.

ჩვენ მასთან ასე ვიქცეოდით. გამოვდიოდით დილაადრიან და ვეძებდით ვეფხვის ან ავაზას ნაკვალევს და შემდეგ მივყვებოდით ამ კვალს. როცა თათების ანაბეჭდი ჩანდა, კვალს მივყვებოდი მე, და როცა მხეცი ჯუნგლებში შეიჭრებოდა, კვალს მიყვებოდა რობინი. ამგვარად ხშირად მთელი მილის მანძილზე მივდევდით ხოლმე მხეცს, სანამ დავეწეოდით. როდესაც მხეცს ფეხდაფეხ მისდევ და ზეზე მდგომი ესვრი თოფს ადგილიდან, უფრო ადვილია ზუსტად გასროლა, ვიდრე სროლა ზევიდან, ხეზე მოწყობილი სახუნდარიდან ან სპილოს ზურგიდან. ჯერ ერთი, დაჭრილი მხეცის ფეხდაფეხ დევნის დროს შემთხვევითი გასროლა თითქმის გამორიცხულია; მეორეც, ასე უფრო ადვილია სასიკვდილო ადგილებზე ტყვიის მოხვედრება, ვიდრე ზევიდან, როდესაც სროლა პირდაპირ გიხდება. მაინც ყველაზე უფრო საგულდაგულო სროლის დროსაც კი მიხდებოდა ზოგჯერ ვეფხვის ან ავაზას მხოლოდ მსუბუქად დაჭრა, და შემდეგ ისინი მანამ მძვინვარებდნენ, სანამ მეორე ან მესამე ტყვიით ბოლოს არ მოვუღებდი. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში მხოლოდ ერთხელ მიმატოვა რობინმა. როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით მოკლე ხნით დაშორების შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ გაუგებრობა ამოწურულია და აღარ ღირს მისი მოგონება. ახლა კი, ჩვენ, ორივე ასაკში შეეედით და, ალბათ, ნაკლებ შთაბეჭდილებიანი ვიყავით. ასეა თუ ისე, რობინმა უკვე გადააჭარბა ძაღლების მზეგრძელობის ჩვეულებრივ ზღვარს და ახლა, როცა ამას ვწერ, ის წევს ქვეშაგებზე, რომლიდანაც ალბათ ვეღარც ადგება, — რობინმა გონიერი გამოხედვით და კუდის ქნევით ნება დამრთო მოთხრობა გამეგრძელებია.

ერთხელ, ნადირობის დროს, მე მანამ ვერ შევამჩნიე ავაზა, სანამ იგი არ გამოვიდა ხშირი ბუჩქნარიდან, არ გაჩერდა და არ მომაცქერდა. ეს იყო უზარმაზარი ხვადი, რომელიც მშვენიერ მბზინავ ქურქში იყო გახვეული; წინწკლები ისე გამო-

ერჩეოდა, როგორც მდიდრული ხავერდის ფონზე დახატული ნაყში. საშუალება მომეცა თხუთმეტი იარდის დისტანციაზე მესროლა მხეცისათვის მიზანაუცდენელი თოფი. ავაზა მაღლა შეხტა, დაეცა, შემდეგ მიბრუნდა და გაიქცა უკან, იმავე ხშირ ბუჩქნარში, საიდანაც გამოჩნდა გასროლის წინ. ისმოდა როგორი ხმაურით მიიწევდა იგი შამბნარში — ორმოც და ორმოცდაათ იარდზე, მაგრამ შემდეგ ხმაური მოულოდნელად შეწყდა, რასაც შეიძლება ჰქონდეს ორი ახსნა. ავაზა ან მკვდარი დაეცა. ანდა გაიარა ორმოცდაათი იარდი და გავიდა ღია ადგილას.

ამ დღეს რობინთან ერთად შორს შევიჭერით. მზე საცაა ჩავიდოდა, ჩვენ კი ოთხი მილით ვიყავით დაშორებული სახლიდან. ეს ჯუნგლები უდაბური იყო.

ჩვენ მოვუხვიეთ ჩრდილოეთისაკენ და მოვედით სახლში. ადგილის მონიშვნა, სადაც ავაზა დავტოვეთ, არ იყო აუცილებელი: მე თითქმის ნახევარი საუკუნე დღე და ზოგჯერ ღამეებიც დავეხეტებოდი ამ ჯუნგლებში და ყოველ ადგილს თვალახვეულიც კი მივაგნებდი.

მეორე დღეს, როგორც კი გათენდა, მე და რობინი მოვედით იმ ადგილას, სადაც თოფი გავისროლე. რობინი წინ მიდიოდა და ძალიან ფრთხილად ათვალიერებდა არემარეს, შემდეგ ასწია თავი და შეისუნთქა ჰაერი, მიუახლოვდა ბუჩქნარის კიდეს, რომლის ახლო წაქცეულმა ავაზამ დატოვა სისხლის დიდი ლაქები. მე არ მჭირდებოდა მეთვალიერებინა სისხლიანი ნაკვალევი, რათა დაჭრის ადგილი განმესაზღვრა. ვესროლე მოკლე მანძილზე და დავინახე სად მოხვდა ტყვია, ხოლო გასროლის შემდეგ მოპირდაპირე მხარეზე დამდგარი მტვრის კორიანტელი გვიჩვენებდა, რომ ტყვია მეორე მხარეს გავიდა.

ნაკვალევს უნდა გავყოლოდით. მაგრამ სრულ სიბნელეში ოთხი მილის გავლის შემდეგ საჭირო იყო ცოტა შესვენება: იგი სასარგებლო იყო იმიტომაც, რომ საცაა მზე ამოვიდოდა და ამ გარიჟრაჟზე ჯუნგლების ყველა ბინადარი ფეხზე იყო. სანამ გზას განვაგრძობდით, საინტერესო იყო მოგვესმინა, თუ რა შეეძლოთ მათ ეცნობებინათ ავაზას შესახებ.

მოვნახე მშრალი ადგილი ხის ქვეშ, სადაც ცვარს ვერ შეეღწია, რობინი ჩემს ფეხებთან დაწვა. ის იყო სიგარეტი მოვწიე, რომ მოულოდნელად დაიყვირა ფურირემმა-ჩიტალ-მა*, მას მოჰყვა მეორე, შემდეგ, დაახლოებით სამოც იარდზე ჩვენგან მარცხნივ დაიყვირა მესამემ. რობინი წამოხტა. შე-მობრუნდა ჩემსკენ და შემომხედა. ჩემი მზერა რომ დაიჭირა, შებრუნდა გვერდზე, საიდანაც ირმის ხმა მოისმოდა. იმ დღი-დან, რაც რობინმა პირველად გაიგონა ლანგურის შეშფოთე-ბული ხმა, უკვე დიდი გამოცდილება მიიღო და ჩიტალის ყვირილის გაგონებაზე მანაც, როგორც სხვა ფრინველმა და ნადირმა, კარგად იცოდა, რომ ირემი აფრთხილებს ჯუნგლის ბინადართ ავაზას მოახლოების შესახებ.

ირმის ყვირილი ნამდვილად მოასწავებდა იმას, რომ იგი ავაზას ხედავს. კიდევ ცოტა მოთმინება და შეგვეძლო გაგება, ცოცხალია თუ არა ავაზა. ჩიტალები ხუთ წუთს ყვიროდნენ, შემდეგ მიწყნარდნენ, უეცრად ისევ დაიყვირეს, შემდეგ გა-ისმოდა მათი ჩვეულებრივი ხმები. მაშასადამე, ავაზა ცოცხა-ლი იყო, გადაინაცელა და ამის შემდეგ, ყველაფერი მიწყ-ნარდა. ჩვენ დაგვრჩენოდა გამოგვერკვია ავაზას ადგილსამ-ყოფელი. ამ ცნობების მიღება შეიძლებოდა, თუ ირმების მოქმედებას დავაკვირდებოდით.

ქარის მიმართულებით ორმოცდაათი იარდის გავლის შემ-დეგ ჩვენ შევედით ხშირ შამბნარში ირმების კვალდაკვალ. ამოცანა არ იყო ძნელი იმიტომ, რომ რობინი დაძვრება ჯუხ-გლებში კატასავით ჩუმად. ხანგრძლივმა პრაქტიკამ კი შეც მიმაჩვია ჯუნგლებში ფრთხილად სიარულს.

ირმები მხოლოდ რამდენიმე ფუტის მანძილზე მიახლოე-ბისას დავინახეთ. ისინი გაშლილ ადგილას იდგნენ და იხედე-ბოდნენ მხოლოდ ერთი მიმართულებით — ჩრდილოეთისაკენ, სწორედ იქით, სადაც ბუჩქებში ხმაური შეწყდა გუშინ.

აქამდე ირმები ჩვენთვის სასარგებლო იყვნენ; ისინი გვა-მცნობდნენ, რომ ავაზა მდელოზე იწვა და რომ იგი ცოცხა-ლი იყო; იმათ გვიჩვენეს, თუ რა მიმართულებით წავიდა მხეცი. ამ ცნობების მისაღებად თითქმის ერთი საათი დაგვ-

* ჩიტალი — ხალებიანი ირემი, აკსისი.

ჭირდა. მაგრამ ირმებს რომ შევემჩნიეთ ხმაურს ატეხდნენ და ერთ წამში გააქარწყლებდნენ იმ სიკეთეს, რომელიც ადრე გვიწყალობეს.

იმას ვფიქრობდი, ხომ არ ავჯობებდა უკან დავბრუნებულიყავით ჩვენს ნაკვალევზე, და შემდეგ გვესინჯა მყვირალ ირმებს უკან მივყოლოდით, მათვე ამოვფარებოდით და გვეცადა სროლის ხელსაყრელი შემთხვევისათვის ან მიგვებაძა ავაზას ხმისათვის, და დაგვეძრა ისინი ადგილიდან. მაგრამ ამ დროს უცბად ერთმა დედა ირემმა თავი მოაბრუნა და სახეში შემომხედა. შემდეგ შეშფოთებული ყვირილით გაიქცა. ამ დროს მე მხოლოდ ხუთი იარდი მქონდა დარჩენილი გაშლილ ადგილამდე, მაგრამ რაც უნდა მეჩქარა, ავაზა უფრო სწრაფად გარბოდა. მე მხოლოდ ვხედავდი ბუჩქებში მისი ტანის უკანა ნაწილს და კუდს, რომლებიც ხან გამოჩნდებოდა, ხან მიიმალებოდა. ირემმა არ მომცა თოფის სროლის საშუალება. საჭირო იყო ავაზას ისევ მოძებნა და დევნა — ეს კი რობინის ამოცანას შეადგენდა.

მე ვიდექი მდელოზე რამდენიმე წუთს, რათა ავაზასათვის დაწოლის საშუალება მიმეცა და ჩვენამდე მოეღწია მის სუნს. შემდეგ რობინი გავგზავნე დასავლეთის მხარეს ჩრდილოეთიდან მქროლავი ქარის მიმართულებით. სამოცი თუ სამოცდაათი იარდი გავიარეთ. რობინი შეჩერდა და მიაბრუნა სახე ქარის წინააღმდეგ. ჯუნგლებში რობინი საოცრად ფლობს თავის ნერვებს, მაგრამ არ შეუძლია დაძლიოს უკანა ფეხების მყესების ცახცახი, როდესაც ავაზას ხედავს ან ამ მხეცის ძლიერ სუნს გრძნობს. ახლაც ეს მყესები უცახცახებდა და ბალანი ყალყზე უდგებოდა.

გასული წლის ზაფხულში ტყის ამ ნაწილში ძლიერმა ციკლონმა გადაიარა და უამრავი ხე წააქცია. ჩვენგან ორმოცი იარდის მოშორებით ერთი ამ წაქცეული ხის მიმართულებით იყურებოდა ახლა რობინი. ხის ტოტები ჩვენსკენ იყო მიმართული, ხოლო წაქცეული ხის ორივე მხარეს პატარა ბუჩქები და დაბალი ბალახი ხარობდა.

ხხვა ვითარებაში რობინთან ერთად პირდაპირ წინ წავიდოდი, მაგრამ ამ შემთხვევაში სიფრთხილის ზედმეტი ზომე-

ბი ურიგო არ იქნებოდა. საქმე გვქონდა არა მარტო მხეცთან, რომელიც დაჭრის დროს ჰკარგავს ყოველგვარ შიშს ადამიანის წინაშე, არამედ ისეთთან, რომელიც თხუთმეტი საათის განმავლობაში ბოღმითა და ბრაზით იყო აღვსილი და რომლის ბრძოლის ინსტინქტი უკიდურესობამდე იყო მისული.

ამ დილას, წამოსვლისას, თან წამოვიღე 275 ყალიბის თოფი, ამით ვსარგებლობდი გუშინ საღამოსაც. ეს კარგი თოფია, როცა მრავალი მილის მანძილზე ათრევ. მაგრამ ის არ არის ისეთი იარაღი, რომელიც დაჭრილ ავაზასთან გამოდგება. აი, რატომ არ წავედი პირდაპირ და წავედი წაქცეული ხის გასწვრივ, მისგან ორმოცდაათი იარდის მოშორებით.

რობინი მიდიოდა წინ — ჩვენ მივდევდით ფეხდაფეხ ამ ხაზის გასწვრივ. როდესაც გავცდით ტოტებს და გავუსწორდით ხის შტამბის ფესვზედა ნაწილს, რობინი შეჩერდა. დავაკვირდი და დავინახე საგანი, რომელმაც რობინის ყურადღება მიიპყრო. ეს იყო ავაზას კუდის ბოლო, რომელიც ხან აიწეოდა და ხან დაიწეოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მხეცი ემზადებოდა დასასხმელად. მე მხოლოდ მარჯვნივ შემობრუნება და თოფის მოგდება მოვასწარი, რომ ავაზა გადმოევლო ჩვენს შუაში მდგარ ბუჩქს და ჩვენსკენ გამოქანდა. მოკვლის ან ოდნავ დაჭრის არავითარი იმედი არ მქონდა. ტყვიამ, რომელიც უფრო იმიტომ გავისროლე, რომ მეიძულებინა ავაზა გვერდზე გადამხტარიყო, გაუხვრიტა მარცხენა ბარძაყის რბილი ადგილი. უფრო გასროლის ხმამ, ვიდრე ამ ჭრილობამ, აიძულა ავაზა ცოტა გვერდზე გამხტარიყო, — იგი არ გამკარებია, ისე ჩამიქროლა მარჯვენა ბეჭთან და უკან ბუჩქებში მიიმალა.

რობინი არ მომცილებია. მასთან ერთად ვათვალიერებდი ადგილს, სადაც ავაზამ გაიარა. ბევრი სისხლი იყო დაქცეული, მაგრამ ვერ ვიტყვი ძველი ჭრილობიდან სდიოდა იგი, თუ ეს იყო ჩემი უკანასკნელი გასროლის შედეგი. ყოველ შემთხვევაში რობინისათვის ეს სულერთი იყო: იგი უყოყმანოდ გაჰყვა ნაკვალევს. ძნელად გასავლელი ადგილები უკან მოვიტოვეთ და შევედით ჯაგებში, რომლებიც მუხლებამდე მწვდებოდა. ასე ვიარეთ ორასი იარდი, სანამ ჩემს წინ პირ-

დაპირ ავაზა არ დავინახეთ. თოფის დამიზნება ვერ მოვასწარი, რომ გაქრა ბუჩქებში და ისევ მიიმალა. ეს ბუჩქი მიწაზე მოფენილი ტოტებით საკმაოდ მოზრდილი იყო და არათუ ფარავდა ავაზას, არამედ მთელ რიგ უპირატესობას აძლევდა ახალი თავდასხმისათვის.

ჩემი იარაღით შემდგომი დევნა უაზრობა იყო. დავბრუნდით სახლში. მეორე დილას, ისევ ადგილზე ვიყავით. რობინი ვულისფანცქალით ელოდა ჩვენს გამოსვლას, ყურადღებას არ აქცევდა საინტერესო სუნს ჯუნგლებში, და რაც შეიძლებოდა მაიძულებდა სწრაფად გამევლო მთელი ეს ოთხმილიანი გზა.

ამჯერად დიდი ყალიბის თოფით შევიარაღდი და ამიტომ თავს უფრო მტკიცედ ვგრძნობდი, ვიდრე გუშინ. ბუჩქიდან რამდენიმე ასეული იარდის დაშორებით გავუშვი წინ რობინი, რადგან ვიცოდი, თუ რამდენად საშიშია თავის დაიმედება, რომ დაჭრილი მხეცი სწორედ იქ იმყოფება, სადაც იგი დატოვე რამდენიმე საათის წინ. მახსენდება ერთი უბედური შემთხვევა.

ჩემმა ნაცნობმა მონადირემ ვეფხვი დაჭრა ნაშუადღევს და ხევში სისხლიან ნაკვალევს რამდენიმე მილზე გაჰყვა. მეორე დილას რამდენიმე კაცის თანხლებით, — რომელთა შორის ერთს მისი გატენილი თოფი მიჰქონდა და მეგზურობდა კიდეც — გადაწყვიტა წასულიყო გუშინდელი ნაკვალევით იმ ადგილიდან, სადაც გუშინ დატოვა მხეცი. დაახლოებით ერთი მილის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ვეფხვი დატოვეს წინადღეს, მეგზური, რომელიც, სხვათაშორის, ადგილობრივი შიკარიც იყო, წააწყდა დაჭრილ ვეფხვს და გახდა მისი მსხვერპლი. ალყის დანარჩენმა მონაწილეებმა კი გაქცევით უშველეს თავს.

მე ზუსტად დავიმახსოვრე ბუჩქი და გავგზავნე რობინი პირდაპირ, მისგან რამდენიმე იარდის მოშორებით ქარის მხარეზე. რობინმა იცოდა ყველაფერი, რისი ცოდნაც აუცილებელი იყო. მისი ძებნის მეთოდი იყო ქარის გასწვრივ სიარული. ჩვენ კიდევ გავიარეთ ცოტა და რამდენიმე იარდით ვიყავით დაშორებული ბუჩქიდან, რომ რობინი ადგა, შებ-

რუნდა ქარის საწინააღმდეგო მხარეს და მანიშნა, რომ ავაზას სიახლოვეს გრძნობდა. გუშინდელივით, ჩვენ ვიდექით წაქცეული ხის წინ. იგი ეგდო ჯაგნარში, სადაც ავაზამ გაიარა ჩვენზე თავდასხმის შემდეგ. წაქცეული ხიდან ჩვენს მხარეს ადგილი გაშლილი იყო, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს ხშირი ბუჩქნარი წელამდე მწვდებოდა. რობინს ვუბრძანე წასულიყო წინანდელი მიმართულებით; მეც მასთან ერთად ჩავუარე გუშინდელ ბუჩქს (მას არ გამოუწვევია რობინის ინტერესი) და მივაღწიეთ წვიმის ნაღვარევს; აქ გავიხადე ქურთუკი და შიგ იმდენი ქვა ჩავალაგე, რამდენსაც გაუძლებდა საკინძეები, და დავბრუნდი ამ იმპროვიზებული ტომრით ხესთან, მდელოზე.

ჩახმახზე შეყენებული თოფით დავიკავე პოზიცია თხუთმეტი იარდის მოშორებით ხიდან და დავიწყე ქვების სროლა — ჯერ ხეს ვესროდი, შემდეგ ბუჩქებს იმ იმედით, რომ მეიძულებინა ავაზა (თუ იგი ცოცხალი იყო) გამომხტარიყო გაშლილ ადგილზე, სადაც საქმე მექნებოდა მასთან. ქვების მარაგი რომ გამითავდა, დავიწყე ხველება, ტაშისცემა და ყვირილი. მაგრამ არც ბომბარდირების დროს და არც გვიან არ იყო ნიშნები იმისა, რომ ავაზა ცოცხალი იყო, მოძრაობდა ან რაიმე ხმებს გამოსცემდა.

ახლა შემეძლო პირდაპირ წავსულიყავი ხისკენ და მენახა რა ხდებოდა იმ მხარეს. მაგრამ მახსოვდა ჯუნგლებში გავრცელებული ძველი ანდაზა. არ ჩათვალო ავაზა მკვდრად მანამ, სანამ არ გაატყავებო. გადავწყვიტე შემომეგლო ხისათვის და თანდათან შემევიწროებია წრე, სანამ კარგად არ დავინახავდი, რა ხდება მის ტოტებს ქვეშ და მთელი ღეროს გასწვრივ. ჩემი პირველი წრის რადიუსი იყო დაახლოებით ოცდახუთი იარდი, ამ წრის ორი მესამედი გავლილი მქონდა, რომ რობინი ერთბაშად შეჩერდა. სანამ ვათვალიერებდი, თუ რამ მიიპყრო მისი ყურადღება, მომესმა ხმამაღალი ბრაზიანი ღრენა და პირდაპირ ჩემსკენ გამოხტა ავაზა. ყველაფერი, რაც აქამდე შევამჩნიე, ეს იყო პირდაპირ ჩემს წინ ბუჩქის შერხევა. მე მხოლოდ ნახევრად შემობრუნება და თოფის აწევა მოვასწარი, რომ ავაზას თავი და ბეჭები გამოჩნდა

ბუჩქებიდან ჩემგან რამდენიმე იარდის მოშორებით. ავაზას ნახტომი და ჩემი გასროლა ერთსა და იმავე დროს მოხდა; რაც შემეძლო, ვუგანე მარცხნივ, უკან და მეორე ლულიდან დავახალე გვერდში ავაზას, რომელმაც ახლო ჩამიქროლა.

როცა დაჭრილი მხეცი — ვეფხვი ან ავაზა აკეთებს წარუმატებელ ნახტომს, შემდეგ ყოველთვის უკან იხევს და, თუ ხელახლა არ შეაწუხე, აღარ ცდილობს თავდასხმის განმეორებას.

მარცხნივ გადავაბიჯე, რომ რობინისთვის ფეხი არ დამედგა და შევუდექი მის ძებნას, მაგრამ ძაღლი ვერსად ვიპოვე. ეს იყო პირველი შემთხვევა ჩვენი ერთად ნადირობის დროს, როცა მან გაჭირვებულ მდგომარეობაში მიმატოვა. მან, ალბათ, სცადა გზის პოვნა სახლისკენ და ნაკლები შანსები ჰქონდა თავიდან აეცილებია ის საშიშროება, რომელიც ოთხმილიან გზაზე მოელოდა ჯუნგლებში, გარდა ბუნებრივი დაბრკოლებებისა, რომლებიც შეიძლებოდა ასეთ გრძელ გზაზე აღმოცენებულიყო რობინისათვის. მხედველობაში მქონდა მისი გულით ავადმყოფობაც. ამიტომ რობინის საძებნელად გავემართე ძალიან ცუდი წინათგრძნობით და ჩემგან ასი იარდის მოშორებით დავინახე პატარა მდელოს განაპირას მდგარი ხის უკან გამოყოფილი თავი. ხელი რომ ავწიე და დავუძახე, იგი ბუჩქნარში გაქრა, მაგრამ ცოტა გვიან თავდახრილი და ყურებაწკურული ჩუმად მოცოცდა ჩემს ფეხებთან. თოფი დავდე და რობინი ხელში ავიყვანე. ცხოვრებაში მან მეორედ ამისვა სახეზე ენა, ამავე დროს წკმუტუნით გამოხატავდა, თუ როგორ იყო იგი გახარებული, რომ უვნებელი მნახა და როგორ საშინლად სცხვენოდა, რომ მიმატოვა.

ამ შემთხვევაში ჩვენი რეაქციები მოულოდნელი საშიშროების დროს, როცა ეს საშიშროება ისმის და არა ჩანს, კაცისა და ძაღლისათვის ძალიან დამახასიათებელი იყო. განსაცდელმა რობინი აიძულა ხსნა ეძებნა ჩუმად, სწრაფ გაქცევაში. მე კი თითქოს მუხლები მომეკვეთა, თუმცა, როგორც სწრაფი, ისე სხვა ყოველგვარი უკანდახევა შეუძლებელი იყო.

როცა რობინს გავაგებინე, რომ იგი არ იმსახურებს გაკიცხვას ჩვენი დროებითი დაშორების გამო, მისმა პატარა სხეულმა შეწყვიტა ცახცახი. მე იგი მიწაზე ჩამოვსვი და ორივენი მივედით იმ ადგილზე, სადაც ავაზამ კინაღამ გვაჯობა, ბაგრამ ის უკვე მკვდარი ეგდო.

მე დავამთავრე ჩემი მოთხრობა და სანამ ამას გიამბობდით, ჩემი ერთგული და კეთილშობილი მეგობარი, რობინი, როგორიც კი ოდესმე ჰყოლია ადამიანს, „სანეტარო ქვეყანას" გაემგზავრა.

ჩოუგარის ვეფხვები

ჩემს წინ კედელზე ჩამოკიდებულ აღმოსავლეთ კუმაონის რუკაზე აღნიშნულია ჯვრები და ყოველი ჯვრის ქვეშ ნაჩვენებია თარიღი. ეს ჯვრები უჩვენებენ ჩოუგარის კაცეჭამია ვეფხვის ადამიანთა მსხვერპლის ადგილსა და ოფიციალურად მიღებული ცნობის დროს. რუკაზე სამოცდაოთხი ჯვარია დასმული. არა მგონია, რიცხვი სავსებით ზუსტი იყოს, რადგან რუკა ივსებოდა ჩემს მიერ ორი წლის განმავლობაში და იმ დროის ყველა მსხვერპლის შესახებ როდი მაცნობებდნენ. გარდა ამისა, ვეფხვის მიერ მიყენებული ჭრილობისა და დასახიჩრების შედეგად დახოცილები რუკაზე აღნიშნული არ არის.

პირველი ჯვარი დასმულია 1925 წლის 15 დეკემბერს, ხოლო უკანასკნელი — 1930 წლის 21 მარტს. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ორმოცდაათი მილია, მანძილი განაპირა ჯვრებს შორის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ კი ოცდაათი. ეს ფართობი მთასა და ბარს შორის დაახლოებით ათას ხუთასი კვადრატული მილია, სადაც ზამთარში ღრმა თოვლი დევს და ზაფხულში კი მცხუნვარე მზე აჭერს. მთელ ტერიტორიას ჩოუგარის ვეფხვმა შიშის ზარი დასცა. იქ გაფანტულია დიდი და პატარა სოფლები: ერთნი ასი, ან მეტი მცხოვრებით, მეორენი, ერთი ან ორი კომლის რაოდენობით, ამ სოფლებს აერთებს შიშველი ფეხებით გატკეპნილი ბილი-

კები. ზოგიერთი ეს ბილიკი ულრან ტყეებში გადის. როცა ვეფხვის გამო ამ ბილიკებზე მოძრაობა საშიში გახდა, კავშირს სოფლებს შორის ადამიანები გადაძახებით ამყარებდნენ. შედგებოდნენ ხოლმე მაღალ ადგილზე — კლდე იქნებოდა ეს თუ სახლის სახურავი — და უხმობდნენ მეზობელი სოფლის მცხოვრებლებს. როცა დაძახებაზე გამოეხმაურებოდნენ, გადასცემდნენ ხოლმე ახალ ამბავს. ასე აღწევდა ახალი ამბები სოფლიდან სოფელში, თანაც წარმოუდგენლად მოკლე ხანში, ასეთ სივრცეზე.

1929 წლის თებერვალში მაზრაში თათბირზე ავიღე ვალდებულება ამ ვეფხვის განადგურების შესახებ. კუმაონში ამ დროს სამი კაციჭამია იყო, და, რადგან ჩოუგარის ვეფხვი აქ უფრო მეტ ზიანს აყენებდა, დავპირდი, რომ პირველ რიგში მას მოვსპობდი.

ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ჯვრებითა და თარიღებით აღნიშნული რუკა გვამცნობდა, რომ კაციჭამია მოქმედებდა უპირველესად კალაადარის ქედის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გახლაგებულ სოფლებში. ეს ქედი გადაჭიმულია ორმოც მილზე, სიმაღლე აღწევს რვა ათას ფუტს, მისი ფერდობები ულრანი ტყეებით არის დაფარული. ტყეში გზა გადის ქედის ჩრდილოეთ მხარის გასწვრივ; ზოგ ადგილას რამდენიმე მილის მანძილზე ის მიემართება მუხისა და როდოდენდრონის ხშირ ტყეში, ზოგან გზას ერთ მხარეზე აკრავს ტყე, მეორეზე კი — მინდვრები. გზის მოსახვევთან დგას კალაადარის ტყის ჯიხური, რომლისაკენაც მე მივეშურებოდი. ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ, რომელიც ოთხი ათასი ფუტის სიმაღლის ციცაბო აღმართის გადალახვით დამთავრდა, მივაღწიე ჯიხურს 1929 წლის ერთ საღამოს.

კაციჭამია ვეფხვის უკანასკნელი მსხვერპლი იყო ოცდაორი წლის ახალგაზრდა კაცი, იგი მოკლულ იქნა, როცა ჯოგს აძოვებდა.

მეორე დილას ჩემს სანახავად მოვიდა ამ ყმაწვილის ბებია.

მან მიამბო, რომ კაციჭამია თავს დაესხა მის ერთადერთ ნათესავს სრულიად მოულოდნელად. მანვე მიამბო ამ ყმაწვილის ბავშვობის დღეებზე, უქებდა თვისებებს და დაეინე-

ჩოუგარიხ კაციჭამია ვეფხვის ადამიანთა მსხვერპლი

სოფელი	ადამიანთა რიცხვი	სოფელი	ადამიანთა რიცხვი
ტალი	1	კაბრაგაონი	1
დები-დხურა	1	კ'ლა-ადარი	8
ბარხონი	2	რიკხაკოტი	1
ჩამილი	6	მატელა	3
კახორი	1	კუნდალი	3
ამი	2	ბაბირი	1
დალკანია	7	კანსიუნი	1
ლოხარი	8	გარგარი	1
აგხურა	2	ხირაკხანი	2
პახარპანი	1	უკხალდხუნგა	1
პადმპური	2	პაკხარი	1
ტანდა	1	დუნგარი	2
ნესორია	1	გალნი	3
ჯანგაონი	1		
		სულ	64

წლიური შედეგები

1926	9	მსხვერპლი
1927	15	„
1928	14	„
1929	17	„
1930	9	„
სულ	64	მსხვერპლი

ბით მთხოვდა მიშველო მისგან კამეჩის სამი ზაქი ვეფხვის მისატყუებლად, და დაუმატა, რომ, თუ მე ვეფხვის მოსაკლავად გამოვიყენებ მისი კამეჩების ზაქებს, იგი კმაყოფილი დარჩება, რადგან ამით შვილიშვილისათვის შურისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. ეს კამეჩები სრულიად უსარგებლო იყო ჩემთვის, მაგრამ ვიცოდი, უარის თქმას შეურაცხყოფად მიიღებდა. მადლობა გადავუხადე მოხუც ქალს და ვუთხარი, რომ მხედველობაში მექნება მისი ზაქები, როცა გამოვიყენებ ნაინი-ტალიდან მოყვანილ ოთხ ახალგაზრდა კამეჩს. შემდეგ შეიკრიბნენ მეზობელი სოფლების მამასახლი-

სები; მათგან შევიტყე, რომ უკანასკნელად ვეფხვი ათი დღის წინ ენახათ, აქედან ოცი მილის მანძილზე სოფელში ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სადაც მამაკაცი და ქალი მოეკლა.

ძებნას ათი დღის ნაკვალევის მიხედვით არავითარი აზრი არ ჰქონდა. მამასახლისებთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, გადავსულიყავი სოფელ დალკანიაში ქედის მარჯვენა კალთაზე. დალკანია დაშორებულია კალა-ადარიდან ათი მილით და დაახლოებით ამდენივე მანძილით იმ სოფლიდან, სადაც მოკლულ იქნა მამაკაცი და ქალი. ჯვრების რიცხვი რუკაზე დალკანიაში და მის შემოგარენში გვიჩვენებდა, რომ სწორედ იქ იყო კაციჭამიას მთავარი ბუნაგი. მეორე დილას, ნასაუზმევს, დავტოვე კალა-ადარი და დავადექი ტყეში გამავალ გზას, რომელიც, როგორც მითხრეს, ქედის ძირამდე მიმიყვანდა. იქ უნდა გადავსულიყავი მთაზე და შემდეგ ჩავყოლოდი მის ფერდობს ორ მილზე სოფელ დალკანიამდე. ულრან ტყეზე გამავალი გზით ნაკლებად სარგებლობდნენ. გზადაგზა ყველა ნაკვალევის დათვალიერების შემდეგ, დაახლოებით ნაშუადღევის ორი საათისათვის ვიყავი ბილიკის დასაწყისთან. აქ შემხვდა დალკანიის რამდენიმე მცხოვრები, იმათ უკვე გაეგოთ ჩემი განზრახვა სოფელში ჩამოსვლის შესახებ და მოვიდნენ სათქმელად, რომ დღეს ვეფხვი თავს დასხმოდა ქალების ჯგუფს, რომლებიც პურს მკიდნენ დალკანიიდან ათი მილის მოშორებით.

თუმცა ტვირთმზიდავებს ჩემი ბანაკის მოწყობილობა უკვე რვა მილის მანძილზე მიჰქონდათ, ისინი მაინც მზად იყვნენ ჩემთან ერთად განეგრძოთ გზა. მაგრამ როცა შევიტყე, რომ ეს ათმილიანი გზა სოფლამდე ძალიან ძნელი სავალია და თანაც ულრან ტყეში გადის, — გადავწყვიტე ჩემი თანამგზავრები და მოსული გლეხებიც დალკანიაში უკანვე გამეგზავნა, მე კი დამეთვალიერებია ვეფხვის თავდასხმის ადგილი.

ნაშუადღევის სამ საათზე, ცოტა დავნაყრდი თუ არა, დავადექი ჩემს ათმილიან გზას. კარგ პირობებში ათი მილი ნელა სიარულის დროს არის ორნახევარი საათის საქმე, მაგრამ ამ შემთხვევაში პირობები არაფრით არ შეიძლებოდა მიგვეჩნია

ხელსაყრელად. გზა მთების აღმოსავლეთ კალთების გასწვრივ მიხვეულ-მოხვეული იყო, ღრმა ხევებს კვეთდა და ორივე მხარეზე მას კლდეები და ხშირი შამბნარი ან ხეები მიჰყვებოდა. რადგან თითოეულ დაბურულ ადგილს, რომელსაც შეეძლო მშიერი კაციჭამიასაგან ჩემი დაღუპვა, უნდა მიეახლოებოდი წინდახედულად, ამიტომ ძალიან ფრთხილად მივიწევდი წინ. ჯერ კიდევ რამდენიმე მილით ვიყავი დაშორებული სოფლიდან, რომ ჩამავალმა მზემ მამცნო შესვენების დრო.

სხვა ვითარებაში ვარსკვლავებიან ცის ქვეშ ხმელ ფოთლებზე გემრიელი ძილი ღამე კარგი დასვენების საწინდარია, მაგრამ ასეთ პირობებში მიწაზე ძილი ნიშნავდა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას. ხანგრძლივმა პრაქტიკამ მასწავლა ასეთ შემთხვევებში შემერჩია შესაფერისი ხე და მასზე კომფორტაბელურად მოვწყობილიყავი. ჩემთვის ხეზე ძილი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ამიტომ ავარჩიე მუხა, გულდასმით მივამაგრე რტოზე თოფი და რამდენიმე საათს გამოვიძინე. უცბად, ხის ქვეშ, რაღაც ნადირის ხმაურმა გამომაღვიძა. ხმები ერთმანეთში ირეოდა. ხის ქერქზე კლანჭებით კაწვრა გაიგონე და მივხვდი, რომ დათვების ოჯახი, ქვევით, ფერდობიდან კარპალის* ხეზე მიცოცავდა, დათვები ქონის მოკიდების დროს ძალიან ანჩხლები ხდებიან; ძილი შეუძლებელი გახდა, სანამ ისინი არ გაძღნენ და არ წავიდნენ.

მზის ამოსვლიდან ორი საათის შემდეგ მივედი სოფელში. იგი შედგებოდა ორი ქოხისა და პირუტყვის ბაკისაგან, რომელიც იდგა ტყით გარემოცულ ხუთი აკრის ფართობის მდელოზე. ჩემს დანახვაზე ამ პატარა თემის მცხოვრებნი სიხარულისაგან ცას ეწიენ. მიჩვენეს ქოხებიდან რამდენიმე იარდით დაშორებული პურის ყანა, რომელშიც შეემჩნიათ ჩასაფრებული ვეფხვი სწორედ იმ დროს, როცა იგი ეპარებოდა სამ ქალს, რომლებიც მოსავლის აღებით იყვნენ გართულნი. კაცმა, რომელმაც შეამჩნია ვეფხვი და განგაში ას-

---

* კარპალი ჩვენ მთებშიც იზრდება, სიმაღლით დაახლოებით ორმოცი ფუტია, პატარა, წითელი და გემრიელი ნაყოფი იცის.

ტეხა, მაცნობა, რომ მხეცი ჯუნგლებში მიიმალა და იქ მას მეორე ვეფხვი შეუერთდაო. ორივენი დაეშვნენ მთის კალთაზე, ქვევით, მდებარე ხევში. იმ ორი ქოხის ბინადართ არ დაუძინიათ, რადგან კარგი ნადავლის მოლოდინით იმედგაცრუებული ვეფხვები მთელი ღამე ღრიალებდნენ. მათი ღრიალი შეწყდა ცოტა ადრე ჩემს მისვლამდე.

ორი ვეფხვის არსებობა ადასტურებდა ჩემს ამასწინანდელ ცნობას იმის შესახებ, რომ კაციჭამიას თან ახლდა ზრდადასრულებული ახალგაზრდა ვეფხვი.

ინდოელი მთიელები ძალიან სტუმართმოყვარენი არიან. როცა გლეხებმა გაიგეს, რომ მე ღამე ჯუნგლებში გავატარე და ჩემი ბანაკი დალკანიაში იმყოფებოდა, სადილი შემომთავაზეს. ვიცოდი, რომ ეს მძიმე ტვირთად დააწვებოდა გაღატაკებულ პატარა თემს და ამიტომ მხოლოდ ჩაის ადუღება ვთხოვე. მაგრამ სოფელში ჩაი არ იყო და ძალიან მსუყე და საკმაოდ გემრიელი დაშაქრული რძე შემომთავაზეს. ჩემი მასპინძლების თხოვნით, დავდექი საგუშაგოზე, სანამ იმათ პურის აღება არ დაამთავრეს. შუადღეზე, მოსახლეობისაგან დალოცვილი დავეშვი ხევში, სადაც ვეფხვები ღრიალებდნენ.

ხევი იწყებოდა სამი მდინარის — ლადხიას, ნანდხაურისა და აღმოსავლეთ გოულას წყალგამყოფთან და გრძელდებოდა ოცი მილის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთისაკენ. იგი ულრანი ტყით იყო დაფარული. კვალზე გაყოლა შეუძლებელი იყო. ვეფხვები რომ დამენახა, საჭირო იყო მათი ყურადღების მიპყრობა ან დამალვა და ჯუნგლების ცხოველთა სამყაროს სიგნალებით სარგებლობა.

იქნებ მკითხველს აინტერესებს, იცოდეს, რომ ფრინველებს, ჯუნგლების მხეცებსა და „ოთხ ციურ ქარს“*, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვეფხვზე ნადირობაში წარმატებისათვის. აქ საჭირო არ არის ჩამოთვლა იმ ცხოველების სახელებისა, რომელთა საგანგაშო ყვირილზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მონადირის წარმატება და პირადი უშიშ-

* ძირითადი მიმართულების ქარები.

როება. ქვეყანაში, სადაც სამ- თუ ოთხმილიანი აღმართი და დაღმართი გამოხატავს ადგილის საერთო ათასფუტიანი სიმაღლის ცვალებადობას, ცხოველთა სამყაროს ნაირსახეობა ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ქარი ყოველ სიმაღლეზე არის მუდმივ მოქმედი ფაქტორი და რამდენიმე სიტყვა მის მნიშვნელობაზე ვეფხვის ფეხდაფეხ დევნის დროს მართებულია.

ვეფხვებმა არ იციან, რომ ადამიანები მოკლებული არიან ალღოს, კაციჭამია რომ ხდება ვეფხვი, სავსებით ისე ეპყრობა ადამიანს, როგორც სხვა ცხოველს. მაშასადამე, იგი უახლოვდება შერჩეულ მსხვერპლს ქარის საწინააღმდეგო მხრიდან ან ქარის ქვეშ წამოწოლილი უცდის მას ჩასაფრებული.

ამ მდგომარეობის მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ იმ დროს, როცა მონადირე ცდილობს ვეფხვის დანახვას, თავის მხრივ მხეციც ცდილობს დაემალოს მონადირეს ან საფარში ჩაწოლილი უცდის მას. ასეთი შეჯიბრება, თუ გავითვალისწინებთ ვეფხვის სიმაღლეს, შეფერილობას და ჩუმ მოძრაობას, ძალიან არათანაბარია. მაგრამ მონადირის სასარგებლოდ მოქმედებს ქარი.

ყველა შემთხვევაში, როცა მკელელობა ხდება ვეფხვის თავდასხმით ან მიპარვით, მხეცი ყოველთვის მსხვერპლს უკნიდან უახლოვდება. მონადირისათვის თვითმკველელობაა სიარული ხშირ შამბნარში, სადაც ყველა პირობაა იმისა, რომ ვეფხვი გითვალთვალებს და შეუძლია მოულოდნელად დაგესხას თავს. თუ მონადირეს არ შეუძლია სავსებით გაერკვეს ჰაერის დინებებში, ასე მაგალითად, თუ მონადირე ადგილობრივი პირობების გამო იძულებულია იმოძრაოს იმ მიმართულებით, საიდანაც ქარი ქრის, მაშინ საშიშროება უკნიდანაა მოსალოდნელი, მაგრამ თუ იგი „მაქოსავით"* წავა კუთხურად, ქარის მიმართულებით, მან უნდა გაითვალისწინოს საშიშროება მარჯვნივ და მარცხნივ. წიგნის კითხვის დროს ყველა ეს ხერხი არ გეჩვენებათ მაინცადამაინც მიმზიდველად,

---

* „მაქოსავით" სელა (სანადირო გამოთქმაა) — მონადირის სვლის ხერხია, როცა იგი მიდის არა სწორი ხაზით, არამედ მარჯვნივ და მარცხნივ, მიხვევ-მოხვევით (ზიგზაგებით, საქსოვი მანქანის მაქოსავით).

შეიძლება გაუგებარიც კი იყოს, მაგრამ პრაქტიკაში ეგი ქმედითია. რადგან ყოველთვის ზურგით წინ სვლა შეუძლებელია, მე არ ვიცი ქარის წინააღმდეგ მოძრაობის სხვა უკეთესი საშუალება ხშირ შამბნარში, სადაც მშიერი კაციჭამია იმალება.

საღამოს ხევის ნაპირს მივაღწიე, მაგრამ მაინც ვერ ვნახე ვეფხვი და ნადირებისა და ფრინველების მოქმედებით ვერ დავრწმუნდი ჯუნგლებში მის არსებობაზე. ერთადერთი შენობა, რომელსაც ვხედავდი, იყო ხევის ჩრდილოეთ ფერდობის განაპირას არსებული საქონლის ბაკი.

ძალიან ყურადღებით შევარჩიე ღამის გასათევი ადგილი და მშვიდად დამეძინა. მალე, დაღამების შემდეგ ვეფხვების ხმა გავიგონე. რამდენიმე წუთის შემდეგ, ამ ხმას მოჰყვა ზუმბიანი თოფის ორი გასროლა და ყვირილი. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე დღეს, შუადღისას, ხევში მიწის ყოველ ნაკვეთს რომ ვათვალიერებდი და ბალახით დაფარულ მთის კალთაზე რომ ავდიოდი, რათა ჩემს ტვირთმზიდავებს დალაკანიაში შევერთებოდი, ყვირილი შემომესმა პირუტყვის ბაკიდან. ყვირილი განმეორდა და როდესაც ხმა გავეცი, დავინახე, რომ ვილაც კაცი აცოცდა მაღალ კლდეზე და იქედან გადასძახა ხევს. იგი მოუწოდებდა ნაინი-ტალიდან ჩამოსულ საიბს, მოეკლა კაციჭამია. როდესაც ვუთხარი, რომ ეს საიბი მე ვარ, მან მიამბო, რომ დაახლოებით შუადღისას პირუტყვი გამოცვივდა ხევიდან ჩემს მხარეს; ბაკში დაბრუნების შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი თეთრი ძროხა აკლდათ.

კაცს ჯეროდა, რომ ძროხა მოჰკლეს ვეფხვებმა, რომელთა ღრიალი წინა ღამით გაეგონა ნახევარი მილის მანძილზე დასავლეთით იმ ადგილიდან, სადაც მე ვიყავი. მე მას მადლობა გადავუხადე ცნობებისათვის და გავეშურე ხევის შესამოწმებლად. ცოტა რომ გავიარე გზის ნაპირის გასწვრივ, ენახე დაფეთებული ჯოგის ნაკვალევი და ნაკვალევს რომ გავყევი, ადვილად მივაგენი იმ ადგილს, სადაც მოკლულ იქნა ძროხა. მოკლული ძროხა ვეფხვებმა ჩაათრიეს ციცაბო ფერდობიდან ხევში. ნათრევზე მიყოლა არ ღირდა, ამიტომ შორიდან შემოვუარე და მოპირდაპირე მხრიდან მივედი ხევ-

ში იმ ადგილთან, სადაც ჩემი ვარაუდით ძროხა ეგდო. ხევის ეს კედელი ნაკლებ დამრეცი და უფრო ხშირი ბუჩქნარით იყო დაფარული, ვიდრე ის, რომელზეც ვეფხვებმა ჩაათრიეს ძროხა, — საერთოდ პირობები მისადგომად იდეალური იყო. ნელ-ნელა, ლანდივით შეუმჩნევლად წინ მივიწევდი ბუჩქნარში, რომელიც წელამდე მწვდებოდა. ოცდაათი იარდით ვიქნებოდი ხევიდან, რომ რაღაც მოძრაობამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. მოულოდნელად ბუჩქების ძირში გამოჩნდა ძროხის თეთრი ფეხი. წამით ხმამაღალი ღრენა გაისმა: ვეფხვები ნადავლთან იყვნენ და, ალბათ, ჩხუბობდნენ ხორცის გემრიელი ნაჭრებისათვის.

რამდენიმე წუთს სრულიად გაუნძრევლად ვიდექი. ღრენა აღარ განმეორებულა. ახლო მისვლა საშიში იყო. კიდეც რომ მომესწრო შეუმჩნევლად წავდგომოდი თავს ოცდაათ იარდზე და მომეკლა ერთ-ერთი ვეფხვი, მაინც რჩებოდა მეორე ვეფხვის თავდასხმის შესაძლებლობის ორმოცდაათი პროცენტი, მაშინ, როდესაც ადგილმდებარეობის გამო შეუძლებელი იყო თავდაცვა. ოც იარდზე ჩემგან მარცხნივ და დაახლოებით ასეთსავე მანძილზე ვეფხვებისაგან იყო ათი-თხუთმეტი ფუტის სიმაღლის შვერილი. რომ შემძლებოდა შეუმჩნევლად ასვლა შვერილზე, ნამდვილად, ადვილად შეკძლებდი თოფის სროლას ვეფხვებისათვის. ხელებზე და მუხლებზე დაყრდნობილი, თოფის ბიძგებით მივხოხავდი. კლდის პირას ერთ წუთს შევჩერდი, რომ სული მომეთქვა და გამესინჯა თოფი გატენილი იყო თუ არა. შემდეგ ავედი კლდეზე. როდესაც მზერა მწვერვალს მივაწვდინე, დავინახე ორივე ვეფხვი.

ერთი ძროხის უკანა ფეხს შეექცეოდა, მეორე კი მის აბლოს იწვა და თათებს ილოკავდა. ორივე ვეფხვი ერთი სიდიდისა ჩანდა. ის, რომელიც თათებს ილოკავდა, უფრო ღია ფერისა იყო, დავასკვენი, რომ ღია ფერი დაკავშირებულია ასაკთან და რომ ეს არის ბებერი კაციშამია, გულდასმით დავუმიზნე და ვესროლე. გასროლის შემდეგ, იგი შეხტა და ზურგზე დაეცა. მეორე ვეფხვს უკვე თვალი ვეღარ მოვკარი. სანამ მეორე ჩახმახზე ხელის დაჭერას მოვასწრებდი. ვეფხვი. რომელსაც ვესროლე, უძრავად ეგდო. რამდენიმე ქვა ვეს-

როლე და დავრწმუნდი, რომ მხეცი მკვდარია, ახლოს რომ მივედი, იმედგაცრუებული დავრჩი: ზერელე თვალისგადავლებამ დამარწმუნა, რომ შეცდი და ახალგაზრდა ვეფხვი მოვკალი. ეს შეცდომა შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში თორმეტი ადამიანის სიცოცხლედ დაჯდა, ერთხელ კინაღამ მეც გამოვესალმე წუთისოფელს.

იმედის გაცრუება ცოტა შერბილდა ასეთი მოსაზრების გამო: თუ ახალგაზრდა ვეფხვი თვითონ არ კლავდა ხალხს, სამაგიეროდ, ალბათ, ეხმარებოდა თავის ბებერ დედას თავდასხმებში (შემდეგში მე გავიგე ამ მოსაზრების დამამტკიცებელი ფაქტები); ყოველ შემთხვევაში იგი გამოზრდილი იყო ადამიანის ხორცით, და თვითდამშვიდებისათვის შემეძლო მიმეკუთვნებია „პოტენციურ" კაციჭამია ვეფხვებისათვის.

გაშლილ ადგილას ვეფხვის გატყავება სხვისი დახმარებითა და საჭირო ხელსაწყოებით არაა რთული საქმე, მაგრამ ამ შემთხვევაში სამუშაო არც ისე უბრალო აღმოჩნდა. მე ხშირ შამბნარში მარტოდმარტო ვიყავი, და ერთადერთი ჩემი იარაღი იყო ჯიბის დანა. თუმცა კაციჭამიას თავდასხმის რეალური საშიშროება არ იყო, რადგან ვეფხვები არავის არ ჰკლავენ, თუ ისინი დანაყრებული არიან, მე გულის სიღრმეში მაინც მრჩებოდა არასასიამოვნო შეგრძნება: მეჩვენებოდა, რომ ძუ ვეფხვი დაბრუნდა და თვალს ადევნებს ყოველ ჩემს მოძრაობას.

მზე თითქმის ჩავიდა და ჩემი ძნელი სამუშაო ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. კიდევ ერთი ღამის გათევა მიწევდა ჯუნგლებში და გადავწყვიტე დავრჩენილიყავი ადგილზე. ნაკვალევს ეტყობოდა, რომ ძუ ვეფხვი ძალიან ბებერი უნდა ყოფილიყო. მთელი თავისი სიცოცხლე მან გაატარა იმ არემარეში, სადაც თითქმის იმდენი თოფი მოიპოვებოდა, რამდენიც ადამიანი იყო, — მან ყველაფერი იცოდა ადამიანსა და მის ჩვევებზე. მაგრამ მაინც არ იყო გამორიცხული ის, რომ ძუ ვეფხვი ღამით დაბრუნდებოდა ნადავლთან და დილამდე დარჩებოდა მის ახლოს.

შესაფერი ღამის გასათევი ადგილის მოძებნა ძნელი იყო, მაგრამ ჩემს მიერ ამორჩეული ხე, როგორც დილას დავრ-

წმუნდი, უფრო მოხერხებული იყო ყველა იმ ხეებიდან, რომლებზეც მომიხდა ჯდომა თორმეტი საათის განმავლობაში. ღამე დროდადრო ისმოდა ძუ ვეფხვის ღრიალი. გათენებისას ღრიალი თანდათან მისუსტდა, და ბოლოს შეწყდა სადღაც ხევის თავზე აღმართულ ქედზე.

დაღლილ-გათოშილმა და მშიერ-მწყურვალმა 54 საათს ვიწიმშილე, — სხეულზე ტანსაცმელმიკრული (ღამე ოთხ საათს კოკისპირულად წვიმდა) ჩამოვედი ხიდან, როცა კარგად ინათლა, მივიმაგრე ქურთუკზე ვეფხვის ტყავი და გავუდექი გზას დალკანიაში.

არასდროს არ ამიწონია ვეფხვის ნედლი ტყავი, მაგრამ ახლა მეჩვენებოდა, რომ, თუ თავდაპირველად ჩემი თხუთმეტმილიანი მოგზაურობის დასაწყისში მისი ტყავი, თავი და თათები ორმოც გირვანქას იწონიდა, გზის დასასრულს — შემიძლია დავიფიცო — მისი წონა გახდა ორასი გირვანქა.

თორმეტი სახლის დიდი ლურჯი ფილებით მოკირწყლულ საერთო ეზოში მივუსწარი ჩემს თანამგზავრებს, რომლებიც ასზე მეტ ადგილობრივ გლეხს ესაუბრებოდნენ. მე ვერ შემამჩნიეს, მაგრამ ის მისალმებანი, რომლებიც წილად მხვდა, როცა ტალახითა და სისხლით გათხუპნილი გავჩერდი ჩაცუცქულ ხალხთან, არასოდეს არ წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან.

ჩემი პატარა კარავი ნაყანეევში გავშალეთ სოფლიდან ასი იარდის მოშორებით. იქ ფიცრებისა და ყუთებისაგან გაკეთებულ იმპროვიზებულ მაგიდაზე ჩაი იყო გაწყობილი; გლეხები მომითხრობდნენ, რომ ჩემთან ათ წელიწადს ნამსახურ და ასეთ ექსპედიციაში მონაწილე ადამიანებს არ ჯეროდათ, რომ მე შეიძლება გავმხდარიყავი ვეფხვის მსხვერპლი. ისინი დღე და ღამე ადუღებდნენ ჩაის ჩემს მოლოდინში, დაჟინებით უმტკიცებდნენ ჩემი დაღუპვის შეუძლებლობას დალკანიისა და მის მიდამოებში მდებარე სოფლების მამასახლისებს, რომლებიც უკვე მზად იყვნენ თურმე ნაინი-ტალში ცნობის გასაგზავნად ჩემი დაღუპვის შესახებ.

ძალაუნებურად მომიხდა მთელი სოფლის თვალწინ ცხელი შხაპის მიღება. ისე დასვრილი და დაღლილი ვიყავი, რომ უცხოს მორიდების თავი აღარ მქონდა. ნოყიერი საღილის

შემდეგ, დასაწოლად რომ ვემზადებოდი, ძლიერმა ელვამ და ჭექა-ქუხილმა გვამცნო ქარიშხლის მოახლოება. ამ დროს კარვის პალოები ვერ გვშველის. სასწრაფოდ ვიშოვეთ გრძელი ჭოკები, ჩავასვეთ მიწაში და მასზე კარვის თოკები მივამაგრეთ. მთელ საათს გაგრძელდა კოკისპირული წვიმა და ქარიშხალი; ეს იყო ყველაზე საშინელი ნიაღვარი, რომელიც დაატყდა თავს კარავს. ნაწილი სამაგრისა მოგლიჯა ქარმა, მაგრამ დანარჩენი შერჩა, ჭოკებმაც გაუძლო. თითქმის მთელი ბარგი დასველდა, და რამდენიმე დუიმის სიღრმის პატარა ნაკადული კარვის ერთი კუთხიდან მეორემდე მიედინებოდა. მაგრამ საწოლი საკმაოდ მშრალი იყო. დაახლოებით საღამოს ათი საათისათვის ჩემი თანამგზავრები მოვათავსე საიმედო ადგილას — მათთვის გამოყოფილ გლეხის სახლში. თვითონ მე მოვიდევი გვერდზე გატენილი თოფი და თორმეტ საათს გავაბი ძილი.

მეორე დღეს შევუდექი სამგზავრო მოწყობილობის გაშრობასა და ვეფხვის ტყავის დამუშავებას. ამ ხნის განმავლობაში სოფლის მცხოვრებლები ისვენებდნენ საველე სამუშაოებისაგან: ისინი შეიკრიბნენ და მიზიარებდნენ თავიანთ განცდებს ვეფხვის მოქმედებასთან დაკავშირებით, ხანდახან ჩემს ნაამბობსაც ისმენდნენ. თითოეულ დამსწრეს შეეძლო ეცნობებინა უშუალოდ თავისი ახლო ნათესავის ზარალის შესახებ. ზოგიერთი მათგანი ვეფხვის კბილებსა და კლანჭებსაც კი ატარებდა, იმ ვეფხვისა, რომელიც მათ სიკვდილს უქადდა. ჩემს სინანულს, მხეცის მოკვლის შემთხვევის ხელიდან გაშვების შესახებ, ისინი არ იზიარებდნენ. მართალია, წინათ აქ მხოლოდ ერთი კაციჭამია ვეფხვი იყო, მაგრამ უკანასკნელ თვეებში დაღუპულ ადამიანთა გვამების მაძებარი მაშველი ჯგუფები ხვდებოდნენ ორ ვეფხვს. ერთი კვირის წინ მოკლული ნახეს ცოლ-ქმარი; ეს იძლეოდა საფუძველს, გვეფიქრა, რომ ორივე ვეფხვი კაციჭამია იყო.

ჩემი კარავი იდგა გორაკზე, საიდანაც ფართო პანორამა იშლებოდა. პირდაპირ ქვევით იყო მდინარე-ნანდხაურას ველი, მის მოპირდაპირე მხარეზე, ცხრა ათასი ფუტის სიმაღ-

ლეზე ამართული იყო შიშველი მთა. საღამოობით რუკითა და დურბინდით ხელში რომ ვიჯექი, გლეხები მაჩვენებდნენ ხოლმე იმ ადგილებს, სადაც უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ვეფხვს ოცი კაცი მოეკლა. დახოცილთა რიცხვი შეიძლებოდა თანაბრად განაწილებულიყო ორმოცი კვადრატული მილის სივრცეზე. აქაურ ტყეებში ნებადართული იყო საქონლის ძოვება და გადავწყვიტე გამომეყენებია ჩემი კამეჩები. როგორც მისატყუარი და მივაბი ისინი იქ, სადაც ხშირად აძოვებდნენ საქონელს.

მომდევნო ათი დღის განმავლობაში ძუ ვეფხვის შესახებ არავითარი ცნობები არ მოუწოდებიათ ჩემთვის. მე დილაობით კამეჩებს ვნახულობდი, ტყეს შემოვუვლიდი, საღამოს კი მათ ისევ მივაბამდი ხოლმე. მეთერთმეტე დღეს მაცნობეს, რომ ჩემი კარვის ქვევით, ხევში, მოკლულ იქნა ძროხა. თუმცა ლეშის დათვალიერებამ დამარწმუნა, რომ მკვლელი ბებერი ავაზაა, რომლის ნაკვალევს რამდენჯერმე წავაწყდი.

მცხოვრებლები ჩიოდნენ, რომ ავაზა რამდენიმე წლის განმავლობაში ღებულობს მათგან მძიმე ხარკს პირუტყვის სახით და გადავწყვიტე დავდარაჯებოდი საფარში. არც თუ ღრმა გამოქვაბული მკვდარი ძროხის ახლოს ხელსაყრელი თავშესაფარი იყო. ცოტა ხანს ვიჯექი ამ გამოქვაბულში და დავინახე ხევის მოპირდაპირე მხრიდან ჩამომავალი ავაზა, ის იყო თოფი მოვიგდე, რომ სოფლის მხრიდან მოისმა შეშფოთებული ხმები, რომლებიც მიხმობდნენ საშველად. ამ ყვირილის მიზეზი შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ყოფილიყო — ვეფხვის გამოჩენა; დავაყენე ქუდს ხელი და ავაზას გასაოცებლად გამოვეარდი გამოქვაბულიდან. იგი ჯერ მიწას განერთხო და შემდეგ გაქრა ხევის ფერდობზე. ზემოთ რომ ავედი, ჩემსკენ მომავალ კაცს დავუძახე, მოვდივარ-თქო და მისკენ გავიქეცი.

მაცნე სოფლიდან სირბილით მოვიდა. სული რომ მოითქვა, მაცნობა, რომ ვეფხვმა ეს არის კაცი მოჰკლა სოფლის ბოლოდან ნახევარი მილის მოშორებითო. მთიდან ქვევით რომ გავრბოდით, ერთი სახლის ეზოში შეკრებილი ხალხი დავინახე, და ამ შემთხვევაშიც ვერ შემამჩნიეს. გადავხედე შეკრებილ

ხალხს და დავინახე მიწაზე დამჯდარი ქალიშვილი, რომელსაც ნაწილი ტანსაცმლისა შემოგლეჯილი ჰქონდა. თავი უკან გადაეგდო, მიწაზე ხელებდაყრდნობილი უხმოდ, გაუნძრეველად იჯდა და ღრმა სუნთქვის გამო მხოლოდ მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, სახიდან და კეფიდან კი სისხლი თქრიალით გადმოსჩქეფდა.

მალე შემამჩნიეს და, როგორც იქნა, მივუახლოვდი დაშავებულს. სანამ მის ჭრილობებს ვათვალიერებდი, ყველა, ვინც აქ იყო, ერთად აყაყანდა მომხდარი ამბის გამო. თავდასხმა მომხდარიყო საკმაოდ გაშლილ ადგილას, მცხოვრებლებისა და ახალგაზრდა ქალის ქმრის თანდასწრებით, ყვირილით: დამფრთხალმა ვეფხვმა დააგდო მსხვერპლი, მიიმალა ტყის მიმართულებით, დატოვა იგი ცოცხალ-მკვდარი სწორედ იმ ადგილას, სადაც ქალი დაეცა; ხალხი გამოიქცა სოფელში, რომ ეთქვათ ჩემთვის მომხდარი ამბის შესახებ, შემდეგ ახალგაზრდა ქალი გრძნობაზე მოვიდა და დაბრუნდა სოფელში; ყველას ეგონა, რომ იგი მოკვდებოდა ჭრილობებისაგან რამდენიმე წუთის შემდეგ და მცხოვრებლები მის გვამს მიიტანდნენ თავდასხმის ადგილას, მე კი მოვახერხებდი გვამის ახლოს საფარის მოწყობას და ვეფხვის მოკვლას.

სანამ ყველაფერ ამას მიამბობდნენ, დაშავებული თვალს არ მაშორებდა და დაჭრილი თუ დამფრთხალი ცხოველის საბრალო გამომეტყველებით თვალს ადევნებდა ყოველ ჩემს მოძრაობას. ჩემს მოქმედებას თავისუფალი არე სჭირდებოდა, შემდგომი მოქმედების მოფიქრებას გარკვეული სიმშვიდე, ხოლო დაჭრილს სუფთა ჰაერი. ვშიშობდი, რომ ჩემს-მიერ გამოყენებული მეთოდები არ იყო ისეთი თავაზიანი, როგორიც უნდა ყოფილიყო. როცა უკანასკნელი კაცი სწრაფად გაშორდა აქაურობას, ქალი გავგზავნე თბილი წყლის მოსატანად — აქამდე ისინი უკან იდგნენ გაოგნებულნი — და ვუბრძანე ჩემი პერანგი დაეხიათ ბინტებად, ის შედარებით მშრალი და სუფთა იყო. რომელიღაც ქალიშვილი (მას ისტერიას ცოტაღა უკლდა) მაკრატლის მოსატანად წავიდა სოფელში. წყალი და ბინტები უკვე მზად იყო, როცა ქალიშვილი დაბრუნდა ერთადერთი მაკრატლით, რომელიც სოფელში

ჰქონდათ — იგი დიდი ხნის გარდაცვლილი თერძის სახლში აღმოაჩინეს, მისი ქვრივი ამ მაკრატელს კარტოფილის ამოსაღებად ხმარობდა. მაკრატლის პირები, რომელსაც დაახლოებით რვა დუიმი ექნებოდა სიგრძე, ერთმანეთს სრულიადაც არ ეკარებოდა. მაკრატლის გასწორების ცდა ამაო იყო, ამიტომ გადავწყვიტე, ხელი არ მეხლო დაჭრილის სისხლისაგან შეწებებულ თმებისათვის.

ვეფხვის კლანჭებისაგან მიყენებული იყო ორი ჭრილობა: ერთი იწყებოდა თვალების ახლოს, გადადიოდა პირდაპირ თავზე კეფის მიმართულებით და თავდებოდა კისერთან. მეორე ჭრილობა იწყებოდა პირველის ახლოს და გადადიოდა თავის წინა მხარეზე მარჯვენა ყურისაკენ. გარდა ამ საშინელი ღია ჭრილობებისა, ბევრი ღრმა განაკაწრი ჰქონდა გულმკერდის არეში, მარჯვენა ბეჭსა და კისრის მიდამოში. ღრმა ჭრილობა აჩნდა აგრეთვე მარჯვენა ხელისგულზე. უეჭველად ქალი თავს რომ იცავდა უშედეგოდ, ვეფხვმა მაშინ გაუფატრა ხელი.

ერთხელ, ჩემმა მეგობარმა ექიმმა, რომელიც ვეფხვზე ნადირობაში მონაწილეობდა, შინ დაბრუნების შემდეგ ყვითელი სითხით სავსე ორუნციანი ბოთლი მაჩუქა და მირჩია ნადირობის დროს ყოველთვის თან მქონოდა ის, რომელსაც წელიწადზე მეტს ვატარებდი სანადირო ქურთუკის შიგნითა ჯიბეში. სითხე ნაწილობრივ აორთქლდა, მაგრამ სამი მეოთხედი მაინც დარჩა. ქალს თავი და ტანი მოვბანე და სითხე სულ დავასხი ჭრილობებზე. ამის შემდეგ დაზიანებული კახი წესრიგში მოვიყვანე, ჭრილობა შევუხვიე, ავიყვანე ხელში დასახიჩრებული და სახლში დავაბინავე. სახლი შედგებოდა ერთადერთი ოთახისაგან, რომელიც ცოლ-ქმარს საცხოვრებლად, სამზარეულოდ და საბავშვო ოთახადაც ჰქონდა გამოყენებული. ქალები თან გამომყვნენ.

სახლის კარებთან, სვეტზე, ჩამოკიდებული იყო კალათა, რომლის მკვიდრი ჩხავილით გვთხოვდა, რომ ეჭმიათ მისთვის. ეს უკვე ისეთ სირთულეს წარმოადგენდა, რომელსაც მე ვერაფერს მოვუხერხებდი, ამიტომ მისი გადაწყვეტა ქალებს მივანდე.

ათი დღის შემდეგ, ჩემი წასვლის წინა დღეს ვეწვიე დაშავებულს და ვნახე სახლის ზღურბლზე იჯდა, ბავშვი ჩაესვა კალთაში. ყველა ჭრილობა, — გარდა ერთისა, კისერზე, სადაც ვეფხვის კლანჭები ღრმად აჩნდა კუნთებზე, — მოშუშებოდა. მან გადაიწია გიშერივით შავი თმა, რომ ეჩვენებინა, როგორ სუფთად შეუხორცდა კანი; ქალი გახარებული იყო, რომ მის უმცროს დას, შეცდომით, თერძის ქვრივისაგან წამოეღო ბლაგვი მაკრატელი (გადაპარსული თმა სიქვრივის ნიშანია). თუ ჩემი მეგობარი ექიმი ოდესმე წაიკითხავს ამ სტრიქონებს, მე სიამოვნებით ვაცნობებ მას, რომ მის მიერ წინდახედულად მოცემული პატარა ბოთლით ყვითელი სითხე დიდად დამეხმარა მეტად სანდომიანი ახალგაზრდა დედის სიცოცხლის გადარჩენაში.

სანამ დაჭრილს ვუვლიდი, ჩემმა ხალხმა მოიყვანა თხა. მე გავყევი ქალის სისხლიან ნაკვალევს, მივედი თავდასხმის ადგილზე და მივაბი ცხოველი ბუჩქზე. შემდეგ ავცოცდი იმ მიდამოში მდგარ ერთადერთ მუხაზე და მოვემზადე ღამის გასათევად.

დაძინება არ შეიძლებოდა დროგამოშვებითაც კი; ჩემი სახუნდარი ცოტათი იყო მიწიდან დაშორებული. ძუ ვეფხვს. ალბათ, ჯერ კიდევ სადილი არ მიერთმია, თუმცა მთელი ღამის განმავლობაში არც არაფერი დამინახავს და არც არაფერი გამიგონია. მეორე დღეს, ადგილის დათვალიერებისას (წინა საღამოს არ მქონდა ამის დრო) გამოვარკვიე, რომ ძუ ვეფხვი ქალზე თავდასხმის შემდეგ, ნახევარ მილზე წასულიყო ზევით, ხევში, იმ ადგილამდე, სადაც ნახირისაგან გატკეპნილი გზა კვეთს მდინარე ნანდხაურს, შემდეგ ვეფხვმა ორი მილი გაიარა ამ ბილიკით დალკანიის ზედა ქედზე, ტყის გზის შესართავამდე. აქ კვალი იკარგებოდა.

შემდგომი ორი დღის განმავლობაში მთელი იმ არემარის სოფლების მცხოვრებლები შიშით კანკალებდნენ და ჩაკეტილი იყვნენ ბინებში, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა სანიტარული მოთხოვნილებანი: მესამე დილას ოთხმა მალემსრბოლმა მომიტანა ცნობა, რომ ვეფხვმა გაიტაცა მსხვერპლი დალკანიას სამხრეთით ხუთ მილზე მდებარე სოფელ

ლოხალიდან. მალემსრბოლები მეუბნებოდნენ, რომ ამ სოფ-ლამდე ტყეზე გავლით მანძილი ათი მილია, პირდაპირ კი ხუთი მილი, აღმითქვეს, რომ ამ მოკლე გზით გამიყვანდნენ. მალე შევიკრიბეთ და ნაშუადღევის შემდეგ ოთხი გამცილებ-ლით გავუდექი გზას.

ძალიან ციცაბო ორმილიანმა აღმართმა მიგვიყვანა დალ-კანიადან სამხრეთით მდებარე გრძელი ქედის თხემზე. აქედან იშლებოდა სამი მილის მანძილზე ძირს მდებარე ველის ხედი, სადაც მკვლელობა მოხდა. გამცილებლებმა ამის შესახებ დაწვრილებით არაფერი იცოდნენ. თვითონ ისინი ცხოვრობ-დნენ პატარა სოფელში, ლოხალიდან ერთი მილის მოშორებ-ით და დილის ათ საათზე გაეგოთ, რომ ვეფხვს ლოხალელი ქალი მოეკლა და რომ აუცილებელი იყო ამ ცნობის გადმო-ცემა ჩემთვის დალკანიაში.

შევჩერდით შიშველი მთის მწვერვალზე. რომელზეც სანამ ვისვენებდით და პაპიროსს ვაბოლებდი, თანამგზავრები მეხ-მარებოდნენ მიდამოების ორიენტირებაში. ჩვენი შესვენების ადგილის ახლო, გადმოშვერილი დიდი კლდის საფარქვეშ იდგა ეკლიანი ბუჩქებით შემოღობილი პატარა, ნახევრად დანგრეული ქოხი, ვიკითხე, რა ქოხია-მეთქი ეს, და მათ მიამ-ბეს ამ ქოხის შემდეგი ისტორია:

ოთხი წლის წინათ ვიღაც „ბხატიას", უცხოქვეყნელს *, რომელიც ზამთარში მთისწინეთის ბაზრებიდან ნედლი შაქ-რის, მარილისა და სხვა ამგვარი საქონლის ტვირთის გადაგ-ზავნას ეწეოდა მაზრის შიგნითა ნაწილებში, აუშენებია ეს ქოხი გზაში ჩასაფერხებლად და ზაფხულის წვიმიან ამინდში თავისი თხების ჯოგის სადგომად. ის ვარაუდობდა სახლის გამოყენებას მომავალი ზამთრის სეზონშიც. რამდენიმე კვი-რის შემდეგ თურმე ამ კაცის თხები ჩამოსულან მთიდან და გაუჩანაგებიათ ადგილობრივი მცხოვრებლების ნათესები, რის გამოც წასულან ამ კაცთან პროტესტის გასაცხადებლად, მაგ-რამ იქ არავინ დახვედრიათ. მწყემსის დიდი ძაღლი კი, რო-მელიც პატრონის კარმიდამოს იცავდა ღამით, მკვდარი ეგდო

* ამ შემთხვევაში ტიბეტელი.

რკინის პალოზე მიბმული. დაიბადა ეჭვი, რომ ბოროტმოქმედება მოხდა. მეორე დღეს ახლომახლო სოფლებიდან შეიკრიბა ხალხი და დაიწყეს ძებნა. ჩვენგან დაახლოებით ოთხასი იარდის მანძილზე მიმითითეს მეხისაგან დამწვარ მუხაზე და მითხრეს, რომ ამ ხის ქვეშ ნახეს უცხოელის ნეშტი: თავის ქალა, ძვლების ნამსხვრევები და მისი ტანსაცმელი. და ეს იყო ჩოუგარის კაციჭამია ვეფხვის პირველი მსხვერპლი.

ჩვენი შეჩერების ადგილიდან ციცაბო ფერდობზე ჩასვლა შეუძლებელი იყო. მეკვლეების სიტყვით ნახევარი მილი უნდა გაგვევლო თხემზე. ჩავსულიყავით ქვევით, მათი სოფლის ახლო, ლოხალამდე მიმავალ ხეობის ძირას მდებარე ძალზე დამრეც და ძნელად სავალ ბილიკზე. ნახევარი გზა თხემზე გავლილი გვქონდა, რომ ერთბაშად, სრულიად უმიზეზოდ, ვიგრძენი, ვიღაც მოგვდევდა. ამ შეგრძნებიდან თავის დაღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, მეორე მხრივ, ამ მიდამოებში მხოლოდ ერთი კაციჭამია იყო, მან უკვე ჩაიგდო ნადავლი ამ ადგილიდან სამ მილზე და, როგორც ჩანს, არ მიუტოვებია. არასასიამოვნო გრძნობა მაინც არ მშორდებოდა, ამიტომ, როცა თხემის ყველაზე განიერ და ბალახით დაფარულ ადგილს მივაღწიეთ, ვუბრძანე ჩემს თანაშემწეებს დაეცადათ ჩემს დაბრუნებამდის. მე კი ადგილის დასაზვერავად წავედი. უკან დაბრუნებისას, როცა იმ წერტილამდე მივაღწიეთ, საიდანაც თხემზე ავედით, შამბნარში შევედი და გულდასმით დავათვალიერე იქაურობა, შემდეგ დავბრუნდი იმ ადგილას. სადაც ჩემი თანამგზავრები დავტოვე. არსაიდან ისმოდა არც ერთი მხეცის ან ფრინველის შეშფოთებული ხმა, რომელიც ვეფხვის სიახლოვეზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ვუბრძანე ყველას წასულიყვნენ წინ, მე კი ჩახმახზე შეყენებული თოფით ჩავდექი არიერგარდში და წამდაუწუმ უკან ვიხედებოდი.

როდესაც მივედით პატარა სოფელში, საიდანაც ჩემი თანამგზავრები იყვნენ, მთხოვეს დავრჩენილიყავი. მე ეს ძალიან გამეხარდა, რადგან გასავლელი გვქონდა კიდევ ხშირ შამბნარში ერთი მილი. მიუხედავად იმისა, რომ შიშმა თითქოს ვიღაც მდევნის, დიდი ხანია გამიარა, უფრო მშვიდად და უშიშრად

ვგრძნობდი თავს, როცა მარტო საკუთარი თავის დაცვა მიხ-
დებოდა. ტერასებად განლაგებულ სოფლის ყანების ცოტა
ქვემოთ ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა, საიდანაც მცხოვრებლე
ბი წყალს იღებდნენ. აქ რბილსა და თიხნარ ნიადაგზე აღმოვა-
ჩინე კაციჭამიას თათების ახალი ანაბეჭდები.

ამ ნაკვალევს სოფლიდან მივყავდი იმ მიმართულებით,
საიდანაც მოვედი. ამ მდგომარეობამ, თუ მხედველობაში მი-
ვიღებთ იმ არასასიამოვნო გრძნობას, რომელიც მე განვიცა-
დე თხემზე, დამარწმუნა, რომ ვეფხვმა ნადავლი რატომღაც
ვერ მოიხელთა და რომ ჩემი ძებნა წარუმატებელი დარჩე-
ბოდა. ჯაგებიდან გამოსვლისას დავინახე ლობალი. სოფელი
შედგებოდა ხუთი თუ ექვსი ქოხისაგან. ერთი მათგანის კა-
რებთან ხალხი შეკრებილიყო.

იმათ შემამჩნიეს ციცაბოდ დაშვებული მინდვრებით რომ
ვუახლოვდებოდი. რამდენიმე კაცი კარებთან მდგარ ჯგუფი-
დან გამოეყო და ჩემს შესასვედრად წამოვიდა. ერთი მათგანი,
მოხუცი, მუხლებზე მომეხვია და ცრემლებით მეევედრებოდა
გადამერჩინა მისი ერთადერთი ქალიშვილის სიცოცხლე. დი-
ლის ათ საათზე გოგონა ხმელი ფიჩხის მოსაგროვებლად წა-
სულიყო, რომ სადილი მოემზადებია. ხევის გასწვრივ პატარა
ნაკადული მიედინებოდა, მოპირდაპირე მხარეს მთა აღმარ-
თულიყო. განაპირა ყანის მიჯნაზე. საბლიდან ორმოცდაათი
იარდის მოშორებით ქალი შეუდგა მუშაობას. ცოტა მოგვია-
ნებით, სხვა ქალებს, რომლებიც მდინარეში სარეცხს რეცხ-
დნენ, ყვირილი შემოესმათ და დაინახეს, როგორ მოიტაცა
ვეფხვმა ქალი და დინების გასწვრივ გადაჭიმულ ხშირ ეკლიან
შამბნარში მიიმალა. ქალებმა მოირბინეს სოფელში და გან-
გაში ატეხეს. დამფრთხალი მცხოვრებლები აღარ ცდილობ-
დნენ მსხვერპლის გადარჩენას. თხოვნა დახმარების შესახებ
ყვირილით აცნობეს ხევის ზემოთ მეზობელ სოფელს, საიდა-
ნაც ოთხი შამაკაცი წამოვიდა ჩემთან. ნახევარი საათის შემ-
დეგ დაჭრილი ქალი მოლასლასდა სახლში. მან თქვა, რომ
ვეფხვი დაინახა იმ მომენტში, როდესაც ის უკვე ნახტომის-
თვის მოემზადა. გაქცევა გვიან იყო. როცა ციცაბო კლდიდან
გადმოვარდნილი ქალი ჯერ კიდევ ჰაერში იმყოფებოდა.

ვეფხვმა მაშინ დაიჭირა, ორივენი ქვევით ჩაგორდნენ. მეტი მას არაფერი ახსოვდა, სანამ გონს არ მოვიდა მდინარის ახლო. ყვირილისათვის ძალა აღარ შესწევდა და ასე მიფორთხდა სოფელში.

მე ვუსმენდი ამ ამბავს, სანამ სახლის კარებამდე მივიდოდით. დამსწრეებს ვუბრძანე არ შემოსულიყვნენ სახლში. გადავხადე ქალს სისხლით დასვრილი ზეწარი. ჯიბეში მქონდა მანგანუმკალიუმის მხოლოდ მცირე მარაგი. მაგრამ ჩემს ადგილას რომ კვალიფიციური ექიმიც ყოფილიყო, ყველა აუცილებელი ინსტრუმენტით, ვფიქრობ, იმასაც კი არ შეეძლო მისი სიცოცხლის გადარჩენა. სახეზე, ყელზე და ტანის სხვა ადგილებში კბილებისა და კლანჭებისაგან მიყენებულმა მძიმე ჭრილობებმა ცხელსა და დახუთულ ოთახში სწრაფად გამოიწვია სეფსისი. ქალის საბედნიეროდ, იგი ნახევრად გონდაკარგული იყო. მოხუცი მამა მე შემომყვა ოთახში უფრო იმისთვის, რომ დამემშვიდებია იგი თუნდაც იმით, რომ კეთდება ყველაფერი, რაც კი შეიძლება. თავზე და ტანზე მოვბანე ქალს მიმხმარი სისხლი და რაც შემეძლო მოვუსუფთავე ჭრილობები ჯიბის დანით და მანგანუმკალიუმის მაგარი ხსნარით.

ფიქრი ბანაკში ჩემს დაბრუნებაზე შეუძლებლად მივიჩნიე: უნდა მომეძებნა ღამის გასათევი თავშესაფარი. ცოტა ზემოთ ნაკადულის გასწვრივ იმ ადგილთან ახლოს, სადაც ქალები სარეცხს რეცხავდნენ, ხარობდა გიგანტური ხე პიპალი*, რომელსაც ქვები ჰქონდა შემოწყობილი. მას იყენებდნენ მცხოვრებლები რელიგიური ცერემონიებისათვის.

გავიხადე ტანსაცმელი ამ ქვის ბაქანზე — იგი სიმაღლით ერთი ფუტი იქნებოდა — და ვიბანავე ნაკადულში. ქარმა გამიწია პირსახოცის მაგივრობა, ტანზე რომ ჩავიცვი, ზურგით ხეს მივეყრდნე, გვერდით მოვიდევი გატენილი თოფი და მოვემზადე ასე ღამის გასათევად. რა თქმა უნდა, ადგილი ამისათვის შეუფერებელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ჯობდა სოფელს და იმ ბნელ დახუთულ ოთახს, სადაც მყრალი სუნი

---

* პიპალი ფიკუსის სახეობაა.

იდგა, ბუზების გუნდს ბზუილი გაჰქონდა და, სადაც მძიმედ დაჭრილი ქალი შეუპოვრად ებრძოდა სიკვდილს.

ღამე ქალების ტირილმა მაუწყა, რომ წამებულის ტანჯვა დასრულდა.

შემთხვევებმა იმ ქალთან და იმ დალკანიელ ქალიშვილთან დამარწმუნა, რომ ბებერი ვეფხვის თავდასხმების წარმატებანი მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმ დახმარებაზე, რომელსაც ახალგაზრდა ვეფხვი უწევდა მას. როგორც წესი, კაციჭამია ვეფხვის ასი თავდასხმიდან, მხოლოდ ერთხელ ხდება, რომ მსხვერპლი დაუსხლტეს მხეცს კლანჭებიდან. ამ კაციჭამიაზე უნდა ვთქვათ, რომ მის მიერ დასახიჩრებულები უფრო ბევრი იყო, ვიდრე დახოცილი. რადგან მახლობელი საავადმყოფო ორმოცდაათი მილით იყო დაშორებული, ნაინიტალში რომ დავბრუნდი, ადმინისტრაციას მივმართე გაეგზავნათ კაციჭამია ვეფხვის მოქმედების რაიონში განლაგებული სოფლების მამასახლისებისათვის სადეზინფექციო მედიკამენტებისა და შესახვევი მასალის მარაგი. როდესაც ხელახლა ვეწვიე ამ ადგილებს, კმაყოფილი დავრჩი, რომ ჩემი თხოვნა შესრულებული იყო და სადეზინფექციო მედიკამენტებმა ბევრ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

შემდეგი კვირა დალკანიაში გავატარე და შაბათს განვაცხადე, რომ ორშაბათს სახლში ვბრუნდები-თქო. თითქმის მთელი თვე დავყავი კაციჭამიას სამფლობელოში და კარვებში ღამის თევის დროს მუდმივმა დაძაბულობამ, მრავალმილიან გზებზე სიარულმა — თანაც იმის შიშმა, რომ ყოველი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო, იმოქმედა ჩემს ნერვებზე. მცხოვრებლებმა ჩემი გადაწყვეტილება წყენით მიიღეს და მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს თხოვნა, როდესაც აღვუთქვი პირველი შესაძლებლობისთანავე დავბრუნდებითქო.

შაბათ დილას, საუზმის შემდეგ, დალკანიის მამასახლისმა მნახა და მთხოვა მოსახლეობისათვის ნადირი მომეკლა. სიამოვნებით დავთანხმდი და ნახევარი საათის შემდეგ ავიღე 275-ყალიბიანი თოფი ვაზნებით, ერთ-ერთი ჩემი მხლებლისა და ოთხი ადგილობრივი მცხოვრების თანხლებით გავეშურე

ბდინარე ნანდხაურის მეორე მხარეზე მთაში, რომლის მწვერვალიდან ხშირად ვხედავდით გორალებს.

ერთ-ერთი ჩემი თანმხლები გლეხი მაღალი, გამხდარი, შეუხედავი კაცი იყო. იგი ჩემი მუდმივი სტუმარი იყო ბანაკში და ყურადღებიანად რომ ვუსმენდი, ისე ხშირად მიამბობდა კაციჭამიასთან თავისი შეხვედრის ისტორიას, რომ შემეძლო ადვილად გამემეორებია ის ძილშიაც კი. ეს შეხვედრა მოხდა ოთხი წლის წინათ. უკეთეს წარმოდგენას მასზე მოგვცემს მისი ნაამბობი.

„ხედავთ, საიბ, მოსახვევში იმ ფიჭვს ბალახით დაფარულ მთის კალთაზე? დიახ ფიჭვს, რომლის აღმოსავლეთით დიდი თეთრი კლდეა აღმართული. მაშასადამე, ამ ბალახით დაფარული ფერდობის ზემოთ ნაპირზე თავს დამესხა კაციჭამია. ბალახოვანი ფერდობი ისე ციცაბოდ ეშვება ძირს, რომ გარდა მთიელისა, ვერავინ ნახავს მასზე ფეხის მოსაკიდებელ წერტილს. ჩემი შვილი — მაშინ იგი რვა წლის იყო — ჩემთან ერთად ბალახს მკიდა იმ დღეს, როდესაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა. თითო იღლია ბალახი მივიტანეთ ტყის ნაპირზე.

მე ფლატეს ნაპირზე ვიდექი და ბალახის დიდ კონას ვკრავდი, რომ ვეფხვი შემახტა და ჩამასო კბილები — ერთი მარჯვენა თვალის ქვემოთ, მეორე ნიკაპში, ორი დანარჩენი — აი, ამ ადგილას კისრის უკანა მხარეზე. ვეფხვმა ძლიერ მიბიძგა დრუნჩით, მე გულაღმა დავვარდი, ვეფხვი კი მკერდით დამაწვა მკერდზე. მისი მუცელი ჩემ ფეხებ შორის იყო. ზურგზე დაცემისას გავჭიმე ხელები და მარჯვენა ხელით ახალგაზრდა მუხას ჩავეჭიდე. იმ მომენტში, როცა თითებით ვებღაუჭებოდი, თავში მომივიდა აზრი: ფეხები თავისუფალი მაქვს, თუ შევძელი მათი აწევა და ვეფხვის მუცელზე მიჭერა, შევძლებდი მხეცის გადაგდებას და გაქცევას. საშინელ ტკივილებს ვგრძნობდი, ვეფხვმა სახის მარჯვენა მხრის ძვლები რომ დამიმსხვრია. მაგრამ გონება არ დამიკარგავს, საიბ, იმიტომ, რომ მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და მთელ ჩვენს მთებში ვერავინ შემედრებოდა ძალ-ღონით. ვეფხვში რომ ეჭვი არ აღმეძრა, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ავწიე ფე-

ხები ვეფხვის ორივე გვერდისკენ და შიშველი ფეხისგულები მხეცის მუცელს მივაჭირე. შემდეგ მარცხენა ხელით ვეფხვის მკერდს, რაც ძალა და ღონე მქონდა, ვუბიძგე და გადავაგდე. რადგან ჩვენ შვეული კლდის ზედ ნაპირზე ვიმყოფებოდით, ვეფხვი დაგორდა ქვევით და მეც თან ჩამითრევდა, რომ მაგრად არ ჩავჭიდებოდი ხეს.

ჩემი ბიჭი ისე იყო შეშინებული, რომ გაქცევაც ვერ მოეხერხებინა. ვეფხვი რომ მიიმალა, გავხადე შვილს თეთრეული, შევიხვიე თავი და შემდეგ ბავშვზე ხელჩაკიდებული წავედი სოფელში. სახლში მისვლისას ცოლს ვუთხარი, ჩემს მეგობრებს დაუძახე-თქო: სიკვდილის წინ მინდოდა მენახა მათი სახეები. როცა მეგობრები მოვიდნენ და მნახეს ასეთ დღეში, მოინდომეს ჩემი დადება ჯალამბარზე და ორმოცდაათი მილის მანძილზე ალმორას საავადმყოფოში წაყვანა. ძე არ დავეთანხმე, რადგან ძალიან ვიტანჯებოდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ სიკვდილი კარზე იყო მომდგარი. სიკვდილი კი სამშობლოში მინდოდა. მოიტანეს წყალი — წყურვილი მტანჯავდა, თავი ისე მეწვოდა, თითქოს ცეცხლი მიკიდიაო. მაგრამ როცა პირში წყალი ჩამასხეს, იგი ყელში მიყენებული ჭრილობებიდან გარეთ გამოვიდა. შემდეგ დიდხანს ვიყავი გონებაარეული, თავი და კისერი ძალიან მტკიოდა. და როცა სიკვდილს მოვუხმე, ტანჯვისაგან გავეთავისუფლებინე, ჭრილობები მომიშუშდა და გამოვჯანმრთელდი.

და ახლა, საიბ, როგორც თქვენ ხედავთ, მე მოვხუცდი, გავხდი და გავჭაღარავდი, სახეზე ვერავინ შემხედავს ზიზღის გარეშე — ჩემი მტერი კი ცოცხლობს და თარეშობს. მაგრამ არ შეცდეთ, ის ვეფხვად არ ჩათვალოთ. ის ვეფხვი კი არა ბოროტი სულია, რომელიც მხოლოდ დროებით ღებულობს ვეფხვის სახეს, როცა ადამიანის სისხლი და ხორცი მოუნდება. მაგრამ ამბობენ, საიბ, რომ თქვენ ხართ სადხუ *, სადხუს მფარველი სულები კი გაცილებით უფრო ძლიერნი არიან ამ ბოროტ სულზე. ეს დამტკიცებულია იმით, რომ თქვენ მარტომ გაატარეთ ჯუნგლებში სამი დღე და ღამე და იქიდან მთე-

* სადხუ — წმინდანი.

ლი და უვნებელი დაბრუნდით. თქვენი ხალხი კი ამბობს, რომ სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყოო“.

ამ ზორბა კაცის ფიგურას რომ ვხედავდი, ადვილად შეიძლებოდა დაგეჯერებიათ, რომ ის ნამდვილი გოლიათი იყო. მართლა განსაკუთრებული ძალ-ღონის პატრონი უნდა იყო, რომ შეძლო ძუ ვეფხვის ჰაერში აწევა, აიძულო ის გაუშვას პირი წავლებულ თავს (ამ დროს კინაღამ თითქმის ნახევარი სახე ააგლიჯა), გადაუძახო ციცაბო კლდიდან.

ჩემმა მეგობარმა დახმარება შემომთავაზა როგორც მეგზურმა და საუცხოოდ გალესილი გრძელტარიანი ნაჯახით მხარზე, წაგვიყვანა დაკლაკნილი ბილიკებით ქვევით მდებარე ხევში. გავედით მდინარე ნანდხაურას ფონზე — გადავკვეთეთ კაციჭამიას შიშით მიტოვებული შვერილებად განლაგებული რამდენიმე ყანა, მივაღწიეთ მთის ძირს და შევუდექით მასზე ასვლას. ძალიან ციცაბო მთის ფერდობი ქვევით ტყით, ზევით კი მდელოებით დაფარული აღმოჩნდა. ჩემი მეგობარი დაღლილი იყო, მაგრამ ჩქარი სიარული არ შეუნელებია: ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი მას, მაგრამ მალ-მალე ვისვენებდი და იმავე დროს პეიზაჟით ვტკბებოდი.

ტყიდან გამოსვლის შემდეგ გავიარეთ ბალახით დაფარული კლდის ფერდობის გასწვრივ, რომელიც ათას ფუტზე მეტი სიმაღლიდან დაჰყურებდა ქვევით გაშლილ არემარეს. ზოგ ადგილას ჩემი კარვიდან დაბალი ბალახით დაფარულ კლდეზე მე ვხედავდი მობალახე გორალებს. კიდევ გავიარეთ რამდენიმე ასეული იარდი, რომ ერთი გორალი გამოხტა ხევიდან, ჩემი გასროლის შემდეგ წაიქცა და ისევ გაქრა თვალთაგან. ამ გასროლით შეშფოთებული მეორე გორალი, რომელსაც, როგორც ჩანს, კლდის ძირში ეძინა, წამოხტა და ისეთი სისწრაფით აირბინა კლდის კალთა, რომლითაც შეიძლება შეედაროს მას მხოლოდ მისი ახლობელი ნათესავი — ტარი*. გორალი ზევით რომ ადიოდა, მე თოფი მივიყრდნე, გავასწორე მიზანი ორას იარდზე და დაველოდე, სანამ ნადირი გაჩერდებოდა.

---

* ტარი — მთის თხის ერთ-ერთი სახეობა.

კლდის მწვერვალზე რომ ავიდა, შეჩერდა. რათა გადმოეხედა ქვევით ჩვენსკენ. ჩემი გასროლის შემდეგ გორალი წაბარბაცდა, მაგრამ არ წაიქცა და ნელა განაგრძო ასვლა. მეორე გასროლის შემდეგ ის დაეცა, ერთი-ორ წამს შეჩერდა ვიწრო ლავგარდანზე და შემდეგ ჩაგორდა ბალახით დაფარულ ფერდობზე იმ ადგილას, საიდანაც პირველად გამოჩნდა. მიწაზე დავარდნისას ის სულ ქვევით და ქვევით ჩაგორდა ჩვენგან ას იარდზე და, ბოლოს, პირუტყვის მიერ გატკეპნილ ბილიკზე დაეცა ჩვენს ქვემოთ, ას ორმოცდაათი იარდის მოშორებით.

მთელი ჩემი მონადირეობის წლებში მხოლოდ ერთხელ ვიყავი მოწმე ისეთი სურათისა, როგორიც ვიხილე თითქმის იმავე წამში. ახლა მოქმედი პირი იყო ავაზა.

როგორც კი მოკლულმა გორალმა შეწყვიტა მოძრაობა, კლდის ფერდობზე მოპირდაპირე მხარეს ხრამიდან ამოვიდა ჰიმალაის დიდი დათვი და უკან მოუხედავად სწრაფად გაიქცა ბილიკზე. იგი მივიდა მოკლულ გორალთან, დაჯდა, დაავლო პირი და შემდეგ უყნოსა. დაუყოვნებლივ ვესროლე თოფი, შეიძლება ავჩქარდი ან სწორად ვერ განვსაზღვრე მანძილი. ყოველ შემთხვევაში, ტყვიამ ჩაუქროლა ძალიან დაბლა და მოხვდა დათვს მუცელში, და არა გულში. ჩვენ, ექვს მაყურებელს, მოგვეჩვენა, რომ დათვმა ტყვიის მოხვედრა მიაწერა გორალის თავდასხმას. იგი შეშფოთებული ბურტყუნით დაეშვა ქვევით ბილიკზე. ას იარდზე იქნებოდა ჩვენგან ქვევით, რომ მეხუთე და უკანასკნელი ტყვია გავისროლე. ამ ტყვიამ, როგორც შემდეგ გამოვარკვიე, ტანის უკანა ნაწილში გაუარა.

ჩემი ხალხი იმ ორი გორალისაკენ წავიდა, მე კი გავეშურე სისხლიანი ნაკვალევის დასათვალიერებლად. სისხლის მიხედვით დათვი მძიმედ უნდა ყოფილიყო დაჭრილი, მაგრამ მისი დევნა ცარიელი თოფით საშიში იყო, დათვები მათთვის ხელსაყრელ პირობებშიც კი ამჟღავნებენ საძაგელ ხასიათს, დაჭრილები მეტად საშიში და დაუნდობელი არიან.

როდესაც ჩვენები დაბრუნდნენ, მოვაწყვეთ მოკლე სამხედრო თათბირი: ბანაკი ჩვენგან სამნახევარი მილით იყო მოშორებული და რადგან უკვე ნაშუადღევის ორი საათი იქ-

ნებოდა, — არ გვეყოფოდა დრო ბანაკში საბრძოლო მასალის წამოსაღებად, შემდეგ ნაკვალევის გასაყოლად, დათვის მოსაკლავად და დაღამებამდე ბანაკში დასაბრუნებლად. ამიტომ მივიღეთ ერთსულოვანი გადაწყვეტილება, ახლავე დაგვეწყო დათვის დევნა და ბოლო მოგვეღო მისთვის ნაჯახითა და ქვებით.

მთა ციცაბო და შიშველი იყო. რომ მოგვეხერხებია მხეცის ზევით ამოტყუება, მაშინ, ალბათ, მოგვეცემოდა საშუალება ჩვენი ამოცანის განსახორციელებლად. გავეშურეთ — მე წინ მივდიოდი, ჩემს შემდეგ მოდიოდა სამი კაცი, უკან კი ზურგზე გორალებაკიდებული დანარჩენი ორი მოდიოდა. ორასი იარდის შემდეგ სისხლიანმა ნაკვალევმა ღრმა ხევში შეგვიყვანა. აქ ორად გავიყავით: ორი კაცი გადავიდა ხევის უფრო მოშორებულ მხარეს, მე და ნაჯახის პატრონი შევჩერდით. ჩემს ნიშანზე ყველა დავეშვით ქვევით, ხევის ძირში. ჩვენგან ორმოცდაათი იარდის მოშორებით ხარობდა ქონდარა ბამბუკის ხშირი რაყა; როცა იქ ქვა გადავისროლეთ, იქიდან მძვინვარე ღრენით დათვი გამოვარდა. ექვსმა კაცმა მთელი ძალ-ღონით მოკურცხლა ზევით ფერდობზე, მე შეუჩვეველი ვიყავი ასეთ ვარჯიშს; ქვევით გადავიხედე, გამეგო, ხომ არ მეწეოდა დათვი, მაგრამ დავმშვიდდი, როცა დავინახე, რომ იგი იმავე სისწრაფით გარბოდა ქვევით, როგორც ჩვენ ზევით. მე დავუძახე ჩემს თანამგზავრებს; სამმა ჩვენგანმა შევცვალეთ მიმართულება და ხმამაღალი ყვირილით დავედევნეთ მხეცს. ხალხის მხიარული შეძახილები და დათვის შეშფოთებული ღრენა იმას მოწმობდა, რომ ქვები რამდენჯერმე მიზანში მოვახვედრეთ. ხევის მოსახვევს იქით, რომელსაც ფრთხილად უნდა მივახლოვებოდით, მხედველობიდან დავკარგეთ დათვი.

ამ ადგილამდე სისხლიან ნაკვალევზე იოლად მივედით, მაგრამ აქ ხევი ამოვსებული იყო დიდი ქვებით, რომლის უკან შეეძლო დათვს ჩასაფრება. გორალებით დატვირთულნი დასხდნენ დასასვენებლად, ჩვენ კი, ხევის ორივე კალთის ქვებით ახალი დაბომბვა დავიწყეთ. შემდეგ ჩემი თანამგზავრები წავიდნენ ხევის დასათვალიერებლად, მე გავემართე

მარჯვნივ, ციცაბო კლდისკენ, რომელ'საც ორასი ფუტის სიღრმის ფლატე ჰქონდა. ჩავეჭიდე ხეს, გადავიხედე ფლატეში და დავინახე, რომ ორმოცი ფუტით ჩემს ქვევით, ვიწრო შვერილზე წევს დათვი. დაეტაცე ხელი დაახლოებით ოცდაათი გირვანქის წონის ქვას, მივუახლოვდი კლდის ნაპირს, გამორიცხული არ იყო გადავარდნის შიშიც, ავმართე ორივე ხელი თავს ზევით და ვესროლე.

ქვა მოხვდა შვერილს რამდენიმე დუიმით ღათვის თავიდან, იგი ფეხზე წამოხტა და გაუჩინარდა. ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა მთის ფერდობზე, ნადირობა გრძელდებოდა. ადგილი აქ უფრო გაშლილი და ქვებით ნაკლებად ჩახერგილი იყო.

ჩვენ, ოთხივე კარგი მორბენალი ვიყავით — დათვს არ ჩამოვრჩებოდით, ამგვარად, უკიდურესი სისწრაფით გავირბინეთ მილზე მეტი, გავცდით ტყეს და აღმოვჩნდით შვერილებად განლაგებულ ველებში. წვიმის წყალს ველებში რამდენიმე ღრმა და ვიწრო ნაღვარევი წარმოექმნა. ერთ მათგანს შეაფარა დათვმა თავი.

ჩვენგან მხოლოდ სახედასახიჩრებულ კაცს ჰქონდა იარაღი; მას ერთხმად მიანდვეს დათვის მოკვლა. იგი ფრთხილად მივიდა, აღმართა თავისი პირბასრი ნაჯახი და ყუით დაარტყა თავში დათვს. შედეგი მოულოდნელი და გასაოცებელი იყო. ნაჯახი ისე ასხლტა დათვის თავის ქალაზე, თითქოს რეზინს მოხვედროდეს. გაშმაგებული ღრიალით დადგა მხეცი უკანა ფეხებზე. საბედნიეროდ, სანამ ჩვენ შეჯგუფებული ვიდექით, მან არ ისარგებლა თავისი უპირატესობით და ამასობაში ჩვენც მოვასწარით სხვადასხვა მხარეს გაფანტვა.

როგორც ჩანს, დათვს არ მოსწონდა გაშლილი ადგილი, გაიარა მცირე მანძილი და ისევ ჩაწვა ნაღვარევში. ახლა ნაჯახით მოქმედების ჩემი ჯერი დადგა. დათვს კარგად ესმოდა ჩემი მიახლოების მნიშვნელობა. მხოლოდ, ხანგრძლივი მანევრების შემდეგ შევძელი მივახლოვებოდი მას დარტყმის შესაძლებლობის მანძილზე. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ოცნებობდი კანადაში ტყისმჭრელად გახდომაზე და ისე გავიწაფე ნაჯახის ხმარების საქმეში, რომ შემეძლო ასანთის ღერი გა-

მეპო შუაზე. ამიტომ, როგორც ნაჯახის კარგი მხმარებელი, არ ვშიშობდი, რომ ავაცდენდი დათვს და ქვაზე გავაფუქებდი ნაჯახს. მომენტი შევურჩიე და ნაჯახის პირი ჩავასვე დათვის თავის ქალაში.

ჰიმალაის დათვების ტყავი მეტად ძვირფასია. როდესაც ნაჯახის პატრონს ვუთხარი დათვის ტყავი და დამატებით გორალის ხორცის ორმაგი ულუფა შენ გეკუთვნის-თქო, მან ეს თავმომწონედ მიიღო, დანარჩენ თანამგზავრებში კი ამან, ცოტა არ იყოს, შური გამოიწვია. ხალხს მივეცი საშუალება — მათი რიცხვი სასწრაფოდ იზრდებოდა სოფლიდან მოსულების ანგარიშზე — გაეტყავებიათ და გაეყოთ ნადავლი. მე კი სოფელში ავედი და, როგორც უკვე ვთქვი, უკანასკნელად ვინახულე დაჭრილი ქალი. დღე ძალზე მომქანცველი იყო და იმ ღამეს რომ კაციჭამია გამოჩენილიყო, მას შეეძლო ჩემი მოტაცება თვალის დახამხამებაში.

იმ გზაზე, რომლითაც ვაპირებდი წასვლას დალკანიაში, უტყეო მთებში რამდენიმე გრძელი ციცაბო აღმართი იყო. როცა ამ უხერხულობაზე მივუთითე სოფლის მცხოვრებლებს, მათ მირჩიეს უკან დავბრუნებულიყავი ხაირაკხანის გზით. ამ გზაზე სოფლის ზევით იყო თხემზე ასასვლელი მხოლოდ ერთი აღმართი. შემდეგ კი გზა სულ თავქვე ეშვებოდა რანიბაგამდე, იქ შემეძლო ნაინი-ტალში მიმავალ მატარებელში ჩავმჯდარიყავი.

ჯერ კიდევ წინადღით გავაფრთხილე ყველა, რომ უნდა მოვმზადებულიყავით დილით ადრე გასასვლელად. მზის ამოსვლამდე დავემშვიდობე მეგობრებს დალკანიაში და შევუდექით ორმილიან აღმართს ტყეში მთის თხემზე. პირადად მე მივდიოდი მეორე ბილიკით, რომლითაც გლეხები დადიოდნენ მთისწინეთის ბაზარში.

დაკლაკნილი ბილიკი გადიოდა ტყესა და ხშირ შამბნარში, იგი ხან ხევში ეშვებოდა და ხან იქიდან გამოდიოდა. მთელი კვირა გავიდა და არაფერი ვიცოდი ძუ ვეფხვის შესახებ. ცნობების უქონლობა მაიძულებდა განსაკუთრებული სიფრთხილით მოვქცეულიყავი. ერთ საათში ბანაკიდან გამოსვლის შემდეგ მშვიდობით გავედი ღია ადგილზე მთის მწვერვალის ახლო.

ამ ღია ადგილს მსხლისებრი ფორმა ჰქონდა, რომელიც სიგრძით ასი იარდი იქნებოდა, სიგანით კი ორმოცდაათი; შუაგულში წვიმის წყალი იყო დაგუბებული. სამბარი* და სხვა ცხოველები ამ წუმპედან სვამდნენ წყალს, აქვე ჰქონდათ ბუნაგიც. ნაკვალევით დაინტერესებულმა, დავტოვე ბილიკი. იგი გადიოდა მინდვრის განაპირას და იმ გზის ახლო, რომლის თავზე კლდე იყო გადმოკიდებული. გუბის ნაპირის რბილ ნიადაგზე ძუ ვეფხვის ნაკვალევი შევამჩნიე. როგორც ჩანდა, იგი მოსულიყო გუბესთან იმავე გზით და ჩემს მიერ დამფრთხალი, გასულიყო გუბეში და ჯაგნარში შეეფარებინა თავი მინდვრის მარჯვენა მხარეზე. ისეთივე ყურადღებით რომ მედევნებია თვალი წინ, როგორც უკან, მე უფრო ადრე შევნიშნავდი ძუ ვეფხვს, ვიდრე ის დამინახავდა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობა ხელიდან გავუშვი, ყველა უპირატესობა მაინც ჩემს მხარეზე იყო.

ძუ ვეფხვმა დამინახა, თორემ არ გავიდოდა იგი გუბეში და ისე ჩქარა არ მიიმალებოდა, როგორც ეს მისმა ნაკვალევმა მიჩვენა. თვალს რომ მადევნებდა მოფარებული ადგილიდან (ამაში ეჭვი არ მეპარებოდა), ვეფხვი ვარაუდობდა, რომ მეც გუბესთან მივიდოდი წყლის დასალევად. ჩემი მოქმედება აქამდე ბუნებრივად უნდა მოჩვენებოდა და თუ მე მას როგორმე მივახვედრებდი, რომ მისი აქ ყოფნა არ შემიმჩნევია, შესაძლებელია ნაკლები სიფრთხილე გამოეჩინა. შევდექი და ქუდის ფარფლებიდან ყურადღებით მიმოვიხედე, რამდენჯერმე ჩავახველე, წყალი ავაჭყაპუნე, შემდეგ ნელა წავედი, თან გზაში ხმელ ფიჩხს ვაგროვებდი და მივადექი ციცაბო კლდის ძირს. აქ დავანთე პატარა კოცონი, ზურგით კლდისაკენ დავჯექი და პაპიროსი შევახვიე.

სანამ პაპიროსს ვეწეოდი, კოცონიც ჩაქრა. მაშინ დავწექი, თავქვეშ მარცხენა ხელი ამოვიდე, თოფი მიწაზე დავდე, თითი კი ჩახმახზე მქონდა დადებული.

ჩემს თავზე ციცაბო მთა აღმართულიყო. მაშასადამე, მე უნდა დამეცვა მხოლოდ ჩემი ფრონტი და, რადგან ხშირი

---

* სამბარი — ირემი.

მცენარეულობა ჩემგან ოც იარდზე ახლო არ იყო, ამიტომ საფრთხე არ მომელოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერი დამინახავს და არაფერი გამიგონია. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვეფხვი თვალს მადევნებდა, ფარფლებიანი ქუდი თვალებს მიჩრდილავდა, მაგრამ დაკვირვებას არ მიშლიდა და სანამდეც კი თვალი მიმიწვდებოდა, მიწის ყოველ მტკაველს ყურადღებით ვათვალიერებდი. ოდნავი ნიავიც კი არ იძროდა, არ ირხეოდა არც ერთი ფოთოლი, არც ერთი ბალახის ღერო. ჩემი ხალხი შეიძლება გამოჩენილიყო ერთი ან საათნახევრის შემდეგ; მე მათ დავავალე არ დაშორებოდნენ ერთმანეთს და როგორც კი ბანაკიდან გამოვიდოდნენ, ემღერათ მანამ, სანამ ტყის გზაზე არ შემომიერთდებოდნენ. უფრო მეტად მოსალოდნელი იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში ვეფხვი ეცდებოდა თავშესაფრიდან გამოსვლას და ქურდულად მოპარვას ან თავდასხმას.

ხდება ხოლმე, რომ დრო ხან ძალიან გაჭიანურდება და ხანაც კი, არაჩვეულებრივი სისწრაფით გარბის. მარცხენა ხელი, რომელზეც თავი მქონდა დაყრდნობილი, მთლად დაშიბუქდა, მაგრამ ამავე დროს მომეჩვენა, რომ, ქვევით, ხალხის სიმღერა ძალზე ნაადრევად გაისმა. ხმები სულ თანდათან ძლიერდებოდა. ახლა მე ვხედავდი ჩემი თანამგზავრები როგორ გამოდიოდნენ მოსახვევიდან, შეიძლება ამ მოსახვევთან დამინახა სწორედ ვეფხვმა წყურვილმოკლული რომ ბრუნდებოდა. მეორე წარუმატებლობა: ამ ნადირობის დროს შექმნილი უკანასკნელი ხელსაყრელი შემთხვევაც ხელიდან იქნა გაშვებული.

მოსულებმა რომ შეისვენეს, კვლავ განვაგრძეთ ოცმილიანი გზა ტყის ჯიხურისაკენ ხაირაკხანის მიმართულებით და, ჩვენდა გასაოცებლად, ძალიან გრძელი მოგვეჩვენა იგი. ორასი იარდის მანძილზე გაშლილ ადგილებზე, გავლის შემდეგ გზა შედიოდა ხშირ ტყეში. ხალხს ვუბრძანე წინ წასულიყვნენ, მე კი ზურგს ვიცავდი. ასე გავიარეთ ორი მილი, მოსახვევს იქით კი დავინახეთ გზის პირას ჩამჯდარი კაცი, რომელიც კამეჩებს აძოვებდა. დრო იყო საუზმისათვის შეგვესვენებია. მე ეკითხე მწყემსს, სად შეიძლებოდა წყლის შოვნა, მან პირდაპირ გო-

რაკზე მიმითითა და მითხრა, რომ იქ არის წყარო, რომლითაც სარგებლობენ მისივე სოფლის მცხოვრებლები. მთიდან ქვევით წყლისათვის ჩასვლა აღარ იყო საჭირო, რადგან ცოტა მოშორებით გზის პირას მეორე კარგი წყარო აღმოვაჩინეთ.

სოფელი, სადაც მწყემსი ცხოვრობდა, მდებარეობდა იმ ხევის ზედა კუთხეში, სადაც გასულ კვირას მოკლულ იქნა ქალი ლოხალიდან. მწყემსმა თქვა, რომ მას შემდეგ ვეფხვზე არაფერი გაუგონიათ და დაუმატა, მხეცი ნამდვილად ახლა მაზრის მეორე ბოლოში იმყოფებაო. ის დავარწმუნე ამ აზრის მცდარობაში, როცა ვუამბე ჩემს მიერ ნახული ახალი ნაკვალევის შესახებ გუბესთან და ვურჩიე ჩქარა მოეგროვებია კამეჩები და სოფელში დაბრუნებულიყო. კამეჩები. ათი სული მაინც იქნებოდა — გზის პირას გაფანტულიყვნენ. მან გამიცხადა, რომ დაუყოვნებლივ წავა, როგორც კი თავს მოიყრიან იმ ადგილას, სადაც ის იჯდა. პაპიროსი ბევეი, უკანასკნელად გავაფრთხილე და დავშორდი. თუ რა მოხდა ჩემ წასვლის შემდეგ, მიამბეს ამ სოფლის მცხოვრებლებმა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ვინახულე ეს მაზრა. საღამოს რომ დაბრუნდა, მწყემსმა უამბო შეკრებილ მცხოვრებლებს ჩვენი შეხვედრისა და ჩემს მიერ მიცემული გაფრთხილებების შესახებ. თურმე, როგორც კი მე თვალს მივფარებივარ გზის მოსახვევში, მას დაუწყია ჩემი მიცემული პაპიროსის წევა. ქარი რომ ამოვარდნილა, მწყემსი დახრილა, რომ ცეცხლი არ ჩაქრობოდა. ამ მდგომარეობაში დააფრინდა მას ვეფხვი მარჯვენა ბეჭში და წააქცია. განწირული მოგვიხმობდა ჩვენ საშველად, მაგრამ, საუბედუროდ, არ გაგვიგონია მისი ყვირილი დახმარების შესახებ. თუმცა ადგილზევე დაეხმარნენ, როგორც კი გაიგონეს მისი ყვირილი და ვეფხვის ღრიალი, კამეჩები გამოცვივდნენ გზაზე და გააქციეს კაციჭამია. მწყემსს მოტეხილი ჰქონდა ბეჭი და ხელი; დიდი გაჭირვებით შეძლო მან თავისი მხსნელის კამეჩის ზურგზე ასვლა და ჯოგის თანხლებით სახლში დაბრუნება. გლეხებმა, როგორც შესძლეს, ისე შეუხვიეს მწყემსს ჭრილობები და დაუყოვნებლივ წაიყვანეს ის ორმოცი მილის მანძილზე — ხალდვანის საავადმყოფოში, სადაც მალე გარდაიცვალა.

როცა ატროპა* სიცოცხლის ერთ ძაფს სჭრის, მეორეს კი უშვებს ისე, რომ არ იცის, რატომ გაუშვა მან ერთი ძაფი და გადაჭრა მეორე, ჩვენ ამას ბედისწერას ვუწოდებთ.

მთელი თვე გავატარე ღია კარავში ასი იარდის მოშორებით მახლობელ ადამიანთაგან და მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე დავეხეტებოდი ჯუნგლებში. რამდენჯერმე ქალურად გადავიცვი და ბალახს ვმკიდი იმ ადგილებში, სადაც ვერ ბედავდნენ შესვლას ადგილობრივი მცხოვრებლები. კაციჭამიამ ნამდვილად გაუშვა რამდენიმე შესაძლებლობა, მიემატებინა ჩემი თავი თავის ტროფეისათვის და ახლა, უკანასკნელი ცდის დროს, სრულიად შემთხვევით შეხვდა და იმსხვერპლა ის უბედური კაცი.

* * *

თებერვალში დავბრუნდი დალკანიაში. ვეფხვს რამდენიმე კაცი მოეკლა და კიდევ უფრო მეტი დაეჭრა მას შემდეგ, რაც ეს მაზრა დავტოვე გასულ ზაფხულში, და მოხდა ეს ერთი მეორისაგან ძალიან დაშორებულ სხვადასხვა ადგილებში. რადგანაც ვეფხვის ადგილსამყოფელი არ იყო ცნობილი და მასთან შეხვედრის შესაძლებლობა ერთნაირი იყო, გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი უკვე ჩემთვის ცნობილ ადგილებში და იქ დავბანაკებულიყავი.

დალკანიაში მაცნობეს, რომ წინა საღამოს მთაში, სადაც დათვზე ნადირობდნენ, მოკლულ იქნა ძროხა. ხალხი, რომელიც პირუტყვს მწყემსავდა, ამტკიცებდა, რომ მათ თვალწინ ძროხის მკვლელი იყო ვეფხვი. მოკლული ძროხა ეგდო მიტოვებული ველის ნაპირზე, ბუჩქების ახლო და კარგად ჩანდა იმ ადგილიდან, სადაც ჩემი კარავი იყო გაშლილი. ის ამბავი, რომ ძროხა გაშლილ ადგილას ეგდო და მის ლეშს დასეოდნენ გრიფები, საბაბს მაძლევდა დამესკვნა, რომ იგი

---

* ატროპა ძველბერძნულ მითოლოგიაში არის ადამიანთა ბედისწერის ერთი. ატროპა (გარდაუვალი) მოუვლენს ადამიანს სიკვდილს სიცოცხლის ძაფის გადაჭრის საშუალებით.

მოკლულია ავაზას მიერ და რომ ავაზა წევს თავისი ნადავლის ახლოს. გაუვალი ჯაგნარის და ხრამების გამო მიძნელდებოდა მისვლა ღია ნაკვეთზე, რადგან მსეცი სადღაც ახლო დაეხეტებოდა.

მარჯვნივ, ბალახით დაფარული დაღმართი იმდენად გაშლილი იყო, რომ ჩემი მიახლოება ძროხასთან შეიძლება შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო. ტყით დაფარული ღრმა ხევი, რომელიც თითქმის მთის მწვერვალიდან იწყებოდა და ეშვებოდა მდინარე ნანდხაურამდე, ახლო მანძილზე უდგებოდა მოკლულ ცხოველს. ხევის ნაპირას იდგა ხე და ამ ხეზე ისხდნენ გრიფები. გადავწყვიტე მივდგომოდი ამ ხევიდან. მისადგომი გეგმა გლეხებთან ერთად მოვიფიქრე, რადგან მათ იცოდნენ აქ ადგილის ყოველი ფუტი. მზე უკვე გადაწვერილი იყო, მაგრამ ჩქარი სიარულის გამო კიდევ მრჩებოდა დრო მივსულიყავი მოკლულ ძროხასთან და დავბრუნებულიყავი უკან ბანაკში დაღამებამდე.

წასვლის წინ ჩემს თანამგზავრებს დავუბარე, რომ მზად ყოფილიყვნენ. თუ ისინი თოფის გასროლის ხმას გაიგონებდნენ და დამინახავდნენ ძროხის ახლო ღია ადგილას, სამი თუ ოთხი კაცი დაუყოვნებლივ უნდა წამოსულიყო ბანაკიდან, გაშლილ ადგილს გამოყოლოდა და ჩემთან მოსულიყო. თუ გასროლა არ იქნებოდა და მეც დილაზე ვერ დავბრუნდებოდი, მაშინ ძებნა უნდა დაეწყოთ.

ხრამი გაბარდული იყო მაყვლის ბუჩქებით და ჩახერგილი ქვის დიდი ლოდებით. ქარი უბერავდა მწვერვალიდან და აფერხებდა წინსვლას. ციცაბო აღმართის შემდეგ, როგორც იქნა, მივაღწიე ხეს, რომელზეც გრიფები ისხდნენ, მაგრამ ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ამ ადგილიდან ძროხა არ ჩანდა. მიტოვებული ველი — დურბინდში მას სრულიად სწორი მოხაზულობა ჰქონდა — სინამდვილეში ნახევარ მთვარეს ჰგავდა. შუაში, ყველაზე განიერ ადგილას, დაახლოებით ათი იარდი იქნებოდა და ორივე ბოლო კი თანდათანობით ვიწროვდებოდა. მას ირგვლივ ხშირი ბუჩქნარი ეკრა. ახლო მხარეზე ციცაბოზე ეშვებოდა მთა. იმ ადგილიდან, სადაც მე ვიდექი, ველის ძხოლოდ ორი მესამედი მოჩანდა, და რომ

თვალი მედევნებია დანარჩენი ერთი მესამედისთვის, რომელზეც მოკლული ძროხა ეგდო, ან შორიდან უნდა შემომევლო და მოპირდაპირე მხრიდან მივსულიყავი, ან იმ ხეზე ავსულიყავი, რომელზედაც გრიფები ისხდნენ.

ვარჩიე უკანასკნელი. როგორც გავარკვიე, ძროხა ეგდო ხიდან ოცი იარდის მოშორებით, და აღვილი შესაძლებელი იყო რომ მისი მკვლელი მხეცი იმყოფებოდა ჩემგან უფრო ახლო მანძილზე. ხეზე ავსულიყავი ისე, რომ არ დამეფრთხო მხეცი, შეუძლებელი იყო, რადგან ზედ ოცამდე გრიფი იჯდა. მათი რიცხვი თანდათან მატულობდა. რადგან ზედა ტოტებზე ადგილი ცოტა იყო, ფრინველები ფრთებს აბარტყუნებდნენ და ანჩხლობდნენ. ხე გადმოწოლილი იყო ფერდობზე, დაახლოებით მიწიდან ათი ფუტის სიმაღლეზე. ხეზე გამოიყოფოდა დიდი ტოტი. მასზე დადგომა თოფით დიდი გაჭირვებით მოვახერხე. დაველოდე გრიფების ხელახლა გამართულ ჩხუბს და გავედი ამ ტოტზე, თან ძლივს ვინარჩუნებდი წონასწორობას. ამ დროს რომ ფეხი დამცდენოდა ან არასწორი ნაბიჯი გადამედგა, ძირს დავვარდებოდი და აუცილებლად დავიმტვრეოდი. როგორც იქნა ორკაპამდე მიეაღწიე და დავჯექი.

აქედან კარგად ვხედავდი ძროხას. მხეცს მხოლოდ კბილი გაეკრა მისი ხორცისათვის. ათი წუთის ჯდომის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემი ადგილი არც ისე კომფორტაბელურია. ამ დროს ორი გრიფი დაფრინავდა ჩემს გარშემო და დარწმუნებულნი, თუ როგორი მიღება ექნებოდათ მათ ხეზე, ამჯობინეს მიწაზე ძროხის ახლო დამსხდარიყვნენ. შეეხეხ თუ არა მიწას, ისინი ერთბაშად აფრინდნენ, ამ დროს ბუჩქების ტოტები გაიწია და გაშლილ ადგილას გამოვიდა მშვენიერი ხვადი ავაზა.

ვისაც არ უნახავს ავაზა თავის ბუნებრივ გარემოცვაში, არ შეუძლია წარმოიდგინოს ჩვენი ჯუნგლების ყველაზე ლამაზი და მოხდენილი ცხოველის გრაციოზული მოძრაობა და ფერთა სიმშვენიერე. არც ერთ თავის ტოლ ცხოველს არ დაუვარდება იგი ღონესა და გამბედაობაში. ასეთი ნადირის „უწმინდურად“ მონათვლა, როგორც ამას ინდოეთის ზოგი-

ერთ ადგილებში აჰბობენ. დანაშაულია. აბე შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ მათ, ვისი წარმოდგენაც ავაზაზე განსაზღვრულია ბალიაში ნახული უბედური. მშიერი და ტყვეობაში ნაწამები საცოდავი ეგზემპლარებით.

მაგრამ, როკორი ლამაზიც არ უნდა ყოფილიყო ჩემს წინ მდგომი მხეცი, მისი ბედი გადაწყვეტილი იყო. იგი თავს ესხმოდა პირუტყვს და ჯერ კიდევ პირველად ჩემი აქ ყოფნის დროს დავპირდი დალაანიის მცხოვრებლებს; რომ ვიხსნიდი მათ პირველი შემთხვევისთანავე ამ მტრისაგან. შემთხვევა მომეცა და მე ვფიქრობ, რომ ავაზას არც გაუგონია მისი სიცოცხლის გამომასალმებელი გასროლა.

ბევრი უცნობი მოვლენიდან, რომლებიც ცხოვრებაში შეგხვედრიათ, ყველაზე უფრო ძნელი მისახვედრია, თუ უბედურება ერთ რომელიმე ადამიანს ან ერთ რომელიმე ოჯახს რატომ ატყდება თავს. ავიღოთ, მაგალითად, იმ ძროხის პატრონი, რომლის ლეშთან მოვკალი ავაზა. ეს იყო რვა წლის ბიჭუნა, ერთადერთი ბავშვი ოჯახში. ორი წლის წინათ დედამისი ბალახს რომ მკიდა ამ ძროხისათვის, მოეკლა და შეეჭამა ვეფხვს. თორმეტი თვის შემდეგ ასეთივე ბედი ეწია მამამისსაც. ოჯახის მცირე ქონება გაყიდულ იქნა ვალების დასაფარავად. მამის შემდეგ შვილი შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას ერთი ძროხის ამარა. და წარმოიდგინეთ, რომ ორასი თუ სამასი საქონლის ჯოგიდან ავაზამ მაინცდამაინც მისი ძროხა ამოირჩია. ვეკვობ, რომ ჩემი ცდა, ამენაზღაურებია დანაკლისი, არ იყო სრულყოფილი; თუმცა ახალი წითური ძროხა კარგი ცხოველი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო შეეცვალა ბიჭუნასათვის მისი წინანდელი ოთხფეხა მეგობარი.

ჩემი მოსამსახურეები კარგად უვლიდნენ მოჟვანილ ახალგაზრდა კამეჩებს; ჩემი მოსვლიდან ერთი დღის შემდეგ დავიწყე კამეჩების დაბმა მისატყუებლად, თუმცა ნაკლებად მჯეროდა, რომ ვეფხვი ამით მოტყუვდებოდა.

ბარში, მდინარე ანანდხაურის ქვემოთ, ხუთი მილის დაშორებით, რამდენიმე ათასი ფუტი სიმაღლის კლდის ძირას შეყუჟულა პატარა სოფელი. უკანასკნელი თვეების მანძილზე

კაციჭამიამ ამ სოფელში ოთხი ადამიანი მოჰკლა. მალე, ავაზას მოკვლის შემდეგ ამ სოფლის წარმომადგენლები მოვიდნენ ჩემთან თხოვნით, რათა ბანაკი დალკანიიდან მათ სოფელში გადამეტანა. მაცნობეს, რომ ვეფხვს ხშირად ხედავდნენ კლდეებზე სოფელთან და, როგორც ჩანს, ბუნაგი მას ამ კლდეების ერთ-ერთ გამოქვაბულში ჰქონდა. თივის მომკელ ქალებს ვეფხვი ჯერ კიდევ დილით ენახათ; გლეხები ისე იყვნენ შეშინებულნი, რომ სახლიდან გამოსვლას ვეღარ ბედავდნენ. მე აღვუთქვი მათ დახმარება, რითაც შემეძლო. მეორე დღეს დილაადრიან ავედი სოფლის თავზე აღმართულ გორაზე და საათნახევრის განმავლობაში გულდასმით ვათვალიერებდი მიდამოს ლორნიდით. შემდეგ გადავკვეთე ტაფობი და ძალიან ღრმა ხევიდან მთაზე ავედი. სიარული აქ ძალზე გამიჭირდა, მიწაზე დაცემის საშიშროების გარდა, რომლის დროსაც შეიძლებოდა კისერი მომეტეხა, არსებობდა მეორე საშიშროებაც — ვეფხვის თავდასხმა ისეთ ადგილას, სადაც თავდაცვა შეუძლებელი იყო.

დღის ორი საათისათვის დავამთავრე კლდის დათვალიერება და გავემგზავრე ზევით, ბანაკში საუზმისათვის. სანამ დალკანიისაკენ ციცაბო აღმართზე ასვლას შევუდგებოდი, ერთხელ კიდევ მოვიხედე უკან და დავინახე, რომ იმ ადგილიდან, საიდანაც მოვედი, ჩემსკენ მორბოდა ორი კაცი. მათ მოირბინეს ჩემთან და მიამბეს, რომ ვეფხვს ეს-ესაა ზაქი მოეკლა ღრმა ხევში, სადაც მე ვიყავი ცოტა ხნის წინათ.

ერთ-ერთ მოსულს ვუთხარი, წასულიყო ჩემს ბანაკში და დაევალებია ჩემი მოსამსახურეებისათვის ჩაი და რაიმე საჭმელი გამოეგზავნათ ჩემთვის, მე კი პირი ვიბრუნე და მეორის თანხლებით ქვევით ბარში დავბრუნდი.

ხრამს, — სადაც ვეფხვმა ზაქი მოჰკლა, — ორასი ფუტი სიღრმე და ასი ფუტი სიგანე ჰქონდა. როცა ჩვენ მას ვუახლოვდებოდით, დავინახე, როგორ აფრინდა სვავების დიდი გუნდი. მოკლულ ცხოველთან რომ მივედით, დავინახეთ, სვავებს მთლად შეესანსლათ ხორცი და მხოლოდ ტყავი და ძვლები დაეტოვებიათ. ადგილი, სადაც ზაქის ნარჩენები ეყარა, მხოლოდ ასი იარდით იყო დაშორებული სოფლიდან,

მაგრამ ზევით, ციცაბო ფერდობზე გზა არ იყო და ჩემმა მეგზურმა მეოთხედი მილი ქვევით ხევში შემომატარა. მწყემსების ბილიკის გზაჯვარედინამდე ეს ბილიკი მთას მიჰყვებოდა, მიიკლაკნებოდა ხშირ ბუჩქნარში და ბოლოს სოფელში შედიოდა. სოფელში რომ მივედი, მამასახლისს ვუთხარი სვავებმა ვეფხვის მისატყუარი გაგვინადგურეს და ახალგაზრდა კამეჩი, და მაგარი ბაწარი გვიშოვე-თქო. სანამ ყველაფერ ამას მოამზადებდნენ, ჩემი ორი კაცი დაბრუნდა დალკანიიდან სურსათ-სანოვაგით.

როცა ისევ ხევში შევედი, მზე უკვე ჩადიოდა. მე მომყვებოდა რამდენიმე კაცი და მოჰყავდათ ღონიერი ზაქი, რომელიც მამასახლისმა, ჩემი დავალებით, მეზობელ სოფელში იყიდა. ორმოცდაათ იარდზე იმ ადგილიდან, სადაც ზაქი იყო მოკლული, ჩამორეცხილი ხრამის ფსკერზე ღრმად იყო ჩაფლული წვიმის ღვართქაფის მიერ მთიდან ჩამოტანილი ფიქვის ხე. კამეჩი მაგრად მივაბით ხის შვერილზე და ხალხი დაბრუნდა სოფელში. ახლომახლო ხეები არ ხარობდა და ჩასაფრებისთვის ერთადერთი ვარგისი ადგილი იყო სოფლის ახლო მდებარე ხევის კედლის ლავგარდანი. დიდი გაჭირვებით ავცოცდი ზედ; ლავგარდანი ოცი ფუტის სიმაღლეზე იყო კლდის ძირიდან, ორი ფუტი სიგანე და ხუთი ფუტი სიგრძე ჰქონდა. ლავგარდანი ძალიან მოუხერხებელი იყო; იძულებული ვიყავი ზურგშექცევით დავმჯდარიყავი იმ ადგილისკენ, საიდანაც მოსალოდნელი იყო ვეფხვის გამოჩენა. მიბმული კამეჩი ოცდაათი იარდით იყო დაშორებული ჩემგან მარცხნივ.

მზე ჩავიდა. კამეჩი, რომელიც აქამდე იწვა, წამოდგა და მიბრუნდა ხრამის ზედა ნაპირისაკენ. შემდეგ ფერდობზე ქვა დაგორდა. თოფის სროლა ხმის მიმართულებით შეუძლებელი იყო, ამიტომ, ჩემი ადგილსამყოფელი რომ არ გამეცა. უძრავად ვიჯექი. რამდენიმე ხნის შემდეგ კამეჩმა იწყო შემოტრიალება და დრუნჩით ჩემსკენ შემობრუნდა. ეს იმას მოწმობდა, რომ მისი დამაფრთხობელი საგანი — მე კი დავინახე, რომ იგი დაფრთხა — ჩემს ქვევით იმყოფებოდა, კლდის უკან. შემდეგ პირდაპირ გამოჩნდა ვეფხვის თავი, ვეფხვისათვის თავში სროლა შეიძლება გამართლებულ იქნას უკიდუ-

რეალ აუცილებლობით, მხოლოდ ყოველ მოძრაობას შეეძლო ჩემი ყოფნის გამომჟღავნება. ერთ ან ორ წუთს, რომელიც ხანგრძლივად მეჩვენებოდა, ვეფხვის თავი უძრავად იყო. შემდეგ მკვეთრად მოწყვეტილი დიდი ნახტომით ვეფხვი თავს დაესხა კამეჩს. როგორც ვამბობდი, კამეჩს დრუნჩი მიმართული ჰქონდა ვეფხვის წინააღმდეგ. რომ თავიდან აეცდინა კამეჩის რქების მოსალოდნელი დარტყმა, ნახტომის დროს ვეფხვი გადაიხარა მარცხნივ და ამიტომ კამეჩს სწორი კუთხით დაეძგერა. აქ არ ყოფილა ყოყმანი არც დატაკების ადგილის არჩევანზე, არც ბრძოლაზე, ეს იყო მხოლოდ ორი მძიმე სხეულის შეჯახება. მალე კამეჩი უკვე უძრავად იდო, ვეფხვი კი ნაწილობრივ ფარავდა კამეჩს თავისი ტანით და ყელში კბილები ჩაერჭო. ჩვეულებრივ, ჰგონიათ, რომ ვეფხვი კისერზე თათის დარტყმით ჰკლავს მსხვერპლს. ეს არ არის სწორი. ვეფხვები ჰკლავენ კბილებით.

ვეფხვს ჩემსკენ მარჯვენა გვერდი ჰქონდა მობრუნებული. საგულდაგულოდ დავუმიზნე თოფი და ვესროლე. ვეფხვმა კამეჩი მიატოვა, უხმოდ შებრუნდა, ახტა ზევით ფერდობზე და გაქრა მხედველობიდან. ავაცდინე, მაგრამ რატომ — მიზეზი ვერ გავიგე. თუ ვეფხვს არ შევუმჩნევივარ მე და არც გასროლის ხმა გაუგონია, მაშინ, ალბათ, იგი მობრუნდება. ამიტომ ისევ გავტენე თოფი და დავრჩი ადგილზე.

ვეფხვის მიერ მიტოვებული კამეჩი უმოძრაოდ ეგდო და ეპვი დამებადა, რომ ტყვია მას მოვარტყი და არა ვეფხვს.

ძლიერ გაჭიანურდა თხუთმეტი წუთი და უცბად, ჩემს ქვემოთ, კლდის შვერილიდან გამოჩნდა ვეფხვის თავი. ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ვეფხვი ნელა მივიდა კამეჩთან, მიმოიხედა და გაჩერდა. ვეფხვის ზურგი კარგ სამიზნოს წარმოადგენდა და არ შეიძლებოდა მეორედ ამეცდინა. გულდასმით დავაყენე სამიზნე და აუჩქარებლად დავუშვი სასხლეტი. მაგრამ, მიუხედავად ჩემი მოლოდინისა, არ წაქცეულა, მან ნახტომი გააკეთა მარცხნივ და ისე გაიქცა გვერდით ხევისკენ, რომ ციცაბო აღმართზე ასვლისას ქვები ძირს ცვიოდა.

ორი გასროლა ოცდაათი იარდის დისტანციაზე და ისიც შედარებით კარგ შუქზე, გაიგონეს ახლომახლო მცხოვ-

რებმა გლეხებმა. შედეგები, რომლებიც შემეძლო იმათთვის მეჩვენებია, როგორც ჩანს, ერთი ან შესაძლებელია ორი ნახვრეტი იქნებოდა ტყვიისაგან მკვდარი კამეჩის ლეშში. ცხადია, მხედველობამ მიმტყუნა, ან კლდეზე ასვლის დროს თოფი თუ ავაცდინე. მაგრამ წვრილმან საგნებზე დაკვირვების დროს ვერ აღმოვაჩინე ჩემს მხედველობაში რაიმე ნაკლი, სამიზნეზე თვალის სწრაფმა გადავლებამ კი დამარწმუნა, რომ იგი წესრიგშია. ჩემს მიერ ვეფხვისათვის ორჯერ ნასროლი ტყვიის აცდენის მიზეზი იყო ცუდად სროლა.

ვეფხვის მესამედ დაბრუნების იმედი არ იყო. რომც დაბრუნებულიყო, მისგან ხეირს არ მოველოდი. თუ იგი საკმაო განათების დროს ვერ მოვკალი, ახლა სიბნელეში შემეძლო მხოლოდ დამეჭრა ნადირი. ასეთ მდგომარეობაში ჩემს ყოფნას კლდეზე აზრი არ ჰქონდა.

ერთი დღის სიარულის შემდეგ მთელი ტანსაცმელი ოფლით გამეჟღინთა; თანაც ცივმა ქარმა დაუბერა და მოსალოდნელი იყო კიდევ უფრო აცივება; მეცვა თხელი ხაკისფერი მოკლე შარვალი. კლდე არა მარტო მაგარი, არამედ ცივიც იყო. ცხელი ჩაი მელოდა სოფელში. ყველა ეს მსჯელობა თავისთავად მიმზიდველი იყო, მაგრამ რჩებოდა ერთი დამაჯერებელი საბუთი, რომ ადგილზე დავრჩენილიყავი, — ეს იყო ვეფხვი. ღამის წყვდიადი ჩამოწვა. სოფლიდან მილის მეოთხედი მაშორებდა. გზა გადიოდა ქვებით ჩახერგილ ხევსა და ბუჩქნარებში დაკლაკნილ ბილიკზე. გარდა გლეხების ვარაუდისა, რომ ვეფხვი, რომელიც მათ წინა დღეს ნახეს და რომელსაც თოფი ვესროლე, დაახლოებითაც კი ვერ ვიტყოდა, თუ სად იმყოფებოდა ახლა იგი. თუმცა ამ დროს მას შეეძლო სადმე ორმოცდაათ მილს იქით ყოფილიყო და ასევე წარმატებით ედევნებია თვალი ჩემთვის ორმოცდაათი იარდის მანძილიდან. ამიტომ, როგორი უხერხულიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი საფარი, სიფრთხილე მიკარნახებდა ადგილზე დავრჩენილიყავი. დრო ნელა გადიოდა, ჩემში კი მტკიცდებოდა რწმენა, რომ ღამე ნადირობა ჩემთვის შეუფერებელი საქმიანობაა... და თუ ამ ნადირის მოკვლა ვერ მოვახერხე დღის სინათლეზე, მაშინ თავი უნდა მივანებო მანამ, სანამ

იგი სიბერით არ მოკვდება. ეს რწმენა განმტკიცდა ჩემში და როცა, გათოშილსა და განაწამებს, რიჟრაჟზე ზუსტი სროლის საშუალება მომეცა, დავიწყე ძირს დაშვება, მაგრამ ცვარისაგან დანამულ კლდეზე ფეხი დამიცურდა და, საბედნიეროდ, თოფიანად დაუზიანებლად „დაჭეშვი" ქვიშნარზე.

მიუხედავად სისხამდილისა, სოფლის მცხოვრებლები ყველა ფეხზე დამხვდა და მალე ხალხის შუაგულში აღმოვჩნდი. მოუთმენელი შეკითხვების საპასუხოდ შემეძლო მხოლოდ მეთქვა, რომ ავაცდინე „მოჩვენებით" ვეფხვს.

გიზგიზა კოცონთან ჩაიმ გამათბო და მამაკაცებისა და სოფლის ბიჭების თანხლებით გადავიარეთ ხრამზე გადმომდგარი კლდე და მივედით პირდაპირ წინაღამის მოქმედების ადგილზე. აქ ვაჩვენე შეკრებილ ხალხს, როგორ გამოვიდა შვერილიდან ჩემს ქვემოთ ვეფხვი, როგორ შეახტა კამეჩს, შემდეგ როგორ ვესროლე თოფი და როგორ გაქრა ვეფხვი „იმ" მიმართულებით. ზევითკენ რომ მივუთითებდი, აღელვებული ხმები მოისმა: „შეხედეთ, საიბ, აქ მკვდარი ვეფხვი გდია". თვალები მოქანცული მქონდა უძილო ღამისაგან, მაგრამ ერთი-ორჯერ რომ შევხედე, დავრწმუნდი, რომ იქ მართლა მკვდარი ვეფხვი ეგდო, ფრიად ბუნებრივ შეკითხვაზე, თუ რატომ ვესროლე მეორედ ოცი, ოცდაათი წუთის შემდეგ, ვთქვი, რომ იმავე ადგილას ისევ გამოჩნდა ვეფხვი და ვესროლე, როცა იგი კამეჩის ახლო იდგა და რომ ის წავიდა ზევით ხევის „ამ" მხარეს... ამ დროს ისევ გაისმა ხმები და მათ შეუერთდნენ ახლად მოსული ქალები და გოგონები. — შეხედეთ, საიბ, აქ მეორე მკვდარი ვეფხვი გდიაო. ორივე ვეფხვი დაახლოებით ერთი და იმავე ზომისა ჩანდა და ორივე საშოც იარდზე ეგდო ჩემგან.

გლეხებს რომ ვეკითხებოდი მეორე ვეფხვის შესახებ, ისინი მეუბნებოდნენ, რომ იმ დროს, როცა ოთხი კაცი იქნა მოკლული და წინადღით ზაქი ნახეს მკვდარი, მხოლოდ ერთი ვეფხვი ენახათ. ვეფხვების მძუნაობის სეზონი გრძელდება ნოემბრიდან აპრილამდე. თუ ერთ-ერთი მოკლული ვეფხვი კაციჭამია იყო, როგორც ჩანს, მას თავისი წყვილი ჰყავდა მოძებნილი.

საფარიდან ორასი იარდის მოშორებით ხევში ჩასასვლელი აღმოვაჩინეთ. მე და მთელმა სოფლის მოსახლეობამ ჩავუარეთ მკვდარ კამეჩს იმ ადგილთან, სადაც პირველი ვეფხვი ეგდო. როცა მივუახლოვდი, წარმატების იმედი მომეცა — ნადირი მართლა ბებერი ძუ ვეფხვი იყო. თოფი იქვე მივაწოდე კაცს და მუხლებზე დავეშვი, რომ მისი თათები დამეთვალიერებია.

იმ დღეს, როცა ძუ ვეფხვი პურის მკელ ხალხს ჩასაფრებოდა, ყანის ზღვარზე რამდენიმე გარკვეული ნაკვალევი დაეტოვებია. ეს იყო ჩოუგარის კაციჭამიას ნაკვალევი, რომელიც პირველად ვნახე და გულდასმით შევისწავლე. ნაკვალევი გვიჩვენებდა, რომ ძუ ვეფხვი ძალზე ბებერი უნდა ყოფილიყო — თათები ასაკის ზრდასთან ერთად ბრტყელი გახდომოდა. წინა თათების ტერფები ძალიან დანაოჭებული ჰქონდა, წინა მარჯვენა თათის ბალიშს ღრმა დაღი ჰკვეთდა, თითები კი ისე გრძელი და წვრილი ჰქონდა, რომ ვეფხვში ასეთი არასოდეს შემხვედრია, ამ არაჩვეულებრივი თათით, ადვილად შეიძლებოდა კაციჭამიას გამოცნობა მოკლულ ას მკვდარ ვეფხვს შორისაც კი.

მე სასოწარკვეთილი ვიყავი: ჩემს წინ მდებარე მხეცი არ იყო კაციჭამია. როცა ამის შესახებ ვაცნობე შეკრებილ ხალხს, ყოველი მხრიდან საპროტესტო ჩრჩოლი გაისმა. ამბობდნენ, რომ წინადღით მე თვითონ ვამტკიცებდი, კაციჭამია ბებერი ძუ ვეფხვია, რომ სწორედ ასეთი ვეფხვი მოვკალი რამდენიმე იარდის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ცოტა ხნის წინათ მოკლულ იქნა ოთხი კაცი. რა არის თათი ამ ნათელ ფაქტთან შედარებით. თანაც თათები ხომ ყველა ვეფხვს ერთნაირი აქვსო.

მეორე ვეფხვი მხოლოდ ხვადი უნდა ყოფილიყო. სანამ ძუ ვეფხვის გასატყავებლად ვემზადებოდი, ხალხის ერთი პარტია მეორე ნადირის მოსატანად გავგზავნე. გვერდით მდებარე ხევი ღრმა და ვიწრო იყო. ვეფხვი — ლამაზი ხვადი — სიცილითა და ხმაურით ძუ ვეფხვის გვერდით დავასვენეთ.

პაპანაქება მზეზე თოთხმეტი საათის წინათ მოკლული ვეფხვების გატყავება გარშემორტყმულ ხალხში ერთი არასა-

სიამოვნო საქმეთაგანი იყო, რომელიც მე შემხვედრია გასაკეთებლად. მალე, ნაშუადღევის შემდეგ იგი მაინც დავამთავრეთ, ჩემმა ხალხმა ფაქიზად დაახვია ვეფხვების ტყავები და შევუდექი ხუთმილიან გზას ჩემი ბანაკისაკენ.

დილას ჩემთან მეზობელ სოფლებიდან მამასახლისები და გლეხები მოვიდნენ. გამგზავრების წინ დავარწმუნე ისინი, რომ ჩოუგარის კაციჭამია ცოცხალია და გავაფრთხილე, რომ სიფრთხილის მოდუნება ვეფხვს მისცემს იმის საშუალებას, რომელსაც იგი ეძებს. ამ სიფრთხილისათვის რომ ანგარიში გაეწიათ, კაციჭამია არ იმსხვერპლებდა იმდენ ხალხს, რაც მოხდა შემდგომი თვეების განმავლობაში.

როდესაც ვერ მივიღე ახალი ცნობები კაციჭამიას შესახებ, კიდევ რამდენიმე კვირას დავყავი დალკანიაში და წავედი მთებიდან ბარში თათბირზე სამაზრო ადმინისტრაციასთან.

* * *

1930 წლის მარტში მაზრის კომისარმა ვივიანმა შემოიარა კაციჭამია ვეფხვის სამფლობელო. 11 რიცხვში მივიღე მისგან წერილი თხოვნით, რომ სასწრაფოდ ჩავსულიყავი კალა-ადარში, სადაც დამელოდებოდა. ნაინი-ტალიდან კალა-ადარამდე ორმოცდაათი მილია. წერილის მიღებიდან ორი დღის შემდეგ დილით ჩავედი კალა-ადარის ტყის ჯიხურში, სადაც ვივიანი დამხვდა თავისი ცოლით.

საუზმის შემდეგ ცოლ-ქმარმა მიამბო, რომ ისინი ჯიხურში 21 რიცხვში მოსულიყვნენ შუადღისას და აივანზე ჩაის სვამდნენ, როცა ბალახის მომკელი ექვსი ქალიდან ერთი გაეტაცა კაციჭამიას. მათ ხელი დაუვლიათ თოფებისათვის, რამდენიმე კაცის თანხლებით ვივიანი მიჰყოლია ნაკვალევს და უნახავს მუხის ქვეშ მკვდარი ქალი. მოგვიანებით დავათვალიერე ეს ადგილი და ვნახე, რომ ვივიანის თანმხლებლების მიახლოებისას, ვეფხვი დაეშვა ქვევით, ფერდობზე და იმყოფებოდა მაყვლის ბუჩქნარში ქალის გვამიდან ორმოცდაათი იარდის მოშორებით. მუხაზე მოწყობილ იქნა ერთი სახუნდარი ვივიანისთვის, სხვა ორი კი — მის თანმხლებთათვის ხეებ-

ზე ტყეში გამავალ გზაზე, ოცდაათი იარდით მაღლა ქალის მკვლელობის ადგილიდან.

მეორე დილას ქალის გვამი კრემაციისათვის წაიღეს, ჯიხურიდან კი ნახევარი მილის მოშორებით ტყის პირას ვივანებით კამეჩი. ვეფხვმა იგი იმ ღამესვე მოჰკლა. საღამოს ვივიანები მოეწყვნენ საფარში. უმთვარო ღამე იყო. როგორც კი დაბინდდა, ახლო საგნებიც კი აღარ ჩანდა. ვივიანებმა ჯერ ხმა გაიგონეს, შემდეგ კი დაინახეს ნადირი, რომელიც მისატყუარს უახლოვდებოდა სიბნელეში. ვეფხვი დათვად მოეჩვენათ. რომ ეს სამწუხარო შეცდომა არა, მათი ცდა წარმატებით დამთავრდებოდა, რადგან, როგორც თვითონ ვივიანი, ისე მისი ცოლიც, კარგი მსროლელები იყვნენ.

25 რიცხვში ვივიანები კალა-ადარიდან წავიდნენ. ჩემი ოთხი კამეჩი მოდენეს დალკანიიდან. როგორც ჩანდა, ძუ ვეფხვი მიდრეკილებას იჩენდა მისატყუარისადმი; კამეჩები დავაბი გზის გასწვრივ ერთი მეორისაგან რამდენიმე ასეული იარდის მოშორებით. სამი ღამე ზედიზედ ძუ ვეფხვი რამდენიმე ფუტის სიშორეზე ჩაუვლიდა ხოლმე კამეჩებს, ახლოს კი არ ეკარებოდა. მეოთხე ღამეს ჯიხურის ახლო მიბმული კამეჩი მოკლული იქნა. მეორე დილას დათვალიერებისას იმედგაცრუებული დავრჩი, რადგან დავადგინე, რომ დამნაშავე იყო წყვილი ავაზა, რომელთა ღრიალი მესმოდა წინა ღამეს ჯიხურის ზემოთ. ამ ადგილებში თოფის სრული პერსპექტივა არ მიზიდავდა; მეშინოდა, ძუ ვეფხვი არ დამეფრთხო, მაგრამ ერთი სავსებით ნათელი იყო, რომ, თუ არ მოვკლავდი ავაზებს, ისინი დანარჩენ სამ კამეჩსაც დამიხოცავდნენ, ამიტომ მივეპარე მათ, როცა ისინი კლდის დიდ ლოდებს შორის მზეს ეფიცხებოდნენ მოკლული კამეჩის ახლოს და ორივე დავხოცე.

კალა-ადარის ჯიხურის უკან გზა რამდენიმე მილის მანძილზე ფიჭვნარის, მუხნარისა და როდოდენდრონის მშვენიერ ტყეში მიდის დასავლეთისაკენ. კუმაონის ამ ტყეში სხვასთან შედარებით არის ძალიან ბევრი ნადირი; სამბარები, კარკერები*, გარეული ღორები და სხვადასხვა სახეობის მრავალი

* კარკერი ანუ კაკარი — ირმის ადგილობრივი სახელია.

ფრინველი. ორჯერ დამებადა ეჭვი, რომ ძუ ვეფხვმა მოჰკლა ამ ტყეში სამბარები. ვნახე სისხლით მორწყული ადგილები, სადაც ირმები იყო დახოცილი, მაგრამ თვითონ ცხოველები არსად ჩანდა.

შემდეგ თოთხმეტი დღის განმავლობაში მთელ დღეს ვატარებდი ჯუნგლებში ან ტყეში გამავალ გზაზე, სადაც იმ დროს ჩემს გარდა, კაციშვილს ფეხი არ დაუდგამს. მხოლოდ ორჯერ მქონდა შემთხვევა მივახლოებოდი ძუ ვეფხვს. პირველად გავემგზავრე კალა-ადარის ქედის სამხრეთ ფერდობზე მდებარე სოფლის სანახავად, რომელიც მცხოვრებლებს კაციჭამიას შიშით ჯერ კიდევ გასულ წელს მიეტოვებინათ. უკან დაბრუნებისას, მოვდიოდი მწყემსების ბილიკით, რომელიც ქედს გადაჰკვეთს და ტყეზე გამავალ გზას ერთვის. როცა ქვის ლოდებს მივუახლოვდი, ერთბაშად ვიგრძენი, რომ წინ რაღაც ხიფათი მელის. ტყის გზასა და თხემს შორის მანძილი სამასი იარდი იქნებოდა. ბილიკი ტოვებდა თხემს და ციცაბოდ ეშვებოდა რამდენიმე იარდით ქვემოთ, უხვევდა მარჯვნივ და ასეულ იარდზე მთას გასწვრივ მიყვებოდა. დაახლოებით ბილიკის ამ მონაკვეთზე და მისგან მარჯვნივ აღმართული იყო კლდეები. ამ კლდეებს უკან, მკვეთრი მოსახვევის გამო, ბილიკი მარცხნივ მიდიოდა. მეორე მოსახვევი კი იმ ადგილის წინ იყო, სადაც ბილიკი უერთდებოდა ტყეზე გამავალ გზას.

ხშირად დავდიოდი ამ ბილიკით და მხოლოდ ახლა დავეჭვდი, გადიოდა თუ არა იგი კლდის მახლობლად. რომ თავიდან ამეცილებია ის, უნდა შემომევლო კლდისათვის შორიდან ან რამდენიმე ასი იარდი გამევლო ხშირ ჯაგნარში. მეორე გზა ძალიან დიდ საშიშროებას მიჭადდა, მაგრამ პირველი გზით რომ წავსულიყავი, დრო არ მყოფნიდა, რადგან მზე უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა. წინ კი ორი მილი მქონდა გასავლელი. ამიტომ ძალაუნებურად კლდის ახლო უნდა გამევლო. ქარი უბერავდა ზევით მთისაკენ და ამიტომ შემეძლო უგულვებელმეყო ბილიკიდან მარცხენა მხარეს მდებარე ხშირი ჯაგნარი და მთელი ყურადღება მარჯვნით, კლდისაკენ გადამეტანა. სახიფათო ზონიდან რომ გამოვსული-

ყავი, ასი ფუტის გავლა მჭირდებოდა. ამ მანძილის ყოველი ფუტი გავიარე გვერდულად ისე. რომ სახე კლდისაკენ მქონდა მიბრუნებული, ჩახმახზე შეყენებული თოფი კი ბეჭზე მოგდებული. ვინმეს რომ დავენახე, ჩემი სიარული ძალზე საოცრად მოეჩვენებოდა.

კლდიდან ოცდაათი იარდის მოშორებით იყო გაშლილი მდელო, რომელიც ბილიკის მარჯვენა მხარეს ხწყებოდა და მაღლა მთაზე ორმოცდაათი-სამოცი იარდის მანძილზე მიემართებოდა. ამ მდელოზე ლაღობდა კარკერი. მე უფრო ადრე შევამჩნიე ის, ვიდრე მან მე, და ცალ თვალს ვადევნებდი. ირემმა რომ შემხედა, თავი მაღლა ასწია; რადგან მე მისკენ არ ვიხედებოდი და ნელა მივიწევდი წინ, იგი სრულიად მშვიდად იდგა, როგორც ყოველთვის, როცა ნადირს ჰგონია, რომ ის არ შეუმჩნევიათ. ბილიკის დამრეც მოსახვევთან რომ მივედი, შეუმჩნეველად მოვიხედე და დავინახე, რომ კარკერმა თავი დახარა და ისევ განაგრძო ბალახის წიწკნა. მე მხოლოდ პატარა მანძილი გავიარე ბილიკზე მოსახვევიდან, რომ კარკერი ისტერიული ყვირილით გაიქცა ზევით გორაზე. სწრაფად დავბრუნდი მოსახვევთან და სწორედ ამ დროს შევამჩნიე მოძრაობა ბილიკის ქვედა ბოლოსთან ბუჩქებში. სრულიად ნათელი იყო, რომ კარკერმა დაინახა ძუ ვეფხვი და ერთადერთი ადგილი, სადაც მას შეეძლო მისი შემჩნევა, იყო ბილიკი. ჩემს მიერ შეცნობილი მოძრაობა შეიძლება ფრინველის გაფრენით იყო გამოწვეული, შეიძლება ის ვეფხვის მოძრაობაც ყოფილიყო.

კლდიდან მომდინარე წყლის ნაკადს დაელბო წითელი თიხა, რომელზეც ბილიკი გადიოდა. ამგვარად შეიქმნა იდეალური ზედაპირი ნაკვალევების აღსაბეჭდად. ამ სველ თიხაზე დავტოვე ნაკვალევი და ჩემს ნაკვალევზე ვნახე ძუ ვეფხვის ბრტყელი თათების ანაბეჭდები. იგი ჩამომხტარიყო კლდიდან და მომდევდა, სანამ კარკერმა არ დაინახა და შემაშფოთებლად არ დაიყვირა, რის შემდეგ ვეფხვი ბილიკიდან შევიდა ბუჩქებში, სადაც შევამჩნიე მისი მოძრაობა. ვეფხვმა უეჭველად იცოდა ადგილმდებარეობის ყოველი მტკაველი. რადგან ვერ შეარჩია ხელსაყრელი მომენტი, რომ თავზე დამსხმოდა

კლდის ახლოს, — აქ მას ბილიკის მოსახვევთან ხელი შეუშალა კარკერმა, — იგი ალბათ ბუჩქნარით წავიდა, რომ ბილიკის მეორე მოსახვევში გამოვეჭირე.

ასეთ პირობებში ბილიკზე გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ამიტომ გავყევი კარკერს ზემოთ, მდელოზე, მოვუბვიე მარცხნივ და გავედი ქვევით მდებარე ტყეში გამავალ გზაზე. აქ ჯერ კიდევ არ იყო საკმაო სინათლე და ამან, როგორც ვფიქრობ, ძუ ვეფხვს ვარაუდი ჩაუშალა. მას შემდეგ, რაც იგი გამოვიდა კლდეებში მოთავსებულ თავის საფარიდან. საქმე ჩემს სასარგებლოდ შეტრიალდა. მეც ასე კარგად ვიცნობდი ადგილს, როგორც ვეფხვი. მას საფუძველი არ ჰქონდა ჩემზე ეპვი აეღო, მე მშვენივრად მესმოდა მისი ზრახვები. მაგრამ რადგან გვიან იყო, არ შემეძლო გამომეყენებია ჩემი უპირატესობანი.

მე უკვე ლაპარაკი მქონდა გრძნობაზე, რომელიც გვაფრთხილებდა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ და აღარ მსურს კიდევ ვიმსჯელო ამაზე. მაგრამ შემიძლია დავამტკიცო, რომ ეს გრძნობა სავსებით რეალურია, თუმცა არ ვიცი და ამიტომ არც შემიძლია ავხსნა, როგორ მოქმედებს ის. ამ შემთხვევაში არ დამინახავს და არც გამიგონია ძუ ვეფხვის ხმა, არც მისი აქ ყოფნის შესახებ მიმიღია რაიმე ნიშანი ფრინველ-ნადირთაგან. მიუხედავად ამისა, მაინც დარწმუნებული ვიყავი, რომ ის კლდეებში იწვა და მითვალთვალებდა. ამ დღეს გზაში ბევრი დრო დავკარგე და დიდი გზა გავიარე ჯუნგლებში ყოველგვარი შიშის გარეშე, თხემი რომ გადმოვიარე და კლდეების ახლო მივდიოდი, ვიცოდი, რომ აქ ჩემთვის იმალებოდა საფრთხე. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს წინათგრძნობა გამიმართლა კარკერის შეშფოთებულმა ხმამ. აგრეთვე იმან, რომ ჩემს ნაკვალევზე კაციჭამიას თათის ანაბეჭდი შევამჩნიე.

* * *

იმ მკითხველს, რომელსაც მოთმინება ეყოფა, თვალი ადევნოს ჩემს გრძელ მოთხრობას, მე სიამოვნებით ნათლად

და დაწვრილებით მოვუყვები ძუ ვეფხვთან ჩემს პირველსა და უკანასკნელ შეხვედრაზე.

ეს შეხვედრა მოხდა 1930 წლის 11 აპრილს, ნაშუადღევს, კალა-ადარში ჩემი ჩასვლიდან ცხრამეტი დღის შემდეგ.

ამ დღეს ორ საათზე გამოვედი იმ განზრახვით, რომ ჩემი სამი კამეჩი დამება გზის პირას შერჩეულ ადგილზე. ჯიხურიდან ერთი მილის მოშორებით, იქ, სადაც გზა გადაკვეთს თხემს ჩრდილოეთიდან · დასავლეთისაკენ და წინ ჩაუვლის კალა-ადარის ქედს, შევხვდი საწვავის შემგროვებელ ადამიანთა დიდ ჯგუფს. მათ შორის იყო მოხუცი, რომელმაც ორმოცდაათი იარდის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიყავით, მიგვითითა ახალგაზრდა მუხების კორომზე და თქვა, რომ აქ ერთი თვის წინათ კაციჭამიამ მომიკლა ერთადერთი შვილი, თვრამეტი წლის ჭაბუკი.

გზის ნაპირას ვიჯექი და თამბაქოს ვეწეოდი, მოხუცი კი მიამბობდა თავის თავგადასავალს, მიჩვენებდა იმ ადგილს, სად მოჰკლა ყმაწვილი ვეფხვმა და სად აღმოაჩინეს მეორე დღეს მისი ვაჟის სხეულის ნაწილები. შვილის დაღუპვაში მოხუცი ბრალს დებდა მამაკაცებს, რომლებიც იმ დღეს საწვავს აგროვებდნენ. ისინი ოცდახუთნი იყვნენ. მოხუცი გამწარებით ლაპარაკობდა, რომ ეს ხალხი გაიქცა და მისი შვილი დასაღუპად განწირა. ზოგიერთი ჩემს ახლო მჯდომი მამაკაცი ამ ამბის თვითმხილველი იყო. ისინი გაცხარდნენ, ცდილობდნენ თავიდან მოეხსნათ ყმაწვილის დაღუპვის პასუხისმგებლობა და ბრალს დებდნენ თვით მასვე, რომელმაც ატეხა აურზაური, ვეფხვის ხმა რომ გაიგონა და ყველას ურჩევდა გაქცევით ეშველა თავისათვის. მოხუცი არ უთმობდა, თავს აქნევდა და ამბობდა: — თქვენ მოზრდილი მამაკაცები ხართ, ის კი ბავშვი იყო, თქვენ გაიქეცით, ის კი მიატოვეთ ბედის ანაბარაო. მეწყინა, რომ გაცხარებული დავა წამოვეკერი და უფრო მოხუცის დასაწყნარებლად ვთქვი, რომ ერთ-ერთ ჩემს კამეჩს დავაბამ იმ ადგილას, სადაც მისი სიტყვით, შვილი დაიღუპა. ორი კამეჩი უკან დავაბრუნე ჯიხურისკენ, მესამე კი წავიყვანე და ორი კაცის თანხლებით წავედი იქ.

საცალფეხო ბილიკი იწყებოდა იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ

ვისხედით, მთიდან ეშვებოდა ქვევით ხევისკენ და ზიგზაგებით მიდიოდა ფიქვნარით დაფარულ მოპირდაპირე მხარეზე მდებარე ფერდობამდე. ორი მილის შემდეგ იგი უერთდებოდა ტყის გზას. ბილიკი გადიოდა მდელოს ახლოს მუხნარის განაპირას, სადაც დაგლიჯა ვეფხვმა ყმაწვილი. მდელოზე, რომლის ნაკვეთი დაახლოებით ოცი კვადრატული იარდი იქნებოდა, ახალგაზრდა ფიქვი იდგა. მე იგი მოვჭერი, მის ძირკვზე მივაბი კამეჩი და გავაგზავნე კაცი კამეჩისათვის თივის მოსაცელად. ჩემი მეორე თანამგზავრი, მადო-სინგი ომის დროს გარვალის მსროლელთა განყოფილებაში ნამსახური და ახლა შეერთებული პროვინციების ტერიტორიულ ნაწილებში ჩარიცხული კაცი, გავგზავნე მუხასთან და დავავალე ნაჯახის ყუით დაემტვრია ხმელი ფიჩხები და რაც შეიძლება ხმამაღლა ეყვირა, როგორც ამას მთიელები აკეთებენ პირუტყვისათვის ხეებიდან ფოთლების კრეფის დროს. თვითონ მე ოთხი ფუტის სიმაღლეზე დავიკავე პოზიცია კლდეზე გაშლილი ადგილის განაპირას. ამ ადგილის უკან, ხევში დამრეცად ეშვებოდა ხშირი ტყითა და ბუჩქნარით დაფარული მთა.

მინდორში გაგზავნილმა კაცმა, რამდენჯერმე მოიტანა მთელი იღლია მოცელილი ბალახი. მადო-სინგი ხეზე ხან ყვიროდა, ხან ხმამაღლა მღეროდა. მე კი ვიდექი კლდეზე. მარცხენა იღლიის ქვეშ თოფი მეჭირა და თამბაქოს ვეწეოდი. უეცრად ვეფხვის აქ ყოფნა ვიგრძენი. სწრაფად ავუარე გვერდი მინდორზე მყოფ კაცს, დავუსტვინე, მინდოდა გამეგებინებინა მადო-სინგისთვის, რომ იგი ყურადღებით ყოფილიყო და წყნარად მჯდარიყო ხეზე. მადო-სინგი ხეზე იყო ჩემგან მარცხნივ, ბალახის მცელავი კაცი პირდაპირ ჩემს წინ იმყოფებოდა, კამეჩი კი — ახლა იგი შეშფოთებას გამოხატავდა—მარჯვნივ იყო ჩემგან. ამ ადგილებში ვეფხვი შეუმჩნევლად ვერ გამოჩნდებოდა, და თუ ის მოვიდოდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ ერთი მიმართულებიდან, სახელდობრ, ზურგიდან, იმ ადგილის ქვემოთ, სადაც ჩასაფრებული ვიყავით.

პოზიციის შერჩევის დროს შევამჩნიე, რომ კლდეს გლუვი და დამრეცი დაქანება ჰქონდა რვა ან ათი ფუტის მანძილ-

ზე და მისი ქვედა ნაწილი დაფარული იყო ხშირი შამბნარი-თა და ახალგაზრდა ფიჭვნარით. ვეფხვისთვის ძნელი, მაგრამ სავსებით შესაძლებელი იყო ამოსულიყო კლდეზე, თუმცა ვიმედოვნებდი, რომ შევამჩნევდი მას ბუჩქებში კლდეზე ამოსვლის დროს.

მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემი ჩანაფიქრის თანახმად მადო-სინგის მიერ ატეხილი ხმაურის გამო მოსული ვეფხვი კლდეს მოადგა და ვიგრძენი მისი აქ ყოფნა, როცა მან დამიწყო თვალყურის დევნება და შემდგომი მოქმედების გაანგარიშება. ჩემს შემობრუნებას და ჩემი თანამგზავრების დუმილს შეეძლო აღეძრა ცხოველში ეჭვი. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წუთის შემდეგ, ცოტა ქვემოდან მთის დაქანებაზე სწელი ტოტების ტკაცუნი შემომესმა. ამის შემდეგ შიშის ჭრძნობა გამიქრა და დაძაბულმა ლოდინმა გაიარა. შემთხვევა დაკარგული იყო, მაგრამ მაინც კიდევ რჩებოდა სროლის შესაძლებლობის დიდი იმედი, იმიტომ რომ ვეფხვს შეეძლო მალე დაბრუნებულიყო და დარწმუნებული, რომ ჩვენ წავედით, ალბათ, დაკმაყოფილდებოდა კამეჩზე თავდასხმით. მზის ჩასვლამდე რჩებოდა კიდევ ოთხი თუ ხუთი საათი. ხევი გადავლახე და მის მოპირდაპირე ფერდობზე ავედი. აქედან შემეძლო მთის მთელი იმ მხარის დანახვა, სადაც დაბმული იყო კამეჩი. ამ შემთხვევაში დისტანცია თოფის სროლისათვის დიდი იყო — ორასი თუ სამასი იარდი, მაგრამ ჩემი თოფი ზუსტად ურტყამდა და კიდეც რომ დამეჭრა ვეფხვი, შემეძლო გავყოლოდი მის სისხლიან ნაკვალევს. ეს უკეთესი იყო, ვიდრე აქამდე მისი ძებნა ასეული კვადრატული მილის მოცულობის მოედანზე ჯუნგლებში.

ახლა ჩემი თანამგზავრებისათვის წამოიჭრა სიძნელეები. მათი მარტოდ გაგზავნა ჯიხურში იქნებოდა სასიკვდილოდ განწირვა. აუცილებელი იყო მათი თან წაყვანა.

კამეჩი მივაბით ძირკვზე ისე, რომ ვეფხვს ვერ დაეთრია ის, დავტოვეთ მდელო და წავედით ბილიკით, რომ ჩემი ჩანაფიქრი გეგმით მეცადა მესროლა ვეფხვისთვის მთის მოპირდაპირე ფერდობიდან.

ბილიკზე ასი იარდი გავიარეთ და მივედით ხრამთან. მის

მოპირდაპირე მხარეზე ბილიკი ძალზე ხშირ ჯაგნარში გადიოდა. მასში ჩვენი შესვლა არ იყო გონივრული. ამიტომ გადავწყვიტე გავყოლოდი ხრამის ნაპირს, რომელიც უერთდებოდა ბარს, მერე გადავედი ვაკეზე და ბუჩქების შემოვლით კვლავ დავბრუნდი ბილიკზე.

ხრამს ათი იარდის სიგანე ჰქონდა და ხუთი იარდის სიღრმე. კლდიდან დაშვებისას შვერილს ხელით ვეყრდნობოდი. უეცრად ქვემოდან თხაწოვა გამოფრინდა. როდესაც იმ ადგილს დავხედე, საიდანაც ფრინველი აფრინდა, დავინახე კვერცხები. ამ მიხაკისფრად დაწინწკლულ კვერცხებს უჩვეულო ფორმა ჰქონდა: ერთი იყო მოგრძო და წვეტიანი, მეორე კი მომრგვალო. კოლექციაში არ მქონდა თხაწოვიას კვერცხები და გადავწყვიტე შემევსო ამ არაჩვეულებრივი ფორმის კვერცხებით. ვინაიდან კვერცხების ჩასაწყობი ხელთ არაფერი მქონდა, ისინი ხავსში გავახვიე და გავუდექი გზას.

გაღმით ხრამის მაღალი ფერდობები მოჩანდა: სამოცი იარდი რომ გავიარე, მივაღწიე თორმეტ-თოთხმეტი იარდისხელა ღრმულს. ხშირი წვიმების გამო წყალს ჩამოერეცხა და მინასავით გაეპრიალებია კლდე; ხოლო ფერდობები ისე ციცაბო იყო, რომ ფეხს ვერ მოიკიდებდა კაცი, ამიტომ თოფი გადავეცი ჩემს თანამგზავრს და დავცურდი ქვევით. ის ეყო ფეხებით ხრამის ქვიშნარიან ფსკერს შევეხე, რომ ჩემი ორივე თანამგზავრი ამოკეცილი კალთებით დაეშვა ჩემს ორივე მხარეს. თოფი გადმომცეს და დიდად შეშფოთებულებმა მაცნობეს, რომ ვეფხვის ხმა მოესმათ. სიმართლე გითხრათ, მე თვითონ არაფერი გამიგონია, და შეიძლება იმიტომ, რომ კლდეზე დაცურებისას ტანსაცმელს შრიალი გაჰქონდა. ჩემს კითხვაზე მიპასუხეს, რომ ვეფხვის ღრიალი აქვე სადღაც ახლოს მოისმოდაო; მხოლოდ ზუსტად განსაზღვრა, თუ საიდან ისმოდა ხმა, მათ არ შეეძლოთ. ვეფხვები, საერთოდ, ნადავლის მოპოვებისას ჩუმად არიან ჩასაფრებულნი, რომ არ გამოამჟღავნონ თავიანთი ადგილსამყოფელი.

ერთადერთი, მაგრამ მაინც არადამაჯერებელი მოსაზრება, რომელიც დამებადა, ის იყო, რომ მდელოდან ჩვენი წასვლის შემდეგ ვეფხვი გამოგვყვა უკან და როცა დაინახა, თუ

როგორ ვეშვებით ხრამში, დაწინაურდა და დაიკავა ადგილი იქ, სადაც ხრამის სიგანე სანახევროდ ვიწროვდებოდა. იგი უკვე მზად იყო თავს დაგვსხმოდა, რომ ამ დროს დავეკარგე მხედველობიდან. ქვევით რომ დავეშვი, მან უნებლიე ღრიალით გამოხატა თავისი იმედის გაცრუება. განმარტება ვერ არის დამაკმაყოფილებელი, თუ არ ვივარაუდებთ (რისთვისაც არსებითად არ არის არავითარი საფუძველი), რომ ვეფხვმა თავის კერძად სწორედ მე ამომირჩია და ამიტომ არ აინტერესებდა დანარჩენი ჩემი ორი თანამგზავრი.

სამივე ერთად ვიდექით. ჩვენს უკან აღმართული იყო გლუვი დამრეცი კლდე; მარჯვნივ — ხრამის ფსკერიდან დაახლოებით თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე ჩანდა კლდის კედლები, მარცხნივ — ოცდაათი-ორმოცი ფუტის სიმაღლეზე დახვავებული ვეებერთელა ქვის ლოდების გროვა. ხრამის ქვიშნარიან ფსკერს, სადაც ჩვენ ვიდექით, დაახლოებით ორმოცი ფუტი სიგრძე და ათი ფუტი სიგანე ჰქონდა. ქვიშნარიან ნაკვეთის ქვედა ბოლოში ეგდო ფიჭვის დიდი ხე, რომელიც ხრამს ხერგავდა; ამ კაშხალის წყალობით აღმოცენდა აქ ქვიშნარიანი ადგილი. ამ წაქცეულ ხის იქით, თორმეტი-თხუთმეტი ფუტის მოშორებით, გადმოხრილიყო კლდის შვერილი. როცა მას ვუახლოვდებოდი — ჩემი ნაბიჯების ხმა ქვიშნარზე არ ისმოდა და ჩემდა სასიხარულოდ, შევნიშნე, რომ ხევის ფსკერი კლდის იქითაც გრძელდებოდა. კლდე, რომელზეც ამდენს ვლაპარაკობ, ორი ფუტი სისქის გრიფელის გიგანტურ დაფას უფრო წააგავდა.

კლდეს რომ შემოვუარე და უკან მოვიხედე, დავინახე ვეფხვის დრუნჩი.

ვეცდები ნათლად აგიწეროთ შექმნილი მდგომარეობა.

კლდის უკან ქვიშნარი ადგილი სრულიად ვაკე იყო, — მარჯვნივ თხუთმეტი ფუტი სიმაღლის ოდნავ წინ დახრილი გლუვი ფილა, ხოლო მარცხნივ — თხუთმეტი ფუტი სიმაღლის შიშველი ციცაბო კლდე, რომლის თავზე მოდებულიყო გაუვალი ეკალნარი. შორს ფლატე ჩანდა, ცოტა იმაზე მაღალი, რომელზეც ამას წინათ ჩამოვცურდი. ამ სამი ბუნებრივი კედლით გარშემორტყმულ ქვიშნარიან ადგილს ოცი ფუტი სიგრძე

ჰქონდა და ამის ნახევარი სიგანე; აქ იწვა ვეფხვი, რომელსაც წინა თათები გამოეშვირა, უკანა კი ამოკეცილი ჰქონდა. თავი რამდენიმე დუიმით წინა თათებზე მაღლა აეწია და, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, რვა ფუტზე იმყოფებოდა ჩემგან. ვეფხვს პირზე ისეთი ღიმილი გადაჰკრავდა, როგორსაც ძაღლის სახეზე დაინახავდით, როცა ის თავის დიდი ხნის უნახავ პატრონს ეალერსება.

ორმა აზრმა გამიელვა თავში: ერთი რომ აუცილებელია პირველმა გავაკეთო ყველა საჭირო მოძრაობა, მეორე, ეს მოძრაობანი ჩავატარო ისე, რომ არ დავაფრთხო ვეფხვი. თოფი მარჯვენა ხელში მეჭირა საკეტგახსნილი, ვეფხვის გულმკერდის გასწვრივ რომ მიმემართა ლულა, თოფი უნდა მომებრუნებია წრის სამ მეოთხედზე.

თოფის შემობრუნება დავიწყე ცალი ხელით ნელა და ოდნავ შესამჩნევად. როცა ერთი მეოთხედით შემოვაბრუნე, კონდახი ჩემს მარჯვენა მკერდს შეეხო. ახლა აუცილებელი გახდა ხელის გამოწევა, და როცა კონდახი გადმოშორდა ჩემს მარჯვენა მკერდს, ნელა განვაგრძე თოფის შემობრუნება. ხელი მთელ სიგრძეზე გავმართე და თოფის წონა ვიგრძენი. საჭირო იყო თოფის ლულის კიდევ ცოტა შემობრუნება. ვეფხვი ერთ წუთსაც არ მაშორებდა თვალს და მათვალიერებდა დრუნჩზე გამოსახული იმავე კმაყოფილებით.

რამდენი დრო დაჭირდა თოფის შემობრუნებას წრის სამმეოთხედზე, ვერ გეტყვით, მე თვალებში მივჩერებოდი ვეფხვს და ამიტომ არ შემეძლო ყურადღება მიმექცია თოფის მოძრაობისათვის; მეჩვენებოდა, რომ ხელი დამიდამბლავდა და თოფს ვერასოდეს მოვაბრუნებდი. მაგრამ მოძრაობა მაინც დამთავრებულ იქნა და როგორც კი თოფი მივმართე ვეფხვისაკენ, გამოვსწიე ჩახმახს.

გავიგონე გასროლის მკვეთრი ხმა ვიწრო სივრცეში და თოფის უკუდარტყმა ვიგრძენი. თუმცა ეს რეალური ნიშნები იყო იმისა, რომ თოფი გავარდა, მე მაინც მომიცვა საშინელმა შიშმა, ისეთმა შიშმა, როცა გეჩვენება, რომ ჩახმახის დაცემა ფუჭია და რომ ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაში გღალატობს თოფი.

კარგა ხნის განმავლობაში ვეფხვი სრულიად უძრავად იყო, მაგრამ შემდეგ თავი დუნედ ჩაჰკიდა გამოშვერილ თათებზე და იმავე დროს ტყვიის ნასვრეტიდან სისხლის ნაკადმა გადმოხეთქა. ტყვიას მისთვის ხერხემალი და გულის კოვზი დაეზიანებია.

რამდენიმე იარდით ჩემსკენ მომავალი ორი კაცი, რომელთაც ვეფხვისაგან კლდე ჰყოფდა, შეჩერდა, როცა დაინახა, როგორ გავსწორდი და შემოვაბრუნე თავი, მათ ინსტინქტით იგრძნეს, რომ ვეფხვი დავინახე და ჩემი მოქმედების მიხედვით დაასკვნეს, — ვეფხვი სულ ახლო იყო. როგორც შემდეგში მადო-სინგმა მიამბო, კინაღამ დამიძახა, ხელიდან გამეყარა კვერცხები და ორივე ხელით ამეღო თოფი. როცა გავისროლე და შემდეგ ძირს დავუშვი თოფის ლულა, მადო-სინგი ჩემს ნიშანზე გამოეშურა დასაბმარებლად; მოულოდნელად ვიგრძენი, რომ აღარ შემიძლია ფეხზე დგომა, წაქცეულ ხემდე ძლივს მივაღწიე და ჩამოვჯექი.

ჯერ კიდევ არ დამეთვალიერებია ვეფხვის თათები, მაგრამ ვიცოდი, რომ „სანეტარო სანადირო სამყაროში" გავამგზავრე ჩოუგარის ვეფხვი. მახვილმა, რომელიც დაეხმარა მას სამოცდაოთხი ადამიანის სიცოცხლის გამოსალმებაში (მაზრის მოსახლეობა თვლიდა, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო), მისი საკუთარი სიცოცხლის ძაფიც გადაჭრა.

ჩემი წარმატება დამოკიდებული იყო სამ გარემოებაზე, რომელთაგან ყოველი მათგანი ერთი შეხედვით შეიძლებოდა არახელსაყრელი მოგჩვენებოდათ: 1) კვერცხები რომ მარცხენა ჩელში მქონდა, 2) რომ მსუბუქი თოფით ვიყავი შეიარაღებული და 3) ის, რომ ვეფხვი კაციჭამია იყო.

კვერცხები რომ არ მქეროდა და ორივე ხელში თოფი მქონოდა, მაშინ ვეფხვის ახლოს დანახვისთანავე ინსტინქტით შეეცდებოდი მისკენ მიბრუნებას. ვეფხვის ნახტომი ჩემი მოუმზადებლობის გამო დაბრკოლდა, თორემ ის გარდუვალი იყო, მერმე, თოფი რომ არ ყოფილიყო ასე მსუბუქი, ვერ შევძლებდი მის ისე მიმართვას, როგორც ეს საჭირო იყო და შემდეგ გამართული ხელით გასროლას. და ბოლოს, ვეფხვი, თუ კაციჭამია არ იყო იგი, როცა დაინახავდა გამოსავალი არ

ჰქონდა, დაიწყებდა ნახტომისათვის მზადებას და თუ ვეფხვს ვინმეს ჩამოშორება უნდა გზიდან, ამას ჩვეულებრივ საბედისწერო შედეგი მოჰყვება ხოლმე.

სანამ ჩემი თანამგზავრები შემოვლას დაამთავრებდნენ და მთაზე ავიდოდნენ, რომ კამეჩი აეხსნათ და თოფი წამოეღოთ (იგი საჭირო იყო სხვა უფრო სასიამოვნო მიზნებისათვის), მე ამ დროს კლდეზე ავცოცდი და კვერცხები მის კანონიერ პატრონს დავუბრუნე. შეწყნარებას მოვითხოვ იმისათვის, რომ ისეთივე ცრუმორწმუნე ვარ, როგორც ჩემი თანამოძმენი. დიდ ხანს, თითქმის ერთ წელზე მეტს, ყოველნაირად ვცდილობდი ვეფხვის შოკვლას და ცდა ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა. ახლა კი კვერცხების ნახვიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ბედნიერება კარზე მომადგა.

კვერცხები დამტვრევას გადავარჩინე და ჯერ კიდევ თბილები ფრთხილად ჩავალაგე უკანვე, კლდის პატარა ღრმულში, რომელიც ბუდის მაგივრობას ეწეოდა. როცა ამ ადგილთან ჩავიარე ნახევარი საათის შემდეგ კვერცხებზე უკვე იჯდა დედა. მეც კი, რომელმაც ზუსტად ვიცოდი ბუდის ადგილმდებარეობა, ჭრელ კლდეზე გამიჭირდა ფრინველის ფერის გარჩევა სხვა საგნებისაგან.

ამ თვეების განმავლობაში კამეჩი ისეთი თვინიერი გახდა, რომ კაცს ძაღლივით კუდში დაყვებოდა. ის დაეშვა მთიდან, დასუნა ვეფხვი, დაწვა ქვიშნარზე და — სანამ მოკლულ ნადირს ჩემი თანაშემწეების მიერ მოჭრილ მაგარ ჭოკებზე ვამაგრებდით, — მშვიდად განაგრძობდა ცოხნას.

ვფიქრობდი, მადო-სინგი ჯიხურში გამეგზავნა დახმარებისთვის, მაგრამ მას ამის გაგონებაც არ სურდა. ამხანაგებთან ერთად არაფრის გულისათვის არ უნდოდა დაეთმო ვინმესთვის კაციჭამიას საპატიო ტვირთის ტარება. მისი სიტყვით, ეს ამოცანა არც ისე ძნელი იყო, თუ დავთანხმდებოდი მათ დახმარებაზე და ხანგამოშვებით შევისვენებდით. ჩვენ სამივე ღონიერი, ნაწრთობი მამაკაცები ვიყავით, რომელთაგან, ორი ბავშვობიდანვე მიჩვეული იყო მძიმე ტვირთის ტარებას. მიუხედავად ამისა, ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანა ჰერკულესის ძალას მოითხოვდა.

ბილიკი, რომელზეც ჩვენ დავეშვით, ძალზე დაკლაკნილი და ვიწრო იყო, რომ ჭოკებზე დამაგრებული ვეფხვი გვეტარებია. ამიტომ ხშირად ვისვენებდით, წესრიგში მოგვყავდა მხრებზე საფენი, რათა ჭოკებს არ დაეზიანებია და არ ჩაეჭრა მხრების თავები. ჩვენ პირდაპირ ავდიოდით მაყვლითა და კვრინჩხნარით დაფარული გორაზე, სადაც ეკლებმა მთლად შემოგვახია ტანსაცმელი და, როგორც იტყვიან, საკმაოდ გაგვისისხლიანა და დაგვიკაწრა ტანი.

მზე ჯერ კიდევ სხივებს აფრქვევდა მთათა მწვერვალებს, როცა სამმა გაწამებულმა, მაგრამ ძალზე ბედნიერმა კაცმა, — რომლებსაც უკან კამეჩი მისდევდა, — კალა-ადარის ტყის ჯიხურში შეიტანა ვეფხვი. იმ საღამოდან დღემდე არც ერთი ადამიანი არ ყოფილა მოკლული ან დასახიჩრებული მთებსა და ბარში რამდენიმე ასეული კვადრატული მილის სივრცეზე, სადაც მანამდე რამდენიმე წლის მანძილზე მძვინვარებდა ჩოუგარის ვეფხვი.

ჩემს წინ კედელზე ჩამოკიდებულ აღმოსავლეთ კუმაონის რუკაზე კიდევ დავუმატე ერთი ჯვარი და თარიღი: ჯვარი — ორი მილით დასავლეთით კალა-ადარიდან, ხოლო თარიღი — 1930 წლის 11 აპრილი.

ვეფხვს კლანჭები მომტვრეოდა და გაცვეთოდა. ერთი ეშვი მოტეხილი ჰქონდა, წინა კბილები კი ყბის ძვლებამდე მოცვეთილი. ამ ნაკლმა აქცია ის კაციჭამიად. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ვეფხვს ჩვეულებრივი ხერხითა და საკუთარი ძალღონით აღარ შეეძლო მეტი ადამიანების დახოცვა, რომელთაც თავს ესხმოდა იმ დღიდან, რაც მე ამ ადგილის პირველად დათვალიერებისას შეცდომით მოვკალი ახალგაზრდა ვეფხვი, რომლის დახმარებით ჩადიოდა ის მკვლელობას.

„პოვალგარის მარტოხელა“

ჩვენი საზამთრო სახლიდან სამი მილის დაშორებით ტყის სიღრმეში ასი იარდის სიგრძისა და ორმოცდაათი იარდის სიგანის მწვანე-ზურმუხტოვანი ბალახით დაფარული მდელოა, რომელსაც ირგვლივ აკრავს ლიანებშემოხვეული მაღალი ხეები. ამ მდელოზე, — რომლის სილამაზე აუწერელია, — პირ-

ველად ვიხილე შეერთებულ პროვინციებში „პოვალგარის მარტოხელად“ წოდებული ვეფხვი. 1920-დან 1930 წლამდე ამ ვეფხვის მოკვლა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ამ პროვინციის ყველა მონადირეს.

ის იყო მზემ ამოანათა ამ ზამთრის დილაზე, რომ მე მდელოს თავზე აღმართულ მაღლობზე ავედი. მინდვრის შორეულ მხარეზე გარეული ქათმების გუნდი ხმელ ფოთლებში იქექებოდა ანკარა წყაროს ნაპირზე, ხოლო ცერით დაფარულ მწვანე-ზურმუხტოვან სათიბში ორმოცდაათზე მეტი ირემი — ჩიტალები ლაღობდნენ. ხის კუნძზე ჩამომჯდარი თამბაქოს ვაბოლებდი და ამ სურათით ვტკბებოდი, რომ უეცრად ჩემს ახლო მყოფმა დედა ირემმა თავი ააღირა, მოაბრუნა სახე ჩემს მხარეს და დაიყვირა. რამდენიმე წამის შემდეგ ჩემს ქვევით ბუჩქებიდან ღია ადგილზე ვეფხვი გამოვიდა. მთელი წუთი იდგა იგი თავაწეული და ათვალიერებდა გარემოს, შემდეგ დინჯად და აუჩქარებლად გადაჭრა მდელო.

მდიდრულ ზამთრის ქურქში გახვეული ამომავალი მზის სხივებით გაბრწყინებული ვეფხვი მშვენიერ სანახავს წარმოადგენდა. თავის ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ შემობრუნებით, ნადირი მიდიოდა ირმების მიერ გაკვალულ ფართო გზაზე. ვეფხვი დაწვა წყაროსთან, წყურვილი მოიკლა, ადგა, შევიდა ჯაგნარში და სამჯერ დაიბუხუნა, თითქოს მადლობას უხდიდა ჯუნგლების მცხოვრებლებს მისალმებისათვის: მდელოზე ვეფხვის გამოჩენისას დაიყვირა თითოეულმა ჩიტალმა, სათითაოდ დაიკაკანა ყველა გარეულმა ქათამმა, ხეზე დაიყვირეს მაიმუნებმა.

ამ დილით „მარტოხელა“ (სწორედ ის იყო) ექვსი მილით გასცილდა თავის ბუნაგს. ვინაიდან „მარტოხელა“ ცხოვრობდა ისეთ ადგილებში, სადაც უმთავრესად ვეფხვზე სპილოებით ნადირობენ, ამიტომ მას აზრიანად შეერჩია თავისი ბუნაგი. ხევი ჰკვეთდა მთისწინეთს, ჰქონდა დაახლოებით ნახევარი მილი სიგრძე და ორივე მხარეს ათასი ფუტის სიმაღლეზე აღმართულიყო ციცაბო კედლები. ხევის ზემოთა ნაპირზე ოცი ფუტის სიმაღლეზე გადმოქუხდა წყალვარდნილი, ხოლო ქვევით, სადაც ნაკადი წითელ თიხნარზე მიედინებოდა,

ხევი ოთხ ფუტამდე ვიწროვდებოდა. ამიტომ „მარტოხელასთან“ შეხვედრის მსურველი მონადირე უთუოდ მოციგურავე უნდა ყოფილიყო. ეს ზონა დაცული იყო ყოველგვარი საფრთხისაგან. ამავე დროს, მთავრობის წესდების მიხედვით, აკრძალული იყო ღამე თოფის სროლა, და ეს, რასაკვირველია, ვეფხვს საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებია ძვირფასი ტყავი, რომლის ხელში ჩაგდებას ბევრი ცდილობდა.

მიუხედავად მრავალი ცდისა, მისატყუარი კამეჩის საშუალებით „მარტოხელას“ ხელში ჩაგდება არ მოხერხდა. მისთვის ერთხელაც არ უსვრიათ თოფი, თუმცა ორჯერ ბეწვზე გადარჩა. ერთხელ, უხერხული შემწყვდევის შედეგად, სახუნდარის დამჭერი ბაწარი შეირხა სწორედ იმ დროს, როცა ფრედ ანდერსონი უმიზნებდა. მეორე შემთხვევაში „მარტოხელა“ მანამ მივიდა სახუნდართან, სანამ შემწყვდევა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, ხიუშ ედი კი ამ დროს თავის ჩაბუხს ტენიდა.

ორივე შემთხვევაში ვეფხვი რამდენიმე ფუტზე დაენახათ: ანდერსონი ამბობდა, რომ იგი შოტლანდიური პონისხელაია, ედი კი ამტკიცებდა, რომ სიმაღლით ის ვირისოდენაა.

ზამთარში, მე მოვიწვიე ჩვენი კომისარი უინდხემი (რომელმაც ვეფხვებზე სხვაზე მეტი იცოდა ინდოეთში), წამოსულიყო ხევის ზედა განაპირას ნამწვზე, სადაც „მარტოხელა“ ცხოვრობდა, რომ მეჩვენებინა, ჩემს მიერ ამ დილას ნახული ვეფხვის თათების ახალი ანაბეჭდები. უინდხემს ორი გამოცდილი შიკარი ახლდა. როცა სამივემ ერთად გულდასმით დათვალიერა და გაზომა ნაკვალევები, უინდხემმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ვეფხვის სიგრძე პალოებს* შორის ათი ფუტია, ერთ-ერთმა შიკარიმ თქვა, ნადირის სიგრძე „მრუდზე“ ათი ფუტი და ხუთი დუიმია, მეორემ — ათი ფუ-

---

* ნადირის გაზომვა „პალოებს შორის“ ითვლება უფრო ზუსტად. ამ დროს ნადირი გადაიკიმება მიწაზე, ერთი პალო ესობა წინ დრუნჩის ბოლოში, მეორე გაკიმული კუდის ბოლოში და მანძილი პალოებს შორის პირდაპირ იზომება. გაზომვის მეორე საშუალება, „მრუდე“ — ზურგის მხრიდან, ცხვირიდან კუდის ბოლომდე, ითვლება უფრო ნაკლებ ზუსტ გაზომვად.

ტი და ექვსი დუიმია ან ცოტა მეტიო. სამივე ერთხმად ამტკიცებდა, რომ მათ არასდროს ასეთი მსხვილი ვეფხვი არ ენახათ.

1930 წელს სატყეო სამმართველომ დაიწყო ტყეების გაჩეხა „მარტოხელას“ ბუნაგის გარშემო მდებარე ადგილებში. მოუსვენრობამ თავი მოაბეზრა ვეფხვს და მან გამოიცვალა ბინა. ეს გავიგე ორი მონადირისგან, რომლებმაც ლიცენზია აიღეს ვეფხვის მოკვლისათვის. ამ ლიცენზიებს მხოლოდ თხუთმეტი დღის ძალა აქვს. იმ ზამთარში მონადირეთა ერთი წყება მეორეს ცვლიდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს ვეფხვის მოკვლა.

დაახლოებით ზამთრის მიწურულში ბებერი მალემსრბოლი — ფოსტალიონი, რომელიც დილა-საღამოს შვიდმილიანი მარშრუტით ტყეში მთის სოფელზე გავლით ჩვენს ახლოს ჩაივლიდა, ერთ საღამოს შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დილას გზაზე ისეთი დიდი ნაკვალევი ვნახე, რომ ასეთი ნაკვალევი ოცდაათი წლის სამსახურის მანძილზე არ მინახავსო. მისი თქმით, ვეფხვი მოვიდა დასავლეთიდან, გზის გასწვრივ გაიარა ორასი იარდი და ნუშის ხესთან დაწყებული ბილიკით წავიდა აღმოსავლეთისაკენ. ნუშის ხე ჩვენი სახლიდან ორ მილზე იდგა და ჩემთვის კარგად ცნობილი ორიენტირი იყო. ბილიკი, რომელზეც ვეფხვმა გაიარა, ნახევარ მილზეა გაჭიმული ხშირ შამბნარში, ჰკვეთს ფართო კალაპოტს და შემდეგ უერთდება პირუტყვის მიერ გატკეპნილ გზას, რომელიც მთისწინეთთან იკლაკნება და ღრმა უღრან ხევში იკარგება. მეორე დღეს დილაადრიან რობინთან ერთად წავედი ადგილის დასათვალიერებლად. ჩემი მიზანი იყო დამეზვერა ის ადგილი, სადაც მწყემსების ბილიკი ხევში შედის. აქ ადვილად შეიძლებოდა ყოველგვარი მოხეტიალე ნადირის კვალის აღმოჩენა. ჩვენი გამოსვლის მომენტიდან რობინს, როგორც ჩანს, ესმოდა, რომ ჩვენს წინაშე განსაკუთრებული ამოცანა იდგა. ის არ აქცევდა არავითარ ყურადღებას არც მის წინ აფრენილ გარეულ ქათმებს, არც კარკერს, რომელსაც ახლოს ჩავუარეთ, არც ორ სამბარს, რომლებმაც დაგვინახეს თუ არა, შეჩერდნენ და დაიყვირეს. იქ, სადაც ბილიკი ხევში შედიოდა, ნიადაგი ქვიანი იყო. როცა ჩვენ ამ ადგილზე მოვედით, რო-

ბინმა თავი დახარა და დასუნა ქვები, შემდეგ ჩემ სიგნალზე შემობრუნდა და გაუდგა ბილიკს. მისი ქცევის მიხედვით შემეძლო დასკვნა გამომეტანა, რომ მან ვეფხვს ალღო აუღო. ასი იარდის შემდეგ, მთის ძირას, გზა სწორ ადგილზე მიდიოდა; ნიადაგი რბილი იყო. აქ ვეფხვის თათების ანაბეჭდი დავინახე და ერთი შეხედვით დავრწმუნდი, რომ ფეხდაფეხ მივყვებით „მარტოხელას", რომელმაც ერთი თუ ორი წუთით ადრე გამასწრო.

რბილნიადაგიანი ნაკვეთის იქით გზა სამას იარდზე ქვით იყო მოფენილი, შემდეგ მკვეთრად ეშვებოდა ქვევით გაშლილ ვაკეზე. თუ ვეფხვი ბილიკზე მიდიოდა, ჩვენ უნდა დაგვენახა ის ამ სწორ ადგილზე. ჩვენ გავიარეთ კიდევ ხუთი-ათი იარდი, რობინი შეჩერდა, დასუნა ბილიკის მარცხნივ ბალახებში კვალი, შემობრუნდა და შევიდა ბალახში, რომელსაც დაახლოებით ორი ფუტი სიმაღლე ექნებოდა. ბალახის იქითა მხარეს იყო ორმოცი იარდის სიგანის კლეროდენდრონის ბარდნარი. ეს ბუჩქნარი ხშირ ჯგუფებად იზრდება, ხუთ ფუტამდე სიმაღლე აქვს, ასხია ხშირი ფოთოლი და ცხენისწაბლას მსგავსი ყვავილების ქუდებს იკეთებს. ბუჩქნარი ჩრდილით იზიდავს ვეფხვებს, სამბარებს და გარეულ ღორებს. კლეროდენდრონთან მისვლისას რობინი შეჩერდა და დაბრუნდა უკან, ამით მაცნობა, რომ ბუჩქებში რაღაც საშინელი რამ დაინახა და ხელში აყვანას მთხოვდა.

ავიყვანე რობინი, უკანა თათები მარცხენა ჯიბეში ჩავაყოფინე, წინა თათებით ჩემ მარცხენა ხელს ჩაეჭიდა და მოიკალათა. ამასთან, ორივე ხელი თავისუფალი მქონდა თოფის სახმარად. ასეთ შემთხვევებში რობინი სრულიად უმოძრაო იყო; რაც არ უნდა დაენახა, როგორც არ უნდა მოქცეულიყო ნადირი თოფის სროლამდე ან მის შემდეგ, რობინი არ გაინძრეოდა და არ შემიშლიდა ხელს არც თოფის სროლის დროს.

კლეროდენდრონის ბუჩქებში ნელ-ნელა მიედიოდით, ნახევარი გზა რომ გავიარეთ, მაშინ შევნიშნე, რომ ჩვენს წინაშე ბუჩქები ირხეოდა. დავაცადე ვეფხვს ბუჩქებიდან გამოსვლა და წინ წავედი იმ იმედით, რომ დამენახა ვეფხვი ნახევრად მეჩხერ ბარდნარში, მაგრამ იგი არ ჩანდა, მაშინ ჩამოვ-

სვი რობინი მიწაზე, მან მარცხნივ მოუხვია და მივხვდი, რომ ვეფხვი წავიდა ახლომდებარე ვიწრო ღრმა ხევისაკენ. ამ ხევს მივყავდით განმარტოებით მდგარ მთის ძირთან, რომლის გამოქვაბულის ხშირი სტუმრები იყვნენ ვეფხვები. ამასთან თოფიც არ მივარგოდა მოკლე დისტანციაზე ვეფხვის მოსაკლავად და თანაც საუზმის დროც იყო. მე და რობინმა სახლისკენ მოვუხვიეთ.

საუზმის შემდეგ მარტო დავბრუნდი უკან მძიმე თოფით შეიარაღებული. მთას რომ ვუახლოვდებოდი, რომელიც შორეულ წარსულში ადგილობრივი მცხოვრებლების შესაკრებ ადგილს წარმოადგენდა გურკების თავდასხმის დროს, კამეჩის ყელზე შებმული დიდი ზარის ხმა და კაცის ყვირილი შემომესმა. ხმები მოდიოდა მთის მწვერვალიდან, რომელსაც ნახევარი აკრის სიფართე ექნებოდა. ავედი იქ და დავინახე კაცი, რომელიც ხეზე იჯდა, ნაჯახის ყუით ხმელ ტოტებს ამტვრევდა და თანაც ყვიროდა. ხის ძირას კამეჩები შეგროვილიყო. შემამჩნია თუ არა კაცმა, ყვირილს უმატა, მე სწორედ დროზე მოვედი მისი და მისი კამეჩების გადასარჩენად შაითანისაგან, რომელიც აქლემისოდენა ვეფხვად მეჩვენებოდა და რომელიც აგერ რამდენი საათია ემუქრება.

როგორც ამ კაცმა მიამბო, იგი მოსულა აქ მას შემდეგ, რაც მე და რობინი სახლში გავემგზავრეთ. ის იყო კაცი შეუდგა კამეჩებისთვის ბამბუკის ფოთლების კრეფას, რომ დაინახა მისკენ მომავალი ვეფხვი. მწყემსმა დაიწყო ყვირილი ნადირის დასაფრთხობად, როგორც ამას ჩადიოდა სხვა ვეფხვებთან შეხვედრისას, მაგრამ ეს ვეფხვი ნაცვლად იმისა, რომ გასცლოდა, პირიქით, დაუღრინა. მწყემსი გაიქცა და მას თან მიყვნენ კამეჩებიც. იგი ასულა მახლობელ ხეზე. ვეფხვი არ აქცევდა ყურადღებას ყვირილს და დასუნსულებდა მის გარშემო, კამეჩებმა კი წრე შეკრეს და მისკენ რქებით დადგნენ. ვეფხვმა, ალბათ, იგრძნო ჩემი მიახლოება და რომ მივედი, თვალის დახამხამებაში გამასწრო.

ხეზე მჯდარი კაცი ჩემი ძველი მეგობარი აღმოჩნდა. ის კარგა ხანს ეწეოდა ბრაკონიერობას — სოფლის მამასახლისთან წაჩხუბებამდე — ჯუნგლებში იმავე მამასახლისის თოფით.

იგი მემუდარებოდა, გამეყვანა კამეჩებით ჯუნგლებიდან. მასვე დავავალე მეგზურობა, მე გავყევი უკან და თვალყურს ვადევნებდი. თავიდან კამეჩებს ერთად სიარული უნდოდათ, მაგრამ გარკვეული ღონისძიების შემდეგ ვაიძულეთ ისინი თითო-თითოდ ეევლოთ. ნახევარი გზა გვექნებოდა გავლილი, რომ მარჯვნიდან ჯუნგლებში ვეფხვის ხმა შემოგვესმა. კაცმა ნაბიჯს უმატა, მეც ვაშურებდი კამეჩებს, რადგან ერთი მილი კიდევ გვქონდა გასავლელი ხშირ ჯუნგლებში მანამ, სანამ ფართო გზაზე გავიდოდით, რომლის იქით ჩემი მეგობრის სოფელი იყო და სადაც მის კამეჩებს საფრთხე აღარ მოელოდათ

მე დავიმსახურე ისეთი კაცის რეპუტაცია, რომელიც მხეცების სურათების გადაღებით უფროა დაინტერესებული, ვიდრე მათი გაწყვეტით. ჩემი მეგობარი გამომშვიდობებისას მეევედრებოდა, რომ ამჯერად გვერდზე გადამედო სურათების გადაღება და მომეკლა ვეფხვი. იგი მარწმუნებდა, რომ ვეფხვი ისე დიდია, ერთბაშად კამეჩის შეჭმა შეუძლიაო. დავპირდი — გავაკეთებდი ყველაფერს, რაც შემეძლო და წავედი ჩემი ნაცადი გზით გაშლილ ადგილებზე შემთხვევის შესახვედრად, რომლის ყოველი წვრილმანი ღრმად დამამახსოვრდა.

ნანგრევებთან რომ მივედი, ჩამოვჯექი, ველოდი, რომ ვეფხვი თვითონ გასცემდა თავისთავს ან ჯუნგლების ცხოველები მაცნობებდნენ, სად იმყოფებოდა იგი. დაახლოებით ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა და, რადგან მზე სასიამოვნოდ აცხუნებდა, ქუდი მუხლებზე დავიდევი და ჩავთვლიმე; რამდენიმე წუთის შემდეგ გამაღვიძა ვეფხვის ღრიალმა.

დაბლობსა და მთებს შორის მდებარეობდა გაუვალი და დაბურული ბუჩქნარით დაფარული მიწის ნაკვეთი, რომელსაც ნახევარი მილი ექნებოდა სიგანე. განვსაზღვრე, რომ ვეფხვი იმყოფება მთებში ამ ბუჩქნარის იქითა მხარეს, დაახლოებით სამ-ოთხ მილზე ჩემგან, მისი ღრიალი კი გვამცნობდა, რომ იგი ცალს ეძებდა.

იმ ადგილიდან ახლო, სადაც მე ვიჯექი, რამდენიმე წლის წინათ გადიოდა ხე-ტყის გადასაზიდი საურმე გზა. მას თითქმის პირდაპირ მივყავდი იმ ადგილთან, სადაც ვეფხვი ღრიალებდა. შემეძლო ამ გზით მხეცთან მისვლა, მაგრამ აქ მთა-

ზე ხშირი ბალახი იყო მოდებული და რობინის დახმარების გარეშე მხეცის დანახვის დიდი იმედი არ მქონდა. ამიტომ გადავწყვიტე იძულებული გამეხადა ვეფხვი თვითონ მოსულიყო ჩემთან. მე ძალიან შორს ვიყავი და ვეფხვი ჩემს ხმას ვერ გაიგონებდა. ამიტომ მიტოვებულ გზაზე რამდენიმე ასი იარდი გავირბინე, თოფი მიწაზე დავდე, მაღალ ხეზე ავცოცდი და იქიდან სამჯერ დავიყვირე. ვეფხვმა იმ წამსვე მიპასუხა. ჩამოვცოცდი ხიდან და გავიქეცი უკან, თან ხმით ვიტყუებდი ვეფხვს, სანამ არ მივირბინე ვაკემდე, რადგან გზადაგზა ვერსად ვნახე საამისო ადგილი, რომ ჩავსაფრებოდი ვეფხვს. საჭირო იყო რაიმე ღონისძიების მიღება და ისიც ჩქარა, რადგან ვეფხვი სწრაფად მიახლოვდებოდა. უკუვაგდე ფიქრი მესარგებლა შავი მყრალი წყლით სავსე პატარა ღრმულით და დავწექი გაშლილ ადგილას ოცი იარდის მოშორებით იქიდან, სადაც გზა შამბნარში შედიოდა. აქედან მოჩანდა ხედი გზაზე ორმოცდაათი იარდის მანძილზე, შემდეგ კი, პერსპექტივას ფარავდა გზაზე გარშემორტყმული ბუჩქნარი. თუ ვეფხვი აქეთ წამოვიდოდა, მე შემეძლო სროლა გაშლილ ადგილზე მისი გამოჩენისთანავე.

თოფი გადავხსენი, რათა სავსებით დავრწმუნებულიყავი, რომ იგი გატენილია, საკეტი გადავწიე და ნიდაყვებით მოხდენილად დაყრდნობილმა რბილ ნიადაგზე, დავუწყე ლოდინი ვეფხვის გამოჩენას. მე არ გამიცია მისთვის ხმა მას შემდეგ, რაც გაშლილ ადგილას გამოვედი, რათა მისთვის მიმართულება მიმეცა, ჩუმად მოვუხმე, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა პასუხი ასი იარდის მანძილიდან. თუ ვეფხვი მოდიოდა ჩვეულებრივი ნაბიჯით, ის უნდა გამოჩენილიყო ოცდაათ წამში. მე ძალიან ნელა დავითვალე ოცდაათამდე, შემდეგ ავედი ოთხმოცამდე, როცა მარჯვნივ ბუჩქებში თვალი მოვკარი მოძრაობას ჩემგან ათი იარდის მოშორებით. თვალები მომექცა ამ მხარისაკენ ყურებით და დავინახე ბუჩქების ზევით (მათი სიმაღლე ოთხი ფუტი იქნებოდა) გამოჩნდა დიდი თავი, ტანს კი, ბუჩქები ფარავდა. და მხოლოდ მაშინ, როცა თოფის ლულა ნელა შემოვაბრუნე და ხედვა სამიზნეზე გადავიტანე, შევამჩნიე, რომ ვეფხვს ჩემსკენ არ ჰქონდა თავი

ვობრუნებული. რადგან ზევით გასროლა მიხდებოდა და ვეფხვი კი ძირს იხედებოდა, ამიტომ ნიშანი ავიღე ერთი დუიმით მისი მარჯვენა თვალს ქვევით და თითი დავაჭირე სასხლეტს. შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში კინაღამ გავთავდი შიშისაგან.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ვეფხვს მოვახვედრე ტყვია და ძირს დავეცი, მაგრამ ის უეცრად გამოხტა ბუჩქებიდან, ახტა, დაეცა გულალმა ქარიშხლისაგან წაქცეულ, ჯერ კიდევ ჭწვანე ხეზე, შემდეგ გამძვინვარებული დაეტაკა ხეს და დალეწა იგი. თან განუწყვეტლივ ღრიალებდა და რაც კიდევ უფრო საზარელი იყო, გამოცემდა რაღაც სისხლის გამყინავ ხმას.

ხის ტოტები ისე ცვივოდა, თითქოს ქარიშხლის მიერ იყო დალეწილი. ჩემს ახლოს ბუჩქები კი მიწამდე იხრებოდნენ. ყოველ წამს ველოდი ვეფხვის თავდასხმას, იმიტომ, რომ იგი მომჩერებოდა მე თოფი რომ ვესროლე და იცოდა სადაც ვიმყოფებოდი.

ისე ვიყავი შეშინებული, რომ თოფის ხელახლად გატენაც ვერ მოვახერხე, მცირე მოძრაობისაც კი მეშინოდა, რომ ამით ვეფხვის ყურადღება არ მიმეპყრო. ასე ვიწექი ნახევარი საათი, ოფლში გაწუწული და მარცხენა სასხლეტზე თითგაშეშებული. შემდეგ ტოტებმა და ბუჩქებმა შეწყვიტა მოძრაობა, ღრენის ხმაც თანდათან მინელდა და ბოლოს სრულიად შეწყდა. კიდევ ნახევარი საათი ვიწექი სრულიად გაუნძრეველად თოფის სიმძიმისაგან დაბუჟებული ხელებით, შემდეგ კი ფეხების მოძრაობით დავიწყე უკან დაცურება. ამგვარად, გავიარე მანძილი ოცდაათ ირდამდე, შემდეგ წამოვდექი ფეხზე და მოკუზული გავიქეცი, რომ მახლობელ ხისათვის შემეფარებია თავი, აქ რამდენიმე წუთს დავყავი და რადგან ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, სახლში წავედი.

* * *

მეორე დილას დავბრუნდი ერთი ჩემი თანამგზავრის, გამოცდილი ხეზემცოცავის თანხლებით. წინა საღამოს შევამ-

ჩნიე, რომ ღია მოედნის განაპირას, დაახლოებით ორმოც იარდზე იმ ადგილიდან, სადაც ვეფხვი დაეცა, ხე იდგა. ჩვენ განსაკუთრებით ფრთხილად მივედით ხესთან. მე ჩემს თანამგზავრს ზურგიდან ვიცავდი, სანამ იგი ხეზე ადიოდა. მიდამოების ხანგრძლივი და გულდასმით დათვალიერების შემდეგ. მან შემომხედა და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია, შემდეგ ჩამოვიდა და მითხრა, რომ ბუჩქნარი დიდ მანძილზე არის მოთელილი, ვეფხვი კი არსად ჩანსო. მე უკანვე ავგზავნე ხეზე კაცი დავალებით, ყურადღებით დაეთვალიერებია მიდამოები და გავეფრთხილებინე ბუჩქებში შემჩნეული ყოველგვარი მოძრაობის შესახებ. გადავწყვიტე თვითონ დამეთვალიერებია ის ადგილი, სადაც გუშინ მძვინვარებდა ვეფხვი. როგორც ჩანს, ვეფხვს რაღაც განზრახვა ჰქონდა, რადგან მას არა მარტო ტოტები მოემსხვრია ხისთვის, არამედ ძირფესვიანად ამოეთხარა რამდენიმე ბუჩქი და დაეღრღნა ისინი. ყველგან სისხლის შხეფები აჩნდა, მიწაზე კი დალეკერტებული სისხლის ორი გუბე იდგა. ერთი მათგანის ახლო მოზრდილი ძვლის ნამსხვრევი ეგდო. ხელში რომ ავიღე, ვეფხვის თავის ქალას ნატეხი აღმოჩნდა.

ამ ადგილთან სისხლიანი ბილიკი წყდებოდა. ეს მოვლენა სისხლის ორ გუბესთან ერთად მიგვითითებდა იმაზე, რომ სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელი იყო. ამ ადგილის შემოვლის დროს აქა-იქ ვნახულობდი სისხლის პატარა წვეთებს იმ ადგილას, სადაც ვეფხვი დრუნჩით ბუჩქებს ეხებოდა. დავრწმუნდი, რომ ვეფხვისკენ მიმავალ გზას მივყავდი ორასი იარდით დაშორებულ სემულის* გიგანტურ ხესთან. უკან დავბრუნდი, ავედი ხეზე, რომელზეც ჩემი თანამგზავრი იყო და ვთხოვე მას ზემოდან ედევნებია თვალი იმ ადგილისთვის. რომელზეც მე გავივლიდი.

ძალიან მტანჯავდა წინათგრძნობა, რომ ვეფხვს ცოცხალს ვნახავდი. თავში დაჭრის შემდეგ შეიძლება ვეფხვმა იცოცხლოს რამდენიმე დღე და შეიძლება განიკურნოს კიდეც ჭრილობისაგან. მართალია, ამ ვეფხვს მომტვრეული ჰქონდა თა-

* სემული, ანუ კანოკი — ხე, რომელიც სამხრეთ აზიაში ხარობს.

ვისქალის ნაწილი, მაგრამ რადგან არ მქონია საქმე ასეთ მდგომარეობაში მყოფ მხეცთან, ამიტომ არ ვიცოდი რამდენ საათს ან რამდენ დღეს იცოცხლებდა, თუ საერთოდ არ მოკვდებოდა სიბერემდე. ამიტომ გადავწყვიტე მოვჰყრობოლი მას, როგორც ჩვეულებრივ დაჭრილ ვეფხვს და თავი არ წამეგო მისი თვალთვალის დროს.

ჩემი მაღალი პოზიციიდან დავინახე, რომ სემულისაკენ მიმავალი გზიდან მარცხნივ კიდევ ორი ხე იდგა: ერთი უახლოეს ოცდაათ იარდზე სისხლიანი ადგილიდან. მეორე კი ორმოცდაათ იარდზე იქით. ჩემი თანამგზავრი ხეზე დავტოვე, მე ჩამოვცოცდი ძირს, ავიღე შტუცერი, საფანტიანი თოფი, ასი ვაზნის მარაგით და ძალიან ფრთხილად მივედი ერთ-ერთ მახლობელ ხესთან, ავცოცდი ზედ, რომელსაც ოცდაათი ფუტის სიმაღლე ექნებოდა და მაგარი ბაწრით ავიტანე შტუცერი და საფანტიანი თოფი. შტუცერი დავამაგრე განშტოებაზე ისე, რომ ის ყოველთვის მზად მქონდა საჭიროების დროს. ამის შემდეგ, ზუმბიანი თოფით ბუჩქები დავცხრილე წერილი საფანტით. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ დამედგინა ვეფხვის ადგილსამყოფელი: მხეცი თუ თოფის სროლას გაიგონებდა ან საფანტი მოხვდებოდა, დაიღრიალებდა ან წინ გაიჭრებოდა. რადგან აქ ვეფხვის ყოფნის ვერავითარი კვალი ვერ აღმოვაჩინე, მივედი მეორე ხესთან და დავცხრილე საფანტით ბუჩქები რამდენიმე იარდის მოშორებით სამულიდან და უკანასკნელი საფანტი თვითონ ხეს მივაყარე. ამ გასროლის შემდეგ გავიგონე ხმადაბლა ღმუილი. მაგრამ იგი აღარ გამეორებულა და დავრწმუნდი, რომ მომეჩვენა. ვაზნების მარაგი ამოწურული იყო, ამიტომ მოვუხმე ჩემს თანამგზავრს და სახლისკენ გავეშურეთ.

მეორე დილას ისევ დავბრუნდი და შვეხვდი ჩემს მეგობარს თავისი კამეჩებით; იგი მათ აძოვებდა ვაკეზე. როგორც დავრწმუნდი, ჩემი დანახვა ძალზე გაეხარდა, რომლის მიზეზიც გვიან გავიგე.

ბალახი ისევ ცვრით იყო დაფარული, მაგრამ ჩვენ მოვძებნეთ მშრალი ადგილი, თამბაქო მოვწიეთ და ერთმანეთს გავუზიარეთ უკანასკნელი დღეების შთაბეჭდილებები და გან-

ცდები. როგორც მე ვამბობდი, ჩემი მეგობარი თავის დროზე საკმაოდ ეწეოდა ბრაკონიერობას, მთელი თავისი სიცოცხლე კამეჩების საძოვრებზე ვეფხვებით სავსე ადგილებში გაატარა და ცუდად როდი იცნობდა ჯუნგლებს.

ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. პირველი შეხვედრის შემდეგ მდინარის ფართო კალაპოტთან იგი გადავიდა მოპირდაპირე მხარეს და ჩაცუცქდა მოღწეული ხმების ყურის დასაგდებად იმ ადგილიდან, საითკენაც მე წავედი. მან გაიგონა ორი ვეფხვის ხმა, ჩემი გასროლა, რასაც მოპყვა ვეფხვის ხანგრძლივი გააფთრებული ღრენა და გამოიტანა სრულიად ბუნებრივი დასკვნა, რომ ვეფხვმა მიმსხვერპლა. მეორე დილას დაბრუნდა, ძალზე დაინტერესებული, ასამდე თოფის გასროლა რომ გაეგონა, ცთუნებას ვეღარ მორეოდა და წამოსულიყო სანახავად, თუ რა მოხდა. კამეჩები, რომლებიც სისხლის სუნმა მიიზიდა, უჩვენებდნენ ადგილს, სად დაეცა ვეფხვი, მან ნახა გამხმარი სისხლის ლაქები და ძვლის ნამსხვრევები. მისი აზრით, არც ერთ ცხოველს არ შეეძლო ეცოცხლა ერთ საათზე მეტხანს მას შემდეგ, რაც თავის ქალას ნაწილი დაუზიანდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ვეფხვი სადღაც მკვდარი ეგდო და შემომთავაზა მესარგებლა მისი კამეჩებით ვეფხვის მოსაძებნად. მე გაგონილი მქონდა კამეჩების მეშვეობით ვეფხვების მოძებნის ხერხი, მაგრამ თვითონ იგი არასოდეს არ მესინჯა. მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი დამთანხმდა მიეღო ანაზღაურება იმ დანაკლისისთვის, რომელიც შესაძლებელია მომხდარიყო მის კამეჩებზე ვეფხვის თავდასხმის შემთხვევაში, მე მივიღე მისი წინადადება.

მოვაგროვეთ თორმეტი კამეჩი და გავემართეთ იმ ადგილისაკენ, სადაც წინადღეს საფანტიან თოფს ვისროდი. ჩვენ მივდიოდით სემულის ხისაკენ და უკან მოგვყვებოდნენ კამეჩები. ნელა ვმოძრაობდით არა მარტო იმიტომ, რომ გვიხდებოდა მკერდამდე შემომდგარ ბუჩქებში გაღწევა და მათი ხელით გადაწევ-გადმოწევა, რომ ფეხის დასადგამი ადგილი გვენახა, არამედ, იმიტომაც, რომ კამეჩებიც წესიერად მოგვყოლოდნენ. სემულთან რომ მივედით (ბუჩქები იქ მეჩხერი იყო), შევამჩნიე ხმელი ფოთლებით ამოვსებული ღრმული.

ფოთლებს სისხლის შემსმარი ლაქები აჩნდა, ზოგი კი ახალი იყო. შევახე ხელი ფოთლებს და ვიგრძენი, რომ ღრმული ჯერ კიდევ თბილი იყო. როგორ წარმოუდგენლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს, წინადღით, როცა მე ასამდე ვაზნა დავხარჯე, ვეფხვი ამ ღრმულში წოლილა თურმე და აქედან წასულა მაშინ, როცა კამეჩებით ჩვენი მოახლოება შეუმჩნევია.

კამეჩებმა სისხლი რომ იყნოსეს, იწყეს ფეხების ცემა და ზმუილი. თავდამსხმელ ვეფხვსა და გაღიზიანებულ კამეჩებს შორის მოხვედრა ჩემთვის სახარბიელო არ იყო. მოვკიდე ხელი ჩემს მეგობარს, მოვბრუნდით უკან და წავედით გაშლილ ადგილას, ჩვენ გამოგვყვნენ კამეჩებიც. ჩემს თანამგზავრს ვუბრძანე წასულიყო სახლში და ვუთხარი — მოქმედების ადგილზე ხვალ დავბრუნდები და საქმე მექნება ვეფხვთან პირისპირ-მეთქი.

ჯუნგლებში გამავალი გზით ვბრუნდებოდი სახლში, ამ გზის ნაწილი ზოგჯერ რბილნიადაგიანია. მეოთხე დღეს შევამჩნიე მსხვილი ხვადი ვეფხვის თათების ანაბეჭდები. მივუყევი ამ ანაბეჭდებს და მივხვდი, რომ ვეფხვი სამულის მარჯვნივ ასი იარდის მოშორებით ხშირ ჯაგნარში შესულიყო. ამაში მდგომარეობდა მოულოდნელი გართულება, რადგან არ მყავდა ვეფხვი ნახული და ისიც ახლო მანძილზე, ამიტომ არ შემეძლო მცოდნოდა დაჭრილი იყო თუ არა მხეცი. სიძნელის გადალახვა შეიძლებოდა მხოლოდ მასთან შეხვედრის დროს. უკან დახევა უშედეგოდ მივიჩნიე, ამიტომ გავიარე სემულის ქვევით და წავედი ჯაგნარის სიღრმისაკენ.

სისხლიანი კვალი არ ჩანდა. საათზე მეტი ხნის განმავლობაში მიხვეულ-მოხვეულად მივდიოდი ბუჩქნარში. წინ რაიმეს დანახვა მხოლოდ სულ ახლოს თუ შეიძლებოდა. შემდეგ მივადექი ნაკადულის ამომშრალ ათი ფუტის სიფართის ჯალაპოტს. სანამ კალაპოტში ჩავიდოდი, წინ გავიხედე და დავინახე ვეფხვის მარცხენა უკანა ფეხი და კუდი. ვეფხვი სრულიად უძრავად იდგა, ტანსა და თავს ხე უფარავდა. თოფი მოვიგდე ბეჭზე, მაგრამ ისევ დავუშვი ძირს. ფეხის მომტვრევა ვეფხვისათვის ადვილი საქმე იყო; მხეცი რამდენიმე იარდით იყო დაშორებული. ვარაუდი, რომ სახელდობრ ეს არის დაჭრილი

ვეფხვი, სრულიად კანონიერი იყო, მაგრამ ამ ადგილებში ხომ ორი ვეფხვი ბინადრობდა. ჯანმრთელი ვეფხვისათვის რომ ფეხი მომემტვრია — ეს მხოლოდ გაზრდიდა ისედაც მნიშვნელოვან სიძნელეებს. შემდეგ ფეხმა გადაინაცვლა და გავიგონე, როგორ მიდიოდა იგი. მივედი იმ ადგილას, სადაც ის იდგა და ვნახე რამდენიმე სისხლის წვეთი. სინანული, თუ რატომ არ მოვამტვრიე ვეფხვს ფეხი, უკვე გვიან იყო.

ამ ადგილიდან მეოთხედ მილზე გამოდიოდა პატარა წყარო. შესაძლებელია ვეფხვი ჭრილობების ოდნავ მოშუშების შემდეგ წავიდა წყაროსაკენ. დაიმედებულმა, რომ მას იქ გამოვიჭერდი ანდა დავასწრებდი იქ მისვლას, წავედი მხეცების ბილიკით, რომელიც, ვიცოდი, წყაროსთან მიმიყვანდა. ამ ბილიკით უკვე გავიარე რამდენიმე მანძილი, რომ მოულოდნელად ჩემგან მარცხნივ დაიყვირა სამბარმა და ჯუნგლებში გაიქცა. ცხადი შეიქნა, რომ უშუალოდ მივუახლოვდი ვეფხვს, და ის იყო რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი,. რომ ხმელი ტოტების ლაწანის ხმა მოისმა ორმოცდაათ იარდზე იმ ადგილიდან, სადაც სამბარმა დაიყვირა. ირემი უეჭველად აფრთხილებდა ჯუნგლების ბინადართ ვეფხვის შესახებ და წავედი ფორთხვით იმ მიმართულებით, საიდანაც ხმა მოისმოდა.

ექვსი-რვა ფუტი სიმაღლის ბუჩქებს ზედა ტოტებზე ხშირი ფოთოლი ესხა, ქვევით კი — ნაკლები და მასში შემეძლო ათი-თხუთმეტი ფუტის მანძილზე დამენახა — რა ხდება ჩემს წინ. წინ წავიწიე ოცდაათი იარდით, ღრმად დარწმუნებული, რომ, თუ ვეფხვი თავს დამესხმის, იგი დამეტაკება წინიდან (სხვა მიმართულებით ჩემთვის შეუძლებელი იყო გასროლა). აქ დავინახე ჩემს წინ რაღაც წითელი, რომელზეც აღიბეჭდებოდა ფოთლებში გაღწეული მზის სხივების ანარეკლი. ეს შეიძლება ჩამოცვენილი ფოთლები ყოფილიყო, შეიძლება ვეფხვიც. შემეძლო ამ საგნის დათვალიერება, თუ მარჯვნივ ორი მეტრით გავიწეოდი. ამიტომ თავი დავხარე ისე, რომ ნიკაპით მიწას ვეხებოდი და ამგვარად მუცელზე ხოხვით გავიარე ეს მანძილი და, თავი რომ ავწიე, პირდაპირ ჩემს წინ დავინახე ვეფხვი. იგი იწვა და მომჩერებოდა, მზე ანათებდა მის მარცხენა ბეჭს. ორი ტყვია დავახალე, იგი გადაბრუნდა გვერდზე და უხმოდ მინებდა სიკვდილს.

თავზე ვადექი და ვათვალიერებდი მის მშვენიერ აღნაგობას. აღარ იყო აუცილებელი გამესინჯა მისი თათები, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემს წინ „პავალგარის მარტოხელაა". ოთხი დღის წინათ ჩემს მიერ გასროლილი ტყვია მის დანაოჭებულ ტყავზე ასხლტა და მიმართულება შეიცვალა. თავის უკანა ნაწილში ღრმა პატარა ფოსო საოცრად სუფთად მოშუშებოდა.

ჩემი სროლის ხმას გაიგონებდნენ. მე გავეშურე სახლისკენ, რომ არ შეშფოთებულიყვნენ. სანამ ხალხი შეიკრიბებოდა, ჩაის ვსვამდი და ვუამბობდი ამ ნადირობის უკანასკნელ ეპიზოდებს.

ჩემი დის, რობინისა და ოცი ტვრითმზიდავის თანხლებით დავბრუნდი იქ, სადაც ვეფხვი ეგდო. სანამ მას ჭოკებზე მიაკრავდნენ, მე და ჩემმა დამ გავზომეთ ნადირის ზურგი ცხვირიდან კუდის ბოლომდე და პირიქით. სახლში კიდევ გავზომეთ ვეფხვი, რომ დავრწმუნებულიყავით პირველი გაზომვის სიზუსტეში. ამ გაზომვებს არ აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ჩვენთან იყვნენ ამის დამადასტურებელი მიუკერძოებელი მოწმეები. მაგრამ ისინი მაინც საინტერესონი არიან, რადგან გვაძლევენ სიზუსტეზე მსჯელობის საშუალებას, რომლითაც გამოცდილი მონადირე საზღვრავს ვეფხვის სიგრძეს თათების ანაბეჭდის მიხედვით. თუ თქვენ გახსოვთ, უინდხემმა განაცხადა, რომ ვეფხვს ჰქონდა ათი ფუტი სიგრძე „პალოებს შორის" — ეს დაახლოებით შეეფარდება ათ ფუტსა და ექვს დუიმს „მრუდზე". ერთმა შიკარიმ თქვა, რომ ვეფხვს ჰქონდა ათი ფუტი და ხუთი დუიმი „მრუდზე", მეორემ კი თქვა — ათი ფუტი და ექვსი დუიმი ან ცოტა მეტიო. მხეცი მოკლულ იქნა შვიდი წლის შემდეგ, ამ მოსაზრებათა გამოთქმიდან. მე და ჩემმა დამ გავზომეთ და დავადგინეთ, რომ ვეფხვის სიგრძეა ათი ფუტი და შვიდი დუიმი „მრუდზე".

მე რამდენადმე დაწვრილებით შევჩერდი ამ ისტორიაზე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ იმათთვის, ვინც ამ ვეფხვზე ნადირობდა 1920 და 1930 წლებში, ინტერესმოკლებული არ იქნება გაიგოს „პავალგარის მარტოხელას" ბედი.

მოჰანის კაციჭამია

ჰიმალიებში ჩვენი საზაფხულო საცხოვრებლიდან თვრამეტ მილზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭიმულია დაახლოებით ცხრა ათასი ფუტის სიმაღლის ქედი. ქედის კალთების ზედა ნაწილი დაფარულია მარცვლოვანი მცენარეულობით. ამ ყანების ქვედა ნაწილი კი სალი კლდეებისაგან შედგება და ეშვება მდინარე კოსის ხეობაში.

ერთხელ სოფლის ქალები და გოგონები ქედის მარცხენა მხარეზე ბალახს თიბავდნენ, რომ ერთბაშად თავს წამოადგათ ვეფხვი. ატყდა წივილ-კივილი. ამ ალიაქოთის დროს რომელიღაც ხანშიშესულმა ქალმა წაიბორძიკა, დაგორდა მთის ციცაბო ფერდობზე და გადავარდა კლდის იქით. ყვირილმა, ცხადია, დააფრთხო ვეფხვი, ის ისევე ჩუმად გაქრა, როგორც ვამოჩნდა. როცა შეშინებული ქალები შეიკრიბნენ და გონს მოვიდნენ, ისინი ჩავიდნენ ბალახით დაფარულ ფერდობზე კლდის იქეთ რომ გადაიხედეს, ნახეს, მათი თანასოფელი გაშხლართული ეგდო ვიწრო ლავგარდანზე ცოტა ქვემოთ იმ ადგილიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ.

ქალი ძალზე დაშავებულიყო, ფეხი მოეტეხა და რამდენიმე ნეკნი ჩამტვრეოდა, მოძრაობა აღარ შეეძლო.

დაიწყეს მსჯელობა როგორ დახმარებოდნენ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ეს მამაკაცის საქმეა. არავის არ სურდა ადგილზე დარჩენა, ქალს განუცხადეს, რომ ყველა წავიდოდა სოფელში დახმარების აღმოსაჩენად. ქალი ეეედრებოდა არ დაეტოვებიათ იგი. ბოლოს, დიდი თხოვნის შემდეგ, დარჩა ერთი თექვსმეტი წლის ქალიშვილი. ქალები წავიდნენ სოფელში, დარჩენილი ქალიშვილი გაეშურა მარჯვნივ, სადაც ნაპრალი მას ლავგარდანზე ასვლის საშუალებას აძლევდა.

ლავგარდანი დაახლოებით მთელი კლდის ნახევარზე იყო გამოშვერილი და რამდენიმე იარდის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ქალი იწვა, თავდებოდა პატარა ღრმულით. იმის შიშით, რომ ლავგარდანიდან არ გადმოვარდნილიყო და ძირს ასი ფუტის სიღრმეში გაბლაგებულ კლდეებზე არ გადაჩეხილიყო, ქალმა თხოვა ქალიშვილს გადაეყვანა ის

ღრმულში. ქალიშვილმა წარმატებით შეასრულა ეს რთული და სახიფათო საქმე. ღრმულში მხოლოდ ერთი დაეტეოდა; ქალიშვილი ძლივს მოთავსდა ლავგარდანის კიდეზე.

სოფლამდე ოთხი მილი იყო და კლდეზე დარჩენილები ფიქრობდნენ, რამდენი დრო დასჭირდებოდა მათ თანასოფლელებს მისვლამდე, რამდენ მამაკაცს მიუსწრებდნენ ისინი ამ დროს, რამდენი ხანი დასჭირდებოდათ ახსნა-განმარტებისათვის, რა მოხდა და ბოლოს როდის მოვიდოდნენ საშველად.

ისინი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ იმის შიშით, რომ სადღაც აქ ახლოს ვეფხვი იმყოფებოდა და შეიძლებოდა გაეგონა. ქალმა ერთბაშად ნიშანი მისცა, ქალიშვილმა დაინახა მის სახეზე შემაძრწუნებელი გამომეტყველება. მან თავი მიაბრუნა იმ მხარეს, საითაც მიპყრობილი იყო ქალის მზერა და მხრის ზემოთ დაინახა, თუ როგორ ამოდიოდა ვეფხვი კლდის ნაპრალიდან ლავგარდანზე.

ბევრ ჩვენგანს განუცდია ალბათ ის საშინელება, როცა გეჩვენება, რომ ურჩხული გიახლოვდება გასანადგურებლად. სხეული და ხმა იმ დროს პარალიზებულია, სიმწრის ოფლში გეღვიძება, ბედს უმადლი, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ სიზმარი იყო. მაგრამ უბედურ ქალიშვილს როდი ჰქონდა ასეთი ბედნიერი გამოღვიძება.

ადვილი წარმოსადგენია, რაც მოხდა. კლდე ვიწრო ლავგარდანით, რომლის პატარა ღრმულში იწვა ნაწამები ქალი. იქვე შემაძრწუნებელი შიშისაგან კლდეზე აკრული ქალიშვილი და ნელი შემპარავი ნაბიჯით მისკენ მიმავალი ვეფხვი. არსად გასაქცევი გზა, არსაიდან ხსნა.

ჩემი ძველი მეგობარი მადო-სინგი ამ დროს სოფელში იყო. მაშველ ჯგუფს მეთაურობდა. ბალახიან ფერდობზე რომ ეშვებოდა, ხალხმა კლდის შვერილზე მწოლიარე გულწასული ქალი დაინახა და სისხლის ლაქები შეამჩნია. დაშავებული სოფელში მოიყვანეს და გონზე რომ მოვიდა, მოყვა მთელი ისტორია. მადო-სინგი ჩემთან ერთად გამოემგზავრა თვრამეტ მილზე. იგი მოხუცი იყო, სამოც წელს ბევრად გადაცილებული. მიუხედავად ამისა, მოხუცმა უარყო ჩემი წინადადება, რომ ის დაღლილია და დასვენება სჭირდება. ამიტომ ერთად გავემგზავრეთ მდგომარეობის გამოსარკვევად.

მომხდარი ამბის შემდეგ ოცდაოთხმა საათმა განვლო და ის, რაც ვეფხვს გადარჩა მამაცი გოგონასაგან, იყო ძვლის რამდენიმე ნამსხვრევი და სისხლით გაჟღენთილი კაბა. ეს იყო პირველი ადამიანი ვეფხვის მიერ მოკლული. შემდეგში კი ამ ვეფხვს ოფიციალურად შეარქვეს „მოჰანის კაციჭამიას" სახელწოდება.

ქალიშვილზე თავდასხმის შემდეგ ვეფხვი გამოსაზამთრებლად ჩამოვიდა კოსის ხეობაში. გზაში, გარდა სხვა მსხვერპლისა, მან სიცოცხლეს გამოასალმა საზოგადო სამუშაოთა დეპარტამენტის ორი მოსამსახურე და ჩვენი საკანონმდებლო საბჭოს წევრის შვილობილი. ზაფხულის მოახლოებისას ვეფხვი კვლავ პირველი მკვლელობის ადგილს დაუბრუნდა და რამდენიმე წლის განმავლობაში კოსის ხეობის მთაბარიან ადგილებში მანამ თარეშობდა, სანამ საბოლოოდ მოხანის ზემოთ მდებარე მთის ძირში, სოფელ კარდკანოულას მიდამოებში არ მოიკალათა.

სამაზრო თათბირზე, — რომელზეც მოგახსენებდით ერთ-ერთ წინა მოთხრობაში, — გამოირკვა, რომ ამ დროს სამი კაციჭამია ვეფხვი დათარეშობდა შემდეგ რაიონებში: ჩოუგარში (ნაინი-ტალის მაზრა), მოჰანში (ალმორას მაზრა) და კანდაში (გარვალის მაზრა).

მას შემდეგ, რაც ბოლო მოვუღე ჩოუგარის ვეფხვს, ალმორას სამაზრო კომისარმა ბენსმა მომაგონა, რომ მე თათბირზე მიცემული დაპირების მხოლოდ ნაწილი შევასრულე და რომ სიის მიხედვით ახლა მოჰანის ვეფხვი უნდა მომეკლა, რომ ვეფხვი უფრო მეტად გააქტიურდა და ყოველდღე თანდათან მეტ საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობისათვის. მარტო წინაკვირას სოფელ კარტკანოულას სამი მცხოვრები მოეკლა. ბენსი მირჩევდა გავმგზავრებულიყავი სწორედ ამ სოფელში.

სანამ ჩოუგარის ვეფხვით ვიყავი გართული, ბენსი შეუჩნდა რამდენიმე მონადირეს წასულიყვნენ კარტკანოულაში; თუმცა მათ ვეფხვის მიერ დახოცილ ადამიანთა და ცხოველთა სახით შენიღბული მისატყუარების ზევით განლაგებული საფრები ეკავათ, მაინც ვერ შეხვდნენ კაციჭამიას და ხელმოცარულნი დაბრუნდნენ რანიკეტში.

ბენსმა მაცნობა, რომ ახლა მოქმედების მთელი არე ჩემს განკარგულებაში იქნებოდა, საჭირო იყო გამაფრთხილებელი ზომების მიღება, რადგან კაციჭამიებზე ნადირობისას ადამიანს ნერვები უსუსტდება და ადვილად შესაძლებელია მოჰყვეს უბედურება, თუ მონადირეთა ერთი ან რამდენიმე ჯგუფი დევნის ერთსა და იმავე ნადირს.

* * *

მაისის ერთ მშვენიერ ნათელ და მცხუნვარე დღეს ორი მსახურითა და ნაინი-ტალიდან წამოყვანილი ექვსი გარვალით* დღის პირველ საათზე ჩამოვედი მატარებლიდან რამნაგარში და ფეხით შევუდექი ოცი მილიან გზას კარტკანოულამდე. პირველი ეტაპი მხოლოდ შვიდი მილი იქნებოდა და გარჯიაში დაღამებისას მივაღწიეთ. ბენსის წერილის მიღებისთანავე ისე ნაჩქარევად წამოვედი სახლიდან, რომ ვერ მოვასწარი გარჯიაში ტყის სადარაჯო ჯიხურის დაკავების ნებართვის მიღება და ამიტომ ღამის გათევა ცისქვეშ მომიხდა.

გარჯიის ახლოს მდ. კოსის მოპირდაპირე ნაპირზე რამდენიმე ასეული ფუტის სიმაღლის კლდეა აწვდილი. დაძინებული არ ვიყავი, რომ კლდის ძირას მიწაზე ქვების დაცემის მსგავსი ხმაური შემომესმა. ხმა სწორედ ისეთი იყო, თითქოს ორი ქვა მძლავრად მოხვედროდეს ერთმანეთს. ცხელ ღამეებში კაცს მოუსვენრად ძინავს. რადგან მთვარე ამოვიდა, საკმაოდ განათდა არემარე, რომ ფეხი არ დამედგა გველისათვის. წამოვდექი ჩემი სამგზავრო საწოლიდან და წავედი გასაგებად, რაში იყო საქმე. აღმოჩნდა, რომ ხმა მოდიოდა გზისპირას მდებარე ჭაობის ბაყაყთა სამფლობელოდან. ხშირად მომისმენია წყლისა და ხის ბაყაყების ყიყინი, მაგრამ არაფერი გამიგონია გარჯიის ბაყაყების ყიყინზე უფრო საოცარი.

მეორე დღეს დილა ადრიან გავედით და ასიცხებამდე მოჰანამდე თორმეტი კილომეტრი გავიარეთ. სანამ ხალხი საუზმეს ამზადებდა. მოჰანის ბაზრიდან დაბრუნებულმა სადარაჯო

---

* გარვალები ინდოეთის ერთ-ერთი ტომია.

ჯიხურის ჩოუკიდარმა, ტყის ორმა მცველმა და რამდენიმე კაცმა მიამბო ისტორია ვეფხვის შესახებ. ამ ამბებიდან ერთი ეხებოდა მდინარე კოსიზე თევზის ჭერით გართულ მეთევზეს. ერთ-ერთი ტყისმცველი ამ ისტორიაში გმირის როლს იჩემებდა და ძალიან ცოცხლად ყვებოდა, თუ როგორ მიდიოდა იგი მეთევზესთან ერთად და მდინარის დინების მოსახვევში როგორ შეეფეთნენ ვეფხვს პირისპირ, როგორ ჩამოგლიჯა მეთევზემ ტყისმცველს მხრიდან თოფი და მოკურცხლა უკან. შემდეგ, როგორ გარბოდნენ ორივენი სიცოცხლის გადასარჩენად და როგორ მისდევდა მათ ვეფხვი ფეხდაფეხ. მე ვკითხე — უკან არ იხედებოდით-თქო? — არა საიბ, — მიპასუხა ჩემი მიამიტობით გაკვირვებულმა ტყისმცველმა. — როგორ შეუძლია უკან მოხედვა ადამიანს, რომელიც გარბის ვეფხვისაგან სიცოცხლის გადასარჩენადო.

მეთევზემ, რომელიც წინ გარბოდა, ხშირ ბალახებში მძინარე დათვზე წაიბორძიკა და დაეცა, შემდეგ დაიწყო დიდი აურზაური, ყვირილი და ყველამ, დათვის ჩათვლით, მიაშურა სხვადასხვა მხარეს. ტყისმცველმა დაამთავრა თავისი მოთხრობა და დაუმატა, რომ მეორე დღეს მეთევზემ დატოვა მოჰანი. იგი დათვზე წაბორძიკების შედეგად ფეხის დაშავებას უჩიოდა და ამბობდა, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ ითევზავებდა მდინარე კოსიში.

შუადღისათვის მზად ვიყავით გზის გასაგრძელებლად. გარშემო შემოკრებილი ხალხი გვაფრთხილებდა, რომ ხშირ ტყეში შესვლისას ყურადღებით გვედევნებია თვალი კაციჭამია ვეფხვისთვის. დავიწყეთ ოთხი ათასი ფუტის სიმაღლის კარტკანოულაზე ასვლა.

ნელა მივიწევდით წინ, რადგან ჩემს მსახურებს მძიმე ტვირთი მიჰქონდათ. ბილიკი ციცაბო იყო, სიცხე კი აუტანელი. მთის სოფლებში ცოტახნის წინათ მღელვარებას ჰქონდა ადგილი და ამან ნაინი-ტალიდან პოლიციის მცირე რაზმის გაგზავნაც კი გამოიწვია, ამიტომ მირჩევდნენ წამეღო როგორც პირადად ჩემთვის, ისე ჩემ მსახურთათვის ყველაფერი აუცილებელი, რადგან გაურკვეველი მდგომარეობის გამო შეუძლებელი იყო ადგილზე რაიმეს შოვნით დაიმედება. ეს

იყო მიზეზი იმისა, რომ ჩემი თანამგზავრები ასე იყვნენ დატვირთულნი.

მრავალი შესვენების შემდეგ, ნაშუადღევი გადასული იქნებოდა, რომ დამუშავებულ მიწებს მივაღწიეთ. რადგან აქ ჩემ ხალხს საშიშროება არ მოელოდა, დავტოვე ისინი და წავედი ტყის მცველის ქოხისკენ, რომელიც მოჰანიდან მოჩანდა, მე ის მირჩიეს, როგორც კარტკანოულას ახლო სადგომად უფრო მოხერხებული ადგილი.

ქოხი მოჰანის ზევით აღმართულ მაღალი მთის თხემზე იდგა. როცა მას ვუახლოვდებოდი ფერდობის გადამკვეთი სწორი გზით და მოვუხვიე ხშირი შამბნარით დაფარულ ხევისკენ, დავინახე ქალი, რომელიც ხის ღარში მოჩუხჩუხე პატარა წყაროდან თიხის კოკას ავსებდა. გავითვალისწინე, რომ რეზინის ლანჩებზე ჩემს უხმოდ მოახლოებას შეეძლო დაეფრთხო ქალი და მისი ყურადღება რომ მიმექცია, ჩავახველე. როდესაც შევამჩნიე, რომ მან გაიგონა, გავჩერდი რამდენიმე იარდის მანძილზე და სიგარას მოვუკიდე. ორიოდე წუთის შემდეგ თავის მიუბრუნებლად ეკითხე, საშიში ხომ არაა ამ განმარტოებულ ადგილზე ყოფნა-მეთქი. ცოტა ყოყმანის შემდეგ ქალმა მიპასუხა, რომ, ცხადია, ადგილი ძალიან საშიშია, მაგრამ წყალი მჭირდება და რადგან სახლში არავინ იყო, მარტო წამოვედიო. როგორ! ქმარი არ ჰყავს? — ჰყავს, მაგრამ იგი სახნავადაა წასული და, მიუხედავად ყოველგვარი მდგომარეობისა, ქალი ვალდებულია მოიტანოს წყალი. კიდევ დიდი ხანი მოუნდება ჰურჭლის ავსებას? ძალიან ცოტა. ახლა ქალმა უკუაგდო შიში, ეჭვი და შეუდგა დაწვრილებით ჩემს გამოკითხვას. მე პოლიციელი ვარ? — არა. ტყისმცველთა ოფიცერი? — არა. მაშ ვინ ვარ? — ჩვეულებრივი კაცი. რატომ მოვედი? — მინდა კარტკანოულას მცხოვრებლებს დავეხმარო. რით? — ვეფხვი მოვკლა. სად გავიგონე ვეფხვის შესახებ? რატომ მოვედი მარტო? სად არის ჩემი ხალხი? რამდენი არიან ისინი? დიდ ხანს დავრჩები აქ? და ა. შ.

როგორც კი დაიკმაყოფილა ქალმა ცნობისმოყვარეობა, განაცხადა, რომ კოკა სავსეაო. იგი მომყვებოდა უკან და მიმითითებდა მთის სამხრეთ მხარეში მდებარე ერთ-ერთ თხემ-

ზე, მან მიაქცია ჩემი ყურადღება ბალახით დაფარულ ფერდობზე მდგარ ერთ დიდ ხეზე, სადაც სამი დღის წინ ვეფხვს ქალი მოეკლა. ხე მხოლოდ ორასი ან სამასი იარდით იქნებოდა დაშორებული ტყისმცველის ქოხიდან. ჩვენ ახლა მაღლა მთისკენ მიმავალ ბილიკამდე მივედით. ქალმა თქვა, რომ სოფელი, საიდანაც ის მოვიდა, იქვე მთის ფერდობის მოსახვევში იყო, და დაუმატა, რომ მას ახლა საფრთხე არ მოელის.

ის, ვინც იცნობს ინდოელ ქალებს, მიხვდება, რომ მე ძალიან გამიმართლა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მხარეში ცოტახნის წინათ ადგილი ჰქონდა გაუგებრობას პოლიციასთან. მე არ შემიშინებია ქალი და ამით არ აღმიძრავს მთელ ოლქში ჩემს მიმართ მტრული განწყობა. დავუცადე, სანამ ქალი კოკას აავსებდა, ვუპასუხე რამდენიმე კითხვაზე და ამით შევიძინე მეგობარი, რომელსაც ახლო მომავალში უნდა ეცნობებია გლეხებისათვის ჩემი მოსვლის შესახებ, რომ მე არ ვიყავი ოფიციალური პირი და რომ ჩემი ერთადერთი მიზანი იყო მცხოვრებლების ხსნა ვეფხვისგან

* * *

ტყისმცველის ქოხი პატარა მაღლობზე იდგა, გზიდან ოცი იარდის მოშორებით და რადგან კარი მხოლოდ ძეწკვით იყო დაპაგრებული, გავაღე ის და შევედი. პატარა ოთახში სისუფთავე იყო, მაგრამ დიდი ხნის უკაცრიელობის გამო მასში შმორის სუნი იდგა. გვიან გავიგე, რომ ქოხში არავინ ცხოვრობდა მას შემდეგ, რაც თვრამეტი თვის წინათ ამ მიდამოებში კაციჭამია ვეფხვი გამოჩნდა. ოთახს ორივე მხარეზე ჰქონდა ვიწრო სათავსოები, რომელთაგან ერთი სამზარეულოდ იყო გამოყენებული, მეორე კი — სათბობი მასალის საწყობად. ქოხი შეიძლებოდა სასიამოვნო და უსაფრთხო თავშესაფარი ყოფილიყო ჩემ მსახურთათვის. მასში არ იყო არავითარი მოწყობილობა. გავაღე უკანა კარი და ოთახი გავანიავე. გამოვედი ოთახიდან გარეთ, ქოხსა და გზას შუა შევარჩიე ადგილი კარვის გასაშლელად. გზის პირას ქვაზე ჩამოვჯექი და დაველოდე ჩემს თანაშემწეებს.

მთის თხემს ამ ადგილზე დაახლოებით ორმოცდაათი იარ-
დის სიგანე ექნებოდა და რადგან ქოხი თხემის სამხრეთ მხა-
რეზე იდგა, სოფელი კი მთის ჩრდილოეთ მხარეზე, ამიტომ ქო-
ხიდან ის არ ჩანდა. ათ წუთზე მეტი არ იქნებოდა გასული, რაც
ქვაზე ჩამოვჯექი. რომ სოფლის მხრიდან მწვერვალზე ჯერ
ერთი თავი გამოჩნდა, შემდეგ მეორე და მესამე. ჩემ მეგობარ
ქალს არ დაეყოვნებია თქმა ჩემი მოსვლის შესახებ.

ინდოეთში, როცა უცნობი ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან
და სურთ გაიგონ მათთვის რაიმე საინტერესო ამბავი, ისინი
ჩვეულებრივ, გაურბიან ამ საკითხს საუბრის უკანასკნელ მო-
მენტამდე და დრო გაჰყავთ სულ სხვადასხვა ამბების ან მოსა-
უბრეთა პირადი საქმეების გარშემო მსჯელობით, მაგალითად:
ცოლშვილიანია თუ არა კაცი, თუ ასეა — რამდენი ბავშვი
ჰყავს, ბიჭებია თუ გოგოები და რა ხნის არიან; თუ უცოლოა, —
რატომ, რას აკეთებს თვითონ, რამდენს ღებულობს ხელფასს
და ა. შ. კითხვებს, რომელზეც რომელიმე სხვა ქვეყანაში
არავინ გიპასუხებდათ, ინდოეთში და განსაკუთრებით მთაში,
ისე ჩვეულებრივად და გულუბრყვილოდ იძლევიან, რომ ჩვენ
ხალხში მცხოვრები არც კი იფიქრებს საწყენია თუ არა ასეთი
ცნობისმოყვარეობა.

ქალთან ლაპარაკის დროს, მე უკვე ვუპასუხე რამდენიმე
ასეთ კითხვაზე, ხოლო ზოგიერთ შინაურ საქმეზე ქალს არ აქვს
უფლება შეეკითხოს მამაკაცს. ეს შეკითხვები ახლადმოსულმა
მამაკაცებმა მომცეს. იმათ გაავსეს კარდალა პატარა წყარო-
დან, თვალის დახამხამებაში მოაგროვეს ხმელი ფიჩხი, დაან-
თეს ცეცხლი და აადუღეს წყალი, გამოჩნდა ჩაი და ორცხობი-
ლა. შესქელებული რძის ქილას რომ ვხსნიდი, გავიგონე, გლე-
ხები როგორ ეკითხებოდნენ ჩემიანებს, რატომ ხმარობენ
შესქელებულ და არა ახალ რძესო; პასუხი ასეთი იყო, რომ
ჩვენ არა გვაქვს ახალი რძე. ჩემმა ხალხმა ისიც დაუმატა, რომ
მე გაგონილი მქონდა ამ მხარეში ბღელვარების შესახებ და
იმედი არ მქონდა ახალი რძის შოვნისა, ამიტომ წამოვიღეთ
შესქელებული რძის დიდი მარაგი. ეს გლეხებს ძალიან ეწყი-
ნათ. ჩურჩულით მოილაპარაკეს და ერთმა მათგანმა (შემდეგ
გავიგე — მამასახლისი იყო კარტკანოულადან) მითხრა,

ძალიან გვწყინს, რომ შესქელებული რძე წამოიღეთ, რადგან თქვენს განკარგულებაშია სოფლის მთელი მარაგიო. მე ვაღიარე ჩემი შეცდომა და თავი იმით ვიმართლე. რომ მე ამ მხარეს არ ვიცნობდი, თანაც ვუთხარი მამასახლისს, თუ რძის შოვნა შეიძლებოდა, დიდი სიამოვნებით ვიყიდიდი მას ყოველდღიური საჭიროებისათვის და რომ რძის გარდა, მე არაფერი მჭირდება. ჩემი ბარგი განტვირთულ იქნა, სოფლიდან ახალი მნახველები მოვიდნენ. როდესაც მოსამსახურეებს ვუთხარი, რომ კარავი გაეშალათ, შეკრებილი გლეხები საშინლად შეშფოთდნენ. კარავში ცხოვრება? როგორ, ნუთუ მე არ ვიცი, რომ ამ ადგილებში იმყოფება კაციჭამია ვეფხვი და რომ იგი ყოველ ღამე ამ გზაზე დადის? თუ იმათ სიტყვებში ეჭვი მეპარება, მაშინ კეთილი ვინებო და წავბრძანდე სოფლის ბოლოში და სადაც გზა გადის, დავინახო კლანჭების ნაკვალევი სახლების კედლებზე. თანაც, თუ ვეფხვი არ შემჭამს მე კარავში, ცხადია, იგი შეჭამს ჩემს ხალხს სახლში, რადგან მე მათ იქ ვერ დავიცავ. მათმა უკანასკნელმა წინადადებამ ჩემი თანამგზავრები ჩააფიქრა და აიძულა შეერთებოდნენ გლეხების აზრს. მე ბოლოს და ბოლოს დავთანხმდი ოთახში დავბინავებულიყავი, ჩემმა მოსამსახურეებმა დაიკავეს სამზარეულო, ექვსმა გარვალელმა კი — სათბობის სათავსი.

კაციჭამიაზე ლაპარაკის ჩამოვარდნის შემდეგ, მე შემეძლო ამ საკითხზე გაუთავებლად ლაპარაკი, რათა თანამოსაუბრეებს გაეგოთ, რომ მე მხოლოდ ეს მაინტერესებდა მთის მწვერვალიდან პირველი გლეხის გამოჩენის მომენტამდე. მე მიმითითეს ბილიკზე, რომელიც იმ ხისკენ მიემართებოდა, სადაც ვეფხვმა გაიტაცა თავისი უკანასკნელი მსხვერპლი და მიამბეს, როდის და როგორ იქნა მოკლული ქალი. გზა, რომელზეც ყოველ ღამე დადიოდა ვეფხვი, როგორც მითხრეს, მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ ბაითალ-გეტამდე. შემდეგ ის იყოფოდა ორად: ერთი ქვევით მიდიოდა მოჰანისკენ. მეორე კი — დასავლეთისკენ ჩაკნაკლამდე მდინარე რამგანგზე. დასავლეთისაკენ მიმავალი გზა ნახევარი მილის მანძილზე დამუშავებულ ყანებზე გადიოდა სოფლის ზედა ბოლოში, უხვევდა მთის ფერდობის გასწვრივ სამხრეთისაკენ, გაივლიდა თხემთან, სადაც ტყისმცველის ქოხი იდგა და თხემიდან პირდაპირ ეშვებოდ:

ჩაკნაკლში. გზის ნაწილი კარტკანოულასა და ჩაკნაკლს შორის ექვსი მილის მანძილზე ძალზე სახიფათოდ ითვლებოდა და რაც კაციჭამია გამოჩნდა, ამ გზით აღარ სარგებლობდნენ. გვიან დავადგინე, რომ გზა დამუშავებულ მიწებზე გავლით, შედიოდა მდინარემდე გადაჭიმულ ხშირ ბუჩქნარში.

კარტკანოულის ყანები უმთავრესად მთების ჩრდილოეთ მხარეზეა განლაგებული, ყანებს იქით კი არის ღრმა ხეუბებით დასერილი მთის რამდენიმე გორაკი. ამათგან ყველაზე მახლობელზე, ტყისმცველის ქოხიდან დაახლოებით ათას იარდზე, ხარობს ფიჭვის ვეებერთელა ხე. ამ ხის მახლობლად ათი დღის წინათ ვეფხვს ქალი მოეკლა და ნაწილი შეეჭამა კიდეც. ამ დროს აქედან ოთხი მილის მოშორებით ტყის ჯიხურში დაბინავებულმა სამმა მონადირემ ვერ შეძლო ფიჭვზე ასვლა, ამიტომ გლეხებმა მოაწყვეს მათთვის ხეებზე სამი სახუნდარი ანუ საფარი გვამიდან ასი-ასოთხმოცდაათი იარდის დაშორებით. სახუნდრები ცოტა ადრე, მზის ჩასვლამდე, დაიკავეს მონადირეებმა და მათმა მსახურებმა. ეს ხდებოდა ახალ მთვარეზე, მთვარის გამოცვლის შემდეგ გლეხებმა რამდენჯერმე გაიგონეს თოფის სროლის ხმა და როცა მეორე დღეს მსახურებს ჰკითხეს, მათ უპასუხეს, რომ არ იციან რატომ ისროდნენ თოფებს მონადირეები, რადგან თვითონ არაფერი დაუნახავთ. ორი დღის შემდეგ მონადირეები ძროხასთან ჩაუსაფრდნენ, იგი მოკლულ იქნა ისევე, როგორც წინა შემთხვევაში; მთვარის ჩასვლის შემდეგ ატყდა სროლა. სწორედ ასეთი „სპორტული", მაგრამ უშედეგო ცდები ხდიან კაციჭამიებს ისე ფრთხილს, რომ ისინი, რაც უფრო დიდ ხანს ცხოვრობენ, მით უფრო ძნელი ხდება მათი მოკვლა.

გლეხებმა ძალიან საინტერესო რამ მიამბეს ვეფხვის შესახებ. ისინი ყვებოდნენ, რომ ვეფხვის მოსვლას სოფელში ყოველთვის გებულობენ მისი ხმადაბალი კვნესით. დაწვრილებით რომ გამოვკითხე, გავიგე, რომ სახლებშორის მიმავალი ვეფხვი ხანდახან განუწყვეტლივ კვნესოდა, დროდადრო კი კვნესა ხან დიდი ხნით, ხან მცირე ხნით წყდებოდა.

აქედან დავასკვენი, რომ ვეფხვი იტანჯებოდა ჭრილობისა-

გან და ჭრილობა კი ისეთი იყო, რომ ვეფხვი ტკივილებს გრძნობდა მხოლოდ სიარულის დროს, ეს კი ვარაუდს იწვევდა, რომ იგი ფეხში იყო დაჭრილი. მარწმუნებდნენ, რომ არც ჩასაფრების მომწყობ ადგილობრივ შიკარებსა და არც მონადირეებს ვეფხვი არ დაუჭრიათ. თუმც ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ვეფხვი მრავალი წელია, რაც ადამიანებს ჭამდა და, ჩემი აზრით, სწორედ ეს ჭრილობა, რომლისგანაც იგი იტანჯებოდა, შეიძლება ყოფილიყო მისი კაციჭამიად გახდომის მიზეზი. საკითხი ძლიერ საინტერესო იყო, რომლის დადგენა შეიძლებოდა მხოლოდ ვეფხვის სიკვდილის შემდეგ მისი შემოწმების შედეგად.

გლეხები ძალიან დაინტერესდნენ იმით, რომ მე ასეთ მნიშვნელობას ვაძლევდი ვეფხვის ხმებს. როდესაც განვაცხადე, რომ ეს ხმები იმის მაჩვენებელია, რომ ერთ-ერთ თათში ის დაჭრილია, და რომ ჭრილობა თოფის სროლის ან მაჩვ-ზღარბის ნემსების შედეგია-თქო, ისინი დამეთანხმნენ, მაგრამ დასძინეს, რომ როცა მათ ვეფხვი დაინახეს, ის ჯანსაღად გამოიყურებოდა, ხოლო ის სიმსუბუქე, რომლითაც ვეფხვი ჰკლავს და იტაცებს თავის მსხვერპლს, იმაზე მეტყველებდა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო დასახიჩრებული. იმათ მაინც დაიმახსოვრეს ჩემი სიტყვები, და მოგვიანებით ამან შემიქმნა მე „შორსმჭვრეტელი“ ადამიანის რეპუტაცია.

* * *

რამნაგარზე გავლის დროს ტახსილდარს ვთხოვე ორი ზაქი ეყიდა ჩემთვის და გაეგზავნა ისინი მოჰანში, სადაც ჩემი მოსამსახურეები იყვნენ.

გლეხებს ვუთხარი, რომ განზრახული მაქვს ერთი კამეჩი მივაბა იმ ხის ახლო, სადაც სამი დღის წინათ მოკლულ იქნა ქალი, მეორე კი — ჩაკნაკლში მიმავალ გზის პირას. მცხოვრებლებმა მითხრეს, რომ უკეთეს მისატყუარ ადგილს ვერც მოიფიქრებენ, მაგრამ მაინც სურთ იმსჯელონ და მაცნობონ მეორე დღეს, შეუძლიათ თუ არა მომცენ სხვა უფრო სასარგებლო რჩევა. ღამდებოდა, და წასვლის წინ მამასახლისი დამპირდა

ხვალ დილით აცნობებდა მთელი მხარის მოსახლეობას ჩემი ჩამოსვლის შესახებ. ვთხოვე, რომ აუცილებლად, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, ეცნობებია ჩემთვის ამ არემარეში ადამიანთა დაღუპვის ან მათზე თავდასხმის ყველა შემთხვევა.

ოთახში შმორის სუნი განიავდა, მაგრამ ცოტა კიდევ იგრძნობოდა. მე არ ვაქცევდი ამას ყურადღებას და ტანის დაბანისა და სადილის შემდეგ მივაგორე კართან ორი ქვა -- კარის ჩაკეტვის სხვა საშუალება არ იყო, — მთელი დღე შრომისგან დაღლილ-დაქანცული მივწექი ლოგინზე. ფხიზელი ძილი ვიცი და ორი თუ სამი საათის შემდეგ გამომეღვიძა, გავიგონე, რომ ვიღაც პირდაპირ უკანა კარს მოადგა. ვტაცე ხელი თოფსა და ჩირაღდანს, ფეხით გავწიე ქვები, გავაღე კარი და გავიგონე მიმავალი ნაბიჯების ხმა. ამ ხმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნადირი ვეფხვი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შესაძლოა ყოფილიყო მაჩვ-ზღარბი და ავაზაც. ხშირ შამბნარში კარგად ვერ ვარჩევდი.

ოთახში დაბრუნებისა და კარზე ქვების მილაგების შემდეგ ვიგრძენი, რომ ხმა ჩამეხლიჩა. ეს მივაწერე იმას, რომ მოჰანიდან ამოსვლის შემდეგ ქარში ვიჯექი. მაგრამ როცა დილაადრიან ჩემმა მსახურებმა კარი გააღეს და ჭიქით ჩაი შემომიტანეს, მივხვდი, რომ ლარინგიტი დამმართოდა, ალბათ იმის გამო, რომ მეძინა დიდი ხნის უკაცრიელ ოთახში, რომლის ჭერში ღამურები ირეოდნენ. ჩემმა მსახურმა მითხრა, რომ ის და მისი ამხანაგები გადაურჩნენ სენს, გარვალელები კი, რომლებმაც ღამე სათბობი მასალის საწყობში გაათიეს, ისევე დაავადნენ, როგორც მე. ჩემი წამლის მარაგი განისაზღვრებოდა ორუნციანი ბოთლი იოდის ხსნარითა და ქინაქინის რამდენიმე ტაბლეტით. თოფის ფუტლიარში კიდევ აღმოვაჩინე მანგანუმმჟავა კალიუმის პაკეტი, რომელიც ჩემმა დამ წინა მგზავრობის დროს მომცა. პაკეტი თოფის საწმენდი ზეთით გაჟღენთილიყო, მაგრამ კრისტალები კიდევ არ იყო გახსნილი; ისინი საკმაო რაოდენობით ჩავყარე. ცხელწყლიან ქილაში და დავუმატე იოდი. მიღებული წამალი ძლიერ მოქმედი აღმოჩნდა და თუმცა კბილები ძალიან გაგვიშავა, სამაგიეროდ, შეგვიმსუბუქა ყელის ანთება.

ადრიანი საუზმის შემდეგ გავგზავნე ოთხი კაცი მოჰანში კამეჩების მოსაყვანად. მე კი წავედი იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც ქალი იყო მოკლული. წინადღით მიღებული ცნობებით, ჩემთვის ძნელი არ იყო პოვნა ადგილისა, სადაც ვეფხვი თავს დაესხა ქალს და მოჰკლა, როცა ის ერთ იღლია ბალახს კონავდა. ბალახი და ბაწარი ჯერაც იქვე ეყარა. იქვე იყო ორი იღლია ბალახიც ქალის თანმხლებლების მიერ დაყრილი, როცა ისინი დაფეთებულნი გაიქცნენ სოფელში. გლეხები მეუბნებოდნენ, რომ მოკლულის გვამი ვერ ეპოვნათ.

ქალი მოკლულ იქნა მცირე ფერდობის ზედა მხარეში, საიდანაც ვეფხვმა წაათრია იგი ხშირ ბუჩქნარში. აქ ნადირმა შეიცადა, შესაძლოა მანამ, სანამ მხედველობიდან არ გაქრა ორი დანარჩენი ქალი. შემდეგ გადაკვეთა თხემი, რომელიც ქოხიდან მოჩანდა და ნადავლით პირდაპირ დაეშვა მთაზე ხშირი ჯაგნარისაკენ. ნაკვალევს ახლა ოთხი დღის ხანდაზმულობა ჰქონდა და მასზე მიყოლა უშედეგო იყო, ამიტომ სახლში წავედი.

თხემზე უკან ასასვლელი გზა ძალიან ციცაბო იყო. შუადღისას, როცა ადგილს მივაღწიე, სახლის აივანზე სხვადასხვა ზომის ქილებისა და ქვაბების მთელი საწყობი დავინახე. ყველა ისინი რძით იყო სავსე. ღარიბულ წინა დღესთან შედარებით ხვავი დადგა; რძე მთელ აბაზანასაც კი გაავსებდა. ჩემმა მსახურებმა მითხრეს, რომ მათმა პროტესტმა არ გასჭრა და თითოეული გლეხი ჭურჭელს რომ დგამდა აივანზე, ამბობდა, სანამ მე მათ სოფელში ვიქნებოდი, არ მომაკლებდა ახალ რძეს.

დალამებამდე არ მქონდა იმედი, რომ ჩემი ხალხი დაბრუნდებოდა მოჰანიდან კამეჩებით და ამიტომ საუზმის შემდეგ ჩაკნაკლისაკენ მიმავალი გზის დასათვალიერებლად წავედი.

სახლიდან მთა თანდათან მაღლა მიიწევდა ხუთი ათას ფუტამდე, და, უბრალოდ რომ ვთქვათ, სამკუთხედის მოხაზულობა ჰქონდა. გზა მინდვრებზე გადიოდა დაახლოებით ნახევარ მილზე და მკვეთრად უხვევდა მარცხნივ. კვეთდა მეორე კლდოვან მთას, ადიოდა თხემზე, უხვევდა მარჯვნივ და მიემართებოდა თხემზე ჩაკნაკლამდე. თხემის გასწვრივ გზა მოკლე

მანძილზე ვაკე ადგილებში გადიოდა, შემდეგ კი ეშვებოდა ქვევით ისე, რომ ალაგ-ალაგ ხშირი მოსახვევების გამო ადამიანს ჩასვლა უადვილდებოდა.

მე ძალიან გულდასმით დავათვალიერე ადგილი სამი მილის მანძილზე. თუ ვეფხვი რეგულარულად დაძრწის რომელიმე გზით, ის უსათუოდ ტოვებს გზის ნაპირზე ნაფხაჭნების მსგავს კლანჭების ნაკვალევს. ამ ნაფხაჭნის მნიშვნელობა ისეთია, როგორიც შინაური კატებისა და კატისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებისა. ის ძალზე საინტერესოა მონადირისათვის, რადგან ეხმარება გაიგოს: ხვადია ეს, თუ ძუ; რომელი მიმართულებით მიდიოდა ნადირი; დიდი ხანია თუ არა, რაც მან გაიარა; მიმართულება, სად არის მისი მუდმივი ადგილსამყოფელი, მანძილი იქამდე; რა იშოვა ნადირმა; და ამ ცოტახანში ჭამა თუ არა ნადირმა ადამიანის ხორცი. ყველასთვის, ვისაც უნადირია კაციჭამიაზე უცნობ ადგილებში, სავსებით გასაგებია ასე ადვილად მიღებული საყურადღებო ცნობების მნიშვნელობა. ვეფხვები ტოვებენ თავიანთი თათების ანაბეჭდს გზაზე. ნაკვალევის მიხედვით კი შეიძლება მსჯელობა, მაგალითად, ნადირის მიმართულებასა და მოძრაობის სიჩქარეზე, იმაზე ხვადია თუ ძუ, ახალგაზრდაა თუ ბებერი, ოთხივე თათი წესრიგში აქვს თუ არა, და თუ ასე არაა, რომელი მათგანი აქვს დაჭრილი.

დიდი ხნის მიტოვებულ გზას, რომელზეც მივდიოდი, დაბალი, უხეში ბალახი მოდებოდა, მხოლოდ ერთ-ორ ნოტიო ადგილას იყო ნაკვალევისათვის შესაფერი ნიადაგი. ერთი ასეთი ადგილი რამდენიმე იარდის მოშორებით იყო თხემზე გზის გამოსასვლელიდან. პირდაპირ მის ქვემოთ ჩანდა დამდგარი წყლის მწვანე გუბე — სამბარების მუდმივი სარწყულებელი ადგილი.

გადავიარე მინდვრები და ვნახე ვეფხვის კლანჭების ნაფხაჭნები მოსახვევს იქით, სადაც გზა მარცხნივ უხვევდა. მათგან ყველაზე ახალი ნაკვალევი სამი დღის იქნებოდა. ამ ნაფხაჭნებიდან ორასი იარდის მოშორებით გზის თავზე გადმოკიდებული იყო დაახლოებით გზის ერთი მესამედი სიფართისა და ათი ფუტი სიმაღლის კლდე. მის მწვერვალზე იყო ორი-სამი იარდი სიფართის მოედანი. რომელიც მოჩანდა მხოლოდ სოფ-

ლის მხრიდან მისვლის დროს. თხემზეც ვნახე კლანჭების ნაფხაჭნები, მაგრამ თათების ნაკვალევი ვერ ვიპოვე მანამ, სანამ პირველ ციცაბო მოსახვევზე არ ავედი. ვეფხვმა გადასერა იგი და გადახტომის დროს დატოვა ნაკვალევი საკმაოდ რბილ ნიადაგზე. ერთი დღის ხანდაზმულობის ნაკვალევი ცოტა ჩამონგრეულიყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა გარჩევა, რომ ის მსხვილმა ბებერმა ხვადმა ვეფხვმა დატოვა.

როცა იმ მიდამოებში გიხდება სიარული, სადაც კაციჭამია ვეფხვი მოქმედებს. მოძრაობა უნდა იყოს ნელი, რადგან ყოველგვარი წინააღმდეგობა გზაზე, იქნება ეს ხე, ბუჩქი, კლდე, თუ რელიეფის სიმრუდე, შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს კაცს და საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით მიახლოება. თანაც თუ ქარი არაა (და ამ საღამოს ქარი არ იყო), ყოველთვის საჭიროა ყურადღებით ადევნო თვალი, თუ რა ხდება შენს უკან და ორივე მხარეს. და გარშემო კი ყველაფერი ისე ლამაზი იყო. ეს ამბავი ხდებოდა მაისში, როცა აქ, ოთხიხუთი ათასი ფუტის სიმაღლეზე, ჯადვარები ყვაოდა. არასოდეს მენახა ყვავილების ასეთი ნაირსახეობა და სიმრავლე, როგორც ამ მთაში. მშვენიერი თეთრი ჯადვარები ძალიან ბევრი იყო და ყოველი მეორე ხე, მიუხედავად მისი სიდიდისა, მთლად დაეფარა ამ ყვავილებს.

აქ მე პირველად ვნახე ფრინველები, რომლებსაც პრატერმა ბომბეის ბუნებისმეტყველების მუზეუმიდან თავაზიანად მთის მერცხლები უწოდა. ისინი მთლიანად ნაცრისფერი არიან, გულზე ოდნავ ვარდისფერი გადაჰკრავთ. ზომით ვარდისფერ შოშიებზე უფრო პატარები არიან. ამ ფრინველებს ბუდობის პერიოდი ჰქონდათ. ჰყავდათ ოთხ-ოთხი ბარტყი, რომლებიც მაღალი ხის კენწეროზე ჩამწკრივებული ისხდნენ, მშობლები კი ორას-სამას იარდზე დაფრინავდნენ და მწერებზე ნადირობდნენ. მათი ფრენის სისწრაფე განსაცვიფრებელია, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში მთის მერცხალს ვერ შეედრება ვერც ერთი ფრთოსანი ჩრდილოეთ ინდოეთში, ტიბეტის დიდი მერცხლის ჩათვლითაც კი, რომელიც ჩვენში ატარებს ზამთარს.

ამ ფრინველების მეორე საინტერესო თვისებაა მათი საო-

ცარი მხედველობა. ზოგჯერ ისინი ასეულ იარდზე მიფრინავენ პირდაპირ სწორ ხაზზე, სანამ ბარტყებისკენ მიბრუნდებოდნენ. თუ ფრენის სისწრაფეს გავითვალისწინებთ, შეუძლებლად გეჩვენებათ, რომ მერცხლები ასეთი მნიშვნელოვანი გადაფრენების დროს მწერებზე ნადირობდნენ, თუმცა თითოეული გაფრენის შემდეგ, ისინი ბრუნდებიან ნადავლით. მე მგონია, რომ მათ შესწევთ მწერების დანახვის უნარი ისეთ მანძილზე, რომელზეც ადამიანის თვალს არ შეუძლია შეამჩნიოს ისინი ყველაზე შორსახედი დურბინდითაც კი.

ვიცავდი ზურგს, დავეძებდი ნაკვალევს, ვაკვირდებოდი ბუნებას და ყურს ვუგდებდი ყოველგვარ ხმაურს ჯუნგლებში (ქვევით, მოჰანისკენ დაქანებულ ფერდობზე ერთი მილის მოშორებით სამბარი აფრთხილებდა ჯუნგლების ბინადართ ვეფხვის გამოჩენის შესახებ, ჩაკნაკლისკენ მიმავალ გზაზე კი კარკერი და ლანგური — ავაზას შესახებ), ვერ ვამჩნევდი, როგორ გადიოდა დრო. მზის ჩასვლისას გავუარე კლდეს, რომელსაც ქვევით გზა უელიდა. უეჭველად ეს იყო ყველაზე საშიში ადგილი ჩემს მიერ გაელილი გზიდან. კლდეზე ბალახით დაფარულ მიწის პატარა ნაფლეთზე ჩამოწოლილ ვეფხვს მხოლოდ მოცდა ჭირდებოდა, რომ ვინმეს გაევლო გზაზე რომელიმე მიმართულებით, რათა ახალი ნადავლი ჩაეგდო ხელში. აი, ეს არის მახე, რომელიც უნდა დაიმახსოვრო.

ქოხში რომ დავბრუნდი, ორივე კამეჩი უკვე აქ დამხვდა, მაგრამ ამ საღამოსთვის უკვე გვიან იყო რაიმეს წამოწყება.

ჩემ ხალხს თითქმის მთელი დღე სახლში ცეცხლი ენთო, და სუფთა და სასიამოვნო ჰაერი იყო. ახლა არ მინდოდა თავის გამეტება და კარჩაკეტილ ოთახში ღამის გათევა. ამიტომ გავეცი განკარგულება მოეჭრათ ორი ეკლის ბუჩქი და სანამ ლოგინში ჩავწვდებოდი, დაემაგრებიათ იგი ზღურბლზე. ამ ღამეს ჯუნგლებში სიწყნარე იყო და მშვიდი ძილის შემდეგ გავიღვიძე მნიშვნელოვნად გამოჯანსაღებული ყელით.

დილას გამოვკითხე გლეხებს და თან ვინიშნავდი ყველაფერს, რაც მათ მითხრეს კაციჭამიაზე და ყველა იმ ცდაზე, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ ვეფხვის მოსაკლავად. საუზმის შემდეგ ერთი კამეჩი მივაბი კლდის მომცრო თხემზე, სა-

დაც გაიარა ვეფხვმა ქალს რომ მიათრევდა, მეორე კი — გზის მოსახვევზე, სადაც მისი თათების ნაკვალევი ვნახე.

მეორე დილას ვნახე ორივე კამეჩი, რომლებსაც მშვიდად ეძინათ მას შემდეგ, რაც მთლიანად გაენადგურებიათ მათთვის დატოვებული ბალახის დიდი მარაგი. თითოეულ მათგანს წინასწარ ყელზე ზარი შევაბი. ზარის ამ სიჩუმემ შემიყვანა შეცდომაში და გული გამიტეხა, როცა დავინახე, რომ იმათ ძინავთ. იმავე საღამოს გადავაბი მეორე კამეჩი გზის მოსახვევიდან დამდგარი წყლის გუბესთან.

ვეფხვზე ნადირობის ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხია ჩასაფრება და შემწყვდევა. ორივე შემთხვევაში სარგებლობენ ახალგაზრდა კამეჩებით, როგორც მისატყუარით. არჩევენ საფარის ან შესამწყვდევის მოსაწყობად შესაფერ ადგილს, საღამოს მისატყუარს ისეთი თოკით მიაბამენ, რომ მან ვერ შეძლოს მისი გაწყვეტა, თუმცა ვეფხვს შეუძლია ამის გაკეთება. თუ ვეფხვმა წაიღო მისატყუარი, მოკლული ცხოველის ახლოს აწყობენ საფარს ან ამ მიდამოებში ეწყობა შემწყვდევა.

ამ შემთხვევაში არც ერთი ამ ხერხთაგანი არ იყო გამოსადეგი.

თუმცა ყელი საკმაოდ მომირჩა, მაინც არ შემეძლო ვმჯდარიყავი სახუნდარში ისე, რომ არ დამეხველებია, შესამწყვდევის მოწყობა კი მრავალმხრივ დასერილსა და მდიდარტყიან ადგილას უშედეგო იყო. რჩებოდა ერთი გზა: ვეფხვი უნდა მომეკლა პირდაპირ შეხვედრით. ამ მიზნისათვის გულდასმით შევარჩიე ადგილი ჩემი კამეჩებისთვის, მივაბი ისინი ხეებზე მსხვილი კანაფის თოკით და შემდეგ დავშორდი მათ რამდენიმე დღით.

კამეჩებს ვნახულობდი ყოველ დილასა და საღამოს, რამდენადაც სინათლე მაძლევდა სროლის საშუალებას, რადგან ვეფხვები — სულერთია, კაციჭამიებია ისინი თუ არა, — ჰხოცავენ მსხვერპლთ დღეცა და ღამეც. თავისუფალ დროს ვუცდიდი ახალ ამბებს მეზობელ სოფლებიდან, ვმკურნალობდი ყელს და ვისვენებდი, ჩემი ექვსი გარვალელი კი აპმეევდა და ასმევდა კამეჩებს.

მეოთხე დღეს, საღამოს, მზის ჩასელისას კამეჩების დათვალიერების შემდეგ, თხემიდან ვბრუნდებოდი და მივადექი გზის მოსახვევს გადმოკიდული კლდიდან ოცდაათი იარდის მოშორებით. რაც კარტკანოულში მოვედი, პირველად ვიგრძენი, რომ საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფები და რომ საშიშროება ჩემს წინ მდებარე კლდიდან მომელის. ხუთი წუთი სრულიად გაუნძრევლად ვიდექი, ვათვალიერებდი კლდის წინა ნაპირს, რომ იქ რაიმე მოძრაობა შემემჩნია. ასეთ მანძილზე თვალის დახამხამებაც კი მიიპყრობდა ჩემს ყურადღებას, მაგრამ ყველაფერი უძრავად იყო. მერე გავიარე ათი ნაბიჯი, ისევ შეეჩერდი და ვაკვირდებოდი კლდეს კიდევ რამდენიმე წუთს. იმან, რომ ვერ შევამჩნიე ვერავითარი მოძრაობა, არ დამაწყნარა, კაცი-ჭამია კლდეზე იყო, ამაში დარწმუნებული ვიყავი. საკითხი იმაში მდგომარეობდა, როგორ მოვქცეულიყავი? მთა ციცაბო იყო, მასზე ხშირი ბალახი, ხეები და ბუჩქები ხარობდა. როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო მთაზე სიარული, ეს ამბავი რომ უფრო ადრე საათებში მომხდარიყო, დავბრუნდებოდი უკან, მოვუვლიდი ვეფხვს ზემოდან და ვეცდებოდი მის მოკვლას. ახლა მხოლოდ ნახევარი საათიღა რჩებოდა დაღამებამდე და მილის საკმაო ნაწილი გზის დასასრულამდე. პირდაპირ გზიდან გადახვევა უაზრობა იქნებოდა, ამიტომ გადავწიე თოფის საკეტი, მივიყრდნე კონდახი მხარზე და გავემართე წინ, რომ კლდის ახლო გამევლო.

აქ გზის სიგანე დაახლოებით რვა ფუტამდე იქნებოდა. კლდის პირდაპირ გზის განაპირას რომ გავედი, ვიწყე გვერდულად სვლა და სანამ ნაბიჯს გადავდგამდი, ფეხით წინასწარ ნიადაგს ვსინჯავდი. ნელა და ძლივს ვმოძრაობდი, მაგრამ გადმოწოლილ კლდეს რომ გავუსწორდი და მის ახლო გავიარე, დიდი იმედი მომეცა — ვეფხვი არ დაიძვრება ადგილიდან მანამ, სანამ მივაღწევდე გზის იმ ნაწილამდე, საიდანაც კლდის ზემოთ მოედანი მოჩანდა, რომელზეც ვეფხვი იყო მოკალათებული. თუმცა ვეფხვი, რომელმაც ვერ შეძლო მოულოდნელად ჩემი ხელში ჩაგდება, აღარაფერს ცდილობდა.

ის იყო გვერდი ავუარე კლდეს, რომ ზემოდან ჩუმი ღრენა მომესმა, ცოტა მოგვიანებით მარჯვენა მხრიდან კარკერი გა-

მოჩნდა ყვირილით, ორმა დედა სამბარმა კი ხმა მისცა სამკუთხა მთის მწვერვალთან.

ვეფხვი ცოცხალი წავიდა და მეც უვნებლად დავბრუნდი. ასე, რომ ამ შემთხვევაში სანანებელი არაფერი მქონდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მთაზე იმ ადგილიდან, სადაც ვეფხვის ადგილსამყოფელი იყო ნაჩვენები სამბარის მიერ, ვეფხვი შეძლებდა თხემზე გუბესთან მიბმული კამეჩის ზარის ხმის გაგონებას.

სოფლის ახლო მდებარე ყანებს რომ მივუახლოვდი, შევხვედი ჩემს შესახვედრად წამოსულ ხალხის ჯგუფს. მათ გაეგონათ კარკერის და სამბარის ყვირილი და გულდაწყვეტილი იყვნენ, რომ მე ვერ ვნახე ვეფხვი. მე დავაწყნარე ისინი, რომ ხვალინდელი დღის დიდი იმედი მაქვს.

* * *

ღამით ჯერ მტვრიანმა ქარიშხალმა გადაიარა და შემდეგ წვიმა მოვიდა. ჩემდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ სახლის სახურავში ბევრ ადგილას წყალი ჩამოდის და შევარჩიე ადგილი, სადაც უფრო ნაკლებად ჩამოდიოდა წყალი, ვიდრე სხვაგან, გადავიტანე იქ ჩემი სამგზავრო საწოლი და განვაგრძე ძილი. ჭახჭახა მზიანი დილა გათენდა, წვიმას გაეწმინდა ჰაერი, თითოეული ფოთოლი, თითოეული ბალახი ამომავალ მზის სხივებზე ელვარებდა.

აქამდე მე ვიწყებდი შემოვლას ახლო მყოფ კამეჩიდან, მაგრამ ამ დილას აუცილებელი გახდა მიღებული წესის შეცვლა. ჩემს ხალხს ვუთხარი, რომ დაეცადათ მზის ამოსვლამდე, შემდეგ კი წასულიყვნენ ახლო დაბმულ კამეჩისათვის საჭმელისა და წყლის მისაცემად. ჩემი მრავალი წლის საიმედო მეგობარი, ჩემი თოფი წინასწარ გავწმინდე, გავზეთე და დიდად დაიმედებული დავეშვი ქვევით, ჩაკნაკლის გზაზე.

გადმოკიდულ კლდეს, რომელსაც ასეთი მღელვარებით ჩავუარე გუშინ საღამოს, ამჯერად არ შევუშფოთებივარ. მას რომ გავცდი, შევუდექი ნაკვალევის ძებნას, რადგან წვიმამ დაალბო გზის ზედაპირი. მაგრამ ვერაფერი ვერ დავინახე, სანამ

არ მივედი ტენიან ადგილამდე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, თხემის გასწვრივ იყო გაჭიმული წყლის გუბემდე, სადაც კამეჩი იყო დაბმული. აქ რბილ ნიადაგზე ჯერ კიდევ ქარიშხლამდე აღბეჭდილი ვეფხვის თათების ანაბეჭდები აღმოვაჩინე: ვეფხვი მოძრაობდა თხემის მიმართულებით. ამ ადგილთან გზის პირას სამი ფუტი სიმაღლის უზარმაზარი ქვა ეგდო. წინათ ამ გზაზე რომ გავიარე, გამოვარკვიე, რომ მხოლოდ ამ ქვიდან შემეძლო დამენახა აღმართზე მიბმული კამეჩი. დავდექი ქვაზე, ფრთხილად ავწიე თავი და აღმოვაჩინე, რომ კაშეჩი იქ აღარ იყო. ეს აღმოჩენა არასასიამოვნოც იყო და უცნაურიც.

რათა ვეფხვს სადმე შორს ჯუნგლებში არ შეეთრია კამეჩი (იქ კი მასზე ნადირობა შესაძლებელი იყო მხოლოდ მიწაზე ან ხეზე მოწყობილი სახუნდარიდან, რაც არ შეიძლებოდა ჩემი ყელის მდგომარეობის გამო), ამიტომ დავგრიხე ერთად დიუმის სიმსხო კანაფის ოთხი ბაწარი, — ვეფხვმა კი მაინც გაიტაცა ნადავლი.

რეზინის თხელლანჩებიანი ფეხსაცმელი მეცვა. ჩუმად მიეუახლოვდი ახალგაზრდა ხეს, რომელზეც კამეჩი იყო მიბმული, და დავათვალიერე მიწა. კამეჩი მოკლული იყო ქარიშხლის ამოვარდნამდე, მაგრამ გატაცებული იყო წვიმის გადაღების შემდეგ, თანაც მანამ ვეფხვს პირი არ დაეკარებია კამეჩის ხორცისათვის. ჩემს მიერ ერთად შეკრული ბაწრებიდან სამი გადაღრღნილი იყო, მეოთხე კი მოგლეჯილი. ასეთ შემთხვევებში ვეფხვები, ჩვეულებრივ, არ ღრღნიან ბაწრებს, ეს კი ასე მოქცეულიყო. მსხვერპლი მას წაეთრია საფარის მიმართულებით. ჩემმა პირველმა გეგმამ მარცხი განიცადა, მაგრამ წვიმა დამეხმარა. აქამდე გამხმარი ფოთლების სქელი ხალიჩა ახლა დარბილდა და შეიძლებოდა მოთელილიყო. მაშასადამე, მე რომ შეცდომა არ დამეშვა, შრომა, რომელიც ვეფხვმა გასწია ნადავლის გატაცებისას, შეიძლება უშედეგო აღმოჩენილიყო.

ჯუნგლებში შესვლისას, სადაც ყოველ მომენტში შეიძლება წამოიჭრეს თოფის სროლის აუცილებლობა, არასდროს არ ვგრძნობ თავს მტკიცედ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ჩემი თოფი გატენილია. საშიშროების შემთხვევაში დააჭირო ხელი

თოფის სასხლეტს და აღმოჩნდე „სანეტარო სანადირო ადგილებში“, ან სხვაგან მხოლოდ იმის გამო, რომ თოფი გატენილი არ არის, ეს არის დაუდევრობის შედეგი, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს გამართლება. ამიტომ, თუმცა ვიცოდი, რომ თოფი გადმოწოლილ კლდესთან მისვლამდე გავტენე, მაინც კიდევ გავხსენი ის და გამოვიღე ვაზნები. ერთი მიჭეჭყილნაპირებიანი ვაზნა შევცვალე, შემდეგ რამდენჯერმე მოვხსენი და ჩავსვი დამცველი, რომ დავრწმუნებულიყავი მის მსუბუქად მოძრაობაში (ჩახმახიანი თოფით მე არასდროს არ ვსარგებლობდი). შემდეგ გავყევი მიწაზე თრევის შედეგად გავლებულ ხაზს.

სიმართლე რომ ვთქვა, თუ სიტყვა „თრევით გავლებულს“ გამოვიყენებთ იმ ვეფხვის მიერ დატოვებულ კვალის მიმართ, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადააადგილებს თავის ნადავლს, ამან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგან ვეფხვი ამ შემთხვევებში კი არ მიათრევს, არამედ მიაქვს მსხვერპლი (მე ვნახე როგორ წაიღო ვეფხვმა სავსებით მოზრდილი ძროხა ოთხი მილის მანძილზე). თუ ნადავლი ისე მძიმეა, რომ ვეფხვი ვერ ზიდავს, იგი სტოვებს მას. ნადავლის თრევით დატოვებული კვალი შეიძლება თვალსაჩინოც იყოს და ნაკლებად შესამჩნევიც, რაც დამოკიდებულია ნადავლის სიდიდეზე და იმაზე, თუ რა ადგილას აქვს ვეფხვს ჩავლებული კბილები. მაგალითად, თუ ნადავლი სამბარია და ვეფხვს იგი კისრით უჭირავს, ირმის უკანა ნაწილი მისთრევს მიწაზე და ტოვებს აშკარა ანაბეჭდს. თუ ასეთივე სამბარი ვეფხვს უჭირავს შუა წელით, ნაკვალევი შეიძლება მკრთალი იყოს ან შესაძლოა სრულიადაც არ იყოს.

ამ შემთხვევაში ვეფხვს კამეჩი მიჰქონდა წელში პირჩავლებული, ამიტომ კამეჩის ტანის უკანა ნაწილი ტოვებდა კვალს, რომლის მიყოლა არ იყო ძნელი. ასეული იარდი ვეფხვმა იარა ფერდობის გასწვრივ, სანამ თიხნარიან ციცაბო ხრამს არ მიაღწია. აქ გავლის დროს მას ფეხი დაუცდა, გაუვარდა ნადავლი, რომელიც დაგორდა ქვევით ოცდაათ-ორმოც იარდზე, სანამ ხეს არ წამოედო. ვეფხვი მივიდა კამეჩთან, ჩასჭიდა პირი წელში, და ახლა მხოლოდ კამეჩის ერთ-ერთი ფეხი ეთ-

რეოდა მიწაზე და ტოვებდა მკრთალ ნაკვალევს. მაგრამ რადგან ფერდობს ფარავდა მაღალი გვიმრა, ნაკვალევზე მიყოლა არც ისე ძნელი იყო.

წაქცევის დროს ვეფხვი აცდა აღებულ მიმართულებას და, როგორც ჩანს, მერყეობდა საით წაეღო ნადავლი. თავდაპირველად მან გაიარა ორასი იარდი მარჯვნივ, შემდეგ ასეული იარდი პირდაპირ ქვევით ჯუჯა ბამბუკის — რინგალის ხშირ რაყაში. ვეფხვმა ძლივს გააღწია რინგალში, შემობრუნდა მარცხნივ, გაჰყვა მთის ფერდობს და გადამკვეთი მიმართულებით რამდენიმე იარდზე მივიდა დიდ კლდემდე და შემოუარა მას მარჯვნიდან.

კლდის წინა კალთა დამრეცი იყო და თანდათან მაღლდებოდა ოც ფუტამდე, გეგონებოდათ, ხევის ან ღრმულის თავზე მნიშვნელოვანი მოცულობის შვერილს ქმნისო. თუ იქ შვერილის ქვევით იყო გამოქვაბული ან თავშესაფარი, ადვილად შესაძლებელია, რომ ვეფხვმა იქ წაიღო თავისი ნადავლი. ამიტომ მივატოვე ნაკვალევი, ავედი კლდის თავზე, ნელა გავემართე წინ, თან ვათვალიერებდი ჩემს ქვევით და გარშემო მდებარე ადგილების თითოეულ იარდს, სადაც კი თვალი მიმიწვდებოდა, შვერილის ნაპირამდე რომ მივედი, იმედგაცრუებული დავრჩი. ვნახე, რომ ადგილი ციცაბოდ ეშვებოდა ქვევით და მის ფერდობზე არ იყო არც გამოქვაბული, არც თავშესაფარი, რომლის ნახვასაც ვიმედოვნებდი.

მწვერვალიდან ხევის და ჯუნგლების მშვენიერი ხედი იშლებოდა. კლდე საკმაოდ მიცავდა კაციჭამიას თავდასხმისაგან, და მეც ჩამოვჯექი დასასვენებლად. უცბად პირდაპირ ჩემს ქვემოთ, ასე, ორმოც, ორმოცდაათ იარდზე შევამჩნიე რაღაც მოთეთრო-მოწითალო საგანი. როცა ხშირ ჯუნგლებში ზვერავ ვეფხვს, ვეფხვად გეჩვენება ყველაფერი წითელი, რასაც კი ხედავ. ახლა მე დავინახე არამარტო ვეფხვის წითელი ფერი, არამედ მისი ზოლებიც. დიდხანს დაძაბული ვათვალიერებდი საგანს, და შემდეგ თითქოს მოულოდნელად გაიხსნა საიდუმლო სურათის აზრიო, მივხვდი, რომ ეს საგანი იყო მოკლული კამეჩი და არა ვეფხვი. წითელი იყო სისხლი ცოტახნის წინ შეჭმულ ადგილებზე, ზოლები კი — ნეკნები, რომლისთვისაც

ვეფხვს ტყავი შემოეგლიჯა. ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რომ არ ვიჩქარე თოფის გასროლა, ერთი ასეთი შემთხვევის დროს ჩემმა მეგობარმა დაჰკარგა მოკვლის შესაძლებლობა შესანიშნავი ვეფხვისა, რომელსაც უსაფრდებოდა და ორი ტყვია ვეფხვის ნაცვლად ნადავლს მოარტყა. საბედნიეროდ, ის ძალიან კარგი მსროლელი იყო და ნადავლის ახლოს ბუჩქის უკან მდგარი ვეფხვის მიერ მოკლული მხეცის საძებნელად და სახუნდარის მოსაწყობად მონადირის მიერ გამოყოფილი ორი კაცი უვნებლად გადარჩა.

თუ დამშვიდებული ვეფხვი სტოვებს თავის ნადავლს გაშლილ ადგილზე, შეიძლება ივარაუდოთ, რომ იგი ახლომახლო არის ჩაწოლილი, რომ დაიცვას ნადავლი სვავებისა და ლეშის სხვა მოყვარულთაგან. და ის, რომ მე ვერ ვხედავდი ვეფხვს, არ ნიშნავდა იმას, რომ იგი სადმე ახლოს არ იყო ხშირ ბარდნარში.

ვეფხვებს აწუხებენ ბუზები, ამიტომ ისინი დიდხანს არ წვანან ერთ მდგომარეობაში. გადავწყვიტე დავრჩენილიყავი აქვე და დამენახა, იქნებოდა თუ არა რაიმე მოძრაობა. ის იყო მივიღე ასეთი გადაწყვეტილება, რომ ყელში ცირცნა ვიგრძენი. ასეთ შემთხვევაში ეკლესიაში ან ჯუნგლებში გამოყენებულმა ჩვეულებრივმა საშუალებებმა — სუნთქვის შეჩერებამ და ნახველის გადაყლაპვამ—არ მიშველა. რაც შემეძლო, ვცდილობდი ყელის შემსუბუქებას და შეშინებული ლანგურივით დავიყვირე. ცხოველების ხმები ძნელი გადმოსაცემია სიტყვით, და იმათ, რომლებიც არ იცნობენ ჩვენს ჯუნგლებს, ვეცდები ავუწერო ეს ყვირილი, რომელიც ნახევარი მილის მანძილზე ისმის როგორც კხოკ-კხოკ-კხოკ, და სწრაფად მეორდება მოკლე შუალედებით და მთავრდება როგორც „კხო-კორრორ“. ყველა ლანგური როდი ყვირის ვეფხვის დანახვაზე, მაგრამ ზოგიერთები ჩვენს მთებში ასე იქცევიან, და რადგან ვეფხვს ნამდვილად ეს ყვირილი ესმოდა ყოველდღე მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ეს იყო ერთადერთი ხმა, რომელიც შემეძლო გამომეცა, რომ მისი ყურადღება არ მიმეპყრო. თუ ჩემი ყვირილი ვერ ჟღერდა მაინც და მაინც დამაჯერებლად, მან ყოველ შემთხვევაში, სასურველი შედეგი მომიტანა: ყელში ცირცნა მომეშვა.

მე კიდევ ნახევარ საათს ვიჯექი კლდეზე, იმის მოლოდინში, რომ დავინახავდი რაიმე მოძრაობას ან გავიგონებდი ახალ რაიმეს ჯუნგლების ცხოველთა სამყაროდან, მაგრამ დაერწმუნდი, რომ ვეფხვი ახლომახლო არსად იმყოფებოდა, ჩამოვედი კლდიდან და განსაკუთრებული სიფრთხილით დავეშვი მკვდარი კამეჩისაკენ.

* * *

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია გითხრათ, რამდენი ხორცის შეჭმა შეუძლია მოზრდილ ვეფხვს ერთ ჭამაზე, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გარკვეული წარმოდგენა იქონიოთ მის უნარზე, თუ გეტყვით, რომ სამბარის შესანსვლას ვეფხვი შეძლებს ორ დღეში, კამეჩისას კი — სამ დღეში, და მცირედს საუზმისათვის შემოინახავს მეოთხე დღისათვის.

ჩემს მიერ მისატყუებლად მიბმული კამეჩი ჯერ კიდევ მოზარდი იყო, მაგრამ არც პატარა ცხოველად ჩაითვლებოდა და ვეფხვს შეეჭამა ნახევარი. დარწმუნებული ვიყავი, ძალზე მაძღარი ვეფხვი შორს ვერ წავიდოდა. რადგან მიწა ჯერ კიდევ ნამიანი იყო და ტენს ერთ ან ორ საათს შეინარჩუნებდა, გადავწყვიტე გამომერკვია რა მიმართულებით წავიდა ნადირი და მესინჯა მასთან პირდაპირ შეხვედრა.

კამეჩის ლეშის გარშემო უამრავი ყოველგვარი ნაკვალევი იყო, მაგრამ როცა ნაკვალევის გაფართოებულ წრეს მივყევი, ვნახე გზა, რომლითაც ვეფხვი წასულიყო. რბილთათებიანი ნადირის კვალის აღება ცოტა უფრო ძნელია, ვიდრე ჩლიქოსნებისა. მაგრამ მრავალი წლის გამოცდილების შემდეგ კვალის აღება ადამიანისგან მოითხოვს ისეთსავე უმნიშვნელო ძალას, როგორიცაა „კვალის დასუნვა“ მონადირე ძაღლისაგან. ლანდივით ნელა და ჩუმად გავყევი კვალს, ვიცოდი, რომ ვეფხვი სადღაც ახლო უნდა ყოფილიყო. ასი იარდი რომ გავიარე, გავედი სურნელოვანი დაბალი ბალახით დაფარული ოცი ფუტი ფართობის მოედანზე, ამ ბალახზე წოლილიყო ვეფხვი: მისი ტანის ანაბეჭდი ბალახზე სავსებით ნათლად ჩანდა.

ამ ანაბეჭდს რომ დავჩერებოდი და ვცდილობდი ნადირის

სიდიდის განსაზღვრას, დავინახე, რომ მოთელილმა ბალახმა იწყო გამართვა,—ეს იმას ნიშნავდა, რომ ვეფხვი აქედან ერთი თუ ორი წუთის წინ წასულიყო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ დატრიალდა ამბები, თუ გეტყვით, რომ ვეფხვმა ნადავლი მოიტანა ჩრდილოეთიდან, დატოვა ის და წავიდა დასავლეთისკენ; რომ კლდე, რომელზეც მე ვიჯექი, მოკლული კამეჩი და ის ადგილი, სადაც მე ახლა ვიმყოფებოდი, წარმოადგენდნენ სამკუთხედის კუთხეებს, რომლის ერთი გვერდის სიგრძე იყო ორმოცი იარდი, დანარჩენი ორისა კი — ას-ასი.

ბალახების ღეროების გამართვას რომ ვაკვირდებოდი, პირველმა აზრმა გამიელვა, რომ ვეფხვმა დამინახა და წავიდა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს დაუჯერებელი იყო, რადგან ბალახით დაფარულ მოედნიდან არ ჩანდა არც კლდე და არც კამეჩი. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ვეფხვს არ შეეძლო ჩემი დანახვა. მაშ რატომღა დატოვა ეს მოხერხებული ადგილსამყოფელი? მზე, რომელიც უკნიდან კისერს მწვავდა, პასუხს მაძლევდა ამაზე.

მაისის მომაბეზრებელი პაპანაქება იყო ამ დილის ცხრა საათზე. მზის მდებარეობითა და ხეების კენწეროებზე ზერელე თვალის გადავლებით დავრწმუნდი, რომ ბალახით დაფარულ მოედანს მზე აცხუნებდა ათი წუთის წინათ. ცხადია, ვეფხვს ძალიან დაცხებოდა და რამდენიმე წუთით ადრე ჩემს მისვლამდე წავიდოდა ჩრდილოვანი კუთხის საძებნელად.

უკვე აღვნიშნე, რომ ბალახიანი მოედანი მოცულობით ოცი ფუტი იყო. მის მოპირდაპირე ბოლოში იმ ადგილიდან, საიდანაც მე ვუახლოვდებოდი, მიწაზე ეგდო ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართული ხე. ამ ხის სიმსხო დაახლოებით ოთხი ფუტი იქნებოდა, ის ეგდო მოედნის გასწვრივ, რომლის შუაგულში ახლა მე ვიმყოფებოდი დაახლოებით ათ ფუტზე ხისგან მოშორებით.

ხის ფესვიანი ნაწილი ბუჩქნარით დაფარულ ციცაბო მთის ფერდობზე შერჩენილიყო. წაქცევის შედეგად ხეს ტოტები დალეწოდა, კენწერო კი გადმოკიდულიყო. ხის უკან მთა ცოტად თუ ბევრად დაქანებული მოჩანდა, მის გასწვრივ კი გადიოდა კლდის ვიწრო ლავგარდანი, რომელიც ოცდაათი იარდის

შემდეგ ხშირ ჯუნგლებში იკარგებოდა. თუ ჩემი ვარაუდი მართალი იყო, რომ მზემ აიძულა ვეფხვი გადაენაცვლებია, ჰაშინ ამ წაქცეული ხის ჩრდილზე უფრო ხელსაყრელი ადგილი მას არ ექნებოდა. ერთადერთი საშუალება, რომ ამაში დავრწმუნებულიყავი, იყო ხეზე შედგომა და ჩრდილში გადახედვა.

მეხსიერებაში გამიელვა სურათმა, რომელიც ოდესღაც ჟურნალ „პანჩში" * ვნახე. ის გამოხატავდა ლომებზე სანადიროდ წასულ მარტოხელა სპორტსმენს. მონადირემ შემთხვევით ჰიიხედა კლდისაკენ, რომლის ძირში მიდიოდა ის და დაინახა გააფთრებული, უზარმაზარი აფრიკული ლომის დრუნჩი. სურათის ქვეშ იყო წარწერა: „თუ თქვენ მიემგზავრებით ლომის საძებნელად, ჯერ დარწმუნდით, რომ მართლა გსურთ მისი ნახვა". მართალია, აქ ცოტა განსხვავება იყო — ჩემი შეგობარი აფრიკაში ლომს მიჩერებოდა სახეში ქვემოდან, მე კი ზემოდან ვუყურებდი ვეფხვს. ვივარაუდე, რომ ვეფხვი ხის ჰეორე მხარეზე იმყოფებოდა, სხვა დანარჩენში მდგომარეობა ანალოგიური იყო.

ფრთხილად ვადგამდი ფეხს ბალახზე, ხეს ვუახლოვდებოდი, დაახლოებით ნახევარი მანძილი უკვე გავიარე, რომ ქვის ლავგარდანზე შევამჩნიე სამი დიუმის სიგრძის რაღაც შავმოყვითალო საგანი, რომელიც, როგორც ახლა ვხედავდი, წარმოადგენდა ნადირთა ძველ ბილიკს. მთელი წუთი ვათვალიერებდი ამ უძრავ საგანს, სანამ არ დავრწმუნდი, რომ ეს ვეფხვის კუდის ბოლოა. რადგან კუდი ჩემგან იქით იყო მიმართული, ცხადია, ვეფხვის თავი ჩემსკენ იქნებოდა მომართული.

ლავგარდანს მხოლოდ ორი ფუტი ჰქონდა სიგანე, და ვეფხვი უეჭველად ჩაწვა, რათა მაშინ ესკუპა, როცა ხის უკნიდან ჩემი თავი გამოჩნდებოდა. კუდის ბოლო ჩემგან ოცი ფუტის მანძილზე იყო, და თუ ჩამოწოლილი ვეფხვის სიგრძეს რვა ფუტად მივიჩნევდით, მისი თავი უნდა ყოფილიყო თორმეტი ფუტის მანძილზე. მაგრამ აუცილებელი იყო უფრო ახლო მივსულიყავი, რათა სასიკვდილოდ გამესროლა, სასიკვდილო გასროლა კი შემეძლო მხოლოდ ფეხზე მდგარს. და ახლა, პირ-

* „პანჩი" — ცნობილი ინგლისური იუმორისტული ჟურნალი.

ველად ვინანე ჩემს სიცოცხლეში, რომ უჩახმახო თოფს ვიყავი შეჩვეული. ჩემი თოფის დამცველი აშკარა გასაგონ ხმას გამოსცემს და შექმნილ მდგომარეობაში ყოველგვარი ხმა აიძულებდა ვეფხვს თავს დამსხმოდა ან წასულიყო ქვევით დალმართზე და ხელიდან გამომცლოდა მისთვის სროლის ყოველგვარი საშუალება.

ვიწყე მიხოხება, სანამ არ დავინახე მთლიანად ჯერ კუდი, და შემდეგ ტანის უკანა ნაწილი. ამ მდგომარეობაში რომ წავასწარი ვეფხვს, სიხარულისაგან კინაღამ დავიყვირე: ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ვეფხვი ისე იწვა უბრალოდ და არა თავდასასხმელად მომზადებული. ლავგარდანზე მხოლოდ ვეფხვის ტანი თუ დაეტეოდა, ამიტომ მას გაეჭიმა უკანა თათები და დაეწყო ისინი ზევით, ახალგაზრდა მუხის ტოტებზე, რომელიც თითქმის კლდის ფერდობზე იზრდებოდა. შემდეგ დავინახე მისი წინა თათი, მუცელი. ის მშვიდად სუნთქავდა, მივსვდი, რომ ეძინა. ვიწყე სწრაფად წინსვლა, სანამ არ დავინახე ბეჭი და შემდეგ ნადირი მთლიანად. ვეფხვის კეფა წაქცეული ხის გასწვრივ სამი თუ ოთხი ფუტის გაყოლებაზე კორდის ნაპირზე იდო: თვალები მაგრად დაეხუჭა, ცხვირი კი ცისკენ მიეშვირა.

დავუმიზნე ვეფხვს თავის წინა ნაწილში, დავაწექი სასხლეტს, და დაწოლის შეუწყვეტლად გადავწიე დამცველი. წარმოდგენა არ მქონდა, თუ ჩვეულებრივი მეთოდის ასეთ დარღვევას რა მოჰყვებოდა, თოფი მაინც გავარდა. და როცა მოკლე მანძილზე მძიმე ტყვია ჩაეჭდო ვეფხვს თავში, მას ტანში ოდნავადაც არ გაუჟრჟოლებია, კუდი გაჭიმული დარჩა, უკანა თათები უწინდებურად ხის ზედა ტოტებზე ელაგა; ცხვირი ისევ ცისკენ ჰქონდა მიშვერილი. ვეფხვის ტანის ეს მდგომარეობა არაფრით არ შეცვლილა, როცა პირველს მეორე, სრულიად ზედმეტი ტყვია მივაყოლე. ამას მხოლოდ ერთი შესამჩნევი ცვლილება მოჰყვა: სუნთქვა შეწყვიტა და სისხლის ნაკადი წამოვიდა თავის საოცრად პატარა ორი ნატყვიარიდან.

არ ვიცი სხვებზე როგორ მოქმედებს ვეფხვთან უშუალო სიახლოვე, მე კი ყოველთვის ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სული მეხუთება (შესაძლებელია შიშისგან, ან ღელვისაგან), მინდება ხოლმე შესვენება სულ მცირე ხნით მაინც. ჩამოვჯექი წაქცე-

ულ ხეზე, გავახვიე პაპიროსი (თავს ვიკავებდი პაპიროსის მოწევისგან მას შემდეგ, რაც ყელი ამტკივდა) და წავედი ფიქრებში. ყოველგვარი შესრულებული ამოცანა კმაყოფილებას იწვევს, და ამ შემთხვევაშიც არც ეს იყო გამონაკლისი. ჩემი ამ მხარეში მოსვლის მიზეზი იყო კაციჭამიას განადგურება. იმ მომენტიდან, რაც მე გზიდან ჩამოვედი ორი საათის წინ და სანამ თოფის დამცველს გადავწევდი, ყველაფერმა, ლანგურის ყვირილის ჩათვლით, შეუფერხებლად და სრულიად უშეცდომოდ ჩაიარა. ამან გამოიწვია ისეთივე დიდი კმაყოფილება, რომელსაც ავტორი გრძნობს ხოლმე წერტილის დასმის დროს ნაწარმოებში, რომლის ყველა პერიპეტია მისი ჩანაფიქრის შესაფერისად იშლებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში დაბოლოება არ იყო დამაკმაყოფილებელი, რადგან ნადირი მძინარე მოვკალი ხუთი ფუტის მანძილზე.

მესმის, რომ ჩემი პირადი გრძნობები ამ შემთხვევაში სხვებისათვის ნაკლებ საინტერესოა. მაგრამ შესაძლოა თქვენც მიგაჩნდეთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე კროკეტის თამაშს როდი ეხებოდა, და მე მინდოდა მომეყვანა არგუმენტები, რომლებიც ჩემთვის მომყავდა იმ იმედით, რომ ისინი თქვენ უფრო დამაკმაყოფილებლად მოგეჩვენებოდათ, ვიდრე მე ვფიქრობდი. ეს არგუმენტები ასეთია: ვეფხვი იყო კაციჭამია და ამიტომ სჯობია, რომ ის ახლა მკვდარია, მიუხედავად იმისა, სიფხიზლეში იქნა ის მოკლული, თუ ძილში. და ბოლოს უკან რომ დამეხია მაშინ, როცა დავინახე, როგორ აუდ-ჩაუდიოდა მთელი ტანი ძილში, მე ჩემ თავზე უნდა ამეღო მორალური პასუხისმგებლობა იმ ხალხის დაღუპვისათვის, რომელთა მოკვლა მას შეეძლო შემდგომში. თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს არგუმენტები ამართლებენ ჩემს საქციელს, მაგრამ სინანულს იწვევს ის, რომ ჩემი პირადი უშიშროების თუ იმის შიშით, რომ შემთხვევა არ გამეშვა ხელიდან, რომელიც აღარ მომეცემოდა, არ გავაღვიძე მძინარე მხეცი და არ მივეცი მას პატიოსანი მონაღირული ბრძოლის საშუალება.

ვეფხვი მკვდარი ეგდო. რათა ჩემი ნადავლი არ ჩავარდნილიყო ძირს დაბლობში და არ დაკარგულიყო, საჭირო გახდა რაც შეიძლება მალე ჩამომეღო ის ლავგარდანიდან. მივა-

ყუდე წაქცეულ ხეს თოფი, რომელიც ახლა აღარ მჭირდებოდა და გავედი გზაზე, გავიარე მოსახვევი ყანებთან, ხელები რუპორივით პირზე მივიდევი და მოკლედ ვაცნობე მდგომარეობა, რომელიც მრავალჯერ ექოდ განმეორდა მთებსა და ხევებში. ძახილის განმეორება არ დამჭირვებია, რადგან ჩემმა ხალხმა გაიგონა ორი გასროლა, როცა ისინი პირველი კამეჩის ნახვის შემდეგ ბრუნდებოდნენ და გაიქცნენ სახლისკენ, სადაც მეც გავჩერდი, რათა გლეხები შეეკრიბათ. ჩემს ძახილზე ყველა გამოემართა შესახვედრად.

როცა ვიშოვეთ მაგარი ბაწარი და ნაჯახი, უკან გავემართეთ, შევბოჭეთ ვეფხვი ბაწრებით და ხან ხელით და ხან თრევით ჩამოვიტანეთ ის ლავგარდანიდან და გადავათრიეთ წაქცეულ ხიდან მდელოზე. აქ მინდოდა ის გამეტყავებია, მაგრამ გლეხებმა მთხოვეს ხელი არ მეხლო, რადგან კარტკანოულელ და გარშემო სოფლებიდან ქალებს და ბავშვებს ძალიან ეწყინებათ, თუ თავიანთი თვალით არ დაინახავენ მტერს და არ დარწმუნდებიან, რომ კაციჭამია, რომლის შიშში რამდენიმე წელი გაატარეს და რომელმაც მთელი მაზრის მცხოვრებლები ტერორის ქვეშ დააყენა, მართლაც მკვდარი იყო.

როცა ორი ხე მოჭრეს, რომ ვეფხვი გადაეტანათ ტყისმცველის ქოხთან, დავინახე ზოგიერთმა დამსწრე მამაკაცმა როგორ გაუსინჯა ვეფხვს თათები და განაცხადა, რომ ისინი დარწმუნდნენ თავიანთ მტკიცების სიმართლეში — ვეფხვი არ იტანჯებოდა რაიმე ძველი ჭრილობისაგან ან არც დასახიჩრებული იყო. სახლთან ვეფხვი დააგდეს ტოტებგაშლილი ხის ქვეშ. გლეხებს უთხრეს, რომ ვეფხვი იმყოფება მათ განკარგულებაში დღის ორ საათამდე: მეტ დროს ვერ მივცემდი, რადგან პაპანაქება დღე იყო და საშიში იყო ბალანი არ გასცვენოდა ან ტყავი არ გაფუჭებოდა.

მე თვითონ გულდასმით არ დამითვალიერებია ვეფხვი, მაგრამ ორ საათზე ზურგზე რომ დავდევი, რათა ტყავი გამეძრო, შევამჩნიე, რომ მას წინა მარცხენა თათზე ბალანი თითქმის მთლიანად გასცვენოდა და იქვე კანზე მრავალი პატარ-პატარა მუწუკები ეყარა, რომლიდან ყვითელი სითხე სდიოდა. მე არ

მინდოდა აქ მყოფთა ყურადღება ამ მუწუკებზე მიმექცია და ამ თათზე ტყავის გაძრობა ბოლოსთვის შემოვინახე. ის მნიშვნელოვნად წვრილი იყო მარჯვენა თათზე. როცა მთელი ტყავი გავაძვრე, დავუსვი დანა გულიდან წინა მარცხენა თათის იღლიამდე და შემდეგ, როცა კანი მოვაშორე კუნთებს, აღმოვაჩინე ერთიმეორეზე მიყოლებით მაჩვ-ზღარბის ნემსები. ხალხი ხარბად იტაცებდა მათ სამახსოვროდ. ყველაზე გრძელი ნემსი დაახლოებით ხუთი დუიმი იქნებოდა, ნემსების საერთო რიცხვი კი ოცდახუთიდან ოცდაათამდე იყო.

კუნთებს კანქვეშ, რომლებიც გულმკერდიდან იღლიამდე საპონივით გადაქცეოდა, მუქი მოყვითალო ფერი ჰქონდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ნადირი კვნესოდა სიარულის დროს და სრულიად გასაგები მიზეზი, რომ იგი კაციჭამია გახდა, რადგან მაჩვ-ზღარბის ნემსები, როგორ დიდხანსაც არ უნდა იყოს ვეფხვის კუნთებში, სამუდამოდ შიგ რჩება.

მე, ალბათ, ჩემს მიერ მოკლულ კაციჭამია ვეფხვების ლეშიდან, მაჩვ-ზღარბის ორი ასეული ნემსი მაინც ამომიღია. ზოგიერთ ამ ნემსებს ცხრა დუიმზე მეტი სიგრძე ჰქონდა, სიმსხოთი კი ფანქარს არ ჩამოუვარდებოდა. ნემსების უმეტესობა კუნთებში იყო ჩასობილი, ზოგი კი მაგრად გაჩხერილიყო ძვლებს შუა. ნემსები პირდაპირ კანქვეშ იყო გადამტვრეული.

უეჭველია, რომ ვეფხვებს ეს ნემსები ერჭობოდა მაჩვ-ზღარბის შესაჭმელად მოკვლის დროს. მაგრამ ისმება კითხვა, რომელზეც მე, სამწუხაროდ, ვერ მოგცემთ დამაკმაყოფილებელ პასუხს. ნუთუ ნადირები, რომლებსაც ვეფხვის საზრიანობა და მსუბუქი მოძრაობა აქვთ, ისეთი დაუდევრები არიან, რომ საშუალებას აძლევენ ნემსებით დააკოდვინონ თავი, ან ისე ნელი არიან, რომ ნებას აძლევენ მაჩვ-ზღარბებს, — რომელთა ერთადერთი თავდაცვის საშუალებაა უკან დახევა — ასე გააკეთონ. შემდეგ, როგორ ტყდება ეს ნემსები, როცა საერთოდ ისინი მტვრევადი არ არიან.

ავაზებსაც ისეთივე მისწრაფება აქვთ მაჩვ-ზღარბებზე ნადირობისა, როგორც ჩვენი მთის ვეფხვებს, მაგრამ იმათ ნემსები არ ერჭობათ, რადგან ისინი მაჩვ-ზღარბებს ჰკლავენ, — როგორც მე დავაკვირდი — თავში პირის წაღლებით. თუ რატომ

არ იყენებენ ვეფხვები ამ თვალსაჩინო უსაშიშრო საშუალებას, რომლითაც ავაზები სარგებლობენ და დასახიჩრებას იცილებენ თავიდან, ჩემთვის საიდუმლოებად რჩება.

ვამთავრებ მოთხრობას მეორე კაციჭამია ვეფხვზე, რომელზეც ლაპარაკი იყო სამაზრო კონფერენციაზე 1929 წლის თებერვალში, თუ შემთხვევა მომეცემა, გიამბობთ როგორ მოვკალი მესამე კაციჭამია ვეფხვი კანდადან.

მაცთუნებელი მახსირი

მთისძირის მდინარეში მახსირის * ჭერა სათევზაო სპორტის ყველაზე სასიამოვნო სახედ მიმაჩნია. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ წიაღში ჩატარებული ყოველგვარი სახეობის სპორტული საქმიანობის შედეგად მიღებულ სიამოვნებაში. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე მაცთუნებელი თევზის ჭერა არახელსაყრელ პირობებში მეთევზეს ისეთსავე ნაკლებ სიამოვნებას ანიჭებს, როგორსაც ჩოგბურთის მოთამაშეს დევისის ** თასის მოგება, შეჯიბრება საპარაში რომ ტარდებოდეს.

მდინარე, რომელშიც ამას წინათ ანკესით ვთევზაობდი, ორმოცი მილის მანძილზე მიედინება ნადირითა და ფრინველებით სავსე მშვენიერ ხეობაში. მე ვცადე ჩამომეთვალა დღის განმავლობაში ნახულ ნადირთა და ფრინველთა სახეობები, და საღამოს ჩემს სათვალავში, გარდა სხვა მხეცებისა, იყო სამბარი, ჩიტალი, კარკერი, გორალი, გარეული ღორი, ლანგური, მაიმუნები, ფრინველებიდან კი სამოცდათხუთმეტი სახეობა, ფარშევანგის, კაკბის, ხოხობ-კალიჯის, დურაჯისა და ჩირგვნარის მწყერების ჩათვლით.

გარდა ამისა, მდინარეზე ვნახე ხუთი წავი, რამდენიმე მომცრო ნიანგი და პიტონი. პიტონი ნებივრობდა მდინარის ფართო, წყნარ უბეში და წყლიდან მხოლოდ მისი თვალები და

* მახსირი — (თევზი) წვერა.

** დევისის თასი — ამერიკელი დევისის მიერ 1901 წელს დაწესებული საერთაშორისო გარდამავალი პრიზი ჩოგბურთში.

თავის ნაწილი მოჩანდა. დიდი ხანია მინდოდა პიტონის სურათის გადაღება. ამისათვის საჭირო იყო მდინარის უბის ზემოთ გადალახვა და კლდის ფერდობზე ასვლა. მაგრამ, საუბედუროდ, პიტონმა შემამჩნია და, მიუხედავად იმისა, რომ ფრთხილად ვდგამდი ნაბიჯს უკან, ქვეწარმავალმა, რომელსაც თვრამეტი ფუტი სიგრძე მაინც ექნებოდა, ჩაყვინთა და ყურის ნაპირას დახვავებული ქვების ხვრელში შესრიალდა.

მდინარის კალაპოტი ზოგან ისეთი ვიწრო იყო, რომ ადვილად შეიძლებოდა ერთი ნაპირიდან მეორეზე ქვის გადასროლა, ზოგან კი ის ფართოვდებოდა ერთ მილამდე და მეტზეც. გაშლილი ადგილები ხევში, სადაც მდინარე მიედინებოდა, დაფარული იყო სხვადასხვა ფერის ყვავილებით, რომელთა სურნელება მრავალი ფრინველის საგაზაფხულო გალობასთან ერთად ჰაერში იღვრებოდა. ასეთ პირობებში მახსირის ჭერა შეიძლება ნამდვილად უბრწყინვალეს სპორტად ჩაითვალოს. თუმცა ჩემს მიერ ამ სანადირო მხარის მონახულების მიზანი იყო არა მახსირზე ანკესობა, არამედ მეცადა გადამეღო, თუ ამის შესაძლებლობა იქნებოდა, ვეფხვის კინოსურათი. მაგრამ როცა განათების პირობები არახელსაყრელი შეიქმნა, კინოაპარატი ანკესზე შევცვალე.

გარიჟრაჟზე წამოსული რამდენიმე საათს ვცდილობდი ვეფხვისთვის სურათის გადაღებას, თავისი ორი ბოკვერით. ახალგაზრდა ძუ ვეფხვი, რასაკვირველია, ფიცხი და დაუდეგარი ხასიათისაა, როგორც კი მივუახლოვდებოდი მას, იგი ლეკვებით შედიოდა ხშირ ბარდნარში. ძუ ვეფხვის შეწუხება, რომელსაც შვილები ჰყავს, ახალგაზრდაა ის თუ ბებერი, შეიძლება მხოლოდ გარკვეულ ზღვარამდე და როდესაც ამ ზღვარს მივაღწიე, ტაქტიკა შევიცვალე. ჩამოვჯდებოდი ხოლმე ხეზე მდელოს განაპირას ან ვწვებოდი ბალახში იმ გუბის ახლო, საიდანაც ძუ ვეფხვი თავისი შვილებით სვამდა წყალს. წარმატება უკეთესი არ ყოფილა.

როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, არემარეს ჩრდილი მოეფინა, ხელი ავიღე ჩემს ცდებზე და ეს დღეც მივუმატე იმ ასეულ დღეს, რომლებიც ვეფხვისთვის ბუნებრივ პირობებში სურათის გადაღების ამაო ცდებში გავატარე. კინოკამერა ან-

კესზე შევცვალე და მარტო გავუყევი მდინარის ნაპირს, რომ თევზი დამეჭირა სადილისათვის.

ანკესებისა და კოჭების მოდა უკანასკნელ წლებში ისევე შეიცვალა, როგორც ქალის ტანსაცმლის მოდა. წარსულს ჩაბარდა თვრამეტფუტიანი სიგრძის ანკესების დრო, მათი უდრეკი თევზის საჭერი ხელსაწყოები. აღარც ილაჯია ასეთი ანკესების ხმარებისათვის. მათი ადგილი ახლა დაიკავა ცალი ხელით ადვილად სამართავმა ანკესმა. მე მქონდა თერთმეტფუტიანი ანკესი ორაგულისათვის, ორმოცდაათიარდიანი ნემსკავის მკედი კოჭზე, ორასიარდიანი სუფთა აბრეშუმის მკედის მარაგი და დუიმიანი თვითნაკეთი სატყუარა.

როცა საანკესოდ წყნარსა და გამჭვირვალე წყალს დაინახავ, უსათუოდ მოიმიზეზებ რაღაცას — ხან გუბეს უგულვებელყოფ, მას ძნელი მისადგომი აქვსო, ხან ჭორომებს — იმიტომ, რომ მასში შესაძლოა კორძიანი ხეები ეყაროსო. ამ შემთხვევაში გავიარე ნახევარი მილი, სანამ არ გავაკეთე საბოლოო არჩევანი. ეს იყო გამჭვირვალე წყალი, აქვე მოვნახე შესაფერი ადგილი სადილისათვის თევზების დასაჭერად.

დავდექი გამჭვირვალე წყლის სულ განაპირას და მღვრიე ნაკადში სატყუარა გადავისროლე, მოვუშვი კოჭიდან მკედი და ის იყო ანკესი მაღლა ავწიე, რომ თევზმა სატყუარა გაიტაცა.

თევზი დაუყოვნებლივ გაიქცა ქვეეით, დინების მიმართულებით, კარგად დაზეთილმა კოჭმა სასიხარულო ხმა გამოსცა, როცა მისგან მკედი ეშვებოდა. ორმოცდაათი იარდი მკედი კოჭიდან და ასი იარდი მარაგიდან გამისრიალდა და მარცხენა ხელის თითებზე მწვავე ტკივილი დამიტოვა. შემდეგ კი მოძრაობა ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო, და მკედი უმოძრაოდ გაჩერდა.

აზრები, რომლებიც მოგდის ხოლმე თავში ასეთ დროს, ერთიმეორეს ენაცვლებოდა. მათ თან ახლდა გულის მოსაოხებელი ლანძღვა. საკენკი ეჭვსგარეშეა კარგი იყო, რამდენიმე დღის წინათ „პაილოტ გეტ კოის“ ფირმიდან მიღებული ძარღვიდან გაკეთებული სადავე საგულდაგულოდ მიბმული და შემოწმებული მქონდა

კოპზე სამოცი იარდი ანკესის მკედი იყო დარჩენილი, რომ მიშველებულმა მკედმა მარჯვნივ იწყო გადახრა, ხოლო ერთი წუთის შემდეგ. იგი დინების წინააღმდეგ გაიჭიმა. თევზი არ მომწყდარა ანკესიდან, ისე გაემართა გამკვირვალე წყლისაკენ. ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. დავიწყე მისი მოზიდვა სწორი კუთხით, ხან დინების წინააღმდეგ, ხან დინების მიმართულებით, მაგრამ ნაპირზე მაინც ვერ გამოვიტანე. დრო გადიოდა, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ თევზმა მკედი გაწყვიტა ხის კორძზე მოდებისას და თავს უშველა. იმედი გადაწურული მქონდა, რომ მკედი შეირხა, შემდეგ დაიჭიმა, და თევზი გამალებით დაეშვა ქვევით, დინების მიმართულებით.

მეგონა, იგი გუბის ქვევით მდინარის ჩქერში ლამობდა გასვლას და ძლიერი ნახტომით ამას მიაღწია კიდეც. მაგრამ აქ მეჩეჩი იყო, თევზი შეყოყმანდა და შემდეგ ისევ გუბეში დაბრუნდა. ცოტა მოგვიანებით იგი პირველად გამოჩნდა გუბის ზედაპირზე. ის მდგომარეობა, რომ ანკესიდან მკედს პირდაპირ მივყავდი გუბის მოპირდაპირე მხარეზე რაღაც გაურკვეველი საგნისკენ, გაგაოცებდათ, რომ ასეთი დიდი სამკუთხიანი ფარფლის პატრონმა, ჩემი ფეხებიდან ერთი თუ ორი იარდის მოშორებით პირი სტაცა სატყუარას.

როცა თევზმა კვლავ შესცურა გუბეში, დავიწყე მისი თანდათან წყნარ ადგილზე გამოყვანა. ორაგულის ანკესით დაჭერილი დიდი თევზის ხელით ნაპირზე ამოყვანა ძნელი საქმეა. თევზის ტანის წინა ნაწილი ოთხჯერ გამოჩნდა წყლის ზედაპირზე და ოთხჯერვე გაიქცა როგორც კი მივუახლოვდებოდი, ისევ დამჭირდა თანდათან მისი ნაპირისკენ მოთრევა. მეხუთე ცდის შემდეგ შევძელი თევზის ჯერ ცალი ხელით და შემდეგ მეორე ხელის მიხმარებით ნელი ბიძგებით წყალმარჩხობში შემოდენა და შემდეგ მშრალ ადგილზე გამოყვანა.

თევზის დასაჭერად წავედი და დავიჭირე კიდეც, მაგრამ ამ ღამეს ის სადილად აღარ გამომადგა. მე ვიყავი სამნახევარი მილით დაშორებული ბანაკიდან, და ნახევარი გზის გავლა მომიხდებოდა სიბნელეში. ჩემი თერმოტგირვანქიანი კინოაპარატი ბანაკში გავგზავნე და ჩემთვის დავიტოვე თოკი, რომლის საშუალებით ამქონდა კამერა ხეზე მოწყობილ საფარში.

ამ თოკის ერთი ბოლო გავუყარე თევზს ლაყუჩებში და საიმედო მარყუჟი გავაკეთე, თოკის მეორე ბოლო მივამაგრე ხის კუნძზე. თოკს რომ ვუყრიდი ლაყუჩებში, იგი წყნარად იწვა წყალში დიდ ქვასთან. ერთადერთი საშიშროება მოსალოდნელი იყო წავის მხრიდან. ის რომ დამეფრთხო, ჯიბის დანას ჩამოვაცვი ჩვარი და მდინარის დინების გასწვრივ ცოტა ქვემოთ ჩავასვი ფსკერში.

მზე ოქროსფრად აელვარებდა მთის მწვერვალებს, როცა მეორე დღეს გუბესთან დავბრუნდი და ვნახე, რომ თევზი იმავე ადგილას იყო, სადაც გუშინ საღამოს დავტოვე. მოვხსენი თოკი კუნძიდან, დავიხვიე ხელზე და ქვებზე შემდგარი დავიხარე. არ ვიცი, ჩემი მიახლოებით თუ თოკის ვიბრაციით შეწუხებული თევზი ერთბაშად გამოცოცხლდა, მოწყდა ადგილიდან და შეჰყვა დინებას აღმა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ მე ვერ შევიმაგრე თავი მოლიპულ ქვაზე და თავდაყირა გუბეში ჩავვარდი.

არაა სახარბიელო მთის მდინარეში ყვინთვა, რადგან მშიერ პიტონთან შეხვედრა არაა გამორიცხული. გამიხარდა, რომ ჩრავის დაუნახივარ როგორ ამოვედი გუბიდან. ის იყო მეორე ნაპირთან ამოვფორთხდი, რომ ჩემი ხალხიც მოვიდა. გადავეცი მათ თევზი, რომ წაეღოთ ბანაკში, მე წავედი ტანისამოსის გამოსაცვლელად და ფოტოაპარატის მოსამზადებლად.

სასწორი არ მქონდა მაგრამ ჩვენი ვარაუდით თევზი ორმოცდაათ გირვანქას იწონიდა.

თუმცა თევზის წონა არ არის არსებითი, რადგან ის ჩქარა გავიწყდება. მაგრამ ასე მალე ვერ დაივიწყებ იმ პირობებს, რომლებშიც მიმდინარეობდა მისი დაჭერა: ნაკადი, სანამ ჩქერებად ქვებს ჩაირბენდეს და გვიმრებით გარშემორტყმულ ლურჯ-მონაცრისფრო გუბეს შეერთვოდეს, ჯერ შეტბორდება და ქვევით ჰქმნის მეორე, უფრო ლამაზ გუბეს. შესანიშნავია ჭრელი მუქწითელნისკარტიანი ალკუნისა, რომელიც მხიარული ჭიკჭიკით იბერტყავს სველი ფრთებიდან წყლის მარგალიტებს, სამბარის გამაფრთხილებელი ყვირილი და ჩიტალის მელოდიური მოწოდება, რომელიც აფრთხილებს ჯუნგლების ბინადართ, რომ ვეფხვი, რომლის თათების ნაკვა-

ლევი აღიბეჭდა სველ ქვიშნარზე მდინარის მეორე მხარეზე გადასვლისას, ეს წუთია გამოვიდა სადილისათვის ნადავლის საძებნელად: და აი ყველაფერი ეს დარჩება ჩემს მეხსიერებაში, რომელიც გიზიდავს ამ საუცხოო ხევში და რომელსაც ჯერ არ უგრძვნია ადამიანის მსახვრალი ხელი.

კაციჭამია კანდადან

ჩვენ სკეპტიკურად ვუყურებთ ცრურწმენას, და ამავე დროს გვჯერა ცუდი ნიშნებისა. როგორც არ უნდა დაგვცინოდნენ მეგობრები, ჩვენი საკუთარი ცრუმორწმუნეობა ჩვენვე მიგვაჩნია სავსებით დამაჯერებლად.

არ ვიცი სხვებთან შედარებით მონადირეები უფრო ცრუმორწმუნეები არიან თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ისინი ძალიან სერიოზულად უყურებენ ცუდ ნიშნებს. ერთ-ერთ ჩემ მეგობარს მხეცებზე სანადიროდ თან მიაქვს ყოველთვის ხუთი ვაზნა, არც მეტი, არც ნაკლები. მეორეს კი შვიდი. ერთი (ის იყო მხეცებზე საუკეთესო მონადირე ჩრდილოეთ ინდოეთში) არასოდეს არ დაიწყებდა ზამთრის სანადირო სეზონს ისე, თუ მახსირს არ დაიჭერდა. ჩემი ნიშნები დაკავშირებულია გველებთან. კაციჭამიაზე ნადირობის დროს ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთელი ჩემი ღონისძიებანი უშედეგო იქნება, თუ ჯერ არ დავხოცავ გველებს.

ერთხელ მაისის ყველაზე ცხელ დღეებში ძალზე ფრთხილი კაციჭამია ვეფხვის ძებნისას დილიდან საღამომდე აღმა-დაღმა დავდიოდი, ხან არაჩვეულებრივ ციცაბო კლდეზე და ხან ხშირ ჯაგნარში მიხდებოდა სიარული, რის შედეგად ხელებსა და მუხლებზე აუარებელი მტკივნეული განაკაწრი მრჩებოდა. მეოხუთმეტე დღეს, დაღლილ-დაქანცული ვბრუნდებოდი ოროთახიან ტყის სადარაჯო ჯიხურში, რომელშიც ვცხოვრობდი, რომ შევხვდი გლეხთა დეპუტაციას, რომელიც დიდხანს მელოდა, რათა ეცნობებია ახალი ამბავი, რომ კაციჭამია თავის სოფლის მიდამოებში შეემჩნიათ. უკვე ძალიან გვიან იყო, რომ რაიმე მეღონა ამ ღამეს, ამიტომ დეპუტაცია უზრუნველყავი

ფარნებით და მკაცრად გავაფრთხილე — ხვალ არავინ გამოსულიყო სოფლიდან და სახლში გავგზავნე.

სოფელი თხემის განაპირას მდებარეობდა, ჯიხურიც აქვე იყო. ხშირ ტყეში თავისი განცალკევებული მდებარეობის გამო მაზრაში იგი ყველაზე მეტად დაზარალდა ვეფხვის თავდასხმისაგან.

მეორე დილას მთელ სოფელს შემოვუარე გარშემო და მეორედ გავიარე ნახევარზე მეტი, დაახლოებით ერთი მეოთხედი მილი პირველი წრის ქვემოთ, გადავედი ძნელმისადგომ ფიქალის კლდეზე და მივადექი ციცაბო მთის ნაპირას წვიმის წყლით სავსე ნაღვარევს. ნაღვარევზე თვალის ზერელე გადავლებამ დამარწმუნა, რომ ვეფხვი აქ არ ყოფილა. შემდეგ, დაახლოებით ოცდახუთ იარდზე, წინ ჩემი ყურადღება მიიპყრო რაღაც მოძრაობამ. იქ იყო პატარა წუმპე და მის მახლობლად გველი გაწოლილიყო; როგორც ჩანდა, ის წყურვილს იკლავდა. როცა გველმა თავი ასწია მიწიდან ორ-სამ ფუტზე, და ყელი გაებერა, მივხვდი, რომ კობრა იყო. ჩემსკენ მოღერებული ყელი მოწითალო-ნარინჯისფერი თუ მოყვითალო-ოქროსფერი ჰქონდა. მწვანე-წენგოსფერ ზურგზე სპილოსძვლისფერი ზოლები გადაჰყვებოდა და ოთხი ფუტი კუდი გიშერივით შავი ჰქონდა თეთრი განივი ზოლებით. სიგრძით იგი ცამეტ-თოთხმეტი ფუტი იქნებოდა.

გაღიზიანებული სათვალიანი გველის აგრესიულობასა და მათი მოძრაობის სისწრაფეზე მრავალი თქმულება არსებობს. გველს რომ შეეძლოს ფერდობზე აღმა-დაღმა მოძრაობის დროს თავდასხმა, მე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ ჩვენ გვყოფდა სალი კლდე და ვგრძნობდი, რომ შევძლებდი მის მოკვლას. რომ მესროლა მისთვის გაბერილ ყელში ბოლო მოეღებოდა ამ დაჭიმულ მდგომარეობას, მაგრამ მე დიდკალიბრიანი თოფი მქონდა თან და არ მინდოდა, ბოლოს და ბოლოს ამდენი ხნის ფრთხილი და მომქანცველი დევნის შედეგად მიკვლეული ვეფხვი დამეფრთხო. ერთი წუთის შემდეგ, რომელიც ხანგრძლივად და დაუსრულებლად მომეჩვენა, გველის ერთადერთი მოძრაობა ამ დროს იყო ენის გადმოგდება და უკან შეწევა, — კობრამ დაუშვა სა-

ყელური, დაღუნა თავი და გასრიალდა ზევით, მოპირდაპირე მხარეს.

თვალი არ მომიშორებია მისთვის, ისე დავტაცე ხელი ქვას, რომელიც კროკეტის ბურთივით მოხერხებულად დავიჭირე. გველი ის იყო გამოცოცდა თიხნარიან ციცაბო თხემზე, რომ ჩემს მიერ მთელი ძალ-ღონით ნასროლი ქვა შიგ კეფაში მოხვდა. ასეთი დარტყმა, ალბათ ყველა გველს მოკლავდა, მაგრამ ერთადერთი და ძალზე შემაშფოთებელი შედეგი ის იყო, რომ კობრა ჯერ დაიგრაგნა და შემდეგ პირდაპირ ჩემსკენ გამოქანდა. მეორე დიდი ქვა, ჩემდა საბედნიეროდ, მოხვდა კისერში სწორედ იმ დროს, როცა ის ჩემგან ახლო მანძილზე იყო. დანარჩენი უკვე აღარ წარმოადგენდა სიძნელეს. დიდი სიამოვნების გრძნობით დავამთავრე მეორედ შემოელა სოფლის გარშემო, მიუხედავად იმისა, რომ ისიც ისეთივე უშედეგო იყო, როგორც პირველი, მაგრამ მამხნევებდა ის, რომ მოვკალი გველი. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ ახლა დამებადა წინათგრძნობა, რომ ვეფხვის ამდენი დევნა წარმატებით დამთავრდებოდა.

მეორე დღეს ხელახლა დავზვერე სოფლის გარშემო მდებარე ტყე და საღამოს, სოფლის ზემოთ, მოხნული ყანის ნაპირას, ვეფხვის თათების ახალ ანაბეჭდებს წავაწყდი. სოფლის მცხოვრებლები ძალზე შეშინებული იყვნენ. დავემშვიდობე მათ, აღვუთქვი დილაადრიან დავბრუნდები-თქო და მარტო გავუდექი ოთხმილიან გზას ტყის სადარაჯო ჯიხურისაკენ.

ტყეში ან გავერანებულ გზებზე სიარული ისეთ ადგილას, სადაც კაციჭამია ბინადრობს, შეიძლება არ იყოს საშიში მხოლოდ განსაკუთრებული წინდახედულობისა და მთელი რიგი წესების დაცვის პირობებში, მას შემდეგ, რაც მონადირე თვითონ გახდა არაერთხელ სანადირო ობიექტი, მას გრძნობები უმახვილდება და ითვისებს იმ წესებს, რომელთა დარღვევა ვეფხვს უადვილებს ნადავლის ხელში ჩაგდებას.

მკითხველმა შეიძლება იკითხოს: „რა საჭიროა მარტო სიარული?“ ხომ არიან ადამიანები, რომლებთანაც შეიძლება სანადიროდ წასვლა.

ამ ბუნებრივ შეკითხვაზე მე ასე ვუპასუხებდი: ჯერ ერთი,

თანამგზავრის იმედით კამპანიაში ყოველთვის შეიძლება თავი იჩინოს საოცარმა დაუდევრობამ და, მეორეც, ვეფხვთან შეხვედრისას წარმატების მეტი შესაძლებლობაა მაშინ, როცა მონადირე მარტოა.

მეორე დილას ხალხი აღელვებული დამხვდა. როცა ცოტა დაწყნარდნენ, გავიგე ახალი ამბავი: იმ ღამეს სოფელში ვეფხვს კამეჩი მოეკლა. ნადავლი თხემის გასწვრივ კარგა მანძილზე წაეღო და კლდის მარცხენა მხარეზე ჩაეთრია ვიწრო, ღრეჩო და ხშირი ტყით დაფარულ ხევში.

მაღალი კლდიდან გულდასმით დავათვალიერე და დავრწმუნდი, რომ დაშვება ქვევით ციცაბო ფერდობზე იმ მიმართულებით, საითაც ვეფხვმა ნადავლი წაიღო, შეუძლებელი იყო. ერთადერთი რაც უნდა გამეკეთებინა, — ეს იყო შორიდან შემოვლა, რომ გადავსულიყავი სამხრეთის მხრიდან ხევის ბოლოში და შემდეგ უკვე ავსულიყავი ზევით, სადაც ჩემი ვარაუდით ვეფხვის ნადავლი ეგდო.

ეს ცდა წარმატებით შესრულდა, შუადღისას მივაღწიე დანიშნულ ადგილს, ხეობა აქ რამდენიმე ასეულ იარდზე სწორი იყო, შემდეგ კი იგი სამასი იარდის სიმაღლეზე ციცაბოდ ადიოდა ზევით, თხემის მიმართულებით, ამ ვაკობის ზედა ბოლოში ვიმედოვნებდი მოკლული კამეჩის ნახვას და წარმატების შემთხვევაში ვეფხვისასაც კი. ხანგრძლივმა და ძნელმა აღმართმა ხევის ხშირ, ეკლიან ბუჩქნარსა და ჯუჯა ბამბუკის ყანაში სიარულმა ოფლში გამწურა. როცა ყოველ წუთში მოსალოდნელია თოფის სროლის აუცილებლობა, ნადირობის დაწყება სველი ხელებით უაზრობაა. მეც ჩამოვჯექი მიწაზე დასასვენებლად და თამბაქოს მოსაწევად.

ჩემ წინ მდებარე ადგილი მორიყული იყო ქვებით, სადაც მიიკლაკნებოდა ვიწრო ნაკადული, რომელიც ალაგ-ალაგ კრისტალურ, გამჭვირვალე გუბეს ჰქმნიდა. მე მეცვა ქვებზე იდეალური სასიარულო, რეზინის თხელძირიანი ფეხსაცმელი.

შევისვენე, და ფრთხილად დავიწყე მიახლოება დანიშნულ ადგილთან, იმ იმედით, რომ მძინარე ვეფხვს მივუსწრებდი თავის ნადავლთან. გზის სამი მეოთხედი რომ გავიარე, დავინახე კამეჩი გვიმრით დაფარულ კლდის ძირას, დაახლოებით

ოცდახუთი იარდის მოშორებით მთის თხემისაკენ აღმართულ ციცაბო ფერდობიდან. ვეფხვი არ ჩანდა, დიდი სიფრთხილით მივაღწიე ადგილს, სადაც ნადავლი ეგდო, შევდექი გლუვ ქვაზე და დავიწყე ადგილმდებარეობის გულმოდგინედ დათვალიერება, სადამდეც კი თვალი მიმიწვდებოდა.

საშიშროების წინათგრძნობა იმდენად კარგად ცნობილი და მტკიცედ დადგენილი ფაქტია, რომ ამაზე შეიძლება არც ვილაპარაკოთ.

სამ-ოთხ წუთს უძრავად ვიდექი ყოველგვარი საშიშროების გრძნობის გარეშე, შემდეგ უეცრად დამებადა რწმენა, რომ ვეფხვი მითვალთვალებს ძალიან ახლო მანძილიდან. ალბათ ისიც საშიშროების ამ გრძნობამ გააღვიძა.

მარცხნივ გაშლილ ადგილზე ხშირი ბუჩქნარი ხარობდა. ჩემი ყურადღება მიპყრობილი იყო სწორედ ამ ბუჩქებზე, რომლებიც ჩემგან თხუთმეტი-ოცი ფუტით იყო დაშორებული. ბუჩქები მსუბუქად შეირხა და უეცრად დავინახე ზევით, მთის ფერდობზე მთელი სისწრაფით გაქცეული ვეფხვი. სანამ თოფს მოვიგდებდი, ვეფხვი გაქრა ლიანებით შემოხვეულ ხის უკან; იგი ხელახლა გამოჩნდა ექვსი-ათი იარდის შემდეგ, როცა კლდეზე ახტა. ჩემი გასროლის შემდეგ ვეფხვი ზურგზე დაეცა და ღრიალით თავქვე დაგორდა, თან ჩამოუშვა ქვების მთელი გროვა. დავრწმუნდი, რომ იგი ზურგში დავეჭერი. დანარჩენი ელვის სისწრაფით მოხდა: ვეფხვი ყირამალა მიგორავდა. ჩემდა დასამშვიდებლად, ღრიალი შეწყდა, მაგრამ იმედგაცრუებულმა დავინახე, რომ ვეფხვი, როგორც ჩანდა, არ იყო დაჭრილი, და იგი ელვისებური სისწრაფით მიჰქროდა ფერდობის გასწვრივ. ნადირი, რომელიც ხან გამოჩნდებოდა ხან არა, არ მაძლევდა თოფის სროლის საშუალებას, მალე იგი სულ გაქრა მთის მოსახვევში.

გვიან დავადგინე, რომ ჩემი ნასროლი ტყვია, ვეცხვს მარცხენა ბეჭის ძვალში მოხვედროდა და კლდიდან უკუქცეულ ტყვიას დაეზიანებია ვეფხვისთვის ყბის ძვალი.

არც ერთი ეს ჭრილობა, მიუხედავად აუტანელი ტკივილებისა, არ იყო მომაკვდინებელი. ჯაგნარიდან მუქარით ღრენამ მაიძულა ხელი ამეღო ცდაზე — გავყოლოდი ვეფხვს ხევში სისხლიან ნაკვალევზე. იქ შესვლა თვითმკვლელობა იქნებოდა.

თოფის სროლის ხმა სოფელში გაეგონათ. მთის თხემზე ხალხი მოგროვდა. ისინი ჩემზე ნაკლებ როდი იყვნენ იმედგაცრუებული გულდასმით შედგენილი გეგმის წარუმატებლობით.

მეორე დღეს კამეჩი რომ ვნახე, განცვიფრებული და ნასიამოვნები დავრჩი იმით, რომ ვეფხვი დაბრუნდებოდა ღამე. მე ვიდექი საგონებელში ჩავარდნილი და არ ვიცოდი რა მემოქმედა, რომ ერთბაშად შემომესმა ვეფხვის ღრენა, რომელიც ქვეეით ხევში გაისმოდა იმ ადგილიდან, საიდანაც წინადღით ამოვედი. ვეფხვის ღრიალი იმის მომასწავებელი იყო, რომ შესაძლებლობა მეძლეოდა ბოლო მომეღო მისთვის ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით.

ვეფხვის მიტყუება ხმით შეიძლება ორ შემთხვევაში: თუ ის დაეხეტება ტყეში და წყვილს დაეძებს, ან მსუბუქადაა დაჭრილი. სავსებით ნათელია, მხეცი რომ მოატყუოს, მონადირეს უნდა შეეძლოს ვეფხვის ხმის სავსებით მიბაძვა, მიტყუება კი საჭიროა იმ ადგილიდან. სადაც ვეფხვები ჩვეულებრივ იმყოფებიან ხოლმე, ხშირი ბუჩქნარიდან ან ხშირი ჯაგნარიდან. ამავე დროს მონადირე მზად უნდა იყოს სროლისათვის ძალიან ახლო დისტანციიდან.

ბევრი მონადირე ეჭვით შეხედავს ჩემს მტკიცებას, რომ მსუბუქად დაჭრილი ვეფხვი მიდის მისატყუარ ხმაზე. მე მათ ვთხოვდი გადაედოთ ამაზე მსჯელობა მანამ, ვიდრე თვითონ არ გასინჯავდნენ ჩემს მტკიცებას პირადი გამოცდილებით. ამ შემთხვევაში ვეფხვმა ერთი საათის განმავლობაში არაერთხელ მიპასუხა ღრიალით, მაგრამ ახლო მოსვლას მაინც ვერ ბედავდა. ჩემი წარუმატებლობა მივაწერე იმას, რომ ვეფხვს ვიტყუებდი იმ ადგილიდან, სადაც მას წინადღით უსიამოვნება შეხვდა.

ბოლოს და ბოლოს ყურადღება შევაჩერე გადმოწოლილი კლდის განაპირას მდგარ ხეზე. ჩემთვის გამოსადეგი ტოტი მიწიდან რვა მეტრსა და ხრამის ფსკერიდან ოცდაათი ფუტის სიმაღლეზე იყო აღმართული კლდოვანი ხრამის თავზე, საიდანაც შეიძლებოდა ვეფხვის დანახვა. როცა ხის საკითხი გადავწყვიტე, დავბრუნდი მთის თხემზე, სადაც ჩემთვის საუზმე უნდა მოეტანათ.

საღამოს ოთხ საათზე მოხერხებულად ჩამოვჯექი ხის როკ-ზე და მოვემზადე ხანგრძლივი და ძნელი ლოდინისათვის. სახლ-ში გაშვების წინ თანამგზავრებს ვუბრძანე მოსულიყვნენ დილით მზის ამოსვლისას თხემზე და დაეძახათ ჩემთვის. თუ მე მათ ვუპასუხებდი ავაზას ხმით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და ისინი უნდა დამლოდებოდნენ მე ადგილზე. თუ ჩემგან პასუხი არ იქნებოდა, მაშინ უნდა შეეგროვებინათ ორი ჯგუფი, რაც შეიძლება ბევრი გლეხისაგან და ყიჟინითა და ქვე-ბის სროლით წამოსულიყვნენ ხევის ორივე მხრიდან.

მე მიჩვეული ვარ ხეზე ძილს ყოველგვარ მდგომარეობაში, თანაც დაღლილი ვიყავი და მალე ჩამეძინა. ჩამავალი მზე უკვე ოქროსფრად აელვარებდა მთის მწვერვალებს, რომ უცებ ლან-გურის შეშფოთებულმა ყვირილმა გამაღვიძა. წამსვე დავად-გინე მაიმუნის ადგილსამყოფელი: ის იჯდა ხის კენწეროზე ხე-ვის მოპირდაპირე მხარეს. რადგან ლანგური ჩემსკენ იხედე-ბოდა, გადავწყვიტე, რომ შეცდომით ავაზად მოვეჩვენე. ლან-გურის შეშფოთებული ყვირილი რამდენჯერმე განმეორდა და მხოლოდ დაბნელებისას შეწყდა.

რამდენიმე საათის განმავლობაში დაძაბული მქონდა სმენა და მხედველობა. უეცრად შემაკრთო მთის ფერდობიდან და-გორებულმა ქვამ, რომელიც სწორედ იმ ხეს დაეჯახა, რომელ-ზეც მე ვიჯექი. შემდეგ მოისმა მძიმე, მიმპარავი მხეცის, უდა-ვოდ, ვეფხვის, მსუბუქი ნაბიჯები. ჯერ ჩემ თავს ვაწყნარებ-დი იმ მოსაზრებით, რომ ვეფხვის გამოჩენა ამ მიმართულებით და ჯრა ხევის ზევით, შემთხვევითია, მაგრამ ეს აზრი მალე გა-მიქარწყლდა; ვეფხვმა პირდაპირ ჩემს ზემოთ დაიწყო ღრენა. უდავო იყო, რომ ვეფხვი შემოვიდა ხევში დასანაყრებლად, გაჩერდა კლდეზე, სადაც ის მაიმუნმა დაინახა და მითვალ-თვალებდა, როგორ ავცოცდი ხეზე. შეიქმნა ჩემს მიერ გაუ-თვალისწინებელი მდგომარეობა, რომელიც განსაკუთრებულ წინდახედულ მოქმედებას მოითხოვდა. როკზე, რომელზეც მოხერხებულად შეიძლებოდა დღე ჯდომა, დაბნელების შემ-დეგ ძალზე ძნელი იყო მდგომარეობის შეცვლა. შემეძლო თუ საჭირო იქნებოდა, თოფი ჰაერში დამეცალა, მაგრამ ახლო მან-ძილიდან თოფის გასროლით ვეფხვის გადენის ცდების საში-

ნელი შედეგები (მე გახლდით ამის მოწმე) მარწმუნებდნენ ამ-
გვარი მოქმედების შეუძლებლობაში. ამის შემდეგ ვეფხვი
რომც არ დამსხმოდა თავს, მსხვილკალიბრიანი თოფის გასრო-
ლა უშუალოდ მის ახლო, აიძულებდა ნადირს წასულიყო ამ
ადგილებიდან და მთელი ჩემი შრომა წყალში გადაყრილი იქ-
ნებოდა.

ვიცოდი, რომ ვეფხვი ნახტომს არ გააკეთებდა, რადგან ამ
დროს იგი შესაძლებელია გადაჩეხილიყო ოცდაათფუტიან
ხრამში გამოშვერილ კლდეებზე, მაგრამ არც ჭირდებოდა ეს.
რადგან ადვილად შეეძლო დამდგარიყო უკანა თათებზე და ისე
მოეღწია ჩემამდე. ავიღე თოფი, გვერდზე რომ მედო, დავუშვი
ლულა ქვევით, გავაყოფინე ტუჩი მარცხენა მკლავის ქვეშ და
გადავწიე დამცველი. ამ მოძრაობას ვეფხვი უფრო ხმამაღალი
ღრენით შეხვდა: ახლა ჩემამდე რომ მოეღწია ვეფხვს, უნდა
შეჩეხებოდა თოფს, რომლის სასხლეტს თითებს მაგრად ვუ-
ჭერდი, თუ ვერ მოვკლავდი შეჯახების დროს, ხეზე უფრო
მაღლა ასვლის შანსი მრჩებოდა. დრო ნელა მიიზლაზნებოდა,
ვეფხვს მოწყინდა კლდის ფერდობზე ხეტიალი, ღრენა და ის
გადახტა მარცხნივ მდებარე ხრამზე. რამდენიმე წუთის შემდეგ
მომესმა მოკლული კამეჩის ძვლების მტვრევის ხმა. დაბოლოს
შემეძლო შემეცვალა უხერხული პოზა, შემდეგ დილამდე
ჩემამდე მოღწეული ხმაური მოდიოდა იმ ადგილიდან, სადაც
ვეფხვის ნადავლი ეგდო.

გავიდა რამდენიმე წუთი მზის ამოსვლის შემდეგ. ხევს ჯერ
კიდევ მუქი ჩრდილი ადგა, როცა ჩემმა თანამგზავრებმა დამი-
ძახეს მთის თხემიდან, და იმ წამსვე შევამჩნიე ზევით, ფერ-
დობის გასწვრივ, ჩემგან მარცხნივ სწრაფად მიმავალი ვეფხვი.
უძილო ღამის შემდეგ, მკრთალ შუქზე ძნელი იყო ნიშანში
ამოღება, მაგრამ მაინც ვესროლე, და ჩემდა საბედნიეროდ,
დავინახე, რომ მოვახვედრე. ვეფხვი შემობრუნდა და ღრია-
ლით გამოექანა ხისკენ, რომელზეც მე ვიჯექი. სანამ ის ნახ-
ტომისათვის ემზადებოდა, ჩემი მეორე ტყვია მას გულში მოხვ-
და. მსხვილკალიბრიანი ტყვიის დარტყმისგან ვეფხვმა ნახტომი
გააკეთა, სულ ახლოს დაეჯახა ხეს და შემდეგ ქვევით ხევში
გადაიჩეხა.

ხმელ როკზე თხუთმეტი საათის ჯდომის გამო, კუნთები სულ დამბუჟებოდა. ხიდან რომ ჩამოვედი, დავიზილე ისინი, მოვიწმინდე ტანსაცმელზე დაპრილი ნადირის სისხლის შხეფები და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლო მენახა ვეფხვი. ერთმანეთს პატარა მანძილი გვაშორებდა, მხეცი ვნახე მკვდარი, კლდის ძირას, სადაც ნაკადული მიჩუხჩუხებდა.

მიუხედავად ჩემი განკარგულებისა. მთის თხემზე შეკრებილმა ხალხმა გაიგონა ჩემი გასროლა, ვეფხვის ღრიალი, შემდეგ მეორე გასროლა, და დაეშვა მთიდან. სისხლით გასვრილ ხესთან რომ მივიდნენ, რომლის ძირას ჩემი ქუდი ეგდო, ცხადია, დაასკვნეს, რომ ვეფხვმა გამიტაცა. მათი შეშფოთებული ხმები რომ გავიგონე, დავუძახე. ჩემმა დანახვამ სისხლით მოსვრილ ტანსაცმელში ისინი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ მე არ დავშავებულვარ და რომ ეს ჩემი სისხლი არ არის, ისინი რამდენიმე წუთის შემდეგ მოკლული ვეფხვის გარშემო შეიკრიბნენ, სწრაფად მოვჭერით ხე და დიდი ჯაფით და ხმამაღალი ყიჟინით ვეფხვი ციცაბო ფერდობიდან სოფელში ჩავიტანეთ.

მიყრუებულ ადგილებში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში თარეშობს კაციჭამია ვეფხვი, კეთდება ბევრი ბრწყინვალე გმირული საქმე, რომლებსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ჩვეულებრივ მოვლენად თვლიან და რომლებიც გარეთ სამყარომდე ვერ აღწევენ. მინდა გიამბოთ ერთ ასეთ შემთხვევაზე — იგი ეხება კანდადან კაციჭამია ვეფხვის უკანასკნელ მსხვერპლს. ძიეედი შემთხვევის ადგილზე. ისე გულმოდგინედ შევისწავლე ადგილმდებარეობა, სადაც შემონახულია მომხდარი ამბის ყველა ნაკვალევი, რომ შემიძლია მოგითხროთ ეს ისტორია ისე, რომ რაიმე წვრილმანებშიც კი არ შევცდე.

სოფელში, რომლის ახლო მოვკალი კაციჭამია ვეფხვი კანდადან, — ცხოვრობდა ერთი ხნიერი კაცი თავისი ერთადერთი ვაჟით. მამა ჯარში მსახურობდა 1914—1918 წლებში; მას უნდოდა, რომ შვილიც მეფის გარვალელ მსროლელთა რიგებში ჩაერიცხათ. მშვიდობიანობის დროს, როცა თავისუფალი ადგილი ცოტაა და მსურველი კი ბევრი, ეს არ არის უბრალო ამოცანა. ყმაწვილს თვრამეტი წელი უკვე შესრულებოდა, რომ

სოფელში გაიარა ლანდსდაუნში მიმავალმა ახალწვეულთა ჯგუფმა. ყმაწვილი შეუერთდა მათ და ლანდსდაუნში ჩასვლისთანავე გამოცხადდა რეკრუტთა ბიუროში. მამამ ასწავლა შვილს სამხედრო მისალმების ყველა წესი და ისიც, თუ როგორ დაეჭირა თავი ოფიცერ-შემკრების წინაშე. ყმაწვილი უმალვე ჩარიცხეს, მისცეს მოკლევადიანი შვებულება, რომ ნივთები წაეღო სახლში, სანამ შეუდგებოდა სამხედრო სამსახურს. იგი დაბრუნდა სახლში დაახლოებით შუადღისას და ახალი ამბების მოსასმენად მოსული ამხანაგებისაგან გაიგო, რომ მამამისი წასულიყო სოფლის განაპირას მდებარე პატარა ნაკვეთის დასახნავად და დაღამებამდე არ დაბრუნდებოდა (ყანა, რომელსაც მამამისი ხნავდა, სწორედ ის ადგილი იყო, რომელზეც ვნახე ავაზას ნაკვალევი იმ დღეს, როდესაც კობრა მოვკალი).

ერთ-ერთი სამუშაო, რომელსაც ბიჭი ასრულებდა სახლში, იყო პირუტყვისათვის საკვების შოვნა. მან მეზობლებთან ისადილა და ოცი მამაკაცის თანხლებით წავიდა ფოთლების მოსაკრეფად.

როგორც უკვე აღვნიშნე, სოფელი მთის თხემზე მდებარეობდა და გარშემორტყმული იყო ტყით. ამ ტყეებში მოეკლა ვეფხვს ორი ქალი, რომლებიც ბალახს კონავდნენ; ამიტომ რამდენიმე თვე პირუტყვი დიდი ხეების ფოთლებით იკვებებოდა. მაგრამ ყოველდღე ფოთლების მოგროვება სოფლიდან თანდათან მოშორებით უხდებოდათ. იმ დღეს ოცდაერთმა კაცმა გადაიარა ყანებზე, დაეშვა ციცაბო დაღმართზე და გაიარა მილის მეოთხედი მანძილი ხშირი ტყიანი ხევის დასაწყისში, რომელიც გადაჭიმული იყო რვა მილზე, მდინარე რამგანგამდე დხიკალის ტყის ჯიხურის პირდაპირ.

მათ წინ იყო მაღალი ხეებით დაფარული, შედარებით ვაკე ადგილი. ხალხი გაიფანტა, თითოეული ავიდა მათ მიერ ამორჩეულ ხეზე, მოსხეპილი ფოთოლი იღლიებად შეკონეს და ჯგუფ-ჯგუფად სოფელში დაბრუნდნენ.

ხშირ ჯაგნარში ჩაწოლილ და ხალხისგან ნახევარი მილით დაშორებულ ვეფხვს ესმოდა მათი ხმა. ის გამოვიდა ჯაგნარიდან, სადაც ოთხი დღის წინათ მოჰკლა დედალი სამბარი, გადახტა რუზე და მწყემსების ბილიკით, რომელიც მთელ ხევზე

გადიოდა, ხალხს მიაშურა. რა სისწრაფით მოძრაობდა ვეფხვი ამ ადგილებში, ადვილი დასადგენია ნადირის წინა და უკანა თათების განლაგების შედარებით.

ყმაწვილმა, რომელზეც ლაპარაკია, მწყემსთა ბილიკიდან ოცი იარდის მოშორებით ფოთლების მოსაკრეფად შეარჩია ხე — ბაუხინია *, რომლის ზედა ტოტები პატარა ხრამის თავზე იყო გადაწვდილი, ხის ქვეშ კი ქვიხ ორი ლოდი ეგდო. ყმაწვილი რომ დაინახა, ვეფხვი ჩაწვა წაქცეული აბრეშუმის ხის (კონნოკის) უკან, ხრამიდან ოცდაათი იარდის მოშორებით. ყმაწვილმა შეასხიპა ტოტებს ფოთლები, ჩამოვიდა ხიდან და დაიწყო მათი კონებად შეკვრა. ამას ის აკეთებდა გაშლილ და შედარებით უშიშარ ადგილზე, მაგრამ მისდა საუბედუროდ, შეამჩნია, რომ ორი მოჭრილი ტოტი ხრამში ჩავარდნილიყო, ზემოხსენებულ ორ ლოდს შორის. ის ჩავიდა ხრამში მათ ამოსატანად — თავის ბედისწერის შესახვედრად. როგორც კი ყმაწვილი თვალს მიეფარა, ვეფხვმა მიატოვა საფარი წაქცეულ ხის უკან და მიხოხდა ხრამის ნაპირთან. როცა ყმაწვილი შეჩერდა ტოტების ასაღებად, ვეფხვი შეახტა მას და მოჰკლა.

ყმაწვილის მამა დაბრუნდა სოფელში მზის ჩასვლისას და მას ახალი სასიამოვნო ამბავი დაახვედრეს — მისი შვილი არმიაში მიეღოთ და ახლა მოკლე ხნით დაბრუნებულიყო ლანდლაუნიდან თავისიანების სანახავად. როდესაც იკითხა სად არის ყმაწვილიო, უპასუხეს, პირუტყვის საკვებისათვის წავიდაო, და თანაც უკვირდათ, რატომ არ დაბრუნდა აქამდე სახლში. მამამ შერეკა ხარები და წავიდა შვილის საძებნელად. მოხუცმა რიგრიგობით გამოკითხა ყველას, მის შვილთან ერთად წასულებს და ყველა ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: ხალხი ხევის დასაწყისშივე გაიფანტა და შემდეგ ყმაწვილი აღარავის გვინახავსო.

მამამ ჩაიარა ხევისკენ მდებარე ყანები, გავიდა კლდის განაპირას და დაუწყო შვილს ძახილი — პასუხი არ იყო, ღამდებოდა. მოხუცი დაბრუნდა სახლში და აანთო გამურული ფარანი. როცა სოფელში გაიარა და განაცხადა შვილის საძებნელად

* ბაუხინია — ეწოდება ცეზალპინური ოჯახის ხეთა ჯიშს შვეიცარიელი ბოტანიკოსისგან ბოენის პატივსაცემად.

მივდივარო, მეზობლებს შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ეკითხებოდნენ, ხომ არ დაგავიწყდა ვეფხვის არსებობის შესახებო. მოხუცი პასუხობდა, რომ სწორედ ვეფხვის გამო ვარ ასე შეწუხებულიო: ხომ შეიძლებოდა, ყმაწვილი ხიდან ჩამოვარდნილიყო, დაშავებულიყო და იმის შიშით, რომ კაციჭამიას ყურადღება არ მიეპყრო, არ პასუხობდა მამას. მოხუცი არავის არ თხოვდა მიეღო მონაწილეობა ძებნაში, და არც არავინ სთავაზობდა ამას. მთელი ღამე იხეტიალა მან ხევში სხვადასხვა მიმართულებით ისეთ ადგილებში, სადაც კაციჭამიას გამოჩენის შემდეგ ვერავინ ვერ ბედავდა ფეხის დადგმას. როგორც ნაკვალევით დავადგინე, მოხუცმა მთელი ღამის განმავლობაში ოთხჯერ გაიარა მწყემსთა ბილიკზე ათი ფუტის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც მისი შვილის მკვლელი ვეფხვი იწვა.

გათენებისას მოქანცული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მოხუცი კლდეზე ავიდა და დასასვენებლად ჩამოჯდა. აქედან შეეძლო ხევში გადაეხედა. მზის ამოსვლისას მოხუცმა შეამჩნია სისხლი ქვის ლოდზე; გაეშურა იმ ადგილისკენ, და ნახა საზარელი სურათი ვეფხვისგან დასახიჩრებული შვილის გვამისა. მოხუცმა შეკრიბა ნეშთი და მოიტანა ისინი სახლში. იშოვა რიგიანი სუდარა და მეგობრებს მოუხმო დასახმარებლად, რათა შვილის სხეულის ნარჩენები წაეღოთ მდინარე მანდალის ნაპირზე დასაწვავად.

მე არ მიმაჩნია მართებულად იმის მტკიცება, რომ ამგვარ საქციელს ჩადიან საზრიანობას მოკლებული ადამიანები და ამიტომ არ გრძნობენ შიშსაც. ჩვენი მთიელები არა მარტო მწვავე რეაგირებას ახდენენ გარემოზე, არამედ ძალიან ცრუმორწმუნენიც არიან: მათი რწმენით, თითოეული მთის მწვერვალზე, თითოეულ ხევში ან გამოქვაბულში ცხოვრობენ ბოროტი, მავნე სულები, რომლებიც ღამის წყვდიადში უფრო საშიში ხდებიან.

ამ ადგილების მკვიდრი, რომელიც ერთ წელზე მეტს ცხოვრობდა კაციჭამია ვეფხვის თავდასხმის შიშის ქვეშ, მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე მარტოდმარტო, შეუიარაღებელი დაეხეტებოდა ტყეში, სადაც მისი წარმოდგენით, ბოროტი სულები ცხოვრობდნენ, და სადაც სრული საფუძველი ჰქონდა ეფიქ-

რა, რომ მას ვეფხვი უთვალთვალებს. ჩემი აზრით, ეს კაცი ისეთი გამბედაობის პატრონია, რომელიც ბევრს არ გააჩნია. მით უფრო ღირსეულად უნდა დავაფასოთ მისი ვმირული საქციელი, რომ იგი თვითონ ამაში არ ხედავდა არაფერს არაჩვეულებრივს ან ღირსშესანიშნავს. როცა ჩემი თხოვნით მოხუცი დაჯდა მიწაზე მოკლული კაციჭამია ვეფხვის გვერდით (მინდოდა მისთვის სურათი გადამეღო), მან შემომხედა და მშვიდად და თავდაჭერილად მითხრა: „ახლა მე კმაყოფილი ვარ, საიბ, რადგან თქვენ შური იძიეთ ჩემი შვილისათვის".

ეს იყო უკანასკნელი იმ კაციჭამია ვეფხვთაგან, რომელთაგან ხსნას დავპირდი კუმაონის ადმინისტრაციას და გარვალის მცხოვრებლებს.

ვეფხვი პიპალ-პანიდან

მისი ადრინდელი ცხოვრების შესახებ ვიცი მხოლოდ ის, რომ იგი დაიბადა მთის ძირას მდებარე ღრმა ხრამში.

იგი, ალბათ, ერდი წლისა იქნებოდა, როცა ნოემბრის ერთ უთენია დილას ქვიშაზე მისი ნაკვალევი ვნახე პატარა ღელის პირას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები პიპალ-პანის უწოდებენ. ჯერ მეგონა, იგი დედას გაექცა, მაგრამ კვირა კვირას მისდევდა და ის კი მუდამ მარტო დადიოდა ნადირთა ბილიკებზე ტყეში. მაშინ მივედი იმ დასკვნამდე, რომ მისი განმარტოება დაკავშირებულია ვეფხვების მძუნაობის მოახლოებასთან, ბოლოს და ბოლოს ასეთია ხომ ჯუნგლების ახალგაზრდა ბინადართა ხვედრი: დღეს მას თავგამოდებით იცავენ, თუნდაც ეს მშობლების სიცოცხლის ფასად დაჯდეს, შემდეგ კი განდევნიან, რადგან ბუნება თავიდან აცილებს მათ მოსალოდნელ სისხლის აღრევის შესაძლებლობას.

ამ ზამთარში ახალგაზრდა ვეფხვი იკვებებოდა ფარშევანგებით, კარკერებით, გარეული გოჭებით, დედალი ჩიტალებით, და ცხოვრობდა ერთი წაქცეული ხის ქვეშ, რომელიც მაჩვზღარბებს თავშესაფრად ექციათ. აქ მოჰქონდა მას ნანადირევი და ცივ ამინდში თბებრდა ხის გლუვი ღეროს ქვეშ. ეს წაქცეული ხე ადრე ბევრჯერ მომსახურებია ავაზებს როგორც თბილი თავშესაფარი.

ახალგაზრდა ვეფხვი მხოლოდ იანვრის დამლევს დავინახე ახლოს. ერთ საღამოს სრულიად უმიზნოდ გამოვედი სასეირნოდ, და დავინახე როგორ აფრინდა ყვავი და დაიწყო ნისკარტის წმენდა ხის ტოტზე. ჯუნგლების ყვავები, სკავები და ჩხიკვები ყოველთვის მაინტერესებდა. ამ ფრინველების დახმარებით ხშირად მინახავს ინდოეთსა და აფრიკაში მტაცებელ ნადირთა ნადავლი. ამ შემთხვევაში ყვავმა მიჩვენა წინადღით მომხდარი ტრაგედიის ადგილი.—ირემი — ჩიტალი მოკლული იყო და ნაწილი შეჭმული, ხოლო ვიღაც გამვლელებს ნარჩენები დაეჭრათ და თან წაეღოთ. რაც დაეტოვებიათ, იყო მხოლოდ ძვლების ნამტვრევები და ცოტაოდენ დალეკერტებული სისხლი, რომლითაც ის-ის იყო ყვავმა ისაუზმა. რადგან სათანადო თავშესაფარი არ იყო და გვერდით კი გზა გადიოდა, ამიტომ ნადირი, რომელსაც ნადავლი ეკუთვნოდა, ვერ შეამჩნევდა მის გათავებას და უკანვე უნდა დაბრუნებულიყო.

გადავწყვიტე მომეწყო სახუნდარი და მოხერხებულად მოვეწყვე კვრინჩხაზე, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევდა ეკლები.

არ შევეცდები დავარწმუნო მკითხველი, თუ ის არ მეთანხმება სადავო საკითხში, მხეცების ნადავლზე მოწყობილი საფარიდან თვით მათზევე ნადირობის შესახებ. პირადად უმეტესი წილი ჩემი სასიამოვნო მოგონებებისა ნადირობის შესახებ დაკავშირებულია იმ დროსთან, რომლის ერთ ან ორ საათს მზის ჩასვლამდე ვატარებდი მხეცის ნანადირევზე მოწყობილ სახუნდარში, დაწყებული ჯერ კიდევ ადრე, იმ დროიდან, როცა მე ვიჯექი ავაზას მიერ მოკლული ლანგურის ლეშთან საფანტიანი თოფით, რომლის ლულა, გასკდომის თავიდან ასაცილებლად, მავთულით იყო შემოსალტული და გათავებული ამასწინანდელი დღეებით, როცა მუხლებზე დადებულ უკანასკნელი ნიმუშის თოფით ვდარაჯობდი ძუ ვეფხვს, რომელიც თავის მხრივ მოკლულ სამბართან ორი ლეკვით მოვიდა. და თანაც არავითარი სინანული არ განმიცდია, როცა ამ შემთხვევაში ვერაფერი მოვინადირე.

ჩემს წინაშე არ იყო ნადავლი გარკვეული მტაცებლის სახით, მაგრამ ამას არ შეუმცირებია ჩემი წარმატებით გასრო-

ლის იმედები. სისხლით გაჟღენთილ ნიადაგზე იმათ მხარს უჭერდა ჯუნგლების ბინადარ ცხოველთა ძალიან დიდი ინტერესი. ამას ამტკიცებდა ბებერი და ჭაღარა დრუნჩიანი გარეული ტახი. ათი წუთის განმავლობაში იგი წყნარად იჩიჩქნებოდა, შემდეგ დაიფრუტუნა, როცა ქარის მოტანილი სისხლის სუნი ეცა. დინგი მაღლა ასწია და აამოძრავა ისე, როგორც ამის გაკეთება შეუძლია ამ ნადირს. ცხადია, მომხდარ ამბავზე მან გაცილებით უკეთესი წარმოდგენა მიიღო, ვიდრე მე ნიადაგის დათვალიერების დროს, რომელზეც არ იყო ნაკვალევი. ტახის მიახლოების ჩვეულება — ოდნავი მოძრაობა მარჯვნივ და უკან ქარის საწინააღმდეგოდ, შემდეგ მარცხნივ და ისევ ქარის წინააღმდეგ, ისე, რომ თითოეული მოძრაობით იგი უახლოვდებოდა რამდენიმე იარდით — უჩვენებდა, რომ ჩიტალი მოკლული იყო ვეფხვის მიერ. ტახი დარწმუნებული თავის უშიშროებაში და იმაში, რომ სახეირო აქ არაფერი იყო, გავიდა გვერდზე და გაქრა ისე, რომ თვალი ვერ შეეასწარი. ახლა გამოჩნდა ხავერდოვანრქიანი ორი ჩიტალი. მათი მოსვლა ქარის მხრიდან პირდაპირ გასისხლიანებულ ადგილთან იმას მოასწავებდა, რომ ისინი ღამის ტრაგედიის მოწმე იყვნენ. მათ რიგრიგობით დასუნეს ნიადაგი და დაძაბულ მდგომარეობაში იყვნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში უმალ მოწყვეტილიყვნენ ადგილიდან. ცნობისმოყვარეობა რომ დაიკმაყოფილეს, გაუდგნენ გზას.

ცნობისმოყვარეობა სრულიადაც არ წარმოადგენს ადამიანის მონოპოლიას. ბევრი ცხოველი ხდება მისი მსხვერპლი, ძაღლი გარბის აივნიდან, რომ შეუყეფოს გაელვებულ აჩრდილს, ირემი ჩამოშორდება ხოლმე ჯოგს, რომ დაათვალიეროს შერხეული ბუჩქნარი და იქ ჩაწოლილი ავაზას მსხვერპლი ხდება.

მზე უკვე ჩადიოდა, რომ მარჯვნივ რაღაცამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, რომელიღაც მხეცმა ჩემგან ოცდაათი იარდის მოშორებით, მდელოს ბოლოში ორ ბუჩქს შორის გაშლილი ადგილი გადაკვეთა, შემდეგ ბუჩქებიდან გამოვიდა ვეფხვის ბოკვერი, რომელსაც არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გაუხედავს, ისე მივიდა პირდაპირ იმ ადგილთან, სადაც ნადავლი

ეგულებოდა, სანუკვარი მოლოდინით დააცქერდა და იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც მიხვდა, რომ მოთმინებით მრავალი საათის მალვისა და მიპარვის შედეგად ნაშოვნი ჩიტალი გაქრა. ძვლების ნამსხვრევები და შედედებული სისხლის ლაქები ახალგაზრდა ვეფხვს არ აინტერესებდა — მისი ყურადღება მიიპყრო ძირკვმა, რომელსაც ხორცის ნაჭრები შეხმობოდა. მარტო მე ხომ არ დავდივარ თოფით ხელში ჯუნგლებში და თუ ბოკვერი ვეფხვად უნდა ქცეულიყო, აუცილებელი იყო შთამეგონებინა მისთვის, რომ დღე ნადავლთან წინდაუხედავად მიახლოება საშიშია. საფანტით გატენილი ფილთა თოფი უკეთ გამოდგებოდა ჩემი მიზნისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში კუთხვილი თოფი უნდა მეხმარა და როცა ახალგაზრდა ვეფხვმა თავი ასწია, რომ ძირკვი დაესუნა, ჩემი ტყვია მოხვდა ძირკვს ერთი დუიმის მოშორებით მისი ცხვირიდან. მთელი შემდეგი წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ დაივიწყა მან ეს გაკვეთილი.

შემდეგ ზამთარში ის რამდენჯერ ვნახე. მისი ყურები ისე დიდად აღარ მეჩვენებოდა, საბავშვო მორთულობა კი მკვეთრი ზოლებიანი მუქი მოწითალო ქურქით შეცვლოდა. გადატეხილი ფუღუროიანი ხე თავისმა კანონიერმა მეპატრონემ — წყვილმა ავაზამ დაიბრუნა. ახალგაზრდა ვეფხვმა ახალი საცხოვრებელი იპოვა მთისძირის ხშირ შამბნარში, მის ულუფას კი ნორჩი სამბარი დაემატა.

შემდეგ ზამთარს, როცა ჩვეულებრივ მთიდან ბარში გადმოვედი, ვეღარ ვნახე ნაცნობი ნაკვალევი ვერც ნადირების ბილიკებზე და ვერც სარწყულებელთან. რამდენიმე კვირა ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდა ვეფხვმა დატოვა თავისი ბუნაგი და სადღაც გადაბინავდა. მაგრამ ერთ დილას გამოირკვა მისი არყოფნის მიზეზი: მისი ნაკვალევის გვერდით იყო პატარა და ვიწრო ნაკვალევი ძუ ვეფხვისა, რომლის საძებნელად იყო ის წასული. მე მხოლოდ ერთხელ ვნახე ეს ვეფხვები ერთად, როცა მთისწინეთში სეროუზე* ვნადირობდი. უკან რომ ვბრუნ-

* სეროუ — მთის ანტილოპა, გავრცელებულია ჰიმალაის მთებსა და აღმოსავლეთ აზიაში (იაპონიასა და სუმატრამდე).

დებოდი, ჩემი ყურადღება გამხმარ ხეზე მჯდარმა სვავმა შიიპყრო. ფრინველი ზურგით იჯდა ჩემსკენ და მიჩერებოდა პატარა ბუჩქნარს, რომლის იქით ჯუნგლები იწყებოდა. მიწას ნამი ჯერ კიდევ არ შეშრობოდა და ფეხაკრეფით მივედი ხესთან და მიმოვიხედე, მკვდარი სამბარის რქა მოჩანდა დაბალი ბუჩქების თავზე — ცოცხალ ირემს არ შეეძლო ასეთ მდგომარეობაში ყოფნა.

ხავსით დაფარულ კლდეზე უხმაუროდ და მტკიცედ მივაბიჯებდი. მთელი სიმაღლით რომ ავიმართე, დავინახე სამბარი. უკანა ნაწილი მოპმული ჰქონდა, გვერდებზე კი ვეფხვები უწვა. სამბარის იქით მწოლიარე ვეფხვის მხოლოდ უკანა თათები მოჩანდა. ორივე ვეფხვს ეძინა. თოფის სასროლად რამოდენიმე ფუტით წინ უნდა წავწეულიყავი და შემდეგ მარცხნივ შემოვბრუნებულიყავი, რომ ვეფხვის კისერი დამუნახა, მაგრამ დამავიწყდა ჩუმი მოწმის არსებობა. სანამ ადგილზე ვიდექი, ის ვერ მხედავდა, მაგრამ არ გამივლია ათი ფუტი, რომ ფრინველმა დამინახა. შეშინებულმა სვავმა დაატყლაშუნა ფრთები, ლიანას გამოედო და მიწაზე დაეშვა. ძუ ვეფხვმა წამსვე გაიღვიძა, მიატოვა ნადავლი და გაიქცა. მას მიჰყვა ხვადიც. თოფის სროლა შესაძლებელი, მაგრამ ძალზე სარისკო იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ ჯუნგლებს, სადაც დაჭრილი ნადირის მხარეზეა ყველა უპირატესობა. იმათ, ვინც ამ საქმეს არ იცნობს, მე ვურჩევდი ვეფხვებზე და ავაზებზე ნადირობას მათსავე ნადავლთან, როგორც ნადირობის ყველაზე საუკეთესო საშუალებას, მაგრამ ამასთან საჭიროა ძალზე ზუსტად სროლა, რადგან ნადირი თუ ვერ მოჰკალი, მისი დევნა ბევრ წვალებას მოითხოვს.

ერთი კვირის შემდეგ ვეფხვი წინანდებურად მარტო ცხოვრებას განაგრძობდა. მაგრამ მის ხასიათში ცვლილებები მოხდა. აქამდე იგი არ ეწინააღმდეგებოდა თავის ნადავლის ნახვას ჩემს მიერ, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი მიატოვა ძუ ვეფხვმა, პირველი ცდისთანავე — თვალყური მედევნებინა მისთვის,—აშკარად მაგრძნობინა, რომ მომავალში ის ჩემს ვერავითარ მოურიდებელ ქცევას ვერ აიტანდა. გულმოსული ვეფხვის ღრიალი ახლო მანძილიდან ყველაზე საშინელი ხმაა ჯუნგლებში. ეს რომ შეიგრძნო, უნდა მოისმინო.

მარტის პირველ რიცხვებში ვეფხვმა მოჰკლა მოზრდილი კამეჩი. მე მთისწინეთში ვიყავი კამეჩის სასიკვდილო ბღავილი და ვეფხვის გაავებული ღმუილი რომ გაისმა ტყეში. გავარკვიე, რომ ხმები მოდიოდა ხრამიდან, დაახლოებით ექვსასი იარდის მანძილიდან. ციცაბო კლდეებსა და ეკლიან ბუჩქნარში სიარული ძნელი იყო. როცა ციცაბო კლდეზე ავედი, საიდანაც ხედი იშლებოდა ხრამისკენ, კამეჩის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დამთავრებული იყო, მაგრამ ვეფხვი არ ჩანდა. მეორე დილას გარიჟრაჟზე ისევ ვეწვიე ხრამს და კამეჩი ისევ იმავე ადგილას ეგდო. ვეფხვის თათებითა და კამეჩის ჩლიქებით მოტკეპნილი რბილი მიწა მოწმობდა, რომ ბრძოლა თავგანწირული იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კამეჩს გადაუკვნიტა აქილევსის მყესი, ვეფხვმა შეძლო მისი წაქცევა; ბრძოლა ათთხუთმეტ წუთს გრძელდებოდა, ვეფხვის ნაკვალევს ხრამისკენ მივყავდი. მივყევი მას და კლდეზე ვნახე გრძელი, სისხლიანი გზა და წაქცეულ ხიდან ასი იარდის მოშორებით მეორეზე ასეთივე გზა. კამეჩმა რქებით დასჭრა ვეფხვი თავში და ეს ჭრილობა საკმარისი იყო, რომ ვეფხვს სავსებით დაკარგოდა ინტერესი ნადავლისადმი და ის მას აღარც დაბრუნებია.

სამი წლის შემდეგ ვეფხვმა უგულვებელყო ის გაკვეთილი, რომელიც მე მივეცი (თავის გასამართლებლად მას შეეძლო ეთქვა, რომ ეს მოხდა მაშინ, როცა ვეფხვებზე ნადირობა არ არის ნებადართული); იგი წინდაუხედავად მივიდა ნადავლთან, რომელთანაც ღამით საფარი მოეწყო ერთ ზამინდარს * თავისი არენდატორებით და იგემა ტყვია, რომელმაც ბეჭის ძვალი დაუმსხვრია. ნადირს კვალდაკვალ არ გავყოლივარ. ოცდათექვსმეტი საათის შემდეგ ვეფხვმა, რომელსაც ბეჭზე ბუზების გუნდი ეხვია, მიაღწია ინსპექტორ კორდონის ეზომდე და გადავიდა ხიდზე, რომლის იქით განლაგებული იყო სახლების ორი წყება. მცხოვრებლები იდგნენ სახლის კარებთან და თვალს ადევნებდნენ ვეფხვს. იგი შევიდა შემოღობილი ეზოს ჭიშკარში და დაიკავა ცარიელი ფარდული. ოცდაოთხი საათის

* ზამინდარი — მემამულე.

შემდეგ მის სანახავად გარშემო სოფლებიდან მოსული ხალხისგან შეწუხებული ვეფხვი წავიდა იმავე გზით, რომლითაც მოვიდა, გვერდი აუარა ჭიშკარს და ჩვენი სოფლის ბოლოსკენ გაემართა. ერთ ჩვენ არენდატორს მოზვერი მოუკვდა, იგი გადაათრიეს სოფლის ნაპირას, ბუჩქებში. ვეფხვმა იპოვა იგი და იქ რამდენიმე დღე დაჰყო. წყურვილს სარწყავ არხში იკლავდა. როცა ჩვენ ორი თვის შემდეგ მთებიდან დავბრუნდით, ვეფხვი იკვებებოდა წვრილმანი ნანადირევით: ხბოებით, ცხვრებით, თხებით და ა. შ., რომლებსაც იპერდა სოფლის მიდამოებში. მარტში ჭრილობა მოუშუშდა, მაგრამ მარჯვენა ფეხი შიგნით შებრუნებული დაურჩა, ვეფხვი დაუბრუნდა იმ ტყეს, სადაც დაიჭრა. მისი დაბრუნება ძვირად დაუჯდა სოფლის პირუტყვს. სიფრთხილის გამო იგი მხოლოდ ერთხელ ძღებოდა და ამიტომ ხუთჯერ მეტის მოკვლა უხდებოდა, ვიდრე ამას ჩვეულებრივად ჩადის ვეფხვი. ყველაზე მეტად გაწამებული იყო მისგან ვეფხვის დამჭრელი ზამინდარი, რომელსაც ოთხასი სული ძრობა და კამეჩი ჰყავდა.

შემდეგ წლებში ვეფხვი ძალიან გაიზარდა და ფართოდ ცნობილი გახდა; მონადირეებმაც და სხვებმაც არაერთხელ სცადეს მისი ხელში ჩაგდება. ნოემბრის ერთ საღამოს, ცალლულა ზუმბიანი თოფით შეიარაღებული გლეხი მოუხერხებელ ადგილზე ამომშრალი მდინარის ნაპირას, ბუჩქში ჩაუსაფრდა გარეულ ღორს.

ამ სწორკუთხოვანი ნაკვეთის გრძელი მხარეები მდელოებს წარმოადგენდა, მოკლე კი—გზასა და ათფუტიანი სიგრძის არხს, რომელიც ყოფდა მდელოსა და ტყეს. პირდაპირ მონადირის წინ იყო ოთხფუტიანი სიღრმის ფლატე, რომლის ზედა კიდეზე გადიოდა მწყემსების ბილიკი; შემდეგ მიჰყვებოდა ხშირი ბუჩქნარი. საღამოს რვა საათზე ბილიკზე გამოჩნდა ნადირი. გულმოდგინედ დამიზნების შემდეგ მონადირემ ესროლა, ნადირი გადმოვარდა კლდიდან. ჩაუქროლა კაცს და ღრუტუნით მიიმალა ბუჩქებში. მონადირემ სწრაფად მიირბინა სახლში, შეკრიბა მეზობლები; იმათ მოუსმინეს მას და გადაწყვიტეს, რომ გარეული ღორი დაჭრილია, ხალხი ამბობდა, — ცოდოა

ღორის მიტოვება ტურებისა და აფთრების შესაჭმელადო. აანთეს ფარანი და ექვსი გაბედული მამაკაცი გზას გაუდგა დაჭრილი ნადირის საძებნელად. ჩემმა ერთ-ერთმა არენდატორმა (მან უარი განაცხადა ექსპედიციაში მონაწილეობაზე და მოგვიანებით გამომიტყდა, რომ ღამის სიბნელეში გამბედაობა არ ჰყოფნიდა შეეხედა დაჭრილი ღორისათვის) მირჩია თან წამეღო გატენილი თოფი.

რჩევა მივიღეთ. თოფი გატენეს საკმაო რაოდენობის თოფის წამლით, მაგრამ ამ დროს ლულაში გატყდა ხის ზუმბა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მან ექვსი კაცის სიცოცხლე გადაარჩინა. გატეხილი ზუმბა ბოლოს და ბოლოს დიდი გაჭირვებით ამოიღეს, მონადირეები გატენილი თოფებით გაუდგნენ გზას.

იმ ადგილზე რომ მივიდნენ, სადაც ნადირი ბუჩქნარში დაიმალა, დაიწყეს გულმოდგინე ძებნა. მთელი არემარე მოჩხრიკეს და ღამით ძებნა შეჩერებულ იქნა. ის განაახლეს მეორე დილას და მასში მონაწილეობა მიიღო „სუსტნერვებიანმა" არენდატორმაც, რომელიც ჯუნგლებში უკეთ ერკვეოდა მდგომარეობაში, ვიდრე მისი ამხანაგები. ბუჩქის ძირას, სადაც სისხლი იდგა, მას შეეგროვებია და მოუტანა რამდენიმე სისხლიანი ბალანი, რომელიც ვეფხვისად მივიჩნიე. მე მახლდა ერთი ჩემი მეგობარი მონადირე, და მასთან ერთად წამოვედი იმ ადგილის დასათვალიერებლად.

ყოველთვის მაინტერესებდა ჯუნგლებში მომხდარი ამბების ნაკვალევით გამოცნობა. მართალია, ასეთი დასკვნები ზოგჯერ მცდარი აღმოჩნდება ხოლმე, მაგრამ ხანდახან ისინი სწორი არიან. ამ შემთხვევაში ჩემი ვარაუდი მართალი გამოდგა, ნადირი მარჯვენა წინა თათის ბეჭში იყო დაჭრილი, მაგრამ შევცდი, როცა ვიფიქრე, რომ თათი გადამტვრეული აქვს. და ამ ადგილებში შემთხვევით მოსული ვეფხვი ახალგაზრდა ნადირია-მეთქი.

სისხლი, გარდა იმ ადგილისა, სადაც ბალანი ვნახეთ, სხვაგან არ აღმოჩნდა. მაგრამ ნიადაგზე ნაკვალევის მოძებნა შეუძლებელი შეიქნა, და ამიტომ გადავედი არხზე იქ, სადაც ქვიშ-

ნარიან გრუნტზე მწყემსთა ბილიკი თავდებოდა. აქ თათების ანაბეჭდის მიხედვით მივხვდი, რომ დაჭრილი ნადირი ახალგაზრდა ვეფხვი კი არ არის, ჩემი ძველი მეგობარი პიპალ-პანის ვეფხვია, რომელიც სოფელში გავლის დროს შეცდომით გარეულ ღორად იქნა მიჩნეული.

წინა შემთხვევის დროს მძიმედ დაჭრილმა ვეფხვმა გაიარა დასახლებული ადგილი ისე, რომ ზიანი არ მიუყენებია არც ადამიანებისათვის და არც პირუტყვისათვის, მაგრამ ახლა ის უკვე მოზრდილი იყო და ჭრილობისა და შიმშილისაგან გამწარებულს შეეძლო მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი ზარალი მიეყენებია. რადგან ეს მხარე მჭიდროდ იყო დასახლებული, პერსპექტივა არახელსაყრელი იყო. თანაც ერთი კვირის შემდეგ მეც უნდა წავსულიყავი.

სამი დღე ვათვალიერებდი მიწის თითოეულ მტკაველს ჯუნგლებში არხსა და მთისწინეთს შორის დაახლოებით ოთხი კვადრატული მილის ფართობზე, მაგრამ ვეფხვის ნაკვალევი ვერ ვნახე. მეოთხე დღეს, ნაშუადღევს, ძებნის დროს შემხვდა მოხუცი დედაკაცი შვილით, რომელიც ჯუნგლებიდან სასწრაფოდ წამოსულიყო. მისგან შევიტყე, რომ ვეფხვი მთისწინეთში ღრიალებდა თურმე და მთელი დამფრთხალი პირუტყვი ჯუნგლებიდან გაქცეულიყო. თოფით ყოველთვის მარტო დავდივარ: ეს უხიფათოა ნადირთან შეხვედრის დროს და სიჩუმესაც უკეთ ვიცავ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი წესი არ დავიცავი და ნება დავრთე ბიჭს ჩემთან ერთად წამოსულიყო, რადგან ძალიან უნდოდა ეჩვენებინა ჩემთვის ის ადგილი, საიდანაც ვეფხვის ღრიალი გაიგონა.

მთისწინეთში რომ მივედით, ბიჭმა მიმითითა ხშირ შამბნარზე, რომლის იქით მხარეს ნატისუსალი იყო, აქეთ კი — მდინარე პიპალ-პანი. მდინარის პარალელურად, მისგან დაახლოებით ას იარდზე იყო პატარა ხევი; ჩემი მხრიდან საკმარდ ღია, მდინარის მხრიდან კი ბუჩქებით შემოფარგლული. გათელილი ბილიკი სწორი კუთხით სერავდა ხევს, ოც იარდზე ამ ბილიკიდან ხევის ღია მხარეს, პატარა ხე ხარობდა. თუ ვეფხვი ბილიკით წამოვიდოდა, ბუჩქებიდან გამოსვლისას უსათუოდ

მომცემდა სროლის საშუალებას. ამიტომ ადავწყვიტე დავმდგარიყავი აქ, და შევსვი ბიჭუნა ხეზე (მის ფეხებს თავით ვეხებოდი) და ვუბრძანე, თუ ვეფხვს დაინახავდა, ფეხის თითით ენიშნებინა. მე კი ზურგით ხეს მივეყრდნე და ვეფხვს მოვუხმე.

ვისაც ჯუნგლებში იმდენი წელი გაუტარებია, რამდენიც მე, არ დასჭირდება ხვადის მაძებარი ძუ ვეფხვის ხმის აღწერა. უფრო ნაკლებ ბედნიერებს კი შემიძლია ვუთხრა, რომ ეს მოხმობა, რომლის მიბაძვისათვის საჭიროა დიდი გამოცდილება და ხმის საშუალებათა ფართო გამოყენება, ძნელი ასაწერია სიტყვებით.

ჩემდა დიდად სასიამოვნოდ (მე უკვე სამი დღე დავდიოდი ჯუნგლებში ისე, რომ თითი არ მომიშორებია თოფის სასხლეტისათვის), ვეფხვმა იმწამსვე მიპასუხა ხუთასი იარდიდან, და ნახევარი საათის განმავლობაში — შესაძლოა უფრო ნაკლებისაც, მე კი, რასაკვირველია, მეჩვენებოდა, რომ მეტისაც, — ჩვენ ერთმანეთს ვუხმობდით: ეს იყო ერთი მხრივ, მბრძანებლობითი მოთხოვნა მეუფისა, მეორე მხრივ კი ნაზი, მოკრძალებული პასუხი მხევლისა, ორჯერ მომცა ბიჭუნამ ნიშანი, მაგრამ ვეფხვი არ დამინახავს. იგი მოულოდნელად გამოჩნდა, როცა ჩამავალმა მზემ ოქროსფრად გაანათა ტყე. ვეფხვი სწრაფად გამოვარდა ბუჩქებიდან და ბილიკს გამოჰყვა. ხევი გაიარა სწორედ იმ მომენტში, როცა მე თოფს მაღლა ვწევდი და შემობრუნდა მარჯვნივ — პირდაპირ ჩემსკენ.

როცა საფარს ვირჩევდი, არ ვითვალისწინებდი ასეთი მანევრის შესაძლებლობას: ვეფხვი ძალიან ახლოს მოვიდა და თანაც მოკლე მანძილიდან თავში უნდა მესროლა, რისთვისაც მომზადებული არ ვიყავი. ვიცავდი მრავალი წლის მანძილზე ჩემს მიერ ათვისებულ ძველ წესს, რომელსაც წარმატებით ვიყენებდი, და არ ვაწუხებდი ვეფხვს მანამ, სანამ არ გაჩერდა. თათზე რომ დაეყრდნო, თავი ასწია ოდნავ და გამოაჩინა ყელი და გულმკერდი. მძიმე ტყვიის მორტყმის შემდეგ ვეფხვი შეხტა და მოკურცხლა ტყისკენ, შემდეგ ხმაურით დაეცა იმ

ადგილის მახლობლად. სადაც ნოემბრის ერთ დილას პირველად ვნახე მისი ნაკვალევი. და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ვეფხვი შეცდომით იყო მოკლული: ჭრილობა, რომელიც ეგონათ, რომ მას საშიშს გახდიდა, დათვალიერების დროს თითქმის მოშუშებული აღმოჩნდა — ტყვიას მხოლოდ პატარა ვენა დაეზიანებია მარჯვენა წინამხარში.

ასეთი მშვენიერი ნადავლით მიღებულ სიამოვნებას (ვეფხვი იყო „მრუდზე" ათი ფუტი და სამი დუიმი, — ბეწვი კი შესანიშნავ საზამთრო მდგომარეობაში ჰქონდა) უერთდებოდა სინანული იმის გამო, რომ ვერც მე და ვეღარც ჯუნგლების სხვა ბინადარი ვერასდროს ვერ გავიგონებდით მის მძლავრ, მკექარე ხმას და იმ ბილიკებზე, რომელზეც მე და იგი თხუთმეტი წელი დავდიოდით, აღარ გამოჩნდება მისი კარგად ცნობილი ნაკვალევი.

კაციჭამია ტაკადან

ლადხიას ხეობაში რამდენიმე თვის განმავლობაში სრული სიმშვიდე მეფობდა, მაგრამ 1938 წლის სექტემბერში ნაინიტალში მოვიდა ცნობა, რომ სოფელ კოტ-კინდრის ახლოს ვეფხვს თორმეტი წლის გოგონა მოეკლა. სატყეო უწყებიდან დონალდ სტიუარტის მიერ გადმოცემულ პატაკში ამბავი არ იყო დაწვრილებით აღწერილი, მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ, კოტ-კინდრში რომ ჩავედი, დეტალურად გავიგე ამ ტრაგედიის ამბავი. გამოირკვა, რომ დაახლოებით შუადღისას გოგონა სოფლის ახლოს მანგრის ხის ძირნაყარს აგროვებდა. ამ დროს მოულოდნელად გამოჩნდა ვეფხვი. სანამ მოშორებით მომუშავე მამაკაცები მას რაიმე დახმარებას აღმოუჩენდნენ, ვეფხვმა უკვე გაიტაცა თავისი მსხვერპლი. ვეფხვის დადევნების ცდები უშედეგო აღმოჩნდა. როგორც განათრევის, ისე მსხვერპლის სისხლის ყოველგვარი კვალი გამქრალიყო; ჩემს მისვლამდე ადრე ნაკვალევი წყალს ჩაერეცხა და ამიტომ ვერ გამერკვია საით წაიღო ვეფხვმა გოგონას გვამი.

კოტ-კინდრი დაახლოებით ოთხი მილის მანძილზეა სამხრეთ-დასავლეთით ჩუკადან და სამ მილზე დასავლეთით ტაკადან. სწორედ კოტ-კინდრსა და ტაკას შუა მდებარე ხეობაში გასული წლის აპრილში იქნა მოკლული ავაზა „ჩუკადან“.

1938 წლის ზაფხულში სატყეო უწყებამ განიზრახა ამ ადგილებში ტყის გაჩეხა. შეიქმნა საშიშროება, რომ თუ ნოემბრამდე, როცა ტყეში სამუშაოები უნდა დაწყებულიყო, კაციჭამიას ბოლო არ მოეღება, მოიჯარადრეები მუშებს ვერ იშოვნიდნენ და ხელშეკრულებები გაუქმდებოდა. ამის შესახებ მწერდა დონალდ სტიუარტი მას შემდეგ, რაც გოგონა მოჰკლა ვეფხვმა. პასუხად დავპირდი კოტ-კინდრში გამგზავრებას, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამას ვაკეთებდი უფრო ადგილობრივი გლეხების ინტერესებისათვის, ვიდრე მოიჯარადრეთათვის.

კოტ-კინდრში ახლო გზაა მატარებლით ტანაკპურამდე, იქიდან კი ფეხით სასიარულოა კალდხუნგასა და ჩუკაზე გავლით. ეს მარშრუტი ამოკლებს ფეხით სასიარულო გზას ასეული მილით, სამაგიეროდ, გადის ჩრდილოეთ ინდოეთის ისეთ ადგილებში, სადაც საშინელი მალარია მძვინვარებს. ამ ადგილებისათვის რომ გვერდი ამევლო, გადავწყვიტე მორნაულამდე მთებით მევლო, იქიდან კი ძველი მიტოვებული გზით წავსულიყავი კოტ-კინდრის ზევით მდებარე მთის ბოლომდე.

სანამ ამ შორი გზისათვის ვემზადებოდი, ნაინი-ტალში მოვიდა ცნობა მდინარე ლადხიას მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით ჩუკადან ნახევარ მილზე მდებარე სოფელ სემასთან ადამიანის დაღუპვის შესახებ.

ამ შემთხვევაში მსხვერპლი იყო ხანშიშესული ქალი, სემას მამასახლისის დედა. უბედური მოკლულ იქნა ტერასისებურად განლაგებულ ორ მინდორს შორის სამანზე ბუჩქების კაფვის დროს.

მუშაობა დაეწყო ორმოცდაათ იარდზე გადაჭიმული სამანის ბოლოში და სახლამდე უკვე რაღაც ერთი იარდიღა დარჩენოდა, რომ ზედა მინდვრიდან ვეფხვი დაახტა. თავდასხმა ისე მოულოდნელი და სწრაფი იყო, რომ ქალმა მხოლოდ ერთხელ მოასწრო სიკვდილის წინ დაყვირება. ვეფხვმა წაიღო იგი სა-

მანზე გავლით, გადაკვეთა ზედა მინდორი და თაკის მსხვერპლიანად გაჰქრა ხშირ ჯუნგლებში. ამ ქალის შვილი, ოცი წლის ახალგაზრდა კაცი ამ დროს ბრინჯის ყანაში მუშაობდა მისგან რამდენიმე იარდის მოშორებით და მომხდარი ამბის თვითმხილველი გახდა. იგი ისე თავზარდაცემული იყო, რომ ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია. ახალგაზრდა კაცის მოთხოვნით, ორ დღეში სემში მოვიდა პატვარი * მის მიერ შეგროვებული ოთხმოცი კაცის თანხლებით. ხალხი წასულიყო იმ მიმართულებით, საითკენაც ვეფხვი წავიდა, და ნახეს ქალის ტანსაცმელი და ძვლების რამდენიმე ნამტვრევი.

მკვლელობა მოხდა დღის ორ საათზე ნათელ, მზიან დღეს. ვეფხვმა შეჭამა თავის მსხვერპლი სამოცი იარდის მოშორებით იმ სახლიდან, რომლის ახლო მოჰკლა იგი.

მიიღო თუ არა ამის შესახებ პატაკი, ალმორას, ნაინი-ტალისა და გარვალის მაზრების კომისრის მოადგილემ იბოტსონმა ჩემთან „სამხედრო თათბირი“ ჩაატარა. ამის შედეგად იბოტსონმა, რომელიც ემზადებოდა ტიბეტის საზღვარზე ასკოტში მიწების თაობაზე წამოჭრილი უთანხმოების მოსაგვარებლად, შეცვალა თავისი გეგმები: იმის ნაცვლად, რომ ბაგასვარისკენ დაძრულიყო, გადაწყვიტა მე გამყოლოდა სემში და იქიდან ჩასულიყო ასკოტში. ჩემს მიერ არჩეული მარშრუტი მოითხოვდა მთებში მრავალი აღმართის გადალახვას. ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ ავყოლოდით მდინარე ნანდხაურის ხეობას, გადაგველახა ნანდხაურსა და ლადხიას შორის წყალგასაყარი და ამ უკანასკნელით ჩავსულიყავით სემში. ამ გეგმის თანახმად, იბოტსონი თავის მეუღლითურთ გამოვიდა ნაინი-ტალიდან 12 ოქტომბერს, და მეორე დღეს მეც შევუერთდი მათ ჩორგალიაში.

მდინარე ნანდხაურას რომ მივყვებოდით, ხელსაყრელ მომენტში ვთევზაობდი (მსუბუქი ანკესით თევზაობის საუკეთე-

---

* პატვარი — თანამდებობის პირია, სათავეში უდგას პატის, ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც რამდენიმე მეზობელ სოფელს აერთიანებს. პატვარის მოვალეობაში შედის კაციჰამია ვეფხვებისაგან ყველა დაღუპულ ადამიანთა რეგისტრაცია და ასეთ შემთხვევაში წინასწარი გამოძიების წარმოება.

სო შედეგი იყო დღეში ას ოცი კალმახი) და მეხუთე დღეს მი-ვედით დურგა-პეპალში. აქ ჩვენ დავშორდით მდინარეს და ციცაბო აღმართზე ასვლის შემდეგ, ღამის გასათევად გავჩერ-დით წყალგასაყართან. მეორე დღეს დილაადრიან გავშალეთ ღამის გასათევი კარვები მდინარე ლადხიას მარცხენა ნაპირ-ზე ჩალტიდან თორმეტი მილის მოშორებით.

ამ წელს მუსონი ადრე შეწყდა და ეს ჩვენ სრულიად გვა-წყობდა, რადგან აუცილებელი იყო თითქმის ყოველ მეოთ-ხედ მილზე გადავსულიყავით მდინარის მეორე მხარეზე, რომ ციცაბო კლდის ნაპირისათვის შემოგვევლო. ერთ-ერთი ასეთი გადასვლის დროს ჩემი მზარეული, რომლის სიმაღლე წაღებია-ნად უდრიდა ხუთ ფუტს, გაიტაცა დინებამ და დახრჩობას გა-დაარჩინა კაცმა, რომელსაც კალათით ჩვენი საუზმე მოჰ-ქონდა.

ჩორგალიადან გამოსვლის მეათე დღეს გავშალეთ ბანაკი სოფელ მემასთან ყამირ მიწაზე, ორასი იარდის მოშორებით იმ სახლიდან, რომლის ახლოს მოკლულ იქნა ქალი, მდინარეე-ბის ლადხიასა და სარდას შესართავის ახლო. გზაზე ლადხიისა-კენ რომ მივდიოდით, შეგვხვდა პოლიციის ოფიცერი ჯიმ უოდელი. იგი რამდენიმე დღე გაჩერებულიყო სემში და ვეფხ-ვის მისატყუარად მიება კამეჩი, რომელიც თავაზიანად გად-მოგვცა ჩვენ. თუმცა ვეფხვი რამდენჯერმე მისულიყო სემში უოდელის იქ ყოფნის დროს, მაგრამ კამეჩისთვის პირი არ დაეკარებია.

სემში რომ ჩავედით, მეორე დღეს, სანამ იბოტსონი პატ-ვარებს, მეტყველებსა და მეზობელი სოფლების მამასახლისებს ესაუბრებოდა, მე წავედი ვეფხვის ნაკვალევის საძებნელად. ჩვენ ბანაკსა და მდინარეების შესართავს შორის, აგრეთვე მდინარე ლადხიას ორივე ნაპირზე გადაჭიმული იყო ქვიშნარი-ანი მიწის უზარმაზარი მასივები. აქ ვნახე ძუ ვეფხვისა და ახალგაზრდა ხვადი ვეფხვის ნაკვალევი, შესაძლოა ეს უკანასკ-ნელი ჩემს მიერ აპრილში ნახული ვეფხვის ერთ-ერთი ბოკვე-რიც კი იყო. უკანასკნელ დღეებში ძუ ვეფხვი რამდენჯერმე გადასულიყო მდინარეზე, ხოლო წინა ღამეს ქვიშნარიან ნაკ-ვეთზე გაევლო იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ჩვენი კარავი

ოდგა. გლეხებს ეშვი ჰქონდათ, რომ სწორედ ეს ძუ ვეფხვი იყო კაციჭამია, რადგან იგი მოდიოდა სემში მამასახლისის დედის სიკვდილის შემდეგაც. ეს ვარაუდი, ალბათ, სწორი იყო. ნაკვალევის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ის იყო საშუალო ზომის ახალგაზრდა ვეფხვი. თუ როგორ გახდა ის კაციჭამია, ამის გამოკვლევა შეიძლებოდა ბოლოს; გამორიცხული არ იყო იმის ვარაუდიც, რომ ის ჩუკადან მოსულ ვეფხვთან ერთად მონაწილეობდა კაციჭამიობაში მძუნაობის გასულ სეზონში, გაუცნო გემო ადამიანის ხორცს, და როცა ხვადმა შეუწყვიტა მას ამ საკვებით მომარაგება, თვითონ გახდა კაციჭამია. ეს მხოლოდ ვარაუდი იყო და იგი არასწორი აღმოჩნდა.

ნაინი-ტალიდან წასვლის წინ მივწერე ტანაკპურის ტახსილდარს შეეძინა ოთხი კამეჩი და გაეგზავნა ისინი სემში. ერთ-ერთი კამეჩი გზაში მოკვდა, დანარჩენი სამი კი ჩავიდა დანიშნულ ადგილზე 24 რიცხვში. იმ საღამოსვე მიაბეს ისინი მისატყუებლად. დილას კამეჩების სანახავად რომ მივდიოდი, შემხვდნენ ძალზე აღელვებული გლეხები ჩუკადან. ჩუკას ყანები ახალი დახნული იყო; ძუ ვეფხვს წინა ღამეს ყანაში დაძინებული სამი ოჯახისა და მათი პირუტყვის ახლო გაევლო. საბედნიეროდ, პირუტყვს შეემჩნია ვეფხვი და თავისი ქცევით გაეფრთხილებია ხალხი კაციჭამიას მოახლოების შესახებ. ყანებზე გავლით ვეფხვი წავიდა ბილიკით კოტ-კინდრის მიმართულებით, შორიახლო გაუარა ჩემს კამეჩებს და არც ერთს არ მიკარებია.

პატვარები, მეტყეველები და გლეხები გვეუბნებოდნენ სემში გამგზავრებისას, რომ მისატყუებლად კამეჩების მიბმა ფუჭი შრომაა, რადგან დარწმუნებული ვართ, კაციჭამია კამეჩებს არ ერჩისო. სხვა მონადირეების ასეთი ცდები წარუმატებელი რჩებოდა, და ყოველ შემთხვევაში, თუ ძუ ვეფხვი მოისურვებდა მათზე თავდასხმას, მაშინ მის წინაშე დიდი არჩევანი იყო ჯუნგლებში მობალახე მრავალ კამეჩს შორის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც განვაგრძობდით მისატყუებლად ღამით კამეჩების მიბმას. შემდეგ ორ ღამესაც ძუ ვეფხვს კვლავ ახლო გაევლო. მაგრამ კამეჩებისათვის პირი არ დაუკარებია.

ოცდაოთხში დილას ჩვენთან მოვიდა რამდენიმე კაცი ჩვენი

მამასახლისის ძმის მეთაურობით და გვაცნობა, რომ სოფელში კაცი დაიკარგა. ის წინადღით დაახლოებით შუადღეზე წასულიყო და ცოლისთვის ეთქვა, პირუტყვის დასათვალიერებლად მივდივარო. კაცი არ დაბრუნებულა, ეჭვი აიღეს, რომ ის მოჰკლა კაციჭამიამ. სწრაფად მოვემზადეთ და დილის ათ საათზე მე და იბოტსონი გავემგზავრეთ მოსული გლეხების თანხლებით ტაკაში. მანძილი დაახლოებით ორი მილი იქნებოდა, მაგრამ საკმაო აღმართი იყო ასასვლელი, ვჩქარობდით, გვეშინოდა არ დაგვეკარგა ძვირფასი დრო და სოფელში აქოშინებული და გაოფლიანებული მივედით.

ჩვენ მივდიოდით ბუჩქებით დაფარულ სწორ ადგილზე, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. სოფელს რომ მივუახლოვდით, ქალის კივილი გავიგონეთ. ინდოელი ქალის მიცვალებულზე მოთქმის არევა სხვა რამეში შეუძლებელია. ჯუნგლებიდან გამოვედით და მივედით ჭირისუფალთან, დაკარგულის ქვრივთან. მასთან იყო ათი-თხუთმეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ჩვენ გვიცდიდა ყანის განაპირას. ამ ხალხმა გვითხრა, რომ მათ დაენახათ ფერდობზე მდგარ თავიანთ სახლებიდან რაღაც თეთრი საგანი, ნამდვილად დაკარგული კაცის ტანსაცმელი; საგანი ბუჩქნარით დაფარულ ვაკეზე იყო, ოცდაათი იარდის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. იბოტსონი, პატვარი და მე წავედით ამ საგნის დასათვალიერებლად, იბოტსონის ცოლი კი ჭირისუფალ ქალთან და სხვა ხალხთან ერთად სოფელში წავიდა.

ამდენი წლის განმავლობაში დაუმუშავებელი მინდორი დაფარული იყო ხშირი მცენარეულობით, რომლის ბუჩქები ოდნავ წააგავდა ქრიზანთემებს. პატვარი ძალიან ახლოს მივიდა თეთრ საგანთან და იცნო დაკარგული კაცის ბარძაყებზე შემოსახვევი, იქვე ეგდო ქუდი. აქ მომხდარიყო ბრძოლა, მაგრამ არც ვეფხვის თავდასხმის ადგილზე და არც გზის დიდ მონაკვეთზე, რომელზეც მხეცს მიჰქონდა ნადავლი, სისხლის კვალი არ ჩანდა. ეს იმას მოწმობდა, რომ ვეფხვს არ მოენაცვლებია პირი იმ ადგილიდან, სადაც პირველად ჩაასო კბილები: სისხლი დის მხოლოდ მაშინ, როცა ვეფხვი პირს უნაცვლებს.

ზევით, მთაზე, ოცდაათი იარდის მოშორებით იყო ბუჩქნარის ნაკვეთი, რომელზეც ლიანების ხლართი მთლიან სახურავს

ქმნიდა. საჭირო იყო ამ ადგილის დათვალიერება. სანამ თრევის ბაკვალევზე წავიდოდით: რა სასურველი იყო ზურგსუკან ძუ ვეფხვი გვყოლოდა. ბუჩქების ქვეშ რბილ ნიადაგზე ვნახეთ ძუ ვეფხვის თათების ანაბეჭდი და ის ადგილი, სადაც ის იწვა ადამიანზე თავდასხმამდე.

დავბრუნდით ისევ იმ ადგილზე, საიდანაც გამოვედით და მოქმედების ასეთი გეგმა ავირჩიეთ. ძირითადი ამოცანა იყო ვეფხვთან მიახლოება და შეუჩერებლად თოფის სროლა. ამისათვის ნაკვალევს უნდა გავყოლოდი და თვალი მედევნებია ყველაფრისათვის, რაც ჩვენ წინ ხდებოდა; პატვარის იარაღი არ ჰქონდა, მას ჩემს გვერდით უნდა ევლო ერთი იარდის მანძილზე და თვალყური ედევნებია, თუ რა ხდება მარჯვნივ ან მარცხნივ. იბოტსონი უკან უნდა მოგვყოლოდა და დავეცავით ზურგში თავდასხმისაგან. მე ან იბოტსონს ძუ ვეფხვის ერთი ბეწვიც რომ შეგვემჩნია, გადაწყვეტილი გვქონდა რისკზე წავსულიყავით და გვესროლა. მიწა მოტკეპნილი იყო, რადგან წინა დღეს ამ ადგილას პირუტყვი ყოფილიყო საბალახოდ.

სისხლი არ ჩანდა და ვეფხვის ამ ადგილზე გავლის შესახებ შეიძლებოდა მსჯელობა გათელილი ფოთლებისა და ბალახის მიხედვით. ბუნებრივია, წინ ნელა მივიწევდით. ვეფხვს თავისი მსხვერპლი ორას იარდზე გაეთრია, მოეკლა და შემდეგ დაეტოვებია. რამდენიმე საათის შემდეგ ვეფხვი დაბრუნდა და წაიღო გვამი. ვეფხვს მოკვლისთანავე არ წაუღია კაცი, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ის დააფრთხო პირუტყვმა, რომლის თვალწინ მოხდა ეს თავდასხმა.

იმ ადგილას, სადაც მკვდარი ეგდო, სისხლის დიდი გუბე იდგა, როცა ვეფხვმა ხელმეორედ სტაცა პირი მოკლულს, ჭრილობიდან სისხლის დენა უკვე შეწყდა, და რადგან მას ამ დროს მსხვერპლისთვის ზურგში ჩაევლო პირი და არა ყელში, ამიტომ კვალის ნახვა ძნელი იყო. ვეფხვი ადიოდა მთაში; რადგან აქ მცენარეულობა ხშირი იყო და რამდენიმე იარდის შემდეგ ვერაფერს დავინახავდით, ამიტომ ჩვენი წინსვლა კიდევ უფრო შენელდა. ორ საათში მხოლოდ ნახევარი მილი გავიარეთ და გამოვედით თხემზე, რომლის იქით მდებარეობდა ხევი, სადაც ექვსი თვის წინათ მივაკვლიეთ და მოვკალით კაციჭამია

ჩუკადან. თხემზე აღმართული იყო კლდე და მარჯვენა მხრიდან მასთან მივყავდით ვეფხვის ნაკვალევს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვეფხვი ჩაწოლილი იყო გადმოშვერილი კლდის ქვეშ ან სადმე ახლო.

მე და იბოტსონს რეზინისძირიანი მსუბუქი ფეხსაცმელები გვეცვა, პატვარი კი ფეხშიშველი მოდიოდა: მივადექით კლდეს უხმოდ. თანამგზავრებს ნიშანი მივეცი ადგილიდან არ დაძრულიყვნენ და ყურადღებით ედევნებიათ თვალი ყველაფრისათვის, რაც ხდებოდა. მე ავცოცდი კლდეზე და ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გავემართე წინ. კლდის უკან პატარა დავაკება იყო. მას რომ მივჩერებოდი, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი ჩემს თავდაპირველ ვარაუდში: ვეფხვი კლდის შვერილის უკან უნდა წოლილიყო. კიდევ მრჩებოდა გასავლელი ერთიორი ფუტი, რომ გადამეხედა კლდის იქეთა მხარეს. მყისვე შევამჩნიე რაღაც მოძრაობა მარცხნივ: გასწორდა მოთელილი ყვითელი ყვავილი, ერთი წამის შემდეგ დავინახე, რომ ყვავილის უკან ბუჩქი მსუბუქად შეირხა, ბუჩქის მეორე მხარეს კი ხეზე მაიმუნმა დაიყვირა.

ვეფხვს ეს ადგილი ჭამის შემდეგ დასასვენებლად ძალზე წინდახედულად აერჩია; თანაც, ჩვენდა საუბედუროდ, მას არ ეძინა. შეამჩნია თუ არა დაღმართზე ჩემი თავის ზედა ნაწილი, წამოხტა, გვერდზე გადახტა და მაყვლის ბუჩქებში მიიმალა. სხვა ადგილას, როგორ სწრაფადაც არ უნდა ემოძრავა ვეფხვს, ტყვიას ვერსად წაუვიდოდა. ჩვენმა ჭულდასმით მოფიქრებულმა გეგმამ სულ უკანასკნელ მომენტში მარცხი განიცადა. მხოლოდ ისღა დაგვრჩენოდა, რომ ადამიანის გვამი გვეპოვნა. მაყვლიანში ვეფხვის დადევნება უშედეგო იყო, თანაც ეს მომავალში ვეფხვისათვის თოფის სროლის შანსებსაც შეამცირებდა.

ვეფხვი თავის ნადავლს შეექცეოდა იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც შემდეგ ჩაწვა, და რადგან ადგილმდებარეობა გაშლილი იყო და სვავების მახვილი თვალისთვისაც მისაწვდომი. ვეფხვმა ჭამის შემდეგ გვამი გადაათრია ყველასათვის მიუდგომელ ადგილას. ახლა კვალზე მიყოლა ადვილი იყო: შეიძლებოდა სისხლიან ბილიკზე გაყოლა, კვალი გადა-

დიოდა მაღალ თხემზე. მის უკან ორმოცდაათი იარდის მოშორებით ვნახეთ გვამი.

არ მინდა თქვენი გრძნობები გავაღიზიანო მწუხარების მომგვრელი ამ დამახინჯებული ნეშტის აღწერით, ნეშტისა, რომელიც რამდენიმე საათის წინ იყო ადამიანი, მამა ორი შვილისა და ქმარი მგლოვიარე ქალისა. ოცდათორმეტი წლის მანძილზე კაციჭამიებზე ნადირობისას ბევრჯერ მინახავს ასეთი სურათები, ყოველი მომდევნო, წინაზე უსაშინელესი იყო და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ უკეთესი იქნებოდა გვამი მკვლელისათვის დაგვეტოვებია და არ გვეძებნა ხორცის ნაფლეთები, რომლის დანახვა ადამიანს მთელ თავის სიცოცხლეში კოშმარულ მოგონებებს აღუძრავს. მაგრამ სისხლისთვის სამაგიეროს სისხლითვე მიზღვა და მოსახლეობის მუქარისაგან განთავისუფლების გულწრფელი სურვილი დაუძლეველია. თანაც ყოველთვის არის რაღაც იმედი, როგორი უაზროც არ უნდა გეჩვენოთ ის, რომ მსხვერპლი რაღაც სასწაულის ძალით შეიძლება ცოცხალი გადარჩა და დახმარებას საჭიროებს.

კაციჭამია მხეცის ნადავლთან მოკვლის შანსი, ალბათ, ასეთ სიტუაციაში მიღებული ჭრილობის შემდეგ ძალიან მცირეა. ამასთან ერთად, მონადირეების ყოველი ასეთი წარუმატებლობის გამო, მიუხედავად ყველა მიზეზისა, ნადირი უფრო ფრთხილი ხდება. ბოლოს ის იწყებს ნადავლის მიტოვებას პირის პირველ მიკარებისთანავე, ანდა ეჩვევა მასთან ლანდივით ჩუმად და უხმოდ მიახლოებას. ფრთხილობს ფოთლის ან რტოს ოდნავ შერხევაზეც კი, და შეუცდომლად გრძნობს მონადირის სიახლოვეს, როგორც არ უნდა დაიმალოს იგი. ასეთ შემთხვევაში მოხდენილი გასროლა მხოლოდ ერთი შანსია მილიონიდან, მაგრამ ვინ არ ისურვებს ამის სინჯვას?

შამბნარის მოედანი, რომელშიც ვეფხვი დაიმალა, დაახლოებით ორმოცი იარდი იქნებოდა. ამ შამბნარიდან ვეფხვი ვერ გამოვიდოდა ისე, რომ მაიმუნებს არ შეემჩნიათ, ისინი კი მიიპყრობდნენ ჩვენს ყურადღებას, თუ ვეფხვს დაინახავდნენ. ამიტომ ჩვენ დავსხედით ერთმანეთის მიმართ ზურგშექცევით, რომ თამბაქო მოგვეწია და დაგვეცადა, ხომ არ გვანიშნებდნენ ჯუნგლების ბინადარნი, სანამ შევუდგებოდით შემდგომი მოქმედების გეგმაზე მსჯელობას.

სახუნდარის მოსაწყობად საჭირო იყო სოფელში დაბრუნება. ჩვენი არყოფნის დროს ვეფხვი ნამდვილად გაიტაცებდა თავის ნადავლს და რადგან ის შევაწუხეთ, რამდენიმე მილით წავიდოდა ახლა აქედან. ამიტომ საჭირო იყო ერთ-ერთი ჩვენგანი დარჩენილიყო ადგილზე, ორი დანარჩენი წასულიყო სოფელში თოკების მოსატანად.

იბოტსონმა, რომელიც არაფრად აგდებდა საშიშროებას, გადაწყვიტა სოფელში წასვლა, და სანამ ის და პატვარი მთის ფერდობზე ჩადიოდნენ, რომ გვერდი აეცლოთ იმ ძნელი გზისათვის, რომლითაც აქ ამოვედით, მე გვამის ახლოს ავედი პატარა ხეზე. მიწიდან ოთხი ფუტის სიმაღლეზე ხე ორად იყოფოდა, ზურგით მივეყრდნე ერთ ტოტს, მეორეს კი ფეხი მივაბჯინე და ამგვარად დავიკავე საკმაოდ მოუხერხებელი პოზიცია; ხე არ იყო მაღალი და ვეფხვს რომც შევემჩნიე, მე ვერ შევამჩნევდი მანამ, სანამ ის ჩემამდე საშიშ მანძილზე არ მოვიდოდა.

იბოტსონის წასვლიდან თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ, გავიგონე ხმა. როგორც ჩანს, ქვა ცუდად იდო და ვეფხვი რომ შედგა ზედ, ის შეირხა, და როდესაც მან თათი აიღო, ქვამ ისევ პირვანდელი მდგომარეობა მიიღო. ხმა მოისმოდა ოცი იარდის მანძილზე ჩემგან მარცხნივ და ერთადერთი მიმართულებით, საითაც შემეძლო თოფი მესროლა ისე, რომ ხიდან არ ჩამოვვარდნილიყავი.

გადიოდა წუთები და ჩემი იმედებიც ფრთებს იკვეცავდა; ნერვიული დაძაბულობა და მძიმე თოფის წონა აუტანელი გახდა. უცბად ტოტის ტკაცანი გავიგონე.

ქვის მოძრაობის ხმაზე სწრაფად დავადგინე ვეფხვის ადგილსამყოფელი; მე სულ იმ ადგილს მივჩერებოდი და ვეფხვმა ვაინც დამინახა. ის იდგა რამდენიმე ხანს, თვალს მადევნებდა და დაუსჯელი წავიდა. ამასთან არ დამინახავს არც ერთი შერხეული ფოთოლი, თუ ბალახის ღერო.

როცა ნერვიული დაძაბულობა უეცრად ნელდება, დაბუჟებული თუ გახურებული კუნთები დასვენებას მოითხოვს და, მართალია, ამ მდგომარეობაში მე შემეძლო თოფის მხოლოდ მუხლებზე დადება, რომ შემემსუბუქებია მხრებისა და ხელების დაძაბულობა. მაგრამ ამითაც საკმაო შვება ვიგრძენი.

ვეფხვს ხმა აღარ გამოუცია და ერთი თუ ორი საათის შემდეგ გავიგონე იბოტსონის მოახლოებული ნაბიჯების ხმა. იბოტსონი ჩემი ნადირობის შეგობრებიდან ყველაზე საუკეთესო იყო არა მარტო ლომგულობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მასთან იყო ყველაზე თავდადებული იმ ადამიანთაგან, რომლებსაც ოდესმე თოფი უტარებიათ.

იგი წავიდა თოკებისათვის და დაბრუნდა საბნებით, ცხელი ჩაით. და მსუყე საუზმით. მე ჩამოვჯექი, რომ დამესვენა და დავნაყრებულიყავი. იბოტსონმა უბრძანა ერთ ჩვენს მხლებელს ჩვენგან ორმოც იარდზე ასულიყო ხეზე, რომ ვეფხვის ყურადღება მიეპყრო, თვითონ ავიდა ხეზე იმ ადგილას, სადაც მოკლული ადამიანი ეგდო, რათა თოკების საშუალებით სახუნდარი მოეწყო.

სახუნდარის მოწყობის შემდეგ იბოტსონმა გადაიტანა გვამი რამდენიმე ფუტზე — ძალიან არასასიამოვნო სამუშაოა — და, რომ ვეფხვს არ შეძლებოდა მისი წაღება, ნეშტი მაგრად მიაბა თოკებით ხეზე. ეს აუცილებელი იყო, რადგან მცხრალი მთვარე იყო და ამ უღრან ტყეში ღამის პირველი ორი საათის განმავლობაში ისეთი სიბნელე იქნებოდა, როგორც ჭაში. პაპიროსი მოვწიე და სახუნდარზე ავედი: როცა იქ მოხერხებულად მოვეწყვე, იბოტსონმა დაუძახა კაცს, რომელიც ვეფხვის ყურადღებას იქცევდა და ტაკაში წავიდა ცოლთან, რომ იქიდან დაბრუნებულიყო სემში ჩვენს ბანაკში.

თანამგზავრები უკვე მიიმალნენ მხედველობიდან, მაგრამ მათი ხმები ჯერ კიდევ აღწევდა ჩემამდე, რომ მომესმა ფოთლოვანში მოახლოებული მძიმე მხეცის ხმაური; იმ წამსვე დაიყვირა მაიმუნმა, რომელიც ხეზე იჯდა ეკალნარის მეორე მხარეს. გაიარა ერთმა დაძაბულმა წუთმა, მას მიჰყვა მეორე, მესამე — ერთბაშად კლდის თხემიდან ისტერიული ყვირილით ძირს დაეშვა კარკერი. მაშასადამე, ვეფხვი არ ფიქრობდა გვამთან დაბრუნებას, იგი წავიდა იბოტსონისკენ.

საშინელმა მოუსვენრობამ შემიპყრო, რადგან ნათელი გახდა, რომ ვეფხვმა მიატოვა ნადავლი და წავიდა ახალი მსხვერპლის საძებნელად. ერთმანეთს რომ დავშორდით, იბოტსონი დაჰ-

პირდა, რომ მიიღებდა სიფრთხილის ყველა ზომას; კარკერის ყვირილი რომ გაიგონა, ბუნებრივია, ის ივარაუდებდა, რომ ვეფხვი სადღაც თავისი მსხვერპლის გვამთან ახლო დახეტიალებს და რომ იბოტსონს ყურადღება შეესუსტებია, ვეფხვს ექნებოდა წარმატების შანსები. გავიდა გულის გამაწვრილებელი ათი წუთი, შემდეგ გავიგონე ტაკას მიმართულებით მეორე კარკერის ხმა. ვეფხვი ჯერ კიდევ იმათ მიჰყვებოდა, მაგრამ იქ ადგილი უფრო გაშლილი იყო და ხალხზე მისი თავდასხმის საშიშროება უფრო ნაკლები გახდა. მაინც იბოტსონისთვის საშიშროება აცილებული არ იყო, რადგან ბანაკიდან მას აშორებდა ორი მილი ხშირი ჯუნგლებისა. თუ ის და მისი თანამგზავრები ჩემი გასროლის მოლოდინში შეჩერდებოდნენ ტაკაში დაბინდებამდე — მე ამის მეშინოდა და ეს ასეც მოხდა, — ისინი უფრო მეტ ხიფათში ჩავარდებოდნენ. იბოტსონი, საბედნიეროდ, მიხვდა საშიშროებას და თავის თანამგზავრებს უბრძანა, ერთმანეთის ახლო ყოფილიყვნენ. ვეფხვი მათ მიჰყვებოდა მთელი გზის მანძილზე, რაზეც მიუთითებდა მისი ნაკვალევი, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

კარკერისა და სამბარის ყვირილმა საშუალება მომცა თვალი მედევნებია ვეფხვის გადანაცვლებისათვის. მზის ჩასვლიდან ერთი საათის შემდეგ, ის ჩავიდა ხევში ჩემგან ორი მილის მოშორებით. ვეფხვის განკარგულებაში იყო მთელი ღამე, და თუმცა გვამთან მისი დაბრუნების იმედი უმნიშვნელო იყო, მე მაინც გადავწყვიტე ღამეცადა. საბანში გავეხვიე (საშინელი ცივი ღამე იყო) და ვცადე მიმეღო მოხერხებული პოზა, რადგან ხანგრძლივი საათები უძრავად უნდა გამეტარებია.

დღის ოთხ საათზე მოვეწყვე სახუნდარზე. საღამოს ათ საათზე გავიგონე მთის ფერდობიდან როგორ მიახლოვდებოდა ორი მხეცი. ხეების ქვეშ ძალიან ბნელოდა და ვერ გავარჩიე ისინი. მაგრამ, როცა მთლად მიუახლოვდნენ გვამს, მივხვდი, რომ მაჩე-ზღარბები იყვნენ, ისინი ნემსების კაკუნითა და დამახასიათებელი ღრენით მიუახლოვდნენ გვამს, რამდენჯერმე გარს შემოუარეს და გზას გაუდგნენ. ერთი საათის შემდეგ, როცა მთვარე ამოვიდა, ქვევით მდებარე ხევიდან გავიგონე რომელიღაც ნადირის ფეხის ხმა. იგი მოდიოდა აღმოსავლეთი-

დან დასავლეთისაკენ, და როცა მთაზე ქვევიდან მობერილმა ნიავმა აგრძნობინა გვამის სუნი, იგი შეჩერდა, შემდეგ დაიწყო ფრთხილად ფერდობზე ასვლა. კარგა მანძილი რომ გაიარა, ნადირმა ღრმად შეიყნოსა ჰაერი. მივხვდი, რომ ეს იყო დათვი. სისხლის სუნი იზიდავდა მას, მაგრამ ამ სუნს ერეოდა მეორე, არასასიამოვნო სუნი ადამიანისა. დათვს არ უნდოდა თავი გაეწირა და გვამს ფრთხილად უახლოვდებოდა. დათვის ცხვირმა, რომელიც ჯუნგლების ბინადართა ასეთი სახის ინსტრუმენტებს შორის ყველაზე საუკეთესოა — ჯერ კიდევ ხევშივე მიუთითა პატრონს, რომ ნადავლი ვეფხვს ეკუთვნოდა. თავისთავად ეს ფაქტი ვერ შეაშინებდა ჰიმალაის დათვს, — მას არაფრის არ ეშინია, და როგორც ვიცი, ზოგჯერ შეუძლია კიდეც ვეფხვს დაატოვებინოს თავისი ნადავლი, მაგრამ ამ შემთხვევაში ნადირი შეწუხებული იყო იმით, რომ სისხლისა და ვეფხვის სუნს ერთვოდა ადამიანის სუნი.

დათვი გავიდა ვაკეზე, ჩაცუცქდა უკანა თათებზე მოკლულის გვამიდან რამდენიმე იარდის მოშორებით, და დარწმუნებული იმაში, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის საძულველ სუნთან არ არის დაკავშირებული საშიშროება, ადგა, მიაბრუნა თავი და ისე გაბმულად დაიღრიალა, რომ მთელი ხეობა შეაზანზარა. მივხვდი, ნადირი თავის წყვილს უსმობდა. შემდეგ დათვი უყოყმანოდ გაეშურა პირდაპირ გვამისკენ და დაუწყო სუნვა. მე დავუმიზნე. ვიცი ერთი შემთხვევა, როცა ჰიმალაის დათვმა ადამიანის ხორცი ჭამა. ქალი ბალახს თიბავდა, გადმოვარდა კლდიდან და დაიმტვრა. დათვმა იპოვა მისი დასახიჩრებული გვამი, წაათრია და შეჭამა. ის დათვი კი, რომელსაც მე ბეჭში ვუმიზნებდი ამ ღამეს, როგორც ჩანდა, გაურბოდა ადამიანის ხორცს: გვამის დათვალიერებისა და დასუნვის შემდეგ, განაგრძო გზა დასავლეთისკენ, როცა მისი ნაბიჯების ხმა მიწყდა, ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც დაარღვია იბოტსონის მოსვლამ მზის ამოსვლის შემდეგ.

იბოტსონთან ერთად მოვიდნენ მიცვალებულის ძმა და სხვა ნათესავები; მათ შესაფერი პატივისცემით შეახვიეს ცხედარი სუფთა თეთრ ტანსაცმელში, დადვეს იბოტსონის მიერ მოტანილი თოკით ორი ხისაგან შეკრულ საკაცეზე; — და ინდოელე-

ბის წმინდა ჰიმნის ხმამაღლა მღერით გაემართნენ მდინარე სარდას ნაპირას, მიცვალებულთა დაწვის ადგილისაკენ.

საშინლად დავიღალე სიცივეში თოთხმეტ საათს უძრავად ჯდომისაგან, მაგრამ იბოტსონის მიერ მოტანილ ცხელი ჩაისა და საუზმის შემდეგ აღარ ვგრძნობდი ხანგრძლივი უძილობის რაიმე შედეგებს.

* * *

ოცდაშვიდში საღამოს, ვეფხვი, რომელმაც ჩუკამდე მისდია იბოტსონს, გადავიდა მდინარე ლადხიაზე და შეიჭრა ჯუნგლებში ჩვენი ბანაკის ზურგში. ამ ჯუნგლებში გადიოდა ბილიკი, რომლითაც რეგულარულად სარგებლობდნენ ლადხიას ხეობის მცხოვრებლები, სანამ კაციჭამიამ მასზე მოძრაობა საშიშროების ქვეშ არ დააყენა. ორ მალემსრბოლს, რომლებსაც ოცდარვაში იბოტსონის ფოსტა მიჰქონდათ ტანაკპურში, ბანაკში შეაგვიანდათ და რომ აენაზღაურებიათ დაკარგული დრო, წავიდნენ, ან უფრო სწორად, ცდილობდნენ პირდაპირ გადაეჭრათ ჯაგნარი. ბედზე, წინ მიმავალი კაცი ფრთხილობდა და შეამჩნია ბუჩქებიდან გამოსული და ბილიკის პირას ჩაწოლილი ვეფხვი.

მე და იბოტსონი ის-ის იყო ტაკადან დავბრუნდით, რომ ამ დროს ბანაკში მოირბინეს მალემსრბოლებმა. თოფებს ხელი ვტაცეთ და გავეშურეთ ადგილზე გამოსარკვევად. ვეფხვის თათების ანაბეჭდი ვნახეთ იმ ადგილას, საცა ის ბილიკიდან ჩამოვიდა და მოსდევდა მცირე მანძილზე ხალხს, მაგრამ იმათ არ დაუნახავთ ის, თუმცა ერთ ადგილას ხშირ ბუჩქნარში შეამჩნიეს რაღაც მოძრაობა და გაიგონეს კიდეც, როგორ გაიშლიგინა რომელიღაც ნადირმა.

ოცდაცხრაში დილას, ტაკადან მოვიდა ხალხი და განაცხადა, წინა ღამეს ერთი ზაქი არ დაბრუნებულა ბაკშიო. ძებნის დროს, იმ ადგილას, სადაც ის უკანასკნელად ნახეს, შეემჩნიათ ცოტა სისხლი დღის ორ საათზე მე და იბოტსონი მივედით იმ ადგილას და მიწაზე თვალის ერთმა გადაკვლებამ დაგვარწმუნა, რომ ზაქი მოკლული და წაღებულია ვეფხვის მიერ. სახელდახელოდ

ვისაუზმეთ და შემდეგ მე და იბოტსონი ორი კაცის თანხლებით, რომლებსაც სახუნდარისათვის თოკები მოჰქონდათ, გავყევით ნათრევის კვალს. ასი იარდის მანძილზე ნაკვალევი ირიბად ჭრიდა მთის ფერდობს და შემდეგ პირდაპირ ეშვებოდა ხრამში. რამდენიმე ასი იარდით დაბლა ხრამში ძალზე მსხვილი ზაქი ორ კლდეს შორის გაჩხერილიყო და ვეფხვს ვერ ამოეთრია ის იქიდან. ხორცის გემო გაესინჯა და ნადავლი იქვე მიეტოვებია.

რადგან მას დიდი სიმძიმე მიჰქონდა, მისი თათების ნაკვალევი გაშლილი იყო და ვერ დავადგინეთ, იყო თუ არა ეს ის კაციჭამია, რომელიც ჩვენ გვაინტერესებდა. მაგრამ რადგან ამ ადგილებში ყოველი ვეფხვი საეჭვოდ ითვლებოდა, ამიტომ გადავწყვიტე ზაქის ახლო მომეწყო საფარი. შესაფერ მანძილზე მხოლოდ ერთი ხე იყო; ხალხი ავიდა მასზე სახუნდარის მოსაწყობად. ამ დროს ქვევით ხევში ვეფხვმა დაიწყო ღრიალი. ისღა მოვასწარით, რომ თოკის რამდენიმე ბოლო სასწრაფოდ შემოვახვიეთ ხის ორ როკზე. მე ავედი სახუნდარზე. სადაც თორმეტ საათს ვიჯექი. გამოირკვა. რომ ის ყველაზე მოუხერხებელი და საშიშია იმათგან, რომლებზეც ოდესმე ვყოფილვარ. ხე შეეულად იყო გადმოწოლილი კლდიდან ქვიანი ხრამის ფსკერისაკენ.

სანამ ხეზე ვეწყობოდი, ვეფხვმა რამდენჯერმე დაიყვირა და ხანგრძლივი შესვენებებით განაგრძობდა ღრიალს გვიან საღამომდე. უკანასკნელი ღრიალი მოისმა თხემიდან ნახევარი მილის მანძილიდან. ნათელი გახდა, რომ ვეფხვი ახლოს იწვა თავის ნადავლთან და ხედავდა, კაცი რომ ადიოდა ხეზე. წინასწარი გამოცდილებიდან იცოდა, თუ რას მოასწავებდა ეს. ვეფხვმა თავისებურად გვამცნო უკმაყოფილება და წავიდა. შედეგი ის იყო, რომ მთელი ღამე დილამდე, სანამ იბოტსონი დაბრუნდებოდა, მახანზე გავატარე და არც არაფერი დამინახავს, არც არაფერი გამიგონია.

სვავებს არ შეეძლოთ ვეფხვის ნადავლის აღმოჩენა. რადგან ხრამი ღრმა და ხშირი ტყით იყო დაფარული. ვეებერთელა ზაქით ვეფხვს შეეძლო რამდენჯერმე ესადილა. გადავწყვიტეთ. იმ ადგილას, სადაც ის ეგდო, საფარი აღარ მოგვეწყო. იმედი

გვქონდა, რომ ვეფხვი გადაიტანდა ნადავლს სხვა ადგილას, სადაც თოფის სროლა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა — ვეფხვი ნადავლს არ დაბრუნებია.

ორი ღამის შემდეგ სემში ჩვენ ბანაკთან მისატყუებლად მიბმული კამეჩიც ვეფხვმა სიცოცხლეს გამოასალმა. ჩემი დაუდევრობის გამო ხელიდან გავუშვით კაციჭამიას განადგურების შესაძლებლობა.

ამბის მომტანმა კაცმა მაცნობა, რომ თოკი, რომლითაც მიბმული იყო კამეჩი, ვეფხვს გაეგლიჯა და ნადავლი ხრამის თავზე აეთრია. კამეჩი მიბმული იყო ამ ხრამის ბოლოში, იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვნადირობდით ძუ ვეფხვზე აპრილში. მაშინ ვეფხვმა თავისი ნადავლი ხრამში დატოვა ცოტა ზევით და მეც გაუთვალისწინებლად დავასკვენი, რომ იგი ახლაც ასევე მოიქცეოდა.

საუზმის შემდეგ მე და იბოსტონი წავედით კამეჩის ლეშის საძებნელად და ამ საღამოს ჩასაფრების მოსაწყობი პერსპექტივების გამოსარკვევად.

ხრამს, სადაც კამეჩი იქნა მოკლული, ჰქონდა ორმოცდაათი იარდი სიგანე და ღრმად იყო შეჭრილი მთისწინეთში. ორასი იარდის მანძილზე იგი სწორად მიდიოდა, შემდეგ უხვევდა მარცხნივ, პირდაპირ მოსახვევში, მის მარცხენა მხარეზე ახალგაზრდა ხეები ხარობდა, რომელთაგან ასი ფუტის მოშორებით ამაღლებული იყო ბალახით დაფარული თხემი. ამ ხეების ახლო იყო მცირე წყალსატევი, თუმცა აპრილში რამდენჯერმე ვიყავი ამ ხრამში, მაგრამ არ მიმიქცევია ყურადღება ამ შიმალისათვის, რომელიც ძალზე ხელსაყრელი ადგილი იყო ვეფხვისათვის. ამიტომ ხრამის მოსახვევში რომ შევედი, არ მივიღე წინასწარი გამაფრთხილებელი ზომები, რის შედეგად ძუ ვეფხვმა წყალსატევიდან წყალს რომ სვამდა, უფრო ადრე დაგვინახა, ვიდრე ჩვენ შევამჩნიეთ ის. მას ჰქონდა ერთადერთი უკან დასახევი გზა, და სწორედ ეს აირჩია: ზევით, პირდაპირ, მთის ციცაბო ალმართი აირბინა და თხემიდან ტყეში გაუჩინარდა.

მთა ძალიან ციცაბო იყო, ამიტომ ჩვენ ზევით ასვლას განვაგრძობდით იმ ადგილამდე, სადაც მას კვეთდა სამბარების მიერ გატკეპნილი ბილიკი. გადავედით ამ ბილიკზე და გავედით

თხემზე. ვეფხვი ახლა მოექცა სამკუთხედში, რომელსაც ერთ მხარეს საზღვრავდა თხემი, მეორეს — მდინარე ლადხია, ხოლო მესამეს—კლდე, რომელზეც ასვლა არ შეეძლო არც ერთ მხეცს. მოედანი დიდი არ იყო, ძოვდა რამდენიმე ირემი, რომელთა დროგამოშვებით ყვირილი გვამცნობდა, თუ სად იმყოფებოდა ვეფხვი. საუბედუროდ, ადგილი დასერილი იყო წვიმის წყლებისაგან ვიწრო და ღრმა ნაღვარევებით, და საბოლოოდ ვეფხვი მხედველობიდან დაგვეკარგა.

დავბრუნდით ხრამში ირმის ბილიკით და ვიპოვეთ ჩაჩქმალული კამეჩი ხეებში. ამ ხეების სისქე ექვსი დუიმიდან ერთ ფუტს აღწევდა და ვერ გაუძლებდა სახუნდარის სიმძიმეს. ამიტომ ჩასაფრების მოწყობა შეუძლებლად მივიჩნიეთ; კლდესთან კი მისი გამართვა საშიში იყო, რადგან ვეფხვი თავს ესხმოდა ხალხს.

არ გვინდოდა თოფის გასროლის შესაძლებლობა ხელიდან გაგვეშვა, და ვმსჯელობდით კამეჩის ახლოს ბალახებში ჩაწოლაზე იმ იმედით, რომ ვეფხვი ჯერ კიდევ დაღამებამდე დაუბრუნდებოდა ლეშს და ჩვენ უფრო ადრე დავინახავდით მას, ვიდრე იგი ჩვენ. ამ გეგმამ ორი წინააღმდეგობა გამოიწვია: პირველი, თუ ჩვენ ვერ შევძლებდით სროლას და ვეფხვი კი დაგვინახავდა თავის ნადავლთან, იგი მას მიატოვებდა, — ასე მოიქცა ამას წინათ ორ შემთხვევაში; მეორე, იმ ადგილიდან, სადაც კამეჩის ლეში ეგდო და ჩვენ ბანაკამდე ხშირი ჯაგნარი იყო და თუ ჩვენ სიბნელეში მოგვიხდებოდა ჯუნგლებზე გავლით დაბრუნება, შესაძლებელი იყო მოვხვედრილიყავით ვეფხვის კლანჭებში. ამიტომ გულისტკივილით გადავწყვიტეთ ამ ღამეს გავცლოდი ვეფხვის ნადავლს, დილისათვის უკეთესი პერსპექტივის იმედით.

მეორე დილას რომ დავბრუნდით, ვნახეთ, ვეფხვს ნადავლი წაეღო. სამასი იარდი გაიარა ხრამის ზემოთ ისე, რომ არ დაუტოვებია ნათრევის კვალი. ჩვენ გავჩერდით, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული, სამასი იარდის მოშორებით იმ ადგილიდან, საიდანაც მან კამეჩის ლეში წაიღო: აქ ნიადაგი რბილი იყო და ბევრი ნაკვალევიც ჩანდა, მაგრამ არც ერთი არ იყო ნადავლით დატვირთული ვეფხვის მიერ დატოვებული. ბო-

ლოს და ბოლოს რამდენიმე შემოვლის შემდეგ ვიპოვეთ ადგილი, სადაც ვეფხვი გამოვიდა ხრამიდან და მარცხნივ ავიდა მთაზე.

ეს მთა, რომელზეც ვეფხვმა გადაიარა ნადავლით, გვიმრითაა დაფარული; ნაკვალევის მოძებნა აქ ადვილი აღმოჩნდა, ოღონდ გავლა იყო მასზე ძნელი, რადგან მთა ძალზე ციცაბოა და ზოგიერთ ადგილებზე გვიხდებოდა შემოვლა, ნაკვალევი კვლავ საძებნელი ხდებოდა. დაახლოებით ათასი ფუტი სიმაღლის ციცაბო აღმართი რომ ავიარეთ, გავედით მარცხენა მხრიდან ერთი მილის სიგანის კლდეებით გარშემორტყმულ მომცრო პლატოზე. პლატოს განაპირას ამ კლდეებთან ადგილი ოღროჩოღრო და ნაპრალებით დაფარული იყო. ამ ნაპრალებში ხშირი, ორიდან ექვს ფუტამდე სიმაღლის ხეები ხარობდა. ვეფხვმა ნადავლი ამ ხშირ შამბნარში შეიტანა და მხოლოდ შიგ შესვლის შემდეგ შეგვეძლო გაგვერკვია, სად იმყოფებოდა ნადირი.

როცა შევჩერდით, რომ დაგვენახა ბოლოს და ბოლოს რა დარჩა კამეჩისაგან, მარჯვნიდან ყრუ ღრენა შემოგვესმა. შემართული თოფებით წუთით შევჩერდით. იმ ადგილის ცოტა უკან, საიდანაც ღრენა გავიგონეთ, ბუჩქებში გაისმა შრიალი. გავიარეთ ათი იარდი ბარდნარში და გავედით მდელოზე, სადაც ვეფხვს რბილ ბალახებში ბუნაგი მოეწყო. ამ მდელოს განაპირა მხარეზე, ოცი ფუტის სიმაღლეზე აწვდილი მთის მეორე პლატოზე ადიოდა ასასვლელი ბილიკი. ამ პლატოს ფერდობიდან ისმოდა ხმა. რამდენადაც შეიძლებოდა, ძალიან ფრთხილად ავყევით აღმართს და შემდეგ გავედით ვაკეზე. ვეფხვის დევნის ცდა ამაო იყო. კვლავ ვინახულეთ მკვდარი კამეჩი, შევარჩიეთ ორი ხე სახუნდარის მოსაწყობად და წავედით ბანაკში.

ადრიანად ვისაუზმეთ და დავბრუნდით იმ ადგილას, სადაც კამეჩის ლეში დავტოვეთ. თოფებით დატვირთული რის ვაივაგლახით ავედით ხეებზე. ხუთ საათს ვისხედით, არაფერი არ გაგვიგონია და არც არაფერი დაგვინახავს. დაბინდებისას ჩამოვედით ძირს და ხრამამდე რომ მივაღწიეთ ოღრო-ჩოღრო გაუვალი ადგილებით, სიარულით გაწამებულებს სიბნელემ

მოგვისწრო კიდეც. ორივეს არასასიამოვნო შეგრძნება დაგვეუფლა, რომ გვდევნიან, მაგრამ ერთიმეორეს მხარდამხარ ისე ახლო მივდიოდით, რომ ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე საღამოს ათ საათზე დავბრუნდით ბანაკში.

იბოტსონებმა სემში გაატარეს მთელი დღე, და მეორე, დღეს, დილაადრიან გაუდგნენ თორმეტი დღის სავალ გზას ასკოტში. დამშვიდობებისას სიტყვა ჩამომართვა, რომ მე არ დავიწყებდი ვეფხვის დევნას მარტო და სემში ერთ ან ორ დღეზე მეტს არ დავრჩებოდი.

იბოტსონებისა და მისი ორმოცდაათი თანამგზავრის წასვლის შემდეგ, ხშირი ბუჩქნარით გარშემორტყმულ ბანაკში დავრჩით მე და ორი ჩემი თანაშემწე. ჩემი ტვირთმზიდავები მამასახლისის სახლში ცხოვრობდნენ, ამიტომ მთელი დღე გამხმარი ფიჩხის მოგროვებას მოკანდომეთ (ამ არემარეში ფიჩხი ბლომად იყო), რომ მთელი ღამის განმავლობაში ბანაკში ცეცხლი არ ჩამქრალიყო. ცეცხლი არ დააფრთხობდა ვეფხვს, ჩვენ კი საშუალებას მოგვცემდა დაგვენახა ის იმ შემთხვევაში, თუ ღამე ხეტიალს დაიწყებდა ჩვენი კარვების გარშემო. თანაც ღამეების თევა სიცივეში გვიხდებოდა და ეს იყო საკმაო მიზეზი იმისათვის, რომ მთელი ღამე კოცონი არ ჩაგვექრო.

საღამოს, ჩემი ხალხის ბშვიდობით დაბრუნების შემდეგ, ავიღე თოფი და დავუყევი მდინარე ლადხიას, რომ გამეგო გაიარა თუ არა იქ ვეფხვმა. ქვიშაზე ვნახე რამდენიმე ნაკვალევი, მაგრამ ძველი აღმოჩნდა. ბინდდებოდა. დავბრუნდი დარწმუნებული, რომ ვეფხვი ჯერ კიდევ ჩვენს მიდამოებში იმყოფებოდა. ერთი საათით გვიან, როცა სავსებით დაღამდა, ჩვენი კარვის ახლო დაიყვირა კარკერმა და ნახევარი საათის განმავლობაში გაბმულად ყვიროდა. მეორე დღეს ვეფხვის არავითარი ნაკვალევი არ გვინახავს. საუზმის შემდეგ ავიღე ანკესი და წავედი სათევზაოდ. ამ მდინარეში უამრავი თევზი იცოდა და მიუხედავად იმისა, რომ მე რამდენჯერმე გამიწყდა მსუბუქი ხელსაწყო, მაინც იმდენი მახსირი დავიჭირე, რომ მთელი ბანაკი უზრუნველყავი საზრდოთი.

ისე, როგორც წინა საღამოს, გადავედი მდინარე ლადხიაზე

იმ მოსაზრებით, რომ პოზიცია დამეკავებია მდინარის მარჯვენა მხარეს გაშლილ ადგილას ამაღლებულ კლდეზე და თეალი მედევნებია, გადმოლახავდა თუ არა მდინარეს ვეფხვი. უკან გამობრუნებისას გავიგონე ჩემგან მარცხნივ მთაზე სამბარისა და მაიმუნის ხმა, კლდეს მივუახლოვდი თუ არა, ვნახე ვეფხვის ახალი ნაკვალევი. უკან რომ ვბრუნდებოდი, დავინახე, რომ ქვები მდინარეზე გადასასვლელთან ჯერ კიდევ სველი იყო. ის რამდენიმე წუთი, რაც მე ბანაკში დავყავი, რომ ანკესი გამეშრო და ერთი ჭიქა ჩაი დამელია, ზოგიერთებს უღირდა სიცოცხლის ფასად, ათასობით ადამიანს — კვირეების განმავლობაში შიშად და მღელვარებად, მე კი მრავალი დღის ჯაფად და დაძაბულობად.

სემში კიდევ სამი დღე დავრჩი, მაგრამ ვეფხვისთვის თოფის სროლის საშუალება აღარ მომცემია.

როცა ბანაკი ავშალე და მოვემზადე, რომ გზას გავდგომოდი, ოცმილიან გადასავალზე ტანაკპურამდე გარშემო მდებარე სოფლებიდან დიდძალი ხალხი შეგროვდა, მემუდარებოდნენ არ დამეტოვებია ისინი კაციჭამია ვეფხვის ანაბარა. მივეცი მათ ყოველგვარი რჩევა-დარიგება, როგორიც კი შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის და აღვუთქვი, რომ დავბრუნდებოდი, როგორც კი ამის საშუალება მომეცემოდა.

მეორე დილას ჩავჯექი ტანკაპურთან მატარებელში და დავბრუნდი ნაინი-ტალში, საიდანაც თითქმის მთელი თვე წამოსული ვიყავი.

* * *

სემიდან 7 ნოემბერს წამოვედი. 12 ნოემბერს კი ვეფხვმა კაცი მოჰკლა ტაკაში. ამის შესახებ მაცნობა ხალდვანის ოლქის მეტყევემ, როგორც კი დავბრუნდი ზამთრის სამყოფელ ადგილას მთისწინეთში. 24-ში დილით სასწრაფოდ ჩავედი ჩუკაში.

ვფიქრობდი ჩუკაში მესაუზმა, იქიდან ტაკაში ჩავსულიყავი და იქვე დავრჩენილიყავი. მაგრამ ტაკას მამასახლისმა, რომელიც ჩუკაში იმყოფებოდა, მაცნობა, რომ ტაკას მთელ მოსახ-

ლეობას — მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს — ადამიანის დაღუპვის შემდეგ მიეტოვებიათ სოფელი. მანვე დაუმატა, რომ თუ მე ტაკაში მაინც გავჩერდებოდი, შემეძლო მხოლოდ საკუთარი თავი დამეცვა, მაგრამ ჩემი თანამგზავრების სიცოცხლეს ვერ დავიცავდი. ნამდვილად ასე იყო. და იმათ მოლოდინში მამასახლისი დამეხმარა ჩუკას ახლო ბარაკის გასაშლელი ადგილის შერჩევაში, სადაც ჩემ თანამგზავრებს შედარებით საფრთხე არ მოელოდათ და მეც როგორმე იზოლირებული ვიქნებოდი უკვე ტყის გასაჩეხად მიმავალი ათასი ადამიანისაგან.

მივიღე თუ არა მეტყველესაგან ცნობა ადამიანის დაღუპვის შესახებ, დეპეშა გავუგზავნე ტანაკპურის ტახსილდარს გამოეგზავნა ჩემთვის ჩუკაში სამი ზაქი. ეს თხოვნა სწრაფად იქნა შესრულებული და ზაქები ჩუკაში ჩემი მისვლის წინა საღამოს ჩამოიყვანეს.

ერთ-ერთი ზაქი წავიყვანე და გავემგზავრე ტაკაში იმ განზრახვით, რომ იგი იმ ადგილას მიმება, სადაც კაცი იყო მოკლული. მამასახლისმა ძალზე დაწვრილებით ამიწერა იმ დღეს მომხდარი ამბავი, და დასძინა, რომ კინაღამ თვითონ გახდა ვეფხვის მსხვერპლი.

დაახლოებით შუადღისას, თავისი შვილიშვილის, ათი წლის გოგონას თანხლებით ის წასულიყო მინდორში სახლიდან სამოცი იარდის მოშორებით კოჭას ფესვების სათხრელად. მინდორს ნახევარი აკრის სიფართე ექნებოდა, სამივე მხრიდან გარშემორტყმული იყო ჯუნგლებით, მდებარეობდა საკმაოდ ციცაბო ფერდობზე და ჩანდა მამასახლისის სახლიდან. მოხუცმა და შვილიშვილმა კარგა ხანს იმუშავეს, უცბად ცოლმა დაუძახა მამასახლისს—ის ეზოში ბრინჯს ცეხვავდა, და შეშინებული ხმით ჰკითხა, რა მოგდის! ხომ არ დაყრუვდიო! ნუთუ არ გაგიგონია ხოხბებისა და სხვა ფრინველების შეშფოთებული გნიასი ყანის ახლოსო? საბედნიეროდ, მამასახლისი სწრაფად მოქმედებდა. მან მიაგდო ბარი, სტაცა ბავშვს ხელი და გაიქცა სახლში. მამასახლისის ცოლი აღელვებული უამბობდა, რომ ეს-ეს არის დაინახა წითური ნადირი ბუჩქებში ყანის ზემო ნაპირთან. ნახევარი საათის შემდეგ ვეფხვმა მოჰკლა კაცი,

რომელიც სამასი იარდის მოშორებით მამასახლისის სახლიდან ხეზე რტოებს ჭრიდა.

მამასახლისის ნაამბობიდან ადვილად შემეძლო ზუსტად განმესაზღვრა ამ ხის ადგილმდებარეობა. ეს დაბალი და დაღრეცილი ხე ტერასებად დაყოფილ ორი ყანის სამფუტიან მიჯნაზე იდგა. ამ ხის ფოთლებს ყოველ წელს პირუტყვის საკვებად აგროვებდნენ. კაცი ხის შტამბზე იდგა და ცალი მხარით ტოტზე მიყრდნობილი, რტოებს ჭრიდა. ამ დროს ვეფხვი მიეპარა ზურგიდან, ჩამოათრია ხიდან და წაიღო ხშირ შამბნარში, რომელიც გარს ეკრა მინდორს.

ჩანდ-რაჯები მრავალი საუკუნის მანძილზე მართავდნენ კუმაონს გურკების მიერ ამ ქვეყნის ოკუპაციამდე და გადასცეს ტაკას ახლანდელ ბინადართა წინაპრებს ჯილდოდ პუნაგირის ტაძრებში სამსახურისათვის (ჩანდ-რაჯის დაპირებას ტაკას და მისი მეზობელი სოფლების მცხოვრებლების გადასახადისაგან სამუდამოდ გათავისუფლების შესახებ თითქმის ას წელს იცავდა ბრიტანეთის ხელისუფლება). სოფელში ჩალით დახურული რამდენიმე ქოხის ადგილი თანდათან კრამიტით დახურულმა ქვის სახლებმა დაიკავა, ის გადაიქცა აყვავებულ ახალშენად, რადგან მიწაც ნაყოფიერი იყო და ტაძრებიც მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა.

თავისი არსებობის ასეული წლის მანძილზე ტაკამ ბევრჯერ განიცადა ბედის უკულმართობა, მაგრამ მისი ხანგრძლივი არსებობის ისტორიაში იგი მცხოვრებლებს ერთხელაც არ დაუტოვებიათ, და ახლა კი მოხდა ეს. ნაშუადღევს სოფელში რომ ჩამოვედი, ყველგან სიჩუმე სუფევდა. მცხოვრებლები, რომლებიც ასზე მეტი იქნებოდნენ, წასულიყვნენ და თან პირუტყვი წაეყვანათ. ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელიც თვალში მომხვდა, იყო კატა, რომელსაც ძალზე გაუხარდა ჩემი დანახვა. მცხოვრებლები ისე ნაჩქარევად წასულიყვნენ, რომ ბევრ სახლში კარები გამოუხურავი დარჩენოდათ. ყოველ ქუჩაზე, ეზოში, კარების წინ ვნახულობდი ვეფხვის თათების ანაბეჭდს. ასეთ შემთხვევაში დაუკეტავად მიტოვებული კარები საშიშროებას მიქადდა; ყოველ ღია სახლში მოსალოდნელი იყო ნადავლისათვის ჩასაფრებული ვეფხვი.

მთაზე ოცდაათი იარდით სოფლის ზემოთ იყო რამდენიმე ბაკი პირუტყვისათვის. ამ ბაკების ახლო დავინახე აუარებელი ხოხობი, კალიჯი, გარეული ქათმები და თეთრქუდა ბულბულები. ის ნდობა, რომ ფრინველები თავისუფლად გრძნობდნენ თავს და მიახლოების დროს არავის აქცევდნენ ყურადღებას, იმას მოასწავებდა, რომ ტაკას მცხოვრებლებს რელიგიური რწმენის შიშით, მათთვის არასოდეს უხლიათ ხელი.

ბაკების ზემოთ შვერილებად განლაგებული ყანებიდან სოფლის ფართო ხედი იშლებოდა. მამასახლისის ნაამბობის მიხედვით სიძნელეს არ წარმოადგენდა იმ ხის ნახვა, საიდანაც ვეფხვმა გაიტაცა თავისი უკანასკნელი მსხვერპლი. ხის ქვეშ რბილ ნიადაგს ბრძოლის ნაკვალევი და სისხლის მიმხმარი წვეთები აჩნდა. აქედან გაიტაცა ვეფხვმა თავისი მსხვერპლი. ატარა ას იარდზე მოხნულ ყანებში, გადავიდა მაღალ ღობეზე და შეათრია ხშირ შამბნარში.

ხის ქვეშ ამოვთხარე პატარა ორმო, ჩავასვე შიგ მაგრად პალო, მივაბი ზედ კამეჩი და ჩალა დავუყარე.

მთის ჩრდილოეთ ფერდობზე შეფენილი სოფელი ჩრდილმა მოიცვა და უკვე დრო იყო დაღამებამდე დავბრუნებულიყავი ბანაკში. შემოვუარე სოფელს, რათა გვერდი ამეცლო საშიშ ღია კარებისათვის და გზაზე გამოვედი.

სოფლის იქით ბილიკი გადიოდა ვეებერთელა მანგოს ხის ქვეშ, და იქვე მის ძირას საამოდ მოჩუხჩუხებდა ანკარა ცივი წყარო, რომელიც ღარში გადიოდა და ავსებდა ქვის წყალსატევს. აქედან გადმოღვრილი წყალი არბილებდა ნიადაგს. აქ რომ გამოვიარე, დავლიე ამ წყაროს წყალი და რბილ ნიადაგზე ნაკვალევი დავტოვე. უკან დაბრუნებისას, ჩემს ნაკვალევზე დავინახე ვეფხვის თათების ანაბეჭდები. მაშასადამე, დავასკვენი, რომ წყურვილის მოკვლის შემდეგ ვეფხვი ბილიკით კი არ წავიდა, არამედ სტრობილანტებითა და ჭინჭრით დაფარულ ციცაბო კლდეზე გავლით ავიდა სოფელში. ბაკში, ერთ-ერთ სახლთან ჩასაფრებული, როგორც ჩანს, მითვალთვალებდა, კამეჩს რომ ვაბამდი, და მიცდიდა, როდის გამოვივლიდი უკან ამავე გზით. საბედნიეროდ, დროზე შევამჩნიე საშიშროება და უფრო შორი, შემოსავლელი გზა ავირჩიე.

ჩუკადან გზაში ვღებულობდი უსაფრთხოების ყოველგვარ ზომებს მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევისათვის, და ეს არ იყო საფუძველს მოკლებული, ახლა თათების ნაკვალევით დავადგინე, რომ ბანაკიდან მთელი გზა ვეფხვი უკან მომყვებოდა. მეორე დილას ტაკაში რომ მივედი, დავრწმუნდი, ის მომდევდა იმ ადგილიდან, საიდანაც გამოვედი გზაზე სოფლის განაპირას და მომყვა ჩუკასთან განლაგებულ ყანებამდე.

კითხვა განათების იმ საშუალებებით, რაც ხელთ მქონდა, არ შეიძლებოდა. მივუჯექი კოცონს, რომელიც სითბოსა და უშიშროების გრძნობას გიღვიძებს და დავიწყე ფიქრი შექმნილ მდგომარეობაზე, რომ დამესახა გეგმა ვეფხვის მისატყუებლად.

სახლიდან წამოსვლისას ჩემიანებს დავპირდი ათ დღეში დაებრუნდები-თქო, თანაც აღვუთქვი, რომ ეს იქნებოდა ჩემი უკანასკნელი ნადირობა კაციჭამიებზე. საშიში და დაძაბული მუშაობის მღელვარე წლები, ხანგრძლივად ოჯახურ მყუდროებას მოკლება (ზოგჯერ, მაგალითად, ჩოუგარის ძუ ვეფხვისა და რუდრაპრაიაგის ავაზას დევნა მთელი თვეობით გრძელდებოდა) გავლენას ახდენდა ჩემს ჯანმრთელობაზე და ჩემიანების ცხოვრებაც აუტანელი ხდებოდა. ამიტომ თუ 30 ნოემბრამდე ვერ შევძლებდი ვეფხვის მოკვლას, ეს ამოცანა სხვებს უნდა შეესრულებინათ.

დადგა 24 ნოემბრის ღამე, ჩემს განკარგულებაში რჩებოდა კიდევ ექვსი დღე. ვეფხვის მოქმედება ამ საღამოს ცხადყოფდა, რომ იგი ეძებს ადამიანის ახალ მსხვერპლს და ამ ხნის განმავლობაში ადვილად შეეძლებდი მასთან პირისპირ შეხვედრას. ამის მიღწევა შეიძლებოდა სხვადასხვა საშუალებით და ყოველი მათგანი თანმიმდევრულად უნდა მეცადა. მთებში ვეფხვის მოკვლა ყველაზე უფრო ადვილია მის მიერ მოკლულ ნადავლთან საფარის მოწყობით. თუ ვეფხვი ამ ღამეს ვერ მოჰკლავდა ჩემს მიერ ტაკას ახლო მიბმულ კამეჩს, მეორე ღამეს ვაპირებდი დანარჩენი ორი კამეჩის მიბმას იმ ადგილებზე, რომელიც უკვე დავინიშნე. მოსალოდნელი იყო რომ ადამიანის ხელში ჩაგდების უშედეგო ცდის შემდეგ, ვეფხვი იმსხვერპლებდა ერთ-ერთ ჩემს კამეჩს, როგორც ამას ჩადიოდა

წინა შემთხვევაში, როცა მე და იბოტსონები დაბანაკებული ვიყავით სემში. კოცონს შევუკეთე შეშის მსხვილი ღერები, რომ მთელი ღამე არ ჩამქრალიყო, გადავბრუნდი გვერდზე და ის იყო მოვემზადე დასაძინებლად, რომ ჩემი კარვის უკან კარკერმა დაიყვირა ბუჩქებში.

მეორე დილას, სანამ საუზმე მზადდებოდა, ავიღე თოფი და წავედი მდინარე ჩუკასა და სემის მარჯვენა მხარეზე ნაკვალევის საძებნელად. ბილიკი, ყანებზე გავლით, ჯაგნარში გადიოდა. აქ ვნახე მსხვილი, ხვადი ავაზას ნაკვალევი, შესაძლოა სწორედ იმ ნადირისა, რომელმაც გუშინ ღამით შეაშინა კარკერი. მომცრო ხვადი ვეფხვი უკანასკნელი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე გადავიდა მდინარე ლადხიაზე სხვადასხვა მიმართულებით. ამ ხნის განმავლობაში კაციჭამიამ მხოლოდ ერთხელ გადალახა მდინარე სემის მხრიდან. ქვიშაზე დიდ დათვს ევლო ჩემს მოსვლამდე. ბანაკში ტყის სამუშაოების მოიჯარადრეები ჩიოდნენ, დილას, მუშებს შორის განაწესებს რომ ვანაწილებდით, წავაწყდით დათვს, რომელიც ძალზე იმუქრებოდაო. ამის გამო მუშებს უარი ეთქვათ იმ უბანზე მუშაობაზე, სადაც დათვი ენახათ.

მოიჯარადრეებმა ხუთი ათასამდე კაცი შეკრიბეს ჩუკასა და კუმაია-ჩაკში ხე-ტყის მოსაჭრელად. დახერხილ ხეებს აცურებდნენ მთიდან სპეციალურად გაყვანილ საავტომობილო გზაზე. მუშები შეძახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. ნაჯახებისა და ხერხების ხმაური, მთის ფერდობებზე ვეებერთელა ხეების დაცემის ხმა, ათასობით ადამიანთა ყვირილთან ერთად, აუწერელი იყო. ბუნებრივი იყო, რომ ამ განერვიულებულ ადამიანთა შორის ხშირად ატყდებოდა ხოლმე მღელვარება, შემდეგ მთელ დღეებს დავდიოდი და ვკარგავდი ძვირფას დროს, კაციჭამიას მიერ ჩადენილი თავდასხმებისა და მკვლელობის შესახებ მოჭორილი ხმების გამოსარკვევად. შიში ვეფხვის მიმართ გავრცელდა ლადხიის დაბლობს იქით მდინარე სარდაზე კალდხუნგიდან დაწყებული მის შესართავამდე, ესე იგი ორმოცდაათ კვადრატულ მილზე, სადაც ათი ათასობით კაცი მუშაობდა. არ დაიჯერებთ, რომ მხოლოდ ვეფხვს შეუძლია ამდენი მუშის შიშის ქვეშ დაყენება, თუ არ ჩავთვლი კიდევ

გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობას და ასობით იმ ადამიანებს, რომლებსაც სურსათი მოჰქონდათ ან ადგილობრივი ხილით, ფორთოხლით, კაკლითა და გამაგრილებელი სასმელებით დატვირთულნი ხევით ტანკაპურის ბაზრისაკენ მიდიოდნენ.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ შეიძლება მოვიგონოთ მსგავსი ისტორიული შემთხვევა, როცა ტსავოში მხოლოდ ღამღამობით მოქმედმა წყვილმა კაციჭამია ლომმა დიდხანს შეაჩერა სამუშაოები უგანდის რკინიგზაზე.

ვუბრუნდები ჩემს მოთხრობას. ოცდახუთში, საუზმის შემდეგ, წავიყვანე მეორე კამეჩი და წავედი ტაკაში. ჩუკას ყანების გადაღმა მთისწინეთის ახლო გზა ნახევარი მილის მანძილზე მიხვეულ-მოხვეულია და შემდეგ იყოფა ორად: ერთი პირდაპირ ადის თხემზე ტაკამდე, მეორე კი მიჰყვება მთისწინეთს ნახევარ მილზე და ხვეულებით კუმაია-ჩაკზე გაელით გრძელდება კოტ-კინდრამდე.

გზის განშტოებასთან ვნახე ვეფხვის თათების ანაბეჭდები და ტაკაში რომ ვბრუნდებოდი, მთელი გზა ვაკვირდებოდი მას. ვეფხვი რომ მთიდან დაეშვა წინა საღამოს ჩემს კვალდაკვალ, მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მას არ მოუკლავს კამეჩი, ეს იყო არასასიამოვნო, მაგრამ არა გასაკვირი. ზოგჯერ ვეფხვი სანამ მოკლავს, რამდენიმე ღამე ზედიზედ მოინახულებს ხოლმე ცხოველს (მისატყუარს), რადგან ისინი თავს ესხმიან მსხვერპლს მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილს გრძნობენ.

მეორე კამეჩი დავტოვე მანგოს ხესთან, სადაც უამრავი ბალახი მწვანედ ხასხასებდა, მე კი წავედი სახლების მოშორებით და ვნახე, რომ პირველ კამეჩს მშვიდად ეძინა ნოყიერი საკვებისა და მშვიდად გატარებული ღამის შემდეგ. ვეფხვი პირდაპირ მოვიდა აქ სოფლის მხრიდან, მივიდა კამეჩთან და იმავე გზით გაბრუნდა უკან. კამეჩი თან წავიყვანე წყაროსთან და ერთ-ორ საათს თავისუფლად მივუშვი საბალახოდ; შემდეგ ისევ იმ ადგილას დავაბი, სადაც წინა ღამით დავტოვე.

მეორე კამეჩი მანგოს ხიდან ორმოცდაათი იარდის მოშორებით იყო დაბმული. აქ ბილიკს კვეთდა რამდენიმე ფუტის სიღრმის ხრამი, რომლის ერთ მხარეზე იყო ხმელი ძირკვი,

შეორე მხარეზე კი იდგა ნუშის ხე, რომელზეც შეიძლებოდა სახუნდარის მოწყობა. კამეჩი მივაბი ძირკვზე და დავუყარე რამდენიმე დღის საყოფი თივა. ტაკაში საქმე აღარ მქონდა, და ბანაკში დაბრუნებისას წავიყვანე მესამე კამეჩიც, გავედი მდინარე ლადხიაზე და დავაბი ის ხრამში.

ჩემი თხოვნით, ტანაკპურის ტახსილდარს შეერჩია ყველაზე მსუქანი ახალგაზრდა ზაქები. ახლა სამივე კამეჩი დაბმული იყო იმ ადგილებში, სადაც გამუდმებით დადიოდა ვეფხვი. როცა ოცდაექვსში დილას წავედი კამეჩების სანახავად, დიდი იმედი მქონდა, რომ ერთ-ერთი მათგანი მაინც მოკლული დამხვდებოდა ვეფხვის მიერ და რომ მას ნადავლზევე დავაკლავდი. დავათვალიერე ისინი რიგრიგობით, და დავრწმუნდი, რომ ვეფხვს არც ერთი მათგანისათვის პირი არ დაეკარებია, ოღონდ. ისევე როგორც წინა დღეს ტაკასაკენ მიმავალ ბილიკზე, ახლაც ვნახე მისი ნაკვალევი, თანაც ორმაგი ნაკვალევი: ერთი !იდიოდა ქვევით ბილიკზე, მეორე კი მოპირდაპირე მიმართულებით. ორივე შემთხვევაში ვეფხვმა ბილიკს რამდენიმე ფუტის სიახლოვეზე ჩაუარა, ჩემს მიერ მანგოს ხიდან ორმოცდაათი იარდის მოშორებით ძირკვზე მიბმულ კამეჩს.

ჩუკაში დაბრუნების შემდეგ ჩემს კარავთან მოვიდა ტაკას მცხოვრებთა დელეგაცია მამასახლისის მეთაურობით და მთხოვა გამეცილებია ისინი სოფელში, მათ უნდოდათ იქიდან სურსათის ახალი მარაგის წამოღება. შუადღისას მამასახლისის, გლეხებისა და ჩემი ოთხი კაცის თანხლებით, რომლებსაც სურსათი და სახუნდარის მოსაწყობი თოკები მოჰქონდათ, დაბრუნდი ტაკაში, მე დავდექი სადარაჯოზე, სანამ გლეხები სასწრაფოდ აგროვებდნენ მათთვის საჭირო სურსათს.

ორივე კამეჩს წყალი დავალევინე და საკვები მივეცი. შემდეგ მეორე კამეჩი მივაბი კუნძზე, პირველი კი ნახევარ მილზე წავიყვანე მთის ქვემოთ და გზის პირას ხეზე მივაბი. შემდეგ გავაცილე გლეხები უკან ჩუკაში, მე კი რამდენიმე ასეული იარდით ავედი ზევით მთაზე და სანამ ჩემი ხალხი სახუნდარს აწყობდა, მსუბუქად წავისაუზმე.

ახლა კი ნათელი გახდა, რომ ჩემი კამეჩები არ იზიდავდნენ ვეფხვს. რადგან მისმა ნაკვალევმა დამარწმუნა, რომ მან სამი

დღის განმავლობაში ხუთჯერ გაიარა ტაკაში მიმავალ ბილიკზე. გადავწყვიტე სწორედ აქ ჩავსაფრებოდი, რომ დროულად გამეგო ვეფხვის მოახლოების შესახებ, გზის პირას დავაბით თხა ყელზე შებმული ზარით. ნაშუადღევის ოთხ საათზე ავედი ხეზე და დავიწყე ორიგეობა, დანარჩენებს ვუბრძანე მოსულიყვნენ დილით რვა საათზე.

მზის ჩასვლისას ცივმა ქარმა დაუბერა, და მხრებზე ქურთუკის მოსხმა რომ მოვინდომე, თოკი სახუნდარის ერთ მხარეზე მოეშვა და ჩამოსაჯდომი ძალზე მოუხერხებელი გახდა. ერთი საათის მერე ამოვარდა ქარიშხალი, და თუმცა კოკისპირული წვიმა დიდხანს არ გაგრძელებულა, მე მთლად თავით ფეხამდე დავსველდი. ჩემი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. თექვსმეტ საათს ვიჯექი ხეზე, არც არაფერი დამინახავს და არც არაფერი გამიგონია. ბანაკში რომ დავბრუნდი, მივიღე ცხელი აბაზანა და კარგად ვისაუზმე, შემდეგ წავიყვანე ექვსი კაცი და გავემგზავრე ტაკაში.

წვიმას ჩაერეცხა ბილიკზე ძველი ნაკვალევები, მხოლოდ ორას იარდზე, იმ ხის ზემოთ, რომელზეც ვიჯექი, იყო ტაკასკენ მიმავალი ვეფხვის ახალი ნაკვალევი. მეტად ფრთხილად მივუახლოვდი პირველ კამეჩს და ვნახე ის მძინარე, ბილიკის პირას. ვეფხვს გვერდი აევლო მისთვის და აღმართს აჰყოლოდა. მივუყევი ვეფხვის ნაკვალევს და მივედი მეორე კამეჩთან, როცა მივუახლოვდი ადგილს, სადაც ის იყო დაბმული, დავინახე, როგორ აფრინდა ჰიმალაის ორი მოლურჯო კაჭკაჭი და დაეშვა ქვევით დაღმართზე.

ამ ფრინველების აქ ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ კამეჩი მკვდარია, და ნაწილობრივ შეჭმული, მაგრამ წაღებული არ არის, ვეფხვი კი მახლობლად არ იმყოფება.

ძირკვთან რომ მივედი, რომელზეც კამეჩი იყო მიბმული, ვნახე — ცხოველი გადათრეულია ბილიკიდან და ნაწილობრივ შეჭმული, მაგრამ დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ იგი ვეფხვს არ მოუკლავს; როგორც ჩანს, კამეჩი დაიღუპა გველის ნაკბენისაგან (ჯუნგლების მიდამოებში ბევრი კობრაა). ვეფხვმა ბილიკზე მკვდარი კამეჩი ნახა, შეუდგა მის ჭამას, სცადა მისი წაღებაც, მაგრამ ვერ შეძლო თოკის გაწყ-

ვეტა და ლეში მიჩქმალა ხმელი ფოთლებით, რტოებით და განაგრძო გზა ტაკასაკენ.

როგორც წესი, ვეფხვები არ ჭამენ ლეშს, მაგრამ ზოგჯერ ხდება გამონაკლისი. ერთხელ ავაზას ლეში მთაში დავტოვე და მეორე დღეს დილას რომ დავბრუნდი დავიწყებული დანისათვის, ვნახე, ვეფხვს გაეთრია ლეში ას იარდზე და მისი ორი მესამედი შეეჭამა.

ჩუკადან მიმავალ გზაზე მოწყობილი სახუნდარი, რომელზეც წინა ღამე გავათიე, დავშალე. ჩემი ორი თანამგზავრი ნუშის ხეზე ავიდა, რომ ჩამოსაჯდომი მოეწყოთ (ხე არ იყო ისე დიდი, რომ მასზე შესაძლებელი ყოფილიყო ნამდვილი სახუნდარის მოწყობა). სხვები კი წავიდნენ წყაროზე ჩაისთვის წყლის მოსატანად. ოთხ საათზე ცოტა დავნაყრდი ჩაითა და ორცხობილათი, რომ ხვალამდე ღონე მომეკრიბა. ჩემს თანამგზავრებთან ერთად რომელიმე სახლში ტაკაში ღამის გათევაზე უარი განვაცხადე და ისინი უკანვე გავგზავნე ბანაკში. ეს იყო გარკვეული რისკი, მაგრამ იგი არაფერს არ წარმოადგენდა იმასთან შედარებით, რომელიც შესაძლებელია მოყოლოდა იმას, რომ ისინი ტაკაში დარჩენილიყვნენ ღამის გასათევად.

ხეზე ჩემი ჩამოსაჯდომი შედგებოდა ზევით აღმართულ ორ როკზე დამაგრებული თოკის რამდენიმე წრისა და ქვემოთ ფეხების დასაყრდნობი თოკის ორი წრისაგან. ხეზე რომ ჩამოვჯექი, ჩემს გარშემო შემოვირკალე ხის ორი რტო, რომელთა ბოლოები დავამაგრე თოკით და დავტოვე მხოლოდ სათვალთვალო და თოფის სასროლი პატარა ჭუჭრუტანა. ჩემი ხალხის წასელისთანავე მოფრინდა ორივე კაჭკაჭი, მათ მოყვნენ სხვებიც. ეს ფრინველები დაღამებამდე იკვებებოდნენ ლეშით. მათმა გამოჩენამ საშუალება მომცა წამეძინებია, რადგან კაჭკაჭები გამაფრთხილებდნენ ვეფხვის მოსვლის შესახებ. ფრინველების გაფრენის შემდეგ შევუდექი ღამისთევას.

მთვარის ამოსვლამდე დღის სინათლე საკმარისი იყო თოფის სასროლად. ახალი მთვარე ამოვიდა ჩემს ზურგს უკან, ნეპალის მთებიდან და კაშკაშა სხივები მოჰფინა მთის ფერდობებს. წინადღით გადაღებულმა წვიმამ გასწმინდა ჰაერი მტვრისა და კვამლისაგან და მთვარის ამოსვლის შემდეგ განა-

თება იმდენად კარგი იყო, რომ შემეძლო დამენახა ჩემგან ას ორმოცდაათი იარდის მოშორებით პურის ყანაში მოიალაღე სამბარი თავისი ნუკრით.

მკვდარი კამეჩი ეგდო პირდაპირ ჩემს წინ, დაახლოებით ოც იარდზე; ბილიკი კი, საიდანაც მოველოდი ვეფხვის გამოჩენას, ჩემგან ორი სამი იარდით ახლოს იყო. ამიტომ შემეძლო მესროლა თოფი დისტანციიდან, ტყვიის აცდენა გამოთიშული იყო, — ოღონდ კი ვეფხვი გამოჩენილიყო, იმედის გაცრუების არავითარი საფუძველი არ არსებობდა.

მთვარე ანათებდა ორი საათის განმავლობაში და სამბარი ორმოცდაათ იარდზე მოვიდა ჩემ ხესთან. სოფლის ზემოთ მთაზე კარკერმა დაიყვირა. ირემი ყვიროდა რამდენიმე წუთს, შემდეგ უცბად სოფელში გაისმა ხმა, რომელიც დაახლოებით ასე შემიძლია გადმოგცეთ „ა-ა-ა", დამთავრდა ის გაჭიანურებული ხმით. ყვირილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჩემდაუნებურად წამოვვარდი საჯდომიდან, ჩამოვხტი ძირს და სოფელში უნდა გავქცეულიყავი, რადგან გამიელვა აზრმა, რომ კაციჭამია ვეფხვი ჰკლავს რომელიმე ჩემს მსახურს. მაგრამ შემდეგ მომაგონდა, რომ ისინი ჩემი ხის ქვეშ მიდიოდნენ და სანამ ბანაკისკენ მიმავალ გზაზე არ მიიმალნენ, თვალს ვადევნებდი, რომ დავრწმუნებულიყავი რამდენად ასრულებდნენ ჩემს ბრძანებას — ევლოთ ჯგუფად და მჭიდროდ.

ხმა მაინც სულთმობრძავი ადამიანისა იყო. მაგრამ წამოიჭრა კითხვა, როგორ შეიძლება ისმოდეს ასეთი ხმა მცხოვრებთა მიერ მიტოვებული სოფლიდან? ეს არ იყო ჩემი წარმოსახვის ნაყოფი: ის გაიგონა კარკერმა, რომელმაც მოულოდნელად შეწყვიტა ყვირილი, გაიგონა სამბარმა ნუკრით, რომელმაც მინდვრიდან მოკურცხლა. როცა ორი დღის შემდეგ ტაკას მცხოვრებლებს ვაცილებდი სოფელში, ვიკითხე, დარწმუნებული იყვნენ თუ არა, რომ კარებგამოუკეტავ სახლებში მაი, ქონებას ხელს არავინ ახლებდა. მამასახლისმა მიპასუხა, სოფელი ცარიელიც რომ დარჩეს თუნდაც რამდენიმე წელი, გლეხების ქონებას არავითარი საშიშროება არ მოელის, რადგან ისინი ნუნაგირის ქურუმები არიან და არავის აზრადაც არ მოუვა მათი გაქურდვაო. თანაც დაუმატა, თუ მაინც და მაინც დარაჯი

დასჭირდათ, სანამ ვეფხვი ცოცხალია, იგი უფრო კარგად დაიცავს მცხოვრებთა ქონებას, ვიდრე ასობით ადამიანი, იმიტომ რომ როგორი საქმეც არ უნდა ჰქონდეს, ვერავინ გაბედავს ისეთი დაცვის გარეშე, როგორც მე წარვუდგინე ტაკას მცხოვრებლებს, მიუახლოვდეს ხშირი ტყეებით გარშემორტყმულ სოფელს.

ყვირილი აღარ განმეორებულა და რადგან საქმე აღარაფერი მქონდა, ისევ ჩამოვჯექი ჩემი თოკის საჯდომზე. საღამოს ათ საათზე პურის საშემოდგომო ნათესზე მოიალაღე კარკერი ყვირილით მოწყდა ადგილიდან, და ერთი წუთის შემდეგ ვეფხვმაც ორჯერ დაიღრიალა: ახლა ის გამოვიდა სოფლიდან და გზაში იყო. კიდეც რომ არ ეგემა მეორედ კამეჩის ხორცი, მაინც მოსალოდნელი იყო, რომ იგი გზით წამოვიდოდა: წინათ იგი ორჯერ სარგებლობდა ამ გზით დღეში. ჩახმახზე შეყენებული თოფით, დაძაბული გავცქეროდი ბილიკს და ასე ვიჯექი რამდენიმე საათს, ვიდრე არ ჩაქრა მთვარის ნათელი და მანვე არ გვაუწყა გარიჟრაჟის ელვარება. მზის ამოსვლის შემდეგ არ გასულა ერთი საათი, რომ ჩემი ხალხიც მოვიდა. იმათ ძალზე წინდახედულად წამოეღოთ ერთი იღლია ხმელი შეშა და საოცრად მოკლე ხანში მე უკვე ცხელ ჩაის შევექცეოდი. შესაძლებელია, ვეფხვი გვითვალთვალებდა კიდეც მახლობელი ბუჩქებიდან, მაგრამ ისიც სავარაუდო იყო, რომ ის რამდენიმე მილით იყო მოშორებული. წუხელ ათ საათზე ვეფხვის ღრიალის შემდეგ ჯუნგლები მდუმარებამ მოიცვა.

ბანაკში რომ დავბრუნდი, ვნახე ჩემს კარავთან ხალხი ისხდა. ერთნი მოვიდნენ ჩემი წარმატებების შესატყობად გასულ ღამეს, სხვები იმიტომ, რომ ეცნობებიათ, ვეფხვი ნაშუაღამევიდან თითქმის დილამდე ღრიალებდა მთის ძირთან და ტყეში ახალი მისასვლელი გზის გასაკეთებლად დაქირავებული მუშები ისე იყვნენ შეშინებულნი. რომ უარი განაცხადეს სამუშაოდ გასვლაზეო. ისინი, ისევე როგორც ჩუკასთან ბანაკში მყოფი ათასამდე კაცი, მთელი ღამე ისხდნენ ვეებერთელა კოცონის გარშემო და ცეცხლს არ აქრობდნენ.

დამსწრეთა შორის იყო მამასახლისიც ტაკადან. როცა ხალ-

ხი დაიმალა, დავუწყე მას გამოკითხვა თორმეტ რიცხვში დაღუპულ ადამიანზე, როცა თვითონ კინაღამ გახდა კაციჭამიას მსხვერპლი.

მამასახლისმა ერთხელ კიდევ დაწვრილებით მიამბო მომხდარი ამბის შესახებ; იგი წასულიყო ყანაში კოჭას ფესვების ამოსათხრელად და თან შვილიშვილიც წაეყვანა, ცოლის ყვირილი რომ გაეგონა, დაეტაცებია ხელი გოგონასთვის და სახლში გაქცეულიყო; ცოლი ტუქსავდა მას უდარდელობისათვის, რომელიც არა მარტო მას, არამედ ბავშვის სიცოცხლესაც ემუქრებოდა; რამდენიმე წუთის შემდეგ კი ვეფხვმა მოჰკლა ადამიანი, რომელიც სახლს ზემოთ ყანაში ტოტებს ჭრიდა ხეზე.

მოთხრობის ეს ნაწილი უკვე მოსმენილი მქონდა. მაშინ ვკითხე მამასახლისს, დაინახა თუ არა მან, როგორ მოჰკლა ვეფხვმა კაცი. მან მიპასუხა, რომ არ დაუნახავს და დაუმატა: შეუძლებელია ხის დანახვა იმ ადგილიდან, სადაც ის იყო მაშინ. მე დავინტერესდი, მაშ როგორღა გაიგო მან, რომ კაცი მოჰკლა ვეფხვმა. მან თქვა, რომ ეს სხვებისაგან გაიგონა. დანარჩენ შეკითხვებზე მამასახლისმა მიპასუხა, რომ კაცმა დაიყვირა, მაგრამ ველა არ უთხოვიაო. როდესაც ვკითხე, კაცმა ერთხელ დაიყვირა თუ არა-თქო, „არა, სამჯერო", მიპასუხა და ჩემი თხოვნით სცადა მიემსგავსებია ამ ყვირილისათვის. თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ეს ყვირილი იმისაგან, რომელიც წინა ღამეს გავიგონე.

მაშინ მე ვუამბე მამასახლისს ჩემ მიერ გაგონილ ყვირილზე და ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა, რომ ვინმე შემთხვევით სოფელში შესულიყო. მიპასუხა, რომ არა. ტაკაში მხოლოდ ორი გზა მიდიოდა და თითოეულმა მამაკაცმა, ქალმა თუ ბავშვმა სოფლებში, რომელზეც ეს გზები გადიოდა, იცოდა, რომ ტაკა მიტოვებული იყო მცხოვრებლების მიერ და ისიც იცოდა, რატომ.

როდესაც ვკითხე, მაშ როგორ შეიძლება ავხსნათ სოფლიდან მოღწეული ყვირილი, თუ მისივე სიტყვით, ერთი სულიერიც არ ჰაჰანებს-მეთქი, მამასახლისმა მიპასუხა, რომ ვერაფერს გეტყვითო. რადგან არც მე შემეძლო მიმეცა რაიმე ახსნა-

ვანმარტება ამისათვის, ამიტომ უნდა დავთანხმებულიყავი, რომ არც კარკერს და არც სამბარს არ გაუკონიათ ხმა სულთ-ბობრძავი ადამიანისა.

• • •

როცა წავიდნენ მნახველები და მათთან ერთად მამასახლისიც, მე შევუდექი საუზმეს, ჩემმა თანამგზავრმა მაცნობა, რომ გუშინ საღამოს სემიდან ბანაკში მამასახლისი მოვიდა და მთხოვა გადმომეცა თქვენთვის, რომ მის ცოლს ბალახის მკის დროს ქოხის ახლოს, სადაც მოკლულ იქნა დედამისი, სისხლის ნაკვალევი უნახავთ, ამიტომ ის ხვალ დაგელოდებათ მდინარე ლადხიაზე გადასასვლელთანო. საუზმის შემდეგ წავედი ნაკვალევის დასათვალიერებლად.

მდინარეზე გადასასვლელთან დავინახე ოთხი კაცი, რომლებიც ჩემს შესახვედრად მოიჩქაროდნენ. როგორც კი ნაპირზე გავედით, მიამბეს, რომ სემის თავზე მის ფერდობზე ჩამოსელისას ჩუკასა და ტაკას შორის ვეფხვის ღრიალი გაეგონათ. მე, ალბათ, მდინარის ხმაურის გამო ვერ გავიგონე ღრიალი. ხალხს ვუთხარი სემში მივდივარ, მალე დავბრუნდები ჩუკაშითქო და დავშორდი მათ.

მამასახლისი თავისი სახლის ახლო მელოდებოდა. მისმა ცოლმა კი წამიყვანა იქ, სადაც მას წინადღით სისხლიანი ნაკვალევი ენახა. ეს ნაკვალევი ყანიდან დიდ კლდეებში შედიოდა. ერთ-ერთ ნაკვალევზე ვნახე კარკერის ბალანი. ცოტა მოშორებით იყო მსხვილი ხვადი ავაზას თათების ანაბეჭდი; ნაკვალევს რომ ვათვალიერებდი, გავიგონე ვეფხვის ღრიალი. თანამგზავრებს მივმართე, რომ ისინი დამსხდარიყვნენ და ეშვიდად დაეჭირათ თავი, მე კი ყური დავუგდე, მინდოდა ვეფხვის ადგილსამყოფელი გამერკვია. ისევ გავიგონე ხმა, შემდეგ ეს ხმა ყოველ ორ წუთში მეორდებოდა.

ძუ ვეფხვი ხვადს უხმობდა. განვსაზღვრე, რომ იგი ხუთასი იარდის მანძილზე იმყოფებოდა ტაკას ქვემოთ, ღრმა ხევში, რომელიც მანგოს ხის ქვემოთ იწყება, მიყვება პარალელურად ბილიკს და შემდეგ გადაკვეთს მას იმ ადგილას, სადაც ბილიკი უერთდება კუმაია-ჩაკისკენ მიმავალ გზას.

მამასახლისს ვუთხარი, რომ ავაზაზე ნადირობის გადადება მოგვიხდებოდა უფრო ხელსაყრელ დრომდე. სასწრაფოდ გავემგზავრე ბანაკში და თან წავიყვანე გადასასვლელთან დარჩენილი ოთხი კაცი, რომლებიც მელოდებოდნენ, რომ ჩუკამდე მიმეცილებია.

ბანაკში ჩემს კარავთან ხალხი მოგროვილიყო. ესენი იყვნენ უმთავრესად მხერხავები დელიდან, მოიჯარადრეები, აგენტები, გადამწერლები, გამწესებლები და სხვადასხვა ჯურის საქმოსნები სატყეო სამუშაოების იჯარით აღებასა და მდინარე ლადხიას დაბლობში გზის მშენებლობასთან დაკავშირებით. იმათ მაცნობეს, რომ ხე-ტყის დამზადებასა და გადაზიდვაზე მომუშავე ბევრი მთიელი დღეს დილას სახლში წასულიყო. და თუ მე დავტოვებ ჩუკას პირველ დეკემბრისათვის, — იმათ გაეგოთ ჩემი ეს განზრახვა — ყველა მუშა, მათ რიცხვში თვითონ ისინიც, წავიდოდნენ აქედან იმავე დღეს; ხალხი ისეა დაშინებული, მოსვენება აღარა აქვს, ჭამის მადაც დაკარგაო. გამიცხადეს, რომ ჩემი წასვლის შემდეგ დაბლობში არავინ დარჩებოდა. ეს ხდებოდა დილას, 29 ნოემბერს, და ვაცნობე მათ, რომ დავრჩებოდი კიდევ ორი დღე და ღამე, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შემიძლია პირველი დეკემბრის დილას გადავაცილო ჩემი აქ ყოფნა-მეთქი.

ვეფხვმა შეწყვიტა ღრიალი. ჩემმა თანამგზავრებმა საჭმელი მომიმზადეს, მერე ტაკაში წავედი იმ განზრახვით, რომ თუ ძუ ვეფხვი კიდევ გამოსცემდა ხმას, მომეძებნა ის და პირდაპირ შეხვედრის დროს მომეკლა და თუ იგი ხმას არ გაიღებდა, მომეწყო საფარი კამეჩის ზემოთ: ბილიკზე ვნახე ძუ ვეფხვის ნაკვალევი და აღმოვაჩინე ადგილი, სადაც იგი შევიდა ხრამში, თუმცა გზადაგზა ბევრჯერ ვჩერდებოდი და ყურს ვუგდებდი, მაგრამ ვეფხვის ხმა აღარ ისმოდა. მზის ჩასვლამდე ცოტა ადრე შევჭამე რამდენიმე ორცხობილა, დავლიე მათარით წამოღებული ცხელი ჩაი და შემდეგ ავცოცდი ნუშის ხეზე და ჩამოვჯექი ჩემთვის სახუნდარის შემცვლელ თოკებზე. ამ საღამოს კაჭკაჭები არ გამოჩენილან და ველარ შევძლებდი ერთი ან ორი საათით მაინც დაძინებას.

თუ ვეფხვი არ უბრუნდება ნადავლს პირველ ღამესვე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან იგი მიატოვა საბოლოოდ. მე ვიცი შემთხვევები, როდესაც ვეფხვი მეათე ღამეს დაბრუნებია და შეუჭამია ის, რაც არავითარ შემთხვევაში აღარ იმსახურებდა ხორცის სახელს. მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვიჯექი არა ვეფხვის მიერ მოკლულ ნადავლის, არამედ იმ ცხოველის ახლოს, რომელიც ვეფხვმა მკვდარი იპოვა და ოდნავ გემო გაუსინჯა. ვეფხვი რომ კაციჭამია არ ყოფილიყო, არ ღირდა მთელი ღამე ხეზე ჯდომა, რადგან პირველ ღამეს მას არავითარი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია კამეჩისადმი. მაგრამ მაინც გავატარე ხეზე ღამე იმ იმედით, რომ მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე მომეცემოდა თოფის სროლის საშუალება. თუმცა ხეზე უფრო ნაკლებ ხანს ვიჯექი, მაგრამ თავს გაცილებით უხერხულად ვგრძნობდი, ვიდრე წინა ღამეს, რადგან თოკებმა საჯდომზე ხორცი ჩამაჭრა. მალე, მთვარის ამოსვლისთანავე დაუბერა ცივმა ქარმა, რომელიც მთელი ღამე ქროდა და სიცივე ძვალ-რბილში გამიჯდა. მეორე ღამეს არაფერი გამიგონია ჯუნგლებში, სამბარიც თავისი ნუკრით არ გამოსულა მინდორში საბალახოდ. როცა მზის შუქი მთვარის სინათლემ შეცვალა, შორიდან მოისმა ვეფხვის ხმა, მაგრამ ვერ დავადგინე მიმართულება, საიდან ისმოდა.

როცა ბანაკში დავბრუნდი, ჩემმა თანამგზავრებმა მომიმზადეს ჩაი და ცხელი აბაზანა, მაგრამ სანამ მას მივიღებდი. წავედი მოსალაპარაკებლად აღელვებულ ხალხთან, რომელიც ყვირილით მოითხოვდა, თავისი წინა ღამის განცდების გაზიარებას. გამოირკვა, რომ მალე, მთვარის ამოსვლის შემდეგ, ვეფხვს მოერთო ღრიალი ჩუკას ახლო და ორი საათის ღრიალის შემდეგ, წასულიყო კუმაია-ჩაკის მხარის მუშების ბანაკისაკენ. მუშებმა რომ გაიგეს ვეფხვი უახლოვდებოდათ, მორთეს ყვირილი მის დასაფრთხობად. მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია: ვეფხვი კიდევ უფრო გაბრაზდა და არ წავიდა მანამ, სანამ ხალხი არ გაჩუმდა. დარჩენილი ღამე მან გაატარა მუშათა ბანაკებსა და ჩუკას შორის. დილას ვეფხვი გაემართა ტაკასაკენ და ჩემი თანამოსაუბრენი ძალზე გაოცებული და ნაწყენი იყვნენ, რომ მე მას იქ არ შევხვდი.

ეს გახლდათ კაციჭამიაზე ჩემი ნადირობის უკანასკნელი დღე, და თუმცა ძალიან მინდოდა დასვენება და ძილი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მესარგებლა დარჩენილი დროით, რომ უკანასკნელად მეცადა ვეფხვთან შეხვედრა.

არა მარტო ჩუკას და სემის, არამედ გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებლებსაც და განსაკუთრებით გლეხებს ტალადეშიდან, სადაც რამდენიმე წლის წინათ სამი კაციჭამია ვეფხვი გამოვასალმე სიცოცხლეს, ძალიან უნდოდათ ცოცხალი თხის თავზე მომეწყო საფარი. ისინი ამბობდნენ: „ყველა ვეფხვი ჭამს თხას. თუ კამეჩთან არ მივიდა, რატომ არ უნდა სინჯოთ, მივა თუ არა თხასთანო?“ უფრო გასართობად, ვიდრე იმ იმედით, რომ მექნებოდა ვეფხვისთვის თოფის სროლის საშუალება, დავთანხმდი ეს უკანასკნელი დღეც გამეტარებია საფარში ამ მიზნისთვის შეძენილ ორ თხასთან.

დარწმუნებული ვიყავი, რომ სადაც არ უნდა წასულიყო ღამით ვეფხვი, მისი მთავარი ადგილსამყოფელი იყო ტაკა. ამიტომ მეც იქით გავემართე შუადღეზე და თან ორი თხა წავიყვანე. მაცილებდა ოთხი კაცი.

მე უკვე ვთქვი, რომ ბილიკი ჩუკადან ტაკაში გადიოდა მთის მაღალ თხემზე, ტაკამდე ძეობ.ხედ მილზე. ბილიკი შორდება თხემს და კვეთს ცოტად თუ ბევრად პირდაპირ მანგოს ხემდე ვაკე ადგილს. მთელი ამ ვაკობის მანძილზე ბილიკი მიიკლაკნება ხშირ ბუჩქნარში, ჰკვეთს მას ორი ვიწრო ხრამი, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მიემართება და მთავარ ხრამს უერთდება. ამ ორ ხრამს შუა ასი იარდის მოშორებით იმ ხიდან, რომელზეც წინა ორი ღამე გავატარე, ხარობს ვეებერთელა ნუში. ბანაკიდან რომ გამოვედი, მეც იმ ხეს მივაშურე. ბილიკი პირდაპირ ამ ხის ქვეშ გადიოდა. ვფიქრობდი, თუ ამ ხეზე შუამდე ავაღწევდი. შევძლებდი არა მარტო ორი თხის დანახვას, — ერთი მათგანი მინდოდა დამება დიდი ხრამის ნაპირას, მეორე კი მარჯვნივ მთის ძირში, — არამედ მკვდარი კამეჩისასაც, რადგან ყველა ეს სამი წერტილი საკმაოდ დიდ მანძილზე იყო დაშორებული ხიდან. 450 — 400 ყალიბის თოფის გარდა, დამატებით. მოვიმარაგე კიდევ მეორე უფრო ზუსტი დარტყმის თოფი.

ამ უკანასკნელ დღეს ჩუკადან ამოსვლა ძალზე მომქანცველი მეჩვენა. ის იყო გამოვედი იმ ადგილას, საიდანაც ბილიკი თხემიდან ვაკისკენ მიემართება, რომ შემომესმა ვეფხვის ხმა, დაახლოებით ას ორმოცდაათი იარდის მოშორებით მარცხნივ ჩემგან. აქ იყო ლიანებით გადახლართული ბუჩქებისა და ხეების ხშირი შამბნარი, მთელი ეს ადგილი დასერილი იყო ვიწრო ღრმა ხრამებით და დაფარული კლდეებიდან ჩამონგრეული უზარმაზარი ლოდებით, რაც ძალზე არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა კაციჭამია ვეფხვზე ნადირობისათვის. სანამ შემდგომი მოქმედების გეგმას დავადგენდი, საჭირო იყო ჯერ დავრწმუნებულიყავი, იწვა თუ არა იქ ვეფხვი, რაც ძალზე მოსალოდნელი იყო, რადგან ეს ხდებოდა დაახლოებით დღის პირველ საათზე, — და თუ ნადირი ფეხზე იყო, რა მიმართულებით მოძრაობდა. ამიტომ ხალხი დავსვი მიწაზე ჩემს ზურგს უკან, მე კი სმენად გადავიქეცი. ღრიალი განმეორდა. ვეფხვი, როგორც ჩანს, მიდიოდა მთავარი ხევით ტაკას მიმართულებით.

იმედი ჩამესახა, რადგან იმ ხიდან, რომელიც საფარისათვის შევარჩიე, ღრანტემდე მხოლოდ ორმოცდაათი იარდი იყო. ხალხს ვუბრძანე დაეცვათ სიჩუმე და ჩემს უკან მჭიდროდ შეჯგუფულიყვნენ. მე ჩქარი ნაბიჯით გავემართე ბილიკზე, დაახლოებით ორასი იარდი გვრჩებოდა ხემდე, როცა მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც ბილიკს ორივე მხრიდან ეკრა ხშირი ბუჩქნარი, საიდანაც ყივილით ამოფრინდა ხოხობ-კალიჯის გუნდი. მე მუხლებზე დავიჩოქე და რამდენიმე წუთს ბალახზე მივფორთხავდი. მაგრამ, რადგან არაფერი არ მომხდარა, ყველა ფრთხილად წავედით წინ და ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე მივაღწიეთ ხეს. რაც შეიძლებოდა ჩუმად და სწრაფად მივაბით ერთი თხა ხრამის ნაპირას, მეორე კი მთის ძირში, მარჯვნივ. ამის შემდეგ ხალხი მივაცილე ყანების ნაპირამდე და ვუბრძანე მათ მამასახლისის სახლის აივანზე ყოფილიყვნენ, მე კი სირბილით დავბრუნდი ხესთან. ავედი მასზე დაახლოებით ორმოცი ფუტის სიმაღლეზე და სპეციალურად ამ მიზნისათვის მოტანილი თოკის დახმარებით ავათრიე თოფები. აქედან მოჩანდა არა მარტო ორივე თხა, ერთი სა-

მოცდაათი, მეორე კი სამოცი იარდის მანძილზე, არამედ კამეჩის ლეშის ნაწილიც. რადგან ჩემი თოფი მიზანს არ აცილებდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ დანახვისთანავე შეეძლებდი ვეფხვის მოკვლას, საიდანაც არ უნდა გამოჩენილიყო.

თხები ერთად იყვნენ მას შემდეგ, რაც მე ისინი ვიყიდე; ახლა, როცა ერთმანეთს დააშორეს, გულმოდგინედ გადასძახებდნენ ხოლმე ერთიმეორეს. ჩვეულებრივ პირობებში თხის ხმა ოთხას იარდზე ისმის, მაგრამ ამ შემთხვევაში პირობები არაჩვეულებრივი იყო, რადგან თხები მიბმული იყვნენ მთის ფერდობზე, რომელზეც ძლიერი ქარი ქროდა. ვეფხვი დაშორებულიც რომ ყოფილიყო ამ ადგილიდან, მას შემდეგ, რაც მე მისი ხმა გავიგონე, არ შეიძლებოდა არ გაეგონა თხების ბღავილი. და თუ ის მშიერი იყო, რაც სავარაუდოა, მაშინ მე წარმატებით სროლის ყველა შანსი მქონდა.

უკვე ათი წუთი იქნებოდა, რაც ხეზე ვიჯექი, რომ ცოტა მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ხოხბები აფრინდნენ, კარკერმა დაიყვირა. ერთი თუ ორი წუთით ჩემს იმედებს ფრთები შეესხა, მაგრამ შემდეგ ისევ მოეკვეცა. კარკერმა მხოლოდ სამჯერ დაიყვირა და დაამთავრა ყვირილი გაბმული ხმით. ცხადია, ბუჩქებში შენიშნა გველი, რომლის დანახვა არ ესიამოვნათ არც კარკერსა და არც ხოხბებს.

ჩემი საჯდომი ადგილი საკმაოდ კომფორტაბელური იყო, მზე მაცხუნებდა, ამიტომ შემდეგი სამი საათი ხეზე სიამოვნებით გავატარე. ნაშუადღევის ოთხ საათზე მზე ტაკას თავზე გადმომდგარ მთას მიეფარა. დაუბერა ცივმა ქარმა. ერთ საათს გავუძელი ყველა ამ უხერხულობას, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე ხელი ამეღო შემდგომ ცდებზე, რადგან სიცივესთან ერთად ციებაც დამაწყებია და ახლა ვეფხვი კიდეც რომ გამოჩენილიყო, ტყვიას ვერ მოვახვედრებდი. მივაბი თოფი თოკზე, ჩამოვუშვი მიწაზე და წავედი ყანის ნაპირას ჩემი თანამგზავრების დასაძახებლად.

ვფიქრობ, ცოტაა ისეთი, რომელსაც არ განუცდია რაიმე განზრახვის წარუმატებლობის შედეგად განცდილი გულისტკივილი. კაკბებზე ძნელი ნადირობის შემდეგ გზა ბანაკისაკენ სავსე ჩანთით იოლი გეჩვენება, შედარებით იმავე გზას-

თან, როცა ჩანთა ცარიელი გაქვს. და თუ განგიცდიათ ერთ-
დღიანი ნადირობის შემდეგ წარუმატებლობის მძიმე გრძნობა
და როდესაც ნანადირევი მხოლოდ კაკბები გყავთ, მაშინ
კამიგებთ იმ მწვავე გულისტკივილს, რომელიც გამოვცადე იმ
საღამოს, როდესაც დავუძახე ჩემს ხალხს, მოვხსენი თხები და
გავუდექი ორმილიან გზას ბანაკისაკენ. ჩემი ცდები ხომ ერთ
დღეს არ გრძელდებოდა, თანაც ჩემი ნადირობის საგანი არ
იყო ფრინველები და ბოლოს, ჩემს წარუმატებლობას მარტო
ჩემთვის როდი ჰქონდა მნიშვნელობა.

სახლიდან და უკან დახარჯული დროის გამოკლებით მე
დავდევდი კაციჭამიას კვალდაკვალ 23 ოქტომბრიდან 7 ნოემ-
ბრამდე და 24 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე. მხოლოდ იმას.
ვისაც უელია იმის შიშით, რომ ვეფხვის კბილები შეიძლება
ჩაერჭოს ყელში, შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორ მოქ-
მედებს ნერვებზე ასეთ ლოდინში გატარებული დღეები და
კვირეები.

თანაც ჩემი ნადირობის საგანი იყო კაციჭამია, და ჩემი
წარუმატებლობა მძიმე შედეგებით ემუქრებოდა ყველას, ვინც
ამ ადგილებში ცხოვრობდა და მუშაობდა. ხე-ტყის დამუშავე-
ბა უკვე შეჩერდა, ყველაზე დიდი სოფლის მცხოვრებლებმაც
კი მიატოვეს თავიანთი ბინები. როგორი ცუდიც არ უნდა ყო-
ფილიყო მდგომარეობა, კაციჭამიაზე წარუმატებლად ნადირო-
ბის შემდეგ, იგი უფრო უარესი უნდა გამხდარიყო; მუშებს
არ შეეძლოთ სამუდამოდ შეეჩერებიათ მუშაობა, ხოლო გარ-
შემომდებარე სოფლების მცხოვრებლები ვერ მიატოვებდნენ
თავიანთ სახლებსა და ყანებს, როგორც ეს შეეძლო გაეკეთე-
ბია ტაკას უფრო შეძლებულ მოსახლეობას.

ბუ ვეფხვს უკვე დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი ბუნებ-
რივი შიში ადამიანის წინაშე, ამის ბევრი დამამტკიცებელი
საბუთი არსებობდა: მან გაიტაცა გოგონა ყანაში მანგოს კრე-
ფის დროს, იქვე ახლო მომუშავე რამდენიმე მამაკაცის თვალ-
წინ; მოჰკლა ქალი თავის საკუთარი სახლის კარებთან; შუა
სოფელში ხიდან ჩამოათრია კაცი; დაბოლოს, წინაღამით რამ-
დენიმე ათას კაცს ხმა გააკმედინა. და ახლა, როცა კარგად გა-
ვითვალისწინე, რას ნიშნავდა კაციჭამიას აქ ყოფნა მკვიდრთა

თუ მოსული ადამიანებისათვის, გამვლელთა და მთისწინეთის ბაზარში ან პუნაგირის ტაძარში მიმავალთათვის, სასწრაფოდ დავბრუნდი ბანაკში იმ დღეს, რომელიც — ამაზე სიტყვა დავთქვი — უკანასკნელი უნდა ყოფილიყო კაციჭამიებზე ნადირობაში. სევდის აღმძვრელი მდგომარეობის საკმაო მიზეზი, როგორც ვგრძნობ, ჩემთან დარჩება ჩემი სიცოცხლის ბოლომდე. ამ მომენტში მე სიამოვნებით გავცვლიდი ოცდათორმეტი წლის მანძილზე კაციჭამიებზე ნადირობაში მიღწეულ ყველა წარმატებას ძუ ვეფხვის მიმართ ერთ მოხდენილ გასროლაში.

მე გიამბობდით მხოლოდ ზოგიერთი ცდის შესახებ ძუ ვეფხვის მოსაკლავად შვიდი დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ სინამდვილეში ჩემი საქმიანობა მარტო ამით არ ამოწურულა. ვიცოდი, რომ თვალს მადევნებდნენ, რომ ჩემს ნაკვალევს მოყვებოდნენ და ყოველთვის ჩემს ორმილიან გზაზე ბანაკსა და ტაკას შორის ძუ ვეფხვის მისატყუებლად მივმართავდი ყველა ხერხს, რომელიც ვისწავლე ჯუნგლებში ცხოვრების დროს. როგორ მწარედაც არ უნდა გამცრუებოდა იმედი, ვგრძნობდი, რომ წარუმატებლობა ვერ მიეწერებოდა ჩემს შეცდომებს თუ ჩემს მოქმედებას.

ჩემმა თანამგზავრებმა შეხვედრისთანავე მითხრეს, რომ ერთი საათი არ იქნებოდა გასული კარკერის ყვირილის შემდეგ, ვეფხვის ღრიალი გავიგონეთ, მაგრამ ვერ განვსაზღვრეთ საიდან ისმოდაო. როგორც ჩანს, ვეფხვს ისევე ნაკლებად აინტერესებდა თხები, როგორც კამეჩები. მაგრამ ესეც რომ მივიღოთ მხედველობაში, მაინც საკვირველია, რომ ის დღის საათებში წავიდა თავის მუდმივსამყოფლიდან, თუ, რასაკვირველია, არ მიიზიდა რაიმე ხმამ, რომელიც არც მე და არც ჩემს ხალხს არ გაგვიგონია. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ცხადია, ვეფხვი წავიდა და რადგან საქმე მეტი არაფერი მქონდა, გავემართე უკან ძნელსავალი გზით ბანაკისაკენ. როგორც უკვე მოგახსენებდით, მილის ერთი მეოთხედი სიგრძის ბილიკი ტაკადან გამოდის ჩუკამდე გაჭიმულ თხემზე. როცა გამოვედი ამ ადგილზე (აქ მთის თხემს რამდენიმე ფუტის სიგანე აქვს და აქედან ხელისგულივით მოჩანს მდინარე ლადხი-

ასკენ დაქანებული ორი დიდი ხეობა) რამდენჯერმე გაეიგონე მარცხნივ ხეობაში ვეფხვის ღრიალი. ეს ხეობა იყო მარცხნივ, კუმია-ჩაკის ცოტა ზემოთ და რამდენიმე ასეულ იარდზე კოტ-კინდრის თხემიდან, რომელზეც ტყისმჭრელებმა ბალახისაგან კარავი გაიკეთეს.

როგორც ჩანს, თითქმის უიმედო ან შეიძლება მცირე წარმატებით სროლის შემთხვევა მეძლეოდა. ასეა თუ ისე, ეს შემთხვევა მომეცა და ეს იყო უკანასკნელი. მთავარი ისაა. როგორ შევძლებდი მის გამოყენებას.

ხიდან ჩამოსვლის შემდეგ ჩემს განკარგულებაში რჩებოდა ერთი საათი, რომ დაღამებამდე მივსულიყავი ბანაკში. ოცდაათი წუთი დამჭირდა იმისთვის, რომ ჩემი ხალხი შემეკრიბა, ძათი ნაამბობი მომესმინა, თხები ამეხსნა და თხემამდე მივსულიყავი. მზემ მეწამულისფრად შეღება მთების მწვერვალები. ჩემს განკარგულებაში რჩებოდა ნათელი დღის ნახევარი საათი. და ამ დროზე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ამ შუქზე არსებითად დამოკიდებული იყო ბუთი ადამიანის სიცოცხლე, თუ მე გამოვიყენებდი ამ უკანასკნელ საშუალებას.

ვეფხვი ერთ მილზე იმყოფებოდა ჩემგან; ეს მანძილი დაფარული იყო უღრანი ტყით, დიდი ლოდებითა და წვიმის მრავალი ნაღვარევით („ნულათი"). თუ მოისურვებდა, ვეფხვს შეეძლო ეს მანძილი ნახევარ საათში დაეფარა. აქ აუცილებელი იყო საკითხის გადაწყვეტა — საჭირო იყო თუ არა ვეფხვის ხმით მიტყუება. ხმა რომ მიმეცა, მასაც გაეგონა და დაბნელებამდე ტყვიის მისაწვდომ მანძილზე მოსულიყო, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. მაგრამ მაშინ რომ მოსულიყო, როდესაც მე აღარ მექნებოდა თოფის სროლის საშუალება, რომელიმე ჩვენგანს აღარ გვეწერა უვნებლად ბანაკში დაბრუნება, რადგან მთელი ორი მილის სიგრძის გზა გადიოდა ვეებერთელა კლდეებსა და ხშირ ჯაგნარში. ჩემი თანამგზავრების რჩევა-დარიგებას ვერ მივიღებდი, რადგან არც ერთი მათგანი არ იყო ჯუნგლებში ნამყოფი, ამიტომ ამ საკითხის გადაჭრის მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა. გადავწყვიტე ვეფხვის მიტყუება.

თოფი გადავეცი ერთ ჩემს თანამგზავრს, დავიცადე, სანამ ვეფხვმა არ დაიღრიალა კიდევ. შევაერთე ხელისგულები ხმა-

მადიდასავით, ღრმად ჩავისუნთქე და ჩემი ძახილი ხევს მივაწვდინე. ვეფხვი გამომეხმაურა, რამდენიმე წუთის განმავლობაში ის ღრიალით მპასუხობდა. ნოემბერი ვეფხვების შეუღლების დროა. ცხადი იყო, რომ ძუ ვეფხვი უკანასკნელი ორმოცდარვა საათის განმავლობაში დაძრწოდა ჯუნგლებში სასურველის საძებრად. და ახლა, როცა ხმა გაიგონა, რომელიც მან ვეფხვის ხმად შეიცნო, ტყუილად დროს აღარ დაკარგავდა.

ოთხას იარდზე თხემის ქვემოთ ბილიკი ვაკეზე გადის, ამ ნაკვეთის მარჯვენა მხრიდან იგი ჯერ დიდ კლდეს მიადგება, შემდეგ კი ციცაბოდ ეშვება ქვევით და მიხვეულ-მოხვეული დაღმართებით აღწევს ქვემოთ მდებარე მეორე დავაკებას. გადავწყვიტე შევხვედროდი ვეფხვს სწორედ ამ კლდეზე. რამდენჯერმე მოვუხმე, რომ მეჩვენებია მისთვის საით გადაენაცვლა.

ახლა მინდა, რაც შეიძლება ნათლად გაგაცნოთ ადგილმდებარეობა, რომ წარმოიდგინოთ შემდგომში მომხდარი ამბავი. წარმოიდგინეთ ორმოცი იარდი სიგანისა და ოთხმოცი იარდი სიგრძის სწორკუთხა მიწის ნაკვეთი, რომელიც თავდება შვეული კლდით. ტაკადან მომავალი ბილიკი გამოდის ამ ადგილის ბოლოში სამხრეთიდან, როცა ოც იარდს გაივლის, შუაგულთან უხვევს მარჯვნივ და სტოვებს მართკუთხედს მის აღმოსავლეთ მხარეზე. აქ აღმართულია ოთხი ფუტი სიმაღლის ლოდი. ცოტა უკან, სადაც ბილიკი ხვეულს აკეთებს მარჯვნივ, აღმართულია სამი-ოთხი ფუტი სიმაღლის ქვის თხემი, რომელიც გადაჭიმულია მართკუთხედის ჩრდილოეთ მხარემდე, სადაც მოედანი ერთბაშად წყდება და ციცაბო კედლად ეშვება. ბილიკის ახლოს, თხემის დაბალ მხარეზე ხშირი ბუჩქნარია, რომელიც ათ ფუტზე უახლოვდება ოთხფუტიანი სიმაღლის ლოდს, რაც უკვე მოვიხსენიე. სწორკუთხედის დანარჩენი ნაწილები დაფარულია ხეებით, თითო-ოროლა ბუჩქითა და დაბალი ბალახით.

განზრახული მქონდა ჩავსაფრებოდი ვეფხვს ბილიკზე კლდის პირას და მესროლა, როცა მომიახლოვდებოდა, მაგრამ ჩემ მდგომარეობას რომ თვალი გადავავლე, დავრწმუნდი, მისი დანახვა შემეძლო მხოლოდ ორი თუ სამი იარდის მან-

ძილზე და თუ იგი მომიახლოვდებოდა ჩემგან მარცხნივ ბუჩ-ქებიდან, ან ისე, რომ კლდეს შემოუვლიდა, შეიძლებოდა სრულიად ვერ დამენახა. კლდის მოპირდაპირე მხარეზე იყო ვიწრო ლავგარდანი. გვერდულად მოვთავსდი ლავგარდანზე, მარცხენა ხელი ჩამოვდეევი გლუვი ქვის ნაპირზე, მარჯვენა ფეხი მთელ სიგრძეზე გავჭიმე და მისი თითები მიწას მივაბ-ჯინე, რომ ამგვარად შემძლებოდა ლავგარდანზე დამაგრება. ხალხი და თხემი ათი-თორმეტი ფუტით იყვნენ ქვემოთ, ჩემს უკან.

ახლა კი მოვემზადეთ ძუ ვეფხვთან შესახვედრად, რომე-ლიც ამ ხნის განმავლობაში სამას იარდზე მოგვიახლოვდა. უკანასკნელად გავეცი ხმა, რომ მეჩვენებინა მიმართულება და მოვიხედე, რომ დამენახა, როგორ გრძნობენ თავს ჩემი თა-ნამგზავრები.

მათი დანახვა სხვა მდგომარეობაში სასაცილოდ მოეჩვენე-ბოდა კაცს, ახლა კი ეს სანახაობა ტრაგიკული იყო. ისინი ძა-ლიან მჭიდროდ შეჯგუფულიყვნენ და თავი მუხლებში ჩა-ერგოთ. ხალხს არც თხები ჩამორჩებოდა; მათ ისეთი შეშინე-ბული სახეები ჰქონდათ, როგორიც აქვთ ხოლმე ადამიანებს ზარბაზნის გასროლის მოლოდინში. მას შემდეგ, რაც ჩვენ თხემზე პირველად გავიგონეთ ძუ ვეფხვის ხმა, არც ხალხსა და არც თხებს კრინტი არ დაუძრავთ, თუ მხედველობაში არ შევიღებთ თავშეკავებულ ჩახველებას. როგორც ჩანდა, ისინი ახლა შიშს გაექვავებინა, და ეს ბუნებრივიც იყო. მე ქედს ვიხრი ამ ხალხის წინაშე, რომლებსაც შესწევდათ ვაჟკაცობა ვაეკეთებიათ ის, რაზედაც მე ვერც კი ვიოცნებებდი მათ მდგომარეობაში. ისინი შვიდი დღე ისჭენდნენ ძალზე გადა-ქარბებულ და სისხლიან ისტორიებს იმ საშინელი მხეცის შე-სახებ, რომელიც არ აძლევდა მათ დაძინების საშუალებას ორი უკანასკნელი ღამის განმავლობაში, და ახლა სრბნელეში ეს უიარაღო ადამიანები ისე გახევებულიყვნენ, რომ ვერა-ფერს ხედავდნენ, მაგრამ გრძნობდნენ, როგორ უახლოვდებო-და მათ თანდათან კაციჭამია. ამაზე მეტ გამბედაობასა და თავ-დადებას ვერც კი წარმოიდგენთ.

მარცხენა ხელში თოფს ვეღარ ვიჭერდი, რადგან ქვისათ-

ვის უნდა მომეკიდებია ხელი, ეს კი საკმაოდ მაშინებდა: თოფი შეიძლება დაცურებულიყო კლდის გლუვი წვერიდან, მაგრამ მე ვცადე ამ მოვლენის თავიდან აცილება, გაშლილი ჯიბის დანა მიწაში ჩავარჭვე. არ ვიცოდი როგორი იქნებოდა თოფის უკუდარტყმის ეფექტი იმ მდგომარეობაში, რომელიც ჰე მეკავა. თოფი ლულით მიშვერილი მქონდა ბილიკისაკენ. რომელზეც კლდიდან ოცი იარდის მოშორებით პატარა ბორცვი იყო და მეც განზრახული მქონდა ვეფხვისათვის თავში მომერტყა ტყვია, როგორც კი ის ბორცვს უკან გამოჩნდებოდა.

ვეფხვი იმ გზით არ წამოსულა, რომელიც მე წინასწარ განვსაზღვრე. მან გადაკვეთა ღრმა ხევი და პირდაპირ იმ ადგილზე გამოვიდა, საიდანაც ჩემი უკანასკნელი ძახილი გაიგონა. ასეთი მანევრის გამო მხეცი ვერ დავინახე: მას ჩემგან დაბალი თხემი ფარავდა. ძუ ვეფხვმა ძალზე ზუსტად განსაზღვრა მიმართულება, საიდანაც ჩემი უკანასკნელი ძახილი ისმოდა, მაგრამ შეცდა მანძილის განსაზღვრაში და, რომ ვერ ნახა სასურველი, მთლად გაცოფდა.

იმისათვის, რომ გქონდეთ წარმოდგენა ასეთ მდგომარეობაში ძუ ვეფხვის გაანჩხლების შესახებ, მე გიამბობთ, რომ რამდენიმე მილის მოშორებით ჩვენი სახლიდან ძუ ვეფხვმა ერთხელ მთელი კვირის განმავლობაში შესწყვიტა ხეტიალი დიდ შარაგზაზე. იგი თავს ესხმოდა გზაზე გამოჩენილ ყველა არსებას, აქლემების მთელ ქარავანსაც კი, სანამ თავისი წყვილი არ იპოვა.

მე არ ვიცი სხვა ხმა, რომელიც ისე მოქმედებდეს ნერვებზე, როგორც ახლო მანძილზე მოსული ვეფხვის ღრიალი. მზარავდა ფიქრი იმაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს საშინელი ხმა ჩემს თანამგზავრებზე და არ გამიკვირდებოდა, რომ დაეყვირათ მათ და გაქცეულიყვნენ. თვითონ მე, საიმედო თოფით ხელშიც კი, მზად ვიყავი საყვირლად.

მაგრამ ამ განუწყვეტლივ ღრიალზე უფრო საშიში იყო სიბნელე, რომელიც სწრაფად გვიახლოვდებოდა. რამდენიმე—სულ ბევრი ათი-თხუთმეტი წამის შემდეგ ველარ დავინახავდი სამიზნოს და ჩვენ მაშინ მოვხვდებოდით კაციჭამიას და თანაც

თავის ტოლის ძებნით გაანჩხლებული ძუ ვეფხვის კლანჭებში. რომ არ ამოვეხოცეთ ვეფხვს, სასწრაფოდ უნდა მომეფიქრებია რაღაც ღონისძიება. ერთადერთი გამოსავალი, ჩემი აზრით, იყო კიდევ ერთხელ მოხმობა.

ვეფხვი ახლა ისე ახლო იყო, რომ გავიგონე როგორ შეისუნთქა ჰაერი დაღრიალების წინ. და როცა ის ჰაერს ისუნთქავდა, მეც ჩავისუნთქე და ორივემ ერთდროულად დავიღრიალეთ. ეფექტი იყო მყისიერი. ვეფხვი უყოყმანოდ წამოვიდა სწრაფი ნაბიჯით ხმელ ფოთლებზე დაბალი თხემის ბუჩქებში, ჩემგან ცოტა მარჯვნივ. სწორედ იმ მომენტში, როცა მე მოველოდი თავდასხმას, ის გაჩერდა. შემდეგ წამში, მისი ძლიერი ღრიალისაგან ჰაერის ტალღა სახეში მეცა და ქუდს გადამაძრობდა თავიდან, რომ მხურებოდა. წუთიერი შეჩერება, შემდეგ ისევ სწრაფი ნაბიჯები; ძუ ვეფხვის სილუეტმა ვაიელვა ორ ბუჩქს შორის, შემდეგ შედგა გაშლილ ადგილზე და პირდაპირ სახეში მომაჩერდა.

დიდი და მოულოდნელი წარმატება ის იყო, რომ ვეფხვმა გაიარა რამდენიმე ნაბიჯი მარჯვნივ და თითქმის ჩემს მიერ მიმართული თოფის ლულის პირდაპირ დადგა. ვეფხვს რომ განეგრძო მოძრაობა იმ მიმართულებით, რომლითაც ის მოდიოდა ჩემს უკანასკნელ მოხმობამდე, ეს მოთხრობა საერთოდ არ დაიწერებოდა ან სხვა დასასრული ექნებოდა, რადგან მაშინ მე ვერ შევძლებდი კლდის გლუვ მწვერვალზე დადებული თოფის აღებას, მის ხელში დაჭერასა და გასროლას. ვეფხვის სიახლოვემ და ბინდბუნდმა საშუალება მომცა კარგად დამენახა მხოლოდ მისი თავი. ჩემი პირველი ტყვია მოხვდა მას მარჯვენა თვალის ქვევით, მეორე კი, უფრო შემთხვევით, ვიდრე განზრახ ნასროლი, მოხვდა ყელში. ვეფხვი დაეცა. ცხვირით კლდეს მიებჯინა. მარჯვენა ლულის უკუდარტყამმა წონასწორობა დამირღვია და მარცხენა ლულიდან ვეფხვის დაცემის დროს ჰაერში გავისროლე — კონდახი მაგრად მომხვდა ყბაზე, თავდაყირა გადმომაგდო და პირდაპირ თხებისა და ჩემი თანამგზავრების ფეხებთან დავეცი. ერთხელ კიდევ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ქუდი მოვიხადო ჩემი ოთხი თანამგზავრის წინაშე, რომლებმაც არსებითად მხოლოდ ის იცო-

დნენ, რომ მათ უახლოვდებოდა ვეფხვი, და გადმოვარდნის დროს მომეშველნენ და გადამარჩინეს დასახიჩრებისაგან, ჩემი თოფი კი დამსხვრევისაგან.

როცა დავაღწიე თავი ადამიანებისა და თხების ფეხებს, ავიღე კვლავ თოფი ხელში, ჩავდევი მჭიდე სავაზნეში და ბარის მიმართულებით ხუთი ტყვია დავაქუხე, რომლის ხმამ მდინარე სარდადან ნეპალამდე გადაიგრიალა. ბარში ახლომახლო სოფლებში მყოფ ათასი კაცისათვის, რომლებიც გულისფანცქალით ელოდნენ ჩემი თოფის ხმას, შესაძლოა ორი გასროლა არაფრის მაუწყებელი ყოფილიყო, მაგრამ როცა იმ ორს, ხუთწამიანი შუალედის შემდეგ ზედიზედ კიდევ ხუთი გასროლა მოჰყვა, შეიძლებოდა მიმხვდარიყვნენ, რომ კაციჭამია აღარ არსებობს.

მე არ მილაპარაკია ჩემ ხალხთან მას შემდეგ, რაც ვეფხვის პირველი ღრიალი გავიგონეთ მთის ქედზე. როცა მე მათ ვუთხარი, რომ ვეფხვი მოკლულია და ახლა აღარაფერი გვაქვს საშიში-თქო, მათ როგორც ჩანს, უცბად ვერ გაიგეს ჩემი სიტყვების მნიშვნელობა. ვუთხარი წასულიყვნენ და ენახათ, მე კი ჩამოვჯექი და პაპიროსი შევახვიე. ხალხი დიდი სიფრთხილით ავიდა კლდეზე, მაგრამ ვერ გაბედა გზის გაგრძელება. სანამ არ გავაგებინე, რომ მოკლული ვეფხვი პირდაპირ კლდის უკანა მხარეზე უძრავად აგდია-თქო.

გვიან ღამე, როცა კოცონთან ვიჯექი და ხელახლა ვიწყებდი ცნობისმოყვარე მსმენელებისათვის დღევანდელი ამბის მოყოლას, ჩემი თანამგზავრები ასე ამთავრებდნენ უცვლელად ჩემს ნაამბობს: „და მაშინ ვეფხვმა, რომლის ღრიალი გულღვიძლს ხანჯალივით გვისერავდა, დაარტყა საიბს თავში, გადმოაგდო კლდიდან და დაგვეცა პირდაპირ თავზე; თუ თქვენ არ გჯერათ, დახედეთ საიბის სახეს". სარკე საჭირო არაა ბანაკში, მაგრამ, რომც ყოფილიყო ის, ვერ მოგცემდათ სათანადო წარმოდგენას ჩემი დაქეჟილი ყბის სიმსივნეზე, რამაც მაიძულა ერთი კვირა რძის დიეტაზე გადავსულიყავი.

სანამ ხეებს ჭრიდნენ და მასზე ვეფხვს აბამდნენ, ლადხიას დაბლობსა და გარშემომდებარე სოფლებში სინათლეები აციაფდა. ჩემ თანამგზავრებს ძალიან უნდოდათ, რომ ვეფხვის

ბანაკში წაღების პატივი მხოლოდ მათთვის დამეთმო, მაგრამ რადაგლის სიმძიმე აღემატებოდა მათ ძალ-ღონეს, ამიტომ ისინი დავტოვე ადგილზე და წავედი დამხმარეების მოსაყვანად.

ჩუკაში სამჯერ ყოფნის დროს უკანასკნელ რვა თვეში მე ბევრჯერ დავდიოდი ამ ბილიკზე გატენილი თოფით ხელში, ახლა კი შემეძლო სიარული სიბნელეში უიარაღოდ, მხოლოდ უნებლიედ წაქცევას უნდა მოვრიდებოდი. თუ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნება, რომელიც შეიძლება განიცადოთ, არის მწარე ტკივილის უცბად შეჩერება, მაშინ მეორე, არანაკლებ სასიამოვნოა ძლიერი შიშის გრძნობის მოულოდნელად გაქრობა. ერთი საათის წინათ, გარეული სპილოების დახმარების გარეშე სახლებიდან და ბანაკებიდან ვერ გამოიყვანდი იმ ხალხს, რომელიც ახლა ყოველი მხრიდან სიმღერითა და ყიჟინით ჯგუფ-ჯგუფად თუ თითო-ოროლა იყრიდა თავს ტაკასკენ მიმავალ ბილიკზე. ზოგი ვეფხვის წაღებაში დასახმარებლად მოვიდა, ზოგი ბანაკამდე მაცილებდა და რომ მე მათთვის ნება მიმეცა, ხელითაც კი წამიყვანდნენ. მე ძალიან ნელა მივიწევდი წინ, რადგან ხშირად ვჩერდებოდი, რომ ყველა ახალ მოსულთათვის მათი სურვილისამებრ მადლობის გამოთქმის საშუალება მიმეცა. ამიტომ ჩემი ხალხი, რომელსაც ვეფხვი მოჰქონდა, წამომეწია და ჩვენ ერთდროულად შევედით სოფელში. არ შემიძლია აღვწერო ჩემსა და ჩემი თანამგზავრების მიმართ ხალხის მიერ მიძღვნილი ყველა ის მისალმება და სცენები, რომლის მოწმე ვიყავი იმ ღამეს ჩუკაში. ჩემი ცხოვრების მეტი წილი ჯუნგლებში გავატარე და მჭევრმეტყველების ნიჭით არ ვარ დაჯილდოებული.

ზვინი დაშალეს და ვეფხვი თივაზე დაასვენეს. ახლო გაიჩაღეს ვეებერთელა კოცონი შუქისა და სითბოსთვის, რადგან ბნელი ღამე იყო და ჩრდილოეთის ცივი ქარი ქროდა. დაახლოებით შუაღამე იქნებოდა, რომ ჩემმა მსახურებმა ტაკას მამასახლისისა და კუნვარ-სინგის დახმარებით, რომლის სახლის ახლო იყო ჩემი ბანაკი, დაარწმუნეს ხალხი დაშლილიყო და უთხრეს, რომ მათ შეუძლიათ ვეფხვი ხვალაც დაათვალიერონ.

წასვლის წინ ტაკას მამასახლისმა მითხრა, რომ ხვალ დ-ლას იგი წინადადებას მისცემდა ტაკას მცხოვრებლებს დაბრუნებულიყვნენ სოფლებში. ორი დღის შემდეგ ყველა გლეხი დაუბრუნდა თავის ბინას და განაგრძო ჩვეულებრივი საქმიანობა.

საღილის შემდეგ, შუაღამეზე, მოვიხმე კუნვარ-სინგი და ვუთხარი, რომ აღთქმა მაქვს, დანიშნულ დროზე სახლში დავბრუნდე და ამიტომ რამდენიმე საათის შემდეგ უნდა წავიდეთქო და ვთხოვე განემარტა მოსახლეობისათვის ჩემი წასვლის მიზეზი. კუნვარ-სინგმა აღმითქვა, რომ ამას გააკეთებდა. მე შევუდექი ვეფხვის გატყავებას. ვეფხვისთვის ტყავის გაძრობა ჯიბის დანით ნამდვილი წამებაა, მაგრამ სამაგიეროდ, იგი იძლევა მხეცის ყოველმხრივ დათვალიერების საშუალებას, ხოლო როცა საქმე კაციჭამიას ეხება, საინტერესოა გაირკვას. თუ რატომ გახდა ის კაციჭამია.

ძუ ვეფხვი შედარებით ახალგაზრდა იყო, იმყოფებოდა კარგ მდგომარეობაში — ეს ასეც უნდა ყოფილიყო მძუნაობის სეზონის დასაწყისში. ჰქონდა შესანიშნავი მუქი ზამთრის ბეწვი და მიუხედავად იმისა, რომ ის დაჟინებით გაურბოდა შეთავაზებულ მისატყუარს, ძალზე მსუქანი იყო. ვეფხვს ჰქონდა ორი შეუმჩნეველი ნატყვიარი, ერთი მარცხენა ბეჭში რამდენიმე თვითნაკეთი საფანტისაგან, რასაც თავის დროზე სეპტიკური ანთება გამოეწვია, რის შედეგად, ჭრილობის მოშუშების შემდეგ დიდ ფართობზე კანი შეზრდოდა კუნთებს; თუ როგორ გავლენას ახდენდა ეს ნადირის საერთო მდგომარეობაზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ უეჭველი იყო, რომ ასეთი ჭრილობის მოშუშებას დიდი დრო დასჭირდა, და შესაძლებელია ამ მიზეზის გამო ვეფხვი გახდა კაციჭამია. მეორე ჭრილობაც მარჯვენა ბეჭში საფანტით იყო მიყენებული, მაგრამ ის ყოველგვარი გართულების გარეშე მოშუშებოდა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ კაციჭამია გახდებოდა, ვეფხვის მიერ ნადავლის ახლო მიღებული ეს ორი ჭრილობა, კარგად ხსნიდა იმას, რომ იგი აღარ უბრუნდებოდა ნადავლს (თუნდაც ყოფილიყო ის ადამიანის მსხვერპლი ან სხვა რამ), რომელთანაც მე ვუსაფრდებოდი.

ვეფხვი გავატყავე, ვიბანავე, გამოვიცვალე ტანსაცმელი და მიუხედავად იმისა, რომ სახე დამისივდა და მტკიოდა, წინ კი ოცმილიანი გზა მქონდა გასავლელი, ჩუკადან თითქოს მოვფრინავდი, რადგან ამ სოფელში, მის არემარეში, მთასა თუ ბარში ათასობით ადამიანს მშვიდად შეეძლო დაეძინა.

მივუახლოვდი ჯუნგლებზე ჩემი მოთხრობებისა და კაციჰამია ვეფხვებზე ნადირობის საკუთარი კარიერის დასასრულს.

მან მე ძალზე ბევრი სიამოვნება მომანიჭა და მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, რადგან ის ჩემს სიცოცხლეშივე დავამთავრე.

იყო შემთხვევები, როცა სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, როდესაც მუდმივი შიშითა და დაძაბულობით გამოწვეული ავადმყოფობა სიარულსაც კი მიშლიდა, მაგრამ ყველა ამისათვის მე უხვად ვიყავი დაჯილდოებული იმით, რომ ჩემმა ნადირობამ იხსნა არა ერთი ადამიანის სიცოცხლე.

ვ ე ფ ხ ვ ე ბ ი

ვფიქრობ, ყოველი მონადირე, რომელიც ფოტოსურათების გადაღებასა და ვეფხვებზე თოფით ნადირობას ეწევა, დამეთანხმება, რომ ამ ორ მოქმედებას შორის ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც მყინვარიდან გამოხეთქილ ჩანჩქერში ხელბადით კალმახის ჭერასა და მზისგან ამომშრალ ტბორის ნაპირზე თევზის ჭერას შორის.

რომ არაფერი ვთქვათ სურათების გადაღებისა და თოფით ნადირობის ხარჯებს შორის განსხვავებაზე და ვეფხვების სულადობის სწრაფი კლების პირობებში კარგი სურათის მიღების მნიშვნელობაზე, ეს უკანასკნელი მონადირეს უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე ნაალაფარი ცხოველის ტყავი. თანაც, სურათი საინტერესოა ბუნების ყველა მოყვარულთათვის, ნანადირევი კი — მხოლოდ მისი პატრონისთვის. მაგალითისათვის მოვიყვანთ ფრედ ჩემპიონს. ჩემპიონს რომ

ენადირა ვეფხვებზე თოფით და არა ფოტოაპარატის კამერით, მისი ნანადირევი ჟამთა სვლაში დავიწყებას მიეცემოდა ან ზანდუკებში მტვრით დაიფარებოდა, მაშინ, როდესაც მის მიერ გადაღებული სურათები, როგორც მისთვის, ისე მთელი ქვეყნის მონადირეთათვის, მუდმივი სიამოვნების წყაროს წარმოადგენს.

ვეფხვების სურათების გადაღების აზრი დამებადა ჩემპიონის წიგნში „ფოტოაპარატით ვეფხვების ქვეყანაში" სურათების ნახვის დროს. ჩემპიონი სურათს იღებდა ჩვეულებრივი აპარატით მაგნიუმის შუქზე, მე კი გადავწყვიტე უფრო მეტისთვის მიმეღწია, დღის სინათლეზე გადამეღო ვეფხვებისთვის სურათი კინოაპარატით. აუცილებელ ხელსაწყოდ გამოვიყენე ერთ-ერთი ჩემი მეგობრის მიერ ნაჩუქარი ბელასა და ხოუელის 16 მმ. აპარატი, „მშვიდობიანი მდგომარეობა" კი, რომელიც ტყეებში სუფევდა, გაშლილი მოქმედების საშუალებას მაძლევდა. ათი წლის განმავლობაში ასეული კილომეტრი მექნება გავლილი ვეფხვების ქვეყანაში. იყო შემთხვევები, როცა ვეფხვები ფეთდებოდნენ მათ ნადავლთან ჩემს მიახლოებაზე. ზოგჯერ ძუ ვეფხვები მიშორებდნენ თავიდან, როცა ძალიან მივუახლოვდებოდი ხოლმე იმათ ლეკვებს.

ამ ხნის განმავლობაში მაინც რაღაც ახალი გავიგე ვეფხვების ჩვევებსა და ქცევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვეფხვები ორასჯერ მაინც მინახავს, ვერა და ვერ მივაღწიე ვერც ერთ დამაკმაყოფილებელ სურათს. გადავიღე რამდენიმე ფილმი, მაგრამ შედეგები იმედებს მიცრუებდა ხან გამამჟღავნებელში დიდხანს გაჩერების გამო, ხან უკმარყოვნების გამო, ხან იმიტომ, რომ ობიექტივის წინ იყო ფოთლები, ბალახი, ობობას ქსელი, ერთ შემთხვევაში კი ემულსია გადნა.

1938 წელს მთელი ზამთარი შევწირე უკანასკნელ ცდას, რომ კარგი სურათი მიმეღო. გამოცდილებიდან დავრწმუნდი, რომ ვეფხვისთვის შემთხვევით სურათის გადაღება შეუძლებელია, ამიტომ ვცადე მეპოვნა შესაფერი ადგილი. ბოლოს შევ-

ჩერდი ორმოცდაათი იარდის სიგანის გაშლილ ხრამზე, რომ-ლის შუაგულში პატარა ნაკადული მიჩუხჩუხებდა. ნაკადის ორივე ნაპირი დაფარული იყო ხმირი ხეებითა და ბუჩქნა-რით. რათა დამეხშო ფოტოკამერის მიერ ფოტოსურათის გა-დაღების დროს მიღებული ხმა, ნაკადზე რამდენიმე ადგილას მოვაწყვე პატარა კაშხალები, რამდენიმე დუიმის სიმაღლის წყალვარდნილებით. შემდეგ შევუდექი ვეფხვების ძებნას და ვიპოვე ერთიმეორისაგან შორი მანძილით დაშორებულ სამ ადგილას შვიდი ვეფხვი. ამის შემდეგ ჩემს იმპროვიზირებულ ტყის სტუდიაში შევუდექი რიგრიგობით თითოეული მათგანის სურათის გადაღებას რამდენიმე იარდ ფირზე. სამუშაო იყო ძნელი და გაჭიანურებული: მიხდებოდა იმ ადგილებში მოქ-მედება, სადაც ბევრი ხალხი ნადირობდა. შემეძლო მხოლოდ ის მევარაუდა, რომ ვეფხვები იმ შემთხვევაში მოვლენ ჩემ-თვის საჭირო ადგილზე, თუ მე ვერ შემამჩნევდნენ. ერთ-ერთი ვეფხვი ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით ჩემი გამოჩე-ნისთანავე გადაიკარგა იქიდან, მაგრამ მე მაინც მოვასწარი და გადავუღე მას სურათი. დანარჩენი ექვსისათვის ათასი ფუტი სიგრძის ფირი გადავიღე.

დასანანია, რომ ეს ზამთარი ყველაზე უფრო ნესტიანი იყო დანარჩენ ზამთარს შორის და რამდენიმე ასი ფუტი ფი-რი გამიფუჭდა ხან იმის გამო, რომ სინოტივე ფარავდა ლინ-ზას, ხან უკმარყოვნების მიზეზით, ზოგჯერ კი სიჩქარისა და დაუდევრობის გამო კამერაში ფირის გაჭედვის შედეგად. მაგ-რამ მე მაინც მივიღე დაახლოებით ექვსასი ფუტი სიგრძის ფილმი, რომლითაც თავი მომწონდა. ეს იყო ბუნებრივ პირო-ბებში გამოსახულება ექვსი მოზრდილი ვეფხვისა, ოთხი ხვა-დისა და ორი ძუსი, რომელთაგან ერთი ალბინოსი იყო. ფო-ტოსურათები გადაღებული იყო დღის სინათლეზე ათიდან სამოცი ფუტის მანძილზე.

მთელი ოპერაციისათვის დამჭირდა ოთხნახევარი თვე და ყველა იმ უამრავი საათის განმავლობაში, რომელიც მოვანდომე წოლას ჩემს მიერ მოწყობილ მინიატურულ კაშხალებთან, არც ერთ ვეფხვს არ დავუნახავარ.

დღის სინათლეზე რამდენიმე ფუტზე ექვს ვეფხვთან მისვლა შეუძლებელია. ამიტომ ამას ვაკეთებდი დილაადრიან, დღისა და ღამის გასაყარზე, გადაღება კი წარმოებდა მაშინ, როცა ამის საშუალებას იძლეოდა განათება და ხელსაყრელი შემთხვევა.

©

ოქროკვრიელების ქვეყანა



პილიგრიმების გზა

თუ თქვენ ხართ ინდუსი, დაბადებული ინდოეთის მზისგან გადამწვარ ბარში და, როგორც ყველა კეთილ ინდუს, გსურთ სალოცავად წახვიდეთ უძველეს კედარნატხასა და ბადრინატხში, ამ უძველეს წმიდათა წმიდა ადგილის თაყვანსაცემად, მოგზაურობა უნდა დაიწყოთ ჰარდვარიდან. იმისათვის, რომ ღირსეულად დაიმსახუროთ ჯილდო, რომელსაც მოგანიჭებენ მომლოცველობის წესების ზუსტად შესრულებისათვის, ჰარდვარიდან კედარნატხში, და შემდეგ ბადრინატხამდე ფეხშიშველი უნდა იაროთ მთებზე გამავალ გზებზე.

ჰარდვარში, ჩაეშვებით ხორ-კი-პაურის წმიდათა წმიდა წყალსატევში, ბევრ საკურთხეველსა და ტაძარში შეასრულებთ darshan-ს * და ისინი თქვენს ხურდა ფულს დაუმატე-

* რელიგიური წესი.

ბენ თავის სკივრებში თავმოყრილ მოწყალებას, შემდეგ აუცილებლად უნდა დაყაროთ ფული მისაწვდომ მანძილზე წმინდწყალსატევის ზევით, პილიგრიმების სავალი გზის ვიწრო ადგილზე ჩამწკრივებულ კეთროვანთა დაჩირქებულ ტაკვის წინ (რომლებიც ოდესღაც ხელებს წარმოადგენდნენ). ეს აუცილებელია, თორემ კეთროვანები ფათერაკს შეგყრიან. ვინ იცის, იქნებ ამ უბედურებს შესწევთ ძალა, თქვენს გონებაზე უფრო ძლიერი ძალა, დაფარული მათ საზარელ ძონძებში ან იმ გამოქვაბულებში, რომლებსაც ისინი თავიანთ ბინად მიიჩნევენ. ჯობია თავი ააარიდოთ ამგვარი ხალხის წყეველას რამდენიმე ხურდა ფულის მიგდებით.

თქვენ გააკეთეთ ყველაფერი, რასაც ჩვეულება და სარწმუნოება მოითხოვს კეთილი ინდუსისაგან, და ახლა შეგიძლიათ დაიწყოთ ძნელი და ხანგრძლივი მომლოცველობა.

თქვენთვის საინტერესო პირველი ადგილი, სადაც მიხვალთ ჰარდვარის დატოვების შემდეგ, ეს რიკიკეშია. უპირველეს ყოვლისა, თქვენ აქ გაეცნობით სკოლა-ტაძარს, Kalakamli wallahas. მან ეს სახელწოდება ჭიიღო შავი წამოსასხამის გამო, რომელსაც ატარებდა მისი დამაარსებელი და რომელსაც ატარებენ აქამდე მისი მიმდევრებიც. ამ ფართო წამოსასხამს თავისუფალი ლაბადის ფორმა აქვს. ქამრად შემორტყმული აქვთ თხის ბალნისაგან გაკეთებული თოკი. სკოლის მიმდევრები ცნობილი არიან მთელ ქვეყანაში თავისი კეთილი საქმეებით. არა მგონია, რომ შეეძლოს ასეთი პოპულარობით დატრაბახება სხვა რელიგიურ ძმობას, რომელსაც თქვენ შეხვდებით მომლოცველობის გზაზე. ერთი რამ კი კარგად ვიცი, რომ ძმობა Kalakamli wallahas სარგებლობს ღირსეული სახელით. სინამდვილეში, შემოწირულებებით, რომელსაც ისინი აგროვებენ მათ მიერ აშენებულ წმინდა აკლდამებთან და ტაძრებში, ინახავენ ლაზარეთებს, ამბულატორიებს, მლოცველთა თავშესაფრებს, და ბოლოს, ჰკვებავენ ღარიბებსა და გაჭირვებულთ.

რიკიკეშს რომ მიატოვებთ, მოხვდებით ლახმან ხიულუში, სადაც პილიგრიმების გზა, ბონდის ხიდით გადაკვეთს

ბდინარე განგს მარჯვნიდან მარცხენა ნაპირზე. აქ უნდა უფრთხილდეთ წითელ მაიმუნებს, რომლებითაც სავსეა ხიდი და რომლებიც ჰარდვარის კეთროვანებზე უფრო მაბეზარი არიან. თუ იმათ გულს არ მოიგებთ ტკბილეულობით ან შეეწვარი მარცვლებით, მაშინ გაგიჭირდებათ გავლა ამ გრძელსა და ვიწრო ხიდზე.

სამი დღის მოგზაურობის შემდეგ, განგის მარცხენა ნაპირის აყოლებით მიაღწევთ გარვალის უძველეს სატახტო ქალაქს — სრინგარს, ისტორიული, სარწმუნოებრივი და საეკლესიო მნიშვნელობის დიდ ცენტრს, გაშლილ ვაკეში მდებარე, მაღალი მთებით გარშემორტყმულ, ძალზე ლამაზ ქალაქს. სწორედ აქ, 1805 წელს, გარვალის ჯარისკაცთა წინაპრები, რომლებიც ასე გმირულად იბრძოდნენ ორ მსოფლიო ომში, წარუმატებლად გამოვიდნენ თავიანთ უკანასკნელ ლაშქრობაში დამპყრობელ გურკების წინააღმდეგ. გარვალთა ძველი ქალაქი სრინაგარი, თავისი მეფეთა ყველა სასახლით, 1894 წელს გონა ლეიკის ტბის ჯებირის დანგრევასთან ერთად აღგვილ იქნა მიწისაგან პირისა.

ამ ჯებირს, რომელიც მდინარე განგის შენაკადის, ბირეხი-განგის ხეობაში მეწყერის მიზეზი გახდა, 11 000 ფუტი სიგანის საძირკველი ჰქონდა, უმაღლეს წერტილში მისი სიგანე აღწევდა 2000 ფუტს, სიმაღლე კი 900 ფუტს. როცა ჯებირი გაირღვა, ექვსი საათის განმავლობაში გათავისუფლდა ათი მილიარდი კუბური ფუტი წყალი. თუმცა ნიაღვარმა გაანადგურა ყველაფერი თავის გზაზე ჰარდვარის მიმართულებით მდინარე განგის ხეობაში, წალეკა ხიდები, მაგრამ დაიღუპა მხოლოდ ერთი ოჯახი და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მისი წევრები დაბრუნდნენ საშიშ ზონაში მას შემდეგ, რაც ძალით იყვნენ იქიდან გასახლებულნი.

სრინაგარიდან რომ გამოხვალთ, მიადგებით ჩატიკალის ძნელ აღმართს, რომლის მწვერვალიდან თვალწინ გადაგეშლებათ განგის ხეობისა და კედარნატხის თავზე აღმართული მარადმყინვარის გასაოცარი ხედი.

ჩატიკალიდან ერთი დღის სავალზე დაინახავთ გოლაბრაის, მლოცველთათვის რიგი თავშესაფრების ისლიან სახურავებს—

ერთოთახიან ქვის შენობებს სასმელი წყლის ღარებით; ეს ღრმა, საკმაოდ დიდი მოცულობის წყალსატევები ივსება პატარა ნაკადულების ანკარა სუფთა წყლით, ზაფხულში ეს ნაკადულები ახალგაზრდა ფიჭვებისაგან უხეშად შეკრული ღარებით ჩამოდის მთიდან. წლის სხვა პერიოდში წყლის ნაკადი თავისუფლად და მხიარულად ჩამოჩუხჩუხებს ხავსით, გვიმრის ბუსუსებით დაფარულ კლდეებზე, მწვანე ბალახა ვარდისა და ლურჯ მოცისფრო სტრობილანტების მშვენიერ სარეცელზე.

მლოცველთა თავშესაფრიდან ასი მეტრის მოშორებით გზის მარჯვენა მხარეს დგას შანგოს ხე. ეს ხე და მის ახლო პანდიტის (გოლაბრაის მლოცველთა თავშესაფრების პატრონის) კუთვნილი ორსართულიანი სახლი ღირსია იმისა, რომ მოვიხსენიოთ, რადგან ისინი მოთხრობაში, რომელიც მე უნდა გიამბოთ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

კიდევ ორ მილს გაივლით გზის უკანასკნელ გაშლილ ნაკვეთზე და მიაღწევთ რუდრაპრაიაგს, სადაც ჩვენ, ჩემო მეგობარო, ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, რადგან თქვენი გზა ალაკნანდაზე გადის და შემდეგ ზევით მანდაკინის მარცხენა ნაპირს მიჰყვება კედერნატხამდე. იმ დროს, როცა ჩემი გზა გადის მთებში ჩემს სახლამდე ნაინი-ტალში.

გზა, რომელიც გელოდებათ გასავლელად, გატკეპნილია მილიონობით თქვენისთანა მლოცველთა მიერ. იგი განსაკუთრებით ციცაბო და მძიმეა: და თქვენ, რომლის ფილტვებს არასოდეს არ უსუნთქავს ზღვის დონეზე მაღალი ჰაერი. თქვენ, რომელიც არასოდეს არ ასულხართ თქვენი სახლის სახურავზე მაღლა და ფეხები არასოდეს არ დაგიდგამთ უფრო მაგარსა და უხეშ საგანზე, ვიდრე თქვენ ტერფს ქვეშ მოყოლილი ქვიშნარია, ძალიან გაგიჭირდებათ ამ გზაზე სიარული. არაერთხელ დაგიდგებათ მომენტი, როცა თქვენ, შეჩერებული ციცაბო მწვერვალების წინ აქოშინებული კვლავ განაგრძობთ გზას რის ვაი-ვაგლახით, სისხლისაგან დაწრეტილი ფეხებით, რომლებიც დაგესერებათ კლდეზე, მახვილ კენჭებიან და გამხმარ თიხნარიან გზაზე სიარულით და მაშინ წამოიჭრება საკითხი იმ მოსალოდნელი ჯილდოს შესახებ, რომელსაც თქვენ ეძებთ: ღირს თუ არა ის ასეთი ტანჯვით ანაზღაურების ფა-

სად? მაგრამ თქვენ, როგორც კეთილი ინდუსი, მაინც განაგრძობთ გზას გულდამშვიდებული იმით, რომ მისი დამსახურება შეიძლება მხოლოდ დიდი ტანჯვის მოთმენით და რამდენად ძლიერია ეს ტანჯვა ამ ქვეყნად, იმდენად დიდი ჯილდო მოგელით მომავალში.

კაციჭამია

„პრაიაგ" ჰინდის ენაზე ნიშნავს „შესართავს". რუდრაპრაიაგში ერთმანეთს ერთვის ორი მდინარე — მანდაკინი, რომელიც კედარნატხიდან მოედინება და ალაკნანდა, რომელიც ბადრინატხადან გამოდის. აქედან ორივე ეს შეერთებული მდინარე ყველა ინდუსისათვის ცნობილია მაის განგის სახელწოდებით, დანარჩენი ქვეყნის ხალხისათვის კი, როგორც განგი. კაციჭამიას, ავაზა იქნება ის თუ ვეფხვი, რომ განასხვაონ სხვებისაგან, აკუთვნებენ რომელიმე ადგილის სახელს. ეს შერქმეული სახელი ყოველთვის როდი ნიშნავს იმას, რომ ცხოველმა თავისი კაციჭამიობის კარიერა სწორედ ამ ადგილას დაიწყო ან მის მიერ ჩადენილი მკვლელობები ამ ფარგლებით განისაზღვრება. სრულიად ბუნებრივია, რომ ავაზა, რომლის კაციჭამიობის ჩვეები აღმოჩენილ იქნა რუდრაპრაიაგიდან თორმეტი მილით დაშორებულ პატარა სოფელში მლოცველთა კედარნატხის გზაზე, ცნობილი გახდა შემდეგ როგორც „რუდრაპრაიაგის კაციჭამია ავაზა".

ავაზა სულ სხვა მიზეზების გამო ხდება კაციჭამია, ვიდრე ვეფხვი, თუმცა საწყენია და მეზიზღება კიდეც ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი ავაზები, ეს ყველაზე ლამაზი და მოხდენილი ცხოველები, რომლებიც თავისი გამბედაობით არაფრით არ ჩამოუვარდებიან ჯუნგლების სხვა ცხოველებს, როცა ისინი მომწყვდეული არიან ჩიხში ან დაჭრილი არიან, მძორით იკვებებიან. ეს ჩვეა იქამდე მიდის, რომ შიმშილის გამო მზად არიან შესანსლონ ყოველგვარი ლეში, რომელსაც ჯუნგლებში პოულობენ, იქცევიან სავსებით ისევე, როგორც ლომები აფრიკის შამბნარებში. გარვალის მცხოვრებნი ინდუსები არიან.

თავიანთ მიცვალებულებს ისინი წვავენ. კრემაცია ყოველთვის ხდება მდინარეებისა და ნაკადულების ნარიყზე, რომ ფერფლი ჩაირეცხოს განგაში და საბოლოოდ ზღვაში მოხვდეს. სოფლების უმრავლესობა მდებარეობს მაღლა მთებში, მდინარეები და შენაკადები კი რამდენიმე მილის მოშორებით მიედინებიან ქვევით ხევში. ამიტომ მიცვალებულის დამარხვა იწვევს სოფლის პატარა თემის ძალების ძნიშვნელოვან დაძაბვას. ეს კიდევ ცოტაა, ზოგმა მიცვალებული უნდა წაიღოს ამ სიშორეს, ზოგს კი უხდება კრემაციისთვის საჭირო საწვავი მასალის შეგროვება და მიტანა. ნორმალურ პირობებში დამარხვის ეს ცერემონიები ტარდება ძალიან გულმოდგინედ, მაგრამ როცა მთის მოსახლეობაში ეპიდემია მძვინვარებს და მოსახლეობა დიდი რაოდენობით იხოცება, ცოცხლად დარჩენილები ვეღარ ასრულებენ რიტუალს და დამარხვის წესი მნიშვნელოვნად მარტივდება. ამ შემთხვევაში მიცვალებულს პირში უდებენ ანთებულ მუგუზალს; ამას აკეთებენ სოფელში; შემდეგ ცხედარი გამოაქვთ კლდის პირას და ისვრიან ქვევით ხევში.

როცა ავაზა მოხვდება ისეთ რაიონში, სადაც არ მოიპოვება მისი ბუნებრივი საკვები, ნახულობს ამ გვამებს და ძალიან მალე ეჩვევა ადამიანის ხორცს. როცა ეპიდემია ცხრება და კვლავ დგება ნორმალური პირობები, ავაზა აწყდება ახალ სიძნელეს — საჭმელი, რომელსაც აქამდე ადვილად შოულობდა. ქრება, მაშინ ის იწყებს ადამიანებზე ნადირობას. ეპიდემიის დროს, რომელმაც 1918 წელს იფეთქა და ინდოეთს ერთ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა, გარვალები ძალზე დაზარალდნენ და აი მაშინ, როცა ეპიდემია ჩაცხრა. არენაზე გამოჩნდა რუდრაპრაიაგის კაციჭამია.

პირველი კაცი, რომლის სიკვდილს ამ კაციჭამიას აწერენ. დაიღუპა სოფელ ბაინჯში 1918 წლის 9 ივნისს, ხოლო უკანასკნელი მკვლელობა მოხდა სოფელ ბხაინსვორში 1926 წლის 14 აპრილს. ამ ორ თარიღს შორის მოკლულთა რიცხვი ოფიციალური ანგარიშით უდრის ას ოცდახუთ კაცს.

არ ვიცი, ეს რიცხვი — ას ოცდახუთი — რამდენად შეეფარდება იმ მონაცემებს. რომლებიც იმ დროს მოდიოდა გარვა-

ლის სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და რეზიდენტებისაგან, მაგრამ კარგად ვიცი, რომ ეს არაა სწორი, რადგან ჩემი იმ ადგილებში ყოფნის დროს მომხდარი რამდენიმე მკვლელობა სრულიად არ იყო მოხსენებული ცნობებში.

თუ სარწმუნო წყაროდ მივიჩნევდით ცნობებს მკვლელობათა შემცირებულ რაოდენობაზე, რომელზეც პასუხისმგებელია კაციჭამია, ამით მე შევამცირებდი ყველაფერ იმას, რაც განიცადა გარვალის ხალხმა ხანგრძლივი რვა წლის განმავლობაში. ასევე არ მინდა დავამცირო რეპუტაცია ცხოველისა, რომელსაც გარვალელები თვლიდნენ ყველაზე სახელგანთქმულ კაციჭამია ავაზად.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო მის მიერ ადამიანთა მსხვერპლი, გარვალს შეეძლო დანაძლევება, რომ ეს კაციჭამია იყო ის ცხოველი, რომელზეც პრესაში უფრო მეტი ცნობები ქვეყნდებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე ოდესმე არსებულ ავაზაზე. როგორც ვიცი, მის შესახებ ლაპარაკი იყო შეერთებული სამეფოს, ამერიკის, კანადის, სამხრეთ აფრიკის, კენიის. მალაის, ჰონგკონგის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის პრესაში და ინდოეთის ყოველდღიური და ყოველკვირეული გამოცემების უმრავლესობაში.

გაზეთის ფურცლების გარდა, ამბები კაციჭამიას შესახებ დამატებით გაჰქონდა ინდოეთის ყველა ნაწილში ყოველწლიურად კადარნატხასა და ბადრინატხას წმიდათა წმიდა ადგილების თაყვანსაცემად მოსულ სამოც ათას მლოცველს.

მთავრობის მიერ კაციჭამიაზე მიწერილ ადამიანთა სიკვდილიანობის ანგარიშწარმოება იმაში მდგომარეობდა, რომ მიცვალებულის ნათესავები ან მეგობრები მომხდარი ამბისთანავე დაუყოვნებლივ აძლევდნენ ცნობას პატვარის. ამ ცნობის მიღებისთანავე პატვარი მიემგზავრებოდა ადგილზე და თუ მის მისვლამდე მსხვერპლის გვამი არ იქნებოდა აღმოჩენილი, აწყობდა მაძიებელ ჯგუფს და მათი დახმარებით ცდილობდა გვამის პოვნას. თუ გვამს აღმოაჩენდნენ პატვარის მისვლამდე ან მას ნახავდა მაძიებელი ჯგუფი, მაშინ პატვარი აწარმოებდა ძიებას ადგილზე. როცა ის დარწმუნდებოდა, რომ

მკვლელობა ჩადენილია ავაზას და არა კაცის მიერ, მიცვალებულის ნათესავებს ნებას რთავდნენ წაეღოთ ნეშტი კრემაციისათვის ან დასამარხად, იმის მიხედვით, თუ რა კასტის ან რელიგიის მიმდევარი იყო მსხვერპლი. ჟურნალში კეთდებოდა მოცემულ რაიონში კაციჭამიას აქტივობის შესახებ არსებულ სვეტში მომხდარი ამბის სათანადო რეგისტრაცია, და ამის შესახებ სრული მოხსენება წარედგინებოდა გასარჩევად ადმინისტრაციული ოლქის მეთაურს — კომისარს, რომელიც თავის მხრივ ადგენდა ოფიციალურ სიას, რომელშიც შეჰქონდა ყველა დაზარებულის სახელი და გვარი, მაგრამ თუ ვერ მიაგნებდნენ დაღუპულის გვამს ან მის რომელიმე ნაწილს, რაც იშვიათი არ იყო, რადგან კაციჭამიას ერთი ცუდი ჩვეულება ჰქონდა — მსხვერპლს დიდ მანძილზე ათრევდა, ამიტომ შემდგომი გამოძიების აუცილებლობის გამო გადაწყვეტილების გამოტანა საქმის გარშემო გადაიდებოდა და მკვლელობა ოფიციალურად კაციჭამიას არ მიეწერებოდა. აგრეთვე, თუ მსხვერპლი მხოლოდ დასახიჩრებული იყო კაციჭამიას მიერ და ჭრილობებისგან გარდაიცვალა, ამ შემთხვევაში ავაზა სიკვდილის მიზეზად არ ითვლებოდა.

მიუხედავად კაციჭამიას მიერ ჩადენილ მკვლელობათა შესახებ შემოღებული კეთილსინდისიერი სააღრიცხვო სისტემისა, სრულიად დასაშვებია, რომ ამ არანორმალური ცხოველების მიერ ადამიანთა მსხვერპლი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ოფიციალურად არის აღრიცხული, განსაკუთრებით კი, იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ავაზა მრავალი წლის მანძილზე ცოცხლობს.

საშინელება

სიტყვა „საშინელება“ ჩვეულებრივ ყველგან იხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში და ტრივიალურ მდგომარეობებთან დაკავშირებით. ამიტომ არა მგონია, რომ ის ასახავდეს თავის ჭეშმარიტ შინაარსს. აი, რატომ მინდოდა შემექმნა თქვენთვის წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის საშინელება და რას

წარმოადგენდა ნამდვილი საშინელება გარვალში ხუთასი კვადრატული მილის ფართობზე მოსახლე ორმოცდაათი ათასი მცხოვრებისათვის და ყოველწლიურად 1918 წლიდან 1926 წლამდე ამ ტერიტორიაზე გამვლელ სამოცი ათასი მლოცველისათვის. მინდა აღვნიშნო რამდენიმე ცალკეული შემთხვევა, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რის საფუძველზე გრძნობდნენ მცხოვრებლები და მლოცველები ამ საშინელებას და რატომ იყვნენ ისინი ასე ტერორიზებული.

არავითარი ნაღარა არ მოქმედებდა ისე კატეგორიულად და არ სრულდებოდა ისე უსიტყვოდ, როგორც რუდრაპრაიაგიდან მოსული კაციუამია ავაზას გამოჩენის დროს მიცემული საგანგაშო სიგნალი.

ამ ტერიტორიაზე მზის ჩასვლამდე ცხოვრება ჩვეულებრივი იყო. მამაკაცები მიდიოდნენ შორს ბაზარში თავიანთ საქმეებზე ან სხვა შორეულ სოფლებში ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად; ქალები კი დადიოდნენ მთებში ლერწმის საჭრელად სახურავისათვის ან საქონლის საკვებად. ბავშვები მიდიოდნენ სკოლაში ან ჯუნგლებში, სადაც თხებს მწყემსავდნენ და გამხმარ ფიჩხს აგროვებდნენ. ზაფხულობით თითო-ოროლა მლოცველი ან მლოცველთა დიდი ჯგუფი რის ვაი-ვაგლახით მიღონღიალებდა გზაზე.

მაგრამ როგორც კი მზე გადაიწვერებოდა დასავლეთისაკენ და ჩრდილები დაგრძელდებოდა, ამ რაიონში მყოფ ადამიანთა ქცევა მკვეთრად და შესამჩნევად იცვლებოდა: მამაკაცები, რომლებიც ბაზარში ან მეზობელ სოფლებში სეირნობდნენ, სახლისკენ მოიჩქაროდნენ, ქალები, რომლებიც მოათრევდნენ ლერწმის მძიმე კონებს, ბორძიკით ეშვებოდნენ ციცაბო მთის კალთებიდან; სკოლიდან გზაზე შეფერხებულ ცხვრებისა და თხების მოსადენად დაგვიანებულ და გამხმარი ფიჩხის მოსატანად გაგზავნილ ბავშვებს ხმამაღლა უძახდნენ შეშინებული დედები. ადგილობრივი მცხოვრებლები დაღლილ მლოცველებს მოაგონებდნენ, რომ დრო იყო თავშესაფრებში წასულიყვნენ.

ღამე რომ ჩამოწვებოდა, ავის მომასწავებელი სიჩუმე დაი-

ადგურებდა მთელ რაიონში — არსად ხმაური, არსად ჩამიჩუმი, ყველაფერი გაქვავებული იყო.

მთელი ადგილობრივი მოსახლეობა მაგრად დახურულ კარებს უკან იმარხებოდა და ხშირად თავიანთ უშიშროებას უზრუნველყოფდა ზედმეტი კარის ჩამოკიდებით. ის მლოცველები, რომლებმაც თავი ვერ შეაფარეს სახლებს, უწესრიგოდ ეყარნენ მლოცველთა თავშესაფრებში, რაც შეიძლებოდა მჭიდროდ. და ყველას — სახლში იქნებოდა თუ თავშესაფარში — შიშისაგან ხმა გაეკმიდა, რომ საშინელი კაციჭამიას ყურადღება არ მიეპყრო.

აი რას ნიშნავდა „საშინელება“ გარვალებისა და მლოცველთათვის ხანგრძლივი რვა წლის განმავლობაში.

ახლა მოგიყვანთ რამოდენიმე მაგალითს, რომ დაგანახოთ, რა იყო ამის მიზეზი.

თოთხმეტი წლის ობოლი ბიჭი დაიქირავეს თხების სამწყემსად. ის ეკუთვნოდა „მიუკარებლების“ * დაჩაგრულთა კასტას. ყოველ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, მას აძლევდნენ საჭმელს და შემდეგ ამწყვდევდნენ თხებთან ერთად პატარა გომურში. ეს გომური იყო ორსართულიანი შენობის პირველ სართულზე და სწორედ იმ ოთახის ქვემოთ, რომელიც ეჭირა თხების პატრონს. ბიჭმა გადაღობა გომურის მარცხენა კუთხე, იმ მიზნით, რომ შეჯგუფებულ თხებს ძილის დროს არ გაეთელათ ის.

გომური უფანჯრო იყო და მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა. პატრონი ბიჭსა და თხებს მშვიდობიანად რომ შერეკავდა შიგ, დახურავდა ხოლმე კარს და გაუყრიდა კარის სახელურზე პატარა ჯაჭვით დამაგრებულ ურდულს. შემდეგ, რაზა რომ მაგრად ყოფილიყო, ამ სახელურში გაურჭობდა ხის სოლს, ბიჭი კი თავის მხრივ უფრო მეტი უშიშროებისათვის კარზე შიგნიდან ქვას მიადებდა ხოლმე. იმ ღამეს, როცა ობოლი საიქიოს გაემგზავრა, კარი, როგორც მისი პატრონი ამტკიცებდა,

* ინდოეთის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც არ ეკუთვნის არც ერთ სამ ძირითად კასტას („ვაიშია და სუდრა“ — ხელოსნები და გლეხები. „კშატრია“ — მხედრობა და ვაჭრები და „ბრაჰმანები“ — ორჯერ დაბადებულნი).

დაკეტილი და გამაგრებული იყო ჩვეულებრივად და არავითარი საფუძველი არ მაქვს ეჭვი შევიტანო მისი ნაამბობის სისწორეში. ეს იმითაც მტკიცდება. რომ კარს აჩნდა კლანჭების ბევრი ღრმა განაკაწრი. სავსებით შესაძლებელია, რომ კარების გაღების ცდის დროს ავაზა კლანჭებით ფხაჭნიდა ფიცრებს და გამოაძრო ურდულის დამჭერი ხის სოლი, რის შემდეგ მისთვის ადვილი იყო ქვის კვერდზე კაწევა და გომურში შეჭრა.

გომურში შეჯგუფული ორმოცი თხა, როცა მისი ერთი კუთხე გადაღობილი იყო, ახლად მოსულს. რასაკვირველია, შეუშლიდა ხელს თავისუფლად მოძრაობაში და მხოლოდ გასაოცარი ისაა, როგორ მივიდა ავაზა იმ ადგილზე, სადაც ბიჭს ეძინა, — თავზე გადაევლო თხებს, თუ მუცლის ქვეშ კაუძვრა, რადგან ამ შემთხვევაში თხები ფეხზე უნდა წამომჯდარიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გომურში შემოსვლის დროს ავაზამ ხმაური ატეხა, ბიჭს. როგორც ჩანს, მაგრად ეძინა. თხები ვერ შეუშლიდნენ ხელს მზეცს გომურში შესულიყო და ავაზასაგან მხოლოდ თხელი თამასებით დაცული ბიჭუნა ვერავის მოუხმობდა საშველად.

როცა ავაზამ ბიჭი მოჰკლა შემოღობილ კუთხეში, თხები გარეთ გამოცვივდნენ. ავაზამ გაათრია ის ცარიელ გომურიდან, შემდეგ თავქვე დაეშვა ყანებზე და ჩაიტანა რიყის ქვებით დაფარულ ხევში. სწორედ აქ. მზის ამოსვლიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ, პატრონმა იპოვა ავაზას მიერ შეჭმული საცოდავი ბიჭის სხეულის ნარჩენები.

როგორ დაუჯერებლადაც არ უნდა გეჩვენოთ ეს ამბავი, ორმოცი თხიდან არც ერთი არ იყო უბრალოდ გაკაწრული.

მეზობელმა თავისი მეგობარი მოინახულა, რომ ორივეს ვემოზე გაებოლებია თამბაქო. ოთახს ლათინური ასო „L"-ის მოყვანილობა ჰქონდა; ისინი იატაკზე ისხდნენ კედლისაკენ ზურგშექცევით და თამბაქოს ეწეოდნენ. ოთახის ერთადერთი კარი არ ჩანდა, იგი მიხურული იყო მხოლოდ, რადგან ამ ღამემდე რაიონში მცხოვრებლებზე ავაზას თავდასხმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ოთახში ბნელოდა და სახლის პატრონმა ის იყო გადასცა ნარგილე თავის მეგობარს, რომ იქიდან გადმოვარდა ნაკვერცხალი, შემდეგ გადმოცვივდა თამბაქო და იატაკზე მიმოიბნა. სახლის პატრონმა უთხრა მეგობარს, ფრთხილად იყავი, თორემ საბანს, რომელზეც ზიხარ, ცეცხლი წაეკიდებაო, და ის იყო დაიხარა ნარგილედან იატაკზე დაყრილი ფერფლის მოსაგროვებლად, რომ ამ დროს მთვარის შუქი შემოიჭრა გაღებული კარიდან ოთახში და მოულოდნელად თვალი შეასწრო ავაზას, რომელმაც თვალის დახამხამებაში გაიტაცა მისი მეგობარი ოთახიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ ბეწვზე გადარჩენილმა კაცმა, რომელიც ამ საშინელი შემთხვევის გამო მიამბობდა, მითხრა: „ეს მართალია, საიბ, რომ მოგახსენებთ, სრულიად არაფერი გამიგონია-თქო, ან ამოოხვრა, ან რაიმე სხვა ხმა ჩემი მეგობრისა, რომელიც ხელის მისაწვდომ მანძილზე იჯდა ჩემგან, არაფერი გამიგონია არც მაშინ, როცა მას თავს დაესხა ავაზა და არც მაშინ, როცა ოთახიდან გაიტაცა იგი. ვერაფერს ვუშველიდი, ამიტომ დაველოდე, სანამ ავაზა გაეცლებოდა სახლს, შემდეგ მივჩოჩდი ფრთხილად კარებთან და სწრაფად დავკეტე".

ციებ-ცხელებით დაავადებული სოფლის მამასახლისის ცოლის მოსავლელად მოუხმეს მის ორ მეგობარს.

სახლი ორი ოთახისგან შედგებოდა. წინა ოთახს ჰქონდა ორი კარი: ერთი გადიოდა ფილებით მოფენილ პატარა ეზოში, მეორე კი—შიგა ოთახში. ამ ოთახის კედელში, იატაკიდან ოთხი ფუტის სიმაღლეზე იყო ვიწრო ჭრილი, რომელიც ფანჯრის მაგივრობას ასრულებდა. ფანჯარაზე (იგი ღია იყო) ავადმყოფისათვის იდგა სასმელი წყლით სავსე დიდი ჭურჭელი.

გარდა წინა ოთახში გასასვლელი კარისა, შიგა ოთახს არავითარი სხვა გასასვლელი არ ჰქონდა. ეზოში გასასვლელი კარი დახურული და საიმედოდ ჩაკეტილი იყო, ორ ოთახს შორის კი კარი ფართოდ იყო ღია.

შიგა ოთახში იყო სამი ქალი, იმათ იატაკზე მოეკალათებიათ, თანაც ავადმყოფი მეგობრებს შუა ჩაეწვინათ. ქმარი ტახტზე იწვა წინა ოთახში ფანჯრის მხარეს. მისი საწოლის

ახლოს, იატაკზე იდგა ნავთის ეკონომიის მიზნით პატრუქჩაწეული ფარანი, რომელიც მეზობელ ოთახს ანათებდა.

დაახლოებით შუაღამისას, როცა ორივე ოთახში მყოფთ ეძინათ, ავაზა ჯადოსავით გაძვრა ვიწრო სარკმელში ისე, რომ არ გადმოუყრია ფანჯრის რაფიდან სპილენძის ჭურჭელი, გვერდი აუარა დაბლა მდგარ ქმრის საწოლს, შეძვრა შიგა ოთახში და მოჰკლა ავადმყოფი. და მხოლოდ მაშინ, როცა სპილენძის მძიმე ჭურჭელი ხმაურით გადმოცვივდა იატაკზე, ავაზას მიერ ფანჯრიდან მსხვერპლის გადათრევის ცდის დროს, მძინარეებმა მხოლოდ მაშინ გაიღვიძეს:

ფარანში პატრუქს რომ აუწიეს, ფანჯრის ქვეშ ნახეს მოკრუნჩხული ქალი, რომელსაც ავაზას ეშვებისაგან ოთხი ღრმა ჭრილობა ჰქონდა ყელში მიყენებული.

ერთ-ერთმა მეზობელმა, რომლის ცოლი იმ ღამეს ავადმყოფთან იყო, ამ ამბის მოყოლის დროს თქვა: — ის ქალი მძიმე ავადმყოფი იყო და სულერთია მოკვდებოდა; მაშასადამე, ეს ბედნიერებაა, რომ ავაზამ სწორედ ის აირჩიაო.

ორი ძმა ოცდაათ კამეჩს მიერეკებოდა ერთი საძოვრიდან მეორეზე. მათთან ერთად იყო უფროსი ძმის ოცი წლის ქალიშვილი.

ძმები არ იცნობდნენ იმ მხარეს. მათ ან არ გაეგონათ კაციჭამიას შესახებ, ანდა ფიქრობდნენ, ალბათ, რომ კამეჩები დაიცავდნენ.

გზის ახლო, რვა ათასი ფუტის სიმაღლეზე იყო ვაკე ადგილი, რომლის ქვემოთ მდებარეობდა ტერასებად ძირს დაშვებული აკრის ერთი მეოთხედი დაუმუშავებელი ყანა. მამაკაცებმა აირჩიეს ეს ადგილი ბანაკის გასაშლელად. იქვე მდებარე ჯუნგლებში მოჭრეს პალოები, ჩაასვეს ღრმად მიწაში და ერთ გრძელ მწკრივად მიაბეს მასზე თავიანთი კამეჩები. ქალიშვილის მიერ მომზადებული საჭმლით რომ ივახშმეს, სამივენი გაეხვივნენ საბნებში და დაწვნენ მიწაზე გზასა და კამეჩებს შორის.

ბნელი ღამე იყო. გამთენიისას ძმებს გაეღვიძათ კამეჩების ყელზე შებმული ზარების წკარუნზე და დამფრთხალი ცხოველების ღრიალზე. ხანგრძლივი გამოცდილებით იცოდ-

ნენ, რომ ეს ხმაური გამაფრთხილებელი ნიშანი იყო მტაცებელი ნადირის მოახლოების შესახებ. მწყემსებმა აანთეს ფარანი, მივიდნენ კამეჩების დასაწყნარებლად და გასინჯეს, ხომ არ აიწყვიტა რომელიმე მათგანმა და როცა რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდნენ ადგილზე, მძინარე ქალიშვილი აღარ იყო. საბანს, რომელიც მას ეხურა, სისხლის დიდი ლაქები აჩნდა.

როგორც კი ინათა, მამა და ბიძა გაჰყვნენ სისხლიან ნაკვალევს.

ჩამოუარეს მიბმულ კამეჩებს, შემდეგ კვალმა წაიყვანა ისინი პატარა ყანაში, გაიარეს მათ რამდენიმე იარდი, ჩაჰყვნენ ქვევით ბორცვის ციცაბო ფერდობს და მივიდნენ იმ ადგილზე, სადაც ავაზას შეეჭამა თავისი მსხვერპლი. „ჩემი ძმა უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული, საიბ. მას ვაჟი არ ჰყავდა და შეჰყურებდა მხოლოდ ამ ერთ ქალიშვილს, როძელიც მალე უნდა გათხოვილიყო. სრული იმედი ჰქონდა, რომ ახლო მომავალში მას ვაჟი ეყოლებოდა... ახლა კი, გამოჩნდა ავაზა და შეეჭამა ის“.

შემიძლია დაუსრულებლად მოგითხროთ ასეთი ამბები, რადგან ამგვარი შემთხვევები ძალიან ბევრი მომხდარა და თითოეულ მათგანს თავისი ტრაგიკული ბოლო ჰქონდა. მაგრამ, ვფიქრობ, საკმაოდ გიამბეთ და დაგარწმუნეთ იმაში, თუ რამდენად სერიოზული მიზეზი ჰქონდა გარვალის ხალხს ყოფილიყო ტერორიზებული რუდრაპრაიაგის კაციჭამია ავაზას მიერ. ეს კიდევ უფრო გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ იმას, რომ გარვალელები ძალიან ცრუმორწმუნენი არიან და ავაზას ფიზიკურად შეხების შიშს კიდევ ემატება მისი ზებუნებრივი შიშის გრძნობა. ამის მაგალითს ახლავე მოვიყვან.

ერთხელ დილაადრიან გამოვედი რუდრაპრაიაგის საპოლიციო ინსპექციის შენობიდან და აივანზე გავედი თუ არა, ადამიანთა ფეხით ოდნავ გატკეპნილ ნიადაგზე დავინახე კაციჭამიას თათების ანაბეჭდი.

ანაბეჭდები სრულიად ახალი იყო. როგორც ჩანდა, ავაზა ჩამოვიდა აივნიდან სულ რამდენიმე წუთით ადრე, ჩემს გამოჩენამდე. კვალის მიმართულება გვიჩვენებდა. რომ ბუნეა-

ლოს უშედეგოდ მონახულების შემდეგ, კაციჭამიამ გაიარა დაახლოებით ორმოცდაათი იარდი, მლოცველთა გზისკენ.

კვალდაკვალ დევნა კოლბოხებიან ნიადაგზე ბუნგალოსა და გზას შორის შეუძლებელი გახდა. მაგრამ, როგორც კი ჭიშკრამდე მივაღწიე, შევნიშნე, რომ კვალი გოლობრაის მიმართულებით მიდიოდა. წინა საღამოს ცხვრებისა და თხების დიდ ფარას გაეცალა გზაზე, მტვერი დაეყენებიათ და ზედ ავაზას ნაკვალევი ისევე ნათლად ჩანდა, როგორც ახლად დადებულ თოვლზე.

ამ დროისათვის მე უკვე მშვენივრად ვცნობდი კაციჭამიას თათების ნაკვალევს და ჩემთვის აღარ წარმოადგენდა სიძნელეს მისი გარჩევა, სხვა რომელიმე ასობით ავაზას თათების ანაბეჭდისაგან.

როცა მტაცებელი ნადირის კვალს აკვირდებით, უამრავი ცნობები გიგროვდებათ და მის მიხედვით შეგიძლიათ განსაზღვროთ სქესი, ასაკი და ცხოველის სიდიდე. პირველადვე, როგორც კი დავინახე კაციჭამიას ნაკვალევი, გულდასმით შევისწავლე ის და დავასკვენი, რომ ეს არის ჩვეულებრივზე უფრო დიდი ზომის საკმაოდ ხნიერი ხვადის ნაკვალევი.

ამ დილით კაციჭამიას ნაკვალევს რომ მივყვებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ ის რამდენიმე წუთით იყო ჩემზე წინ აქ და ნელი ნაბიჯით მიიწევდა.

დილა ადრიან პატარა ღარტაფებში დაკლაკნილ გზაზე არავინ მოძრაობდა. შესაძლებელია, სწორედ ამ მიზეზის გამო უღალატა ავაზამ ჩვევას — არ გამოჩენილიყო დღე. ამიტომ მე ძალზე ფრთხილად ვუვლიდი გვერდს ყოველ მოხვეულს, სანამ არ აღმოვაჩინე, რომ ავაზა ერთ მილზე გამოვიდა გზიდან და სწრაფი ნაბიჯებით ხშირი ტყითა და ბუჩქნარით დაფარულ ჯუნგლებს მიაშურა.

ასი იარდის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ავაზამ გზიდან გადაუხვია, მდებარეობდა პატარა ყანა. რომლის შუაგული პატრონს კუნელით შემოეღობა, რათა მწყემსებს ნახირი დაეყენებიათ ამ ადგილას და ამგვარად მოეგროვებია ნაკელი. შემოღობილის შიგნით წინა საღამოს გზაზე მიმავალი ცხვრებისა და თხების ფარა იდგა.

ფარას პატრონის ტლანქი სახის მიხედვით თუ იმსჯელებდით, შეგეძლოთ დაგესკვნათ, რომ იგი მენახირისა და განუწყვეტლივ მოხეტიალე წვრილმანებით მოვაჭრის ხელობას ეწეოდა მლოცველთა გზაზე ნახევარი საუკუნის მანძილზე. როცა მე მივედი, ის სწორედ მაშინ აღებდა შემოღობილის ეკლიან ჭიშკარს. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხა, რომ ავაზას არავითარი ნიშნები არ შეუმჩნევია; მხოლოდ გარიჟრაჟზე მის ორ ნაგაზს დაეყეფა, ცოტა მოგვიანებით კი, გზის ახლო ჯუნგლებში კარკერის ყეფის მაგვარი ხმა გაეგონა.

მენახირე დაინტერესდა, რათ მინდოდა თხა, რომლის მიყიდვა ვთხოვე. როცა ვუპასუხე, რომ თხა კაციჭამიას მისატყუებლად მინდოდა, მენახირე მივიდა ეკლიან ღობესთან, მიხურა ჭიშკარი, გამომართვა ერთი სიგარეტი და გზისაკენ ზურგშექცევით პატარა კლდის შვერილზე ჩამოჯდა.

რამდენიმე ხანს ჩვენ უხმოდ ვაბოლებდით; ჩემი კითხვა ჯერ კიდევ უპასუხოდ იყო დარჩენილი. შემდეგ მან დაიწყო ლაპარაკი.

„უეჭველია, საიბ, თქვენ სწორედ ის კაცი ხართ, რომლის შესახებაც მსმენია ბადრინატხას ახლო მდებარე ჩვენი სოფლის გზაზე. მე ძალიან მწყინს, რომ თქვენ ეს გრძელი გზა სულ ტყუილად გამოიარეთ. ამ რაიონში ყველა ადამიანის სიკვდილის მიზეზია ბოროტი სული და არა ავაზა, როგორც თქვენ გგონიათ. ვერ მოჰკლავს მას ვერც ტყვია, ვერც საფანტი, ან რაიმე სხვა საშუალება, რომელიც თქვენ და თქვენამდე კიდევ სხვას მრავალს უცდია. იმის დასამტკიცებლად, რომ მე სიმართლეს მოგახსენებთ, სანამ მეორე სიგარეტს მოვწევდე, გიამბობთ ერთ შემთხვევას.

ეს ისტორია მამამ გამანდო და, როგორც ყველასთვის ცნობილია, ვერვინ ამხილა, რომ ის ტყუოდა.

მამაჩემი მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო და მე დაბადებულიც არ ვიყავი, როცა ისეთი ბოროტი სული, როგორიც ახლა მოსვენებას არავის აძლევს, გამოჩნდა ჩვენს სოფელში, და მასზე ყველა ამბობდა, რომ იგი ავაზაა. მამაკაცები, ქალები და ბავშვები წამდაუწუმ იღუპებოდნენ თავიანთ სახლებში და ხალხი ყველა ზომას ღებულობდა, რომ მოეკლათ მტაცებელი.

უგებდნენ მახეებს, და საუკეთესო მონადირეები ხეებიდან ესროდნენ ტყვიებს ავაზას, და როცა ყველა ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა, ხალხი საშინელებამ მოიცვა. მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდის ვერავინ ბედავდა თავშესაფრიდან ან სახლიდან ფეხის გამოდგმას.

მაშინ იმ სოფლის, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა, და ახლო მდებარე სოფლების მამასახლისებმა შეკრიბეს ხალხი პანჩაიატზე — სოფლის ადგილობრივ სასამართლოში, — და ყველა რომ გამოცხადდა, მოსამართლეებმა თხოვნით მიმართეს დამსწრეთ მოეგონებიათ რაიმე ახალი ხერხი, რომ თავი დაეღწიათ კაციჭამია ავაზასაგან. მაშინ ერთმა, იმ ადგილიდან მოსულმა მოხუცმა, სადაც მიცვალებულებს სწვავენ და რომლის შვილიშვილი წინა ღამეს მოჰკლა კაციჭამიამ, ადგა და განაცხადა, რომ მასთან ოთახში ავაზა კი არ შესულა და მოუკლავს მისი მძინარე შვილიშვილი, არამედ მათი სასოფლო თემის წევრი, რომელიც, როგორც კი შიმშილს, ადამიანის ხორცისა და სისხლის წყურვილს იგრძნობს, ღებულობს ავაზას სახეს, აი რატომ არ შეიძლება ჩვეულებრივი ნაცადი ხერხით მისი მოკვლა, და ეს უკვე საკმაოდაა დადასტურებული. მისი განადგურება შეიძლება მხოლოდ ცეცხლით. მას ეკვი აქვს ერთ სქელ სადხუზე, რომელიც ცხოვრობს დანგრეული ტაძრის მახლობლად ქოხში.

როცა მან გაათავა ლაპარაკი, ატყდა დიდი ჩოჩქოლი. ზოგი ყვიროდა, მწუხარებამ შვილიშვილის დაკარგვის გამო მოხუცი ჭკუიდან შეშალაო, ზოგიერთები კი ამტკიცებდნენ, რომ მოხუცი მართალიაო, და იგონებდნენ, რომ სადხუ მოვიდა სოფელში სწორედ იმ დროს, როცა მკვლელობები დაიწყოო. შემდეგ ისიც გაახსენდათ, რომ მკვლელობის მეორე დღეს სადხუს თურმე მთელი დღე ეძინა პირდაპირ მზის ქვეშ, თავის საწოლზე გაშხლართულს.

როცა წესრიგი დამყარდა, მსჯელობა კიდევ დიდ ხანს გაგრძელდა და პანჩაიატმა საბოლოოდ დაადგინა, რომ ჯერჯერობით არავითარი ღონისძიება არ მიეღოთ, შემდეგში კი სადხუს ყოველ მოქმედებაზე დაეწესებიათ მუდმივი კონტროლი.

შეკრებილი ხალხი გაიყო სამ ჯგუფად — პირველ ჯგუფს უნდა დაეწყო მეთვალყურეობა დაახლოებით იმ ღამიდან, როდესაც ელოდნენ შემდეგ მკვლელობას, მკვლელობები კი ხდებოდა ცოტად თუ ბევრად განსაზღვრულ დროში.

პირველი და მეორე ჯგუფები მრავალი ღამის განმავლობაში დარაჯობდნენ სადხუს, მაგრამ მას არ დაუტოვებია თავისი ქოხი.

მამაჩემი მესამე ჯგუფში იყო. როცა დაღამდა, ის ჩუმად დადგა თავის საგუშაგოზე, მალე ქოხის კარი გაიღო, გამოჩნდა სადხუ და გაქრა ღამის წყვდიადში. რამდენიმე საათის შემდეგ, გაისმა სულთმობრძავი კვნესა; მან ზემოდან გადაუქროლა მაღლა მთაზე მენახშირის ქოხს. ამის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

არც ერთ კაცს მამაჩემის ჯგუფიდან იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. როცა აღმოსავლეთმა მტრედისფრად ინათა, იმათ დაინახეს სადხუ, რომელიც სახლისკენ მოიჩქაროდა; მას პირიდან და ხელის თითებიდან სისხლი წვეთავდა.

როცა სადხუ შევიდა თავის ქოხში და მიიხურა კარი, ისინი, ვინც დარაჯობდნენ, მივიდნენ, გაუყარეს სახელურში წირთხლზე ჩამოკიდებული ჯაჭვი და გარედან მაგრად გადაუკეტეს კარი. შემდეგ თითოეულმა მიაშურა თავის ზვინს და მთელი იღლია თივა მოიტანა... დილას, როცა მზემ ამოანათა, იმ ადგილას, სადაც სადხუს ქოხი იდგა, აღარაფერი დარჩენილა, გარდა ნაცრისა. იმ დღიდან მკვლელობა შეწყდა.

ამ ადგილებში მცხოვრებ მრავალ სადხუდან, დღემდე არც ერთზე არავის ეჭვი არ მიუტანია, მაგრამ, როცა ეს მოხდება, იგივე მეთოდი იქნება გამოყენებული აქაც. მანამ კი, სანამ ეს დღე არ დადგება — გარვალის ხალხის ტანჯვას ბოლო არ მოეღება.

თქვენ მე მეკითხებოდით, მოგყიდით თუ არა თხას. მე ვერ მოგყიდით მას, საიბ, რადგან არ მყავს ზედმეტი. ხოლო იმის შემდეგ, რაც თქვენ ჩემი ნაამბობი მოისმინეთ, თუ მაინც გსურთ მიაბათ ცხოველი იმისათვის, ვისაც თქვენ თვლით კაციჭამია ავაზად, მე შემიძლია გათხოვოთ ერთი ჩემი ცხვარი. თუ იგი მოჰკლეს, თქვენ გადამიხდით მის საფასურს, თუ არა—

მაშინ არავითარი ანგარიშსწორება ჩვენ შორის არ იქნება. დღეს და ამ ღამესაც აქ დავრჩები, ხვალ კი ბხუტიას * ამოსვლისთანავე გზას უნდა გავუდგე".

იმ საღამოს მზის ჩასვლისას ისევ მივადექი ეკლიან ღობეს და ჩემმა მეგობარმა მენახირემ გულთბილად მიმიღო, ამომარჩევია ჯოგიდან მსუქანი ცხვარი, რომელიც საკმაოდ დიდი მომეჩვენა, — ავაზას ორ დღეს ეყოფოდა საჭმელად. ცხვარი დავაბი ჯაგნარში იმ ბილიკის გვერდით, რომელზეც თორმეტიოდე საათის წინ კაციჭამიამ გაიარა.

დილას ადრე ავდექი და ბუნგალოდან გამოსვლისას ისევ დავინახე აივანზე ავაზას თათების ნაკვალევი. ჭიშკართან შევამჩნიე, რომ იგი გოლობრაის მხრიდან მოსულიყო, მოენახულებია ბუნგალო და რუდრაპრაიაგის ბაზრისაკენ გაჰყოლოდა გზას.

იმ ფაქტს, რომ ავაზა ცდილობდა ადამიანის ხორცით დანაყრებას, ამტკიცებდა ის, რომ ის სრულებით არ დაინტერესებულა ცხვრით, რომელიც მე მოვუმზადე შესაჭმელად. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა დავინახე, რომ მას პირი არ დაეკარებია ცხვრისათვის, რომელიც მას მოეკლა, როგორც ჩანს, სულ მალე, დაბმისთანავე.

„საიბ, სჯობს სახლში დაბრუნდეთ. ნუ ჰკარგავთ უბრალოდ დროსა და ფულს", — აი, როგორი რჩევა მომცა გამომშვიდობებისას მენახირემ, როცა იგი თავს უყრიდა ჯოგს, რომ გამგზავრებულიყო ჰარდვარის გზის გასწვრივ.

საბედნიეროდ, ტრაგიკული დაბოლოების გარეშე, რაღაც ამგვარი მოხდა რამდენიმე წლის წინათ რუდრაპრაიაგის ახლოს.

ნათესავებისა და მეგობრების დაღუპვით განრისხებულმა ხალხმა, დარწმუნებულმა იმაში, რომ მათ სიკვდილში ხელი ურევია ვილაც ადამიანს, შეიპყრეს ერთი საწყალი სადუ — დაზიულაპატი სოფელ კოტხგიდან. მავრამ, სანამ ხალხი შურისძიების ყინს მოიკლავდა, გამოჩნდა გარვალის ადმინისტრა-

---

* ბხუტია — საერთოდ გზის მაჩვენებელი ეარსკვლავის საზოგადო სახელწოდებაა.

ციის ყოფილი სპეციალური რწმუნებული ფილიპ მეისონი, რომელსაც იქვე ახლო კარავი გაეშალა. როგორც დიდად გამოცდილმა ადამიანმა, მეისონმა ალღო აუღო ხალხის განწყობას, აწონ-დაწონა მდგომარეობა და მიმართა მათ. რომ მას ეპვი არ ეპარება, დაჭერილია ნამდვილი დამნაშავე, მაგრამ სანამ სადხუს დასჯიდეთ, სამართლიანობა მოითხოვს მისი დანაშაული იქნას დადგენილიო. ამ მიზნით მან შეიტანა წინადადება, რათა სადხუ დაპატიმრებულ იქნას და დღე და ღამე მკაცრად ადევნონ თვალყური. ეს წინადადება მიიღო ხალხმა და შვიდი დღე-ღამის განმავლობაში სადხუს ფხიზლად დარაჯობდა პოლიცია: ასევე გულმოდგინედ დარაჯობდნენ მას ადგილობრივი მცხოვრებლებიც. მერვე დილას, როცა გუშაგი და მცხოვრებთაგან გამოყოფილი მცველები შეცვალეს, მოვიდა ცნობა, რომ ამ ადგილიდან რამდენიმე მილის მოშორებით, სოფელში გატეხეს სახლი და ადამიანი გაიტაცესო.

მოსახლეობა აღარ წავიდა სადხუს იმ წამსვე გათავისუფლების წინააღმდეგ, თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ამჯერად დაკავებულ იქნა სხვა პირი და რომ შემდეგში ასეთი შეცდომა აღარ განმეორდებოდა.

გარვალში ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილი ყველა მკვლელობა მიეწერებოდა სადხუს, ნაინი-ტალისა და ალმორას ოლქებში კი — ბოკხსარებს, რომლებიც ცხოვრობდნენ ტერლად წოდებულ არაჯანსაღ ადგილას, საბალახო ნაკვეთზე მთის ძირას. ეს ხალხი უმთავრესად ნადირობით ცხოვრობდა.

სჯეროდათ, რომ სადხუ დიდი სიძულვილით არის განწყობილი ადამიანების მიმართ, და ამიტომ ხოცავს მათ, იკვებება ხორცით და სისხლით წყურვილს იკლავს, ბოკხსარები კი თითქოს ჰკლავენ ადამიანებს ძვირფასეულობისთვის, რომელსაც მსხვერპლი ატარებდა.

ნაინი-ტალსა და ალმორაში კაციჭამიები უმთავრესად ქალებს ჰხოცავდნენ, ვიდრე მამაკაცებს, მაგრამ ამისათვის არსებობდა სხვა უფრო სერიოზული მოსაზრება, ვიდრე ზემოთ იყო ნათქვამი.

იმდენად დიდხანს ვცხოვრობდი გრძნეული იდუმალების სამყაროში, რომ ჩემი წარმოსახვა სრულ ნებაზე მქონდა მიშ-

ვებული. და მაინც თვეების განმავლობაში რუდრაპრაიაგში ერთიმეორეზე გადაბმულ უძილო ღამეებს თეთრად რომ ვათენებდი ჩასაფრებული — ოცდარვა ღამე გავატარე ზედიზედ, — რათა თვალყური მედევნებია ხიდებისათვის, გზაჯვარედინებისა და სოფელში მისასვლელი გზებისთვის, ადამიანის გვამსა და ცხოველის ლეშთან ჩასაფრებულს ბევრჯერ წარმოვიდგენდი ხოლმე კაციჭამიას, მსხვილ, ღია ფერის ცხოველად. ასეთად მომევლინა ის პირველად, როცა ვიხილე ავაზას ტანით და ეშმაკისა თუ კუდიანის თავით, ხანგრძლივი ღამეების განმავლობაში, რომ მითვალთვალებდა, უხმო, ჯადოსნური ხარხარით დახტოდა და გორავდა ჩემს წინ, დასცინოდა ჩემს ფუჭ ცდებს, რომ ვერ ეჯობნიდი ეშმაკობაში, ტუჩებს ილოკავდა იმის მოლოდინში, თუ როგორ შეერჩია მომენტი, როცა მე სიფრთხილეს მოვადუნებდი, რომ ბასრი კბილებით ჩემთვის ყელი გამოეღადრა.

შეიძლება იკითხონ: რას აკეთებდა ხელისუფლება იმ წლების მანძილზე, როცა რუდრაპრაიაგის კაციჭამია ემუქრებოდა გარვალის მცხოვრებთ. მე არც ხელისუფლების მხარეზე ვარ და არც, რასაკვირველია, მისი მოწინააღმდეგე, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ გავატარე ათი კვირა და ამ ხნის განმავლობაში ასეული მილი გავიარე, დაზარალებული სოფლები და მისი შემოგარენი ვნახე, ვადასტურებ, რომ მთავრობა აკეთებდა ყველაფერს, რაც კი შეეძლო, რათა თავიდან აეცდინა უბედურება. გამოცხადდა ჯილდოები; ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ ეს თანხა აღწევდა ათას რუპიამდე პლუს ორი სოფლის შემოსავალი. ეს იყო დიდი სტიმული თითოეულისათვის იმ ოთხი ათასი კაციდან, რომელთაც თოფის ტარების ნებართვა ჰქონდათ მიცემული გარვალში.

იწვევდნენ საუკეთესო შიკარებს, აძლევდნენ დიდ ხელფასს და პირდებოდნენ განსაკუთრებულ ჯილდოებს, თუ მათი ღონისძიებანი წარმატებით დამთავრდებოდა. კაციჭამიას მოკვლის მიზნით გაცემული სპეციალური ნებართვის გარდა, დამატებით კიდევ სამასზე მეტი განსაკუთრებული ნებართვა გაიცა იარაღის ტარებაზე.

ლენსდაუნში დაბანაკებულ გარვალის პოლკის ჯარისკაცებს შვებულებაში წასვლის დროს ნება ეძლეოდათ თან წაეღოთ სახლში შაშხანები ან თავიანთი ოფიცრებისგან მიღებული სპეციალური სპორტული თოფები. პრესის საშუალებით თხოვნით მიმართავდნენ ინდოეთის ყველა სპორტსმენს დახმარებოდნენ მათ ავაზას განადგურებაში. დადვეს სხვადასხვა ადგილას მრავალი ხაფანგი, რომელთაც კარი ეკეტებოდა, მისატყუარად თხები დაბეს სოფლების მისადგომებთან და გზებზე, რომელზეც დადიოდა კაციჭამია. პატვარი და სხვა სახელმწიფო მოხელეები მომარაგებული იყვნენ შხამებით ადამიანის გვამების მოსაწამლად. უკანასკნელი და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე იყო ის, რომ სახელმწიფო მოსამსახურეები პირადად დიდი გამბედაობით ატარებდნენ მთელ თავისუფალ დროს კაციჭამიას დევნაში.

ამ მრავალი ცალკეული და გაერთიანებული ღონისძიებების საერთო შედეგი იყო უბრალო თოფით მიყენებული მსუბუქი ჭრილობა, ტყვიამ ავაზას დაუქეცა უკანა თათის გული და მეორეზე ტყავი გადააცალა. გარვალის ოლქის სპეციალური რწმუნებულის მიერ გაგზავნილ ცნობაში ნათქვამი იყო: ჩვენს მიერ ჩატარებულ ღონისძიების შედეგად განა შეიძლება ჩაითვალოს, რომ ავაზას მიყენებული აქვს ეფექტური დაზიანება ან სასიკვდილო ჭრილობები? როგორც ჩანს, იგი მშვენივრად გრძნობს თავს, მხოლოდ აღგზნებულია საწამლავისაგან, რომელიც გადაყლაპა მოწამლული გვამის შეჭმის დროს.

სამი საინტერესო ცნობა იქნა მოთავსებული მთავრობის ანგარიშში; ვეცდები შევაჯამო ისინი.

პირველი. პრესაში მოთავსებული სპორტსმენებისადმი მთავრობის მოწოდების საპასუხოდ, რუდრაპრაიაგში 1921 წელს ჩამოვიდა ორი ახალგაზრდა ინგლისელი ოფიცერი და სპეციალურად განაცხადეს, რომ განზრახული აქვს კაციჭამიას მოკვლა. არ ვიცი რა საფუძველი ჰქონდათ, რომ ეგონათ, ავაზა გადავიდოდა მდინარე ალაკნანდაზე რუდრაპრაიაგის ბონდის ხიდით. ყოველ შემთხვევაში, იმათ გადაწყვიტეს დაკმაყოფილებულიყვნენ ხიდთან ჩასაფრებით და

მოეკლათ ავაზა, როცა ის გამოჩნდებოდა. ხიდის ორივე მხარეზე დგას კოშკურები, რომელზეც დამაგრებულია კიდული ბაგირები. ერთ-ერთი ახალგაზრდა ოფიცერი ჩასაფრდა მარცხენა ნაპირზე, მისი კამპანიონი კი — მარჯვენაზე.

ორი თვე იყვნენ სპორტსმენები ამ კოშკურებში, როგორც იქნა მარცხენა ნაპირზე მყოფმა სპორტსმენმა დაინახა, თუ როგორ გამოვიდა ავაზა გამოსასვლელიდან ხიდზე კოშკურის თაღის ქვემოთ. მონადირემ დაუცადა, სანამ ავაზა ხიდზე გავიდოდა და ესროლა. მხეცი გაქანდა ხიდზე მეორე ნაპირისაკენ და მარჯვენა მხარეს კოშკურში მყოფმა სპორტსმენმა ექვსმუხტიანი რევოლვერი დაახალა, მეორე დილას ხიდზე და ბორცვზე, სადაც ავაზა გაიქცა, აღმოაჩინეს სისხლი. რადგან ვარაუდობდნენ, რომ ჭრილობები სასიკვდილო იყო, ამიტომ მიღებულ იქნა ზომები მის მოსაძებნად, რაც რამდენიმე დღეს გაგრძელდა: ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ავაზას დაჭრის შემდეგ ერთი კაციც არ მოუკლავს ექვსი თვის განმავლობაში.

ეს მიამბო კაცმა, რომელმაც თვითონ გაიგონა შვიდი გასროლის ხმა და მონაწილეობდა დაჭრილი ცხოველის პოვნის ცდებში. ორივე სპორტსმენი და ამ ცნობის მომტანი თვლიდა, რომ ავაზა დაჭრილი იყო პირველი ტყვიით ზურგში, და შესაძლებელია რამდენიმე მომდევნო ტყვიით თავში, ამიტომ ასე გულმოდგინედ დიდხანს ეძებდნენ ლეშს. როცა მოვისმინე სისხლიანი ნაკვალევის დაწვრილებითი აღწერა, დავასკვენი, რომ ავაზა დაჭრილი იყო თათებში. ოფიცრები ცდებოდნენ, როცა ფიქრობდნენ, რომ ავაზა ზურგში და თავში იყო დაჭრილი. საბოლოოდ ძალიან მესიამოვნა, რომ მართალი აღმოვჩნდი. მარცხენა კოშკურაში მყოფმა მონადირემ მხოლოდ მსუბუქად დაჭრა მარცხენა უკანა თათის ტერფში და წააგლიჯა ავაზას ერთი კლანჭის ნაწილი. მარჯვენა ნაპირას მყოფმა კი ყველა ტყვია ააცდინა.

მეორე. მას შემდეგ, რაც დაახლოებით ოცი ავაზა იქნა დაჭერილი და მოკლული ხაფანგის საშუალებით, კიდევ ერთი ავაზა, რომელიც ყველას კაციჭამიად მიაჩნდა, მოხვდა

ერთ ასეთ ხაფანგში. მაგრამ, რადგან ინდუსებისაგან შემდგარმა მოსახლეობამ არ ისურვა მისი მოკვლა, იმის შიშით, რომ ავაზას მიერ მოკლული ადამიანების სულები მათ არ მოასვენებდნენ, მოუხმეს ქრისტიან ინდუსს, რომელიც ცხოვრობდა სოფელში ოცდაათი მილის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ავაზა დაიჭირეს; სანამ ეს კაცი მოვიდოდა, მსეცმა გამოთხარა მიწა, გამოხტა მოულოდნელად ხაფანგიდან და გაიქცა.

მესამე. ავაზამ მოჰკლა კაცი და ჩაწვა თავისი მსხვერპლით ჯუნგლების უდაბურ ადგილას. მეორე დილას, როცა მოკლულის ძებნა დაიწყეს, ავაზა აღმოაჩინეს, როცა ის ბრუნდებოდა ჯუნგლებიდან. ცოტა ხნის დევნის შემდეგ დაინახეს, როგორ შევიდა ის გამოქვაბულში, რომლის შესასვლელი სასწრაფოდ დახურეს ეკლიანი ბუჩქნარით და ქვებით. ყოველდღე სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მოდიოდა ამ ადგილზე. მეხუთე დღეს, როცა გამოქვაბულის გარშემო ხუთასამდე კაცი შეიკრიბა, გამოვიდა ერთი მათგანი, მისი სახელი არ მახსოვს, ანგარიშში კი მოხსენებულია, როგორც „გავლენიანი პირი" და ზიზღით თქვა: „ამ გამოქვაბულში არავითარი ავაზა არ არისო და მიფანტ-მოფანტა გამოქვაბულის შესასვლელში მიყრილი ბუჩქები. მან, როგორც კი ეს გააკეთა, ავაზა მოულოდნელად გამოვარდა გამოქვაბულიდან, გაარღვია ბრბო და გაიქცა.

ეს ამბავი მოხდა ავაზას კაციჭამიად გახდომის შემდეგ და რომ იგი მოეკლათ ხიდზე, ხაფანგში ან მაგრად ჩაკეტილ გამოქვაბულში, ასობით კაცი არ დაიღუპებოდა და გარვალელები მრავალი წლის ტანჯვა-წამებისაგან განთავისუფლდებოდნენ.

ჩამოსვლა

რუდრაპრაიაგის კაციჭამია ავაზას შესახებ გარკვეული ცნობები მივიღე პირველად 1925 წელს ნაინი-ტალში შალეს თეატრის სცენაზე წარმოდგენილი ჯილბერტისა და სა-

ლივენის * ოპერეტის „სასახლის გუშაგის“ ანტრაქტის დროს.

გაგონილი მქონდა, გარვალში კაციჭამია ავაზა ბინადრობსო. გაზეთებშიც ვკითხულობდი წერილებს ამ ცხოველის შესახებ, მაგრამ, ისიც ვიცოდი, რომ იქ იყო ოთხი ათასზე მეტი კაცი, რომლებსაც იარაღის ტარების უფლება ჰქონდათ. გარდა ამისა, რუდრაპრაიაგიდან სამოცდაათი მილით დაშორებულ ლენსდაუნში მრავალი აღგზნებული მონადირე იყო და მეგონა, რომ ავაზას მოკვლის სურვილით გატაცებული ეს ხალხი ერთმანეთს ექიშპებოდა და ასეთ ვითარებაში მე, როგორც სხვა მხრიდან მოსულ მონადირეს, მაინცდამაინც დიდი პატივისცემით არ მიმიღებდნენ.

ერთხელ მე და ჩემმა მეგობარმა თეატრის ბარში თითოთითო ჭიქა გადავკარით, და ძალიან განცვიფრებული დავრჩი, როცა გაერთიანებული პროვინციების მთავრობის კაბინეტის მდივანი და შემდეგში ასამის გუბერნატორი მაიკლ კინი ხალხის ერთ ჯგუფს კაციჭამიაზე ელაპარაკებოდა და არწმუნებდა მათ, ხელი მოეკიდათ ავაზაზე ნადირობისთვის. როგორც ჩანდა, ერთ-ერთი მათგანის შენიშვნიდან და სხვების მხარდაჭერიდან, კინის მოწოდება მიღებულ იქნა ყოველგვარი აღტაცების გარეშე.

„ვინადირო კაციჭამიაზე, რომელმაც მოჰკლა ასამდე კაცი? არა, არაფრის გულისთვის!“

მეორე დილას ვესტუმრე მაიკლ კინს და დაწვრილებით მივიღე ყველა საჭირო ცნობა. მან ვერ ამიწერა ზუსტად ტერიტორია, რომელზეც დათარეშობდა კაციჭამია და მირჩია გავმგზავრებულიყავი რუდრაპრაიაგში და დავკავშირებოდი იბოტსონს. სახლში დაბრუნებისას მაგიდაზე ვნახე იბოტსონის წერილი.

იბოტსონი ახლა სერ უილიამ იბოტსონად წოდებული, უკანასკნელ ხანს გაერთიანებული პროვინციის გუბერნატორის მრჩეველი, სულ ცოტა ხნის წინათ იქნა დანიშნული გარ-

---

* სალივენი — კომპოზიტორი, ჯილბერტი კი — ლიბრეტისტი, ცნობილი ავტორებია მრავალი ოპერეტისა და მუსიკალური კომედიისა.

ვალის პროვინციის მეთაურად. მისი პირველი ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ ეხსნა ოლქი კაციჭამიასაგან. სწორედ ამის შესახებ მომწერა მან წერილი.

მალე დავამთავრე სამზადისი, გზად გავიარე რანიკეტი, ადბადრი, კარანპრაიაგი და მეათე დღეს საღამოს მივედი ნაგრასუს ახლო საგზაო-საინსპექციო ბუნგალოში. როცა ნაინი-ტალიდან მოვდიოდი, არ ვიცოდი, რომ ბუნგალოს დასაკავებლად აუცილებლად ნებართვა დამჭირდებოდა. დარაჯს ნაბრძანები ჰქონდა არავინ შეეშვა ბუნგალოში, თუ არ ექნებოდა ნებართვა, და ამიტომ ექვს გარვალს, რომლებსაც ბარგი და მოწყობილობა მოჰქონდათ, მე და ჩემს მოსამსახურეს კიდევ ორი მილის გავლა დაგვჭირდა რუდრაპრაიაგის გზაზე, სანამ არ მოვიძიეთ ღამის გასათევად შესაფერი ადგილი.

სანამ მოსახლეობა წყლის ძებნითა და ფიჩხის შეგროვებით იყო გართული და ჩემი მოსამსახურე ქურას აშენებდა სამზარეულოსათვის, მე ავიღე ნაჯახი და წავედი ღობისათვის ეკლიანი ბუჩქნარის მოსაჭრელად. უკვე გზაში გაგვაფრთხილეს — ჯერ კიდევ ათ მილზე დასასვენებელ ადგილამდე, — რომ ვიმყოფებით კაციჭამიას სამფლობელოში.

ცეცხლი გავაჩაღეთ თუ არა, მთის მეორე მხარეზე მდებარე სოფლიდან ძალიან აღელვებული კაცი მოიჭრა. მან გვკითხა, რას აკეთებთ ამ ღია ცის ქვეშო და გაგვაფრთხილა, თუ აქ დარჩებით ერთ-ერთი თქვენგანი, თუ სხვებიც არა, აუცილებლად მოკლულ იქნებით კაციჭამიას მიერო. ეს კეთილი სამარიტელი. სახელად მადხო სინგი (რომელსაც ჩვენ სხვა ადგილას შევხვდით). მოვიდა ჩვენს გასაფრთხილებლად, და რადგან უკვე ბნელდებოდა. შესაძლოა თვითონ ვარდებოდა მეტად საშინელ საფრთხეში. მაგრამ მან გამოთქვა ყველა აქ მყოფის სურვილი და განაცხადა: „დავრჩეთ აქ, საიბ, ლამპაში საკმაოდ არის ნავთი, იგი მთელი ღამე ენთებ», გარდა ამისა, თქვენ თოფიც ვაქვთ“.

მართლაც, ნავთი საკმაოდ იყო. დილას რომ გავიღვიძე, შევამჩნიე, ლამპა ისევ ენთო, ჩემი გატენილი თოფი კი საწოლის გარდიგარდმო იდო. მაგრამ ეკლიანი ღობე ძალიან

სუსტი გამოდგა. ჩვენ ხომ საშინლად დაღლილები ვიყავით ათდღიანი მგზავრობის შემდეგ და რომ ავაზას მოსურვებოდა ჩვენი მონახულება იმ ღამეს, ის ძალზე ადვილად იშოვნიდა საკბილოს.

მეორე დღეს მივედით რუდრაპრაიაგში და იბოტსონის ხალხმა გულისხმიერად და თბილად მიგვიღო.

გამოკვლევა

მე არ შევუდგები ჩემი საქმიანობის შესახებ ყოველდღიური ანგარიშის წარმოდგენას იმ ათი კვირის მანძილზე, რომელიც რუდრაპრაიაგში გავატარე. ძნელია დროის ასეთი დიდი შუალედის შემდეგ ამგვარი ქრონიკის დაწერა და მაინც რომ დამეწერა — წასაკითხავად ძალზე მოსაწყენი იქნებოდა. განზრახული მაქვს დავკმაყოფილდე რამდენიმე შემთხვევის აღწერით, რომელიც მოხდა მაშინ, როდესაც მე მარტო ან იბოტსონის კამპანიაში ვიყავი. მაგრამ სანამ თხრობას დავიწყებდე, მინდოდა გარკვეული წარმოდგენა გქონოდათ იმ ოლქზე, რომლის ტერიტორიაზე რვა წლის განმავლობაში თარეშობდა ავაზა და სადაც მე დავდევდი მას ათი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ.

თუ რუდრაპრაიაგიდან აღმოსავლეთით მაღლობზე ახვალთ, დაინახავთ ხუთასი კვადრატული მილი ფართობის მეტ ნაწილს, რომლის ფარგლებში მოქმედებდა კაციჭამია ავაზა. მდინარე ალაკნანდა ამ ტერიტორიას ცოტად თუ ბევრად ორ თანასწორ ნაწილად ჰყოფს, შემდეგ კარანპრაიაგის ქვევით მიედინება დასავლეთით რუდრაპრაიაგისკენ და უერთდება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მდინარე მანდაკინს. ორ მდინარეს შორის მოქცეული ეს სამკუთხედის მსგავსი ტერიტორია ნაკლებ მთაგორიანია და უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე მდინარე ალაკნანდის მარცხენა ნაპირი.

სათვალთვალო პუნქტიდან შორს მოჩანს ნათესები, რომლებიც მაღალი მთის კალთებზე ლამაზად მოქსოვილ ხალი-

ჩებად განფენილან. ამ ტერასებად განლაგებულ ყანებს ერთიდან ორმოცდაათ იარდამდე და უფრო მეტი სიგანე აქვთ. ნაგებობანი განლაგებულია ნათესი მიწების ზედა ნაწილში. ეს იმიტომ, რომ შესაძლებლობა ჰქონოდათ თვალყური დაეჭირათ და დაეცვათ ნათესები ჯოგს ჩამორჩენილი პირუტყვისა და გარეული ცხოველებისაგან. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეხვდებით შემოულობავ ყანებსაც.

ლანდშაფტის გაურკვეველი ფორმის მიხაკისფერი და მწვანე ლაქები წარმოადგენენ ტყეებსა და საძოვრებს. ზოგიერთ სოფელს, როგორც ხედავთ, სათიბები აკრავს, ზოგიერთს კი — ტყეები.

მთელი ეს მხარე დასერილია უამრავი ღრმა ხრამითა და ციცაბო კლდეებს შუა მდებარე ხევებით. მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ორი გზაა, ერთი იწყება რუდრაპრაიაგში და მიდის კედარნატხამდე. მეორე — მლოცველთა ძირითადი გზა იწყება ბადრინატხში. ორივე გზა ვიწროა და კოლბოხებითაა მოფენილი, რაც იმას მოწმობს, რომ მას არასოდეს ურმის ბორბალი არ შეხებია.

მოკლულთა საერთო რიცხვი თითოეულ სოფელში 1918 და 1928 წლებში იხილეთ ქვემოთ.

სრულიად საფუძვლიანი იყო გვევარაუდა, რომ მეტი წილი ადამიანებისა მოკლული უნდა ყოფილიყო არა სათიბებსა და ყანებს შორის მდებარე სოფლებში, არამედ ტყეებით გარშემორტყმულ ადგილებში. კაციჭამია რომ ვეფხვი ყოფილიყო, მართლაც ასე მოხდებოდა, მაგრამ კაციჭამია ავაზასთვის, რომელიც ყოველთვის ღამღამობით მოქმედებს, საფარი როდია აუცილებელი. თუ რატომ მოხდა ერთ სოფელში მეტი მკვლელობა, ვიდრე მეორეში, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ერთ ადგილას არ იყო მიღებული უსაფრთხოების ზომები, მეორეში — მოსახლეობა, ალბათ, უფრო წინდახედული აღმოჩნდა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ კაციჭამია ვეებერთელა ბებერი ხვადია და, მიუხედავად სიბერისა, დიდი ძალ-ღონის პატრონიც.

მხეცის უნარი — წაიღოს მოკლული ცხოველი იქ, სადაც მშვიდად შეუძლია შეჭამოს თავისი ნადავლი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავდასხმისათვის შესაფერ ადგილს. რუდრაპრაიაგის კაციჭამიასათვის მანძილს არ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან მას შეეძლო წაეღო თავისი მძიმე ნადავლი — მოკლული კაცის გვამი — ისეთ მანძილზე, როგორეც, როგორც ვიცი, ოთხ მილს აღწევდა. ერთხელ ავაზამ მოჰკლა სრულიად მოზრდილი მამაკაცი თავისსავე სახლში და ორი მილის მანძილზე ათრია ის ზევით ტყიან ციცაბო აღმართზე და შემდეგ კიდევ ორი მილი ქვევით ჯუნგლებში მთის მეთრე მხარეს. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი სტიქიურად გააკეთა, რადგან მკვლელობა მოხდა შეღამებისას და ავაზას არავინ დაუწყებდა დევნას მეორე დღის ნაშუადღევამდე.

კაციჭამია ავაზა რუდრაპრაიაგიდან

მოკლულთა სია (სოფლების მიხედვით) 1918—1926 წწ.

ექვსი მოკლული — სოფელი ჩოპრა

ხუთი მოკლული — კოტხკი, რატაური

ოთხი მოკლული — სოფელი ბიარაკოტი

სამ-სამი მოკლული — სოფლებში: ნიკოტი, განდხარი, კოკხანდი, დადოლი, კეტხი, იხირმოლი, გოლობრაი, ლამერი.

ორ-ორი მოკლული — სოფლებში: ბაჯადუ, რამპური, მაიკოტი, ჩხატოლი, კოტი, მალოდა, რაუტა, კანდე, ბაურუნი, სარი, რანაუ, პუნარი, ტილანი, ბაუნტხა, ნაგრასუ, გვარი, მარვარა.

თითო მოკლული — სოფლებში: აზონი, პილუ, ბხაუნსალი, მანგუ, ბაინჯი, კხამოლი, სვანრი, პხალსი, კანდა, დხარკოტი, დანჯი, გუნაუნი, ბხატჩაონი, ბავალი, ბარზილი, ბხაინსგაონი, ნარი, სანდარი, ტამენდი, კხატიანა, სეოპური, სანი, სიუნდი, კამერა, დარმარი, დხამკა ბელა, ბელა კუნდი, საური, ბხანსარი, ბაინუ, კვილი, დხარკოტი, ბხაინგაონი, ჩხინკა, დხუნგი, კიური, ბალიუნი, კანდალი, პოკხტა, ტხაპალგაონი, ბანსუ, ნაგი, ბაინსანი, რუდრაპრაიგი, გვარი, კალნა, ბხუნკა, კამერა, სარილი, პაბო, ბხანსვარა.

წლების მიხედვით მოკლულთა საერთო რაოდენობა

1908— 1	1923—26
1919— 3	1924—20
1920— 6	1925— 8
1921—23	1926—14
1922—24	

სულ — 125 კაცი

ჯუნგლების ცხოველებიდან, გარდა კაციჭამიასი, ყველაზე ადვილი მოსაკლავია ავაზა, რადგან მას ყნოსვის გრძნობა არა აქვს.

ჩვეულებრივი ავაზას მოსაკლავად უფრო მეტ ხერხსა და საშუალებებს იყენებენ, ვიდრე სხვა დანარჩენი ცხოველის მიმართ. ამ ხერხებს ცვლიან იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით ტარდება ნადირობა — სპორტული ინტერესით თუ სარგებლობის მიზნით. ავაზაზე სპორტული ნადირობის ყველაზე წარმტაცი და საინტერესო სახეა მხეცის მიკვლევა ჯუნგლებში, მიპარვა და მოკვლა. გამორჩენის მიზნით ავაზას მოკვლის ყველაზე იოლი და სასტიკი ხერხია ავაზას მიერ მოკლული ცხოველის ლეშში მომცრო და ძლიერფეთქებადი ვაზნის ჩადება. ბევრმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ისწავლა ასეთი ვაზნების დამზადება. როცა ავაზა კბილებით ვაზნას ეხება, ის ფეთქდება და ცხოველს ყბებს ამსხვრევს. ზოგჯერ იმ წამსვე კვდება. ბევრჯერ კი უბედური ცხოველი გახოხდება ხოლმე გვერდზე, რომ ტანჯვით ამოძვრეს სული, რადგან ისინი, ვინც ასეთ ზომებს მიმართავენ, მოკლებული არიან საკმაო გამბედაობას, რათა მისდიონ ავაზას სისხლიან ნაკვალევს და ასე მოუღონ ბოლო მას.

ავაზას ადგილსამყოფელის მიკვლევა და შეუმჩნევლად მიპარვა შედარებით ადვილია, გარდა იმისა, რომ ის გიტაცებს და დიდად საინტერესოცაა. ავაზებს კლანჭებზე აქვთ რბილი ბალიშები და რამდენადაც შესაძლებელია ეტანებიან მხეცების ბილიკებს; მათი აღმოჩენა სრულებით არ არის ძნელი, რადგან პრაქტიკულად თითოეული ფრინველი თუ ცხოველი ჯუნგლებში მონადირეს ეხმარება. არც მიპარვაა ძნე-

ლი, რადგან ისინი ბუნებას დაუჯილდოვებია მახვილი თვალითა და სმენით, სამაგიეროდ, მეტად არახელსაყრელ პირობებში არიან ყნოსვის უქონლობის გამო. სპორტსმენს შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება ქარის მიმართულებას და თავის სასარგებლოდ შეარჩიოს მხეცთან მისადგომი ადგილი. როცა უკვე მიკვლეული და აღმოჩენილი გყავთ ავაზა და ეპარებით მას, უფრო მეტ სიამოვნებას მიიღებთ, თუ ფოტოაპარატის კნოპს დააჭერთ თითს, ვიდრე შაშხანის ჩახმახს ჩამოჰკრავდეთ. პირველ შემთხვევაში შეგიძლიათ მთელი საათების განმავლობაში დაუკვირდეთ ავაზას და ვერსად შეხვდებით ჯუნგლებში უფრო მოხდენილსა და ლამაზ ცხოველს. ფოტოკამერის კნოპზე თითის დაჭერა შეგიძლიათ თქვენი სურვილის მიხედვით ყოველ დროს და თქვენ გახდებით იმ ფირის პატრონი, რომელიც არასოდეს არ დაჰკარგავს თავის მიმზიდველობას. მეორე შემთხვევაში კი თქვენ მიიღებთ წუთიერ სიამოვნებას — თითს დააჭერთ ჩახმახს და თუ ნიშანი სწორია, თქვენს მიერ მოპოვებული ნადავლი დაჰკარგავს სილამაზესაც და ინტერესსაც.

პირველი მსხვერპლი *

მალე რუდრაპრაიაგში ჩემი მისვლის შემდეგ იბოტსონმა ალყა შემოარტყა ავაზას სამყოფელს. ის რომ წარმატებით დამთავრებულიყო, თხუთმეტი ადამიანის სიცოცხლე გადარჩენილი იქნებოდა. ეს ალყისშემორტყმა და მისი გამომწვევი მიზეზები ღირს იმად, რომ ჩაწერილი იყოს.

ოცი მლოცველი ძლივს მიღოღავდა გზაზე ბადრინატხასაკენ. საღამოს, როგორც იქნა, მიაღწიეს შარაზე მდგარ პატარა დუქნამდე. მედუქნემ მისცა ყველაფერი, რაც მას სთხოვეს და გააფრთხილა მალე გამგზავრებულიყვნენ. ის ეუბნებოდა, რომ დაღამებამდე მიაღწევდნენ აქედან ოთხი მილის მანძილზე მდებარე თავშესაფარს, სადაც საჭმელსაც

* პირველი, მოქმედების ადგილზე ავტორის მისვლის შემდეგ.

მიიღებდნენ და საიმედოთაც მოისვენებდნენ, მაგრამ დაღლილებს წასვლა არ უნდოდათ: თქვეს, რომ დღეს დიდი გზა გაიარეს, მეტისმეტად მოქანცული არიან და აღარ შეეძლოთ კიდევ ოთხი მილის გავლა. ყველაფერი, რაც მათ სურდათ, ეს იყო ვახშმის მომზადება, გარდა ამისა, ისინი ითხოვდნენ დუქანზე მიდგმულ აივანზე მიეცათ დაძინების ნებართვა. მედუქნე არ თანხმდებოდა და ძალიან ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა. მან განუცხადა მლოცველებს, რომ ჩემს სახლთან მოდის კაციჭამია და გარეთ ძილი ღია აივანზე სიკვდილთან თამაშს ნიშნავსო.

იმ დროს, როცა დავა გამწვავდა, საიდანღაც გამოჩნდა მატხურიდან ბადრინატხში მიმავალი ერთი სადხუ. მან მზარი დაუჭირა მლოცველებს და თქვა, რომ თუ მედუქნე ქალებს თავშესაფარს მისცემდა სახლში, მაშინ ის მამაკაცებთან ერთად დაწვებოდა აივანზე და თუ კაციჭამია ავაზა ან სხვა მტაცებელი გაბედავდა თავდასხმას, იგი ხელს სტაცებდა მას დაღებულ ხახაში და გახლეჩდა შუაზე.

ამ წინადადებაზე მედუქნე რის ვაი-ვაგლახით დაითანხმეს. ამიტომ ჯგუფიდან ათმა ქალმა დუქანში დაიძინა — იქ იყო ერთი ოთახი, რომლის კარიც იკეტებოდა, ათი კაცი კი ერთიმეორის მიყოლებით და სადხუ მათ შუაში აივანზე დაწვა.

მლოცველებმა დილას რომ გაიღვიძეს, ნახეს სადხუ გამქრალიყო, ლოგინი, რომელზეც ეძინა, აწეწილი იყო, ზეწარი კი, რომელიც ეხურა, ძირს ეგდო და სისხლით იყო მოსვრილი. დილას მლოცველების შეშფოთებული ხმაური რომ გაიგონა, მედუქნემ კარი გააღო; თვალის ერთი გადავლებით მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მზე რომ ამოვიდა, ის გაჰყვა მლოცველი მამაკაცების თანხლებით სისხლიან ნაკვალევს. მთიდან დაეშვნენ თუ არა, გადაჰკვეთეს საფეხურებად განლაგებული ყანები და გავიდნენ დაბალ შემოღობილ ზღვარზე. იქ ნახეს სადხუ, რომლის სხეულის მეტი ნაწილი მხეცს შეეჭამა.

ამ დროს იბოტსონი რუდრაპრაიაგში იმყოფებოდა, რომ გაერკვია ავაზას ადგილსამყოფელი. თუმცა მისი იქ ყოფნის დროს მკვლელობის არავითარი შემთხვევა არ მომხდარა და

ამიტომ მან გადაწყვიტა მდინარე ალაკნანდის იქითა მხარეზე მოეწყო საცდელი ალყის შემორტყმა, რადგან გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებლები ვარაუდობდნენ, რომ სწორედ აქ იმალებოდა კაციჭამია, მანამ, სანამ მზე არ ჩავიდოდა. შესაძლებელია, სწორედ იქა ჰქონდა ბუნაგი. მოხდა ისე, რომ, როცა ოცი მლოცველი გზას დაადგა დუქნისკენ, რამდენიმე პატვარი და სხვა ხალხი იბოტსონის ჯგუფიდან გაემგზავრა ახლომახლო მდებარე სოფლებში ხალხის გასაფრთხილებლად, რომ მომზადებულიყვნენ მეორე დღეს ალყის დასარტყმელად.

დილაადრიან საუზმის შემდეგ იბოტსონი ცოლით და მეგობრითურთ, რომლის სახელი დამავიწყდა, მთელი ჯგუფისა და ალყის ორასი მონაწილის თანხლებით გადავიდა მდინარე ალაკნანდის ბონდის ხიდზე, ავიდა დაახლოებით ერთი მილის სიმაღლის მთაზე და დაიკავა მისადგომები.

ალყის შემორტყმა უკვე დაწყებული იყო, რომ მოვიდა ცნობა მაცნის საშუალებით სადხუს მოკვლის შესახებ.

ახლა ალყას აზრი არ ჰქონდა; დაუყოვნებლივ მიანებეს თავი და დაიწყეს სამხედრო თათბირი, რის შედეგად იბოტსონი თავისი ჯგუფით და ალყის ორასი მონაწილით გაეშურა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, რომ კიდული ხიდით გადასულიყვნენ მდინარის ზემოთ ოთხ მილზე და მარცხენა ნაპირს გამოჰყოლოდნენ უკან, მკვლელობის ადგილზე. მოსამსახურეთა ჯგუფი კი წავიდ-წამოვიდა ადგილებზე, რომ შეეკრიბათ რაც შეიძლება მეტი ხალხი და თავი მოეყარათ დუქანთან.

ნაშუადღევს შეიკრიბა ალყის ორი ათასი მონაწილე და დამატებით რამდენიმე კაცი თოფებით. დუქნის თავზე აღმართული მაღალი მთა, რომელიც ქვა-ღორღით იყო ჭოფენილი, ძირიდან თხემამდე გადაჩხრიკეს. ალყა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და ეფექტურად ჩატარებული, მაგრამ ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ წარმატებით არ დამთავრდა, მდგომარეობდა იმაში, რომ იმ დროს ავაზა გარშემორტყმულ ტერიტორიაზე არ იყო. როცა ავაზა ან ვეფხვი თავისი ნებით სტოვებს მსხვერპლს ღია ცისქვეშ და არ ეკარება მას, ეს მიუ-

თითებს იმაზე, რომ მხეცმა დაჰკარგა ინტერესი ნადავლისადმი. ცხოველი გაძღომის შემდეგ უსათუოდ მიდის ხანდახან ორი-სამი მილის მანძილზე, მაგრამ თუ საქმე კაციჭამიას ეხება, შეიძლება ათ მილზე და უფრო მეტ მანძილზეც წავიდეს. ამიტომ სრულიად დასაჯერებელი იყო, რომ სანამ მთაზე ალყის შემორტყმა გრძელდებოდა, კაციჭამია მშვიდად თვლემდა ათი მილის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც მას გამალებით ეძებდნენ.

როგორ აღმოვაჩინოთ ავაზა

კაციჭამია ავაზები იშვიათი მოვლენებია და ამიტომ იმათ შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ჩემი პირადი გამოცდილება კი ძალზე შეზღუდულია. რამდენიმე წლის შემდეგ ერთხელ შევხვდი ასეთ მხეცს. თუმცა მეგონა, რომ „კვების რეჟიმის" შეცვლას (ადამიანები ცხოველების ნაცვლად) გავლენა უნდა მოეხდინა ავაზას ჩვეულებაზე ისე, როგორც ეს ჭოქმედებს ვეფხვზე, მაგრამ მე მაინც არ ვიცოდი, როგორ იცვლება ასეთი ნადირის ზნე და ჩვეულები.

ამიტომ გადავწყვიტე მომეკლა კაციჭამია იმავე ხერხით, რომელიც, როგორც წესი, გამოყენებულია ნორმალური ავაზების გასანადგურებლად. ჩვეულებრივად ავაზას მსხვერპლის, ან ცოცხალი მისატყუარის — თხის ან ცხვრის ახლო აწყობენ ჩასაფრებას, ამისათვის უნდა მოძებნო ავაზას მიერ მოკლული ცხოველი ან იყოლიო მისთვის ცოცხალი პირუტყვი იმ ადგილებში, სადაც ის ნადირობს.

მე ჩავედი რუდრაპრაიაგში, რომ გამეფრთხილებია ხალხი მოსალოდნელი უბედურების შესახებ და ამიტომ არ ვცდილობდი მოწმე გავმხდარიყავი ახალი მკვლელობისა, რომლის შემდეგ შევძლებდი საფარში ჩაჯდომას. ჯერ უნდა აღმომეჩინა ავაზას ადგილსამყოფელი და შემდეგ მომეკლა ის ცოცხალ მისატყუართან.

აქ წავაწყდი ძალიან რთულ წინააღმდეგობას, და ვიმედოვნებდი დროთა განმავლობაში მას ნაწილობრივ მაინც

დავძლევდი. რუკაზე, — რომლითაც მომამარაგეს, — ჩანდა, რომ კაციჭამია დაახლოებით ხუთასი კვადრატული მილის მოცულობის ფართობზე მოქმედებდა. ხუთასი კვადრატული მილი ყოველ ქვეყანაში ითვლება საკმაოდ მნიშვნელოვან ტერიტორიად იმისათვის, რომ მიაკვლიო და მოჰკლა რომელიმე ცხოველი. აქ კი ხეობებით დასერილი გარვალის ამ მთიან რაიონში ღამღამობით მოხეტიალე მხეცის მოძებნა პირველად სრულიად უიმედოდ მიმაჩნდა. შემდეგ მივაქციე ყურადღება, რომ მდინარე ალაკნანდა რაიონს ჰყოფს ცოტად თუ ბევრად ორ თანაბარ ნაწილად. ადგილობრივი მცხოვრებლების უმრავლესობას სჯეროდა, რომ ალაკნანდა კაციჭამიასთვის არ წარმოადგენდა დაბრკოლებას და როდესაც იგი ვერ პოულობდა საკბილოს მდინარის ერთ ნაპირზე, მეორეზე გადაცურავდა. მაგრამ ჩემი აზრით, ვერც ერთი ავაზა ვერავითარ შემთხვევაში თავისუფლად ვერ გაბედავს ალაკნანდას სწრაფი და ყინულივით ცივი წყლის გადალახვას. დარწმუნებული ვიყავი, რომ კაციჭამია ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიოდა ერთ-ერთი ბონდის ხიდის საშუალებით.

იმ მოედანზე, რომელზეც ლაპარაკია აქ, იყო ორი ხიდი — ერთი რუდრაპრაიაგთან, მეორე ოცი მილის მანძილზე ზევით მდინარე ჩატვაპაიპალთან. ამ ხიდებს შორის ბონდი იყო გაბმული და სწორედ ამის მეშვეობით შეძლო იბოტსონმა თავისი ჯგუფითა და ორასი ადგილობრივი მცხოვრებლის თანხლებით ალყის დროს გადაეკვეთა მდინარე. ეს ბონდი, რომლითაც მდინარეზე გადასვლა არ შეეძლო არც ერთ ცხოველს, გარდა ვირთხისა, წარმოადგენდა რაღაც შიშის მომგვრელ თავისებურ ნაგებობას. ხანდაზმულობისაგან გაშავებული და მდინარის ნისლისაგან დაობებული, ბალახისაგან ხელით მოწნული ორი ბაგირი აერთებდა ორასი ფუტის სიგანის აქაფებული ნაკადის ნაპირებს. ასი იარდის მოშორებით ყალყზე შემდგარი წყალი ზათქითა და გრიალით ეშვებოდა ორ ციცაბო კლდეს შუა. მხოლოდ კარკერი, და ისიც გარეული ძაღლების მიერ შემწყვდეული თუ გაბედავდა ალაკნანდაზე გადასვლას. ეს საშინელი საქანელა რომ ვნახე, საკმაოდ გულუბრყვილოდ ვკითხე მოხუცს, რო-

მელმაც ერთ მონეტად ნება დამრთო სიცოცხლე საფრთხეში ჩამეგდო და გავსულიყავი ამ ბეწვის ხიდზე — რომ მესინჯა საიმედოა თუ არა ან თუ ოდესმე შეუკეთებიათ იგი. მან ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა და მიპასუხა, რომ ბონდი არასოდეს არ გაუსინჯავთ და არც არასოდეს შეუკეთებიათ, ოღონდ ერთხელ აღედგინათ მას შემდეგ, როცა ის ჩამწყდარიყო ოდესღაც მდინარის მეორე ნაპირზე ვიღაც მგზავრის გადასვლის დროს. ამ ნაამბობმა ერუანტელივით დამიარა ტანში; შიშს კიდევ დიდხანს ვგრძნობდი მას შემდეგ, რაც მშვიდობით გადავედი მეორე ნაპირზე.

ღრმად ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ თუ დავუხშობდი როგორმე კიდულ ხიდებს ავაზას, ამით შევზღუდავდი მის მოქმედების არეს ალაკნანდის ერთ მხარეზე და გავანახევრებდი მისი ძებნის ზონას. ამიტომ აუცილებელი იყო გამერკვია, მდინარის რომელ ნაპირზე იმყოფებოდა ავაზა. ვიცოდი მხოლოდ, რომ მან სადხუ მოჰკლა მდინარის მარცხენა ნაპირთან ჩატვაპაიპალის კიდული ხიდიდან რამდენიმე მილის მოშორებით. მაშასადამე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ავაზა გადავიდა ხიდზე ნადავლის დაგდების შემდეგ, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მლოცველების სიფრთხილე ერთიორად გაიზარდა და კაციჭამიასთვის შეუძლებელი გახდა ადამიანებზე წარმატებით ნადირობა რაიონის იმავე ნაკვეთზე. თუ დახედავთ რუკას, ალბათ იკითხავთ, თუ ეს ასეა, მაშ რატომ მოხდა ერთ-ერთ სოფელში ექვსი მკვლელობაო. მე შემიძლია გიპასუხოთ, რომ არცერთი ღონისძიება არ შეიძლება გაჭიანურდეს დაუსრულებლად. სოფელში ქოხმახები პატარა და კეთილმოუწყობელია. ამიტომ გასაკვირი არ არის, როცა ცნობას მიიღებენ, რომ კაციჭამია სოფლიდან ათი, თხუთმეტი თუ ოცი მილის მოშორებით იმყოფებაო, რომელიმე მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი ბუნების მიერ ნაკარნახევი აუცილებლობით ერთი წუთით აღებს კარს და ამგვარად ავაზას აძლევს მსხვერპლის გატაცების შესაძლებლობას.

მეორე მსხვერპლი

შეუძლებელი იყო ფოტოსურათების ან სხვა რაიმეს შოვნა, რომ აღმომეჩინა კაციჭამია მისი ნაკვალევის მიხედვით. ამიტომ დროებით გადავწყვიტე ამ არემარეში გამოჩენილ ყველა ავაზასთვის განურჩეველად მესროლა თოფი.

რუდრაპრაიაგში მისვლის დღეს ვიყიდე ორი თხა. ერთი მათგანი მეორე საღამოსვე დავაბი ქალაქიდან ერთი მილის მოშორებით მლოცველთა გზაზე, ხოლო მეორე ალაკნანდის გაღმით დავაბი ჯუნგლების ხშირ შამბნარში გამავალ ბილიკზე, სადაც მსხვილი ხვადი ავაზას ძველი ნაკვალევი ვნახე. მეორე დილას ვინახულე თხები და ერთი მათგანი, რომელიც მდინარის მეორე ნაპირას იყო დაბმული, მკვდარი და ნახევრად შეჭმული დამხვდა. თხა, უეჭველია, ავაზას მიერ იყო მოკლული, მაგრამ შეჭმული იყო პატარა ცხოველის, შესაძლებელია კვერნას მიერ.

რადგან ვერ შევამჩნიე დღის პირველ ნახევარში ავაზას ადგილსამყოფელი, გადავწყვიტე ჩავსაფრებოდი მას თხის ლეშთან.

დღის სამ საათზე მოვიკალათე მოკლული თხიდან დაახლოებით ორმოცდაათ იარდზე. შემდგომი სამი საათის განმავლობაში არც ცხოველს და არც ფრინველს არავითარი ნიშანი არ მოუცია, რომ ავაზა სადმე ახლო იყო. ღამდებოდა, ჩამოვედი ხიდან, გადავჭერი თოკი, რომლითაც თხა იყო დაბმული წინა ღამეს, — ავაზას არც კი უცდია გაეწყვიტა თოკი — და წავედი ბუნგალოში.

უკვე მქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დიდად გამოცდილი არ ვიყავი კაციჭამია ავაზაზე ნადირობაში, მაგრამ რამდენჯერმე შევხვედრივარ კაციჭამია ვეფხვს, ამიტომ ხიდან ჩამოსვლის მომენტიდან ბუნგალომდე მისვლამდე მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად ყოველგვარი ზომა მივიღე და ჩემი ბედი, რომ ეს გავაკეთე.

მეორე დილას ადრე ავდექი და შევუდექი საქმეს. ბუნგალოს მახლობლად უეცრად წავაწყდი მსხვილი ხვადი ავაზას ნაკვალევს. მივყევი ამ ნაკვალევს ხშირი ტყით დაფარულ

ხევამდე, რომელსაც კვეთდა ის ბილიკი, სადაც თხა მყავდა დაბმული. მთელი ღამის განმავლობაში ის უვნებლად იყო გადარჩენილი.

ავაზა, რომელიც მე მომდევდა, შეიძლებოდა მხოლოდ კაციჭამია ყოფილიყო, და მთელი დღე იმდენი ვიარე, სანამ ფეხები არ დამაწყდა. მე ვაფრთხილებდი სოფლებში, სადაც კი შევიდოდი, და ყველას, ვინც გზაში მხვდებოდა, რომ კაციჭამია მათ მხარეს იმყოფებოდა. ამ დღეს არაფერი არ მომხდარა, მაგრამ მეორე დღეს სწორედ იმ დროს, გოლობრაის იქითა ჯუნგლები რომ დავათვალიერე და ვისაუზმე, ბუნგალოში შეშფოთებული კაცი მოვარდა. მან მაცნობა, რომ ამ ღამეს კაციჭამიას მოეკლა ქალი ბუნგალოს ზევით აღმართულ მთაზე მდებარე სოფელში, სწორედ იმ მთაზე, და თითქმის იმ ადგილას, საიდანაც ხუთასი კვადრატული მილის ფართობზე გადაჭიმულია ავაზას ფარული საბრძანებელი.

სასწრაფოდ შევკარი ბარგი, ავიღე სათადარიგო და საფანტიანი თოფი, ვაზნები, თოკები, აგრეთვე ანკესი და სოფლის მცხოვრებლებისა და ჩემი ორი კაცის თანხლებით შევუდექი მთის ფერდობზე ასვლას. თუმცა მანძილი არ იყო დიდი — სულ რაღაც სამი მილი იქნებოდა, მაგრამ პაპანაქება სიცხეში ოთხი ათასი ფუტის სიმაღლეზე ასვლამ ისე გამტეხა, რომ სოფელში დავბრუნდი მთლად ოფლში გაწუწული.

მალე მიამბეს ქმრისა და მოკლული ცოლის ისტორია. თურმე ისინი ცეცხლის სინათლეზე ვახშმობდნენ — დედაკაცმა შეაგროვა ლითონის ჭუჭყიანი ტაფები და ქოთნები და მიიტანა კართან დასარეცხად, ქმარი კი ჩამოჯდა პაპიროსის მოსაწევად. ქალი მივიდა თუ არა ზღურბლთან, იმ წამსვე გაისმა იატაკზე დაყრილი ჭურჭლის ზრიალი. სინათლე არ იყო საკმარისი, რომ ქმარს დაენახა, რა მოხდა. როდესაც ქმარმა ვერ მიიღო პასუხი თავის დაჟინებით ძახილზე, იგი მივარდა კარს და დაკეტა ურდულით. „რა აზრი ჰქონდა, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას, — თქვა მან,—მკვდარი გვამის დაბრუნებისათვის“. მისი მსჯელობა ცივი და გულქვა, მაგრამ საღი აზროვნების შედეგი იყო. შევამჩნიე, რომ მისი მწუხარების

მიზეზი იმდენად ფეხმძიმე ცოლი კი არ იყო, რამდენადაც შემკვიდრის დაღუპვა. კარს, რომლის ახლო იქნა მოტაცებული ქალი, გავყავდით ოთხფუტიანი სიგანის გზაზე, რომელიც ორმოცდაათი იარდის მანძილზე გადიოდა ორწყებად ჩამწკრივებულ სახლებს შორის. როგორც კი გაისმა ჭურჭლის ხმაური, რასაც ქმრის შეშფოთებული შეძახილი მოჰყვა, თითოეული ქოხის კარი იმ წამსვე ჩაიკეტა. ნაკვალევი გვიჩვენებდა, რომ ავაზას უბედური ქალი მთელ გზაზე ეთრია, შემდეგ მოეკლა ის და ასი იარდის მანძილზე, ქვევით ბორცვზე გავლით ჩაეტანა პატარა ხევში. აქვე შეეჭამა თავისი „კერძი“.

გვამი ეგდო ხევის ჩასასვლელში, იმ ადგილას, რომლის ერთ თავში ყანის ვიწრო შვერილი იყო, მეორეში კი ორმოცი იარდის მანძილზე იდგა ფოთლებშემოძარცული გამხმარი კაკლის ხე, რომელზედაც მცხოვრებლებს დაედვათ ექვსი ფუტი სიმაღლის თივის ზვინი. გადავწყვიტე აქ ჩავსაფრებოდი ავაზას.

იმ ადგილის ახლო, სადაც გვამი ეგდო, ვიწრო ბილიკი ჩადიოდა ხევში. ბილიკზე ჩანდა ქალის მკვლელი ავაზას ნაკვალევი, რომელიც ემთხვეოდა გუშინწინ ღამ მის მიერ მოკლული თხის ადგილიდან რუდრაპრაიაგის ბუნგალომდე გავლილ ავაზას ნაკვალევს, ავაზასი, რომელიც მე მომდევდა. კვალი არცთუ ისე ახალგაზრდა, ძალზე დიდი ხვადისა აღმოჩნდა, რომელსაც ოთხი წლის წინათ მოხვედრილმა ტყვიამ მსუბუქად დაუზიანა უკანა მარცხენა თათის ბალიში.

სოფელში ვიშოვე რვა ფუტის სიგრძის ბამბუკის ორი მაგარი ჯოხი და ჩავასვე ისინი მიწაში იმ სამანის პერპენდიკულარულად, რომელიც ყანას, სადაც ქალის გვამი ეგდო, გამოჰყოფდა ქვემოთ მდებარე ყანისაგან. ამ ბამბუკებზე საიმედოდ მივამაგრე სათადარიგო და ფილთა თოფები, აბრეშუმის თოკი გამოვაბი ჩახმახებს და მისი ბოლო კლდის მეორე მხარეზე ბილიკის ცოტა ზემოთ მიწაში ჩასობილ ორ პალოზე დავამაგრე.

თუ ავაზა ბილიკზე გამოივლიდა, როგორც ეს წინა ღამეს გააკეთა, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი წამოედებოდა აბ-

რეშუმის თოკს, მოჭიმავდა მას და თავის თავს მოუღებდა ბოლოს. თუ იგი შემოუვლიდა მახეს ან სხვა გზით წავიდოდა, მაშინ მე ვესროდი მას, როცა გვამის ახლო აღმოჩნდებოდა ან როცა უკან გასაქცევ გზას დაადგებოდა.

კარგად მოწყობილი შენიღბვის შედეგად არა მარტო ავაზა, არამედ ტანსაცმელშემოხეული მოკლულის გვამიც შეუმჩნეველი დარჩებოდა სიბნელეში. ამიტომ სროლის დროს საორიენტაციოდ ამოვიტანე ხევიდან თეთრი კირქვის ფილი და დავდეევ ყანის განაპირას დაახლოებით ერთ ფუტზე იმ მხრიდან, სადაც ქალის გვამი ეგდო.

დაბოლოს, როცა ქვევით ყველა სამზადისი დამთავრდა, ზვინზე მოვიწყე საწოლი, ცოტა თივა ქვევით გადმოვყარე, ცოტა ზურგს უკან მივიწყვე, ნაწილი კი ჩემს წინ დავყარე, რომ მკერდით მივყრდნობოდი. სანამ ასე ვიწექი — გვამისკენ პირშექცევით, ზურგით კი ხისაკენ, ავაზა რა დროსაც არ უნდა მოსულიყო, ვერასგზით ვერ დამინახავდა. მიუხედავად საერთო აზრისა, რომ ის არასოდეს არ უბრუნდება თავის მსხვერპლს, მტკიცედ მწამდა, რომ კაციჭამია მოვიდოდა ღამის განმავლობაში. ტანსაცმელზე ჯერ ოფლი არ შემშრობოდა, მაგრამ შედარებით მშრალი პიჯაკი ცოტა მაინც მიცავდა მსუსხავი ქარისაგან. მე საფუძვლიანად მოვეწყვე ამ რბილსა და კომფორტაბელურ საწოლზე და მოვემზადე ღამის გასათევად.

ჩემი ხალხი გავაბრუნე უკან და ვუბრძანე მამასახლისის სახლში ყოფილიყვნენ ჩემს მისვლამდე ან და მეორე დღეს მზის ამოსვლამდე. ფეხდაფეხ გავიარე სამანიდან ზვინამდე და, მგონი, არაფერს არ უნდა შეეშალა ხელი ავაზასათვის გაეკეთებია იგივე.

მზე უკვე გადაიწვერა და ჩამავალი მზის სხივებისაგან მუქ-ვარდისფრად შეღებილი განგის ხეობის ხედი, უკანა პლანზე აღმართული მარადიული თოვლით დაფარული ჰიმალაით, მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა ადამიანის თვალისათვის. მაგრამ, როგორც კი ეს ვიგრძენი, ცა გაიცრიცა და დღის სინათლემ თანდათან ღამეს დაუთმო ადგილი.

„ღამის“ სიბნელე ძალზე პირობითი ტერმინია და მას

სხვადასხვანაირად განმარტავენ. რაც ერთ კაცს ღამის წყვდიადად ეჩვენება, მეორესთვის სიბნელეა, მესამისათვის კი ოდნავ შებინდება. მე, რომელსაც ცხოვრებაში არა ერთხელ გამითენებია ღია ცის ქვეშ, ღამე არასოდეს არ მეჩვენება ბნელად, თუ ცა არ არის დაფარული შავი ღრუბლებით. ამით არ მინდა ვთქვა ის, რომ ღამეშიც ისეთივე მახვილი მხედველობა მაქვს, როგორც დღისით, მაგრამ საკმაოდ კარგად ვხედავ, რომ გავიგნო გზა გაუვალ ჯუნგლებში ან უფრო სწორად რომ ვთქვა, ყოველგვარ პირობებში. თეთრი ქვა გვამის ახლო მხოლოდ სიფრთხილისათვის დავდე, რადგან ვიმედოვნებდი, რომ ვარსკვლავთა კაშკაში და მყინვარებზე მათი ანარეკლი შექმნიან საკმაო განათებას თოფის გასროლისათვის.

მაგრამ ბედმა მიმტყუნა: კარგად დაღამებული არ იყო, რომ გაიელვა, ამას მოჰყვა ჭექა-ქუხილი და რამდენიმე წუთის შემდეგ ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. ის იყო მოახლოებული თქეშის პირველი მსხვილი წვეთები დამეცა, რომ გავიგონე, როგორ დაგორდა ქვა ხევში, ერთი წუთის შემდეგ კი ქვემოდან გავიგონე ხმაური — ვიღაც თივას წეწდა კლანჭებით.

ავაზა გამოცხადდა და სანამ მე კოკისპირულ წვიმაში ვიჯექი, გათოშილი ცივი ქარისგან, რომელიც ტანსაცმელშიც მატანდა, ის სრულიად მშრალი, მყუდროდ იყო მოკალათებული თივაზე პირდაპირ ჩემს ქვევით. ასეთი ძლიერი წვიმა და ჭექა-ქუხილი მე არ მინახავს, როცა უფრო მოუხშირა და მოუხშირა წვიმამ, დავინახე ფარნიანი კაცი, რომელიც სოფლისკენ მოდიოდა და გამოაცა მისმა გამბედაობამ. მხოლოდ რამდენიმე საათით გვიან გავიგე, რომ მას არ მიუქცევია ყურადღება არც ავაზასა და არც წვიმისათვის, ისე მამაცურად გამოიარა ეს ოცდაათმილიანი გზა პაურიდან მხოლოდ იმისთვის, რომ მოეტანა ჩემთვის მთავრობის მიერ დაპირებული ელექტროფარანი ღამეში სანადიროდ. ამ ფარნის მოტანა სამი საათით ადრე შეეძლო... მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანაა; ვის შეუძლია თქვას, რომ ამ ღამის შემდეგ მოკლული თოთხმეტი კაცი უფრო დიდხანს იცოცხლებდა, რომ ავაზას მათთვის ყელი არ გა-

მოეღადრა. ფარანი კიდეც რომ დროზე მოეტანა, არ არის არავითარი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ შევძლებდი მხეცის მოკვლას სწორედ იმ ღამეს.

წვიმამ მალე გადაიღო, თავით ფეხამდე გალუმპული და გათოშილი ვიყავი, მაგრამ ღრუბლები გადაიკრიფა და უეცრად დავინახე თეთრი ქვა, რომელსაც ჩრდილი გადაეფარა, ცოტა ხნის შემდეგ გავიგონე ხმა — ავაზა ახრამუნებდა. გასულ ღამეს ის შეექცეოდა თავის მსხვერპლს ხევის ფერდობზე ყანის განაპირას, სწორედ ამიტომ მოველოდი, რომ იგი ასევე მოიქცეოდა და დავდე ქვა გვამის ახლო. როგორც ჩანდა, წვიმის გამო ხევში აქა-იქ ჩადგა გუბეები და ავაზა მათი გვერდის ავლის დროს აღმოჩნდა სხვა მდგომარეობაში, მერე შებრუნდა და ჩამოეფარა ჩემ თეთრ ქვას, ეს კი წინასწარ ვერ გავითვალისწინე. ვიცოდი რა მათი ჩვეულება, მწამდა რომ არ დამჭირდებოდა დიდ ხანს ცდა და ქვა ისევ გამოჩნდებოდა. მართლაც, ათი წუთის შემდეგ ქვა ისევ გამოჩნდა, მაშინვე გავიგონე რაღაც ხმა ქვევიდან და დავინახე ავაზას ღია მოყვითალო სხეული, რომელიც ზვინს ამოეფარა. მისი ღია ფერი ჭარმაგობის ასაკში შესულობას ამჟღავნებდა, ხმა კი ვერც მაშინ და ვერც ახლა ვერავის ხმას ვერ მივამსგავსე. იგი დაახლოებით ქალის აბრეშუმის კაბის მსუბუქ შრიალს. ყანაში ნაწვერალისა და მიწაზე ქარისგან მიმოფანტული ხმელი თივის შრიალსაც წააგავდა.

დავიცადე რამდენიმე ხანს, შემდეგ ავწიე თოფი და დავუმიზნე ქვას. გადავწყვიტე, როგორც კი გამოჩნდებოდა, მესროლა თოფი. არსებობს ზღვარი, რომლის შემდეგ მძიმე თოფის დაჭერა შეუძლებელია; როცა ამ ზღვარს მივაღწიე, ძირს ჩამოვუშვი შაშხანა, რომ დამესვენებია დაბუქებული კუნთები. ვერ მოვასწარი ამის გაკეთება, რომ ქვა მეორედ გაქრა მხედველობიდან. ორი საათის განმავლობაში სამჯერ განმეორდა ეს ამბავი; იმედგაცრუებულმა გავიგონე, როგორ მოიკალათა ზვინის ქვეშ ავაზამ მეოთხედ. მივეყრდნე ხეს და ვესროლე ძირს ძლივს მოღიმღამე ლანდს.

ვიწრო შვერილს, რომელსაც მე ყოველთვის ყანად ვიხსენიებ, ამ ადგილას ორი ფუტის სიფართე ექნებოდა და როცა

დილას გავსინჯე ნიადაგი, ამ ადგილის შუაგულში დავინახე ტყვიისაგან გაკეთებული ხვრეტილი, მის გვერდით კი ავაზას კისრიდან ჩამონაგლეჯი მთელი ბღუჯა ბალანი.

ამ ღამეს არც ავაზა დამინახავს, არც მისი ხმა გამიგონია. მზის ამოსვლისას შევკრიბე ჩემი ხალხი და ციცაბო მთის დაღმართზე გავუდექი გზას რუდრაპრაიაგისაკენ, იმ დროს, როცა მოკლულის ქმარმა და მისმა მეგობრებმა წაიღეს ქალის ნეშტი დასაწვავად.

სამზადისი

მწარე ფიქრებით გატანჯულ-გაყინული და გათოშილი ვტოვებდი ღამე ჩემი თავგადასავლის ადგილს და ვბრუნდებოდი რუდრაპრაიაგში. რა მხრიდანაც არ უნდა მივუდგეთ, ვერ უარვყოფთ, რომ მუხთალმა ბედმა მწარედ და დაუმსახურებლად დაგვცინა გარვალსაც და მეც.

სრულიად არ ვიყავი ამის ღირსი, მაგრამ ჩვენი მთების მცხოვრებლებს სწამდათ, რომ მე დაჯილდოებული ვარ ზებუნებრივი ძალით კაციჭამიას მიმართ. ცნობა იმის შესახებ, რომ ვიმყოფებოდი გზაში გარვალისაკენ, რათა მოსახლეობა გავათავისუფლო ადგილობრივ კაციჭამიასაგან, წინ უსწრებდა ჩემს გამოჩენას ყველგან და, თუმცა უკვე რამდენიმე დღის სავალი გავიარე და მივუახლოვდი კიდეც რუდრაპრაიაგს, ხალხი, რომელსაც ვხვდებოდი სოფლებში თუ ყანებში, შემამჩნევდა თუ არა, რომ მახლობლად მივდიოდი, მესალმებოდა. ჩემი მისიის წარმატებაში სრულიად დარწმუნებულს ასეთი ყურადღება რამდენადაც ამაღელვებელ გრძნობებს მგვრიდა. იმდენად მძიმე მოვალეობას მაკისრებდა: რამდენადაც ვუახლოვდებოდი დანიშნულების ადგილს, იმდენად ხალხი მატუტლობდა. რუდრაპრაიაგში რომ ჩემი თავგადასავლის მოწმე აღმოჩენილიყო, მისთვის ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ადამიანი, რომლის გარშემო გროვდებოდნენ მცხოვრებლები, სრულებით არ არის ოვგადახდილი გმირი, ის მხოლოდ თავის შესაძლებლობათა შეშვე-

ნივრად მცოდნე და ძალზე ფრთხილი კაცია, რომ საქმე, რომლის შესრულება მან იკისრა, შეიძლება მის ძალ-ღონეს აღემატება.

ხუთასი კვადრატული მილი მიწის ფართობი, რომლის უმეტესი ნაწილი ხშირი შამბნარით, კლდეებითა და გორაკებით იყო დაფარული, წარმოადგენდა ვეებერთელა მოედანს. სადაც ძნელი იყო სხვა, მეტი თუ არა, ორმოცდაათ ავაზადან შერჩევით ერთ-ერთის მიგნება და მოკვლა. რაც მეტს ვაკვირდებოდი ამ ვრცელსა და მშვენიერი ქვეყნის ნაწილს, მით უფრო ნაკლებად მომწონდა ის, იმ ამოცანის გადაჭრის თვალსაზრისით, რაც მე მიზნად დავისახე. სრულიად ბუნებრივია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ იზიარებდა ჩემს შიშს. იმათთვის მე ვიყავი ის, ვინც გაანთავისუფლა ბევრი მათი თანამემამულე კაციჭამიასგან და რომელიც ახლა მოვიდა მათთან, რომ ისინიც იხსნას იმ უბედურებისაგან, რომელიც აგერ რვა წელია კარს ადგას მათ.

და აი არაჩვეულებრივად გამიმართლა: ჩემი ჩასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ შევძელი დავწეოდი მხეცს, რომელსაც ვდევნიდი. მან მოჰკლა ერთ-ერთი ჩემი თხა და ცოტა რომ შემიგვიანდა დაღამების შემდეგ, ავაზა გამომედევნა მდინარე ალაკნანდას მეორე ნაპირამდე, სადაც, როგორც მეგონა, უფრო ადვილი იქნებოდა მასთან ანგარიშის გასწორება. ამ პირველ წარმატებას ბეჩავი ქალის დაღუპვის ამბავი მოჰყვა. მინდოდა ხელი შემეშალა შემდგომი ადამიანების დაღუპვისათვის, მაგრამ მარცხი განვიცადე. თუმცა ამ უბედურებამ მომცა ავაზას მოკვლის საშუალება, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ შევძლებდი მრავალი თვის განმავლობაში.

გუშინ დღისით გაჭირვებით ავდიოდი მთაზე ჩემს თანამხლებლებთან ერთად. ავწონ-დავწონე ჩემი წარმატება ავაზას მოკვლის შემთხვევაში და გამოდიოდა შეფარდება ორ ერთთან.

იმ დღეს, როცა ვინახულე მაიკლ კინი და განვუცხადე გარვალში მივემგზავრები-მეთქი, მკითხა, მაქვს თუ არა თან ყველაფერი აუცილებელი. როცა გაიგო, რომ მე მხოლოდ ფარანი არ მქონდა ღამე ნადირობისათვის და კარგი იქნებო-

და ტელეგრაფით დავკავშირებოდით ამ საკითხზე კალკუტას, გამიცხადა: ელექტროფარნით მომარაგება მთავრობისათვის ყველაზე იოლი საქმეაო და აღმითქვა გამომიგზავნიდა რუდრაპრაიაგში ყველაზე საუკეთესო ფარანს.

პირველად ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, როცა გამოირკვა, რომ ელექტროფარანი ჯერ კიდევ არ მიეღოთ, გულისწყრომა ცოტა დამიცხრა: მშვენივრად ვიცოდი ჩემი მხედველობის ამბავი სიბნელეში და ჩემი შანსები შევუფარდე როგორც ორი ერთს. იმდენად ბევრი რამ იყო დამოკიდებული ჩანაფიქრ წარმატებასა და ღამით მიღებულ ღონისძიებებზე, რომ მე დამატებით შევიარაღდი ფილთა და სათადარიგო თოფებით. როცა თავის ზვინზე მოწყობილი საფრიდან თვალი გადავავლე ჩემს წინ გადაშლილ გარემოს — სამიზნომდე მოკლე მანძილს, რომელზეც მომიხდება სროლა, და მშვენივრად შენიღბულ ავტომატურ მახეს, რომელშიც ავაზა უნდა გაებას უეჭველად, ჩემმა იმედებმა ფრთები შეისხა და მე მიმაჩნდა, რომ წარმატების შანსია ერთი ერთთან. შემდეგ დაიწყო წვიმა. ცუდი ხილვადობისა და ელექტროფარნის უქონლობის გამო ყველაფერი ჩაიფუშა, და ჩემი წარუმატებლობა რამდენიმე საათის შემდეგ ყველგან და ყველასათვის ცნობილი გახდა.

გასეირნება, თბილი წყალი და საჭმელი სასწაულებრ მოქმედებენ მწარე ფიქრებზე. და იმის მიხედვით, თუ როგორ ხშირად ჩამოვდიოდი მთიდან, ვღებულობდი ცხელ აბაზანებს და ვსაუზმობდი, ბედს აღარ ვუჩიოდი და უფრო გამჭრიახი გონებით შევხედე ჩემი ღამის წარუმატებლობას. წუწუნი მიზნის ნაცვლად მიწაში მოხვედრილ ტყვიაზე ისევე ამაოა, როგორც გულისდაწყვეტა ქვიშაზე დაღვრილ რძეზე. მაგრამ თუ ავაზა ალაკნანდის მეორე მხარეზე არ არის გადასული, მისი მოკვლის შანსები ისევ გაუმჯობესდება, რადგან ახლა მქონდა სიბნელეში ნადირობისათვის გამოგზავნილი ელექტროფარანი, რომლის მომტანს ვერაფერს დააკლებდა ვერც ავაზა და, მით უმეტეს, ვერც წვიმა.

პირველი, რაც აუცილებლად უნდა გამეკეთებია, ეს იყო გამომერკვია, გადავიდა თუ არა ავაზა მდინარე ალაკნანდაზე,

და რადგან მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ მას შეუძლია მდინარეზე გადასვლა მხოლოდ რომელიმე ბონდის ხიდით, ამიტომ საუზმის შემდეგ გავემგზავრე დასავლეთისაკენ. ავაზას არ შეეძლო ჩატვაპაიპალის ხიდზე გადასვლა: როგორიც არ უნდა ყოფილიყო შოკი, რომელიც მან მიიღო ჩემი დიდი ყალიბის თოფიდან გასროლილი ტყვიით, ის ვერ შეძლებდა თოთხმეტი მილის გავლას ხიდამდე რამდენიმე საათის განმავლობაში თოფის გასროლიდან გათენებამდე. ამიტომ დავკმაყოფილდი რუდრაპრაიაგის ხიდის გარშემო ძებნით. სამ მისასვლელ გზას ერთს ჩრდილოეთიდან, მეორეს სამხრეთიდან და მათ შორის კარგად გატკეპნილ რუდრაპრაიაგის ბაზრიდან საცალფეხო ბილიკს მივყავდით ხიდამდე. ამ მისადგომების კარგად დათვალიერების შემდეგ გადავედი მეორე ნაპირზე და ნახევარი მილის მანძილზე გამოვიკვლიე კედარნატხის მლოცველთა გზა და შემდეგ საცალფეხო ბილიკი, რომელზეც სამი დღის წინათ მოკლულ იქნა თხა. დავკმაყოფილდი იმით, რომ არც ერთი ავაზა არ გადასულა მდინარეზე ხიდით. საბოლოოდ გადავწყვიტე ჩემი გეგმის შესრულება: ჩამეკეტა ღამღამობით ორივე ხიდი, და ამგვარად შემომეფარგლა ავაზას მოქმედების რაიონი მხოლოდ მდინარის ერთი მხარით. გეგმა მარტივი იყო — საჭირო იყო მხოლოდ ხიდის დარაჯების ხელისშეწყობა. ისინი ორივენი მარცხენა ნაპირზე ცხოვრობდნენ უშუალოდ ხიდის განაპირა ბურჯების ახლო და კარგად შეეძლოთ ხიდის ჩაკეტვა.

მდინარის ორ მხარეს შორის ერთადერთი მიმოსვლის სასაშუალების გადაკეტვა ოცდაათი მილის მანძილზე ძალზე თვითნებურ მოქმედებას წარმოადგენდა, მაგრამ ფაქტიურად ეს ასე არ იყო, რადგან ვერც ერთი ადამიანი, ავაზას მიერ შემოღებული „საალყო წესების“ გამო ვერ ბედავდა ხიდებით სარგებლობას ღამის საათებში მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე.

ხიდის ჩასაკეტად ეკლიანი ბუჩქებით ამოვავსეთ კოშკებს შორის ოთხფუტიანი თაღის ქვეშ გასასვლელი. მთელი ამ დროის განმავლობაში, როცა ხიდები ჩაკეტილი იყო ეკ-

ლიანი ღობით ან მე ვდარაჯობდი, ძე ხორციელს არ უთხოვნია ხიდზე გადასვლა.

საბოლოო ანგარიშით მე ოცი ღამე გავატარე რუდრაპრაიაგის ხიდის მარცხენა ნაპირის კოშკზე; ეს ღამეები არასოდეს დამავიწყდება. ამ კოშკურის ასაგებად გამოეყენებიათ ოცი ფუტის სიმაღლის კლდის შვერილი. ზემოთ წარმოქმნილიყო ქარის მიერ მოსწორებული ოთხი ფუტი სიგანისა და ექვსი ფუტი სიგრძის მოედანი. მასზე ასვლა შეიძლებოდა ორი საშუალებით: კოშკის ზემოთ ხვრეტილებში გაყრილ კაბელზე აცოცებით, რომელიც დამაგრებული იყო გორაზე, დაახლოებით ხიდზე შესასვლელიდან ორმოცდაათი ფუტის მანძილზე ან ძალიან დანჯღრეული ბამბუკის კიბით. მე ავირჩიე მეორე საშუალება, რადგან კაბელი დაფარული იყო რაღაც შავი და მყრალი სიბინძურით, რომელიც ხელზე ეწებებოდა და ტანსაცმელს სვრიდა.

ორი სხვადასხვა სიგრძის ბამბუკის ჭოკები, შეერთებული თავისუფლად მიმაგრებული წვრილი ჯოხებით, წარმოადგენდა კიბეს, რომელიც ოთხი ფუტით ვერ წვდებოდა ბაქანს. ამ კიბის უკანასკნელ კაფონზე მდგარი, მოედანზე ასვლის დროს ყოველთვის ვფიქრობდი არ დავცურებულიყავი აგურის გლუვი შვერილიდან. ეს იყო აკრობატული ნომერი და რამდენად ხშირად ვასრულებდი მას, იმდენად ნაკლებად მსურდა მისი განმეორება.

ჰიმალაის ამ ნაწილის ყველა მდინარე მოედინება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და ხეობებში მათი დინების მანძილზე ქრის ქარები, რომლებიც იცვლიან მიმართულებას მზის ამოსვლისა და ჩასვლის მიხედვით. სანამ მზე ანათებს, ქარი ადგილობრივი „დადუ"-ს სახელწოდებით ქრის სამხრეთიდან, ღამე კი — ჩრდილოეთიდან.

იმ დროს, როცა სადარაჯო პოზიცია დავიკავე მოედანზე, ჩვეულებრივად სიწყნარე სუფევდა, მაგრამ მალე ვიგრძენი მქროლავი სიოს ლამუნი. თანდათან იმის მიხედვით, თუ როგორ ილეოდა დღის სინათლე, ძლიერდებოდა ქარი და შუაღამისას ქარიშხლამდე აღწევდა. მოედანზე არაფერი იყო ხელისმოსაკიდი. მუცელზე დაწოლილი და მთელ სიგრძეზე გა-

ჭიმული რომ ხახუნი გამეძლიერებია და ქარის დაწოლა შემესუსტებია, ხიფათში ვიგდებდი თავს, რადგან შეიძლება გადმოვვარდნილიყავი კლდიდან, რომელიც ალაკნანდის ყინულოვან წყლებზე იყო გადამდგარი. ცხადია, წყლის ტემპერატურა ნაკლებ საინტერესო იყო სამოცი ფუტის სიმაღლიდან სალი კლდის შვერილებზე დაცემის შემდეგ. ამიტომ საოცარია, რომ ყოველთვის, როდესაც ვცახცახებდი გადმოვარდნაზე ფიქრისაგან — ყოველთვის მაშინებდა წყალში ჩავარდნა და არა კლდეებზე დაცემა. ქარის გარდა, უამრავი წვრილი ჭიანჭველა დაცოცავდა ტანსაცმლის ქვეშ და მკბენდა. ოცი ღამის განმავლობაში ვდარაჯობდი ხიდის გადასასვლელს და ამ ხნის განმავლობაში ხიდზე გადავიდა მხოლოდ ერთადერთი ცოცხალი არსება — ტურა.

მ ა ბ ი ა

ყოველ საღამოს, ხიდთან რომ მივდიოდი, თან მახლდა ორი კაცი, ერთ მათგანს მოჰქონდა კიბე, რომ ბაქანზე ავსულიყავი. როგორც კი თოფს გადმომცემდნენ, კიბე მიჰქონდათ.

მეორე დღეს ხიდთან რომ მივედით, დავინახეთ კაცი, რომელსაც გრძელი ქლამიდი ეცვა და რაღაც საგნის ანარეკლი დასთამაშებდა მკერდსა და თოფზე. მას მოჰქონდა ექვსფუტიანი ვერცხლის ჯვარი და უახლოვდებოდა ხიდ'ს კედარნატხას მხრიდან. ხიდთან რომ მივიდა, მუხლი მოიყარა, ჯვარი წინ დაიჭირა და თავი დახარა. რამდენიმე ხანი ასეთ პოზაში ყოფნის შემდეგ, მან კიდევ უფრო მაღლა ასწია ჯვარი და ფეხზე წამოდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ისევ მოიყარა მუხლი და დახარა თავი. ასე განაგრძობდა ის მუხლის მოყრას ხანგამოშვებით და მიიწევდა წინ ამ გრძელ ხიდზე. მე რომ ჩამიარა, ხელი ასწია მისასალმებლად, მაგრამ რადგან ის ღრმად იყო აღგზნებული ლოცვით, მე არ გამოველაპარაკე. ელვარება, რომელიც გამოკრთოდა ვერცხლის ჯვრებისაგან, ეფინებოდა მისი თავისა და გულის მორთულობას.

ჩემი ხალხი დაინტერესდა ამ საოცარი ადამიანით და დაინახეს, რომ ის ციცაბო გზას მიჰყვებოდა რუდრაპრაიაგის

ბაზრისაკენ და მკითხეს, ვინ არის ის და რომელი ქვეყნიდანაა მოსულიო. რომ ის ქრისტიანი იყო, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მისი ლაპარაკი არ გამიგონია. მისი გრძელი თმის, მშვენიერი გიშრისფერი წვერისა და სახის ნაკვთების მიხედვით დავასკვენი, რომ ის ჩრდილოეთ ინდოეთიდანაა.

მეორე დილას ჩამოვედი კოშკიდან და გავემართე ინსპექციის ბუნგალოსაკენ, სადაც დროის იმ ნაწილს ვატარებდი, როცა მზე ანათებდა და არ დავდიოდი ახლომახლო სოფლებში კაციჭამიას შესახებ ახალი ამბების შესაკრებად. აქ დავინახე კლდის გრძელ შვერილზე მდგარი მაღალი, თეთრ ქლამიდაში ჩაცმული კაცი, რომელიც მიჩერებოდა მდინარეს. მე რომ მივუახლოვდი, ის ჩამოვიდა მაღლობიდან და მომესალმა.

როცა ეკითხე რამ მოგიყვანა ამ ადგილას-თქო, მან მიპასუხა: — მე მოვედი შორი მხრიდან რომ ვიხსნა გარეული ხალხი ავი სულისაგან, რომელიც მას ტანჯავსო. კითხვაზე, თუ როგორ აქვს განზრახული ამ გმირობის განხორციელება, მან მიპასუხა, რომ ის გააკეთებს ვეფხვის გამოსახულებას, და როდესაც ლოცვით აიძულებს ბოროტ სულს ჩასახლდეს ამ გამოსახულებაში, ეს უკანასკნელი გადაგდებულ იქნება განგის წყალში და მდინარე ჩაიტანს მას ზღვაში, საიდანაც ის ეღარ დაბრუნდება და ეღარ მიაყენებს ხალხს ზიანს.

როგორი საფუძვლიანი ეჭვიც არ უნდა შეეტანათ ამ კაცის მიერ დადებული აღთქმის შესრულების შესაძლებლობაში, არ შეიძლებოდა არ აღტაცებულიყავით ამ ადამიანის რწმენით თავისი ძალის მიმართ. იგი ყოველ დილას მოდიოდა ხიდთან, სანამ კოშკიდან გამოვიდოდი და თავს ანებებდა მუშაობას საღამოს ჩემი დაბრუნების შემდეგ.

თავის „ვეფხვისათვის“ მან გამოიყენა გახლეჩილი ბამბუკის ლატანები, თოკები, ქაღალდი და იაფფასიანი ფერადი ქსოვილები. როცა ფიტული თითქმის მზად იყო, ღამე ატყდა ძლიერი ჭექა-ქუხილი, წამოვიდა კოკისპირული წვიმა და ფიტული დაიშალა. მან ისევ გულმოდგინედ დაიწყო დილიდანვე მუშაობა თავიდან და მუდამ ხალისიანად ღიღინებდა. დაბოლოს დადგა ნანატრი დღე, როცა ცხენისოდენა „ვეფხვი“, რომელიც არც ერთ ცნობილ ცხოველს არ ჰგავდა, მზად იყო.

არ დარჩა მთიელი, რომ არ ემხიარულა სულითა და გულით ამ თამაშაში* მონაწილეობის მიღებით.

გრძელ ჭოკზე მიბმული გამოსახულება ჩაიტანეს ციცაბო გზაზე ქვევით, პატარა ქვიშნარიან რიყეზე, ასობით ადამიანის თანხლებით, რომელთა უმეტესი ნაწილი გონგსა სცემდა და ბუკით აუწყებდა.

მდინარის ნაპირთან ფიტული მოხსნეს ჭოკიდან. თეთრქლამიდიანი კაცი ექვსფუტიანი ჯვრით ხელში, — დაეცა მუხლებზე და დაიწყო მხურვალედ ლოცვა, რომ დაერწმუნებია ავი სული შესულიყო მის ხელთნაკეთში. შემდეგ გონგისა და ბუკის ხმაზე გამოსახულებას გადაუძახეს განგში და ის შეწირულ ყვავილებსა და ტკბილეულობასთან ერთად სწრაფად გაეშურა ზღვისაკენ.

მეორე დილას ნაცნობი ფიგურა უკვე აღარ დამინახავს კლდეზე, და როცა ვკითხე რამდენიმე კაცს, რომლებიც დილის განბანვისათვის ემზადებოდნენ, თუ საიდან მოვიდა განიერ ქლამიდაში ჩაცმული მეგობარი და საით წავიდა, იმათ მიპასუხეს: „ვინ გაბედავს კითხვას, საიდან გამოჩნდა წმინდა ადამიანი ან საით მიემართება ის?“.

ეს ხალხი, რომელსაც სანდალის ხის პასტისაგან შუბლზე აღნიშნული ჰქონდა თავისი კასტის ნიშნები და რომლებსაც წასული კაცი წმინდანად მიაჩნდა, აგრეთვე ისინიც, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გამოსახულების წყალში ჩაშვებაში, ინდუსები იყვნენ.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ინდოეთში, სადაც არ არსებობს პასპორტები ან პირადი გამოსაცნობი ნიშნები, და სადაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რელიგიას (იმათ გარდა, ვინც „შავი წყალი“** გაიარა) იქ, ზაფრანისფერ სამოსელიანს, სამათხოვრო ყულაბით ხელგაწვდილს, და ვერცხლის ჯვრებით თავ-და გულმკერდდამშვენებულ ადამიანებს თავი-

---

* თამაშა — სანახაობა, სპექტაკლი ურდუს ენაზე.

** ესე იგი, ზღვით გამგზავრებულნი, რომლებიც ამ მოქმედებით კასტის წევრობის უფლებას ჰკარგავენ. კასტის უფლებებში აღდგენა მოითხოვს განსაკუთრებული წესების შესრულებას და მატერიალური სახსრების გაღებას.

სუფლად შეუძლიათ იარონ კხიბერის უღელტეხილიდან კამორინის კონცხამდე, — მათ არავინ არ შეეკითხება მოგზაურობის მიზანს.

ძლივს გადარჩნენ

იმ დროს, როცა მე ხიდს ვდარაჯობდი, იბოტსონი და მისი ცოლი ჯინი პაურში ჩამოვიდნენ. ინსპექტორის ბუნგალოში გასათევი ადგილი ყველას ვერ გასწვდებოდა. მე წავედი იქიდან და ჩემი ორმოცგირვანქიანი კარავი დავდგი მლოცველთა გზის მეორე მხარეს მთაზე.

კარავი ძალიან სუსტი დამცველია ისეთი ცხოველისგან, რომელიც კლანჭების კვალს სტოვებს თითოეულ კარსა და ფანჯარაზე მრავალი მილის მანძილზე. ამიტომ ჩემ ხალხთან ერთად ეკლიანი ბუჩქნარის ღობე შემოვავლე მოედანს, სადაც კარავი უნდა გაგვეშალა. ამ მოედნის თავზე ხარობდა პანტის ვეებერთელა ხე, და რადგან მისი ტოტები ხელს გვიშლიდა კარვის დადგმაში, ვუბრძანე მოეჭრათ ხე. როცა მას უკვე ძირი შემოუთხარეს, შევცვალე ჩემი გადაწყვეტილება, რადგან შევამჩნიე, რომ თაკარა დღის საათებში ჩრდილი არ მექნებოდა. ამიტომ, მისი წაქცევის ნაცვლად, ვბრძანე მხოლოდ მისი ძირსდაშვებული ტოტები შეესხიპათ. ეს ხე ბანაკზე ორმოცდახუთი გრადუსით იყო გადმოწოლილი და შემოღობილის მეორე ბოლოში იდგა.

ჩვენს პატარა ბანაკში რვა კაცი მოვთავსდით. ნავახშმევს მე შევუდექი ღობეში ხვრელების ამოვსებას ეკლიანი ბუჩქნარით, რადგან ვიცოდი, რომ კაციჭამია ადვილად გადმოახტებოდა ღობეს. თუმცა გვიან იყო რაიმე ზომების მიღებაზე ფიქრიც კი, მაგრამ თუ ავაზა თავს არ დაგვესხმებოდა ამ ერთადერთ ღამეს, დილას შეიძლებოდა ხის მოჭრა და შემოღობილის გადაღმა გადათრევა.

მე არ მქონდა კარვები ჩემი ხალხისთვის, და ვვარაუდობდი, რომ ისინი იბოტსონის ხალხთან ერთად ინსპექტორის ბუნგალოს მინაშენში გაათევდნენ ღამეს, მაგრამ იმათ უარი განაცხადეს და მითხრეს, რომ ისინი ნაკლებ საშიშროებაში არ

არიან, ვიდრე მე ცის ქვეშ ღია კარავში. ჩემი მზარეული, რომელიც ძალზე ხმამაღლა მხვრინავი აღმოჩნდა, ყველაზე ახლო იწვა ჩემთან, სულ რაღაც ძალიან მცირე მანძილზე და მის იქით, თითქოს სარდინებია ჩაწყობილი კონსერვის ქილაშიო, იწვა ნაინი-ტალიდან წამოყვანილი ექვსი გარვალელი.

სუსტი ადგილი ჩვენს თავდაცვაში იყო ხე, და იმაზე ფიქრში ჩამეძინა.

ღამე მთვარის შუქმა გაანათა და ცა ვარსკვლავებით მოიპენდა. ერთბაშად გამეღვიძა. ვიგრძენი, რომ ავაზა ხეზე ადიოდა. ხელი ვსტაცე გვერდით წინასწარ გატენილ თოფს, ლოგინიდან წამოვდექი და ის იყო წავუყარე ფეხსაცმელებში ფეხები, რათა მიწაზე დაყრილ ეკლებზე ფეხი არ დამედგა, რომ ივ ვხრიდან, სადაც ხე იდგა, მოისმა საშინელი ტკაცანი და მას მოჰყვა მზარეულის ღრიალი: „ბახ, ბახ!“. ერთი ნახტომით გამოვვარდი კარვიდან და სანამ შემოვბრუნდებოდი, დამიგვიანდა ავაზასათვის დამიზნება, მან მოასწრო ყათარისა და ყანის მიჯნაზე გადახტომა და გაქრა. გამოვაძვრე გასასვლელში ჩაპენდილი ეკლიანი ბუჩქი და გამოვვარდი ამ მოშიშვლებულ, დაუთესავ ორმოცი იარდის სიგანის ველზე, შევჩერდი და გულდასმით დავაკვირდი ეკლიანი ბუჩქნარით დაფარულ მთის მხარეს. იქიდან მოისმა ტურის შეშფოთებული კივილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავაზა წავიდა.

ცოტა მოგვიანებით მზარეულმა მიამბო, რომ ის ზურგზე იწვა — ამ მდგომარეობას კარგად გავეცანი ადრე — და უცბად ხის ტკაცანი გაიგონა: იმ წამსვე გაახილა თვალები, და პირდაპირ თავის წინ დაინახა ავაზა, რომელიც მას მიშტერებოდა და ნახტომისათვის ემზადებოდა.

მეორე დღეს ხე მოჭრეს, შემოღობილი კი გაამაგრეს, თუმცა ამ ბანაკში კიდევ რამდენიმე კვირა დავყავით, მავრამ ჩვენთვის ძილი აღარავის დაუფრთხია.

ხაფანგი

მახლობელი სოფლებიდან მივიღეთ ცნობა, რომ ავაზას რამდენჯერმე წარუმატებლად უცდია სახლში შეჭრა და მისი ნაკვალევები აღმოუჩენიათ გზებზე. რამდენიმე დღე გავიდა

იბოტსონების ჩამოსვლის შემდეგ, რომ სოფელში, რუდრაპ-
რაიაგიდან ორი მილის მოშორებით და დაახლოებით ნახევარ
მილზე იმ სოფლიდან, სადაც მე თივის ზვინზე ვიჯექი ჩასაფ-
რებული, ავაზამ მოჰკლა ძროხა.

სოფელში რომ მივედით, გამოვარკვიეთ, ავაზას გაეტეხა
ერთოთახიანი სადგომის კარი, მოეკლა ძროხა და კარებამდე
მიეთრია და რადგან ვერ შესძლო მისი კარის ზღურბლზე გა-
დათრევა, ადგილზევე დანაყრებულიყო.

ბოსელი სოფლის ცენტრში იდგა, და გარშემო რომ ყვე-
ლაფერი დავათვალიერეთ, მივედით იმ დასკვნამდე, რომ თუ
ბოსლის კედელში რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ძროხის
ლეშიდან გავაკეთებთ ჭუჭრუტანას, თავისუფლად შეგვიძლია
თვალისდევნება.

ბოსლის და მოკლული ძროხის პატრონი სიამოვნებით და-
გვთანხმდა ჩვენს გეგმაზე. როგორც კი მოსაღამოვდა, მაგრად
ჩავიკეტეთ სახლში, ვჭამეთ თან წამოღებული სანდვიჩები.
დავლიეთ ჩაი და მორიგეობით შევუდექით დარაჯობას — ვი-
ცქირებოდით კედლის ჭუჭრუტანაში, მაგრამ ამ ხანგრძლივი
ღამის განმავლობაში ავაზასთვის თვალიც არ მოგვიკრავს.

დილას სახლიდან რომ გამოვედით, მცხოვრებლებმა და-
გვატარეს სოფელში — ის არც ისე პატარა იყო — და გვიჩვე-
ნებდნენ კარებსა და ფანჯრებზე მრავალი წლის მანძილზე
ვინმეს მოტაცების ცდის დროს დატოვებულ კაციქამიას კლან-
ჭებით გაკაწრულს, განსაკუთრებით ერთ კარს ემჩნეოდა უფ-
რო ღრმა ნაკაწრი — ეს იმ სადგომის კარი იყო, სადაც ორმო-
ცი თხა და ბიჭი იყვნენ ჩაკეტილი და ავაზა შეუვარ-
დათ შიგ.

რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთი ძროხა იქნა მოკლუ-
ლი ბორცვზე პატარა სოფელში რამდენიმე ასეული იარდის
მოშორებით ბუნგალოდან. აქაც აღმოჩნდა, რომ ძროხა მოკ-
ლული იყო სახლის შიგნით, მითრეული კარებამდე და ნაწი-
ლობრივ შეჭმული. დაახლოებით ათი იარდის დაშორებით კა-
რიდან იყო თექვსმეტი ფუტი სიმაღლის ახლად დადგმული
თივის ზვინი. რომელსაც მიდგმული ჰქონდა ორი ფუტი სიმაღ-
ლის კიბე.

ეს ახალი ამბავი დილაადრიან გვაცნობეს და რადგან მთელი დღე წინ იყო, ჩვენ გავაკეთეთ სახუნდარი, რომელიც იყო არა მარტო ყველაზე შესანიშნავი, არამედ ყველაზე ოსტატურად აგებული, როგორიც კი გაკეთებულია ამგვარი მიზნებისათვის.

დავიწყეთ იმით, რომ ჯერ ზვინი დავშალეთ და გარშემო მიწაში ჭოკები ჩავასვით; შემდეგ ამ ჭოკებზე ავაგეთ პირველზე ოთხი ფუტით მაღალი კიდევ ერთი ბაქანი... ორივე ბაქნის გარშემო შემოვავლეთ მავთულის ბადე ორდუიმიანი უჯრედებით და დაწნული თივინ კონები ჩავტენეთ ამ უჯრედებს შორის, ნაწილი კი მიმოვაბნიეთ ზვინის გარშემო ისე, როგორც ეს იყო მუშაობის დაწყებამდე. ზვინის ერთ-ერთმა პატრონმა, რომელიც ჩვენი ნაგებობის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა, არ დაიჯერა, რომ ზვინი ხელნახლები იყო, სანამ თვითონ არ გასინჯა ის და სანამ არ ვაჩვენე მეორე ზვინი, რომელიც ჩვენ ავაგეთ გამოუყენებელი თივისგან მახლობელ ყანაში.

როგორც კი მზე გადაიწვერა, გავძვერით მავთულის ბადეში დატოვებულ ხვრელში, მოვხვდით სახუნდარში და გულმოდგინედ ჩავკეტეთ შესასვლელი. იბოტსონი ცოტა ჩემზე უფრო დაბალია, ამიტომ მან დაიკავა ზედა ბაქანი. კარგად რომ მოვეწყეთ, თითოეულმა ჩვენგანმა გაკეთა პატარა ჭუჭრუტანა, საიდანაც შეიძლებოდა თოფის სროლა, მაგრამ როცა ავაზა გამოჩნდებოდა, ჩვენ ვერ შევძლებდით ერთიმეორესთან დაკავშირებას, ამიტომ წინასწარ დავთქვით, რომ რომელიც პირველად დაინახავს მხეცს, ის ესროდა. ნათელი, მთვარის სხივებით განათებული ღამე იყო და ელექტროფარანი არ გვჭირდებოდა.

ვივახშმეთ, შორი სოფლიდან მოღწეული ხმებიც მიწყდა და დაახლოებით ათ საათზე გავიგონე, როგორ ჩამოვიდა ავაზა ჩვენს უკან გადმოკიდული მთიდან, ზვინთან რომ მოვიდა, რამდენიმე წუთით შეჩერდა და გაირინდა, შემდეგ შეხოხდა იმ ბაქნის ქვეშ, რომელზეც მე ვიჯექი: სწორედ ჩემს ქვეშ ყოფნის დროს — მის თავს ჩემგან მხოლოდ ფიცრის სისქე აშორებდა — ის შეჩერდა ერთი წუთით, რომელიც ძალზე ხანგრძლივად მეჩვენა და ისევ განაგრძო ხოხვა. ის იყო მოვემ-

ზადე, ვუცდიდი როდის გამოჩნდებოდა ის ბაქნის ქვეშიდან, რომ ზედა ბაქნიდან გაისმა მკვეთრი ჭრიჭინი. ავაზა გახტა მარჯვნივ, სადაც ვეღარ დავინახე და მთაში გაუჩინარდა.

იბოტსონს ორივე ფეხი დაბუჟებოდა და რომ მდგომარეობის შეცვლით შეემსუბუქებია ძალზე მწვავე ტკივილები, შებრუნებულიყო. აი, რატომ გაისმა კრიტიკულ მომენტში ფიცრის ჭრაჭუნი. როგორც ჩანდა, ავაზა ძალზე დაფრთხა და არა თუ იმ ღამეს, შემდგომ ღამეებსაც არ დაბრუნებია ლეშს.

ორი დღის შემდეგ კიდევ ერთი ძროხა იქნა მოკლული რამდენიმე ასეულ იარდზე რუდრაპრაიაგის ბაზრიდან. ამ ძროხის პატრონი ცხოვრობდა განმარტოებით მდგარ ერთოთახიან ბინაში, რომელიც უბრალო ტიხარით გაყოფილი იყო სამზარეულოდ და საცხოვრებელ ოთახად. ერთხელ ღამე ის გააღვიძა სამზარეულოში ატეხილმა ხმაურმა, რომლის გარე კარის დაბურვა დავიწყებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ფართო ჭუჭრუტანაში ღია კარიდან შემოსულ მთვარის მკრთალ შუქზე მან დაინახა ავაზა, რომელიც ცდილობდა ტიხარის ერთ-ერთი ფიცრის აგლეჯას.

დიდხანს იწვა კაცი და ჭირის ოფლი ასხამდა, სანამ მხეცი ცდილობდა ხან ერთი და ხან მეორე ფიცრის აგლეჯას. საბედნიეროდ, ტიხარში რომ ვერ მონახა სუსტი ადგილი, ის წავიდა სამზარეულოდან და სიცოცხლეს გამოასალმა ძროხა, რომელიც სახლის მინაშენის ახლო იყო დაბმული. შემდეგ გაწყვიტა ბაწარი, რომლითაც ძროხა იყო მიბმული, გაათრია ის მოკლე მანძილზე, მაგრად გაძღა და ლეში იქვე დატოვა ღია ცის ქვეშ.

მთიდან ჩამოსასვლელის განაპირას, დაახლოებით ოც იარდზე იმ ადგილიდან, სადაც მოკლული ძროხა ეგდო, იდგა უზარმაზარი ტოტებგადაშლილი ხე; მის ზედა როკებზე დადგმული იყო თივის ზვინი. მე და იბოტსონმა გადავწყვიტეთ ჩასაფრება ამ ბუნებრივ სახუნდარზე, ქვევით გადაშლილ ველის თავზე რამდენიმე ასეული ფუტის სიმაღლეზე აღმართულ კლდესთან.

ჩვენს დასახმარებლად მთავრობამ რამდენიმე დღით ადრე ხაფანგი გამოგზავნა. ეს მახე, რომლის მსგავსი საშინელება არ მინახავს, სიგრძით ხუთი ფუტი და წონით ოთხმოცი გირვანქა

იქნებოდა. მის ყბებს ჰქონდა ოცდაოთხი დუიმის სიგრძეზე ჩამწკრივებული სამდუიმიანი მასვილი კბილები, ისინი მოძრაობაში მოჰყავდა ორ მძლავრ ზამბარას, რომლის გაღებას ორი კაცის ძალა სჭირდებოდა.

ავაზამ დატოვა ლეში და გაეშურა ორმოცი იარდის სიგანის ყანაში გამავალ გზაზე. ეს გზა გადიოდა სამფუტიანი მიჯნით გამოყოფილ მეორე ყანაში, რომელიც თავის მხრივ ემიჯნებოდა ეკლიანი ხშირი შამბნარით დაფარულ მთას. იმ ადგილას, სადაც სამფუტიანი მიჯნა ზედა ყანას გამოჰყოფდა ქვედა ყანისაგან, ჩვენ დავდგით ხაფანგი და უფრო მეტი წარმატებისთვის, გზის ორივე მხარეზე დავასვით რამდენიმე ეკლიანი ბუჩქი. ხაფანგის ერთ მხარეს მიმაგრებული იყო ნახევარი დუიმის სიმსხო ჯაჭვი. ბოლოში ჯაჭვს ეკიდა რგოლი, რომლის დიამეტრი სამი დუიმი იყო: რგოლში გავუყარეთ პალო და ჩავასვით მიწაში. ამგვარად ხაფანგი ჯაჭვით დავამაგრეთ ადგილზე.

ყველა ეს სამზადისი რომ მოვათავეთ, ჯინი იბოტსონი დაბრუნდა ბუნგალოში ჩვენ ხალხთან ერთად, მე და მისი ქმარი კი ავძვერით ზვინზე. ჩვენ წინ დავასვით პატარა ჭოკი, და ზედ შემოვაბვიეთ თივა, რომ ამ „ნაგებობას“ თეჯირის მაგივრობა გაეწია ჩვენთვის. ჩვენ მოვეწყვეთ კარგად და დაველოდეთ ავაზას გამოჩენას და სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ აჯერად ის მოხვდებოდა ხაფანგში.

საღამოს გამოჩნდა შავი ღრუბლები, რომლებმაც დაფარა ცა. მთვარე ცხრა საათზე ადრე არ ამოვიდოდა. მაშასადამე, აბლა დაგვჭირდებოდა ელექტროფარანი: ძალაუნებურად იმაზე ვიქნებოდით დამოკიდებული. ფარანი მძიმე და ტლანქი იყო და რადგან იბოტსონი დაჟინებით მოითხოვდა მესროლა, ბევრი ვიწვალე მისი თოფზე მიმაგრების დროს.

ერთი საათი იქნებოდა გასული დაღამების შემდეგ, რომ მრისხანე ღრიალმა გვამცნო ავაზა ხაფანგში გაბმულიყო. ავაწთე ფარანი და მის სინათლეზე დავინახე ყალყზე შემდგარი ავაზა. ხაფანგი მის წინა თათებზე ეკიდა. მე ნაჩქარევად ვესროლე: ჩემი 450-ყალიბიანი თოფის ტყვია მოხვდა ჯაჭვის რგოლს და გაწყვიტა ის.

პალოსაგან გათავისუფლების შემდეგ ავაზა გაქანდა გრძელი ნახტომებით, გაიკრა ყანისაკენ, თან ხაფანგს მიათრევდა. ჩვენ მივაყოლეთ ტყვიები — მე ჩემი თოფის მარცხენა ლულიდან და იბოტსონმა ორლულიანი თოფიდან ორი ჩვეულებრივი მომაკვდინებელი გასროლა, რომელიც ააცდინა. როდესაც ვცდილობდი თოფის ხელახლა გატენას, ფარანში რაღაც გადავწიე და სინათლე ჩაქრა.

რუდრაპრაიაგის ბაზარზე და მეზობელ სოფლებში ავაზას ღრიალი და ოთხი გასროლის ხმა რომ გაიგონეს, ხალხი გარეთ გამოცვივდა. ფარნებითა და ანთებული ფიჩვის ჩირაღდნებით ისინი ყოველი მხრიდან შემოერტყნენ სახლს, სადაც ძროხა იყო მოკლული. ამაოდ ვუყვიროდი, რომ გზა მოეცათ. ისინი ისე ხმაურობდნენ, რომ არაფერი ესმოდათ. ამიტომ ჩახმახზე შეყენებული თოფით ხელში დავიწყე ხიდან ჩამოცოცება, რაც საკმაოდ საშიშია სიბნელეში, იბოტსონი კი ამ დროს არხევდა და ანთებდა ნავთის ლამპას, რომელიც თან წამოვიღეთ სახუნდარში. იბოტსონმა თოკით ჩამოუშვა ძირს ლამპა, ჩამოვიდა მიწაზე და გავეშურეთ იმ მიმართულებით, საითაც წავიდა ავაზა. შუაგზაზე ყანის გასწვრივ იყო ბორცვი — კლდის შვერილი. ჩვენ მივუახლოვდით მას, იბოტსონს მაღლა ეჭირა მძიმე ლამპა, მე კი მივყვებოდი შემართული თოფით. კლდის შვერილის უკან იყო პატარა ღრმული. იქ მიწაზე გართხმული ავაზა გამომწვევად ღრენდა და თვალს არ გვაშორებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც ჩემმა ტყვიამ გაუპო მას თავი, ჩვენ უკვე გარშემორტყმული ვიყავით ეკზალტირებული ბრბოთი, რომელიც ცეკვავდა საშინელების მომგვრელი მტრის გვამის გარშემო.

ჩემს წინ მდებარე მკვდარი ცხოველი იყო ძალზე დიდი ხვადი ავაზა, რომელიც გასულ ღამეს ლამობდა ტიხარის გატეხას, რათა ადამიანამდე მიეღწია. მტაცებელი განადგურებული იყო იმ რაიონში, სადაც ათეული ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს. და, ცხადია, ეს წარმოადგენდა საკმაო საფუძველს, რომ მკვდარი ავაზა კაციჭამიად ჩაგვეთვალა, და მე მაინც ვერ ვაჯერებდი ჩემ თავს, რომ ეს სწორედ ის ცხოველია, რომელსაც თვალი მოვკარი იმ ღამეს, როცა საფარში ვიჯექი

ქალის გვამთან. მართალია, ბნელი ღამე იყო და მხოლოდ ბუნდოვნად დავინახე ავაზას გამოსახულება; დე ასე იყოს, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ცხოველის ლეში, რომელსაც ახლა სიხარულით უტყლაშუნებდა გარშემორტყმული ხალხი, — კაციჭამიას ლეში არაა.

იბოტსონის წინამძღოლობით და ხალხის თანხლებით, რომლებსაც ავაზას ლეში მოჰქონდათ, გავემართეთ ბაზარზე გაელით ბუნგალოსაკენ.

მთიდან რომ ჩამოვდიოდი პროცესიის უკან, მე ვიყავი ერთადერთი კაცი ამ ბრძოლაში, რომელსაც არ მჯეროდა, რომ კაციჭამია ავაზა რუდრაპრაიაგიდან, მკვდარია; თვალწინ მედგა სახლში ერთი შემთხვევა, რომელიც მოხდა ჩვენი სამაზრო რეზიდენციის მახლობლად ჯერ კიდევ ჩემს პატარა ბიჭობაში. მრავალი წლის შემდეგ წიგნში ვნახე ეს შემთხვევა ასეთი სახელწოდებით „ვაქკაცური საქციელი“ ან, შეიძლება „ყველაზე ვაქკაცური ნაბიჯი“. ეს ამბავი შეემთხვა ორ ადამიანს — ერთს ეძახდნენ სმიტს, ის მსახურობდა სამოქალაქო განყოფილებაში. მეორეს კი ერქვა ბრედვუდი. ის სატყეო დეპარტამენტიდან იყო. ერთხელ, როცა ჯერ კიდევ რკინიგზა არ იყო, ისინი მოგზაურობდნენ საფოსტო ფურგონით მორადაბადიდან კალადხუნგში და გზის მოსახვევში წააწყდნენ ველურ სპილოს. სპილომ მოჰკლა მეფურგონე, ორი ცხენი და გადააბრუნა ფურგონი. ბრედვუდს ჰქონდა თოფი და სანამ იგი მას ფურგონიდან ამოიღებდა, გახსნიდა და გატენიდა, სმიტი ავიდა ფურგონზე, ამოაძრო ბუდიდან ერთი მთელი ფარანი, შემდეგ მაღლა თავს ზევით დაიჭირა ოდნავ მბჟუტავი სანათური, გაემართა სპილოსკენ და მიანათა მას, რომ ბრედვუდს შეძლებოდა ზუსტად სროლა სპილოსთვის. გასაგებია, ველურ სპილოსა და ავაზას შორის განსხვავება დიდია, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, — ცოტა მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც მშვიდად დაუდგებიან წინ ტკივილებისაგან გახელებულ ავაზას მაღლა აწეული ლამპით, როცა მისი უშიშრობა დამოკიდებულია მხოლოდ ამხანაგის ტყვიაზე. ჩვენს ავაზას, როგორც შემდეგ გამოვარკვიეთ, უკვე ამოეძრო ხაფანგიდან თათი, რომელიც მხოლოდ ტყავის თხელ ნაჭერზე ეკიდა.

ამ ღამეს მრავალი წლის მანძილზე ბაზარში ყველა ჩაკეტილი სახლის კარი პირველად გაიღო. ქალები და ბავშვები თავიანთი სახლების წინ გამოფენილიყვნენ. ჩვენ ნელა მივიწევდით წინ, რადგან ყოველთვის რამდენიმე იარდის გავლის შემდეგ გვიხდებოდა ავაზას ძირს დაშვება, რომ ბავშვებს საშუალება ჰქონოდათ გარს შემორტყმოდნენ და დაეთვალიერებიათ ის. გრძელი ქუჩის ბოლოში ჩვენი ესკორტი ჩამორჩა და ავაზა ზეიმით შევიტანეთ ბუნგალოში.

მე და იბოტსონმა ვიბანავეთ ჩემს ბანაკში და ერთად დავბრუნდით ბუნგალოში. სადილზე და შემდეგაც ჩვენ მოგვყავდა ერთმანეთის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომ მოკლული ავაზა კაციჭამიაა. ბოლოს და ბოლოს, რომ ვერ დავარწმუნეთ ერთმანეთი, ჩვენ შევჩერდით შემდეგზე: რადგან იბოტსონი უნდა დაბრუნებულიყო უკან სამუშაოზე პაურში, მე კი გადაღლილი ვიყავი რუდრაპრაიაგში ამდენი ღამეების თევით. ამიტომ ხვალ ავაზას გატყავებასა და მისი ტყავის გაშრობას მოვუნდებოდით, ზეგ კი ავყრიდით ბანაკს და გავემგზავრებოდით პაურში.

განთიადიდან გვიან საღამომდე მახლობელი და შორეული სოფლებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი, რომ შეეხედათ ავაზასათვის. ამიტომ იბოტსონების რწმენა, რომ ისინი სწორი არიან და მე ვცდები, სულ იზრდებოდა, მაგრამ ჩემი თხოვნით იბოტსონი ორ დათმობაზე წავიდა: მან ერთხელ კიდევ გააფრთხილა ხალხი, რომ ყველას ჰქონოდა მხედველობაში ჩემი ეჭვი და არ შეესუსტებინათ უსაფრთხოების ღონისძიებები, მეორე, მან დაავალა თავი შეეკავებიათ მთავრობისათვის ტელეგრამის გაგზავნისაგან კაციჭამიას მოკვლის შესახებ.

ამ საღამოს ადრე წავედით დასაძინებლად, რადგან განზრახული გვქონდა მეორე დილას გამგზავრება. როგორც კი ინათებდა.

ავდექი, ჯერ კიდევ ბნელოდა და საუზმეს შევექცეოდი. რომ გზიდან ხმები მომესმა. გადაეძახე ხალხს. რას აკეთებდნენ ისინი ამ უდროო დროს. მე რომ დამინახეს, ოთხი კაცი ამოვიდა ბილიკით ბანაკში; გამოირკვა, რომ ისინი პატვარის

გამოეგზავნა, რათა ჩემთვის ეცნობებიათ, რომ კაციშამიას ქალი მოეკლა მდინარის იქითა მხარეზე, ჩატვაპაიპალის ხიდიდან დაახლოებით ერთი მილის დაშორებით.

მონადირენი, რომლებზეც ნადირობენ

ბუნგალოში რომ მივედი, იბოტსონი ის იყო კარის ურდულს სწევდა, რომ შეეშვა კაცი, რომელსაც ფინჯნით ჩაი მოჰქონდა. მე რომ მომისმინა, განაცხადა, — პაურში წასვლას გადავდებო. ჩამოვსხედით ჯინის საწოლზე, მუხლებზე გაშლილი რუკა დავიდევით, თან ჩაის ვსვამდით და გეგმებს ვაწყობდით. იბოტსონს ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო ელოდებოდა პაურის სამმართველოში და მას შეეძლო კიდევ დარჩენილიყო სულ დიდი ორი დღე და ღამე, წინა დღით დეპეშა გავგზავნე ნაინი-ტალში და ვაფრთხილებდი, რომ შინ ვბრუნდებოდი რკინიგზით პაურსა და კოტდვარუზე გავლით, ეს დეპეშა უგულვებელვყავი და გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი სახლში ფეხით იმავე გზით, რომლითაც აქ ამოვედი. როცა ყველაფერი დავალაგეთ და რუკაზე ვნახეთ ის სოფელიც, — სადაც ქალი იყო მოკლული, წავედი ბანაკში, რომ ჩემი ხალხისათვის მეთქვა გეგმების შეცვლის შესახებ, რათა იმათ მოეგროვებიათ ყველაფერი და გამოგვყოლოდნენ მომხდარი ამბის მომტანი ოთხი კაცის თანხლებით.

ჯინი უნდა დარჩენილიყო რუდრაპრაიაგში, ამიტომ საუზმის შემდეგ მე და იბოტსონი ერთად გავემგზავრეთ მისივე ორი ცხენით — არაბულით და ინგლისური ფაშატით, რომელსაც მეტად მტკიცე ფეხები ჰქონდა. ამაზე უკეთეს ცხენზე არასოდეს არ ვმჯდარვარ. თან წავიღეთ თოფები, ქურა, ბენზინის ლამპა, ცოტა სურსათი და გავემგზავრეთ იბოტსონის ერთ-ერთი მსახურის თანხლებით, რომელიც მოგვყვებოდა დროებით საკვებით დატვირთულ ნაქირავები ცხენით.

შევჩერდით ჩატვაპაიპალის ხიდთან. ეს ხიდი არ იყო დახურული იმ ღამეს, როცა ავაზა მოვკალით, რის შედეგადაც

კაციჭამია გადავიდა მდინარეზე და მიაღწია მიზანს — მოიტა-
ცა ადამიანი პირველ სოფელშივე, სადაც მივიდა.

ხიდთან შეგვხვდა მეგზური. მან გაგვატარა მთის ძალიან
მაღალ თხემზე, ბალახით დაფარული ფერდობის გასწვრივ და
შემდეგ ჩაგვიყვანა ქვემოთ ხშირი ტყით დაფარულ ღრმა ხევ-
ში, რომლის ფსკერზე პატარა ნაკადული მიედინებოდა. აქ და-
ვინახეთ პატვარი და ოცამდე კაცი, რომლებიც გვამს დარა-
ჯობდნენ.

მოკლული იყო ჯანმრთელი, მაგარი აგებულების თვრამე-
ტი თუ ოცი წლის ძალიან ლამაზი ქალი. ის პირქვე იწვა. ტან-
საცმელი სულ შემოგლეჯილი ჰქონდა. თავით ფეხამდე გა-
ლოკილი იყო ავაზას მიერ. ყელზე ანდა ოთხი დიდი ჭრილო-
ბა, კბილების ნაკვალევი. ხორცი ცოტა იყო შეჭმული, სულ
რამდენიმე გირვანქა ტანის ზედა და იმდენივე ქვედა ნაწი-
ლიდან.

დოლის ხმა ჯერ კიდევ მთაზე ასვლამდე შემოგვესმა, რაც
იმის მაუწყებელი იყო, რომ ხალხი ქალის გვამს დარაჯობდა.
რადგან შუადღის ორი საათი იყო, ავაზა არ შეიძლებოდა
სადმე ახლოს ყოფილიყო. ჩვენ თან წავიყვანეთ პატვარი, და-
რაჯი და გავემართეთ სოფლისაკენ ჩაის დასალევად.

ჩაის შემდეგ გამოვედით სახლის დასათვალიერებლად, სა-
დაც ქალი იქნა მოკლული. სახლი ერთი ოთახისაგან შედგებო-
და და აშენებული იყო ქვისაგან ორი თუ სამი აკრის სიფართის
ყანაში. ამ ბინაში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი და მათი ექვსი
თვის ბავშვი.

სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, ქმარი ორი დღით ადრე გაემ-
გზავრა პაურში მიწის გარშემო ატეხილ სადავო საკითხზე ჩვე-
ნების მისაცემად და სახლი დატოვა თავისი მამის იმედით. იმ
ღამეს, როცა ავაზამ მოკლა ქალი, რძალმა და მამამთილმა ერ-
თად ივახშმეს. დაძინების წინ ქალმა ბავშვი გადასცა მოხუცს,
გააღო კარი და გავიდა გარეთ ბუნებრივი საჭიროებისათვის.
მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენს მთიელებს სახლებში არა აქვთ
სანიტარული მოწყობილობანი.

პაპამ ბავშვი რომ გამოართვა დედას, პატარამ ტირილი
დაიწყო და გარეთ კიდეც რომ დაეყვირა ქალს, მამამ-

თილი ვერც გაიგონებდა. დარწმუნებული ვარ, არავითარი ხმაური არ ყოფილა. ღამე ძალიან ბნელი იყო. რამდენიმე წუთს უცადა მოხუცმა, შემდეგ დაუძახა ქალს და პასუხი რომ ვერ მიიღო, გაიმეორა ძახილი. შემდეგ წამოხტა, სწრაფად მიჩურა კარი და გაუყარა ურდული.

მთელი საღამო წვიმდა, და ძნელი არ იყო იმის დადგენა, რაც მოხდა. წვიმამ რომ გადაიღო, სოფლის მხრიდან ყანაში გამოსული ავაზა სახლის კარიდან მარცხნივ ოცდაათი იარდით დაშორებულ კლდის უკან განერთხო მიწას და მიიმალა. აქ ის ცოტა ხანს ჩაწვა, შესაძლებელია, ხალხის ხმაურს განერიდა. როცა ქალმა კარი გააღო და ჩაცუცქდა მარჯვნივ, ავაზასკენ ზურგით შებრუნებული, ამ დროს ავაზამ დაიწყო კლდის მეორე მხრიდან შემოვლა, მუცელზე ხოხვით გაიარა სახლის კუთხესა და მას შორის მდებარე მანძილი — ოცი იარდი. შემდეგ სახლის კედლის გაყოლებით მიეპარა ქალს, სტაცა პირი უკნიდან და მიათრია ის კლდესთან. აქ, როცა ქალი უკვე მკვდარი იყო ან შეიძლება მოხუცის შეშფოთებული ძახილი გაიგონა კიდეც, ავაზამ ასწია მსხვერპლი კბილებით ისე მაღლა, რომ მისი ხელებისა და ფეხების არავითარი კვალი არ დამჩნეულა ახლად დახნულ რბილ მიწას. ავაზამ წაიღო თავისი მსხვერპლი, გაიარა პირველი ყანა, ჩაუარა სამფუტიან მიჯნას, შემდეგ გადაიარა მეორე ყანა, რომელიც თავდებოდა კარგად გატკეპნილ გზაზე გამოსული თორმეტი ფუტის სიღრმის ხრამით. ავაზას პირიდან არ გაუგდია სამოცდაათკილოგრამიანი ტვირთი, ისე ჩახტა ძირს. თორმეტფუტიანი სიმაღლიდან გაკეთებული ნახტომის შემდეგ ის ისე დაეშვა მიწაზე, რომ ჰაერში ეჭირა ქალის მთელი სხეული! გადაკვეთა ბილიკი და დაეშვა მთაზე ქვევით, კიდევ გაიარა ნახევარი მილი, შეჩერდა და შემოახია ტანსაცმელი თავის მსხვერპლს. ცოტა ხორცი რომ მოაჭამა, მან დატოვა ის პატარა კორდის მწვანე — ზურმუხტოვან ბალახზე ხის ჩრდილში, რომელიც თავისი ტოტებით ხვიარა მცენარეებთან ერთად ხეივნის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

დაახლოებით ნაშუადღევის ოთხ საათზე ჩვენ ჩავედით ქვევით, წავიღეთ თან ბენზინის ლამპა, ღამე სანადირო ფარანი და ჩავსაფრდით მოკლული ქალის ახლო.

ავაზას ალბათ ესმოდა სოფლის მოსახლეობის ხმაური ქალის ძებნისა და მოგვიანებით მსხვერპლის გვამის დარაჯობის დროს. მაშასადამე, თუ მხეცი დაუბრუნდებოდა თავის ნადავლს, ის ძალიან ფრთხილად იქნებოდა. ამიტომ ჩასაფრების მოწყობა გადავწყვიტეთ ცოტა მოშორებით მოკლულისაგან და ამ მიზნისათვის შევარჩიეთ ხე დაახლოებით სამოცი იარდის მოშორებით, ბორცვზე, საიდანაც კარგად შეიძლებოდა კორდის დანახვა.

ეს ხე — დაბალი მუხა — ხარობდა ბორცვის ძირას, მარჯვენა კუთხეში. როცა პატარა ღრმულში დავმალეთ ნავთის ლამპა და მივჩქმალეთ ის ფიქვის ტოტებით, იბოტსონი ჩაუსაფრდა ხის განშტოებაში, საიდანაც კარგად ჩანდა მოკლული, მე კი მისკენ ზურგშექცევით ვიჯექი, სახით ბორცვისკენ მიბრუნებული. იბოტსონს უნდა ესროლა, მე კი უნდა უზრუნველმეყო ორივეს უშიშროება. რადგან ელექტროფარანი არ მუშაობდა, — შესაძლებელია ბატარეები გადაიწვა — გადავწყვიტეთ მანამ ვისხდეთ, სანამ იბოტსონი შეძლებს რაიმეს გარჩევას; შემდეგ ავანთებთ ლამპას და დავბრუნდებით უკანვე სოფელში, სადაც, როგორც ვიმედოვნებდით, მოსული იქნებოდა ჩვენი ხალხი რუდრაპრაიაგიდან.

ჩვენ აღარ გვყოფნიდა დრო, მიდამოები დაგვეზვერა. მცხოვრებლებმა კი გვაცნობეს, რომ აღმოსავლეთით იმ ადგილიდან, სადაც გვამი დევს, ძალიან ხშირი ჯუნგლებია, სადაც შეიძლება ავაზა თავს აფარებდესო. თუ იგი გამოჩნდება ჯუნგლების მხრიდან, იბოტსონი დაინახავს მხეცს მანამ, სანამ ნადირი კორდამდე მოაღწევს და მას საშუალება ექნება წარმატებით ესროლოს, ვინაიდან თოფზე მოწყობილი აქვს ტელესკოპური სამიზნე. რომელიც ხელს უწყობს მიზანში ზუსტად ამოღების დროს. სროლის გადამწყვეტ მომენტში, სხვას რომ თავი დავანებოთ, წუთსაც კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ხშირად ის წარმატებისა თუ წარუმატებლობის საწინდარია. ასეთივეა სინათლის გადანაცვლების ფაქტორი დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ის იყო დასავლეთისაკენ გადაწვერილი მზე მთას ჩამოეფარა და ჩვენ რამდენიმე წუთს უკვე ჩრდილში ვიყავით, რომ

ერთბაშად კარკერის ყეფისმაგვარი ხმა გავიგონეთ მთის იმ მხრიდან, სადაც გვეუბნებოდნენ, გაუვალი ჯუნგლები არისო. მთის შვერილზე ირემი ცოტა ხანს შედგა, შემდეგ ოდნავ „წაიყეფა", მიიმალა მოპირდაპირე მხარეზე და ხმაც მიწყდა.

უეჭველია, კარკერი შეშფოთებული იყო ავაზას მიერ და სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ადგილებში ყოფილიყო სხვა ავაზებიც. ყოველ შემთხვევაში მეტი იმედი მომეცა და როცა შემოვბრუნდი და შევხედე იბოტსონს, დავინახე, რომ ისიც მზად იყო, რადგან თოფი ორივე ხელით ეჭირა.

თანდათან ბნელდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ საკმარისი სინათლე იყო, რომ თოფი გამესროლა ტელესკოპური სამიზნის დაუხმარებლად. უეცრად, სადღაც ზევით ფიქვის გირჩას თითქოს ვიღაც შეეხო, ჩვენგან ოცდაათი იარდის მოშორებით დაგორდა ბორცვიდან და დაეჯახა ხეს ჩემ ფეხთან. ავაზა გამოჩნდა. ის ისე მოიპარებოდა, რომ სიკეთის მომასწავებელს არ გავდა მისი შემპარავი მოძრაობა. ყველაფერს აკვირდებოდა, თუ რა ხდებოდა თავისი მიტოვებული მსხვერპლის ადგილას. სამწუხაროდ, ის პირდაპირი ხაზით უახლოვდებოდა გვამს, თუმცა შესაძლოა მე ვერ შევამჩნიე, მაგრამ ის ნამდვილად დაინახავდა ხის განშტოებაში მჯდარ იბოტსონს.

გავიგონეთ, რომ ავაზა ფეხაკრეფით უახლოვდებოდა ხეს, მაგრამ ამ დროს არ შემეძლო მკრთალ სინათლეზე სროლა, და არც იბოტსონის ტელესკოპიანი თოფი გამომადგებოდა. დადგა გადამწყვეტი მოქმედების მომენტი. ამიტომ მე ვთხოვე იბოტსონს დაეკავებია ჩემი ადგილი, სანამ ლამპას ავანთებდი. ეს ლამპა გერმანიაში იყო გაკეთებული და ერქვა „პეტრომაქსი". ის ძალიან კაშკაშა სინათლეს იძლეოდა, მაგრამ თავისი გამოზნექილი კორპუსით, გრძელი სახელურითა და საერთოდ თავისი კონსტრუქციით ჯუნგლებში არ გამოდგებოდა.

მე ცოტათი უფრო მაღალი ვარ იბოტსონზე, ამიტომ ვუთხარი მას, ლამპის ხელში დაჭერა მე მეკუთვნის-თქო, მაგრამ ჩემმა მეგობარმა უარი მითხრა: მე თვითონ მშვენივრად გავართმევ თავს ამ საქმესო, გარდა ამისა, მე შენს შაშხანას უფრო ვენდობი. ვიდრე ჩემსასო. ასე გავუდექით გზას: იბოტსონი წინ მიდიოდა, მე კი თოფით ხელში უკან მივდევდი.

ორმოცდაათი იარდით ვიქნებოდით დაშორებული ხისგან, რომ დავიწყეთ კლდეზე აცოცება. იბოტსონს ფეხი დაუცურდა და ლამპა მაგრად დააჯახა ქვას, სავარვარო ბადე მოსძვრა და ძირს გადმოვარდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, გატეხილი ლამპიდან მოკიაფე ცისფერი ალი საკმაო სინათლეს მაინც იძლეოდა, რომ დაგვენახა, თუ სად დაგვედგა ფეხი. ახლა ისმებოდა კითხვა, რამდენ ხანს შეგვეძლო ამ სინათლით გვესარგებლა. იბოტსონი იმ აზრის იყო, რომ ლამპის ტარება შეიძლებოდა კიდევ სამ წუთს, სანამ აფეთქდებოდა. სამი წუთი, რომლის განმავლობაში უნდა ავსულიყავით ნახევარ მილზე ხევის ციცაბო აღმართზე, სადაც იძულებული ხარ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიცვალო მიმართულება, რომ გვერდი აუარო კლდის ვეებერთელა შვერილებს და ნარ-ეკლიან ბუჩქებს. შესაძლებელია, ამ დროს ავაზაც მოგვდევდა და ალბათ სინამდვილეში ეს ასეც იყო, რაც ჩვენ მოგვიანებით გავიგეთ, — ყველაფერი ეს არაფერს სასიკეთოს არ გვიქადდა.

ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მომენტები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არასოდეს არ ქრებიან ადამიანის მეხსიერებაში. სიბნელეში ამ კლდეზე აცოცება ჩემთვის ერთი ასეთი მომენტი იყო.

გზას რომ მივაღწიეთ, ჩვენი მღელვარება მაინც არ დამცხრალა, რადგან უფრო გაძნელდა გზის გაგნება, რომელიც კამეჩების ნეხვით იყო დაფარული; გარდა ამისა, არ ვიცოდით, სად იყო ჩვენი ხალხი. ხან ფეხი მიცურდებოდა, ხან უჩინარ საგნებს ვაწყდებოდით. როგორც იქნა, მივაღწიეთ რაღაც საფეხურისმაგვარ ქვას, რომელიც გზის მარჯვენა მხარეს შეგვხვდა. ავყევით საფეხურებს და მივადექით პატარა ეზოს, რომლის სიღრმეში მოჩანდა სახლი. სახლთან რომ მივედით, გავიგონე თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყოს ბუყბუყი. დავაკაკუნეთ და ვთხოვეთ, კარი გაეღოთ. ჩვენს დაძახებაზე შიგნიდან არავინ გაგვცა პასუხი. მაშინ ამოვიღე ასანთი, გავკარი და დავიძახე, — თუ ახლავე კარი არ იქნა გაღებული, ცეცხლს წავუკიდებ ჩალის სახურავს-მეთქი. მაშინ სახლიდან მოისმა შეშფოთებული ხმა — მთხოვდნენ არ წაუკიდო სახლს ცეცხლი და კარს ახლავე გავაღებთო. ერთი წუთის შემდეგ

გააღეს ჩაკეტილი ჯერ გარეთა და შემდეგ შიგნითა კარი და ჩქარი ნაბიჯით, როგორც კი ოთახში შეეედით, იმწამსვე შინაკარს ზურგებით მივაწექით.

ოთახში თორმეტი თუ თოთხმეტამდე მამაკაცი, ქალი და ყველა ასაკის ბავშვი დამხვდა. როცა დაუპატიჟებელი სტუმრობის შემდეგ ხალხი გონს მოვიდა, ბოდიში მოიხადეს და პატიება გვთხოვეს, რომ სწრაფად არ გაგვიღეს კარი და დასძინეს: „ისინი და მათი ოჯახები ისე დიდი ხანია ცხოვრობენ კაციჭამიასაგან შეძრწუნებულნი, რომ მათი ვაჟკაცობა უკვე გათავებულია“. იმათ არ იციან, როდის, სად ან რა საშინელებას მოიმოქმედებს კაციჭამია, ღამით ყოველი უბრალო ხმაურიც კი საეჭვოდ მიაჩნიათ. ჩვენ თანავუგრძნეთ მათ; იმ მომენტიდან, როცა იბოტსონს ფეხი დაუსხლტა, ლამპის სავარვარო ბადე გატეხა და რამდენიმე წუთის შემდეგ ლამპაც ჩააქრო. რომ არ აფეთქებულიყო, განა არ ვირწმუნეთ, რომ ერთი ჩვენგანი, და შესაძლებელია ორივენიც, სოფლამდე ვერ მივაღწევდით?

გვითხრეს, ჩვენი ხალხი თურმე საღამოს წასულიყო და აქედან ცოტა მოშორებით ბორცვზე რომ სახლი დგას, იქ მოთავსებულიყვნენ. ოთახში მყოფმა ორმა ვაჟკაცმა შემოგვთავაზა გაგვყოლოდნენ იმ სახლისაკენ, მაგრამ ჩვენ ვიცოდით. როცა ისინი მარტო დაბრუნდებოდნენ უკან, უთუოდ ხიფათს გადაეყრებოდნენ და ამიტომ უარი განვუცხადეთ მათ წინადადებაზე, რომელიც საბედისწერო რისკთან. იყო დაკავშირებული. მაშინ იმათ მოგვმართეს, ხომ არ წავიღებდით თან რომელიმე ლამპას ან ფარანს მაინც. ბევრი ძებნის შემდეგ. სახლის პატრონმა, როგორც იქნა, ძლივსძლივობით აღმოაჩინა ძველი დანჯღრეული ფარანი, გაბზარული შუშით. შევანჯღრიეთ და გამოირკვა, რომ შიგ კიდევ იყო დარჩენილი ცოტაოდენი ნავთი. ავანთეთ ფარანი და მასპინძლებმა კეთილი სურვილებით გამოგვაცილეს. როგორც კი გამოვედით გარეთ, ორივე კარი იმ წამსვე დახურეს და გადაკეტეს ურდულებით.

გზა კვლავ უამრავი წუმპეებით, ქვა-ღორღითა და ნაკელით იყო სავსე, მაგრამ მბჟუტავი სინათლე მაინც გვაძლევდა წინსვლის საშუალებას და როცა საფეხურების ახალ წყებას მივა-

დექით, რომელზეც როგორც წინასწარ გაგვაფრთხილეს, ... უნდა ავსულიყავით. ჩვენ მოვხვდით მეორე ფართე ეზოში. მარჯვნივ და მარცხნივ ორსართულიანი ნაგებობანი იდგა, თითოეული მაგრად იყო დაკეტილი და სინათლის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა.

ჩვენ ძახილზე გააღეს კარი, ავიარეთ ქვის გრძელსაფეხურიანი კიბე და გავედით ზედა სართულის აივანზე, სადაც ჩვენს განკარგულებაში გამოყოფილი ორი ოთახი გამოდიოდა. ფარანი და თოფები რომ ჩამოგვართვეს, საიდანღაც გამოჩნდა ცუგრია. ეს იყო ალერსიანად განწყობილი მოხეტიალე სოფლის ძაღლი. მან დაგვსუნა ფეხებზე, მოგვიალერსა კუდის ქიცინით და დაეშვა კიბეზე, რომლითაც ის იყო ამოვედით. ცოტა ხნის შემდეგ ძაღლმა გამყივანი ხმით მორთო ისტერიული ყეფა და უკან დაიხია. შიშისაგან ბალანი აბურძგნოდა.

ეზოში შემოსვლისთანავე ნათხოვარი ფარანი ჩაგვიქრა. მაგრამ ჩვენმა ხალხმა მოძებნა მეორე, პირველის ნამდვილი ორეული. სანამ მე ხელახლა გავტენიდი თოფს, იბოტსონი ცდილობდა ამ ლამპით გაენათებია გარშემო ყველაფერი, მაგრამ სინათლე აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა რვა ფუტი სიგრძის ეზოს გასაშუქებლად.

ძაღლის ქცევას თუ დააკვირდებოდით, შეიძლებოდა წარმოგედგინათ, თუ რას აკეთებდა ავაზა, იგი, როგორც კი გავიდა ეზოდან და დაეშვა გზისაკენ მიმავალ საფეხურებზე, ძაღლი თანდათან დაცხრა, დაწვა, თან დრო და დრო დაძაბული ღრენით იყურებოდა იქით, საითაც გაუჩინარდა კაციჭამია.

ჩვენთვის გამოყოფილ ოთახს არ ჰქონდა ფანჯრები, რომ მშვიდად დაგვეძინა, გვრჩებოდა ერთი რამ: მაგრად ჩაგვეკეტა კარი, რის გამოც ოთახში სუფთა ჰაერი ველარ შემოვიდოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ აივანზე ღამის გათევა. ძაღლი ალბათ იმ ხალხს ეკუთვნოდა, რომლებიც ჩვენამდე ცხოვრობდნენ ბინაში. როგორც ჩანდა, ის მიჩვეული იყო მათთან ახლოს წოლას და ძალიან კმაყოფილმა მოიკალათა ჩვენს ფეხებთან და გატრუნული ძილფხიზლობდა, სანამ ჩვენ მორიგეობით ვიძინებდით ამ გრძელი ღამის განმავლობაში.

დილას, როგორც კი ინათა, დიდი სიფრთხილით მივუახლოვდით გვამს და იმედგაცრუებული დავრჩით, — ავაზა არ დაბრუნებოდა მას. ჩვენ კი გვეგონა, რომ ის დაუბრუნდებოდა მსხვერპლს, რადგან, გუშინ ვერც ერთი ჩვენგანის მოტაცება ვერ შეძლო.

მთელი დღე, ვიდრე იბოტსონი მისთვის გადმოგზავნილ სამსახურებრივი ქაღალდების გარჩევით იყო გართული, მე ავიღე თოფი და წავედი სახეტიალოდ ავაზას მოკვლის იმედით. ფიჭვის წიწვებით დაფარულ მაგარ ნიადაგზე სიარული შეუძლებელია, ამიტომ გავეშურე მთის გამოშვერილი ნაწილისაკენ, რომლის უკან, როგორც მცხოვრებლები ამბობდნენ, იწყებოდა გაუვალი ჯუნგლები. და მართლაც, აღმოჩნდა, რომ აქ ძნელია მოძრაობა, — ამ ხშირ ჯაგნარში შეუძლებელია გაღწიოს კაცმა. მხვდებოდა ციცაბო კლდეები, სადაც ადამიანი ფეხსაც ვერ მოიკიდებდა. ამ ადგილებში საოცრად ბევრი ნადირი იყო. აქ ვნახე კარკერის, გორალის, გარეული ღორებისა და მარტოხელა სეროუს * ნაკვალევები, რომლებიც კვეთდნენ ბილიკებს. ავაზას ნაკვალევები, ზოგიერთი ძალიან ძველის გარდა, არ შემხვედრია.

ვსაუზმობდით, რომ რუდრაპრაიაგიდან გამოგზავნილი ხაფანგი მოგვიტანეს. საღამოს თან წავიღეთ ის და დავდგით გაკაფულ ადგილას. შემდეგ გვამში ჩავდეთ საწამლავი — ციანიდი. იბოტსონის არ იყოს, მეც არა ვარ დიდად გამოცდილი შხამების გამოყენებაში. ერთხელ, სანამ ნაინი-ტალიდან წამოვიდოდი, მეგობარ ექიმთან საუბარში ვთქვი, რომ მთავრობამ სურვილი გამოთქვა გამოყენებულ იქნას ყოველგვარი საშუალება კაციჭამიას გასანადგურებლად-თქო, მაგრამ ჩემი ამოცანის შესასრულებლად შხამის ხმარება უშედეგოა, რადგან ცნობები ადასტურებენ, რომ ავაზაზე შხამი არ მოქმედებს. შემდეგ დავასახელე ის შხამები, რომლებიც გამოყენებული იყო. მაშინ მან მითხრა, ციანიდი ყველაზე მეტად მოქმედებს

---

* სეროუ — გორალის მახლობელი ჯიშის მთის ანტილოპა.

კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებზეო. ამის შესახებ ვუამბე იბოტსონს და რამდენიმე დღის შემდეგ საკმაო რაოდენობით მივიღეთ ციანიდი და ფისტონები. გავავსეთ ისინი შხამით და რამდენიმე ცალი ჩავდეევით მოკლულის გვამში იმ ადგილას, სადაც ავაზას მოკლულის ტანზე მოეგლიჯა ხორცი.

ჩვენ ყოველგვარ იმედებს ვამყარებდით, რომ მეორე ღამეს მაინც დაუბრუნდებოდა ავაზა თავის მსხვერპლს, და რადგან გასულ ღამეს მან ჩვენ შეგვამჩნია ხეზე, გადაეწყვიტეთ ამ შემთხვევაში არ ჩავსაფრებოდით და კაციჭამია დაგვეტოვებია ხაფანგისა და შხამის ანაბარა. გზის ახლო უზარმაზარ ფიჭვის ხეზე მოვაწყეთ სახუნდარი და ავიტანეთ თივა. მერმე იბოტსონმა ნავთის ქურაზე მოამზადა სადილი, ხოლო სადილის შემდეგ ნებივრად მოვიკალათეთ ამ კომფორტაბელურ სახუნდარში, სადაც შეიძლებოდა საუბარი და პაპიროსის მოწევაც. ერთადერთი მიზანი, რისთვისაც აქ გვამის ახლო ვიყავით ჩასაფრებული, იმაში გამოიხატებოდა, რომ არ გამოვვპარეოდა უბრალო ხმაურიც კი. გვეძინა და ვფხიზლობდით მორიგეობით. იმ იმედით, რომ გავიგონებდით ავაზას მრისხანე ხმას, თუ ის შემთხვევით ხაფანგს წააწყდებოდა. ღამის განმავლობაში ერთხელ გავიგონეთ კარკერის ხმა, მაგრამ იგი მოისმოდა მოპირდაპირე მხრიდან და არა იქიდან, საიდანაც ავაზას გამოჩენას ველოდით.

როგორც კი ინათა, ჩამოვედით ხიდან, და წავედით გვამისაკენ, რომელიც იმავე ადგილას და იმავე მდგომარეობაში ვნახეთ, როგორც დავტოვეთ.

პირველი საუზმის შემდეგ იბოტსონი გაემგზავრა რუდრაპრაიაგში, მე კი შევუდექი ბარგის შეკვრას. უკანასკნელად, სანამ თხუთმეტი დღის სავალ გზას გავუდგებოდი ნაინი-ტალისაკენ, რამდენიმე სიტყვით გამოველაპარაკე ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამ დროს მაცნობეს ახალი ამბავი, სოფელში აქედან ოთხ მილზე მოკლულ იქნა ძროხაო. ისინი ეჭვობდნენ, რომ იგი მოჰკლა კაციჭამიამ, რადგან წინა ღამეს, განთიადის წინ (სწორედ იმ ღამეს, როცა ის მე და იბოტსონს მოგვდევდა ხიდან სახლის აივნამდე) დაჟინებით ცდილობდა მამასახლისის სახლის კარის გატეხას და შიგ შეჭრას.

ეს ხალხი მთხოვდა გადამედო წასვლა ნაინი-ტალში და გავ-ყოლოდი მათ სოფელში, თან ხაფანგი და შხამი წამეღო.

მამასახლისის სახლი, მოხნული მიწის შუაგულზე ამაღლებულ პატარა ბორცვზე იდგა. სახლისკენ მიმავალი გზა. რბილსა და ჭანჭრობიან ნიადაგზე გადიოდა. აქ აღმოვაჩინე კაციჭამიას კვალი.

მამასახლისმა დამინახა რა ხევიდან მომავალი, მის სახლს რომ ვუახლოვდებოდი, წინ შემომეგება და დაშაქრული ცხელი რძიანი ჩაით გამიმასპინძლდა. სანამ ეზოში გორალის ტყავგადაკრულ დივანზე შევექცეოდი ამ საუცხოო სასმელს, მან მიმითითა კარებზე, რომლის ჩამტვრევას ცდილობდა ავაზა ამ ორი ღამის წინ. საბედნიეროდ, მამასახლისს სახლში ჰქონდა სახურავის შესაკეთებლად მომარაგებული დახერხილი ხე-ტყე და ეს მორები მიეყუდებია შიგნიდან კარებისათვის.

სახლის პატრონი მოხუცი და რევმატიზმისაგან დახუთული იყო, ამიტომ გააგზავნა თავისი შვილი ეჩვენებია ჩემთვის მოკლული ძროხა, სანამ იგი მიალაგებდა და მოამზადებდა სახლს ჩემთვის და ჩემი ხალხისათვის.

დავინახე, რომ კარგად გასუქებული ახალგაზრდა ძროხის ლეში ეგდო პირუტყვის მიერ გატეპნილ ბილიკის ზემოთ, სწორ, პატარა მოედანზე. ლეშის ახლოს ხაფანგის ამ ადგილას დადგმა ძალზე ხელსაყრელი იყო. ძროხის ზურგი მიქცეული იყო გაბარდული ვარდის ბუჩქისკენ. ფეხები კი გაწვდილი ჰქონდა მოედნის მიჯნისაკენ. სწორედ აქ შეექცეოდა ავაზა ძროხის ხორცს, ისე, რომ წინა თათები ძროხის ფეხებში ჰქონდა ჩარგული.

ამ ადგილას გავთხარე მიწა, ამოვწმინდე ორმო და შიგ ჩავდგი ხაფანგი. ხაფანგი შევნიღბე დიდი მწვანე ფოთლებით. შემდეგ მივაყარე მიწის თხელი ფენა და ზემოდან დავაყარე ხმელი ფოთლები, ფიჩხი და ძვლის ნამტვრევები. ვინც ლეშთან მივიდოდა, ასი კაციდან ერთიც ვერ შეამჩნევდა, რომ აქ მიწაა ამოთხრილი და დადგმულია სასიკვდილო ხაფანგი.

ამ წვალების დამთავრების შემდეგ იმავე გზით დავბრუნდი უკან და ავცოცდი ხეზე, რომელიც შუა გზაზე იდგა მამასახლისის სახლიდან; აქედან თუ აუცილებელი იქნებოდა, ადვილად მივიდოდი ხაფანგთან.

საღამოს ორი შავზურგიანი ხოხობი თავისი ხუთი წიწილით, რომლებსაც თვალყურს ვადევნებდი, ერთბაშად შეშფოთდა და სწრაფად დაეშვა მთიდან ქვევით, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს პირდაპირ გამოხტა კარკერი. მან ცოტა „წაიყეფა“ ხის ქვეშ და ისეთი განსაკუთრებული სიფრთხილით გაშორდა აქაურობას, თითქოს ცერებზე შემდგარი ადისო მთაზე, ამის შემდეგ არაფერი მომხდარა და როცა ხის ქვეშ ძალიან დაბნელდა და ჩემი თოფის სამიზნოსაც ვერ ვარჩევდი. ჩამოვედი ხიდან და მეც ძალიან ფრთხილად, მიუხედავად იმისა, რომ რეზინისძირიანი ფეხსაცმელები მეცვა, თითქმის ფეხის ცერებზე შემდგარი გავეშურე სოფლისაკენ.

მამასახლისის სახლიდან ასი იარდის მოშორებით, ბილიკი გადიოდა, დაახლოებით ოცდაათი იარდის სიგრძისა და ოცი იარდის სიგანის კორდზე, რომლის ზემო ნაწილში მთაზე გამოდიოდა კლდის დიდი ნაწილი. ვიღაცა მითვალთვალებდა, ამიტომ გადავწყვიტე გამომერკვია მდგომარეობა და დავტოვე ბილიკი. გადავდგი ორი დიდი ნაბიჯი რბილ ნიადაგზე და ჩავწექი კლდის უკან, საიდანაც ძლივს ვხედავდი, მაგრამ ლეშს ცალ თვალს მაინც არ ვაშორებდი.

ათ წუთს ვიწექი ნოტიო მიწაზე. როგორც კი ჩამოღამდა და ჩაქრა მზის სინათლე, ისევ გამოვედი ბილიკზე და უსაფრთხოების ყოველგვარი ზომების დაცვით გავიარე დარჩენილი გზა მამასახლისის ბინამდე.

შუაღამეზე მამასახლისმა გამაღვიძა და მითხრა, რომ მოესმა თითქოს ავაზა კაწრავდა კარებს. დილას, კარი რომ გავაღე, დავინახე მტვრიან მიწაზე კარის ახლო კაციჭამიას კლანჭების ნაკვალევი. ამ ნაკვალევს მივყევი კორდამდე და დავრწმუნდი, რომ გუშინ საღამოს ავაზა ფეხდაფეხ მომდევდა უკან. ის გადავიდა ბილიკიდან იმ ადგილას, სადაც მე გადავუხვიე, გადაიარა საფლობი ადგილი, მივიდა კლდემდე და შემდეგ ისევე, როგორც მე, დაბრუნდა ბილიკზე და კვალდაკვალ მომდევდა მამასახლისის ბინამდე, რომელსაც რამდენჯერმე შემოუარა გარშემო.

სახლს რომ გაშორდა, ავაზა ისევ დაბრუნდა ბილიკზე. რამდენადაც წინ მივიწევდი მის ნაკვალევზე იმ ადგილისაკენ, სა-

დაც ბვამი იდო, იმდენად იმედები ფრთებს ისხამდა, და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ აქამდე სრულიად არ მქონდა წარმოდგენა ამ კაციჭამია ავაზას ამდენ ოინებსა და ეშმაკობის უნარზე, რომელიც მან შეითვისა რვა წლის განმავლობაში ადამიანის ხორცის გემოს გაცნობის შემდეგ.

ჩამოვედი ბილიკიდან და მივუახლოვდი იმ ადგილს, სადაც გვამი იდო და შორიდანვე დავინახე, რომ ის იქ აღარ იყო. მაგრამ ის ადგილი, სადაც ხაფანგი იყო ჩამარხული, ხელუხლებელი აღმოჩნდა,-მიწაზე ავაზას მხოლოდ ორი ნაკვალევი ჩანდა.

ერთი ფუტის სიმაღლის მიჯნაზე შეცუცქებულმა ავაზამ, ისევე როგორც გასულ ღამეს, ორივე წინა თათი ჩადო ძროხის ფეხებს შორის, მაგრამ ამჯერად ისე ფართოდ გაშალა ისინი, რომ ძროხის ფეხები აღმოჩნდა ხაფანგის დაფარულ სასხლეტის ბერკეტებზე, რომლებიც მოძრაობაში მოდიან და ჰკეტავენ ხაფანგის დიდ ყბებს მხოლოდ მაშინ, როცა სასხლეტი თავისუფლდება. აქ ხაფანგის ყბებისაგან უშიშროებაში მყოფმა ავაზამ შეჭამა თავისი „ულუფა“, შემდეგ შემოუარა გარშემო მოედანს, ჩაავლო პირი ძროხას თავში, გადაათრია ვარდის ბუჩქებზე, ჩაიტანა ქვევით ორმოცდაათ იარდზე და გაჩერდა მოზარდ მუხასთან. ღამის ნამოქმედარით კმაყოფილი ავაზა წავიდა იმავე ბილიკით. მე მივყევი მის ნაკვალევს დაახლოებით ერთი მილის მანძილზე, შემდეგ, როცა მაგარ ნიადაგზე გავედი, ნაკვალევი დაიკარგა.

აღარ მქონდა იმედი, რომ ავაზა ხელახლა დაუბრუნდებოდა ძროხის ლეშს. მიუხედავად ამისა, ჩემი სინდისის წინაშე რომ მართალი ვყოფილიყავი, ციანიდის საკმაოდ დიდი დოზა ჩავდევი ძროხის ჩონჩხში. სიმართლე რომ ვთქვათ, ფიქრიც კი შხამით ნადირის მოწამვლაზე არა მარტო მაშინ მეზიზღებოდა, არამედ ახლაც მზარავს.

მეორე დღეს მივედი ლეშთან და დავინახე, რომ ავაზას თითქოს შეეჭამა ძროხის ლეში, სადაც შხამი იყო ჩადებული, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ მოწამლული ხორცი შეჭმულია მეორე ავაზას და არა კაციჭამიას მიერ, რომელიც შემთხვევით წააწყდა ძროხის ლეშს. სოფელში დაბრუნებისას მამასახლისს განვუცხადე, რომ მეტ ხანს მათთან დარჩენა

აღარ შემეძლო, მკვდარი ავაზას ძებნას აღარ შევუდგებოდი და მზადა ვარ გადავუხადო ასი რუპია იმას, ვინც კი მოძებნის მის ლეშს, გააძრობს ტყავს და ჩააბარებს პატვარის. ერთი თვის შემდეგ ჯილდო მოთხოვნილ იქნა, ხოლო მრავალი დღის შემდეგ მკვდარი ავაზას ტყავი თვითონ პატვარიმ ჩამარხა მიწაში.

ჩემმა ხალხმა ბარგი სწრაფად შეკრა, ნაშუადღევს შევუდექით ხანგრძლივ მოგზაურობას ნაინი-ტალისაკენ. ვიწრო საცალფეხო ბილიკზე რომ ჩამოვდიოდით, ქვევით ჩატვაპაიპალის ხიდთან დიდთავა გველი ზანტად გადაცურდა გზაზე, და სანამ მე ვიდექი და მივჩერებოდი, როგორ მისრიალებდა ის, ჩემს უკან მდგომმა მადხო სინგმა წაილაპარაკა: — აი, მიცურავს ავი სული, ჩვენი წარუმატებლობის მიზეზიო.

ის, რომ მე გარვალი კაციჭამიას დაუნდობელი კლანჭების ანაბარა მივატოვე, შეიძლება ჩემს გულქვაობად მიიჩნიოთ. გეთანხმებით ამაში და ამიტომ ჩემი ქცევა სასტიკად იქნა გაკრიტიკებული პრესაშიც; იმ დროს ამ კაციჭამიაზე ყოველდღე წერდნენ ინდოეთის გაზეთებში.

თავის გასამართლებლად უნდა განვაცხადო, რომ ღონისძიებები, რომლებიც ძალიან დიდ დაძაბულობას მოითხოვს, არ შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად. ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი მთელი კვირის მანძილზე გარვალში ყოფნის დროს. ამდენი უძილო ღამის შემდეგ დღეს მიხდებოდა მრავალი მილის გავლა და იმ შორეულ სოფლებში მისვლა, საიდანაც მოდიოდა ცნობები კაციჭამიას წარუმატებელ ცდებსა და თავდასხმებზე. მრავალი მთვარიანი ღამე გამითენებია აუტანელ მდგომარეობაში. ფიზიკურმა დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს რომ მიაღწია, აღარ შემეძლო თვალგახელილი ჯდომა, კაციჭამია ადვილად შეძლებდა ჩემს მოტაცებას.

საათობით დავდიოდი მარტოკა ბილიკებზე, რომლებიც მხოლოდ ჩემთვის და ავაზასათვის იყო თავისუფალი. ვცდილობდი ყველა ცნობილი ხერხის გამოყენებას, რომ მომეტყუებია და შემდეგ მომესპო იგი. კაციჭამიას ბედი სწყალობდა, თითქოს სატანისებური ეშმაკობით გაურბოდა ტყვიას,

რომელსაც მხოლოდ თითის ერთი დაჭერით გავუგზავნიდი. დილით გზაზე გავლის დროს კვლავ ვნახე თათების ნაკვალევი და დავრწმუნდი, რომ მართალი ვიყავი — ავაზა ფეხდაფეხ მომდევდა. ის ამბავი, რომ მთელი ღამე კაციჭამია კვალდაკვალ მოგდევს, როგორი კაშკაშა, მთვარიანი ღამეც არ უნდა იყოს. შეგაშფოთებს და შესაძლოა საკუთარი თავის ძლიერებაში დაგაეჭვოს და მოგადუნოს. ეს გრძნობა სიტუაციის განმეორების შემთხვევაში სრულიადაც არ მცირდება.

ჩემს შემდგომ დარჩენას რუდრაპრაიაგში ფიზიკური და სულიერი გადაღლილობის გამო ვეჭვობ, რომ სარგებლობა მოეტანა გარვალის მოსახლეობისათვის, იმავე დროს შეიძლება ეს სიცოცხლის ფასადაც დამჯდომოდა. ვიცოდი, რომ შესვენება იმ ამოცანის შესრულებაში, რომელიც მე თვითონ დავისახე, ძალიან მაგრად იქნებოდა გაკრიტიკებული პრესაში, მაგრამ მე არა ნაკლებად ვგრძნობდი ჩემს სიმართლეს და ამიტომ გავეშურე შინისაკენ, გარვალის მცხოვრებლები კი დავარწმუნე, პირველ შესაძლებლობისათანავე დავბრუნდებოდი უკან და დავეხმარებოდი მათ.

მეთევზის ინტერმედია

1925 წლის შემოდგომის დამლევს, დაღლილი და დამწუხრებული წავედი იმ ადგილებიდან, სადაც მარცხი განვიცადე. 1926 წლის გაზაფხულის დამდეგს კი, იმედებით აღსავსე ისევ დავბრუნდი, რომ გამეგრძელებია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

კაციჭამიას მიკვლევისა და განადგურების მიზნით გარვალში მეორედ ამოსვლისას ჯერ მატარებლით ვიმგზავრე კოტდვარამდე, იქიდან ფეხით წავედი პაურამდე და ამგვარად რვა დღის სასიარულო გზა შევიმოკლე. პაურში ვინახულე იბოტსონი, რომელმაც რუდრაპრაიაგამდე გამაცილა.

ჩემი არყოფნის დროს სამი თვის განმავლობაში კაციჭამიამ ათი კაცი მოჰკლა გარვალში. ამ ხნის განმავლობაში შიშისაგან თავზარდაცემულ მოსახლეობას არავითარი ღონისძიება არ მიუღია კაციჭამიას გასანადგურებლად.

ამ ათი მსხვერპლიდან უკანასკნელი -- პატარა ბიჭუნა, მოტაცებულ იქნა მდინარე ალაკნანდის მარცხენა ნაპირზე ორი დღით ადრე რუდრაპრაიაგში ჩვენს ჩასვლამდე. დეპეშა ამ შემთხვევის შესახებ მივიღეთ ჯერ კიდევ პაურში, თუმცა ჩვენ ოაც შეიძლებოდა სწრაფად მივდიოღით. ძალზე იშედგაცრუებული დავრჩით, როცა გავიგეთ ბუნგალოში ჩვენს შესახვედრად მყოფ პატვარისაგან, რომ გასულ ღამეს ავაზას მთლიანად შეეჭამა ბავშვის გვამი, და არაფერი დაეტოვებია პატარა მსხვერპლისგან, რომლის ახლო შეიძლებოდა ჩასაფრების მოწყობა.

ბიჭი მოკლულ იქნა დაახლოებით შუაღამისას, სოფელში, რომელიც რუდრაპრაიაგიდან ოთხი მილითაა დაშორებული. და რადგან ჩვენ ძალზე საეჭვოდ მიგვაჩნდა, რომ კაციჭამიამ თავისუფლად შესანსლა პატარა ბიჭუნა, შემდეგ კი, გადავიდა მდინარეზე, ამიტომ დაუყოვნებლივ მივიღეთ ზომები ბონდის ხიდების ჩასაკეტად.

ზამთრის განმავლობაში იბოტსონმა მოაწყო ძალზე ეფექტური საინფორმაციო სისტემა მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც კაციჭამია მოქმედებდა. თუ ამ ფართობზე მოხდებოდა ძაღლის, თხის, ძროხის ან ადამიანის მკვლელობა, ან ადგილი ექნებოდა კარის ჩამტვრევისა და შიგნით შეჭრის ცდებს. ამბავს მომხდარი შემთხვევის გამო სპეციალური მაცნეს საშუალებით ვიგებდით.

უამრავი ჭორი მოგვდიოდა ავაზას თავდასხმების შესახებ. ასეთი მცდარი ცნობების გამო გვიხდებოდა მრავალი მილის უშედეგოდ გავლა. ყველაფერი ეს, ცხადია, მოსალოდნელი იყო, რადგან ასეთ ფართობზე, სადაც თარეშობს კარგად ცნობილი კაციჭამია, თითოეული ეჭვით უყურებს თავის საკუთარ ლანდსაც კი და ღამეში უბრალო ხმაურსაც იმავე კაციჭამიას მიაწერს.

რუდოაპრაიაგიდან შვიდი მილის მანძილზე მდ. ალაკნანდის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელ კუნდას მცხოვრები გალტუ წავიდა ღამის გასათევად თავისი პირუტყვის საჩეხში, რომელიც სოფლიდან ერთი მილის მანძილზე მდებარეობდა. როდესაც მეორე დღეს მისი შვილი მივიდა ფარდულში, დაინახა

შუაზე გახეული მამამისის საბანი, რომელიც ნახევრად გარეთ ეგდო. რბილ ნიადაგზე გამავალ ბილიკზე კი შეამჩნია ის, რაც მიწაზე ნათრევი ადამიანის კვალად მიიჩნია; იქვე ჩანდა კაციჭამიას ნაკვალევი. ის დაბრუნდა სოფელში და ატეხა განგაში; სამოცი კაცი დაღუპულის ნეშტის საძებნელად წავიდა, ოთხი კაცი კი გამოაგზავნეს რუდრაპრაიაგში, რომ ჩვენთვის ეცნობებიათ. ცნობა გალტუს შესახებ იმ დროს მოვიდა, როცა მე და იბოტსონი კაციჭამიას საძებნელად მდინარის მარცხენა ნაპირის მაღლობებს ვეხრეკდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ ავაზა მდინარის იმ მხარეზე იმყოფებოდა, რომელზეც ჩვენ ვიყავით და ამიტომ გალტუს მოკვლის ვარაუდი სინამდვილეს არ შეეფერებოდა, იბოტსონმა კი პატვარი ოთხი კაცის თანხლებით გაგზავნა უკან კუნდაში ინსტრუქციით, რომ იქ პირადად მოეხდინა ძებნა და გაეკეთებია ჩვენთვის ოფიციალური მოხსენება. მეორე დღეს მივიღეთ პატვარის ანგარიში, ფარდულის შესასვლელის ახლო რბილ ნიადაგზე აღებული ავაზას თათების ნაკვალევის მონახაზებით. ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ახლომახლო მიდამოებში ორასი კაცის ძებნა მთელი დღის მანძილზე უშედეგოდ დამთავრდა — გალტუს ნეშტი ვერ იქნა აღმოჩენილი, ძებნა კვლავ გრძელდება. თანდართულ მონახაზებში გამოსახული იყო ექვსი წრე: შიგნითა წრე ლამბაქის სიფართე იყო, მის გარშემო ერთნაირი მანძილით დაშორებული ხუთი წრე კი ჩაის ჭიქისოდენა იქნებოდა. ყველა წრე გაკეთებული იყო კომპასის საშუალებით. ხუთი დღის შემდეგ სწორედ იმ დროს, როცა მე და იბოტსონი ვემზადებოდით ხიდის ერთ-ერთ კოშკზე საფარის მოსაწყობად, ბუნგალოსთან მოვიდა პროცესია. წინ მოჰყავდათ განრისხებული კაცი, რომელიც ხმამაღლა ყვირილით აცხადებდა პროტესტს, რომ არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული, რის გამოც შეიძლებოდა მისი დაპატიმრება და რუდრაპრაიაგში წაყვანა. ეს განრისხებული კაცი იყო გალტუ. როცა ის დავამშვიდეთ, მან გვიამბო, თუ რა გადახდა თავს.

მისი სიტყვით, როგორც კი მოემზადა ის სახლიდან წასასვლელად იმ ღამეს, როდესაც ვარაუდობდნენ ავაზას მიერ მის მოტაცებას, მოვიდა შვილი და აცნობა, რომ მან ას რუპიად

იყიდა წყვილი კამეჩი, როცა ისინი, გალტუს აზრით, სამოცდაათ რუპიაზე მეტი არ ღირდა. ფულის უაზრო დაკარგვამ ისე გააბრაზა გალტუ, რომ ის დილით ადრე ადგა და წავიდა თავის გათხოვილ ქალიშვილთან სოფელში, რომელიც ათ მილზე იყო დაშორებული პირუტყვის ბაკიდან. სახლში დაბრუნებისას ის დაპატიმრებულ იქნა პატვარის მიერ და ახლა სურს გაიგოს, რა დანაშაული ჩაიდინა და რომელი კანონის ძალით აპატიმრებენ მას. არ გასულა დიდი ხანი, სანამ ის დაინახავდა ამ მდგომარეობის კომიკურ მხარეს. მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ყველაფერს მიხვდა, ისეთივე გულწრფელი სიცილი აუტყდა, როგორიც ყველას, აქ შეკრებილ ხალხს, რადგან ისეთი პატივცემული პიროვნება, როგორიც არის პატვარი და ორასი მისი თანასოფლელი მეგობარი, ხუთი დღის განმავლობაში ეძებდნენ მის ნეშტს, ის კი ამ დროს ჩეროში იჯდა, აქედან ათი მილით დაშორებულ სოფელში და განცხრომაში იყო. ეს ისტორია ასეთი ჭორების წარმოშობის საუკეთესო დამადასტურებელია.

იბოტსონს არ შეეძლო დაწოლა, რადგან მთელი ღამეების მანძილზე რუდრაპრაიაგის ხიდის კოშკს ყოველ მხრიდან ქარი უბერავდა. ამიტომ დავიქირავეთ დურგლები, ვიშოვეთ საშენი მასალა და კოშკის თაღქვეშ მოვაწყეთ სადგომი, სადაც ჩვენ განუწყვეტლივ ხუთი დღის განმავლობაში ვიყავით ჩასაფრებული.

იბოტსონის წასვლის შემდეგ ავაზამ მოჰკლა ძაღლი, ოთხი თხა და ორი ძროხა. ძაღლისა და თხებისაგან ნადირს ნამცეცი არ დაუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ძროხის ახლო საფარში ვიჯექი ორი ღამის განმავლობაში. მეორე ღამეს, როცა პირველ ძროხასთან ვიყავი ჩასაფრებული, მოვიდა ავაზა და ის იყო თოფი ავსწიე და ვემზადებოდი, თან წამოღებულ ელექტროფარანს ვანათებდი, რომ ერთმა ქალმა ჩემი ჩასაფრების ადგილიდან მახლობელ სახლში დააბრახუნა კარზე, და საუბედუროდ, სანამ კარს გაუღებდნენ, დააფრთხო ავაზა.

ამ ხნის განმავლობაში ავაზას არც ერთი კაცი არ მოუკლავს, თუმცა ერთი ბავშვიანი ქალი მძიმედ დაასახიჩრა. კაცი-

ჭამიამ შეძლო ოთახის კარის გაღება, სადაც ქალსა და ბავშვს ეძინათ. მან ჩაავლო პირი ქალს ხელში და სცადა გაეთრია მსხვერპლი ოთახიდან. საბედნიეროდ, ქალი გულადი და გაბედული აღმოჩნდა, იგი არც გულწასული დაცემულა და არც სულიერი სიმხნევე დაუკარგავს. როცა ავაზამ ის გადაათრია იატაკზე და ცდილობდა უკან დახევით გარეთ გაეტანა, ქალმა მიაჯახუნა კარი და გადარჩა, ხოლო ხელზე და მკერდზე რამდენიმე ღრმა ჭრილობა დაუტოვა; ბავშვს მხოლოდ ერთი ჭრილობა ჰქონდა თავზე. ამ ოთახში მე ორი დღე ვიყავი ჩასაფრებული, მაგრამ ავაზა არ გამოჩენილა.

მარტის ბოლო რიცხვები იქნებოდა. ერთ სოფელში ვიყავი, ვბრუნდებოდი სახლში მლოცველთა კედერნატხის გზით. იმ ადგილს რომ მივუახლოვდი, სადაც გზა უშუალოდ მდინარე მანდაკინის ნაპირის გასწვრივ გადის და სადაც წყალი ათითორმეტი ფუტის სიმაღლიდან ვარდება, დავინახე მდინარის მეორე მხარეზე ჩანჩქერის ზევით კლდეზე მჯდარი რამდენიმე კაცი. ხელში გრძელ ბამბუკის ჯოხზე მიმაგრებული სამკუთხიანი ფორმის ბადე ეჭირათ. წყლის ხმაურის გამო ლაპარაკი არ ისმოდა, ამიტომ, პაპიროსის მოსაწევად და დასასვენებლად რომ ჩამოვედი გზიდან, ჩამოვჯექი იმათ პირდაპირ კლდის შეერილზე, ჩანჩქერის აქეთა მხარეს. გარდა ამისა, მაინტერესებდა რას აკეთებდა ეს ხალხი.

მალე ერთი მათგანი ფეხზე წამოვარდა და ძალზე აღელვებული უთითებდა რაღაცაზე ჩანჩქერის ძირში აქაფებულ წყალში. ყველა მისმა მეგობარმა ერთდროულად შეუშვირა ჩანჩქერს გრძელ ჭოკზე დამაგრებული ბადე. სხვადასხვა ზომისა და წონის (ხუთიდან ათ გირვანქამდე) ინდოეთის მურწა თევზების გუნდი ემზადებოდა ზევით ჩანჩქერზე ასახტომად. ერთ-ერთი თევზი, რომელიც წონით ათ გირვანქამდე იქნებოდა, ქვევით დაშვების დროს ჩავარდა მიდგმულ ბადეში. როდესაც თევზი ამოიღეს და ჩადეს კალათში, ბადე ისევ ჩაუშვეს. ერთ საათზე მეტს ვუცქეროდი ალბათ ამ სპორტულ სანახაობას; ამ ხნის განმავლობაში ხალხმა ოთხი თევზი დაიჭირა, თითოეული დაახლოებით ათი გირვანქა იქნებოდა.

რუდრაპრაიაგში ვიზიტის დროს ინსპექციის ბუნგალოში

მორიგე დარაჯი მეუბნებოდა, რომ კარგია გაზაფხულზე თევზაობა ორივე მდინარეზე მანამ, სანამ — ალაკნანდა და მანდაკინი ადიდებული ჩაივლიდესო, ამიტომ ამჯერად მოვედი ორაგულის ანკესითა და ლერწმის თოთხმეტფუტიანი ანკესის ჯოხითო.

რადგან მეორე დღეს კაციჭამიას შესახებ არავითარი ახალი ცნობები არ მიგვიღია, ჩემი ანკესითა და მოწყობილობით ჩანჩქერისაკენ გავეშურე.

დღეს არ აღმოჩნდა ისეთი მხტუნავი თევზები, როგორიც გუშინ, და მდინარის მეორე მხარეზე თავშეყრილი მამაკაცები პატარა კოცონს შემოსხდომოდნენ და აბოლებდნენ ჩიბუხს, რომელსაც ხელიდან ხელში გადასცემდნენ. ისინი ინტერესით მომჩერებოდნენ მე.

ჩანჩქერის ქვევით იყო ორასი იარდის მანძილზე ციცაბო კლდეებით გარშემორტყმული, ოცდაათი იარდის სიგრძისა და ორმოცი იარდის სიგანის წყალსატევი. ეს სალი კლდეები ასი იარდის სიმაღლეზე იყო აწვდილი წყალსატევის ზევით, იმ ადგილიდან, სადაც მე ვიდექი. ამ მშვენიერ ტბაში კრისტალივით გამჭვირვალე წყალი იდგა.

ფსკერიდან კლდე შვეულად იყო აღმართული ოცი ფუტის სიმაღლეზე. ოცი იარდის მანძილზე ის ინარჩუნებდა ამ სიმაღლეს, შემდეგ კი დამრეცად მაღლდებოდა და აღწევდა ას ფუტამდე. წყლის პირას ჩასვლა შეუძლებელი იყო, ასევე შეუძლებელი და უშედეგო იქნებოდა თევზთან ერთად ნაპირ-ნაპირ გაყოლა, თუ ვიკარაუდებდით, რომ თევზს ანკესით დავიჭერდი, რადგან ზევით ხეები და ბუჩქები ხარობდა, წყალსატევის ბოლოში კი მდინარე მთელი სისწრაფით მიექანებოდა და აქაფებულ ჩქერებად ეცემოდა ძირს, სანამ მდ. ალაკნანდას შეერთვოდა.

ამ ტბიდან თევზის ნაპირზე ამოთრევა ძალზე ძნელი და უიმედო საქმეა. მეორე მხრივ ამ წინააღმდეგობის გადალახვის გადადება მანამ შეიძლებოდა, სანამ თევზი არ იქნებოდა დაჭერილი; ამიტომ გადავწყვიტე არ ამეკეცა ანკესი.

ჩემს მხარეზე ტბაში წყალი ისე მიექანებოდა, რომ მილიონ პატარა ბუშტებად იქცეოდა. აქ ტბა ძალიან ღრმა იყო, მდინა-

რის შუაში კი მოჩანდა ქვიშნარითა და ქვით მოფენილი ფსკერი, სადაც წყლის სიღრმე ოთხი-ექვსი ფუტი თუ იქნებოდა. ამ ქვიშნარიანი ფსკერის თავზე დინებას მიჰყვებოდა უამრავი გუნდი თევზებისა, რომელთა წონა სამიდან ათ გირვანქამდე იქნებოდა.

იმ დროს, როცა მე მათ დავჩერებოდი თორმეტი ფუტის სიმაღლის კლდიდან, ორდუიმიანი სატყუარითა და სამანკესიანი ჯოხით ხელში, სამი დიდი მურწას მიერ დამფრთხალმა თევზის ნამატის გუნდმა წყლის სიღრმეში გაიელვა და გადაუქროლა ქვიშნარიან ფსკერს. ორაგულის ჩინებული სპინინგის საშუალებით — მეგობარი ჰარდი არასდროს არ ფიქრობდა, რომ ის გამოყენებულ იქნებოდა ამრიგად, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა როდი იყო — მე გადავისროლე სატყუარა, მაგრამ მონადირული გაცხარების გამო ცოტა გადავაჭარბე, ამის გამო სატყუარა მოხვდა მოპირდაპირე მხარეს წყლიდან ორი ფუტით ამაღლებულ კლდეს. შემთხვევით სატყუარა ჩავარდა წყალში სწორედ იმ დროს, როცა კლდესთან ნამატის გუნდი გამოჩნდა და როგორც კი წყალს შეეხო, იმწამსვე დასტაცა პირი პირველმა მურწამ.

თუ გრძელი მკედით მაღლობზე მდგარი აწარმოებთ ანკესის აკვრას, ყოველთვის უნდა ელოდოთ ხელსაწყოს ძალიან მაგრად დაჭიმვას, მაგრამ ჩემმა მშვენიერმა ანკესმა გაუძლო და მაგარი სამმაგი ანკესი საფუძვლიანად გაერჭო მურწას ლაყუჩში. ერთი-ორი წამის განმავლობაში, გეგონებოდათ, მურწამ ვერ გაიგო რა მოხდაო, — წყალში პერპენდიკულარულად გაჩერებული და ჩემსკენ თეთრი მუცლით შემობრუნებული აქეთ-იქით ასავსავებდა თავს. შემდეგ დამფრთხალი მოქანავე სატყუარათი, რომელიც მუდამ თავში ხვდებოდა, ძლიერ აშხაპუნდა, სწრაფად დაეშვა ქვევით დინების მიმართულებით და მიფანტ-მოფანტა ქვიშნარიან ფსკერზე მიყუჩებული პატარა თევზები.

პირველი ატაცის დროს მურწა გაქანდა წინ და კოჭიდან ასი იარდი მკედი დაითრია, წუთიერი შეჩერების შემდეგ კიდევ გაცურა ორმოცდაათი იარდი. კოჭაზე კიდევ საკმარისად იყო დარჩენილი მკედი, მაგრამ თევზი შევიდა ტბის შევიწრო-

ებულ ადგილში და უახლოვდებოდა მის გამოსასვლელს, — ეს კი საშიში იყო. რიგრიგობით მე ხან მივუშვებდი და ხან უკანვე კოჭზე ვახვევდი თოკს. ბოლოს და ბოლოს იმას მივაღწიე, რომ მურწას თავი შემოვაბრუნებინე დინების საწინააღმდეგოდ. ეს რომ გავაკეთე, შემდეგ ძალიან ფრთხილად გავათრიე ის უკან შევიწროებაში იმ ასი იარდის მანძილზე, რომელსაც თვალს ვუწევდი.

სწორედ ჩემს ქვევით, კლდის შვერილს ყურე წარმოექმნა და ნახევარი საათი თამაშის თუ წინააღმდეგობის შემდეგ თევზმა ისურვა იქ შესვლა.

ახლა გაბედულად მივაღწიე ძნელ ადგილამდე, მაგრამ ის იყო გულდაწყვეტით გავიფიქრე, მის გადალახვას ვერ შევძლებდი და მომიხდებოდა თევზის დინებაზე მიშვება, რომ ამ დროს ჩემს ახლო კლდეზე ჩრდილი ჩამოწვა. ახალმოსული კლდის შვერილიდან დააცქერდა ყურის სიღრმეში წყალს და შენიშნა, ძალიან დიდი თევზიაო და სულმოუთქმელად მკითხა, რას ვუპირებდი ამ თევზს. როდესაც ვუპასუხე, რომ თევზის ამოყვანა კლდის ძირიდან შეუძლებელია და ერთადერთი, რის გაკეთებაც შეიძლება, ესაა სრულიად გავათავისუფლო იგითქო, მან მითხრა: — მოიცადეთ, საიბ, ჩემს ძმას დავუძახებო.

მის ძმას, ნაღალ-მაღალ ცოცხალ თვალებიან გამხდარ ყმაწვილს, რომ დაუძახეს, როგორც ჩანს, ის ბოსელს ასუფთავებდა. ამიტომ უფროსმა ძმამ უბრძანა ჯერ წასულიყო წყალზე და დაებანა, რომ ფეხი არ დასხლტომოდა გლუვ ქვაზე, ჩვენ კი ამასობაში ვმსჯელობდით.

იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიდექით, იწყებოდა რამდენიმე ფუტის სიგანის პატარა ნაპრალი; იგი უსწორმასწორო იყო, ეშვებოდა ქვევით, შედიოდა ციცაბო კლდის ქვეშ და დაახლოებით წყლის დონიდან ერთ ფუტ სიმაღლეზე თავდებოდა კლდის შვერილით. გეგმა, რომელზეც საბოლოოდ შევჩერდით, იმაში მდგომარეობდა, რომ ყმაწვილი, რომელიც დაბრუნდა ხელ-პირ დაბანილი, უნდა დაშვებულიყო ამ შვერილზე, უფროსი ძმა ჩაჰყვებოდა ნაპრალს იმდენზე, რომ შეძლებოდა ყმაწვილის მარცხენა ხელის დაჭერა, მე კი ამ დროს კლდეზე გაწოლილი დავიჭერდი უფროსი ძმის მეორე ხელს. სანამ გეგ-

ვას სისრულეში მოვიყვანდით, ძმებს ვკითხე: თუ დაგიჭერიათ ოდესმე თევზი ხელით, და ცურვა თუ იცით-თქო. სიცილით მიპასუხეს, რომ თევზის დაჭერაც ვიცით ხელით და მდინარეშიც ბავშვობიდან ვცურავთო.

დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ მე არ შემეძლო ერთსა და იმავე დროს ხელით დამეჭირა ანკესი და ვყოფილიყავი ჩვენი ჯაჭვის რგოლის შემადგენელი ნაწილიც. ასე თუ ისე, უნდა გამებედა, ამიტომ ანკესის ჯოხი დავდეი მიწაზე და ავიღე მკედი მარცხენა ხელში, ხოლო როცა ძმებმა პოზიციები დაიკავეს, მე პირქვე დავწექი კლდეზე, გადმოვეკიდე და მეორე ხელი ჩავჭიდე უფროსი ძმის ხელს. შემდეგ ძალიან ფრთხილად დავიწყე თევზის მოზიდვა კლიდისაკენ და თოკი მორიგეობით ხან მარცხენა ხელით მეჭირა, ხან კბილებით. საეჭვო არ იყო, ყმაწვილმა შესანიშნავად იცოდა, როგორ მოპყრობოდა თევზს, რადგან თევზმა ვერ მოასწრო კლდესთან მიახლოება, რომ მან ცერი ერთ ლაყუჩში გაუყარა, დანარჩენი თითები — მეორეში და სწვდა თევზს ყელში. აქამდე მურწა სრულიად დამჯერი იყო, მაგრამ როგორც კი ყელში სტაცეს ხელი, იგი მოულოდნელად გაექანა და რამდენიმე წამს გვეგონა, რომ ჩვენ ყველა კისრისტეხით გადავცვივდებოდით წყალში.

ორივე ძმა ფეხშიშველი იყო და როდესაც ანკესის მკედი დაჭერას აღარ საჭიროებდა, შემეძლო ორივე ხელით დავხმარებოდი მათ, გულმოდგინედ დავიწყეთ მათი ზემოთ ამოყვანა, და ორივე ძმამ კლდისკენ პირშებრუნებულმა იწყო ფეხის თითებზე დაყრდნობით ამოსვლა.

დაბოლოს, როდესაც მურწა მშვიდობიანად გამოვათრიეთ და მიწაზე დავაგდეთ, ვკითხე ძმებს, ჭამენ თუ არა ისინი თევზს. მათ მიპასუხეს, რომ ისინი მზად არიან ყოველთვის ჭამონ ის, თუ კი სადმე ნახავენ, მე ვუთხარი მათ,—რომ ამ თევზს. ამ მშვენიერ ოცდაათგირვანქიან მურწას მივცემდი მათ, თუ ისინი დამეხმარებოდნენ ჩემი ხალხისთვის კიდევ ერთი ასეთი თევზის დაჭერაში. ძმები დიდი სიამოვნებით დამთანხმდნენ.

სამმაგი ღუზა ღრმად ჩაერჭო მურწას ქვედა ლაყუჩში და სანამ მე მას მოვჭრიდი, ძმები ინტერესით მადევნებდნენ

თვალს. როდესაც ღუზა გავათავისუფლე, იმათ მკითხეს, შეიძ-ლება თუ არა მისი დათვალიერება. სამი ანკესი ერთად, — ასეთი ხელსაწყო მათ არასდროს არ ენახათ და არა მარტო მათ, არამედ არავის მთელ სოფელში. თითბრის მოკაკული ნაჭერი — ეს ჩასაძირია არა? რას აცმევენ ანკესზე? რატომ კიდებს თითბერს პირს თევზი? ეს მართლა თითბერია, თუ სხვა რაიმე გამხმარი მისატყუარი? როცა მისატყუარი და კოჭა სამი შენაერთით კარგად დაათვალიერეს, ბევრი იმსჯელეს და მასზე აღფრთოვანებაც გამოხატეს, მე ვთხოვე ძმებს დამსხდარიყვნენ და ეცქირათ, როგორ დავიჭერდი მეორე თევზს.

ყველაზე დიდი მურწა ტბაში მოჩანდა ჩანჩქერის ძირში. მაგრამ აქ, ამ აქაფებულ რძესავით წყალში, მის გარდა, დაცურავდა კიდევ რამდენიმე დიდი ადგილობრივი ლოქო, რომელიც ადვილად ეგებოდა ანკესზე. ამ თევზების 90 პროცენტი დამნაშავეა სათევზაო ხელსაწყოს დაღუპვაში მათი ცუდი ჩვევის გამო — როგორც კი ანკესზე წამოეგებიან, იმწამსვე ჩაყვინთავენ და თავს მალავენ კლდის ქვეშ, საიდანაც მათი გამოთრევა ძალიან ძნელია, ხანდახან სრულიად შეუძლებელიც.

ძნელი იყო იმაზე უკეთესი ადგილის შერჩევა, საიდანაც პირველად ვისროლე ანკესი. ამიტომ ისევ ჩემი პოზიცია დავიკავე ანკესით ხელში და მოვემზადე სატყუარათი წყალში მის გადასასროლად.

სანამ მურწასთან ვცოდვილობდი, კლდესთან ჩვენი მოქმედებით ქვიან ფსკერზე შეწუხებული თევზები ისევე შეგროვდნენ და მალე ძმებმა გაცხოველებული შეძახილებითა და ხელების ქნევით მიმითითეს ერთ დიდ თევზზე დინების ბოლოში, სადაც ქვიშნარით დაფარული ფსკერი აღარ ჩანდა და უკვე ღრმა წყალი იწყებოდა. სანამ ანკესს გადავისროდი, თევზი შებრუნდა და გაქრა ღრმა წყალში, მაგრამ ცოტა გვიან ისევ გამოჩნდა, როგორც კი შევიდა წყალმარჩხობში, იმწამსვე გადავისროლე ანკესი, მაგრამ, როგორც ჩანდა, თოკი დასველდა და ნასროლი მოკლე მანძილზე აღმოჩნდა. მეორე გადასროლა მშვენიერი იყო ადგილისა და დროის შერჩევით: მე ერთი წუთი დავიცადე, სანამ სატყუარა ჩაიძირებოდა და შევუდექი კოჭზე მკედის დახვევას, რომ სატყუარასთვის მიმეცა სწორი

და საჭირო მიმართულებით შემობრუნების საშუალება. იმ დროს, როდესაც მკედს ვეწეოდი მსუბუქი რხევით, ერთბაშად გამოჩნდა მურწა და შემდეგ მთლად ამოხტა წყლიდან ყელში მაგრად ჩამჯდარი ანკესით. შხაპუნით უკანვე ჩავარდა წყალში და გააფთრებული დაეშვა ქვევით შეშფოთებული მაყურებლების თვალწინ, რადგან ყველაფერს, რაც ხდებოდა, გაღმა ნაპირიდან ხალხი ისევე დაძაბული მიჩერებოდა, როგორც ჩემი თანაშემწეები.

იმისდა მიხედვით, როგორ ბრუნავდა კოჭა და ირღვეოდა მკედი, ძმები, რომლებიც გვერდზე მიდგნენ, მეხვეწებოდნენ არ მიმეცა თევზისთვის წყალსატევის ბოლოში შესვლის საშუალება. თქმა უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება, რადგან შეუძლებელია მურწას პირველი ნახტომის შეჩერება, რა ზომისაც არ უნდა იყოს იგი, მკედის გაწყვეტის ან კარაბინის სადავის მოგლეჯის საფრთხის გარეშე, მაგრამ იღბალი არ გვღალატობდა, ან შესაძლებელია თევზს შეეშინდა სატყუარას ბრუნვის, რადგან კოჭაზე ოცდაათ იარდზე ნაკლები მკედი იქნებოდა დარჩენილი, რომ ის წამით შეჩერდა, და შემდეგ თუმცა განაგრძო წინააღმდეგობა, ბოლოს და ბოლოს მაინც მივიყვანეთ წყლის მოხვეულთან და შევათრიეთ კლდის ქვედა ყურეში. ამ თევზის ნაპირზე ამოთრევა ისე არ გაგვჭირვებია, როგორც პირველისა, რადგან თითოეულმა ჩვენგანმა ზუსტად იცოდა თავისი ადგილი და მოვალეობა.

ორივე მურწა თანაბარი სიდიდის იყო, მაგრამ მეორე ცოტა უფრო მძიმე აღმოჩნდა პირველზე. იმ დროს, როდესაც უფროსი ძმა ტრიუმფით გაეშურა თავის სოფელში თევზით მხარზე (თევზს ლაყუჩებში გაყრილი ჰქონდა სახელდახელოდ დაგრეხილი ბალახის თოკი), მისმა უმცროსმა ძმამ მთხოვა ნება დამერთო მისთვის გავეცილებინე ინსპექციის ბუნგალომდე და თან წამოეღო თევზი და ჩემი ანკესი. მე გამახსენდა ჩემი შორეული ბავშვობა და ჩემი მეთევზე ძმები. ამიტომ ბიჭუნას დიდ ხანს არ დაჭირდა ხვეწნა. „თუ თქვენ ნებას დამრთავთ, საიბ, წამოვიღო თევზი და ანკესი, და თქვენ კი ცოტა მოშორებით გამომყვებით უკან, ყველა, ვინც გზაში ან ბაზარში დამინახავს, იფიქრებს, რომ მე დავიჭირე ისეთი დიდი თევზი, რომელიც იმათ არასდროს არ უნახავთ“.

მარტის უკანასკნელ დღეს იბოტსონი ჩამოვიდა პაურიდან, მეორე დილას როდესაც ვსაუზმობდით, მოვიდა ცნობა, რომ იმ ღამეს ავაზა მრავალგზის გამოჩენილიყო და შეემჩნიათ ის სოფლის ახლო, რუდრაპრაიაგიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთ მილზე იმ ადგილიდან, სადაც მოვკალით მეორე ხაფანგში მომწყვდეული ავაზა.

სოფლიდან ჩრდილოეთით, ნახევარი მილის მანძილზე. ძალიან მაღალი მთის ქედის მნიშვნელოვანი ფართობი წარმოადგენდა ხევებით დასერილ ადგილს, სადაც აღმართულიყვნენ ვეებერთელა კლდეები და ხახა დაეღოთ ღრმა გამოქვაბულებს, რომლებშიც, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობდნენ, მათი მამა-პაპანი მისდევდნენ სპილენძის მოპოვებას. მთელი ეს არემარე დაფარული იყო ზოგ ადგილას გაუვალი ჯუნგლებით, რომლებიც ნახევარი მილის სიგრძეზე ეშვებოდა მთის კალთებიდან სოფლის ზევით ტერასებად განლაგებული ყანების თავზე.

მე უკვე დიდი ხანია ეჭვი მქონდა, რომ რუდრაპრაიაგის მიდამოებში კაციჭამიასათვის ეს ადგილი საიმედო თავშესაფარი იყო. ხშირად ავცოცდებოდი ხოლმე ამ დაკლაკნილი ტაფობის საკომანდო სიმაღლეზე იმ იმედით, რომ აღმოვაჩენდი კლდეზე გაწოლილ ავაზას, რომელიც ტკბილად ნებივრობდა დილის მზის სხივებზე, რასაც ისინი განცხრომით ეძლევიან ცივ ჰავიან ადგილებში. ასეთ შემთხვევაში მათთვის თოფის სროლა ჩვეულებრივი საქმეა, და მთავარი, რაც საჭიროა, ესაა ცოტა მოთმინება და ზუსტი დამიზნება.

მეორე საუზმე ადრე გავათავეთ. მე და იბოტსონი ერთად გამოვედით სახლიდან 275-ყალიბიანი თოფებით, და მისივე ერთ-ერთი მსახურის თანხლებით, რომელსაც მოკლე თოკი მოჰქონდა. სოფელში ვიყიდეთ თიკანი — ავაზამ ხომ დახოცა ყველა თხა, რომლებიც დროგამოშვებით მისთვის შევიძინეთ.

სოფლიდან თხების მიერ გატკეპნილ ქვის ბილიკს მივყავდით პირდაპირ ზევით მთაზე, ხევებით დასერილ ადგილამდე.

ბილიკი შემდეგ უხვევდა მარცხნივ, გადიოდა ას იარდზე მთის ღია ადგილას, და უვლიდა მის შვერილს გარშემო. ეს ბილიკი იქ, სადაც მთის გასწვრივ გადიოდა, ამაღლებულ ადგილას გარშემორტყმული იყო მეჩხერი ბუჩქნარით, ხოლო ქვედა ნაწილში, სადაც ის ციცაბოდ ეშვებოდა — დაბალი ბალახით.

თიკანი დავაბით ბილიკის მოსახვევში მაგრად ჩასობილ პალოზე ბუჩქნარიდან ათი იარდის მოშორებით. ჩამოვედით მთიდან ას ორმოცდაათ იარდზე და დიდ კლდეებს ამოვეფარეთ. თიკანი ყველაზე მყვირალა აღმოჩნდა იმათგან, რომლებიც ოდესმე გამიგონია. ეს განუწყვეტლივ მკვეთრი და გამყივანი ხმით კიკინებდა; ჩვენ არ გვჭირდებოდა მისი დარაჯობა, რადგან ის სრულიად საიმედოდ იყო მიბმული და ავაზას არ შეეძლო მისი გატაცება.

მზე — ეს ცეცხლოვანი ბურთი — შუბის ტარზე იქნებოდა გადახრილი კედარნატხის ზევით მდებარე თოვლიან მწვერვალებიდან, როცა ჩვენ კლდის უკან პოზიციები დავიკავეთ. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ უკვე რამდენიმე წუთს ჩრდილში ვიმყოფებოდით, რომ თიკანმა ერთბაშად შეწყვიტა კიკინი. მივეპარე კლდის ქიმიდან და გულდასმით რომ ვიყურებოდი, დავინახე ბუჩქისკენ მიბრუნებული ყურებდაცქვეტილი თიკანი, და იმ დროს, როცა მე მას მივჩერებოდი, თიკანმა ერთბაშად გააქიცინა თავი და ბაწრის მთელ სიგრძეზე უკან დაიხია.

უეჭველია, თიკნის კიკინმა მიიზიდა ავაზა და თუ ის ერთბაშად არ ეძგერა თიკანს, სანამ უკანასკნელი მის სიახლოვეს იგრძნობდა, ეს ადასტურებდა იმას, რომ ავაზა რაღაც სასიკეთოს არ გრძნობდა. იბოტსონს შეეძლო ზუსტად დამიზნება, რადგან თოფს ჰქონდა ტელესკოპური მოწყობილობა, ამიტომ მე გვერდზე გავდექი. როდესაც ის დაწვა და თოფი მხარზე მიიდო, მე გადავუჩურჩულე მას, ყურადღება მიექცია ბუჩქისთვის ივ მიმართულებით, საითაც თიკანი იყურებოდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ თუ თიკანს შეუძლია დაინახოს ავაზა — მაშინ იბოტსონსაც შეუძლია დაინახოს ის თავის ძლიერ ტელესკოპურ სამიზნეში. რამდენიმე წუთს იყურებოდა იბოტსონი სამიზნის მილში, შემდეგ თავი გააქნია,

დადო თოფი მიწაზე და გვერდზე გაიწია, რომ მე დამეკავებია ბისი ადგილი.

თიკანი ზუსტად ისევე იდგა, როგორც მე იგი დავინახე უკანასკნელად; მისი ხედვის მიმართულებით ამოვიღე მიზანში ის ბუჩქები, რომელსაც ის მიჩერებოდა. სამიზნო მოწყობილობაში შეიძლებოდა დანახვა, როგორ ახამხამებდა თიკანი თვალებს, და ამოძრავებდა სულ უმნიშვნელოდ ყურებს და ბაკენბარდებს. თუმცა მეც მივჩერებოდი რამდენიმე წუთს ბუჩქებს, მაგრამ ვერაფერი საინტერესო ვერ დავინახე.

ობიექტივს რომ თვალი მოვაშორე, შევამჩნიე, ღამდებოდა და თიკანი თეთრ-მოწითალო ლაქად მოჩანდა მთის ფონზე. ჩვენ უკან გასავლელი გვქონდა გრძელი გზა, შემდგომი ცდა კი ფუჭი და საშიში იყო, ამიტომ წამოვდექი და იბოტსონს ვუთხარი ჩვენი წასვლის დროა-თქო.

მივედით თიკანთან, რომელიც ხმას აღარ იღებდა, ავხსენიო ჰალოდან და მასთან ერთად, რომელსაც თხა მოჰყავდა, გავემართეთ სოფლისაკენ. როგორც ჩანდა, თიკნისათვის არასოდეს არ ჩაებათ თოკი ყელზე და რადგან ის მთელი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა წაყვანას, ამიტომ ვუბრძანე გამყოლს მოეხსნა თოკი კისრიდან ცხოველისათვის. გამოცდილებიდან ვიცოდი რომ, თუ თხას აუშვებ, როცა ის ჯუნგლებშია დაბმული, იგი შიშის თუ ადამიანებთან ახლოს ყოფნის სურვილის გამო აგედევნება ძაღლივით. ამ თხას, როგორც ჩანს, ჰქონდა განსაკუთრებული თანდაყოლილი ჩვევები — ვერ მოასწრო კაცმა ყელიდან თოკის მოხსნა, რომ ის მიბრუნდა და მოკურცხლა ბილიკზე მაღლა მთისაკენ.

დაკარგვა კიკინა თიკნისა, — რომელმაც ერთხელ უკვე მიიზიდა ავაზა და შეეძლო კიდევ გაემეორებინა ეს, — საქმისათვის არ ვარგოდა. გარდა ამისა, რამდენიმე საათის წინათ, ჩვენ მივეცით მასში თანხა, ამიტომ იყო, რომ გულმოდგინედ დაევედევნეთ ბილიკზე ზევით გაქცეულს. ბილიკის მოსახვევში თხამ შეუხვია მარცხნივ და დავკარგეთ ის მხედველობიდან. დავადექით ბილიკს და მივედით მთის შვერილამდე, საიდანაც მოჩანდა დაბალი ბალახით დაფარული მთის მნიშვნელოვანი ნაწილი, და რადგან თხა ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ, გადავწყ-

ვიტეთ, რომ ის მოკლე გზით სოფელში დაბრუნდა. ჩვენც იმავე გზით დავბრუნდით უკან, რომლითაც აქ ამოვედით. მე წინ მივდიოდი და უკვე ასი იარდი გავიარეთ ბილიკზე, რომელიც ზედა ნაწილში ბუჩქნარით იყო გარშემორტყმული და ქვედა ციცაბო ნაწილში დაბალი ბალახოვანი მცენარეულობა ეკრა გარს, რომ ჩემს წინ უცბად გაიელვა თეთრმა საგანმა. შებინდებული იყო, ფრთხილად მივუახლოვდი თეთრ საგანს და აღმოვაჩინე, რომ ეს იყო თიკანი, რომელიც ვიწრო ბილიკზე ეგდო ისე, რომ ციცაბო კლდეზე არ გადაჩეხილიყო. ყელიდან სისხლი დიოდა და როდესაც ხელით შევეხე, კუნთები ჯერ კიდევ უთრთოდა.

გეგონებოდათ, თითქოს კაციჭამიამ — არც ერთი სხვა ავაზა არ მოჰკლავდა თხას და გზაზე არ დატოვებდა, — გამოგვაჯავრა: — აი, თუ გნებავთ, გყავდეთ თქვენი თხა, — ინებეთ; და რადგან ახლა ბნელა, წინ კი გრძელი გზა გაქვთ გასავლელი, ვნახოთ, რომელი თქვენგანი მიაღწევს ცოცხალი სოფლამდეო.

არა მგონია, ჩვენ მშვიდობით მიგვეღწია სოფლამდე, რომ მე, საბედნიეროდ, მთელი კოლოფი ასანთი არ მქონოდა (იბოტსონი ამ დროს აღარ წევდა პაპიროსს). მოვუკიდებდი ხოლმე ასანთს, გაფაციცებით მიმოვიხედავდით გარშემო, გადაედგამდით რამდენიმე ნაბიჯს და სწრაფად წავიწევდით წინ, შემდეგ ისევ მოვუკიდებდით მეორე ასანთს და ასე დიდი წვალებით ჩამოვედით ქვევით ქვებით მოფენილ ბილიკზე, სანამ არ მივედით იმ ადგილამდე, საიდანაც შეიძლებოდა სოფლის მცხოვრებლებამდე ხმის მიწვდენა. ჩვენ დაჟინებით ძახილზე მოვიდა ხალხი, რომელიც ფარნებითა და ფიჭვის ჩირაღდნებით შეგვხვდა.

ჩვენ დავტოვეთ თიკანი იქ, სადაც ავაზამ ის მიატოვა. გათენებისას დავბრუნდი ამ ადგილას და ვნახე კაციჭამიას თათების ნაკვალევი. ისინი სხვაგანაც ჩანდა. გამოირკვა, რომ ის უკან მოგვყვებოდა თითქმის სოფლამდე. თიკანი ხელუხლებლად იდო იმავე მდგომარეობაში, როგორშიც დავტოვე წასვლისას.

ინსპექციის ბუნგალოში რომ დავბრუნდი, ღამით მოკლულ თხის ლეშთან ყოფნის შემდეგ შემატყობინეს, რომ სოფელში ცნობა მოსულიყო — სასწრაფოდ მიბარებდნენ რუდრაპრაიაგში, რადგან იმ ღამეს კაციჭამიას მოეკლა კაცი. ცნობის მომტანებმა ვერც დაწვრილებით გვიამბეს რაიმე და ვერც მკვლელობის ადგილი დაგვისახელეს. მაგრამ, რადგან კაციჭამიას თათების ნაკვალევმა გვიჩვენა, რომ სოფლამდე ჩვენი დევნის შემდეგ ის თხის ბილიკით უკან დაბრუნებულიყო და მოსახვევთან გადაეხვია მარჯვნივ, როგორც შემდეგ გაირკვა, მე სწორად დავასკვენი, — ავაზამ ვერც ერთი ჩვენგანის მოტაცება რომ ვერ შეძლო, თავისი მსხვერპლი შორს მთებში მოძებნა.

ბუნგალოში მივუსწარი იბოტსონს, რომელიც ვინმე ნენდ რამს ელაპარაკებოდა. მისი სოფელი ოთხი მილით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ჩასაფრებული ვიყავით წინა ღამეს. ნახევარი მილით ზევით ამ სოფლიდან, ღრმა ხევის მოპირდაპირე მხარეზე მცხოვრებმა, ბოგანო კაცმა, სახელად გეუიამ, გაკაფა ხეები პატარა მოედანზე და აიშენა ქოხი, რომელშიც ცხოვრობდა დედით, ცოლითა და სამი ბავშვით. დილას, გათენებისას ნენდ რამს გეუიას სახლის მხრიდან ქალის წივილ-კივილი გაეგონა. როდესაც დაეძახა, — რა მოხდაო — „ოჯახის მამა“ ნახევარი საათის წინ კაციჭამიამ მოიტაცაო, — უპასუხეს. ამ ამბისაგან საშინლად დამფრთხალი ნენდ რამი ინსპექციის ბუნგალოში გამოქცეულიყო.

იბოტსონის ორივე ცხენი — არაბული და ინგლისური ფაშატი შეკაზმული იდგა. კარგი საუზმის შემდეგ გავეშურეთ ნენდ რამთან ერთად, რომელიც გზას გვიჩვენებდა. მთაზე გზები არ იყო, თხისა და პირუტყვის ბილიკების გარდა, — და რადგან ინგლისური ფაშატი ვერ შეეგუა ამ მიხვეულ-მოხვეულ და ოღროჩოღრო გზას, ცხენი უკან გავგზავნეთ და დარჩენილი მძიმე და ციცაბო აღმართი ოფლში გაწურულებმა ქვეითად გადავლახეთ.

პატარა იზოლირებულ ნაკვეთზე რომ მივედით ტყეში.

ორმა მწუხარებით განაწამებმა ქალმა — გეგონებოდათ, კიდევ იმედი აქვთ, „ოჯახის მამა“ ცოცხალიაო, — გვიჩვენა, სად იჯდა გეუია, როცა ავაზამ მოიტაცა ის. მტაცებელს ყელში ჩაეკლო კბილები უბედურისათვის და ხმა არ ამოეღებინებია. ამის შემდეგ გვერდზე გაეთრია ას იარდზე და მოეკლა, შემდეგ წაეღო კიდევ ოთხას იარდზე ხშირი ბუჩქნარით გარშემორტყმულ პატარა ღრმულთან. ქალებისა და ნენდ რამის ყვირილს, როგორც ჩანს, დაუფრთხია ავაზა, რადგან მას მსხვერპლის მხოლოდ ყელი, ყბა, ბეჭისა და ბარძაყის მცირე ნაწილი შეეჭამა.

მოკლულის ახლო არ იდგა არც ერთი ხე, რომელზეც შეიძლებოდა სახუნდარის მოწყობა, ამიტომ ჩავდევით შხამი გვამში იქ, სადაც ხორცი სამ ადგილას კბილით იყო ამოგლეჯილი. რადგან დრო გადიოდა და საღამო ახლოვდებოდა, დავიკავეთ პოზიციები მთაზე, რამდენიმე იარდის მოშორებით ღრმულიდან, საიდანაც შეგვეძლო ამ ღარტაფის დანახვა. უეჭველია, მტაცებელი ხშირ შამბნარში იმალებოდა და მიუხედაეად იმისა, რომ ვიწექით კარგად შენიღბულ ადგილას, ორი საათის განმავლობაში ავაზას არავითარი ნიშანწყალი არ ჩანდა. როცა დაბინდდა, ავანთეთ თანწამოღებული ფარანი და დავბრუნდით უკან.

მეორე დილას ადრე ავდექით და ინათა თუ არა, გავეშურეთ მთისკენ, საიდანაც მოჩანდა განაკაფი, მაგრამ ვერც ვერაფერი დავინახეთ და ვერც ვერაფერი გავიგონეთ, ერთი საათის შემდეგ, მზე რომ ამოვიდა, მივედით გვამთან. მიცვალებულის გვამის იმ სამ ადგილას, სადაც შხამი ჩავდევით, ავაზას პირი არ ეხლო, მხოლოდ მეორე მბარი და ფეხი მოეჭამა. შემდეგ გვამი გაეთრია მოკლე მანძილზე და დაემალა ბუჩქებში.

არც აქ იყო ხე, საიდანაც შეიძლებოდა გვამისათვის თვალყურის დევნება და საფარის მოწყობა. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ გადავწყვიტეთ, — იბოტსონი ერთი მილით წავა სოფლის მიმართულებით მთიდან ქვევით მანგოს დიდ ხემდე, რომელზეც მოაწყობს სახუნდარს და შიგ ღამეს გაათევს, მე კი ჩავჯდები დაახლოებით ოთხას იარდზე, გვამი-

დან სოფლისკენ მიმავალ გზაზე, იქ, სადაც წინა დღეს ვნახეთ კაციჭამიას თათების ნაკვალევი.

ხე, რომელიც ამ მიზნისათვის შევარჩიე, რამდენიმე წლის წინათ თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე გადაჭრილი როდოდენდრონი იყო. გადანაჭრებიდან მაგარი ტოტები ამოეყარა და რტოებით გარშემორტყმულ ამ ბებერ შტამბზე კარგად დაფარული და მოხდენილი საფარი მოვიწყვე.

პირდაპირ ჩემს წინ აღმართული იყო გვიმრისა და საკვები ბამბუკის ხშირი ტყით დაფარული დიდი ბორცვი, რომელზეც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიიკლაკნებოდა კარგად გატკეპნილი საცალფეხო ბილიკი, როდოდენდრონი კი ხარობდა ბილიკის ქვემოთ ორასი ფუტის მოშორებით.

ჩემი საფარის ადგილიდან თავისუფლად შემეძლო ათიოდე იარდის მანძილზე თვალი მედევნებია ამ საცალფეხო ბილიკისათვის, რომელიც ჩემგან მარცხნივ კვეთდა ხევს და მიემართებოდა მოპირდაპირე მხარეზე, მარჯვნივ კი რაღაც სამასი იარდის მოშორებით გადიოდა ბუჩქებს ქვევით, სადაც გვამი ეგდო. ხევში, ბილიკის გადაკვეთის ადგილას, წყალი არ იყო, მხოლოდ ქვემოთ, ოცდაათი იარდისა და ჩემი ხის ფესვიდან კი სამი-ოთხი იარდის მოშორებით იდგა რამდენიმე პატარა გუბე—წყაროების სათავე, საიდანაც ქვევით ნაკადულები მიედინებოდა. ეს უკანასკნელნი თანდათან მდინარედ იქცეოდნენ და სარწყავი და სასმელი წყლით ამარაგებდნენ მოსახლეობას.

მხოლოდ პატარა ბილიკი, სწორი, რომელიც ათ იარდზე შემეძლო დამენახა, კუთხით უერთდებოდა დიდ ბილიკს, რომელიც ბორცვიდან ჩამოდიოდა და მოკლულ გეუიას ქოხიდან სამი იარდით იყო დაშორებული. ოცდაათი იარდით მაღლა ეს ბილიკი უხვევდა და აქ დაწყებული პატარა ტაფობი ქვედა ბილიკამდე ჩადიოდა. ადგილს, სადაც ტაფობი იწყებოდა ზედა ბილიკთან და თავდებოდა ქვედასთან, მე ვერ ვხედავდი.

მთვარე ისე კაშკაშებდა, რომ არავითარი ელექტროფარანი არ იყო საჭირო და თუ ავაზა მოვიდოდა ქვედა ბილიკით ან ჩამოვიდოდა ქოხიდან მომავალი ბილიკით, — როგორც ამას მისი თათების ნაკვალევი გვიჩვენებდა წინადღეს, — მე შემეძ-

ლო მსუბუქად მესროლა მიზანში ოციდან ორმოცი ფუტის მანძილზე.

მე და იბოტსონმა ბორცვის ცოტა ქვემოთ გავიარეთ და შემდეგ მზის ჩასვლამდე დავიკავე ჩემი ადგილი ხეზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთი მამალი და ორი დედალი შავზურგიანი ვერცხლისფერი ხოხობი გადმოფრთხიალდა ბორცვიდან, ნაკადულის წყალი დალია და იმავე გზით დაბრუნდა უკან. ორჯერვე ხოხბებმა ჩემი ხის ახლო გაიარეს და რომ ვერ შემამჩნიეს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემი მალული საფარი ძალიან კარგი იყო.

ღამე ჯერ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, როცა რვა საათზე გაისმა კარკერის ყეფისმაგვარი ხმა. იმ მიმართულებით, სადაც გვამი ეგდო, ავაზა გამოჩნდა, სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი არ მოსულა არც ერთი იმ ბილიკით, რომელსაც მე ვუთვალთვალებდი. რამდენიმე წუთს „იყეფა“ კარკერმა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ათ საათამდე გაგრძელდა. შემდეგ ისევ გაისმა კარკერის ხმა. ავაზა იყო გვამთან ორი საათის განმავლობაში. ეს იყო საკმარისი დრო საფუძვლიანი დანაყრებისა და მოწამვლისათვის. ამჯერად ყოველგვარი შანსი გექონდა, რომ მტაცებელი გაბმულიყო, რადგან ამ მეორე ღამეს ძალიან გულმოდგინედ მოვწამლეთ მთელი გვამი.

ერთი წუთითაც არ დამიხუჭავს თვალი. ვუთვალთვალებდი ჩემს პირდაპირ აღმართულ მთვარის შუქით განათებულ ბორცვს და შემეძლო თითოეული ბალახის ღეროს გარჩევაც. ღამის ორ საათზე გავიგონე, როგორ მოდიოდა ავაზა ქოხიდან მომავალ ბილიკზე. ამ ბილიკზე და ქვევით მდებარე საცალფეხო გზაზე გამხმარი ფოთლები დავყარე, რომ წინასწარ გამეგო ავაზას მოახლოება. ის ახლა არ გრძნობდა არავითარ საშიშროებას, ისე ადგამდა ფეხს ამ ხმელ ფოთლებზე და არც სიჩუმის დაცვას ცდილობდა, ეს კი იმედს მაძლევდა და კიდეც მოველოდი — მინდოდა წამსვე ჩამეჭედა მისთვის ტყვია, — რომ კარგ ხასიათზე დამეყენებია.

მოსახვევში ავაზა ცოტა ხანს შეჩერდა, შემდეგ მიატოვა ბილიკი, შევიდა პატარა ტაფობში და გადავიდა იქიდან ქვედა ბილიკზე, შემდეგ ისევ შეჩერდა.

მე გაუნძრევლად ვიჯექი რამდენიმე საათს და ხელს ვუჭერდი მუხლებზე ჩამოდებულ თოფს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის ბილიკით წავიდოდა და გადავწყვიტე მიმეცა ახლო გავლის საშუალება. როცა საშიშროება გაივლიდა, თუ შემამჩნევდა, მოვიგდებდი თოფს და ვესროდი იმ ადგილას, რომელიც თვალში მომივიდოდა. რამდენიმე წუთს ვადევნებდი თვალს ბილიკს, სულ იმის მოლოდინში, რომ დავინახავდი დახრილ ტოტებიდან გამოჩენილ ავაზას თავს. როცა ეს დაძაბული მდგომარეობა აუტანელი გახდა, უეცრად გავიგონე, როგორ ჩამოხტა ის ძირს ბილიკიდან და წამოვიდა ბორცვიდან ჩემი ხისაკენ. ერთ წუთს გავიფიქრე, რომ რაღაც მიუწვდომელი. იდუმალი გუმანით გაიგო ჩემი ხეზე ყოფნა და რადგან გვამის გემო არ მოეწონა, ახლა — ცდილობდა ეშოვა კიდევ ერთი მსხვერპლი. თუმცა ჩანდა, რომ ბილიკიდან ჩამოვიდა, მაგრამ ის სრულიად არ ისწრაფვოდა ჩემამდე მოღწევას, პირიქით, მას გზის შემოკლება სურდა ნაკადულამდე, რადგან მტაცებელმა შეუჩერებლად გაიარა ხესთან და შემდეგ გავიგონე პირის წკლაპუნი, წყალს რომ სვამდა. ბორცვზე მისი მოქმედების და იმის მიხედვით, თუ როგორ სვამდა ახლა ის წყალს, დავრწმუნდი, რომ ის მოიწამლა, მაგრამ რადგან გამოცდილება არ მქონდა ციანიდის გამოყენებაში, ამიტომ არ ვიცოდი რამდენ ხანში იმოქმედებდა შხამი. ათი წუთის შემდეგ წყლის სმა რომ გაათავა და მეც იმედი მომეცა ნაკადულის ახლოს მომეკლა იგი, უცბად შემომესმა მისი ფეხის ხმა. ის მიიპარებოდა ტყეში ბორცვზე ხევის მოპირდაპირე მხარეს. როგორც კი მიაღწია ბილიკს, რომელიც გარს უვლიდა მთის შვერილს, ხმა მიწყდა.

ვერასოდეს — ვერც მაშინ, როცა ავაზა მიდიოდა ბილიკზე ან ჩამოდიოდა ტაფობში, ვერც ბორცვის გასწვრივ ხის ძირას, რომელზეც მე ვიჯექი, ვერც მაშინ, როცა ის წყალს სვამდა და ადიოდა ბორცვზე ხევის მეორე მხარეს, — ვერ დავინახე ის და შემთხვევით იყო ეს თუ განზრახ, ის ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევდა თავშესაფარს, სადაც მთვარის სინათლე ვერ აღწევდა.

ახლა აღარ მქონდა თოფის გასროლის იმედი, თუმცა ეს

არც იყო მთავარი, თუ შხამი აღმოჩნდებოდა ისეთი ძლიერი, როგორიც უნდა ყოფილიყო ის ნაინ-ტალელი ექიმის თქმით.

მთელი ღამე ბილიკს ვდარაჯობდი, ყურს ვუგდებდი ყოველგვარ ხმებს. გათენებისას მოვიდა იბოტსონი და, სანამ ჩვენ სასურველ ჩაის ვადუღებდით, ვუამბე მას ღამე მომხდარი ამბების შესახებ.

გვამთან მივედით და რას ვხედავთ, — ავაზას მოუჭამია ფეხი, რომელზეც ორი ღამის წინათ ცოტა გასინჯა ხორცი და რომელშიც შხამის დიდი დოზა ჩავდევით. შევამჩნიეთ აგრეთვე ისიც, რომ მას „მიეღო" საწამლავის კიდევ ორი სხვა დოზა — ერთი მარცხენა ბეჭიდან, მეორე ზურგიდან.

ახლა აუცილებელი იყო ავაზას ლეშის მოძებნა. ამიტომ იბოტსონთან ერთად მოსული პატვარი გავგზავნეთ ამ მიზნისათვის ხალხის შესაკრებად. დაახლოებით შუადღეზე პატვარი დაბრუნდა ორასი მცხოვრებით. ჩვენ ერთად გადავჩხრიკეთ ბორცვის მთელი ის მხარე, რა მიმართულებითაც წავიდა ავაზა. ნახევარ მილზე იმ ადგილიდან, სადაც ცხოველი წყურვილს იკლავდა, უზარმაზარი კლდეების ძირში იყო გამოქვაბული, რომელსაც ისეთი ფართო ხვრელი ჰქონდა, რომ ავაზას თავისუფლად შეეძლო შიგ შეძრომა. იგი ღრმად შედიოდა მთაში. ამ გამოქვაბულის შესასვლელთან ავაზას ამოეთხარა კლანჭებით მიწა და ამოენთხია მოკლულის ფეხის თითები, რომლებიც დაუღეჭავად გადაეყლაპა.

აქვე აღმოჩნდნენ მოხალისეებიც, რომლებმაც მოზიდეს კლდიდან დიდი ლოდები და ამოქოლეს შესასვლელი. გამოქვაბული ისე იყო ამოჭედილი, რომ ვერც ერთი ავაზა, თუ შიგ იყო დამალული, ვერ შეძლებდა იქიდან გამოღწევას.

მეორე დილას დავბრუნდი ერთდუიმიანი მავთულის ბადის გრაგნილით და რკინის პალოებით კარვის დასამაგრებლად. ქვები რომ მოვაშორეთ, გამოქვაბულის შესასვლელს ძალზე ოსტატურად ჩამოვაფარეთ ბადე. ამ მომენტიდან და შემდგომ მთელი ათი დღის განმავლობაში ვნახულობდი გამოქვაბულს დილასა და საღამოს და ამ ხნის განმავლობაში კაციჭამიაზე არავითარი ცნობა არ მომსვლია მდინარე ალაკნანდის მარცხენა ნაპირის არც ერთი სოფლიდან. ჩემი იმე-

დები დღითიდღე მტკიცდებოდა, მეგონა განმეორებით რომ მოვიდოდი, უეჭველად ვნახავდი გამოქვაბულში ავაზას დაღუპვის რაიმე მაჩვენებელ ნიშანს.

მეათე დღეს, გამოქვაბულის დათვალიერების შემდეგ რომ დავბრუნდი, სადაც მავთულის ბადე წესრიგში დამხვდა,— იბოტსონმა დამახვედრა ახალი ამბავი — ამ ღამეს აქედან ხუთ მილზე, დაახლოებით ერთი მილის მოშორებით მლოცველთა გზიდან რუდრაპრაიაგ — ბადრინატხის უბანზე მოკლულ იქნა ქალი.

სავსებით ცხადი იყო, რომ ციანიდმა ვერ იმოქმედა მხეცზე და როგორც ჩანდა, იგი თავს მშვენივრად გრძნობდა, ასე რომ დარიშხანთან შერეული სტრიქნინი მხოლოდ ჭამის მადას უხსნიდა. ეჭვი არ იყო, რომ ავაზას შეეჭამა ციანიდი, შესულიყო გამოქვაბულში და იქიდან გამოძრომისას ბალანი დაეტოვებია კლდის ნაპრალზე.

შხამმა არ გამოიღო სათანადო შედეგი, შეიძლება დიდი დოზის გამო, რამაც პირისღებინება გამოიწვია. ავაზას გაქრობა გამოქვაბულიდან აიხსნება შესაძლოა იმით, რომ მის სიღრმეში კიდევ ერთი ხვრელი არსებობდა. ასეა თუ ისე, რამდენიმე თვის შემდეგ უკვე ჩემთვისაც აღარ წარმოადგენდა საოცრებას, და მით უფრო გარვალის მოსახლეობისათვის, რომლებიც მოწმენი გახდნენ ამ ცხოველის ხანგრძლივი რვა წლის მანძილზე თარეშისა, რომ ხალხმა აღიარა ეს მხეცი ავ სულად და ზებუნებრივ ძალად. იმათ სწამდათ, რომ მხოლოდ ცეცხლს შეეძლო მათი გათავისუფლება ამ ბოროტი სულისაგან.

ბეწვზე გადარჩა

ყველასათვის საინტერესო მნიშვნელოვანი ახალი ამბები სწრაფად ვრცელდება. გასული ათი დღის განმავლობაში გარვალის ყოველმა მცხოვრებმა იცოდა კაციჭამიას მოწამვლისა და იმის შესახებ, რომ ის მაგრად არის ამოქოლილი გამოქვაბულში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ზოგიერთმა ადამიანმა წინდაუხედაობა გამოიჩინა და, როგორც ჩანს, ამასობაში ავა-

ზაც მომჯობინდა შხამის მიღების შემდეგ, ნახა გამოსავალი გამოქვაბულიდან, დასტაცა პირი პირველ შემხვედრ კაცს, რომელმაც სიფრთხილე დაივიწყა.

რადგან გამოქვაბულის დათვალიერების შემდეგ ადრე დავბრუნდი, ჩვენს განკარგულებაში კიდევ ერთი დღე იყო დარჩენილი. საუზმის შემდეგ შევჯექით იბოტსონის საიმედო ცხენებზე, თან წავიღეთ თოფები და გავემართეთ სოფლისაკენ, სადაც ქალი იყო მოკლული.

გავიარეთ მლოცველთა გზა, გადავუხვიეთ ბორცვის განივ დიაგონალურად მიმავალ გზაზე, გავიარეთ დაახლოებით ერთი მილი სოფლიდან მომავალ ბილიკამდე და იქ შევამჩნიეთ ბრძოლის კვალი და სისხლის დიდი გუბე.

მამასახლისი და მოკლულის ნათესავი სოფელში გვიცდიდნენ. იმათ გვიჩვენეს ის ადგილი, სადაც ავაზამ დასტაცა პირი ქალს, როდესაც სახლის გარეთა კარს ხურავდა... აქედან კაციჭამიამ ზურგით ათრია ის მიწაზე ასი მეტრის მანძილზე ბილიკამდე, ერთი წამით გაუშვა თავისი მსხვერპლი და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ მოჰკლა ის. სოფლის მცხოვრებლებს ესმოდათ ქალის გულშემზარავი კივილი, სანამ ავაზა მიათრევდა მას მიწაზე და იბრძოდა სიცოცხლის დასაცავად, მაგრამ ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა. როდესაც ქალი მოკვდა, ავაზამ ასწია ის და წაიღო ცარიელი, გაშლილი ადგილით ასი იარდის სიგანის ხევში და შემდეგ კიდევ ორას იარდზე აიტანა მაღლა მთაში. ნათრევი გვამის კვალი აქ არ აღმოჩნდა, მაგრამ მიწაზე დამჩნეულ სისხლის წვეთებზე ადვილი იყო მიყოლა. ამან მიგვიყვანა ოცი ფუტი სიგრძისა და ოთხი ფუტი სიგანის პატარა მინდორთან. მიწის ამ ვიწრო ზოლის ზედა ნაწილის პერპენდიკულარულად გადადიოდა რვა ფუტი სიგანის მიჯნა, რომელზეც ზღმარტლი ხარობდა. განაკაფის ქვემოთ, იქ, სადაც ხრამი იწყებოდა, ველური ვარდის გაბარდულ ბუჩქნარს დაეჩრდილა ზღმარტლი თავის ფოთლებით. ამ ზღვარსა და ვარდის ბუჩქნარს შორის იდო დამხობილი, ტანსაცმელშემოძარცული სამოცდაათი წლის ხანდაზმული ჭაღარა ქალი. შიშველ ტანს ბუჩქებიდან ჩამოცვენილი ბაცი ვარდისფერი ფოთლები უფარავდა.

ეს ულმობელი მკვლელობა ავაზას ბოლოს და ბოლოს თავისი სიცოცხლით უნდა ეზღო. ხანმოკლე სამხედრო თათბირის შემდეგ იბოტსონმა თან წაიყვანა ზედმეტი ცხენი და წავიდა რუდრაპრაიაგში საჭირო აღჭურვილობისათვის, მე კი ამასობაში ავიღე თოფი და გავემართე ავაზას საძებნელად იმ იმედით, რომ შეიძლება გამიმართლოს და შევამჩნიო ის სადმე დღის სინათლეზე-მეთქი.

პროვინციის ეს ნაწილი ჩემთვის ახალი იყო და პირველ რიგში უნდა გავცნობოდი მხარეს. ჯერ კიდევ სოფელში შევამჩნიე, რომ ხევიდან მთა მკვეთრად არის აღმართული ზევით ოთხიდან ხუთი ათასი ფუტის სიმაღლეზე და დაფარულია მუხნარითა და ფიჭვნარით, რომლის ქვემოთ გადაშლილია მაღალი ბალახით დაფარული ნახევარი მილის სიგანის ფერდობი, მის ქვემოთ კი იწყება ჯაგნარი.

ბალახსა და ჯაგნარს შორის მდებარე საზღვარზე გასვლის დროს შემოვუარე კლდის შვერილს და აღმოვჩნდი წარსულში მეწყერის შედეგად წარმოქმნილი ნახევარი მილის სიგრძის ფართო დაბლობზე. დაბლობის ამ მხარეს ადგილი ასიდან სამას იარდამდე (მლოცველთა გზის ახლოს) გაშლილი იყო. თვით დაბლობის ნიადაგი ტენიანი იყო და ზედ ბევრი დიდი ხე ხარობდა, ხეების ძირას კი გადაშლილი იყო გაბარდული ბუჩქები. დაბლობის ზედა ბოლოში ციცაბო კლდე ასი იარდის სიგრძის შვერილით გადმოწოლილიყო, კლდის სიმაღლე იქნებოდა ოცდან ორმოც ფუტამდე. კლდის გასწვრივ შუა გზაზე იყო რამდენიმე ფუტი სიფართის ღრმა ნაპრალი, რომელზეც ვიწრო ნაკადად მოედინებოდა პატარა რუ. კლდის თავსა და მის გარშემო მდებარეობდა გაბარდული ჯუნგლები, მის ზევით მოჩანდა ბალახით დაფარული გაშლილი ველები.

ადგილს ვათვალიერებდი დიდი სიფრთხილით, რადგან არ მინდოდა, რომ ავაზას — დარწმუნებული ვიყავი, ის დაბლობში იმალებოდა — შეემჩნია ჩემი აქ ყოფნა, მანამ, სანამ მე მჭირდებოდა. ახლა საჭირო იყო გამერკვია, სად მეძებნა ავაზას ბუნაგი; ამის გამოსარკვევად დავბრუნდი ისევ გვამთან.

სოფელში გვითხრეს, ქალის გატაცების შემდეგ მალე ინა-

თაო, მაშასადამე, ავაზას არც ისე ბევრი დრო რჩებოდა იმისათვის, რომ მოეკლა თავისი მსხვერპლი, გაეთრია ის ოთხასი იარდის მანძილზე და შეეჭამა ნადავლის ნაწილი. ამიტომ სრულიად დასაშვებია, რომ ნადირმა მხოლოდ კარგად გათენების შემდეგ დატოვა ის ადგილი, სადაც მოკლული დამალა.

მთა, რომელზეც გვამი ეგდო, მთლიანად მოჩანდა იმ სოფლიდან, სადაც ამ დროს უკვე გამოცოცხლებული მოძრაობა დაიწყო. ამიტომ ავაზას ნადავლის დატოვების შემდეგ შეძლებისდაგვარად დაფარული ადგილისათვის უნდა შეეფარებია თავი. აქედან გამომდინარე და იმიტომაც, რომ მაგარ ნიადაგზე შეიძლება არ დარჩენილიყო თათების რაიმე ნაკვალევი, გაეშურე იმ გზით, რომელიც მოსალოდნელი იყო თვითონ აირჩია ავაზამ წინა დღეს.

ნახევარი მილის შემდეგ სოფელი თვალს მიეფარა. დაბლობს რომ ვუახლოვდებოდი, კმაყოფილება ვიგრძენი, როცა დავინახე, რომ ფეხდაფეხ მივყვებოდი კაციჭამიას ნაკვალევს, — ერთი ბუჩქის ძირში, სადაც მიწა რბილი იყო, ვნახე ის ადგილიც, თუ სად იწვა ის რამდენიმე საათს. მისი თათების ნაკვალევი მიჩვენებდა, რომ მან დატოვა ეს ადგილი და შეევიდა დაბლობში ქვევით ორმოცდაათი იარდის მოშორებით კლდისაგან, რომელსაც გადმოწოლილი შვერილი ჰქონდა.

ნახევარ საათს ვიწექი აქ და ვათვალიერებდი ჩემს წინ მდებარე ხეებითა და ჯაგნარით დაფარულ პატარა სივრცეს იმ იმედით, რომ ავაზა გაინძრეოდა და თავის თავს გასცემდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩამოცვენილ ფოთლებში რაღაც მოძრაობამ, მალე გამოჩნდა ორი ბებლერი, კაუჭა ნისკარტებით. ისინი გულმოდგინედ ქექავდნენ ფოთლებს საკვების მოსაპოვებლად. იქ, სადაც საქმე ეხება ხორცისმჭამელ მტაცებლებს, ეს ფრინველები ჯუნგლებში ყველაზე საიმედო მაცნეები არიან და ვიმედოვნებდი, რომ მოგვიანებით შემეძლო ამ წყვილის გამოყენება ავაზას ადგილსამყოფელის გამოსარკვევად.

არავითარი მოძრაობა არ შემიმჩნევია და არც რაიმე ხმაური გამიგონია, რომელსაც შეეძლო ეჩვენებია, რომ მტაცებელი დაბლობშია; მაგრამ რომ ის იქ იყო, ამაში მტკიცედ ვიყა-

ვი დარწმუნებული და რადგან ვერ მოვახერხე მისი მოკვლა ნადირობის წინა მეთოდის გამოყენებით, გადავწყვიტე მეხმარა მეორე ხერხი.

ავაზას შეეძლო შეუმჩნეველად წამოსულიყო დაბლობიდან მხოლოდ ორი გზით: ან ქვევით გორაზე მლოცველთა გზისაკენ, ან მაღლა მთაში. მისი ქვევით ჩამოსვლა ჩემთვის ნაკლებ სასარგებლო იყო, ხოლო თუ შევძლებდი და ვაიძულებდი ზევით ასულიყო მთაში, ის ალბათ ავიდოდა ნაპრალზე, რომ დამალულიყო გადმოკიდულ კლდეზე ამოსულ ბუჩქებში და სანამ ამას გააკეთებდა, მე შევძლებდი მის მიზანში ამოღებას. რომ ჩავედი დაბლობში, ცოტა ქვევით იმ ადგილიდან, სადაც უნდა ყოფილიყო ავაზა, ძალიან ნელა ვიწყე „მაქოსებურად" ასვლა. და ყოველ მოხვეულში ნელ-ნელა მივიწევდი უფრო მაღლა. ახლა მხოლოდ საჭირო იყო თვალი არ მომეშორებია ნაპრალისათვის, რადგან რამდენიმე ფუტით მოშორებული ნაპრალიდან მიწაზე მყოფი ბებლერები მაცნობებდნენ, თუ სადმე შეირხეოდა ავაზა. წავიწიე წინ დაახლოებით ორმოც იარდზე და ნაპრალიდან უკვე ორასი იარდით ვიქნებოდი დაშორებული, რომ კლდის შვერილიდან ცოტა მარცხნივ უცბად ბებლერებმა განგაში ასტეხეს, აფრინდნენ პატარა მუხაზე და შეშფოთებული დახტოდნენ ტოტიდან ტოტზე, თან თავისი სუფთა და წკრიალა ხმით ჭახჭახებდნენ, რომელიც ნახევარი მილის მანძილზე შეიძლება გაიგონოთ მთებში. თოფი მაგრად მეჭირა ხელში, რომ საჭიროების დროს დაუყოვნებლივ გამესროლა, ასე ვიდექი რამდენიმე წუთს გაუნძრევლად, შემდეგ ისევ დავიწყე ნელ-ნელა წაწევა წინ.

ნიადაგი აქ ნოტიო და მოლიპული იყო. ნაპრალს თვალს არ ვაშორებდი და მხოლოდ ორი ნაბიჯი გადავდგი, რომ უცბად ნოტიო მიწაზე დამისხლტა ფეხი, რომელზეც რეზინისძირიანი ფეხსაცმელები მეცვა, და სანამ წონასწორობის აღდგენას ვცდილობდი, ავაზა ახტა ნაპრალს ზევით, დააფრთხო ბუჩქებზე შემსხდარი მუქზურგიანი ვერცხლისფერი ხოხბები. რომლებმაც გაშალეს ფრთები, თავზე გადამიფრინეს და დაეშვნენ ქვევით.

ჩემი მეორე ცდა წარუმატებლად დამთავრდა, მიუხედავად

იმისა, რომ ჩემთვის არ იყო ძნელი დამებრუნებია ავაზა იქ, საიდანაც გამოვიდა, ეს მოქმედება არ მიმაჩნდა სასარგებლოდ: ზემოდან ნაპრალი არ ჩანს, ვიდრე მას არ მიადგები, ხოლო სანამ ნაპრალში შეხვიდოდე, ავაზას შეუძლია წავიდეს შორს დაბლობით.

მე და იბოტსონმა დავთქვით, შევხვედროდით ერთმანეთს ხეობაში ღია ცისქვეშ დღის ორ საათზე. ცოტა ადრე ის დაბრუნდა რუდრაპრაიაგიდან რამდენიმე კაცის თანხლებით, რომელთაც მოიტანეს აღჭურვილობა. ეს იყო სასმელ-საჭმელი და ჩვენი მეგობარი ლამპა „პეტრომაქსი", — ამჯერად, თუ აუცილებელი იქნება, გადავწყვიტე თვითონ ვატარო ის, ორი სათადარიგო სანადირო თოფი, ჩემი ანკესი, სათევზაო მოწყობილობა და გარდა ამისა, ციანიდის საკმაო მარაგი და ხაფანგი.

ხეობაში დავსხედით ჩქარსა და ანკარა ნაკადულთან, შევექეცით მეორე საუზმეს, დავლიეთ თითო ჭიქა ჩაი და წავედით მოკლულის გვამთან.

მე მოგაგონებთ გვამის მდებარეობას, რომ თვალი ადევნოთ ჩვენს მოქმედებას და ამბის შემდგომ განვითარებას.

მოკლულის გვამი იყო დაახლოებით ხუთი ფუტის მანძილზე ოთხი ფუტი სიგანისა და ოცი ფუტი სიგრძის მახლობელი ხევის კორდის ნაპირიდან. მიწის ვიწრო ზოლის ზედა ნაწილი დაცული იყო მაღალი მიჯნით, ხოლო ქვედა ნაწილი დაღმართითა და გაბარდული ვარდის ბუჩქნარით. ჯუჯა ზღმარტლი მიჯნაზე იმდენად პატარა იყო, რომ მასზე საბუნდარის მოწყობა არ შეიძლებოდა, ამიტომ გადავწყვიტე მხოლოდ სასხლეტი ხაფანგის, საწამლავისა და ავტომატური მახის იმედი გვქონოდა. ეს გადაწყვეტილება რომ გამოვიტანეთ, შევუდექით სამზადისს.

უწინარეს ყოვლისა, ჩავდევით საწამლავი მოკლულის გვამში, იმ იმედით, რომ ამჯერად კაციჭამია გადაყლაპავდა საკმაო ოდენობის საწამლავს, რომელიც ჯეროვან ეფექტს გამოიღებდა. დროის უქონლობის გამო ავაზამ გვამის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი შეჭამა. შემდეგ დავიხარე გვამზე და მივიღე ის პოზა, რომელიც, ჩემი ვარაუდით, ავაზას უნდა მიეღო, როცა თავის მსხვერპლთან მოვიდოდა. იბოტსონმა საიმედოდ

მიაბა თავისი 256-კალიბრის მგრძნობიარე ჩახმახიანი მანლიჰერი და ჩემი 450-კალიბრის სწრაფმსროლელი თოფი ჩვენი მხრიდან მისასვლელ გზაზე მდგარ ორ ხეს, რომლებიც თხუთმეტ იარდზე იყო გვამიდან.

არავითარი გადაულახავი წინააღმდეგობა სხვა მხრიდან ავაზასათვის არ იყო, მაგრამ მისი ერთადერთი გზა ნაპრალის ზეგანზე იმ ადგილებიდან, სადაც მე ის დავტოვე, უნდა ყოფილიყო სიგრძით დაახლოებით თხუთმეტი ფუტი, ამიტომ ჩვენ წავედით, დავმალეთ ძლიერი სასხლეტი ხაფანგი და ადგილი წინასწარ გავწმინდეთ ხმელი ფოთლების, ფიჩხისა და ბალახისაგან.

ამოვთხარეთ საკმაო მოცულობის ორმო, ამოღებული მიწა გვერდზე გადავყარეთ, ჩავდგით ორმოში სასხლეტი ხაფანგი და როცა მძლავრი ზამბარები დავჭიმეთ, და სასხლეტი ხელსაწყოს ფირფიტა ფრთხილად მოვარგეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, შევნიღბეთ ხაფანგი მწვანე ფოთლებით. მივაყარეთ მიწა, ისევ დავაყარეთ ხმელი ფოთოლი, ფიჩხი და ბალახი, — ყველაფერი იმგვარად გავაკეთეთ, როგორც ეს ჩვენამდე იყო. ისე გულმოდგინედ და ფრთხილად დავმალეთ ხაფანგი მიწაში, რომ ჩვენვე ძლივს ვსაზღვრავდით მის ადგილმდებარეობას.

ახლა ამოვიღეთ სათევზაო კოჭი ანკესით და მომზადებული აბრეშუმის მკედის ნაჭერი მივაბით ერთ-ერთი თოფის ჩახმახზე, მარყუჟად დავამაგრეთ კონდახის გარშემო და გვამიდან ათი ფუტის მანძილზე გაჭიმული მკედის ბოლო ახლა მეორე თოფის კონდახზე გამოვაბით და იმავე თოფის ჩახმახზე დავამაგრეთ. ჩემდა სამწუხაროდ, შემდეგ ძაფი გადაეჭერით — იგი ახალი და ძალიან კარგი იყო და შემდეგ მკედის ეს ნაჭერი შემოვახვიეთ მოკლულს წელზე და მისი წვერი მარყუჟში გავატარეთ, ჩახმახისაკენ გაჭიმული მკედის ბოლოები მაგრად მოვქაჩეთ და გამოვნასკვეთ. მორჩენილი ძაფის ბოლო ისევ გადაეჭერით.

როცა თვალი გადავავლეთ ჩვენს ნამუშევარს, რაც ძალიან დამაკმაყოფილებლად მოგვეჩვენა — ერთბაშად აზრად მოგვივიდა თავში, რომ თუ ავაზა გვამს შემოუვლიდა გარშე-

მო და მიუახლოვდებოდა მას ჩვენი მხრიდან, მაშინ იგი გადაურჩებოდა ორ თოფსა და დაგებულ მახეს. გადავწყვიტეთ ხელი შეგვეშალა მისთვის. გავგზავნეთ კაცი სოფელში ძალაყინისათვის, ჩვენ კი ამასობაში ამოვძირკვეთ ხუთი ეკლიანი ბუჩქი, რომლებიც მოშორებით ხარობდა. ჩვენს მხარეს შედარებით სწორ ადგილზე ძალაყინით გავაკეთეთ ხუთი თითო ფუტი სიღრმის ნახვრეტი, ამ ნახვრეტებში ჩავრგეთ ბუჩქები და მოვტკეპნეთ მიწა მის გარშემო; ვცდილობდით ეს ისე საიმედოდ და სავსებით ბუნებრივად გაგვეკეთებინა, რომ ერთი შეხედვით გეფიქრათ, თითქოს ისინი აქ ხარობენო.

ჩვენ ახლა სავსებით კმაყოფილი დავრჩით. არც ერთ ვირთხაზე უფრო მოზრდილ ცხოველს არ შეეძლო მიახლოებოდა გვამს და მოეჭამა ხორცის სულ მცირე ნაწილიც კი ისე, რომ არ წაწყდომოდა სიკვდილს ამა თუ იმ სახით. ამიტომ გავხსენით ჩვენი თოფების საცავები და დავბრუნდით სოფელში.

სოფლიდან ორმოცდაათი იარდის მოშორებით და იმ ადგილთან ახლოს, სადაც ჩვენ სოფელში მისვლისას სისხლის გუბე ვნახეთ, ხარობდა ფართოდ ტოტებგადაშლილი მანგოს ხე, რომელზეც სოფლიდან მოტანილი ფიცრებით მოვაწყეთ სახუნდარი, ზედ დავყარეთ სურნელოვანი ბრინჯის ჩალა, და გადავწყვიტეთ გაგვეტარებია ამ ხეზე მთელი ღამე იმ განზრახვით, რომ ბოლო მოგვეღო ავაზასათვის, თუ ის მოხვდებოდა სასხლეტ ხაფანგში.

საღამოვდებოდა, როცა ავედით სახუნდარაზე, ის საკმაოდ გრძელი იყო, მთელ სიგრძეზე შეიძლებოდა ფეხის თავისუფლად გაშლა და თანაც იმდენად ფართე, რომ ორივეს შეგვეძლო გვერდიგვერდ წოლა. სახუნდარიდან მოკლულის გვამამდე მანძილი ხევში იყო ორასი იარდი; ის ჩვენ სახუნდარზე ასი ფუტით მაღლა იყო.

იბოტსონს ეშინოდა, რომ მისი სამიზნე, ტელესკოპური მოწყობილობით არც მთლად ზუსტი იქნებოდა. სანამ ის ბუდიდან დიდ საველე დურბინდს ამოიღებდა, მე გავტენე ჩემი 275-კალიბრის თოფი, იბოტსონს უნდა მოეკრიბა მთელი ყურადღება და ედევნებია თვალი მთის იმ ნაწილისათვის, საიდანაც, ჩვენი ვარაუდით, ავაზა უნდა გამოჩენილიყო, მე საერ-

თოდ ვადევნებდი თვალს მთას. თუ ჩვენ დავინახავდით ავაზას, მე პირველი ვესროდი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიზანი ჩემი თოფიდან ზღვრული მანძილით იქნებოდა დაშორებული, ეს ეგი იგი არა უმეტეს სამასი იარდისა.

სანამ იბოტსონი თვლემდა, მე პაპიროსს ვეწეოდი და თვალს ვადევნებდი დასავლეთისაკენ კლდეებიდან დაშვებულ ჩრდილებს, რომლებიც პირდაპირ ჩვენს წინაშე აღმართულიყვნენ და ნელა მიიწევდნენ მაღლა. ჩამავალი მზის უკანასკნელმა სხივებმა წითლად შეფერა მთის თხემი, იბოტსონმა გაიღვიძა და აიღო დურბინდი, მე კი თოფი — დადგა დრო, როცა უნდა დავლოდებოდით უკვე ავაზას გამოჩენას. 45 წუთს კიდევ სინათლე იყო და დაძაბული ვათვალიერებდი ჩვენი სახუნდარიდან მთის ზედაპირის თითოეულ ფუტს, — მე ჩემი ორი თვალით (ბევრი არ იქნება ბუნებისაგან ასეთი თვალით დაჯილდოებული), იბოტსონი კი თავისი დურბინდით, მაგრამ არავითარი მოძრაობა ფრინველისა ან ცხოველისა, რომელიც ავაზას გამოჩენას გვამცნობდა, ჩვენ არ შეგვიმჩნევია.

როცა უკვე ისე ჩამობნელდა, რომ თოფის გასროლა შეუძლებელი იყო, მე ჩამოვუშვი თოფი და ცოტა მოგვიანებით იბოტსონმა დურბინდიც ჩადო ბუდეში. ავაზას მოკვლის ერთ-ერთი შანსი დაიკარგა, მაგრამ რჩებოდა კიდევ სამი — ამიტომ წინასწარ ყურები არ ჩამოგვიყრია.

დაბინდებისთანავე დაიწყო წვიმა. მე გადავუჩურჩულე იბოტსონს, რომ მეშინია ამ წვიმის, ის დაღუპავს მთელ ჩვენს წამოწყებას-მეთქი, რადგან თუ სასხლეტი ხაფანგის ზუსტად შორგებულ ზამბარის საკეტში მოგროვილი წყლის სიმძიმე არ მოიყვანს მას მოძრაობაში, მაშინ, სულ ერთია, როცა ანკესის თოკი გაიჟღინთება, რა რიგ მცირედაც არ უნდა დამოკლდეს ის, უეჭველად გამოიწვევს მგრძნობიარე სასხლეტი თოფის გასროლას. ცოტა მოგვიანებით, როცა წვიმა ჯერ კიდევ ასხამდა, იბოტსონმა მკითხა, რომელი საათია, რადგან მე მქონდა მაშუქციფერბლატიანი საათი. ის იყო ვუპასუხე იბოტსონს, რვის თხუთმეტი წუთია-თქო, რომ ჩვენამდე მოაღწია განრისხებული მხეცის გაბმულმა ღრიალმა იქიდან, სადაც გვამი იყო, — როგორც იქნა, მოხვდა ხაფანგში ყველაზე ცნობილი რუდრაპრაიაგის კაციჭამია ავაზა!

იბოტსონი პირდაპირ გადმოფრინდა სახუნდარიდან, მე კი ჩამოვვარდი ტოტებზე შემობრუნების დროს და რომ არ დავიმტვერით, ბედს უნდა ვუმადლოდეთ. მოვძებნეთ მახლობლად ბატატის ყანაში გადამალული ლამპა „პეტრომაქსი“ და სანამ იბოტსონი ცდილობდა მის ანთებას, მე გამოვთქვი ზოგიერთი ჩემი მოსაზრება, შიში და ეჭვი, რის გამოც იბოტსონისაგან გაკიცხვა დავიმსახურე.

„თქვენ საძაგელი პესიმისტი ხართ. ჯერ გეგონათ, რამდენიმე წვეთი წყალი იმოქმედებდა ხაფანგის ზამბარაზე და მისი კარი მიიხურებოდა, შემდეგ შიშობდით, რომ დასველებული თოკის დამოკლება გამოიწვევდა ჩემი თოფის გასროლას, ახლა კი გგონიათ, რახან ავაზა მიჩუმდა, მაშასადამე, განთავისუფლდა ხაფანგისაგან“.

სწორედ ეს იყო ის, რაზედაც მე ახლა ვფიქრობდი და რისიც მეშინოდა. სხვა დროს, როცა ავაზა ჩავარდნილა ხაფანგში, ის დიდხანს ღრიალებდა და ღმუოდა, ამჯერად კი, ერთადერთი გაცოფებული ღრიალის შემდეგ, რომელმაც გვაიძულა ყირამალა ჩამოვცვენილიყავით სახუნდარიდან, — ჩამოვარდა ავის მომასწავებელი დუმილი.

, იბოტსონი ოსტატურად ერკვეოდა ყველა სისტემის ლამპებში და ამიტომ „პეტრომაქსი“ მალე აანთო. თუმცა იბოტსონიც შეყოყმანდა ახლა სიჩუმის გამო, მაგრამ უკუვაგდეთ ყოველგვარი ეჭვი და გავეშურეთ ისეთი ქვიანი გზით, რომ ძლივს მივაბიჯებდით და თანაც შორიდან ვუყურებდით, რომ არ წამოვდებოდით თოკს და თავს არ წავწყდომოდით გაცოფებულ ავაზას. სწორედ ამიტომ გვამს ვუახლოვდებოდით ზემო მხრიდან. როცა მივედით მაღალ ზღვრამდე და გადავიხედეთ ქვევით, დავინახეთ, ორმოში სასხლეტი ხაფანგი აღარ იყო. ის იყო ჩვენს იმედებს ფრთები შეესხა, რომ „პეტრომაქსის“ კაშკაშა სინათლეზე ვიპოვეთ დასხლეტილი ცარიელი ხაფანგი ათი იარდით ქვევით გორაზე. გვამი ახლა აღარ იდო თავით სამანისაკენ და საკმარისი იყო ერთი თვალის გადავლება, რომ შეგემჩნიათ გვამზე მოჭმული მნიშვნელოვანი ნაწილი.

ისე მწარედ გაგვიცრუვდა იმედი, რომ ლაპარაკის თავი აღარ გვქონდა უკან დაბრუნებისა და სახუნდარზე ასვლის

დროს. ღამე ფხიზლობა აღარ იყო აუცილებელი, ამიტომ მეტი ჩალა შემოვიფუთნეთ — ლოგინი არ გვქონდა, ღამე კი ცივი იყო — და დავწექით დასაძინებლად.

როგორც კი ინათა, გავაჩაღეთ კოცონი მანგოს ხის ქვეშ, ავადუღეთ წყალი და დაველიეთ რამდენიმე ჭიქა ჩაი და გავთბით კოცონთან. პატვარის, ჩემი და იბოტსონის ხალხისა და სოფლის მცხოვრებლების თანხლებით გავეშურეთ გვამისაკენ.

მე მოვიხსენიე, რომ ჩვენ ორნი ვიყავით, რომ თან წავიყვანეთ პატვარი და ყანიდან დაბრუნებული ხალხი. მე რომ მარტო ვყოფილიყავი, არ მგონია, რომ მომეთხრო ეს ამბავი.

ეშმაკი ან მტაცებელიც რომ ყოფილიყო დედაბრის მკვლელი, რომელიც უთვალთვალებდა ამ საღამოს ყველა ჩვენს მზადებას, მაინც ძნელი გასაგებია, როგორ გადაურჩა ის სიკვდილს ასეთ ბნელსა და წვიმიან ღამეში. მართალია, წვიმა არ იყო შხაპუნა, მაგრამ მაინც საკმარისი იყო იმისათვის, რომ დაელბო მიწა და ჩვენ შეგვეძლო მივყოლოდით ყველა მის მოძრაობას და აღგვედგინა ის, რაც ღამის განმავლობაში მოხდა.

ავაზა მოვიდა იმ მხრიდან, საიდანაც მოველოდით, მოხვდა მიწის ვიწრო ზოლში, შემოუარა მას და შემდეგ მიუახლოვდა თავის ნადავლს იმ მხრიდან, რომელიც ჩვენ მიერ ხელოვნურად დარგული ეკლიანი ბუჩქებით იყო გადაღობილი. სამი ბუჩქი მან გასწი-გამოსწია, გააკეთა საკმაო ხვრელი, რომ გამძვრალიყო, შემდეგ დასტაცა პირი გვამს, გაათრია ერთი-ორი ფუტის მანძილზე თოფების მიმართულებით და ამგვარად მოადუნა დაჭიმული თოკი. ამის შემდეგ ის შეუდგა ჭამას და იმავე დროს ცდილობდა არ შეხებოდა გვამის გარშემო შემოხვეულ თოკს. ჩვენ ვერ მოვიფიქრეთ მოგვეწამლა მოკლულის თავი და კისერი, რომლებიც მხეცმა პირველად შეჭამა, შემდეგ ძალიან ფრთხილად შეეჭამა ტანის ყველა ის ნაწილი, რომლებიც საწამლავჩადებულ ადგილებს შორის იყო.

ავაზა რომ გამოძღა, მიატოვა გვამი, რათა წვიმისაგან თავშესაფარი ეპოვა, და სანამ ის ამას ეძებდა, მოხდა სწორედ ის, რაზედაც ეშიშობდი; წვიმის წყლის სიმძიმემ იმოქმედა მშვე-

ნივრად მომუშავე ხაფანგის მექანიზმზე, დასუსტდა სასხლეტის ჩამკეტი ფირფიტა და მიუხედავად იმისა, დაადგამდა თუ არა ავაზა ფეხს ხაფანგს, ზამბარა გათავისუფლდებოდა. მუხლის თავთან ორივე მხრიდან შეკუმშულმა ხაფანგის ყბებმა შიგ მოიყოლა მხეცის უკანა ფეხის საბსარი. და აქ მოხდა ის, რასაც შეიძლება ეწოდოს უდიდესი ტრაგედია; რუდრაპრაიაგიდან ხალხს მოჰქონდა ხაფანგი, ხელიდან გაუვარდათ ის და ერთი სამდუიმიანი კბილი მოტყდა. ავაზას უკანა ფეხის მუხლის თავი მოხვდა ხაფანგის ყბების სწორედ იმ ადგილას, სადაც კბილი იყო ამოვარდნილი, მოკლედ რომ ვთქვათ, კარგად მორგებული ყბების კბილების რიგში გაჩნდა ნაკლი. ხაფანგს რომ ეს ნაკლი არ ჰქონოდა, ავაზა დაჭერილი იქნებოდა და ვერ შეძლებდა თავის განთავისუფლებას. ამ შემთხვევაში მისი ფეხი საკმაოდ მაგრად იქნებოდა ჩაჭერილი, ასე რომ ის ვერ შეძლებდა მთელი ოთხმოცგირვანქიანი ხაფანგის ამოთრევას ორმოდან, რომელშიც იგი ჩაფლული იყო ჩვენ მიერ და ქვევიდან მთაზე მისი ათი იარდის მანძილზე ათრევას. ახლა კი ავაზას ნაცვლად ხაფანგის ყბებს შერჩენოდა მისი ერთი ბღუჯა ბალანი და ტყავის პატარა ნაგლეჯი, რომელიც გვიან, ძალზე გვიან დიდი სიამოვნებით მივადევით თავის ადგილზე.

როგორ არაჩვეულებრივადაც არ უნდა მოგჩვენებოდათ ავაზას მოქმედება, იგი მაინც სწორედ იმას წარმოადგენდა, რასაც უნდა ელოდე იმ მხეცისაგან, რომელიც რვა წელია ადამიანის ხორცით იკვებება, გაურბის ღია ადგილიდან გვამთან მიახლოებას, ეპარება მას სხვადასხვა საგნებს ამოფარებული, სწევს აქეთ-იქით სისხლიან კვალზე ხელისშემშლელ ბუჩქებს, თავისათვის მოსახერხებელ მდგომარეობაში საჭმელად ახლოს ითრევს მოწამლულ გვამს, რასაც ავაზასთვის ნაცნობი მძაფრი სუნი უდის და ყველა ეს მოქმედება, მთელი მისი საქციელი სავსებით ნორმალური და ბუნებრივია.

ხაფანგის ზამბარის დასხლეტის შესახებ ჩემს მიერ მიცემული ახსნა იყო სწორი, მოხდა მხოლოდ დამთხვევა — ავაზა აღმოჩნდა ხაფანგზე სწორედ იმ მომენტში, როცა დამატებით წყლის სიმძიმემ მოიყვანა მისი მექანიზმი მოძრაობაში.

ჩასაკეტი ხაფანგის დაშლისა და ნათესავების მიერ მოხუ-

ცის გვამის დარჩენილი ნაწილების კრემაციისათვის წაღების შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ რუდრაპრაიაგში; ხალხი თან მოგვყვებოდა. ღამე ავაზა მისულიყო მანგოს ხესთან, ჩვენ დავინახეთ მისი თათების ნაკვალევი იქ, სადაც სისხლის გუბე იდგა (ახლა წვიმას უკვე ჩაერეცხა) და დავყევით მის ნაკვალევს ქვევით მლოცველთა გზაზე ასე ოთხი მილის მანძილზე ინსპექციის ბუნგალომდე, სადაც მას მიწა გაეთხარა კლანჭებით და ჭიშკრის ერთ-ერთი ბოძი დაეფხაჭნა. შემდეგ ავაზა დაბრუნდა და დაეშვა ერთ მილზე ქვევით გზაზე იმ მიმართულებით, სადაც ბანაკი იყო ჩემი ძველი მეგობრის — მენახირისა, რომელსაც ავაზამ მოუკლა ერთ-ერთი თხა.

ის, ვისაც კი სპორტული სანადირო თოფით უვლია ქვეყნის რომელიმე მხარეში, ვერ იტყვის, რომ ასეთ წარუმატებლობასა და იმედების გაცრუებას ხალისი დაეკარგოს მისთვის, პირიქით, ამან უფრო მტკიცე გადაწყვეტილებაზე დამაყენა — გამეგრძელებია დევნა მანამ, სანამ არ მოვესწრებოდი იმ დიდებულ დღეს, როცა მომეცემოდა შემთხვევა და ყოველგვარი შხამისა და ხაფანგის გარეშე ვისარგებლებდი ჩემი თოფით ისე, როგორც მას შეშვენის,—ზუსტად და უტყუარად ჩავაჭდობდი ტყვიას კაციჭამიას სხეულში.

სიფრთხილის გაკვეთილი

არასოდეს არ ვეთანხმებოდი იმ მონადირე სპორტსმენებს, რომლებიც ყველა თავიანთ წარუმატებლობას მსხვილ მტაცებლებზე ნადირობისას მიაწერენ იმას, რომ ისინი ნამდვილი იონებია *.

მხეცის მოლოდინში ჩასაფრებული სპორტსმენის ფიქრები, პესიმისტურია ის თუ ოპტიმისტური, ვერ მოახდენს ზეგავლენას ნადირის ქცევაზე, რომლის მოკვლა ან სურათის გადაღება სურს მონადირეს.

გვავიწყდება, რომ გარეული ნადირის სმენისა და ხედვის უნარი მნიშვნელოვნად სჭარბობს ცივილიზებული ადამიანის

* იონა — (აქ) ის კაცია, რომელსაც თან სდევს წარუმატებლობა.

უნარს და როცა ჩვენ არც გვესმის და ვერც ვხედავთ მტაცებელს, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია ჩვენი დანახვაც და გაგონებაც. ცხოველების გუმანისა და გონებრივი თვისებების არასწორი შეფასება, დროის განსაზღვრულ მანძილზე ჩვენი უმოძრაოდ, ჩუმად და უუნაროდ ჯდომა წარმოადგენს ყველა ჩვენი წარუმატებლობის მიზეზს სახუნდარში ყოფნის დროს.

თუ რომელიმე ხორცისმჭამელ ნადირთან გინდა შეხვედრა და შეჯახება, მათი სმენის სიმახვილისა და სიფრთხილის დაცვის აუცილებლობის სანიმუშოდ მოვიყვან მაგალითს ჩემი ნადირობის ერთი უკანასკნელი შემთხვევიდან.

მარტის ერთ დღეს, როცა ხშირ, დაბალ ტყეში ხმელი ფოთლების ხალიჩა თითოეული ახლად ჩამოვარდნილი ფოთლის დაცემისა და მიწაზე მობინადრე ყველაზე პატარა ფრინველის მოძრაობის გაგონების საშუალებას გვაძლევდა, ზუსტად დავადგინე ვეფხვის ადგილსამყოფელი, რომლის ფოტოსურათის გადაღება მსურდა დიდი ხანია. ეს მე გავაკეთე ისე, რომ ლანგურების ჯოგი ვაიძულე ემოძრავათ იმ მიმართულებით, სადაც ჩემი ვარაუდით, მხეცის ბუნაგი უნდა ყოფილიყო. ვეფხვის სამყოფელიდან სამოცდაათ იარდზე იყო 50 იარდი სიგრძისა და ოცდაათი იარდი სიგანის მინდორი. ვეფხვის მოპირდაპირე მხარეზე მინდვრის განაპირას იდგა ხვიარა მცენარეებით დაფარული დიდი ხე, რომელიც მიწიდან ოცი ფუტის სიმაღლეზე ორად იყოფოდა. ვიცოდი, რომ ვეფხვი გაივლიდა მინდორს დღის მეორე ნახევარში, რადგან ის იმყოფებოდა პირდაპირ ხაზზე ხესა და მის მიერ მოკლულ სამბარს შორის, რომელიც ამ დღეს ვნახე დილა ადრიან. ლეშის ახლო ვეფხვს აჰქონდა დღისით დასაწოლი თავშესაფარი, ამიტომ ის წავიდა ხშირ დაბალ ტყეში, სადაც ლანგურებმა აღმოაჩინეს მისი ბუნაგი.

როცა ნადირობ ან სურათებს უღებ ვეფხვებსა და ავაზებს მოძრაობის დროს, საჭიროა ზუსტად იცოდეთ თქვენთვის საინტერესო ნადირის მდგომარეობა: იქნება ის დაჭრილი ცხოველი, რომლის ტანჯვას გსურთ ბოლო მოუღოთ, თუ მტაცებელი, რომელიც გსურთ გაანადგუროთ. ამისათვის ყველა-

ზე კარგია ისარგებლოთ ფრინველებისა და სხვა ცხოველების დახმარებით. საჭიროა იმ ცხოველების ან ფრინველების ქცევის ცოდნა, რომლებიც გსურთ გამოიყენოთ. მეტი მოთმინების გამოჩენა გაუადვილებს მონადირეს აიძულოს მისთვის გამოსადეგი ფრინველი და ცხოველი წარმართოს საჭირო მიმართულებით. ამ საქმისათვის ყველაზე შესაფერისი ფრინველია ჯუნგლების წითელი ფრინველი, ფარშევანგი და თეთრთავა ბებლერი; ცხოველებიდან — კარკერი და ლანგური.

ვეფხვი, რომელზეც მოგითხრობთ, არ იყო დაჭრილი; ჩემთვის ადვილი იყო ტყეში შესვლა და მისი აღმოჩენა, მაგრამ ასეთი მოქმედებით, ცხადია, შევაშფოთებდი ნადირს. თუმცა შემეძლო მესარგებლა ლანგურების ჯგუფით, რადგან ვიცოდი, როგორ მოიქცეოდნენ ისინი, როცა ვეფხვს დაინახავდნენ—თუ იგი იქ აღმოჩნდებოდა, — და ამგვარად მიმეღო საჭირო ცნობა ისე, რომ არ დამეფრთხო მტაცებელი.

ძალიან ფრთხილად მივიპარე ხესთან ისე, რომ არ გავკარებივარ მასზე გარშემოხვეულ ხვიარა მცენარეს, მის ფოთლებსა და მაღლა აშვერილ კენწეროს. ავცოცდი ამ ხეზე შეუმჩნეველად და მოვეწყვე განშტოებაში ისე კომფორტაბელურად, რომ ვეფხვს არც შეუმჩნევივარ იმ ადგილიდან, სადაც ის იწვა. ამოვიღე თექვსმეტმილიმეტრიანი კინოაპარატი და ხშირი ფოთლები ხვრელისმაგვარად აქეთ-იქით გადავწიე, რომ გადაღება მეწარმოებია, და როცა ეს სამზადისი ხმის ამოუღებლად დავამთავრე, ისევ ჩემ ადგილას დავჯექი. ვხედავდი მხოლოდ მინდორს და ზედ ატეხილ ჯუნგლებს.

საათზე მეტს ვიჯექი ხეზე, რომ ჯუნგლებიდან გამოფრინდა ბრინჯაოსფერფრთებიანი წყვილი მტრედი, ერთი წუთის შემდეგ კი ჩემს ახლო დაფრინდა მთის ჭინჭრაქა. მან ყეყლუცად იფრთხიალა ფოთლებგაცვენილ ტოტებშორის, შემდეგ აფრინდა ხის კენწეროზე და ბოლოს გაუჩინარდა. არც ერთი ეს ფრინველი არ იძლევა შეშფოთების გამომხატველ სიგნალებს, მაგრამ იმათი ქცევის მიხედვით ვიცოდი, რომ ვეფხვმა დაიწყო მოძრაობა და ისინი მის მიერ იყვნენ შეშინებული. რამდენიმე წუთის შემდეგ ნელა მოვავლე თვალი მინდორს მარცხნიდან მარჯვნივ, გულდასმით ვაკვირდებოდი მი-

წის თითოეულ ფუტს, რომ უცბად თვალში მომხვდა უშუალოდ ჩემს წინ, დაახლოებით მინდვრის ნაპირიდან ორასი ფუტის მანძილზე მდებარე პატარა, ზომით შესაძლებელია, ერთი ან ორი კვადრატული დუიმისოდენა თეთრი საგანი. რამდენიმე ხანს თვალს არ ვაშორებდი ამ უძრავ საგანს, შემდეგ განვაგრძე დაკვირვება მინდვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ბუჩქებზე და ამის შემდეგ მზერა ისევ თეთრ საგანზე გადავიტანე. სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა თეთრი ხალი ვეფხვის დრუნჩზე, თუმცა მე რეზინისძირიან ფეხსაცმელებს ვატარებდი და როგორც ვიცი, საკმაოდ უხმოდ ვმოძრაობდი, მაგრამ ვეფხვმა მაინც გაიგონა, ხეს რომ ვუახლოვდებოდი და მასზე ავდიოდი. როცა თავის ნადავლთან წასვლის დრო დადგა, მან ქურდულად გაიარა ხმელ ფოთლებზე სამოცდაათი იარდი იმ ადგილამდე, რომელიც არაჩვეულებრივი სიზუსტით მიიჩნია საეჭვო იმედის წყაროდ. ნახევარ საათს უძრავად იწვა, შემდეგ ადგა, გაიჭიმა, გაიზმორა და დარწმუნებული, რომ მისთვის საშიში არაფერია, გამოვიდა მინდორზე. იქ ის შედგა, მიაბრუნა თავი ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, მერმე გადაკვეთა მინდორი და თავის მსხვერპლისკენ მიმავალმა, ზედ ჩემი ხის ქვეშ გაიარა.

როცა ჯუნგლებში ხეტიალის დროს წავაწყდები ხოლმე შტაცებელ მხეცებზე სანადიროდ მოწყობილ სახუნდრებს და იქვე ვამჩნევ ბაქნის გასაკეთებლად მოჭრილ ახალგაზრდა ხეებს, მიწაზე უწესრიგოდ დაჭრილ ხის ტოტებსა და სხვადასხვა საშენ ხარახურას, თვალწინ წარმომიდგება ხოლმე მთელი ის ხმაური, რომელიც თან სდევდა ამ საქმიანობას, და სრულიადაც აღარ მიკვირს იმ ადამიანთა სჯა-ბაასი, რომლებიც ასჯერ მაინც მსხდარან საფარში ვეფხვებისა და ავაზების მოლოდინში და ერთხელაც არ მოუკრავთ თვალი მათთვის და ამას მხოლოდ იმას მიაწერენ, რომ ისინი „იონები" არიან.

ჩვენი წარუმატებლობა აქამდე გამოწვეული იყო არა იმით, რომ ჩვენ ვაკეთებდით იმას, რაც არ უნდა გვეკეთებია ან გამოგვრჩა იმის გაკეთება, რაც აუცილებელი იყო. ჩვენი წარუმატებლობა შეიძლება მიეწეროს მხოლოდ იმას, რომ

ბედმა არ გაგვიმართლა. არ გაგვიმართლა იმიტომ, რომ იბოტ-სონს ორივე ფეხი დაუბუქდა: იმიტომ, რომ ავაზა გაძღა ციანიდით და ბოლოს ტვირთმზიდავებს ხელიდან გაუვარდათ ხაფანგი, რომელსაც მოტყდა კბილი, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ამიტომ, როცა იბოტსონი დაბრუნდა პაურში, იმის შემდეგ, რაც ვერ მოვახერხეთ ავაზას მოკვლა თავის უკანასკნელ მსხვერპლთან, მე მაინც იმედს არ ვკარგავდი და ისეთივე განწყობილება მქონდა, როგორც რუდრაპრაიაგში ამოსვლის პირველ დღეს. თუმცა, ისიც უნდა დავსძინო, ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო მეტი შანსები მქონდა, რადგან ვიცოდი ავაზას დამახასიათებელი თვისებები, მისი ადგილსამყოფელი და მოქმედების არე.

ერთი გარემოება ძალზე მაწუხებდა და თავს უხერხულად ვგრძნობდი. კაციჭამია უპირატესად მოქმედებდა მდინარის მხოლოდ ერთ მხარეზე მდებარე რაიონში. როგორადაც არ უნდა შემეფასებია მდგომარეობის ეს სპეციფიკური მხარე, მაინც უმართებულოდ მიმაჩნდა ის, რომ ალაკნანდის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებთ უფრო მეტად უნდა განეცადათ ავაზას თავდასხმის საშიშროება, მაშინ, როცა მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებნი დაზღვეული იყვნენ ამგვარი საფრთხისაგან. ჩვენ მისვლამდე ორი დღით ადრე მოკლული ბიჭუნას ჩათვლით, სამი კაცი გამოესალმა სიცოცხლეს მარცხენა ნაპირზე. შესაძლოა, სხვებსაც იგივე ბედი სწეოდათ. მაინც ორივე ხიდის გახსნა და ავაზასათვის მარჯვენა ნაპირზე გადასვლის საშუალების მიცემა უაღრესად ართულებდა ისედაც მნიშვნელოვან სიძნელეებს. გარდა ამისა, ის მაინც არ მოუტანდა სიკეთეს მთელ გარვალს, რადგან მარჯვენა ნაპირზე მცხოვრები ხალხის სიცოცხლის შენარჩუნება ისევე ძვირფასი იყო, როგორც მარცხენა ნაპირზე მცხოვრებლებისა. ამიტომ განსაკუთრებით უხალისოდ გადავწყვიტე დამეტოვებია ღამე ხიდები ჩაკეტილი. უნდა ვთქვა გარვალის მცხოვრებთა სასახელოდ, — მდინარის მარცხენა ნაპირზე მცხოვრები მრავალი ათასი ადამიანის სასახელოდ,—მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იცოდნენ, ხიდების ჩაკეტვა როგორ ფარგლავს მათ ტერიტორიაზე თავზარდამცემი კაციჭამია ავაზას ვერაგობას, მთელი

თვის განმავლობაში, სანამ ხიდები ჩაკეტილი გვქონდა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მათ თვითნებურად მოეხსნათ საგუშაგოები, ან ჩემთვის ეთხოვათ ამის გაკეთება.

გადავწყვიტე, ხიდები დამეტოვებია ჩაკეტილი და მივავლინე კაცი გლეხების გასაფრთხილებლად საშიშროების შესახებ, რამდენადაც შემეძლო, ამ მიზნით თვითონაც შემოვიარე ბევრი სოფელი. არც ერთ კაცს, რომელსაც გზაში ვხვდებოდი, და არც ერთ სოფლის მცხოვრებს ერთი სიტყვითაც არ დასცდენია საყვედური ან აღშფოთება. ყველგან, სადაც კი მივდიოდი, სტუმართმოყვარეობით მხვდებოდნენ და ლოცვა-კურთხევით მაცილებდნენ. გარდა ამისა, ძალზე მამხნევებდა მტკიცე რწმენა გარვალელი მამაკაცებისა თუ ქალებისა, რომლებმაც, ცხადია, არ იცოდნენ, ვინ იქნებოდა კაციჭამიას შემდეგი მსხვერპლი. — ნუ დაგწყდებათ გული, რომ ავაზა არ დაიღუპა გუშინ, — მეუბნებოდნენ ისინი, — კაციჭამია დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოკვდებაო.

ნადირობა გარეულ ღორზე

წინა საღამოს მოხუცი მენახირე, რომელიც ამავე დროს მეწვრილმანე ვაჭარიც იყო, მოვიდა ეკლიანი ბუჩქებით შემორაგულ ღობესთან.

ის შეუდგა ბადრინატხის მეორე მხარეზე მდებარე სოფლებისათვის ჰარვარდის ბაზარზე ნაყიდი მარილისა და გაუწმენდავი შაქრის შეფუთვას. რადგან მისი თხებისა და ცხვრების ფარა მეტისმეტად დაღლილები ჩანდა, ხოლო უკანასკნელი გადასასვლელი მთაზე ძალზე გრძელი იყო, ამიტომ ის საკმაოდ მოგვიანებით ჩამოვიდა და ვერ შეძლო ზოგან უკვე გარღვეული ღობის შეკეთება. ამის გამო რამდენიმე თხა გაძვრა ღობეში და დილაადრიან ერთი მათგანი გზის მახლობლად მოჰკლა ავაზამ. მოხუცი გააღვიძა ძაღლის ყეფამ და ინათა, თუ არა, ნახა თავისი საუკეთესო თხა — მშვენიერი მუქ-მონაცრისფრო პირუტყვი, რომელიც თითქმის შოტლანდიური პონისხელა იქნებოდა, გზის ახლო ეგდო კაციჭამიას მიერ მოკლული.

წინა ღამით კაციჭამიას მოქმედება ადასტურებდა, თუ როგორ იცვლის ავაზა ზნეს, როცა ის კაციჭამია ხდება და ამის გამო მრავალი წლის განმავლობაში ხოცავს ადამიანებს.

სრულიად საფუძვლიანად მივიჩნიეთ, რომ კაციჭამიამ მიიღო საგრძნობი ტრავმა, ნერვიული შერყევა, ძალიან დაფრთხა სასხლეტ ხაფანგში მოხვედრისას; ის, რომ მან ეს ხაფანგი ათ იარდზე ათრია, ღმუოდა და გააფთრებული ღრიალებდა, ადასტურებდა ამას. მაშასადამე, სწორედ იმ მომენტში, როცა ავაზა განთავისუფლდა ხაფანგიდან, მოსალოდნელი იყო, რომ ის აუცილებლად განერიდებოდა მცხოვრებლებს, შორს, რომელიმე მიყრუებულ ადგილას დაიმალებოდა, და დარჩებოდა იქ მანამ, სანამ არ მოშივდებოდა, რაც მოსალოდნელი იყო რამდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ სრულიადაც არა! ჩემი მოლოდინის საწინააღმდეგოდ. როგორც ჩანს, ის გვამის ახლო ტრიალებდა მას შემდეგაც კი, როცა დაინახა, რომ სახუნდარზე ავედით, გვადროვა დაძინება და შემდეგ წამოვიდა დასაზვერავად. ჩვენდა საბედნიეროდ, იბოტსონმა მიიღო გამაფრთხილებელი ზომები: მან სავსებით უზრუნველჰყო სახუნდარი ავაზას თავდასხმისაგან მავთულიანი ბადით. ჩვენ არაერთხელ გვსმენია, როგორ ჰხოცავდნენ კაციჭამია ავაზები მათზე სანადიროდ სახუნდრებში ჩასაფრებულ მონადირეებს. ცენტრალურ პროვინციებში ახლაც მძვინვარებს კაციჭამია ავაზა, რომელმაც სხვადასხვა დროს მოჰკლა და შეჭამა ამ ავაზაზე მონადირე ოთხი ინდოელი სპორტსმენი. ახლახან შევიტყვე, რომ მას მოუკლავს ორმოცი კაცი და ადამიანის, ფრინველებისა და შინაური ცხოველების ხორცისაგან შემდგარი მრავალფეროვანი დიეტის წყალობით, გაუტარებია წყნარი და უშფოთველი ცხოვრება.

მანგოს ხე რომ მოინახულა, ჩვენი კაციჭამია წავიდა სოფლის ბილიკით და გავიდა გზაზე. იქ, სადაც ჩვენ სისხლის გუბე ვნახეთ, მან გადაუხვია მარჯვნივ, გაიარა მლოცველთა გზით კიდევ ოთხი მილი და მოხვდა უფრო ხშირად დასახლებულ იმ ტერიტორიაზე, სადაც ის მოქმედებდა. რუდრაპრაიაგში მისვლის შემდეგ ის გაეშურა ბაზრის ცენტრალური ქუჩით იმ ადგილისაკენ, სადაც ის კლანჭებით ფხაჭნიდა მიწას

ინსპექციის ბუნგალოს ჭიშკართან. ღამე მოსულმა წვიმამ დაარბილა გზის თიხნარიანი ზედაპირი და ნაწვიმარ ნიადაგზე ნათლად გამოჩნდა მისი თათების ნაკვალევი, რომლის მიხედვით აშკარა იყო, რომ ხაფანგს არ დაეზიანებია მისთვის სხეულის არც ერთი ნაწილი.

ადრიანად ვისაუზმეთ და ჭიშკრიდან გამოვედი თუ არა, დავადექი ავაზას ნაკვალევს და მივედი მენახირე-მეწვრილმანე ვაჭრის ბანაკამდე. გზის მოსახვევში, ბანაკიდან ასი იარდის მოშორებით ავაზამ დაინახა საჩიხედან მომავალი თხები, გადაუკვეთა გზა ღობის გადაღმა მხრიდან, მთის ჩრდილს ამოფარებული მიეპარა მობალახე ცხოველებს და რუხ-ფოლადისფერი თხა გამოასალმა სიცოცხლეს, თავიც არ შეიწუხა მისი სისხლის გასინჯვით და გაბრუნდა უკან.

ეკლიანი კუნელით შემოღობილის შიგნით მეწვრილმანეს მოკლული თხისა და კარგად შეფუთული და დაწყობილი ბარდანების დასაცავად მაგარ პალოებზე მძიმე ჯაჭვებით მიება ორი ნაგაზი. ეს ის ღონიერი დიდი და შავი ძაღლებია, რომლებიც ჰყავთ მენახირე-მეწვრილმანეებს ჩვენს მთებში და არა საყოველთაოდ ცნობილი ნაგაზები, რომლებსაც დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში შეხვდებით. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის დროს ისინი არ შორდებიან თავიანთ პატრონს, მათი მოვალეობა კი, — რომელსაც ისინი ძალზე მოხერხებულად და საქმისათვის მეტად სასარგებლოდ ასრულებენ, იწყება ბანაკის გაშლის შემდეგ. ღამე ისინი იცავენ მას გარეული ნადირისაგან — მე ვიცოდი ორი ასეთი ძაღლი, რომლებმაც მოჰკლეს ავაზა, — მთელი დღის მანძილზე, სანამ მენახირე ჯოგს აძოვებს, ისინი დარაჯობენ ბანაკს დაუპატიჟებელი სტუმრებისაგან, ოფიციალურად გამოქვეყნებულ მომხდარ ამბებშიც კი იყო ნათქვამი ერთ ასეთ ძაღლზე, რომელმაც ბანაკის დარაჯობის დროს მოჰკლა საქონლის მოსაპარავად მოსული კაცი.

გავყევი ავაზას ნაკვალევს იმ ადგილიდან, სადაც ის თხის მოკვლის შემდეგ გამოვიდა გზაზე და მერმე გოლაბრაიზე გავლით კიდევ ერთი მილი გავიარე იმ ადგილამდე, სადაც ღრმა ხევი ჰკვეთს გზას. ავაზას მიერ მანგოს ხიდან ხევამდე

გავლილი გზა შეადგენდა დაახლოებით რვა მილს. გვამიდან ასე შორ მანძილზე ავაზას უმიზნო ხეტიალი ჩემთვის გაუგებარი იყო. არც ერთი ჩვეულებრივი ავაზა არავითარ შემთხვევაში ამას არ გააკეთებდა, აგრეთვე არც ერთი ჩვეულებრივი ავაზა არ მოჰკლავს თხას, თუ ის მშიერი არაა.

ხევის მეორე მხარეს, გზისპირას კლდეზე იჯდა მოხუცი მენახირე, რომელიც მატყლს ძახავდა და მთის ფერდობზე გაშლილ ჯოგს მწყემსავდა.

მან თითისტარი და მატყლი ჩაიდო შალის საბნისაგან შეკერილ ტანსაცმლის ფართო ჯიბეში, აიღო ჩემს მიერ მიწოდებული სიგარეტი და მკითხა, — გზად გავლით ხომ არა ხარ ამ მხარეზეო. მე დავუდასტურე და მივუგე, რომ ვნახე ავი სულის მიერ ჩადენილი ბოროტება და დავუმატე, რომ ბრძნულად მოიქცეოდა, თუ მიყიდდა თავის ძაღლებს აქლემების პატრონს ჰარდვარში, როცა მეორედ ჩამოვიდოდა, რადგან სრულიად აშკარაა, რომ ისინი შშიშრებია და არ ჰყოფნით გამბედაობა. მაშინ მენახირემ თანხმობის ნიშნად თავი დაბარა და მითხრა: „საიბ, ჩვენ, გამოცდილი ხალხიც კი ვცდებით ზოგჯერ და ძვირად გვიჯდება ეს შეცდომები, ისე. როგორც ძვირად დამიჯდა იმ ღამეს, როცა ჩემი საუკეთესო თხა დავკარგე. ჩემი ძაღლები ვეფხვივით მამაცები არიან, ისინი საუკეთესო ნაგაზებია მთელ გარვალში. თქვენ მათ შეურაცხყოფას აყენებთ, რომ ამბობთ ისინი მხოლოდ იმისათვის ვარგა, აქლემების პატრონს მიჰყიდოო. როგორც თქვენ შეამჩნევდით, ჩემი ბანაკი ძალზე ახლოა გზასთან და მე ვშიშობდი, რომ ჩემს ძაღლებს გზის ახლო შემთხვევით გამვლელი არ დაესახიჩრებიათ, ამიტომ იმის ნაცვლად რომ ამეშვა ისინი, როგორც ეს მინდოდა თავდაპირველად, ჯაჭვებით მივაბი პალოებზე შემოღობილის შიგნით. შემდეგ თქვენც ხომ ნახეთ; ნუ ადანაშაულებთ ძაღლებს, რადგან მათ იმდენი ძალონე იხმარეს თხის გადასარჩენად, რომ საყელურებმა ღრმად ჩაუჭრა კისერი და რომ კარგა ხანი დასჭირდება მათ მორჩენას“.

სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, მდინარე განგის მეორე მხარეზე აღმართულ გორაკზე გამოჩნდა ცხოველი. პირველად ფერითა და გარეგნობით ჰიმალაის დათვი მეგონა, მაგრამ მთი-

დან რომ დაეშვა ქვემოთ მდინარისაკენ, დავინახე ღია ფერის გარეული დიდი ღორი, რომელსაც გნიასით მოსდევდა სოფლის მაწანწალა ძაღლების ხროვა, ამ უკანასკნელთ კი მოსდევდა სოფლის ბიჭბუჭების გუნდი და სხვადასხვა ზომის კეტებით შეიარაღებული რამდენიმე მოზრდილიც. ბოლოს გამოჩნდა კაცი, თოფით ხელში. გორაკის მწვერვალს რომ მიაღწია, მოიგდო თოფი და დავინახეთ კვამლის ბოლქვი და ცოტა მოგვიანებით გავიგონეთ ზუმბიანი თოფის გასროლის ყრუ ხმა. თოფის გასროლამ ძალიან შეგვაშფოთა, რომ შემთხვევით რომელიმე ბიჭუნა არ გამხდარიყო ამ გასროლის მსხვერპლი. მაგრამ რადგან მათგან არავინ არ წაქცეულა და არც არავის შეუწყვეტია დევნა, ნათელი გახდა, რომ „სპორტსმენმა“ ააცდინა ღორს ტყვია.

გარეულმა ღორმა ბალახით დაფარულ ფართო ფერდობს მიაშურა, სადაც აქა-იქ ბუჩქები ჩანდა, ქვევით მიყვებოდა დასერილი ხევი და შემდეგ ისევ იწყებოდა მდინარემდე გადაჭიმული ხშირი ჯაგნარი. დასერილ ხევში ღორს დაეწიენ და ძაღლებიცა და ღორიც ბუჩქნარში მიიმალნენ. ერთი წუთის შემდეგ ძაღლები გამოხტნენ ბუჩქნარიდან, მაგრამ უკვე ღორის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ეს — უკანასკნელი იყო ამ „საზოგადოების“ წინამძღოლი. როცა ბიჭი და მოზრდილებიც მივიდნენ ბუჩქნართან, შევამჩნიე, რომ ისინი აიძულებდნენ ძაღლებს კვლავ შესეოდნენ ჯაგნარს, მაგრამ როგორც ჩანდა, ძაღლებმა იგემეს ღორის ეშვების ძალა და აღარ სურდათ დამორჩილებოდნენ ხალხის სურვილს. ამ დროს გამოჩნდა თოფიანი კაცი და იმწამსვე გარს შემოერტყნენ მას ბიჭები და მოზრდილებიც.

ჩვენ ამ სურათს მდინარის გაღმა ნაპირიდან შევცქეროდით. აქ, ამაღლებულ ადგილზე მდგარნი, გაფაციცებით ვადევნებდით თვალყურს თუ რა ხდებოდა მეორე ნაპირზე, მაგრამ მდინარის ხმაური ახშობდა ყოველივეს და გარდა გასროლილი ძველი თოფის ყრუ ხმისა, ჩვენამდე არც ერთ სიტყვას არ მოუღწევია.

როგორც ჩანდა, არც „სპორტსმენს“ ჰქონდა დიდი სურვილი შესულიყო ჯაგნარში, სადაც გარეული ღორი მიიმალა,

რადგან ის მოულოდნელად გამოეყო თანასოფლელებს, ჩამოჯდა კლდეზე და თითქოს გვამცნობდა: — მე ჩემი ვალი მოვიხადე, ახლა თქვენი ჯერიაო. იყვნენ ამ თავსატეხი დილემის წინაშე — ძაღლებიც ცემის მიუხედავად გაჯიქებულნი უმოქმედოდ ერთ ადგილას წრიალებდნენ და გარეული ღორისკენ არც კი იხედებოდნენ. ამის შემდეგ ჯერ ბიჭებმა, შემდეგ კი მოზრდილებმაც ქვები დაუშინეს ბუჩქნარს.

იმ დროს, როცა სანახაობა ასე გრძელდებოდა, ჩვენ დავინახეთ ღორი, რომელიც გამოვიდა ბუჩქნარის ქვედა მხრიდან მდინარის ნაპირის ვიწრო სილიან ადგილას. ჩქარი ნაბიჯებით მან გაირბინა გაშლილ სივრცეზე, შედგა, დაჰყო უძრავად რამდენიმე წამს, შემდეგ კიდევ ორი-სამი ნაბიჯით წაიწია, ისევ შედგა, შემდეგ ცოტა კიდევ გაირბინა და შეცურდა მდინარეში.

გარეული ღორები განსაკუთრებით კარგი მცურავები არიან; არსებობს ცრურწმენა, რომ ცურვის დროს ისინი თვითონვე ხდებიან თავიანთი დაღუპვის მიზეზი. — ეს არაა სწორი. მდინარის დინება ძლიერი იყო, მაგრამ გარეულ ღორზე უფრო მამაც და კეთილშობილ ცხოველს ვერ ნახავთ. როდესაც უკანასკნელად დავინახე ბებერი ტახი, დინებამ ის ჩვენგან მეოთხედ მილზე წაიღო, მაგრამ ისე მამაცურად მიცურავდა და ისე ახლო იყო ნაპირთან, რომ ეპვი არ მეპარება, მან ბედნიერად მიაღწია ნაპირს.

— იყო თუ არა თქვენი თოფის გასროლის მანძილზე გარეული ღორი, საიბ? — მკითხა მენახირემ.

— დიახ! — ვუპასუხე მე,—შემეძლო ღორისათვის ტყვიის მიწვდენა, მაგრამ მე წამოვიღე თოფი გარვალში არა გარეული ღორების დასახოცად, რომლებიც გარბიან, რომ თავს უშველონ, არამედ იმის მოსაკლავად, ვისაც თქვენ ბოროტ სულად თვლით და რომელსაც მე ვიცნობ როგორც ავაზას.

— გააკეთეთ ყველაფერი ისე, როგორც თქვენ გენებოთ,— მიპასუხა მან, — და ახლა რადგან თქვენ მიდიხართ და შეიძლება ვერასოდეს ვერ შევხვდეთ კვლავ ერთმანეთს, ღე. ხელი მოგიმართოთ ჩემმა ლოცვა-კურთხევამ. დრო დაგვანახვებს ვინ იყო მართალი, თქვენ თუ მე.

ვნანობ, რომ ვეღარ შევხვდი მენახირეს, ვინაიდან ის იყო დიდი ადამიანი, ამაყი, როგორც ლუციფერი და უბედნიერეს კაცად მაშინ ჩათვლიდა თავს, როდესაც ავაზები არ დაუხოცავდნენ საუკეთესო თხებს და მისი ძაღლების სიმამაცეს არავინ შეურაცხყოფდა.

ფხიზლობა ფიჭვზე

მეორე დღეს იბოტსონი დაბრუნდა პაურიდან და დილას რუდრაპრაიაგიდან აღმოსავლეთით მდებარე სოფლების დათვალიერების დროს ბილიკზე დავინახე კაციჭამიას ნაკვალევი იმ სოფლიდან, სადაც წინა ღამეს ცდილობდა შეემტვრია ქოხის კარი, და რომელშიც ხველით ძლიერ დაავადებული ბავშვი იყო.

ნაკვალევმა, რომელსაც ორი-სამი მილის მანძილზე მივყვებოდი, მიმიყვანა მთის თხემზე, იმ ადგილას, სადაც რამდენიმე დღის წინათ მე და იბოტსონი ვიყავით ჩასაფრებული ხმამაღლა მოკიკინე თხით.

ჯერ კიდევ ადრე იყო და შეიძლებოდა მზეზე გასათბობად გამოსულ ავაზას წავწყდომოდით ხევებითა და ხრამებით დასერილ ამ საკმაოდ დიდი ტერიტორიის ერთ-ერთ რომელიმე კლდესთან. ვრცელ ადგილზე აღმართულ მთის შვერილთან შევჩერდი. გუშინ საღამოს წამოვიდა წვიმა, რომელმაც გაფანტა ნისლი და საშუალება მისცა ავაზას ადგილი გამოეცვალა. ხედი წარმტაცი აღმოჩნდა, კლდიდან კი გადაიშალა პანორამა, რომლითაც იხიბლებიან ადამიანები ქვეყნის სხვა მხარეში, სადაც მთები ოცდასამი ათას ფუტის სიმაღლემდეა აწვდილი. უშუალოდ ჩემს ქვევით დაბლობი, შემდეგ მდინარე ალაკნანდის ჭალები იშლებოდა; მდინარე მოციმციმე ვერცხლის სარტყელს მოგაგონებდათ — იგი მიიკლაკნებოდა, ხან გამოჩნდებოდა და ხან იკარგებოდა. მდინარის მეორე მხარეს მთაზე სოფლები შეფენილიყო. მოჩანდა განმარტოებით მდგარი ქოხების ჩალის სახურავები ან ფიქალის სახურავიანი სახლების გრძელი რიგები. ეს რიგები იყო ინდივიდუა-

ლური ძეურნეობები, მინაშენი ერთიმეორეზე, რათა შეემცირებინათ ხარჯები და დაეზოგათ მიწის ფართობი, რადგან ხალხი ღარიბი იყო და მიწის ყოველი მტკაველი, რომლის დამუშავება შეიძლება გარეალში, აუცილებლად სათესად უნდა გამოეყენებიათ.

მთების იქითა მხარეს მოჩანდა უსწორმასწორო კლდეები და ოღროჩოღრო დაღარული ადგილები, სადაც ზამთრობით თოვლი იდო. ადრე გაზაფხულიდან თოვლის ზვავი გრიალით ეშვებოდა ძირს. კლდეების ზემოთ იდო მუდმივი თოვლი, რომელიც ლაჟვარდ, მტრედისფერ ცაზე ისე ქათქათებდა, თითქოს თეთრი მარმარილოსაგან არის გამოჭრილიო. უფრო ლაძაზსა და მშვიდ სურათს ძნელად წარმოიდგენს კაცი, მიუხედავად ამისა, როცა მცხუნვარე მზე, რომელიც ახლა სხივებს მაჭერს ზურგზე, თანდათან ყინულიანი მთების შორეულ გრეხილებს ამოეფარება, საშინელება და ტერორი, — რომელსაც ვერც კი წარმოიდგენთ, თუ თვითონ არ დარწმუნდით ამაში, მოიცავს ყველას და ყველაფერს ისევე, როგორც ეს ხდებოდა ხანგრძლივი რვა წლის განმავლობაში, ჩემს თვალწინ უსასრულო სივრცეზე.

მთელ საათს ვიმყოფებოდი კლდეზე, როცა შევამჩნიე ბაზრისკენ მიმავალ გზაზე მთიდან ჩამომავალი ორი კაცი. ისინი მოდიოდნენ სოფლიდან, რომელიც მთაზე მდებარეობდა. ამ სოფელში სწორედ გუშინ ვიყავი. ხალხმა მაცნობა, რომ მზის ამოსვლამდე ცოტა ადრე მათ გაიგონეს ავაზას ხმა. მოვილაპარაკეთ თხით მიგვეტყუებია ავაზა და მოგვეკლა, მაგრამ ამ დროს მე თხა არ მყავდა, მათ აღმითქვეს, რომ თავის თხას მომიყვანდნენ სოფლიდან და დამპირდნენ შემხვდებოდნენ ამავე ადგილას, სადაც ჩვენ ახლა ვიდექით ორი საათით ადრე მზის ჩასვლამდე.

ხალხი რომ წავიდა, შევუდექი ისეთი ადგილის მონახვას, სადაც შეიძლებოდა ჩასაფრება. ერთადერთი ხე, რომელიც მთელ ამ ტერიტორიაზე მოჩანდა, იყო განმარტოებით მდგარი ფიჭვი, ის ხარობდა მთის მწვერვალზე ბილიკის მახლობლად. მის ქვემოთ გადიოდა მეორე ბილიკი, რომელიც მთას მიჰყვებოდა და ხრამებითა და ხევებით დასერილ ფერდობს

სარტყელივით ეკვროდა. ამ ხრამებს გადავცქეროდი სწორეულ ახლა, რომ ავაზა დამენახა. ხიდან ჩანდა თითქმის მთელი მიდამო და რადგან ეს იყო ერთადერთი ხე და სხვა გზა არ მქონდა, ამიტომ გადავწყვიტე მისი მოსინჯვა.

როცა მე დავბრუნდი დაახლოებით ნაშუადღევის ოთხ საათისათვის, მცხოვრებლებს უკვე მოეყვანათ თხა და მიცდიდნენ. როდესაც ვუპასუხე შეკითხვაზე, თუ სად მქონდა განზრახული საფარის მოწყობა და მივუთითე ფიქვის ხეზე. მათ ხარხარი ატეხეს. თოკის კიბის გარეშე შეუძლებელია ამ ხეზე ასვლაო. და ბოლოს, თუ შევძლებდი ხეზე ასვლას და იქ მთელი ღამე დარჩენას, მე არ მექნებოდა კაციჭამიასგან თავდაცვის საშუალება, რადგან ხეზე აცოცება მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

გარვალში ცხოვრობდა ორი თეთრკანიანი — ერთი მათგანი იყო იბოტსონი — რომლებიც ბავშვობისას აგროვებდნენ კოლექციისათვის გარეული ფრინველის კვერცხებს. იმათ ორთავეს შეეძლოთ ხეზე აცოცება და რადგან ჰინდის ენაზე არ არსებობს ანდაზა ამ მნიშვნელობით „ნუ ეცდებით წიწასწარ შეიქმნათ სიძნელეებიო", ამიტომ დავის ძეორე ნაწილი დავტოვე უპასუხოდ და დავკმაყოფილდი იმით, რომ მივუთითე იმათ ჩემს თოფზე.

ადვილი საქმე არ იყო ფიქვზე ასვლა, რადგან ზევით, ოცი ფუტის სიმაღლეზე ტოტი აღარ იზრდებოდა, მაგრამ როგორც კი მოვახერხე ქვედა ტოტამდე მოღწევა, დანარჩენი ჩემთვის სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. მე თან მქონდა ქაღალდის გრძელი თოკი და როდესაც ხალხმა მისი ერთი ბოლო თოფს გამოაბა, მე ის ზევით ავიტანე, შემდეგ ავაღწიე ხის კენწერომდე და იქ ფიქვის წიწვებში ჩავიმალე.

ხალხმა დამარწმუნა, რომ თხა კარგად კიკინებდა; მიაბეს ის მიწის ზედაპირზე ამოჩრილ ხის ფესვზე, დაბრუნდნენ უკან სოფელში და დამპირდნენ, ხვალ დილაადრიან დავბრუნდებითო. თხამ თვალი გააყოლა მათ და შემდეგ მშვიდად შეუდგა ხის ქვეშ დაბალი ბალახის წიწკნას, ისე, რომ მას ერთხელაც არ დაუკიკინებია, რაც მე სრულიად არ მაწუხებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მალე სიმარტოვეს იგრძნობდა

და საღამოსთვის შეუდგებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, და თუ იგი განაგრძობდა კიკინს ღამეც, ჩემი მაღალი პოზიციიდან საკმაო შესაძლებლობა მექნებოდა მანამ მომეკლა ავაზა, სანამ იგი თხას მიუახლოვდებოდა.

ხეზე რომ ავედი, თოვლიანი მთების ჩრდილები ალაკნანდამდე ჩამოწვა. ისინი ზანტად მიიწევდნენ ზევით, ჩემ შორიახლო, სანამ არ შთანთქეს ყველაფერი. მხოლოდ მთის თხემები გიზგიზებდნენ წითლად ჩამავალ მზის სხივებში. იმისდა მიხედვით, თუ როგორ თანდათან ქრებოდა დაისი. სხივთა ისრები სწრაფად აღწევდნენ თოვლით დაფარულ მთებს შორის, სადაც ჩამავალი მზის სხივები კიაფობდნენ ნარშავასავით ნაზსა და ჰაეროვანი ღრუბლების ქულებზე. ის, ვინც აკვირდება მზის ჩასვლას და ასეთი ადამიანები შეიძლება, სამწუხაროდ, არც ისე ბევრია — ფიქრობს, რომ დაისი მის მხარეში უფრო კარგია, ვიდრე სადმე სხვაგან. არც მე წარმოვადგენ გამონაკლისს და მიმაჩნია, რომ მზის ჩასვლა სხვაგან არსად მთელს ქვეყანაზე ვერ შეედრება ჩემი ქვეყნის დაისს; მეორე ადგილას შეიძლება დააყენოთ დაისი მხოლოდ ჩრდილოეთ ტანგანიკაში, სადაც ატმოსფეროს ზოგიერთ თავისებურებათა გამო კილიმანჯაროს ყინულოვანი მწვერვალი და მის გარშემო მოხეტიალე ღრუბლები ჩამავალ მზის სხივებში გამდნარ ოქროსავით ანათებენ. მზის ჩასვლა ჰიმალაებში მეტწილად მეწამული, მუქვარდისფერი ან ოქროსფერია. ამ საღამოსაც ის მუქვარდისფერი იყო და მისი ისრისებური სხივები, მოსწორებული თოვლის ხეობებიდან ამოვარდნილი გრძელი შუბის წვერებივით იჭრებოდნენ მუქ მოწითალო ღრუბლებში, ფართოვდებოდნენ და შორს, ჩემს ზევით თანდათან ცაში უფერულდებოდნენ.

მსგავსად მრავალი ადამიანისა, თხასაც არ აინტერესებდა მზის ჩასვლა და ბალახის ჭამის შემდეგ იმ ადგილას, სადამდიც მიწვდა, ამოთხარა თავისთვის პატარა ორმო, ჩაწვა შიგ, მოირთხა და დაიძინა. აი ახლა კი ვიდექი ამოცანის წინაშე. ვვარაუდობდი, რომ ჩემს ქვემოთ მშვიდად მძინარი ცხოველი მიიტყუებდა ავაზას, მაგრამ თხას გუშინდელს აქეთ ერთხელაც არ გაუღია პირი, გარდა იმისა, რომ ბალახს წიწკნიდა.

ახლა კი მყუდროდ მოკალათებულს, შეეძლო მთელი ღამე გაუნძრევლად ეძინა. ღამე ამ დროს ხის დატოვება და ბუნგალოში დაბრუნება იმას ნიშნავდა, რომ ნებისმიერად ჩამედინა კიდევ ჩემი თავის მიმართ გამოუსწორებელი დანაშაული. მე კი ჯერ ბევრი მქონდა გასაკეთებელი კაციჭამიას მოსაკლავად და რადგან მისატყუარი გვამის უქონლობის გამო ყველა ადგილი ერთნაირად კარგია, ამიტომ გადავწყვიტე დავრჩენილიყავი იქ, სადაც ვიმყოფებოდი და თვითონვე მესინჯა ხმით ავაზას მიტყუება.

ჩემთვის რომ ეკითხათ, თუ რამ მომანიჭა ყველაზე მეტი სიამოვნება იმ წლების განმავლობაში, რომლებიც ინდოეთის ჯუნგლებში გავატარე, უყოყმანოდ ვუპასუხებდი, რომ ყველაზე მეტი სიხარული მოჰქონდა ჩემთვის ჯუნგლების ბინადართა ენისა და ჩვეევების ცოდნას. ჯუნგლების ცხოველებისათვის უნივერსალური ენა არ არსებობს. თვითეულ ნაირსახეობას აქვს თავისი საკუთარი ენა და თუმცა ლექსიკა — სიტყვების მარაგი ზოგიერთ ცხოველებს, მაგალითად, მაჩვზღარბებს და მტაცებლებს გარკვეული აქვთ, მაინც თვითეული მათგანის ენა გასაგებია ჯუნგლების ყველა მცხოვრებისათვის. ადამიანის ხმის იოგები განსხვავდებიან უფრო ადვილად შეგუების უნარით ჯუნგლების რომელიმე ცხოველის ხმის იოგებისაგან, გარდა ქოჩრიანი დრონგოსი; ეს მდგომარეობა საშუალებას აძლევს ადამიანს იქონიოს ურთიერთობა მრავალი სახის ფრინველებსა და ცხოველებთან. ჯუნგლების ენაზე ლაპარაკის უნარი (იქ ყოფნისას) გარდა იმისა, რომ ეს თავისთავად უდიდეს სიამოვნებას განიჭებს, შესაძლებელია ძალზე სასარგებლოც იყოს საჭიროების დროს. მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს, რომელსაც შეუძლია სავსებით ამის ილუსტრირება.

ლაიონელ ფორტესკიუ, რომელიც უკანასკნელ ხანამდე იტონის პანსიონის * გამგე იყო, და მე 1918 წლის დასაწყისში ერთად ვმოგზაურობდით ჰიმალაებში. ჩვენი მოგზაურო-

---

* ფეშენებელური საშუალო სკოლა ინგლისში პრივილეგირებული კლასისათვის.

ბის მიზანი იყო თევზაობა და ფოტოსურათების გადაღება. ერთხელ მოვხვდით მეტყევის სახლში, რომელიც მაღალ მთის ძირას იდგა. მის მოპირდაპირე მხარეს ჩვენი მოგზაურობის ობიექტი კაშმირის დაბლობი იყო. დიდხანს ვიარეთ ძალზე ძნელად სავალი გზით და რადგან ჩვენი ბარგის მზიდავებს დასვენება უნდოდათ, გადავწყვიტეთ ბუნგალოში შევჩერებულიყავით და დაგვესვენა.

მეორე დღეს ფორტესკიუ მიუჯდა თავის დღიურებს, მე კი წავედი სახეტიალოდ მთის გამოსაკვლევად, თანაც მინდოდა მესინჯა მოვახერხებდი თუ არა კაშმირის ხარირემის მოკვლას. კაშმირში მონადირე ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ ასეთი ხარირემის მოკვლა შეუძლებელია გამოცდილი შიკარის დაუხმარებლადო. ეს აზრი დამიდასტურა მეტყევის სახლის დარაჯმაც. მთელი დღე ჩემს განკარგულებაში იყო და საუზმის შემდეგ მარტო წავედი სანადიროდ ისე, რომ ოდნავ წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა სიმაღლეზე ცხოვრობს ეს წითელი ირემი, ან იმ ადგილმდებარეობის თავისებურებათა შესახებ, სადაც ის დახეტიალებს. კაშმირში მიმავალი უღელტეხილის სიმაღლე დაახლოებით ოცი ათასი ფუტია. რვა ათასი ფუტის სიმაღლეზე რომ ავედი, ჭექა-ქუხილმა მომისწრო.

ღრუბლების ფერის მიხედვით ვიცოდი, რომ ძლიერი სეტყვა წამოვიდოდა, ამიტომ წინასწარ ავირჩიე ხე, რომ მის ქვეშ შემეფარებია თავი. ბევრჯერ მინახავს სეტყვისა და ელვისაგან მოკლული ადამიანები და ცხოველები, ამიტომ დავიწუნე კონუსისებური მწვერვალის მქონე სოჭი, და ავირჩიე საშუალო სიმაღლის ხე მრგვალი კენწეროთი და ხშირი ფოთლებით, რომლებიც საკმაოდ დამიცავდნენ სეტყვისაგან. შევაგროვე ხმელი ფიჩხი და ნაძვის ჯალღუზები, გავაჩაღე ცეცხლი და ერთი საათის განმავლობაში, სანამ ჭექა-ქუხილი და სეტყვა მძვინვარებდა, ვიჯექი ხის ძირში თბილად და უშიშრად.

სეტყვამ რომ გადაიღო და მზემაც გამოანათა, გამოვედი თავშესაფრიდან და მოვხვდი სასწაულების ჯადოსნურ ქვეყანაში: სეტყვას დაეფარა მიწა მილიონი მოელვარე წერტილე-

ბით, რომლებსაც ემატებოდა თითოეული მბზინავი ფოთლისა და ბალახის სხივთა ელვარება. კიდევ ორი თუ სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე ასვლის შემდეგ მივაღწიე კლდის გასასვლელს, რომლის ძირში აღმოჩნდა მდელო, მოფენილი ცისფერი მთის ყაყაჩოებით. ბევრ მათგანს ღერო მომტვრეოდა, მაგრამ ეს ცისფერი ყვავილები — თოვლივით თეთრ საყრდენებზე მდგარი ჰიმალაის მინდვრის ეს ულამაზესი დედოფლები, ისეთ სურათს ჰქმნიდნენ, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებ.

კლდეები ძალზე მოლიპული აღმოჩნდა, რომ ძასზე ავსულიყავი, მაგრამ მთის მწვერვალზე ასვლა არ გაგვიძნელდებოდა, თუ მას თავს დავუვლიდი, ამიტომ მივბრუნდი მარცხნივ და გიგანტური სოჭების ტყეში ნახევარი მილის გავლის შემდეგ მივედი ბალახით დაფარულ ფერდობთან, რომელიც რამდენიმე ათასი ფუტის სიგრძეზე იყო გაჭიმული მთის მწვერვალიდან ზედ ტყის პირამდე. ტყეში გავლისა და ამ ბალახით დაფარულ ფერდობთან მიახლოების დროს შევამჩნიე ბორცვზე ზურგით ჩემსკენ მდგარი ცხოველი, გამახსენდა საანადირო წიგნების ილუსტრაციები და მივხვდი, რომ ჩემს წინ იდგა კაშმირის მოწითალო ირემი, ხოლო როცა მან თავი ააღირა, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის ფურირემი იყო.

ბალახით დაფარული ფერდობის იმ მხარეს, სადაც მე ვიდექი და დაახლოებით ოცდაათი იარდის მოშორებით ტყის პირიდან, იყო ოთხი ფუტი სიმაღლის იზოლირებული კლდის შვერილი. ვმოძრაობდი მხოლოდ იმ დროს, როცა ფურირემი ბალახს ძოვდა და ადგილზევე ვშეშდებოდი, როგორც კი ის თავს ზევით სწევდა. ასე ვეპარებოდი კლდეს ამოფარებული, უეჭველია, ფურირემი დარაჯობდა, და იმის მიხედვით, რომ ყოველთვის მარჯვნივ იყურებოდა, მივხვდი, რომელ მხარეზე იყვნენ მისი თანამგზავრები. კიდევ უფრო ახლო მისვლა შეუმჩნევლად შეუძლებელი იყო. შევსულიყავი ტყეში და ზემოდან მომევლო, არ იყო ძნელი, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწევდი, რადგან ქარი ქროდა ბორცვიდან ქვევით. რჩებოდა ერთი, — შევსულიყავი ტყეში და შემომევლო ბალახიანი ფერდობის ქვედა კუთხიდან. სამაგიეროდ, ეს

მოითხოვდა დიდ დროს და შემდგომში მთაზე ძნელი ასვლის აუცილებლობას.

ამიტომ საბოლოოდ გადავწყვიტე დავრჩენილიყავი, სადაც ვიმყოფებოდი და შემეხედა ამ ნადირისთვის—მოასდენდა თუ არა ავაზას ხმა ისეთსავე რეაქციას მასზე, როგორც ჩიტალსა და სამბარზე. ვიცოდი, რომ ერთი ავაზა იმყოფებოდა მთაში, რადგან შევამჩნიე მისი კლანჭების ნაკვალევი. მე ვიდექი კისერაწვდილი, რათა თვალი მედევნებია. დაველოდე სანამ იგი ბალახის ძოვას შეუდგებოდა და შემდეგ ავაზას ხმაზე დავიბრდღვინე.

ჩემი ხმის გაგონებაზე ფურირემი შემობრუნდა, დადგა ჩემს პირდაპირ და წინა ფეხით დაიწყო მიწის ტორვა. ეს იყო ირმების გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ ფხიზლად ყოფილიყვნენ, მაგრამ მე ვიცოდი, ისინი — როგორ მინდოდა მათი დანახვა — ადგილიდან არ დაიძვრიან, სანამ ფურირემი სიგნალს არ მისცემს, ამას კი არ გააკეთებდა, სანამ ავაზას არ დაინახავდა. მე მეცვა ტვიდის მიხაკისფერი პიჯაკი; მარცხენა ბეჭი გამოვაჩინე და დავიწყე ნელ-ნელა აწევ-დაწევა, ეს მოძრაობა უმალ შეამჩნია ფურირემმა. მან რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი გადადგა წინ და დაიწყო სიგნალების მიცემა. საშიშროება, რომლის შესახებაც ის აფრთხილებდა მეგობრებს, თვალწინ იყო და რომ დრო იყო შეერთებულიყვნენ. სეტყვით დაფარულ მიწაზე კოხტა ნაბიჯით პირველი მივიდა ფურთან ერთი წლის ირემი და გვერდით ამოუდგა მას; ერთი წლის ირემს მოჰყვა სამი ხარირემი, რომლებსაც თან ახლდა ბებერი ფური. ექვსი ირმისაგან შემდგარი მთელი ეს ჯოგი მშვენივრად მოჩანდა ოცდათხუთმეტი იარდის მანძილიდან. ფურირემი კიდევ განაგრძობდა მოხმობას, დანარჩენნი კი ყურაცქვეტილები უძრავად იდგნენ და გასცქეროდნენ ტყეს. მე ვიჯექი სველსა და უხერხულ ადგილას, — სეტყვის მარცვლებზე, რომლებიც თანდათან დნებოდა. ასეთ მდგომარეობაში უძრავად დარჩენა ნიშნავდა გაცივებას. მე უკვე ვნახე ყველაზე სახელგანთქმული ირმების — ქაშმირის ირმების ოჯახი და გავიგონე ფურირემის ძახილიც. რჩებოდა კიდევ ერთი რამ, რაც ასე ძალიან

მსურდა: ეს იყო ხარირმის ძახილის გაგონება, ამიტომ ისევ გამოვყავი საფარიდან ერთ დიუმზე ბეჭი და სამაგიეროდ გავიგონე ხარირმების, ფურირმებისა და ერთი წლის ირმების ძახილი სხვადასხვა ხმაზე.

ჩემი ყალიბის თოფით თავისუფლად შემეძლო ერთ-ერთი ირმის მოკვლა, და როგორც ვიცი, ასეთი ხარირმის თავი მონადირის სარეკორდო ნადავლად ითვლებოდა, თუმცა ამ დილით მე წავედი მათ სანახავად და ხორცით ბანაკის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო აუცილებელი. ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელი იყო ირმის ხორცი მაგარი გამომდგარიყო, ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ მესარგებლა თოფით, წამოვდექი და მთელს კაშმირში ყველაზე უფრო გაოცებული ექვსი ირემი თვალის დახამხამებაში გაქრა მხედველობიდან. ერთი წუთის შემდეგ გავიგონე მათი ფეხის ხმა — ისინი კისრისტეხით ეშვებოდნენ ტყეში ბორცვის მეორე მხარეს.

ახლა დადგა ბუნგალოში დაბრუნების დრო. გადავწყვიტე ჩავსულიყავი ბალახიან ფერდობზე და გავსულიყავი მთის ძირას გაშლილ ტყეში. ერთი კუთხიდან ფერდობს მივყავდი უფრო ადვილ ჩასასვლელთან მხოლოდ იმ პირობით, რომ ითითოეული ნაბიჯი უნდა გადამედგა ფრთხილად და ფეხი დამედგა საჭირო ადგილას. მე დავიძარი ამ გაშლილი მოედნის შუაგულისაკენ და ექვსასი იარდი რომ გავირბინე, დავინახე რაღაც თეთრი საგანი ტყის პირას, კლდეზე, ფერდობის მარცხენა მხარეს, დაახლოებით სამას იარდზე იმ ადგილიდან, სადაც მე ვიმყოფებოდი. სწრაფად თვალის გადავლებამ დამარწმუნა, რომ ეს თეთრი საგანი თხაა, რომელსაც შესაძლებელია გზა აებნა ტყეში. უკვე ორი კვირა უხორცოდ ვიყავით, ფორტესკიუს კი დავპირდი, რომ რაიმეს მივუტანდი და ახლა ეს ჩემთვის ხელსაყრელი შემთხვევა იყო. თხამ დამინახა; მე რომ შემძლებოდა მისი ეპვის გაფანტვა, მაშინ, შესაძლებელია, ის მომცემდა ახლო მისვლის საშუალებას, რათა ფეხში მეტაცა მისთვის ხელი, ამიტომ ჩავირბინე ქვევით ხტუნვა-ხტუნვით და მარცხნიდან გადავკვეთე კუთხე ისე, რომ თვალი არ მომიშორებია ცხოველისათვის. ნეტავ ერთ

ადგილას დარჩენილიყო, მე ვერ ვინატრებდი უკეთეს მომენტს მის დასაჭერად, რადგან გლუვი კლდე, რომლის განაპირას იდგა თხა, გადმოკიდული იყო ფერდობზე დაახლოებით ხუთი ფუტის სიმაღლეზე. ნელ-ნელა მივიწევდი თხისკენ და შეფარვით მივჩერებოდი მას. ასე გავიარე კლდის შვერილის ახლო და გავმართე მარცხენა ხელი, რომ მეტაცა თხისათვის წინა ფეხებში. მან შეშფოთებული ხმით დაიყვირა, რომელიც ცხვირის დაცემინებას ჰგავდა. ცხოველმა უკან დაიწია, რომ ხელი აეცდინა, და როცა მე მთლად გამოვედი კლდის საფარიდან და შემოვბრუნდი, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, — ცხოველი, რომელიც თეთრ თხად მეჩვენა, აღმოჩნდა ირემი-ალბინოსი. მხოლოდ ათი ფუტი გვაშორებდა ჩვენ, მე და პატარა ცხოველს — მონადირის ნადავლს — და მან გაბედულად გადასწყვიტა, რაც არ უნდა დაჯდომოდა, არ დაეხია და გამომწვევი ფრუტუნით მომჩერებოდა. მე ისევ მოვბრუნდი და დავეშვი მთიდან ქვევით ორმოცდაათ იარდზე. როცა შემოვბრუნდი, დავინახე ისევ კლდეზე მდგარი ირემი, ალბათ დარწმუნებული იყო, რომ დამაფრთხო და მაიძულა გავქცეულიყავი.

როცა რამდენიმე კვირის შემდეგ ამ შემთხვევის შესახებ ვუამბე სანადირო მეურნეობის მეთვალყურეს, მან სინანულით გამოთქვა, რომ ვერ მოვკალი ირემი. მას ძალიან უნდოდა ზუსტად ცოდნოდა ადგილსამყოფელი და რაიონი, სადაც ეს ცხოველი ვნახე, მაგრამ რადგან მე ადგილებს ვერ ვიმახსოვრებ და ადგილმდებარეობასაც, სამწუხაროდ, მცდარად აღვწერ ხოლმე, ამიტომ არა მგონია, რომ ის ირემი-ალბინოსი ამშვენებდეს რომელიმე მუზეუმს.

* * *

ხვადი ავაზები შმაგდებიან მაშინ, როცა რაიონში, რომელსაც ისინი თავის საკუთრებად თვლიან, სხვა ავაზა შეიჭრება ხოლმე. თუმცა კაციჭამიას ტერიტორიაზე, რომელიც ხუთასი კვადრატული მილის ფართობზე ვრცელდება, შესაძ-

ლებელია იყოს სხვა ხვადი ავაზებიც. მაგრამ ამ ცალკე აღებულ ადგილში კაციჭამია იმყოფებოდა რამდენიმე კვირას და ამიტომ საესებით სამართლიანად შეეძლო მიეჩნია ის თავის საკუთრებად. მიუხედავად იმისა, რომ მძუნაობის სეზონი ახლახან დამთავრებული იყო, ავაზას შეეძლო ჩემი ძახილი შეცდომით მიეღო ხვადის მაძებარ ძუ-ავაზას მოხმობად. ამიტომ დავუცადე დაღამებას და ისევ შევუდექი მოხმობას. ჩემდა სასიხარულოდ, დაუყოვნებლივ გავიგონე ქვევიდან, ცოტა მარჯვნივ, დაახლოებით ოთხი იარდის მანძილზე მყოფი ავაზას გამოძახილი.

ჩვენს შორის მიწის ზედაპირი დაფარული იყო დიდი კლდეებითა და მოზრდილი გაბარდული შამბნარით. მე ვიცოდი, რომ ავაზა პირდაპირი ხაზით არ წამოვიდოდა ჩემსკენ. შესაძლებელი იყო ის შემოუვლიდა ხეობებით დასერილ ადგილს და მიუახლოვდებოდა გვერდით მდებარე ქედს იმ ადგილას, სადაც ჩემი განმარტოებული ხე იდგა. როცა მხეცმა კიდევ დაიღმუვლა, შევამჩნიე, რომ ავაზა სწორედ ისე მოიქცა, როგორც მე ვფიქრობდი. ხუთი წუთის შემდეგ მისივე ხმის საშუალებით განვსაზღვრე მისი ადგილსამყოფელი, რომელიც ჩემგან დაახლოებით ორას იარდზე მდებარე მთის წინა მხარეზე გამავალ ბილიკიდან მოისმოდა. ამ ძახილზე გამოვეპასუხე, რომ მისთვის მიმართულება მიმეცა. სამი თუ ოთხი წუთის შემდეგ ისევ გამომეხმაურა ასი იარდის მანძილიდან.

ბნელი ღამე იყო. მე მქონდა ელექტროფარანი, მიმაგრებული თოფზე, თითი ჩახმახზე მედო, ხის ფესვებიდან ბილიკი პირდაპირი ხაზით მიდიოდა ორმოცდაათ იარდზე, შემდეგ კი მკვეთრად უხვევდა. შეუძლებელი იყო წინასწარ მცოდნოდა — როდის და ბილიკის რომელი ნაწილისათვის მიმეშუქებია ფარანი, ამიტომ მიხდებოდა ცდა, სანამ ავაზა არ დაეძგერებოდა თხას.

ბილიკის მოსახვევის შემდეგ, დაახლოებით სამოცი იარდის მანძილზე ავაზამ ისევ დაიღრიალა და პასუხიც მიიღო. ეს ხმა მომესმა მეორე ავაზასაგან, რომელიც იმყოფებოდა მახლობლად მთის მეორე მხარეს. აი თუ გინდა საქმის გართულება! ეს იყო მოულოდნელი და უიღბლო შემთხვევა. ავაზა

ძალზე ახლოს იყო და შემეძლო მიმებაძა მისი ხმისათვის და რადგან მან გაიგონა ჩემი მოხმობა უკანასკნელად ორასი იარდის მანძილიდან, ბუნებრივია, ის ივარაუდებდა, რომ მოკრძალებული ძუ მოშორებით წავიდა მთებში და იქიდან მოუხმობს მას, რომ იქ შეუერთდეს. მიუხედავად ამისა, კიდევ რჩებოდა შესაძლებლობა, რომ ავაზა განაგრძობდა მოძრაობას ბილიკზე მეორე მთიდან ქვევით ჩამავალ ავაზასთან შეხვედრამდე. ამ შემთხვევაში ის ნამდვილად მოჰკლავდა თხას, თუნდაც რომ არ შეეჭამა ის, მაგრამ თხა გადარჩა, ავაზამ კი გადაჭრა ორი ბილიკის შემაერთებელი კუთხე და შემდეგ, როცა მისი ხმა გავიგონე, ის ას იარდზე იყო ჩემგან და ასი იარდით ახლო თავის სასურველთან. ორი ავაზას ხმა თანდათან უახლოვდებოდა ერთმანეთს და ბოლოს შეწყდა. დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ამ ორი ვეებერთელა კატის „კონცერტი“ აღწევდა ჩემამდე, როგორც მე ვვარაუდობდი, იქიდან, სადაც სათიბები თავდებოდა და ხშირი ტყე იწყებოდა.

ავაზები სრულიად უზრუნველად გრძნობდნენ თავს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბნელი ღამე იყო, რადგან ავაზების მოკვლა სასიყვარულო განცხრომის დროს ძალიან ადვილია. იგივე შეიძლება ითქვას ვეფხვებზეც, მაგრამ სპორტსმენი-მონადირე, რომელიც ფეხით დადის ვეფხვების მძებნაობის დროს, სავსებით დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას მართლა სურს მისი დანახვა, რადგან ძუ ვეფხვს და არასოდეს ხვადს — ამ დროს ყნოსვა ზომაზე მეტად აქვს გამახვილებული. ეს კატის ჯიშის ხვადები ხომ ძალიან სასტიკი არიან მძებნაობის დროს და წარმოდგენა არა აქვთ ზომიერებაზე.

გადარჩა დაღუპვას ავაზა ამ ღამესაც. მაგრამ შეიძლება ეს მოხდეს ხვალღამ, ან ზეგ, რადგან მისი დღეები დათვლილია, მისი აღსასრული მოახლოებულია. რაღაც „ხანგრძლივ“ წუთსაც ამასვე ვფიქრობდი ჩემს თავზეც. როდესაც მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა შეარხია ხე და მეც თავდაყირა დამსვა. რამდენიმე წუთს გაოგნებული ვფიქრობდი, რომ ხე ვეღარ გასწორდებოდა, მაგრამ, როცა ქარიშხალი ოდნავ ჩადგა, მეცა და ხემაც მივიღეთ წინანდელი

მდგომარეობა, რომელიც გვუკავა მანამ, სანამ ქარბორბალა წაგვაქცევდა. იმის შიშით, რომ ამას არ მოჰყოლოდა კიდევ რაიმე ხიფათი, წამსვე მივაბი თოფი ხეზე, რათა ხელები გამეთავისუფლებია. შესაძლებელია, ფიქვის ხეს არაერთხელ დასტეხია თავს მძლავრი გრიგალი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი სხეულის სიმძიმე აძლიერებდა ტოტებზე დაწოლას. როცა თოფი საიმედოდ მივამაგრე, გადავედი ერთი ტოტიდან მეორეზე და ხის კენწეროზე მოვექეცი. სანამდისაც ხელები მიმიწვდებოდა, ხეს მოვამტვრიე გარშემო წიწვიანი ტოტები ეს გავაკეთე რაღაც წინასწარი განზრახვით: რაკი ტოტებს მოვატეხდი ხეს, ძლიერი ქარიშხლის შედეგად იგი აღარ დაიზნიქებოდა თავდაყირა მიწაზე. საბედნიეროდ, ფიქვი შედარებით ახალგაზრდა და მოქნილი აღმოჩნდა, და ეტყობოდა, ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული, რადგან ის მთელი საათის განმავლობაში იხრებოდა, კენწეროთი თითქმის მიწას ეხებოდა და ისევ სწორდებოდა.

გრიგალი ისევე მოულოდნელად ჩადგა, როგორც ამოვარდა. ავაზას დაბრუნების იმედი აღარ მქონდა, ამიტომ მოვწიე სიგარეტი, მივბაძე თხას და ძილს მივეცი თავი.

როგორც კი ამოვიდა მზე, კუიმ* გამომაფხიზლა, დაახლოებით თხუთმეტი ფუტის მოშორებით, ხის ქვეშ მიცდიდა გუშინდელი ორი კომპანიონი და მათთან იყო ორი ყმაწვილი მათივე სოფლიდან. დაინახეს, რომ ახალი გაღვიძებული ვიყავი და მკითხეს რა დაემართა ხეს და გაიგონე თუ არა ავაზების ღრიალი, ისინი აღტაცებაში მოვიდნენ, როცა მათ ვუამბე ჩემი „მეგობრული საუბრის“ შესახებ ავაზებთან და რომ უსაქმობის გამო თავს ვიქცევდი ტოტების ტეხვით. შემდეგ ვკითხე, შემთხვევით ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ღამე პატარა ქარი უბერავდა-თქო. ამაზე ერთ-ერთმა ყმაწვილმა მიპასუხა: „პატარა ქარიო, საიბ? ასეთი საშინელი გრიგალი ჩვენში არასოდეს არ ყოფილა. მან ჩემი ქოხი წააქცია“.

მისმა ამხანაგმა დაუმატა: — არაფერია საკარდებელი

---

* სოოეე — კუი — გამყივანი ხმით ძახილია. ჩვეულებრივად ხმარობენ ქვეყნებში, სადაც შამბნარია გავრცელებული. ო

საიბ, შარ-სინგი დიდი ხანია ფიქრობდა გადაეკეთებია თავისი ქოხი; ქარმა მხოლოდ გაანთავისუფლა ის ძველი ქოხის დაშლის ტვირთისგანო.

საშინელებათა ღამე

რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ფიქვის ხეზე მოხდა, მხედველობიდან დავკარგე კაციჭამია. ის აღარ დაბრუნებულა ამ ხეობებით დასერილ ადგილებში. ვეღარ ვნახულობდი როგორც მის, ისე მისი ძუ ავაზას ნაკვალევს, რომელმაც იხსნა ის სიკვდილისაგან ჩემს მიერ ფეხით დავლილ დამუშავებული მიწის ნაკვეთის ზემოთ მდებარე ტყეში. ამ ტყეებში თავს ვგრძნობდი ისე, როგორც სახლში. თუ სადმე ახლო იყო ავაზა, შემეძლო მათი ნახვა, იმიტომ, რომ ტყეში ფრინველები და ცხოველები დამეხმარებოდნენ ამ საქმეში.

ცხადია, ხვადი ავაზას ძებნით შექმნილმა მოუსვენარმა მდგომარეობამ გამოდენა ძუ ავაზა ბუნაგიდან ამ სიშორეზე, ჩემი ძახილი რომ გაიგონა ხიდან. ჩემი დახმარებით ხვადი ავაზასთან შეყრისა და მასთან შეერთების შემდეგ ის „შეუღლესთან“ ერთად გადაიხვეწა თავის რაიონში, საიდანაც მალე ხვადი მარტო უნდა დაბრუნებულიყო. რადგან მარცხენა ნაპირის მცხოვრებლებმა მიიღეს გამაფრთხილებელი ზომები, ამიტომ აქ მისთვის ძნელი იქნებოდა საკბილოს შოვნა და ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მას ეცადა მდინარე ალაკნანდის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა. ამიტომ რამდენიმე დღე რუდრაპრაიაგის ხიდის სადარაჯოზე ვიდექი.

მდინარის მარცხენა ნაპირზე ხიდთან სამი მისასვლელი იყო. ერთი მათგანი იყო სამხრეთიდან მომავალი გზა, რომელიც ხიდის სადარაჯო სახლის ახლო ჩადიოდა. მეოთხე ღამეს გავიგონე, რომ ავაზა ჰკლავდა ჩემთან მეგობრულად განწყობილ დარაჯის ძაღლს. საერთოდ ეს ძაღლი ხშირად ყეფდა, მაგრამ ამ ღამეს მხოლოდ ხუთი წუთის განმავლობაში იყეფა, შემდეგ მოულოდნელად ყეფა გადავიდა წკმუტუნში, რომელსაც მოჰყვა დარაჯის ყვირილი სახლიდან და შემდეგ

კი ჩამოვარდა სიჩუმე. კუნელისა და ეკლიანი ბუჩქებისგან გავწმინდეთ თაღის ქვეშ გასასვლელი, და თუმცა ვიწყენ ისე, რომ ჩახმახისათვის თითი არ მომიშორებია, მთელი ღამე ავაზას ერთხელაც არ უცდია ხიდზე გადასვლა.

მოჰკლა რა ძაღლი და დააგდო გზაზე, ავაზა, როგორც დილას გამოვარკვიე მისი ნაკვალევით, წავიდა კოშკისაკენ. კიდევ რომ ხუთი ნაბიჯი გადაედგა იმ მიმართულებით, რომელზეც მოძრაობდა, ის მივიდოდა ხიდთან, მაგრამ ეს ხუთი ნაბიჯი მან აღარ გადადგა. ამის ნაცვლად მან მარჯვნივ გადაუხვია, მცირე მანძილი რომ გაიარა ბილიკზე ბაზრის მიმართულებით, დაბრუნდა და გაემართა მლოცველების გზით ჩრდილოეთისაკენ. მივყევი მის ნაკვალევს კვალდაკვალ ერთ მილზე და შემდეგ დავკარგე ის.

ორი დღის შემდეგ მოვიდა ცნობა, გასულ ღამეს მლოცველთა გზაზე შვიდი მილის მოშორებით ავაზას მოეკლა ძროხა. ეჭვი ჰქონდათ, რომ ის კაციჭამიამ მოჰკლა, რადგან გასულ ღამეს, სწორედ იმ ღამეს, როცა ძაღლი იქნა მოკლული, — ის ცდილობდა იმ სახლის კარის გატეხას, რომლის ახლოც მეორე ღამეს მოკლულ იქნა ძროხა.

გზაზე შემხვდა ხალხი, რომელიც მიცდიდა. იცოდნენ, რომ ფეხით მგზავრობა რუდრაპრაიაგიდან სიცხეში მომქანცველი იქნებოდა, ძალზე გონივრულად მოქცეულიყვნენ და ცხელი ჩაი მოემარაგებიათ. სანამ ჩვენ მანგოს ხის ჩრდილში ვისხედით და თამბაქოს ვაბოლებდით, — მე კიდევ დავლიე ერთი ჭიქა ჩაი, — მაცნობეს, რომ გასულ საღამოს კიდევ ერთი ძროხა არ დაბრუნებულიყო ჯოგთან ერთად. როცა დილას ძროხა მოიძებნეს, მისი ლეში ნახეს მდინარესა და გზას შორის. მათ მიამბეს აგრეთვე იმ მრავალი შემთხვევის შესახებ, როცა თითოეული მათგანის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა კაციჭამიასთან შეხვედრის დროს ამ რვა წლის განმავლობაში. მაინტერესებდა გამეგო, ავაზამ თავისი ახლანდელი ზნე სახლის კარების გატეხისა — და ბევრ შემთხვევაში წარმატებით — მხოლოდ სამი წლის წინათ შეითვისა, როცა საცხოვრებელ სახლებს გარეთ ადამიანებზე თავდასხმით კმაყოფილდებოდა, თუ იმ შემთხვევაში, როცა კარები ღია რჩებო-

დათ. — ახლა, — ამბობდნენ ისინი, — შაითანი ისეთი გამბედავი გახდა, რომ ხანდახან, როცა ვერ ახერხებს კარის გატეხას, ის აკეთებს ხვრელს კედლის ძირას და ასე აღწევს თავის მსხვერპლამდეო.

ის, ვინც არ იცნობს ჩვენს მთიელებს ან არ იცის ამ ხალხის შიში ყოველგვარი ზებუნებრივის წინაშე, არ დაიჯერებს, რომ ეს ცნობილი ხალხი, რომელიც გამბედაობით ბრძოლის ველზე მხოლოდ უმაღლეს ჯილდოებს იმსახურებს. როგორ აძლევს ავაზას კარის გატეხის ან თავისი სახლის კედლებში ხვრელის გაკეთების საშუალებას, როცა შინ მეტწილად მამაკაცები ნაჯახებით, მოღუნული დანებითა და ზოგჯერ ცეცხლსასროლი იარაღითაც კი არიან შეიარაღებულნი.

ამ ხანგრძლივი რვა წლის მანძილზე მე ვიცი მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა კაციჭამიას წინააღმდეგობა გაუწიეს და ამ შემთხვევაშიც ქალმა გამოიჩინა სიმამაცე. მას ღიად დარჩენილ ქოხში მარტო ეძინა. ეს კარი იღებოდა შიგნიდან. ქოხში შესვლისას ავაზამ პირი სტაცა თავის მსხვერპლს მარცხენა ფეხში. იმ დროს, როცა კაციჭამია მიათრევდა ქალს ქოხიდან, იგი არ დაიბნა, ხელი დასტაცა ბზის საკეპ დანას და დაარტყა ავაზას. მან არ შეუშვა კბილები ქალს და ნადავლს გარეთ მიათრევდა. მაშინ ქალმა შესაძლოა თვითონ მიხურა კარი, ან შემთხვევით მოხდა ეს. ასე იყო თუ ისე, ქალი აღმოჩნდა კარის ერთ მხარეზე, ავაზა კი მეორეზე. მხეცმა მთელი ძალღონე მოიკრიბა და უბედურ ქალს წვივი წააგლიჯა.

მუკანდი ლალი გარვალის გაერთიანებული პროვინციების საკანონმდებლო საბჭოს დეპუტატი, რომელიც ამ დროს იმყოფებოდა წინა საარჩევნო მოგზაურობაში, მოვიდა სოფელში სწორედ მეორე დღეს და ღამე გაათია ამ ქოხში. მაგრამ ავაზა არ გამოჩენილა. საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში მუკანდი ლალი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში სამოცდათხუთმეტი კაცი იქნა მოკლული ავაზას მიერ და თხოვდა მთავრობას, გადამჭრელი ზომები მიეღოთ კაციჭამიას მოსასპობად.

ერთი გლეხის თანხლებით, რომელიც მადხო სინგთან ერთად მეგზურობას მიწევდა, გავეშურე ლეშისკენ. ძროხა მოკ-

ლული იყო ხევში გზიდან ოთხი მილის და მდინარიდან ასი იარდის დაშორებით. ხევის ერთი მხარე დაფარული იყო სალი კლდეებითა და შიგადაშიგ გამორეული ხშირი შამბნარით, მეორე მხარეს იზრდებოდა რამდენიმე საშუალო ზომის ხე; არც ერთი მათგანი არ იყო ისეთი მაღალი, რომ მასზე სახუნდარი მომეწყო. ხეების ქვეშ, ლეშიდან დაახლოებით ოცდაათ იარდზე აღმართული იყო კლდე, ძირში პატარა ღრმულით, და იქ გადავწყვიტე ჩასაფრება.

მადხო სინგი და გლეხი მიწაზე ჩასაფრების გადაჭრით წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ რადგან ეს იყო ავაზას მიერ მოკლული პირველი ლეში, რომელიც ვნახე რუდრაპრაიაგიდან ჩამოსვლის შემდეგ და ისიც ისეთ ადგილას, სადაც სრულიად საფუძვლიანი იყო ცდა, რომ ის გამოჩნდებოდა ადრე, მზის ჩასვლისას, ამიტომ არ მივიღე მხედველობაში მათი რჩევა და ორივე უკან გავაბრუნე სოფელში.

ჩემი საფარი მშრალი და მოხერხებული იყო. ვიჯექი ზურგით კლდეზე მიყრდნობილი, ფეხები პატარა ბუჩქებში მქონდა დამალული, დარწმუნებული ვიყავი, რომ ავაზა ვერ დამინახავდა და მოვკლავდი მანამ, სანამ ის შემამჩნევდა. მე თან წამოვიღე ჯიბის ელექტროფარანი, დანა, მუხლებზე მედო ჩემი განუყრელი თოფი და ვგრძნობდი, რომ ამ მყუდრო კუთხეში ავაზას მოკვლის შანსები უფრო მეტი იყო, ვიდრე ყველა ის, რომელიც აქამდე გამოცდილი მქონდა.

გაუნძრევლად ვიჯექი მთელი საღამო და ჩემს წინ კლდეებს მივჩერებოდი. თითოეული წუთი სულ უფრო აახლოვებდა იმ მომენტს, როცა ავაზა მშვიდად და მიამიტად აუცილებლად დაუბრუნდებოდა თავის ნადავლს.

ჩემი სავარაუდო დროც დადგა... ჩემგან ახლო მდებარე საგნები გაბუნდოვანდა და გაურკვეველი გახდა. ავაზა ცოტას იგვიანებდა, მაგრამ მე ეს არ მაწუხებდა, რადგან თან მქონდა ელექტროფარანი, ლეში კი ჩემგან სულ ოცდაათი იარდის მანძილზე იყო; სიფრთხილეა საჭირო გასროლის დროს, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მიზანში მოვახვედრებ, რათა საქმე არ მქონდეს შემდეგში დაჭრილ ცხოველთან.

ღრმა ხევში სრული სიჩუმე სუფევდა. მცხუნვარე მზეს

ისე გაეხმო ჩამოცვენილი ფოთლები, რომ ბრელოდ გადაექ-ცია. ეს საწილობრივ მამშვიდებდა, რადგან ბნელოდა და თუ აქამდე ჩემი თვალების იმედი მქონდა ახლა მთლიანად დამოკიდებული ვიყავი სმენაზე, ცერი მუდამ ჯიბის ფარნის კნოპზე მედო, საჩვენებელი თითი კი — თოფის ჩახმახზე და მზად ვიყავი მესროლა თოფი ყოველ მხარეს, საიდანაც კი ფაჩუნს გავიგონებდი.

ავაზა არა და არ ჩანდა, ამან არასასიამოვნო გრძნობა გამიღვიძა — ცუდ გუნებაზე დამაყენა. შესაძლებელია, რომ კლდეებს შორის რომელიმე ფარული ადგილიდან ის თვალს არ მაშორებდა და ახლა ნერწყვს ულაპავდა იმის მოლოდინში, თუ როგორ ჩამასობს კბილებს ყელში? ავაზას დიდი ხანია ადამიანის ხორცისთვის კბილი არ გაეკრა. სხვა არაფრით არ შემეძლო ამეხსნა მისი ამდენი ხნით დაგვიანება და თუ ბედი გამიღიმებდა და ამ ხეობიდან ჩემი ფეხით გავიდოდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყურები მომემსახურა ისე, როგორც არასდროს.

რამდენიმე ხნის განმავლობაში, რომელიც საათებად მეჩვენა, სმენად ვიყავი გადაქცეული; თანდათან ბნელდებოდა. ავწიე თავი და დავინახე, რომ მძიმე ღრუბლების ჯარმა ცა დაფარა და ერთიმეორის მიყოლებით ჩაქრო ვარსკვლავები. მალე წვიმის მძიმე წვეთები წამოვიდა და იქ, სადაც აბსოლუტური სიჩუმე იყო, ყველაფერი ამოძრავდა და ახმაურდა. შემთხვევა, რომელსაც ავაზა ელოდა, დადგა. სწრაფად გავიხადე პიჯაკი, შემოვიხვიე კისერზე და მაგრად შევისკვენი სახელოებით. ახლა თოფი უსარგებლო იყო, მაგრამ შეეძლო დამხმარებოდა თავდასხმის შემთხვევაში, ამიტომ გადავიტანე ის მარცხენა ხელში, მარჯვენა კი მაგრად ჩავჭიდე ქარქაშიდან ამოღებულ დანას. აფრიდის ტომი ამ დანას „გამგმირავ ხანჯალს“ უწოდებს. ნამდვილად მქონდა იმედი, რომ ის ისეთსავე კარგ სამსახურს გამიწევდა, როგორც თავის წინანდელ პატრონს. როცა მე მას ვყიდულობდი ხანგუს ჩრდილოდასავლეთ საზღვარზე სახელმწიფო საწყობში, მაზრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ყურადღება მიმაქცევინა ქედზე. ტარზე სამი ნაჭდევი იმას ნიშნავდა, რომ ამ დანით მოკლუ-

ლია სამი. თქმა არ უნდა, საზიზღარი რელიქვიაა, მაგრამ მაინც მიხაროდა, რომ ის თან მქონდა და მაგრად ვუჭერდი ხელს, წვიმა კი განუწყვეტლივ ასხამდა და ასხამდა.

იმ ავაზებს, რომლებიც ჩვეულებრივ ტყეებში ცხოვრობენ, არ უყვართ წვიმა და აუცილებლად ეძებენ თავშესაფარს. მაგრამ კაციჭამია არ იყო ჩვეულებრივი ავაზა, ამიტომ ძნელი სავარაუდო იყო, თუ რა მოეწონებოდა და რა არა ავაზას, ან რის გაკეთებას მოისურვებდა.

მადხო სინგი უკან რომ ბრუნდებოდა, მკითხა, რამდენ ხანს ფიქრობ საფარში ჯდომასო, მე ვუპასუხე: „სანამ ავაზას არ მოვკლავ-თქო“, მაგრამ არც მქონდა მისი დახმარების იმედი, დახმარება კი ამ დროს ძალიან მჭირდებოდა. გავდგომოდი გზას თუ ადგილზე დავრჩენილიყავი — ამ კითხვებს ვაქლევდი სულ ჩემ თავს, მაგრამ ერთიცა და მეორეც შეუსაბამოდ მეჩვენებოდა. თუ ავაზას აქამდე არ დაუნახივარ, ახლა სისულელე იყო ჩემი ადგილსამყოფელის გაცემა და პირდაპირ მის კლანჭებში მოხვედრა ქვიან ნიადაგზე მოძრაობის დროს, რომელზეც უნდა გამევლო მლოცველთა გზაზე მისვლამდე. მეორეს მხრივ ადგილზე დარჩენა კიდევ ექვს საათს, ყოველწუთს იმის მოლოდინში, რომ სიცოცხლის დაცვა მომიხდებოდა ნაკლებნაცადი იარაღით, მიქმნიდა ისეთ ნერვიულ დაძაბულობას, რომლის გადატანა აღარ შემეძლო. ამიტომ წამოვდექი, გადავიკიდე თოფი მხარზე და გამოვედი საფარიდან. შორს არ ვიყავი წასასვლელი, ხუთასი იარდი თუ იქნებოდა, მაგრამ გზის პირველი ნახევარი იყო სველი თიხნარი. მეორე ნახევარი კი — ადამიანების შიშველი ფეხებითა და პირუტყვის ჩლიქებით გატკეპნილი შარაგზა. მეშინოდა ელექტროფარნის ანთება, რომ კაციჭამიას ყურადღება არ მიმეპყრო. ცალ ხელში თოფი მეჭირა, მეორეში კი დანა და სხეულით ისევე ხშირად ვეხებოდი მიწას, როგორც ფეხებით რეზინისძირებიანი ფეხსაცმელებით. როგორც იქნა, მივაღწიე გზამდე და რამდენადაც შეიძლებოდა, ხმამაღლა დავიყვირე გამყივანი ხმით ღამის სიბნელეში. ერთი წუთის შემდეგ დავინახე — მაღლა მთაზე, სადაც სოფელი იყო, გაიღო კარი და თავის

თანამგზავრით გამოჩნდა მადხო სინგი, რომელსაც ფარანი მოჰქონდა.

როდესაც ისინი გამისწორდნენ, მადხო სინგმა მითხრა, რომ ის არ წუხდა ჩემზე მანამ, სანამ წვიმა არ წამოვიდა, შემდეგ კი აენთო ფარანი, სმენად გადაქცეული, კართან დამჯდარიყო. ორივემ გამოთქვა რუდრაპრაიაგამდე ჩემი გაცილების სურვილი, ამიტომ დავადექით შვიდმილიან გზას — ბაჩი სინგი წინ მიდიოდა, მადხო სინგი, ფარნით ხელში, უკან მიჰყვებოდა, მე კი ბოლოში მივდიოდი. მეორე დღეს აქ რომ დავბრუნდი, ვნახე ძროხის ლეში ხელუხლებელი იყო, გზაზე კი ჩანდა კაციჭამიას ნაკვალევი. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა კაციჭამიას, რომელიც უკან მოგვდევდა, ჩვენთან მოახლოებამდე.

როცა მახსენდება ეს ღამე, ვიგონებ მას, როგორც საშინელებათა ღამეს. ბევრჯერ ვყოფილვარ შეშინებული, მაგრამ ასე არასოდეს დავმფრთხალვარ, როგორც ამ ღამეს, როცა მოულოდნელად წამოსულმა წვიმამ სავსებით მომისპო თავდაცვის საშუალება და ხანჯლის ამარა დამტოვა.

ავაზა ებრძვის ავაზას

ავაზა კვალდაკვალ მოგვყვებოდა რუდრაპრაიაგამდე. ის ჯერ დაეშვა მლოცველთა გზაზე, გაიარა გოლაბრაი, აჰყვა ხევს, სადაც რამდენიმე დღით ადრე იყო, და დაადგა ქვებით მოკირწყლულ ბილიკს, რომლითაც, როგორც მოკლე გზით ხარდვარდამდე და უკან, სარგებლობდა რუდრაპრაიაგის აღმოსავლეთით მდებარე მთებში მცხოვრები ხალხი.

მომლოცველობა კედარნატხსა და ბადრინატხში სეზონური მოვლენაა: მისი დასაწყისი და ხანგრძლივობა თოვლიანი მთების მაღალ რაიონებში, სადაც ეს ტაძრებია, დამოკიდებულია ერთ შემთხვევაში თოვლის მოსვლაზე, მეორეში—თოვლის დნობაზე. ბადრინატხის ტაძრის უმაღლეს ქურუმს რამდენიმე დღის წინათ გაეგზავნა დეპეშა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ მთელ ინდოეთში, და ეცნობებია, რომ გზა გახსნი-

ლია; და რამდენიმე დღის განმავლობაში მლოცველები პატარა ჯგუფებად მიდიოდნენ რუდრაპრაიაგზე გავლით.

არც ისე დიდი ხნის წინათ კაციჭამიამ გზაზე მოჰკლა რამდენიმე მლოცველი და გეგონებოდათ, ასეთი მოქმედება მისთვის ჩვეულებრივ საქმიანობად იქცაო. როგორც კი დაიწყებოდა მომლოცველობა, ის დაეშვებოდა ქვევით-გზაზე რუდრაპრაიაგიდან თხუთმეტი კილომეტრის მოშორებით და მთელ უნარსა და ძალ-ღონეს არ ზოგავდა,—დაძრწოდა რუდრაპრაიაგიდან აღმოსავლეთით მდებარე სოფლების გარშემო. დრო, რომელსაც ართმევდა ამ გზებზე ხეტიალი, იცვლებოდა, მაგრამ საშუალოდ ხუთ დღეში ერთხელ ვნახულობდი მის ნაკვალევს მთელ გზაზე რუდრაპრაიაგსა და გოლაბრაიზ შორის, ამიტომ, როცა უკან ვბრუნდებოდი ინსპექციის ბუნგალოში, ყოველთვის ვარჩევდი ადგილს, საიდანაც შემეძლო თვალი მედევნებია გზისათვის, და მომდევნო ორ ღამეს დიდი კომფორტით მოვეწყვე თივის ზვინში, თუმცა არც ავაზა დამინახავს და არც მისი ხმა გამიგონია.

ორი დღეა, რაც არავითარი ცნობა არ მიმიღია შორეული სოფლებიდან კაციჭამიას შესახებ. მესამე დილას ექვსი მილი გავიარე ქვევით მლოცველთა გზაზე, რომ გამომერკვია, იყო თუ არა ავაზა ამ ხნის განმავლობაში ამ მიმართულებით სოფლებში. თორმეტი მილის ფეხით გავლის შემდეგ დავბრუნდი შუადღეზე და დაგვიანებით მეორე საუზმეს შევექცეოდი, რომ მოვიდა ორი კაცი, რომლებმაც გვაცნობა — გასულ ღამეს რუდრაპრაიაგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით თვრამეტი მილის მანძილზე მდებარე სოფელში კაციჭამიას ბიჭი მოეკლა.

იბოტსონის მიერ შემოღებული ინფორმაციის სისტემა შესანიშნავად მუშაობდა. ამ სისტემის შკალის მიხედვით ნაღდ ჯილდოს აძლევდნენ იმას, ვინც მკვლელობის ყოველ შემთხვევას აცნობებდა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც კაციჭამია მოქმედებდა. ეს ჯილდოები იწყებოდა ორი რუპიიდან თხის მოკვლის შეტყობინებაში და ადიოდა ოც რუპიამდე ადამიანის მოკვლის ცნობაში. ასეთი ანაზღაურება იწვევდა გაშმაგებულ მეტოქეობას, და ამგვარად დარწმუნებული ვიყავით, მოკლე დროში ცნობებს მივიღებდით.

როცა თითოეულ ამბის მომტანს ათ-ათი რუპია მივეცი, ერთმა მათგანმა შემომთავაზა ბხენსვარამდე გაცილება და გზის ჩვენება, მეორემ კი მითხრა, რომ ღამის გასათევად რუდრაპრაიაგში დარჩებოდა, რადგან ცოტახნის წინათ ავად იყო ციებცხელებით და ვერ აიტანდა უკან დაბრუნებისას თვრამეტი მილის გავლას. საუზმე დავამთავრე და ამასობაში მაცნემაც მიამბო ყველაფერი, რაც მოხდა. დღის პირველი საათი არ იქნებოდა, რომ გავუდექი გზას, თან წავიღე თოფი, ცოტაოდენი ვაზნები და ჯიბის ელექტროფარანი. როცა გადავკვეთეთ გზა ინსპექციის ბუნგალოს ახლო, და მის მოპირდაპირე მხარეზე შევუდექით ციცაბო კლდეზე ასვლას, ჩემმა თანამგზავრმა მითხრა, რომ მოგვიხდებოდა დიდი მანძილის გავლა და საკმაოდ საშიში იქნებოდა დაღამებისას გარეთ დარჩენა. ამიტომ ვუბრძანე წასულიყო წინ იმ სისწრაფით, რომელიც მას მიაჩნდა საჭიროდ, რათა დროზე მიგვეღწია მიზნისათვის. რამდენადაც მახსოვს, არასოდეს საჭმლის ჭამის შემდეგ იმ წამსვე არ ავსულვარ მთაზე, მაგრამ ახლა არჩევანის დრო არ მქონდა. პირველი სამი მილი ისე გავიარეთ ოთხი ათასი ფუტის სიმაღლეზე ასვლის დროს, რომ მე ვერ ვეწეოდი ჩემს მეგზურს. სამი მილის გავლის შემდეგ გავედით შედარებით სწორ მოედანზე, სადაც შემეძლო სულის მოთქმა და თავისუფლად მოძრაობა, შემდეგ ფეხდაფეხ მივყვებოდი ჩემს გიდს.

ის ორი კაცი, — რომლებმაც რუდრაპრაიაგის გზაზე ბიჭის დაღუპვის ამბავი მაცნობა,—ეუბნებოდა სოფლის მცხოვრებლებს, რომ მათ განზრახული აქვთ დამარწმუნონ, დავბრუნდე მათთან ერთად უკან ბხენსვარში. არა მგონია, რომ ვინმეს ეპვი ეპარებოდა ჩემში, რადგან ყოველ სოფელში მთელი მოსახლეობა მხვდებოდა და ერთნი ლოცვითა და კურთხევით მისტუმრებდნენ, მეორენი კი მთხოვდნენ არ მიმეტოვებია მათი სოფელი, სანამ მტერი არ იქნებოდა მოკლული.

ჩემი თანამგზავრი მარწმუნებდა, რომ ჩვენ გასავლელი გვქონდა თვრამეტი მილი; იმის მიხედვით, თუ როგორ ავდიოდით ერთი მწვერვალიდან მეორეზე და ამ გადასვლების დროს როგორ გვიხდებოდა ღრმა ხევებში ჩასვლა, ანგარიშს

ვაძლევდი ჩემს თავს, რომ დროის მოგების მიზნით უნდა გამეევლო ყველაზე უფრო მძიმე და გრძელი გზა, ყველა იმ გზებიდან, რომლებიც ოდესმე გამივლია. მზე ჩასასვლელად ემზადებოდა, როცა გადაჯაჭვული მთების ერთ ქედზე ჩემგან რამდენიმე ასეულ იარდზე თხემზე ხალხი დავინახე. მათ შორის იყო ბხენსვარის მამასახლისიც. მისალმების შემდეგ მან გასამხნევებლად მითხრა, რომ სოფელი მთის მეორე მხარეზეა და ჩემი შვილი თქვენს მისვლამდე ჩაის მოსამზადებლად გავგზავნეო.

1926 წლის 14 აპრილი დიდ ხანს ემახსოვრება გარვალის ხალხს, რადგან ამ დღეს რუდრაპრაიაგის კაციჭამია ავაზამ სიცოცხლეს გამოასალმა თავისი უკანასკნელი მსხვერპლი. ამ დღეს საღამოს ერთი ქვრივი თავისი ორი ბავშვით — ცხრა წლის გოგონათი, თორმეტი წლის ვაჟით, და აგრეთვე მეზობლის რვა წლის ბიჭის თანხლებით წავიდა სოფელ ბხენსვარიდან რამდენიმე იარდის მოშორებით პატარა ნაკადულზე, რომ წყალი მოეტანა ვახშმის მოსამზადებლად.

ქვრივი თავისი ბავშვებით ცხოვრობდა სახლში, რომელიც სხვა შენობებს შორის მდებაროებდა. ამ ორსართულიან სახლებში ქვედა, დაბალჭერიანი სართული გამოყენებული იყო მარცვლეულისა და სათბობი მასალის საწყობად, ზედა კი საცხოვრებლად. შენობის მთელ სიგრძეზე გადიოდა ოთხი ფუტი სიგანის აივანი, რომელზეც შეიძლებოდა მოხვედრილიყავით ეზოდან თუ მეზობელი სახლების კედლებს შორის გაკეთებულ ქვის კიბის საფეხურებს აყვებოდით. ამგვარად, ერთიდაიმავე კიბით ორი ოჯახი სარგებლობდა. სამოცი ფუტი სიგანისა და სამასი ფუტი სიგრძის მოკირწყლული ეზო შემოღობილი იყო დაბალი კედლით.

ოთხივე კიბის საფეხურებს მიუახლოვდა, თანაც მეზობლის ბიჭი წინ მიდიოდა. ის იყო ბიჭმა ფეხი შედგა კიბეზე, რომ კიბის საფეხურებზე მიკრული ქვედა სართულის კარღია ოთახში დაინახა ცხოველი, რომელიც შეცდომით ძაღლი ეგონა. მას ამის შესახებ არაფერი უთქვამს, სხვებს კი, როგორც ჩანს, არაფერი შეუმჩნევიათ. ბიჭს უკან მოჰყვებოდა გოგონა, შემდეგ ქვრივი, მისი ბიჭი უკან მოდიოდა. ქვრივს უკვე ნახე-

ვარი კიბე ავლილი ჰქონდა, რომ გაიგონა კიბის საფეხურებზე დაცემული და ძირს ჩამოყრილი მძიმე სპილენძის ჭურჭლის ხმაური, რომელიც ბიჭს მოჰქონდა. ქალმა უსაყვედურა შვილს დაუდევრობა, დადგა აივანზე დოქი, რომელიც მას მოჰქონდა და მობრუნდა, რომ დაენახა, რა ჩაიდინა შვილმა. კიბის ბოლოში მიწაზე მან დაინახა გადაბრუნებული ჭურჭელი. ქვრივი ჩავიდა ქვევით, აიღო ჭურჭელი და შემდეგ მიმოიხედა. ის ეძებდა შვილს, რადგან ვერსად ვერ მოჰკრა ბიჭს თვალი. ქვრივმა იფიქრა, შეეშინდა ბავშვს დატუქსვის და გაიქცაო. მაშინ დაიწყო მან ძახილი.

ახლო მეზობლებმა გაიგონეს კიბეზე დაგორებული ჭურჭლის ხმაური და დედის ძახილი რომ შემოესმათ, გარეთ გამოცვივდნენ და იკითხეს რა მოხდაო. ფიქრობდნენ, ალბათ ბიჭი ქვედა სართულის რომელიმე ოთახში დაიმალა და რადგან იქ უკვე ბნელოდა, ერთმა კაცმა აანთო ფარანი და ჩავიდა ქვევით ქალთან. იქ, სადაც ეს ქალი იდგა, ქვის ფილაზე მან სისხლის წვეთი შეამჩნია. მისი შეშფოთებული ხმა რომ გაიგონეს, მეზობლები ჩავიდნენ ეზოში. მათ შორის იყო ერთი მოხუცი, რომელიც თან დაყვებოდა თავის ყოფილ პატრონს ბევრ სამონადირეო ექსპედიციაში. მოხუცმა გამოართვა ფარანი პატრონს და გაჰყვა სისხლიან ნაკვალევს ეზოში და გადავიდა დაბალ ღობეზე. ღობის გადაღმა იწყებოდა პატარა დალმართი ბატატის ყანისაკენ; აქ რბილ მიწაზე ჩანდა ავაზას თათების უსწორმასწორო ანაბეჭდები. ამ მომენტამდე არავის არ ეგონა, რომ ბიჭს კაციჭამია მოიტაცებდა, თუმცა მანამდე თითოეულ მცხოვრებს გაგონილი ჰქონდა მის შესახებ, მაგრამ აქ, ათ მილზე ამ სოფლიდან ერთხელაც არ მომხდარა ასეთი რამ. როგორც კი ნათელი გახდა ყველასათვის, რაც მოხდა, ქალებმა გულშემზარავი კივილი მორთეს, მამაკაცები სახლებში გაიქცნენ დოლებისათვის, ზოგმა ხელი დასტაცა თოფს — სოფელში სულ სამი თოფი იყო — და რამდენიმე წუთის შემდეგ ატყდა წარმოუდგენელი გნიასი. მთელი ღამე სცემდნენ დოლს და ისროდნენ თოფებს. როცა გათენდა, ბიჭის გვამი ნახეს და რუდრაპრაიაგში გაგზავნეს ორი კაცი, რომ ჩემთვის ეცნობებიათ.

სოფელს რომ მივუახლოვდი, მიცვალებულის მოტირალი ქალების კვნესა და ქვითინი გავიგონე, მსხვერპლის დედა პირველი მომესალმა. ჩემისთანა გამოუცდელი კაცისათვისაც კი ნათელი იყო, რომ დაკარგული შვილის დედას გული შეუღონდა, შაგრამ, რადგან მე არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან, ამიტომ შემაფიქრიანა იმ ამბავმა, თუ როგორ გადამედო გუშინ საღამოს მომხდარი ამბის მოყოლა. მაგრამ დედა აღგზნებული იყო სურვილით ახლავე ეცნობებია ჩემთვის თავისი ვარამი მომხდარი ამბის შესახებ. ამიტომ მივეცი მას ამის შესაძლებლობა. ქალი ისე ამიწერდა ამბავს, რომ მისი განზრახვა წამსვე ნათელი გახდა ჩემთვის — მას სურდა ელაპარაკა ჩემთვის თავის უბედურებაზე და ბრალი დაედო სოფლის მამაკაცებისათვის: ისინი არ დაედევნენ ავაზას კვალდაკვალ და არ გადაარჩინეს მისი შვილი, „რასაც გააკეთებდა მამამისი, რომ ის ცოცხალი ყოფილიყო“. მე ვუთხარი, რომ მის მიერ მეზობლებისათვის ბრალის დადება არ არის სამართლიანი ისევე, როგორც რწმენა იმისა, რომ შეიძლებოდა შვილის გადარჩენა. როგორც კი ავაზა ბიჭს ყელში ჩააფრინდებოდა, მტაცებლის ეშვები კისერს გადაუგრეხდა და სანამ იგი ეზოში გაათრევდა მას, ბიჭი უკვე მკვდარი იქნებოდა, და არცერთ ამ მამაკაცს ან სხვა ვინმეს არაფრის გაკეთება არ შეეძლო-მეთქი.

ვიდექი ეზოში და ვსვამდი ჩემთვის წინასწარ ძალიან გონივრულად მორთმეულ ჩაის. თან მივჩერებოდი გარშემო შეკრებილ ასზე მეტ ადამიანს და ვერ წარმომედგინა, როგორ მოხდა, რომ ასეთი მსხვილი ცხოველი დღის სინათლეზე ეზოში შეუმჩნევლად შემოვიდა იმ დროს, როცა აქ განუწყვეტელი ხალხის მოძრაობაა ან რატომ არ ატეხეს განგაში სოფლის ძაღლებმა.

დავეშვი ქვევით რვაფუტიანი სიმაღლის კედლიდან, რომლიდანაც გადახტა ავაზა გატაცებული ბიჭით და გავყევი მხეცის ნაკვალევს ბატატის ყანაში, შემდეგ გადავედი კიდევ ერთ თორმეტფუტიანი სიმაღლის კედელზე და ისევ ყანაში გავედი. ამ მეორე ყანის განაპირას იყო ხვიარა ვარდის ოთხი ფუტის სიმაღლის ცოცხალი ღობე. აქ ავაზამ შეუშვა

ბიჭის ყელს კბილები, შემდეგ მოძებნა გასაძრომი ღობეში და როცა ვერ ნახა ის, კვლავ დასტაცა პირი თავის მსხვერპლს წელში, გადახტა ღობეზე და დაეშვა მეორე მხარეს მიწაზე ათი ფუტის სიმაღლიდან. ამ მესამე კედლის ძირთან გადიოდა პირუტყვის გასადენი ბილიკი. ავაზამ გაიარა პატარა მანძილი და ამ დროს ატყდა სოფელში განგაში. მაშინ ავაზამ დააგდო ბიჭი ბილიკზე, თვითონ კი დაეშვა ქვევით მთიდან. მსხვერპლთან მიბრუნებას მთელი ღამის განმავლობაში ხელს უშლიდა დოლების ხმაური და თოფების სროლა.

გასაგები იყო შემდგომი მოქმედების გეგმა: უნდა მიმეტანა ბიჭის გვამი იქ, სადაც ის დააგდო ავაზამ და იქვე ჩავსაფრებოდი, მაგრამ აქ წავაწყდი ორ დაბრკოლებას — ჩასაფრებისათვის შეუფერებელ ადგილს და ჩემს წინასწარშეგონებას იმის წინააღმდეგ, რომ მომეწყო საფარი მოუხერხებელ ადგილას.

ყველაზე მახლობელი ფოთლებშემოძარცული კაკლის ხე სამას იარდზე იყო და მაშასადამე, არ გამოდგებოდა. მეორე მხრივ, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ არ შემწევდა გამბედაობა მიწაზე ჩასაფრებისათვის. მზის ჩასვლისას მივედი სოფელში; ჩაის სმას, დედის ნაამბობსა და ავაზას დევნას ბევრი დრო არ წაურთმევია, მაგრამ თავშესაფრის ასაგებად, რომელიც თავდასაცავის მსგავსი იქნებოდა, დღის სინათლე აღარ შეყოფოდა. მაშასადამე, თუ მიწაზე აწყობ საფარს, სულ ერთია, სადაც იქნება ის; რადგან არ იცი, რომელი მხრიდან გეწვევა ავაზა, ერთი რამ კი იცი კარგად, რომ თუ ის განიზრახავს თავდასხმას, არ ეექნება საშუალება იხმარო ერთადერთი ნაცნობი იარაღი — შენი თოფი, რადგან როცა საქმე გაქვს უშუალოდ დაუჭრელ ვეფხვთან ან ავაზასთან, მაშინ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარება შეუძლებელია.

გულდასმით რომ დავათვალიერე გარემო, ავწონ-დავწონე პირობები და დავბრუნდი ეზოში. მამასახლისს ვთხოვე ძალაყინი, ხის მაგარი პალო, ჩაქუჩი და ძაღლის დასაბმელი ჯაჭვი. ძალაყინით ავწიე შუაგზაში ქვის ერთი ფილა, მაგრად ჩავასვი მიწაში პალო და მასზე დავამაგრე ჯაჭვი. შემდეგ მა-

მასახლისის დახმარებით მივიტანე იქ ბიჭის გვამი და ჩამოვაცვი ჯაჭვი.

უხილავი, უმაღლესი ძალის განგება, თითოეულის სიცოცხლის ზღვარის დამდგენი, ერთნის მიერ ბედისწერად, მეორენის მიერ კი ყისმათად წოდებული — მიუწვდომელია. გასული რამდენიმე დღის განმავლობაში, ამ ძალამ, დაადგინა ერთი მარჩენალის სიცოცხლის ვადა და დატოვა ოჯახი დიდ გაჭირვებაში; წამებით გამოასალმა სიცოცხლეს მოხუცი ქალბატონი, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე მძიმე შრომის შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ იცხოვრებდა კარგად და მშვიდად, ახლა კი სრულებით გადაჭრა ამ ბიჭის სიცოცხლის ძაფი, რომელსაც, როგორც ჩანდა, თავისი ქვრივი დედა დიდი მზრუნველობით ზრდიდა. და რა გასაკვირია, რომ დედა, რომელსაც შვილი მოუკლეს, ისტერიული შეტევების შემდეგ ტირილით იმეორებდა: „ოჰ, პარმეშვარ*, რა დანაშაული ჩაიდინა ჩემმა შვილმა, რომელიც ყველას უყვარდა, რომ თავისი სიცოცხლის ზღვარზე ასეთი საშინელი სიკვდილი დაიმსახურა?“.

სანამ ქვის ფილის დამტვრევას შევუდგებოდი ეზოში, დედასა და მის ქალიშვილს წინადადება მივეცი გადახიზნულიყვნენ ქუჩის ბოლოს მეორე ოთახში. სამზადისი დავამთავრე, ნაკადულში პირი დავიბანე, და მოვითხოვე ცოტა ბზე, რომელიც გავშალე აივანზე ქვრივის სახლის კარის წინ. და აი, დაღამდა. ყველას ვთხოვე ღამის განმავლობაში დაეცვათ სიჩუმე, რამდენადაც ეს მათთვის შესაძლებელი იქნებოდა, გავგზავნე ისინი სახლებში და მე დავიკავე აივანზე პოზიცია, იატაკზე გავიშიმე და მკერდით ბზეზე დავეყრდნე. ასე შემეძლო თვალი მედევნებინა მიცვალებულის გვამისათვის და დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ავაზა ადვილად ვერ დამინახავდა.

გული მიგრძნობდა, რომ, მიუხედავად წინა ღამეს ატეხილი ხმაურისა, ავაზა ვერ ნახავდა თავის მსხვერპლს იქ, სადაც

---

* პარმეშვარი ანუ პარამეშვარი — ღმერთის საერთო სახელწოდებაა — უფალი, ღმერთი.

ის დატოვა და მოვიდოდა სოფელში ახალი ნადავლისათვის. ნადავლის ადვილად გატაცება, რომელიც მან მოახერხა ბხენსვარში, წააქეზებდა მას კიდევ ერთხელ გაემეორებია ის; დავიწყე ღამისთევა დიდი იმედებით.

მთელი საღამო იკრიბებოდა ცაზე შავი ღრუბლები და რვა საათზე, როცა სოფელში ხმაური მიწყდა, გარდა დედის მოთქმით ტირილისა, უეცრად მკვეთრად იელვა, რასაც თან მოჰყვა ჭექა-ქუხილი, და გვამცნო წვიმის მოახლოება. მთელი საათის განმავლობაში ქუხდა. ელვა ისე ხანგრძლივად ანათებდა, ვირთხასაც რომ გაებედა ეზოში გამოსვლა, აუცილებლად დავინახავდი და შევძლებდი მის მოკვლას. დაბოლოს წვიმა შეწყდა, თუმცა ცა ისევ პირშეკრული იყო და ხილვადობა რამდენადმე შემცირდა. დადგა აეაზას მოსვლის დროც; ახლა უნდა გამოსულიყო ის იქიდან, სადაც თავს აფარებდა ჭექა-ქუხილს და მისი გამოჩენის დრო დამოკიდებული იქნებოდა ამ ადგილსა და სოფელს შორის არსებულ მანძილზე.

ქალმა მოთქმა დაამთავრა და გეგონებოდათ, მთელი ქვეყანა გაინაბაო. სწორედ ამის იმედი მქონდა, რადგან ერთადერთი, რაც მამცნობდა ავაზას გამოჩენას, — ეს იყო ჩემი ყურები.

ბზე, რომლითაც ვიყავი მომარაგებული, მშრალი იყო აბედივით; სიბნელეში გავიგონე რაღაც ფაჩუნი, რომელიც ჩემ ფეხებთან გაისმა, — რაღაც მოცოცავდა ფრთხილად, ქურდულად მეპარებოდა ბზეზე, რომელზეც ვიწექი. მეცვა შორტები* და მუხლები შიშველი მქონდა. მალე შიშველმა კანმა ამ ადგილას იგრძნო ცხოველის ბალნიანი ტანის შეხება. ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კაციჭამია, რომელიც მეპარებოდა და შესაფერ მომენტს ელოდა, რომ დამტაკებოდა და ყელი გამოეღადრა. და აი, რაღაცა მსუბუქად დამაწვა მარცხენა მხარეზე — ეს იყო დასაყრდენი წერტილი და როცა მე უკვე მზად ვიყავი ჩახმახის დასასხლეტად, პატარა ცხოველი გადმოხტა და მოეწყო ჩემს მკერდსა და ხელებს შორის. ეს იყო მთლად გაწუწული პატარა კნუტი; ის წვიმაში მო-

---

* შორტები — მოკლე შარვალი.

ხვედრილიყო, ვერ ენახა ვერც ერთი ღია კარი და ჩემთან მოვიდა სითბოსა და მფარველობისათვის.

ის იყო კნუტი მოხდენილად მოკალათდა ჩემი პიჯაკის ქვეშ და მეც კატის ცინდალის მიერ შეშინებული გონს მოვედი, რომ ტერასებად განლაგებული ყანების იქითა მხარეზე გაისმა დაბალი ღმუილი, რომელიც თანდათან ხმამაღალი ხდებოდა, და ბოლს მომესმა ყველაზე უფრო მხეცური შეჯიბრების ხმები, რომლებიც კი ოდესმე გამიგონია. სავსებით ნათელი იყო, რომ კაციჭამია დაბრუნდა ადგილზე, სადაც გასულ ღამეს დატოვა თავისი ნადავლი. იმ დროს, როცა კაციჭამია დაკარგულ ნადავლს დაეძებდა, — ამიტომ ის არც ისე კარგ გუნებაზე იყო, — მეორე ხვადი ავაზა, რომელიც ამ ტერიტორიას თავის საბრძანებლად თვლიდა, შემთხვევით წაეწყდა კაციჭამიას და თავს დაესხა მას. ამგვარი ბრძოლები მეტად უჩვეულოა, რადგან მტაცებლები უცვლელად მოქმედებენ საკუთარი რაიონის ფარგლებში და თუ ორი ერთნაირი სქესის წარმომადგენელი ხვდება ერთმანეთს, ისინი თვალით ზომავენ ერთიმეორის ძალ-ღონეს და უფრო სუსტი ადგილს უთმობს შედარებით ძლიერს.

კაციჭამია თუმცა ბებერი, მაგრამ ძალზე მსხვილი და ღონიერი ხვადი იყო და ხუთასი კვადრატული მილის ფარგლებში, სადაც თვითონ ბატონობდა, ვეჭვობ, რომ სხვა ხვადი კანონებსა და უფლებებში შედავებოდა. მაგრამ აქ, ბხენსვარში ის უცხო, საზღვრების დამრღვევი იყო და რომ როგორმე გვერდი აევლო იმ უბედურებისათვის, რომელსაც ის გადაეკიდა, იძულებული იყო ებრძოლა თავის გადასარჩენად. უდავოდ, ეს ასე იყო.

ჩემი შესაძლებლობა ახლა დაკარგული იყო — კაციჭამიას კიდეც რომ დაემარცხებია მტერი, მიყენებული ჭრილობები უეჭველად ხელს შეუშლიდა რამდენიმე ხნის განმავლობაში ნადავლით დაინტერესებაში. გამოთიშული არ იყო ისიც, რომ ეს შეტაკება მისთვის ფატალურად დამთავრდებოდა და აქ მოხდებოდა მისი სრულიად მოულოდნელი დასასრული. შესაძლოა ის იქნებოდა მოკლული შემთხვევით მისივე მსგავსი ავაზას მიერ იმ დროს, როცა ხალხისა და მთავრობის გაერ-

თიანებული ღონისძიებანი რვა წლის განმავლობაში უშედეგო რჩებოდა.

პირველი რაუნდი დაახლოებით ხუთ წუთს გაგრძელდა, ბრძოლა დაუნდობელი სისასტიკით მიმდინარეობდა და უშედეგოდ დამთავრდა, რადგან შეტაკების დასასრულს ორივე ცხოველის ხმა გავიგონე — ათი-თხუთმეტი წუთის ინტერვალის შემდეგ ბრძოლა კვლავ განახლდა, მაგრამ ორასი, სამასი იარდის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც ის თავდაპირველად დაიწყო. სავსებით ნათელი იყო, რომ ადგილობრივი ჩემპიონი ფორმაში იყო და თანდათან გამოჰყავდა თვითმარქვია რინგიდან. მესამე რაუნდი მოკლე აღმოჩნდა, ვიდრე წინა ორი, მაგრამ არა ნაკლებ მრისხანე, და როცა კიდევ ეროი ხანგრძლივი მიწყნარების შემდეგ ომი ისევ გაჩაღდა, მოქმედებამ გადაინაცვლა მთის შვერილზე, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ შეწყდა ხმაური.

ჯერ კიდევ ექვსი საათი რჩებოდა გათენებამდე. ვიცოდი, რომ ჩემმა მისიამ ბხენსვარში მარცხი განიცადა, იმედი კი იმისა, რომ შეტაკება კაციჭამიას სიკვდილით დამთავრდებოდა, მალე გამიქარწყლდა. თუ უკან დახევის დროს, რაც ახლა იმათ გააფთრებულ ბრძოლას მოჰყვა, კაციჭამია დასახიჩრდებოდა, ვეჭვობ, რომ ამას შეემცირებია მისი მიდრეკილება ადამიანის ხორცისადმი ან შეესუსტებია მისი შოვნისათვის ბრძოლის უნარი.

კნუტს მშვიდად ეძინა მთელი ღამე, აღმოსავლეთით გამოჩენილ პირველ ცისკარზე ჩავედი ქვევით ეზოში და გადავიტანე ბიჭი გადმოხურულში, საიდანაც ის წავიღეთ და საბანი დავხურეთ. მამასახლისს ისევ ეძინა, კარზე რომ მივუკაკუნე. უარი ვუთხარი ჩაიზე, რადგან მისი მომზადება დროს წაგვართმევდა, და დავარწმუნე ის, რომ კაციჭამია მათ სოფელში მეტს აღარ გამოჩნდებოდა; როცა ის დამპირდა, ახლავე შევუდგები სამზადისს ბიჭის გვამის გადასატანად მთაში მიცვალებულების დასაწვავ ადგილზეო, მე გავუდექი საცალფეხო გზას რუდრაპრაიაგისაკენ.

რა ხშირადაც არ უნდა გდევდეს წარუმატებლობა რაღაცის მიღწევის ცდაში, მაინც არ შეიძლება მიეჩვიო სასოწარკვე-

თილების გრძნობას, რომელიც ყოველთვის შეგიპყრობს ხოლ-
მე მარცხის შემდეგ. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე
ვტოვებდი ინსპექციის ბუნგალოს სრული იმედით, რომ ასეთ
განსაკუთრებულ მდგომარეობაში საქმე წარმატებით დამ-
თავრდებოდა და ყოველ დღე იმედგაცრუებული და სასო-
წარკვეთილი ვბრუნდებოდი. ეს მარცხი რომ მარტო მე მეხე-
ბოდეს, მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მაგრამ
ჩემს მიერ დასახული მიზნის მიღწევაში ეს წარუმატებლობა
უფრო მეტად სხვებს ეხებოდა, ვიდრე მე.

უბედურებას, უიღბლობას — სხვას ვერაფერს მივაწერდი
ჩემს მიმართ განგების მიერ სულ მზარდი დოზით გამოწერილ
წარუმატებლობას; მისმა აკუმულაციის მომხდენმა ეფექტმა
ძალზე დამამწუხარა: მაშასადამე, მე არ მიწერია იმის გაკეთება,
რასაც ყოველთვის ასე ვესწრაფოდი. თუ არა ჩემმა უხეირო
ბედმა, მაშ რამ აიძულა კაციჭამია დაეგდო თავისი ნადავლი
იქ, სადაც ხეები არ ხარობდა. თუ არა ჩემმა უიღბლობამ, მაშ
რამ აიძულა მეორე ავაზა გამოჩენილიყო იმ განსაკუთრებულ
ადგილას და სწორედ იმ დროს, როცა კაციჭამიამ ველარ ნახა
ბიჭის გვამი იქ, სადაც დატოვა, და რომელიც უეჭველად წა-
მოვიდოდა სოფლისკენ მომავალი გზით, სადაც მე ვიყავი ჩა-
საფრებული.

გუშინდელი თვრამეტი მილი გრძელი იყო, მაგრამ ის
დღეს უფრო გრძელი აღმოჩნდა და მთები კი უფრო ციცაბო.
სოფლებში, რომლის ახლოც უნდა გამევლო, მცხოვრებლები
მიმელოდნენ და თუმცა შემეძლო მათთვის მეცნობებია მხო-
ლოდ ცუდი ამბები, ისინი მაინც არ კარგავდნენ იმედს. მათი
უსაზღვრო რწმენა და ფილოსოფია საკმარისია მთების დასა-
ძრავად ადგილიდან და მწუხარების დროს დასამშვიდებლად.
ამავე დროს ის მეტყველებს იმაზე, რომ ვერც ერთი ცოცხა-
ლი არსება ვერ მოკვდება დანიშნულ დროზე ადრე. მაშასა-
დამე, კაციჭამიას სიკვდილის დროც ჯერ არ დამდგარა — ეს
არც განმარტებას მოითხოვდა და არც მტკიცებას საჭირო-
ებდა.

იმედების გაცრუების გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდ-
ნით დარცხვენილმა გრძნობებს მივეცი თავი მთელი დილის

განმავლობაში. დავტოვე უკანასკნელი სოფელი, სადაც გაჩერებული ვიყავი და დავლიე ერთი ჭიქა ჩაი, რომელმაც კარგ გუნებაზე დამაყენა. უკანასკნელი ოთხი მილი რომ გავიარე დაღმართზე რუდრაპრაიაგისაკენ, ერთბაშად შევამჩნიე, რომ კაციჭამიას თათების ნაკვალევს მივყვებოდი.

- საკვირველია, როგორ შეუძლია ფსიქიკას მოაჩლუნგოს ან გაამახვილოს დაკვირვების უნარი, საერთოდ, რაიმეს შემჩნევის უნარი. სრულიად შესაძლებელია, რომ კაციჭამია გამოვიდა ბილიკზე რამდენიმე მილის მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც მე ახლა ვიმყოფებოდი, მაგრამ მხოლოდ სოფლის უბრალო ხალხთან საუბრისა და ჩაის დალევის შემდეგ შევამჩნიე პირველად მთელი ამ დილის განმავლობაში მისი თათების ნაკვალევები. ბილიკი გადიოდა აქ წითელ თიხნარზე. რომელიც წვიმას გაელბო და კაციჭამიას ნაკვალევები გვიჩვენებდა, რომ ის მოძრაობდა მისთვის ჩვეული ნაბიჯით. ნახევარი მილის მოშორებით მან მოუჩქარა ნაბიჯს და ასე განაგრძო სიარული, სანამ არ მიაღწია გოლაბრაის ზემოთ ხეობის ნაპირს. ის დაეშვა ამ ხეობაში.

როცა ავაზა ან ვეფხვი მიდის ჩვეულებრივი ნაბიჯით, მხოლოდ უკანა თათების ანაბეჭდები ჩანს, ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო ის ჩვეულებრივ ნაბიჯს აუჩქარებს, მაშინ უკანა ფეხები წინ იდგმება — და ამიტომ ყველა ოთხივე ფეხის ნაკვალევი შეიმჩნევა. წინა და უკანა ფეხის ნაკვალევებს შორის მანძილის მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ სიჩქარე, რომლითაც მოძრაობენ ცხოველები კატისებრთა ოჯახიდან. განთიადი საკმაო მიზეზი იყო კაციჭამიასათვის, რომ აეჩქარებია ნაბიჯი.

მე უკვე მქონდა გამოცდილება და ვიცნობდი კაციჭამიას მოძრაობის უნარს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ის უფარდებდა თავის ნაბიჯებს საკვების ძებნას, ახლა მას უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა გაევლო ეს გრძელი გზა, რადგან მისი მთავარი საზრუნავი იყო, რაც შეიძლება მეტი მანძილით დაშორებოდა იმ ავაზას, რომელმაც გაკვეთილი ჩაუტარა საზღვრების დარღვევისათვის. თუ რამდენად სერიოზული იყო ეს გაკვეთილი, ნათელი გახდება შემდგომში.

ინდოეთში საჭმლის მიღება დამოკიდებულია წლის დროის ცვალებადობასა და პირად გემოვნებაზე. ოჯახების უმრავლესობა საუზმობს დილის რვა საათიდან ცხრა საათამდე, მეორედ საუზმობენ დღის პირველიდან ორ საათამდე და სადილობენ საღამოს რვიდან ცხრა საათამდე. რუდრაპრაიაგში გატარებული რამდენიმე თვის განმავლობაში ძალიან უწესრიგოდ ვიკვებებოდი. მიუხედავად საერთოდ მიღებულ მტკიცებისა, რომ ჯანმრთელობა დამოკიდებულია რეგულარულ კვებასა და საკვების ხარისხზე, და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საჭმელი სრულებითაც არ იყო ორთოდოქსალური და რეგულარული, მე მაინც ყოველთვის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვიყავი. პორიჯი საღამოს რვა საათზე, სუპი დილის რვა საათზე, ერთი კომბინირებული კერძი მთელი დღის განმავლობაში ან და შიმშილი მთელი დღის მანძილზე — თითქოს ყოველივე ეს არ იწვევდა შემაშფოთებელ ეფექტს. გარდა იმისა, რომ ცოტა გავხდი.

გარდა ნაადრევი საუზმისა, პირში ლუკმა არ ჩამედო გუშინ დილის შემდეგ. რადგან ბხენსვარიდან დაბრუნების შემდეგ განზრახული მქონდა ღამის გათევა რუდრაპრაიაგში. მეც არ ვიცი რა შევეჭამე, გამოვიძინე, მივიღე აბაზანა და გავეშურე გოლაბრაიში, რომ გამეფრთხილებია პანდიტი, მლოცველთა თავშესაფრის პატრონი, იმ არემარეში კაციჭამიას ყოფნის შესახებ.

ჯერ კიდევ პირველად რომ მოვედი რუდრაპრაიაგში, მაშინ დავმეგობრდით მე და პანდიტი და არასოდეს არ გავივლიდი მისი სახლის ახლო, რომ რამდენიმე სიტყვით არ გამოვლაპარაკებოდი მას, რადგან გარდა იმისა, რომ მან კაციჭამიაზე და გოლაბრაიზე გამვლელ მლოცველებზე ბევრი საინტერესო ამბავი იცოდა, ის იყო ერთ-ერთი იმ ორი ადამიანიდან, ხელდასახიჩრებული ქალის გარდა, რომლებიც გარვალში კაციჭამიას ცოცხლები გადაურჩნენ.

ერთ-ერთ ისტორიაში ლაპარაკი იყო გზის ქვემოთ სოფელში მცხოვრებ ნაცნობ ქალზე. ერთხელ რუდრაპრაიაგის

ბაზრობიდან ეს ქალი გვიან საღამოს ამოვიდა გოლაბრაიში, და დაშინებული, რომ დღიურ ვერ ჩავიდოდა სახლში, სთხოვა პანდიტს თავშესაფარში ღამე გამათევინო. მან ნება დართო და ურჩია დაწოლილიყო საკუჭნაოს კარის წინ, სადაც მლოცველები თავიანთ ნაყიდ საკვებს პროდუქტებს ინახავდნენ: იქ ის დაცული იქნებოდა ერთი მხრივ საკუჭნაოს კედლით, ხოლო მეორე მხრივ ღამის გასათევად მოსული ორმოცდაათი, თუ მეტი მლოცველით.

თავშესაფარი წარმოადგენდა გზის მხრიდან ღია და კლდის მხრიდან ფიცრებით აკეთილ ბუსნოებით გადახურულ ფარდულს. საკუჭნაო შენობის შუაგულში იყო, მაგრამ კლდეში იყო შეჭრილი და არ ღობავდა თავშესაფრის მოედანს. ქალი საკუჭნაოს კართან რომ დაწვა, მასა და გზას შუა რამდენიმე რიგად იწვნენ მლოცველები.

ღამე ერთმა მლოცველმა ქალმა წამოიყვირა ტკივილისაგან და თქვა, მორიელმა მიკბინაო. არავითარი განათება არ იყო, მაგრამ ასანთის სინათლეზე ქალს ფეხზე შეამჩნიეს პატარა განაკაწრი, საიდანაც ოდნავ სდიოდა სისხლი. მლოცველებმა დაიწყეს ბუზღუნი, რომ ქალმა ტყუილუბრალოდ ატეხა აურზაური და ყოველ შემთხვევაში სისხლი არ წამოვიდოდა, რომ მორიელს მართლაც ეკბინა, შემდეგ მლოცველები მალე დაწყნარდნენ და ისევ დაიძინეს.

დილას, პანდიტი რომ გამოვიდა თავის სახლიდან, რომელიც მანგოს ხის ზემოთ ბორცვზე იყო წამომდგარი, შეამჩნია სარი*, რომელსაც მთიელი ქალები ატარებენ. ის ეგდო გზაზე თავშესაფრის ახლო და მთლიანად სისხლით იყო დასვრილი. პანდიტმა მიუჩინა თავის მეგობარს ადგილი, რომელიც ყველაზე უფრო საიმედოდ ითვლებოდა თავშესაფარში. მის გარშემო იყო ორმოცდაათზე მეტი მლოცველი. მაშასადამე, ავაზამ გაიარა მძინარე ხალხში, მოჰკლა ქალი და როცა ბრუნდებოდა უკან გზაზე, შემთხვევით ფეხი გაუკაწრა მწოლარე მლოცველ ქალს.

განმარტება, რომელიც პანდიტმა მომცა, თუ რატომ თქვა

---

* სარი — ინდოეთში ქალის ტანსაცმლის ძირითადი ნაწილი.

უარი ავაზამ მლოცველებზე და ამჯობინა მთიელი ქალი, იმაში მდგომარეობდა, რომ ის იყო იმ ღამეს ერთადერთი ქალი, რომელსაც ფერადი ტანსაცმელი ეცვა. განმარტება არაა დაბაჯერებელი, და რომ არა ყნოსვის უქონლობა, მე დავასკვნიდი, რომ ამ დროს თავშესაფარში მყოფი ადამიანებიდან ავაზამ შეარჩია მსხვერპლი მისთვის კარგად ცნობილი სუნის მიხედვით.

უიღბლო იყო ეს ქალი, თუ ასეთი იყო მისი ბედისწერა? შეიძლება, ეს მოხდა იმიტომ, რომ ის იყო ერთადერთი დამსვენებლებს შორის, რომელსაც ყველაზე რეალურად ჰქონდა წარმოდგენილი ფარდულში ღამის გათევის საშიშროება გზის ღია მხრიდან? ანდა იქნებ მსხვერპლის შიში რაღაც ამოუცნობი გზით გადაეცა ავაზას და ამან მიიზიდა ის მასთან?

ამ ამბიდან ცოტახნის გასვლის შემდეგ პანდიტი თვითონ შეეჩეხა ავაზას. ზუსტი თარიღი, რომელიც შეიძლება დადასტურებულ იქნას რუდრაპრაიაგის საავადმყოფოს ანგარიშის მიხედვით, არ არის საინტერესო. ეს მოხდა 1921 წლის ზაფხულის ერთ ყველაზე უფრო ცხელ დღეს, ესე იგი ოთხი წლით ადრე მანამ, სანამ მე გავიცანი პანდიტი. იმ ზაფხულს გვიან საღამოს მადრასიდან მომავალმა ათმა ძალზე დაღლილმა ფეხებდასიებულმა მლოცველმა ძლივს მიაღწია გოლაბრაიმდე; მათ მოისურვეს ღამის გათევა მლოცველთა თავშესაფარში. პანდიტს ეშინოდა, ვინმე არ მოეკლა კიდევ ავაზას მის თავშესაფარში და ცუდი რეპუტაცია არ დაემსახურებია, ამიტომ მან სცადა დაერწმუნებია მლოცველები გაევლოთ კიდევ ორი მილი რუდრაპრაიაგამდე, სადაც ისინი ნახავდნენ საიმედო და მოხერხებულ თავშესაფარს. როდესაც პანდიტი დარწმუნდა, რომ ვერ დაეჯერებდა მოქანცულ მლოცველებს, ის ბოლოს დათანხმდა თავშესაფრის მიცემაზე თავის სახლში, რომელიც ორმოცდაათ იარდზე იყო მანგოს ხის ზევით და რომელზეც არა ერთხელ მივაქციე მკითხველის ყურადღება.

პანდიტის სახლი იმავე გეგმით იყო აშენებული, როგორითაც ყველა შენობა ბხენსვარში. ქვედა სართულს, რომელიც მიწას უსწორდებოდა, იყენებდნენ სათბობის საწყობად, ზედა სართულზე კი საცხოვრებელი ოთახები იყო. ქვის პატარა

კიბით შეიძლებოდა ასვლა ვიწრო აივანზე. ოთახის კარი გადიოდა ქვის კიბის ზედა საფეხურზე. პანდიტი და მისი დაუპატიჟებელი სტუმრები სერობის შემდეგ ჩაიკეტნენ ოთახში, რომელსაც არავითარი სავენტილაციო მოწყობილობა არ გააჩნდა. ოთახში საშინელი დახუთული ჰაერი იდგა და იმის შიშით, რომ ხალხს გული არ წასვლოდა, პანდიტმა შუაღამეზე გააღო კარი, თვითონ გარეთ გავიდა, გაიზმორა, გაშალა მკლავები და მოკიდა ხელი კიბის თითოეულ მხარეზე მდგარ ბოძებს, რომლებიც აივნის სახურავს ამაგრებდა.

როცა მან ღრმად შეისუნთქა ფილტვებში ღამის ჰაერი, ყელზე თითქოს ვიღაცამ მუხრუჭები მოუჭირაო... ის მაგრად ჩაეჭიდა ბოძს და ფეხის გულებით მიაწვა თავის მოწინააღმდეგის სხეულს, თავგანწირული ფეხის კვრით მოიგლიჯა ავაზას კბილები ყელიდან და გადააგდო ის კიბის საფეხურიდან ძირს. შემდეგ იგრძნო, საცაა გული წაუვიდოდა და გვერდზე გადადგა ნაბიჯი, რომ არ წაქცეულიყო, ორივე ხელით ჩაეჭიდა აივნის მოაჯირს. იმ მომენტში, ეს რომ გააკეთა, ავაზა ამოხტა ქვევიდან და ჩაასო კბილები მარცხენა ხელში. კაცჭამიას, რომელიც ცდილობდა თავის მსხვერპლის ქვევით ჩათრევას, ხელს უშლიდა მოაჯირი, რომელსაც პანდიტი ჩაჭიდებოდა მეორე ხელით. ავაზა მთელი სიმძიმით ჩამოკიდებოდა პანდიტის ხელს კბილებით და გლეჯდა ხორცს, ბოლოს მაჯაზე რომ დავიდა, მხეცი მოწყდა. სანამ განმეორებით შეახტებოდა, მლოცველებმა გაიგონეს პანდიტის მიერ ჩასუნთქვის დროს გამოღადრული ყელიდან ამოსული საშინელ ხმები, სწრაფად შეათრიეს ის ოთახში და დაკეტეს კარი ურღულით. პანდიტი იწვა და ძლივს სუნთქავდა, სული ეხუთებოდა, სისხლისაგან იცლებოდა, ამ დროს კი ავაზა ღმუოდა და ბრჭყალებით არც თუ ისე მაგარი კარის გაგლეჯას ლამობდა. შიშისაგან შეპყრობილი მლოცველები გულშემზარავად ღრიალებდნენ.

როცა ინათა, მლოცველებმა გრძნობადაკარგული პანდიტი წაიყვანეს (ასეთი ჭრილობების დროს გრძნობის დაკარგვა მოწყალებაა) რუდრაპრაიაგში კალაკამლის თემის საავადმყოფოში, სადაც მას სამი თვის განმავლობაში კვებავდნენ

ხელოვნური ვერცხლის მილის საშუალებით. ექვსი თვის შემდეგ ის მოტეხილი და გაჭაღარავებული დაბრუნდა თავის სახლში, გოლაბრაიში. პანდიტს ფოტოსურათი გადაუღეს ხუთი წლის შემდეგ. მასზე მოჩანს სახის მარცხენა ნახევარი, ყელზე სუსტად აღბეჭდილი ავაზას კბილების ნაკვალევი და აგრეთვე მის მარცხენა ხელზე დატოვებული ნაიარევი.

ჩემთან საუბარში პანდიტი კაციჭამიას ყოველთვის ბოროტ სულად იხსენიებდა და პირველი დღის შემდეგ, როცა მან მკითხა რა დამამტკიცებელი საბუთები შემეძლო წარმედგინა მის საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობილი მტკიცების გასაბათილებლად, — რომ ბოროტ სულებს არ შეუძლიათ ხორცშესხმული სახის მიღება, — მისი გულის მოსაგებად კაციჭამია მეც „ბოროტ სულებს" მივაკუთვნე.

იმ საღამოს გოლობრაიში რომ მივედი, პანდიტს ვუამბე ბხენსვარში ჩემი უშედეგო ყოფნის შესახებ და ვურჩიე მიეღო უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები, როგორც პირადი, ასევე იმ მლოცველთა უშიშროებისათვის, რომლებმაც შესაძლოა ღამე გაათიონ მის თავშესაფარში, რადგან „ბოროტი სული" მთებში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ დაბრუნდა და გოლაბრაის მიდამოებში იმყოფება.

ოთხი ღამე ვიჯექი საფარში თივის ზვინზე და ვდარაჯობდი გზას. მეოთხე დღეს პაურიდან ჩამოვიდა იბოტსონი.

იბოტსონი ყოველთვის გამამხნევებლად მოქმედებდა და ჩემში ცხოვრებისადმი ახალ ინტერესს იწვევდა, რადგან მისი პრინციპი იმ რწმენის მსგავსი იყო, რომლის აღმსარებლები იყვნენ ადგილობრივი მცხოვრებლები: არავის მიუძღოდა დანაშაული იმაში, რომ კაციჭამია არ მოკვდა დღეს, იმიტომ, რომ ის, ალბათ, მოკვდებოდა ხვალ ან შეიძლება ზეგ. მე ვიცოდი უამრავი ახალი ამბავი, რომლის მოყოლა მინდოდა მისთვის. მართალია, ჩვენ მუდამ გვქონდა მიმოწერა, მაგრამ ჩემი წერილის ამონაწერები შედიოდა მთავრობის ანგარიშებში და ამგვარად მისაწვდომი იყო პრესისათვისაც, ამიტომ მე არასდროს არ მქონია საშუალება შევხებოდი წერილმანებს, რომლებიც ასე ძალიან უყვარდა მას. თავის მხრივ იბოტსონმაც იცოდა ბევრი ისეთი რამ, რაზეც ღირდა ლაპარაკი: ეს

ეხებოდა პრესაში ატეხილ განგაშს კაციჭამიას განადგურების აუცილებლობის შესახებ და იმ წინადადებებს, რომ ყველა სპორტსმენს დახმარება გაეწიოს მთელ ინდოეთში და წახალისებულ იქნას გარვალში წასვლაზე, ვინც ცდილობს კაციჭამიას განადგურებას. პრესაში დაწყებული კამპანია იმით დამთავრდა, რომ იბოტსონმა მიიღო მხოლოდ ერთი შეკითხვა და ერთი წინადადება. შეკითხვა მიღებული იყო მონადირე სპორტსმენისაგან, რომელიც წერდა, რომ თუ მისი სამოგზაურო სამზადისი, კეთილმოწყობა, საჭმელი და სხვა დამაკმაყოფილებლად იქნებოდა ორგანიზებული, მაშინ აწონ-დაწონილა, აქვს თუ არა აზრი გოლაბრაიში გამგზავრებას. წინადადება იყო ძიღებული მეორე მონადირე სპორტსმენისაგანაც, რომლის აზრით ავაზას განადგურების ყველაზე სწრაფი და ადვილი საშუალებაა — რომელიმე თხას ტანზე წავუსვათ დარიშხანი, პირი ავუხვიოთ, რომ მან ვერ მოისვას ენა ტანზე, შემდეგ მივაბათ ის ისეთ ადგილას, სადაც ნახავს ავაზა, შეჭამს და ამგვარად თვითონვე მოიწამლავს თავის თავს.

ამ დღეს, მეორე საუზმის დროს ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ და გავარჩიეთ ჩემი წარუმატებლობების ბევრი შემთხვევა იბოტსონს ვუამბე, რომ კაციჭამიას ჩვეულად აქვს რუდრაპრაიაგსა და გოლაბრაის შორის გზაზე საშუალოდ ხუთ დღეში ერთხელ მაინც გაიაროს და დავარწმუნე იმაში, რომ ახლა, ჩემი აზრით, ავაზას მოკვლის ერთადერთი იმედი არის — საფარში ჩაჯდომა გზასთან ათი დღის განმავლობაში, იმიტომ, რომ, როგორც აღვნიშნე, ავაზა უეჭველად ერთხელ მაინც გაივლის გზაზე ამ ხნის განმავლობაში.

იბოტსონი უხალისოდ დაეთანხმა ჩემს გეგმას, რადგან მე აქამდე მრავალი ღამე საფარში გავატარე ზედიზედ და ეშინოდა, რომ კიდევ ათი ღამის გათევა ძალიან გამიჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მე ვიცავდი ჩემ თვალსაზრისს და განვუცხადე იბოტსონს, რომ თუ მე ვერ მოვახერხებ ავაზას მოკვლას დათქმულ ვადაში, მაშინ ვბრუნდები ნაინი-ტალში და ბრძოლის ველს ვუთმობ ყველა ახალ მონადირეს, რომელიც ჩამოვა და გადაწყვეტს ჩემი ადგილის დაკავებას-თქო.

ამ საღამოს იბოტსონმა გოლაბრაიმდე მიმაცილა და და-

მეხმარა მლოცველთა თავშესაფრიდან ასი იარდის მოშორებით და პანდიტის სახლიდან ორმოცდაათი იარდით ქვევით. შანგოს ხეზე სახუნდარის მოწყობაში. იქვე ხის ქვეშ, გზის შუაგულში დავასვით ხის მაგარი პალო და მივაბით ზედ თხა. კისერზე შებმული პატარა ზარით. სავსე მთვარე ანათებდა, მაგრამ გოლაბრაის აღმოსავლეთით აღმართული მაღალი მთები მთვარის შუქს საშუალებას მისცემდა მხოლოდ რამდენიმე საათით გაეღწია განგის ღრმა ხეობაში, ხოლო, როცა დაბნელდებოდა, ავაზას მოსვლის შესახებ მაცნობებდა თხა.

როცა მთელი სამზადისი დავამთავრეთ. იბოტსონი დაბრუნდა ბუნგალოში და დამპირდა ხვალ დილას ადრე ორ შენს კაცს გამოგიგზავნიო. იმ დროს, როცა მე ვიჯექი კლდეზე ხის ძირში, თამბაქოს ვაბოლებდი და ვუცდიდი, როდის დადგებოდა საღამო, ჩემთან მოვიდა პანდიტი და დაჯდა ჩემს აბლოს; ის ბჰაკტი * იყო და თამბაქოს არ ეწეოდა. სანამ მოსაღამდებოდა, ის ხედავდა, როგორ ვაშენებდით სასუნდარს და ახლა უნდოდა, დავერწმუნებინე, რომ ღამე არ გამეთია ხეზე სახუნდარში, რადგან შემეძლო სრული კომფორტით ლოგინში გამოძინება. თუმცა ეს მართალი იყო, მაგრამ მე ის დავარწმუნე, რომ სულ ერთია მაინც ხეზე ვიქნებოდი მთელ ღამეს და გარდა ამ ღამისა, კიდევ ცხრა ღამეს მომიწევდა ხეზე ჯდომა და თუ ვერ შევძლებდი ბოროტი სულის მოკვლას, ყოველ შემთხვევაში მის სახლსა და მლოცველთა თავშესაფარს მაინც დავიცავდი ყოველგვარი მტრის თავდასხმისაგან.

ამ ღამეს მთაზე იმ ადგილას, სადაც მე ვიმყოფებოდი, კარკერმა ერთხელ „დაიყეფა“, მაგრამ ამის შემდეგ გათენებამდე სიწყნარე სუფევდა, მეორე დილას მზის ამოსვლისთანავე გამოჩნდა ჩემი ორი კაცი და მე გავემართე ინსპექციის ბუნგალოსაკენ. კაციუამიას თათების ნაკვალევის ძებნის დროს თან გზას ვათვალიერებდი და ჩემს ხალხს საშუალებას ვაძლევდი პლედითა და თოფით უკან მომყოლოდნენ.

შემდგომი ცხრა დღის განმავლობაში ჩვენი მოქმედების განრიგი უცვლელი იყო. ადრე საღამოს გამოვდიოდი ბუნგა-

---

* მორწმუნე კაცი (ჰინდი).

ლოდან ორი კაცის თანხლებით და დავიკავებდი ხოლმე საბუნდარში პოზიციას, ხალხს კი უკან ვგზავნიდი იმ ანგარიშით, რომ დაღამებამდე მისულიყვნენ ბუნგალოში. მკაცრად მქონდა ნაბრძანები, არ გამოსულიყვნენ ბუნგალოდან მანამ, სანამ კარგად არ გათენდებოდა, ამიტომ ისინი ყოველ დილას მოდიოდნენ იმ დროს, როცა მზე ბორცვების თავზე ამოყოფდა თავს, მდინარის მეორე მხარეზე. შემდეგ მიმაცილებდნენ ხოლმე უკან ბუნგალომდე.

ამ ათი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გავიგონე კარკერის „ყეფა", ისიც მხოლოდ ჩასაფრების პირველ ღამეს. მაგრამ კაციჭამია რომ სადღაც ახლომახლო იყო, ამის დამამტკიცებელი საბუთები გვქონდა. ამ ათი ღამის განმავლობაში ის ორჯერ შეიჭრა სახლში — ერთხელ თხა გაიტაცა, მეორედ კი — ცხვარი. მათი ლეშის ნამუსრევს გაჭირვებით მივაგენი. ის შორს წაეღო ავაზას. და თითქმის მთლიანად შეეჭამა და ამიტომ არაფერში გამომადგებოდა.

იმ ათი ღამის განმავლობაში ავაზამ ერთხელ შელეწა კარი სახლისა, რომელშიც მის ბინადართა ბედზე, ორი ოთახი იყო, შიგა ოთახის კარი საკმაოდ გამძლე აღმოჩნდა და გაუძლო ავაზას გააფთრებულ იერიშს.

ათი დღე მანგოს ხეზე ჯდომის შემდეგ ბუნგალოში დაბრუნებისას მე და იბოტსონმა შევიმუშავეთ ჩვენი მომავალი გეგმა. მონადირე სპორტსმენებისაგან არავითარი ახალი ცნობა არ მიგვიღია, არავინ არ მიიღო მთავრობის მიწვევა და არც არავინ გამოეხმაურა პრესაში მოთავსებულ მოწოდებას. არამარტო იბოტსონს, მეც აღარ შემეძლო რუდრაპრაიაგში დარჩენა. იბოტსონი უკვე ათი დღეა წამოსული იყო და აუცილებელი იყო მისი პაურში დაბრუნება სასწრაფო საქმეების გამო ცენტრალურ სამმართველოში. მე კი მუშაობა მიწევდა აფრიკაში; ამ სამი თვის მანძილზე სულ ვაჭიანურებდი წასვლას და ამიტომ მეტის დაცდა აღარ შემეძლო. ჩვენ ორივეს სრულებითაც არ გვსურდა გარვალის დატოვება კაციჭამიას ანაბარა და მის სამოწყალოდ, მაგრამ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ვერ მოგვეფიქრებია, რა გზას დავდგომოდით.

აზრად მოგვდიოდა ასეთი გადაწყვეტილებაც—იბოტსონი-

სათვის გვეთხოვა შვებულება, ჩემთვის კი გაეუქმებიათ აფ-
რიკაში გამგზავრება და ხელი ამეღო ამ სარფიან საქმეზე.
ბოლოს და ბოლოს ჩვენ შევთანხმდით მეორე დილამდე გა-
დაგვედო გადაწყვეტილება. და მაშინ დაგვესახა ჩვენი შემ-
დგომი მოქმედების ხაზი.

ეს გადაწყვეტილება რომ მივიღეთ, იბოტსონს ვუთხარი
უკანასკნელი ღამე გარეულში უნდა გავატარო მანგოს ხეზე
სახუნდარში-თქო.

ამ უკანასკნელ მეთერთმეტე საღამოს იბოტსონმა გამაცი-
ლა. გოლაბრაის რომ მივუახლოვდით, დავინახეთ მანგოს
ხიდან მცირე მანძილზე გზის პირას მდგომი ხალხი, რომე-
ლიც რაღაცას მისჩერებოდა ქვევით მინდორზე. ხალხმა ჩვენ
ვერ შეგვამჩნია, და სანამ მათ მივუახლოვდებოდით, ისინი
შებრუნდნენ და წავიდნენ მლოცველთა თავშესაფრისაკენ.
მაგრამ ერთმა მათგანმა მოიხედა უკან, მე თავი დავუქნიე და
ის დაბრუნდა. როდესაც ვკითხე, რაში იყო საქმე, მან მიპა-
სუხა, რომ თავის თანამგზავრებთან ერთად ქვევით ყანაში
მიჩერებოდა ორი უზარმაზარი გველის ძლევამოსილ ბრძო-
ლას. ეს ყანა, მგონი, ორი წლის დაუთესავი იყო და ამიტომ
მასზე ადვილი გასარჩევი იყო გველები. მათზე თვალისდევ-
ნება შეიძლებოდა ყანის შუაგულში აღმართულ კლდის ახ-
ლო. ამ კლდეს აჩნდა სისხლის ლაქები, და კაცმა თქვა, რომ
ეს არის გველების დაკბენილი სხეულიდან გამოსული სისხ-
ლი. მახლობელ ბუჩქზე მოვტეხე ტოტი, რომ ჯოხად გა-
მომეყენებია და ჩავხტი ქვევით ყანაში, რომ მენახა იყო თუ
არა კლდის ახლო რაიმე ხვრელი. ნიადაგის დათვალიერების
დროს შევამჩნიე, რომ ორივე გველი გზის ქვემოთ იწვა ბუჩ-
ქებში. ამ დროს იბოტსონიც შეიარაღდა საკმაოდ დიდი ჯო-
ხით და როცა ერთი გველი ცდილობდა გზაზე გამოცოცებას,
მან ის მოჰკლა. მეორე კი მიიმალა ბორცვის ახლო ხვრელში,
საიდანაც ვერაფრით ვერ გამოვდენეთ. იბოტსონის მიერ
მოკლულ გველს დაახლოებით შვიდი ფუტი ექნებოდა სიგრ-
ძე. ის ღია-ჩალისფერი იყო; კისერზე აჩნდა ნაკბენები. ეს არ
იყო მცურავი; მისი შესამჩნევად წინ გამოწეული შხამიანი
კბილები რომ დავინახეთ, დავასკვენით, რომ ეს უკაპიშონო

კობრას ერთი რომელიღაც ნაირსახეობა იყო. ცივსისხლიან ცხოველებზეც მოქმედებს შხამი. მე მინახავს კობრას მიერ დაკბენილი ბაყაყი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ მომკვდარა, მაგრამ არ ვიცოდი, შეეძლოთ თუ არა ერთნაირი სახეობის გველებს ერთიმეორის მოწამვლა. შესაძლებელია, რომ ის, რომელიც ხვრელში მიიმალა, რამდენიმე წუთის შემდეგ მოკვდა, შესაძლებელია ისიც, რომ ის ცოცხალი გადარჩა და შეიძლება ღრმა სიბერეში მოკვდეს.

იბოტსონის წასვლის შემდეგ მლოცველთა თავშესაფრის გზაზე ახლო ჩამიარა პანდიტმა, რომელსაც ერთი ვედრო რძე მიჰქონდა. პანდიტმა მაცნობა, რომ მთელი დღის განმავლობაში ჩამოსულ ას ორმოცდაათ მლოცველს გადაეწყვიტა მის თავშესაფარში ღამის გათევა და ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაეწია მათთვის. გვიან იყო უკვე რაიმე ღონისძიების მიღება, ამიტომ ვუთხარი პანდიტს გაეფრთხილებიათ მლოცველები, რომ ისინი ერთიმეორის ახლო ყოფილიყვნენ და დაღამების შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ გამოსულიყვნენ გარეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ სახლისკენ მიმავალმა პანდიტმა ახლოს რომ ჩამიარა, მითხრა — ყველაფერი ისე შეესრულებია, როგორც მე დავარიგე.

ჩემი ხიდან დაახლოებით ასი იარდის მანძილზე გზის მოსაზღვრე ყანაში იყო ეკლიანი ბუჩქნარის ღობე, რომელშიც მეწვრილმანე-მენახირემ — არა იმ მოხუცმა, რომელიც ჩემი მეგობარი იყო, — მორეკა ადრე საღამოს თხებისა და ცხვრების ფარა, მენახირეს ჰყავდა ორი ძაღლი, რომლებიც ეაფთრებით გვიყეფდნენ, როცა ჩვენ ერთად ჩავდიოდით, და ცალკე უყეფდნენ იბოტსონსაც, როცა ის ჩემგან ბუნგალოსაკენ მიეშურებოდა.

რამდენიმე დღეა, მთვარე დაილია და ხევში სავსებით ბნელოდა. საღამოს ათ საათზე მოულოდნელად შევამჩნიე მლოცველთა თავშესაფრიდან წამოსული ფარნიანი კაცი, რომელმაც გზა გადაკვეთა ერთი თუ ორი წუთით მოგვიანებით, ისევ გადაჭრა გზა და თავშესაფარს რომ ეაუსწორდა, ჩააქრო ფარანი. იმ წამსვე მენახირის ძაღლებმა ასტეხეს ეაფთრებული ყეფა. ეჭვი არ იყო, რომ ძაღლები უტევდნენ

ავაზას, რომელმაც, შესაძლებელია, დაინახა გზაზე თავშესაფრისაკენ მიმავალი კაცი ფარნით ხელში.

ძაღლები ჯერ გზის მიმართულებით ყეფდნენ, რამდენიმე ხნის შემდეგ კი შემობრუნდნენ და დაიწყეს ჩემი მხრისაკენ ყეფა. სრულიად ცხადი იყო, რომ ახლა ავაზამ თვალი მოჰკრა მძინარე თხას და მტაცებელი ჩაუსაფრდა. ძაღლებმა შესწყვიტეს ყეფა იმის მოლოდინში, რომ ნადირი გასცემდა თავის თავს რაიმე ახალი მოძრაობით. მე ვიცოდი, რომ კაციჭამია აქ იყო, ჩემთვის ცნობილი იყო აგრეთვე ისიც, რომ მან ისარგებლა ჩემი ხით, რათა მიპარვოდა თხას. საკითხი, რომელიც მაწუხებდა ასე გაჭიანურებულ წუთებში, იმაში მდგომარეობდა, აუვლიდა ის გვერდს თხას და მოჰკლავდა ერთ-ერთ მლოცველს, თუ, პირიქით, — ჯერ მოჰკლავდა თხას და მაშინ მომეცემოდა თოფის გასროლის საშუალება.

ხეზე მოწყობილ სასუნდარში გატარებული ღამეების განმავლობაში ისე ვეწყობოდი და ისეთ მდგომარეობას ვღებულობდი, რომელიც ოდნავი მოძრაობით უმცირეს დროში თოფის გასროლის საშუალებას მაძლევდა. სახუნდარსა და თხას შორის მანძილი ოცი ფუტი იქნებოდა, მაგრამ ღამე ძალიან ბნელი იყო და ხის ტოტებქვეშ ის კიდევ უფრო ჩაბნელებული ჩანდა. ძალიან ვეცადე დამეძაბა მხედველობა, მაგრამ ვერაფერი გავარჩიე ასე მოკლე დისტანციაზეც კი. ამიტომ თვალები დავხუჭე და მთელი ჩემი ყურადღება მხოლოდ სმენაზე გადავიტანე.

თოფი, რომელზეც ელექტროფარანი იყო მიმაგრებული, თხისკენ მივმართე და ის იყო გავიფიქრე, რომ ცხოველმა, — თუ ვიგულისხმებდით, რომ ის იყო კაციჭამია, — შეიგრძნია თავშესაფარს და ახლა არჩევს მსხვერპლს ადამიანთა შორისთქო, რომ რაღაც სწრაფი მოძრაობისაგან ხის ძირში შრიალი გაისმა და მას მოჰყვა თხის ზანზალაკის მკვეთრი წკარუნი. დავაკვირე თითი ელექტროფარნის კნოპს და დავინახე, რომ თოფი ავაზას მარჯვენა ბეჭზე მქონდა მიმიზნებული. ერთი ბეწოთიც არ გავნძრეულვარ, ისე დავაკვირე თითი ჩახმახს... ღავაკვირე თუ არა, ფარანი ჩაქრა.

იმ დროს ელექტროფარნებს არ ჰქონდა ისეთი ფართო

გასავალი, როგორც ახლა და ის პირველად გამოვიყენე. მე ამ ფარანს რამდენიმე თვის განმავლობაში ვატარებდი და არა-სოდეს არ დამჭირვებია. მე არ ვიცოდი ბატარეების მოქმედების ხანგრძლივობა და რომ აუცილებელია მისი გასინჯვა. როცა კნოპს თითი დავაჭირე, ის მხოლოდ ერთხელ აფეთქდა მკრთალად და ჩაქრა. მე კვლავ სიბნელეში დავრჩი, არ ვიცოდი, როგორი იყო ჩემი გასროლის შედეგი.

მისი ექო შორს მიწყდა ხევში, პანდიტმა გააღო კარი და დამიძახა, დახმარება ხომ არ გჭირდებაო. ამ დროს მთელი ჩემი არსებით ვცდილობდი დამეჭირა ცოტაოდენი ხმაური მაინც ავაზას მხრიდან, ამიტომ მე არაფერი არ ვუპასუხე პანდიტს და მან სწრაფად მიხურა კარი.

მე რომ ვესროლე. ავაზა გზის გარდიგარდმო იწვა, ჩემგან თავმიბრუნებული და ჩემი ბუნდოვანი წარმოდგენით ის თითქოს გადაახტა თხას და დაეშვა ქვევით მთაზე. იმ მომენტში, როცა პანდიტმა დამიძახა, თითქოს რაღაც ბუყბუყის მაგვარი ხმები შემომესმა, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვიყავი. მლოცველები თოფის გასროლამ გააღვიძა, მაგრამ ცოტა ხანს იბუტბუტეს და ისევ დაწვნენ დასაძინებლად, როგორც ჩანდა, თხა უვნებლად გადარჩა, რადგან მისი ზანზალაკის წკარუნზე შემეძლო დამესკვნა, რომ ის მოძრაობდა და, როგორც ჩანდა, ბალახსაც მიირთმევდა, რომელიც ყოველ ღამე წინ უხვად ეყარა.

ღამის ათი საათი იქნებოდა, რომ ვისროლე. რადგან მთვარე მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ უნდა ამოსულიყო, ამიტომ ამ ხნის განმავლობაში აღარაფერი მქონდა გასაკეთებელი. მოხერხებულად მოვეწყვე, თან ვუსმენდი და თამბაქოს ვეწეოდი.

რამდენიმე საათის შემდეგ მთვარემ გააშუქა გორაკის თხემი გასგის იქითა მხარეს — შუქი ნელა მიიწევდა ქვევით ხევში, და ცოტა ხნის მერე შევამჩნიე, რომ მთვარე ამოვიდა მთის მწვერვალზე ჩემს უკან. როგორც კი დამანათა მან თავზე, ავცოცდი ხის კენწეროზე, მაგრამ ფართოდ გაშლილი ტოტების გამო ვერაფერი დავინახე. ხელახლა სახუნდარში რომ ჩამოვდიოდი, გავედი გზაზე გადმოწოლილ ტოტზე, მაგრამ

აქედანაც არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, თუ გადაიხედავ-დით ქვევით, მთის ფერდობზე იმ მიმართულებით, რომლის-კენაც, როგორც მე მომეჩვენა, მოკურცხლა ავაზამ. დილის სამი საათი იქნებოდა, ორი საათის შემდეგ მთვარეს თანდა-თან მოაკლდა ნათელი. როცა აღმოსავლეთში დაბადებული დღის სინათლეზე მახლობელი საგნები გამოჩნდა, მე ჩამოვედი ხიდან და თხა მეგობრული კიკინით მომესალმა.

თხის იქით, ზედ გზისპირზე გამოდიოდა გრძელი და და-ბალი კლდის შვერილი, რომელზეც მოჩანდა ერთი დუმის-ოდენა სისხლის ზოლი. თუ ეს სისხლი ავაზასი იყო, მაშინ მას შეეძლო ეცოცხლა ერთ ან ორ წუთს, ამიტომ არ მიმიღია უშიშროების ჩვეულებრივი ზომები, რომელსაც მივმართავთ ხოლმე, როცა მტაცებელი მსეცების სისხლიან ნაკვალევს მივ-ყვებით. ცოცვით დავეშვი გზიდან ქვევით და გავიარე ამ ნა-კვალევზე კიდევ ორმოცდაათი იარდი კლდის შვერილის მეო-რე მხარეს. იქ ეგდო მკვდარი ავაზა.

ის ზურგით დაცურებულიყო პატარა ღრმულში, სადაც ახლა მოკუნტული იწვა. მისი დრუნჩი ღრმულის ნაპირზე გა-ნისვენებდა.

არავითარი ნიშნები არ ჩანდა, რომლითაც შემეძლო და-მედგინა მკვდარი ცხოველის იგივეობა, მიუხედავად ამისა. ერთი წუთითაც არ შევეჭვებულვარ, რომ ორმოში მდებარე ავაზა კაციჭამია იყო. აქ მე ვერ დავინახე ბოროტი სული, რომელიც მითვალთვალებდა ხანგრძლივი დროის განმავლო-ბაში, თან ჯადოქრული, უხმო ხარხარით თრთოდა და გო-რავდა, როდესაც ხედავდა ჩემს აძაო ცდებს, მის მიტყუებას რომ ვცდილობდი და ტუჩებს ილოკავდა იმის მოლოდინში, თუ როგორ ეხელთა დრო, როდესაც მე სიფხიზლეს მოვადუ-ნებდი, რომ კბილები ჩაესო ჩემთვის ყელში. აქ ეგდო მხო-ლოდ ბებერი ავაზა, რომელიც გამოირჩეოდა ამავე ჯიშის სხვა ცხოველებისაგან იმით, რომ დრუნჩი ჭაღარა ჰქონდა, ტუჩებზე კი ულვაშები აღარ შერჩენოდა. ეს იყო ყველაზე საძულველი მხეცი მთელ ინდოეთში, მხეცი, რომლის უფრო ეშინოდათ, ვიდრე სხვა რომელიმესი, ნადირი, რომლის ერთად-ერთი დანაშაული ადამიანთა კანონის წინააღმდეგ მდგომა-

რეობდა იმაში, რომ მან დაღვარა ადამიანის სისხლი, მაგრამ არა ადამიანის დაშინების მიზნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისი არსებობისათვის. — ახლა ის იწვა თვალდახუჭული, დრუნჩი ორმოს კიდეზე დაედო და მშვიდად ოცნებობდა საუკუნო ძილში.

იმ დროს, როცა მე ვიდექი და ვმუხტავდი თოფს, რომლის ერთმა ტყვიამ იმაზე მეტი გააკეთა, რაც ანგარიშის გასასწორებლად იყო საჭირო, გავიგონე, რომ ვიღაც ახველებდა, ავწიე თავი და დავინახე გზის პირას მდგომი პანდიტი, რომელიც ზემოდან გულდასმით მომჩერებოდა. მე თავი დავუქნიე და ვანიშნე ჩამოსულიყო, მან ფრთხილად და მოკრძალებით დაიწყო ფერდობზე ჩამოსვლა. როგორც კი თვალი მოჰკრა ავაზას, პანდიტი შეჩერდა და ჩურჩულით მკითხა, — მკვდარია თუ არა და როგორ მოხდა ესო. როდესაც ვუთხარი, რომ ის მკვდარია და რომ ეს არის ის ბოროტი სული, რომელმაც ხუთი წლის წინათ მას კბილებით ყელი ვამოღადრა და რომლის შიშით გასულ ღამეს სწრაფად მიხურა მან კარები, პანდიტმა ხელები დაიკრიფა გულზე და უნდოდა ჩემს ფეხებთან დამხობილიყო.

ერთი წუთის შემდეგ ჩვენს ზემოთ გზიდან გაისმა ძახილი: „საიბ, სად ხართ?“ ეს იყო ერთ-ერთი ჩემი კაცი, რომელიც ძალზე შეშინებული ყვიროდა. ჩემს პასუხზე, რომელიც გამოძახილივით გაიმეორა მდ. განგის ხეობამ, გამოჩნდა ოთხი თავი. ჩვენ რომ შეგვამჩნია, ოთხივე ბორძიკითა და სირბილით დაეშვა ქვევით; ერთი მათგანი იქნევდა ანთებულ ფარანს, რომლის ჩაქრობა დავიწყებოდა.

ავაზა გაშეშებულიყო ორმოში და ამიტომ ის დიდი წვალებით ამოათრიეს. ნადირის ლეშს ბამბუკის ჭოკებზე რომ აბამდნენ, მცხოვრებლებმა გვიამბეს, რომ მათ მთელი ღამის განმავლობაში ვერ დაეძინათ და როცა იბოტსონის სახაზინო საათს ხუთის ნახევარი ეჩვენებია, ფარნები აენთოთ, ბამბუკითა და ბაწრით შეიარაღებულიყვნენ და ჩემს საძებნელად წამოსულიყვნენ. სახუნდარზე რომ ვერ ვენახე და შეემჩნიათ, თხა უვნებლად იყო, კლდეზე კი მოჩანდა სისხლის ზოლი, იფიქრეს, ალბათ კაციჭამიამ მოჰკლაო და ვინაიდან არ

იცოდნენ რა მოემოქმედათ, სასოწარკვეთილები ჩემს სახელს იძახდნენ.

მე დავავალე პანდიტს წამოეღო პლედი სახუნდარიდან და ჩემს გარშემო შეკრებილ მლოცველებს ვუამბე ამ ღამეს მომხდარ ამბავზე. შემდეგ ჩემი ოთხი კაცი, მე და თხა, რომელიც კუნტრუშით მომდევდა უკან, გავემართეთ ინსპექციის ბუნგალოსაკენ. თხა მცირე ჭრილობით გადარჩა ჩემი გასროლის წყალობით სწორედ იმ მომენტში, როცა ავაზა დაეტაკა მას. მან არ იცოდა, რომ ღამის ეს თავგადასავალი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში მას გმირად აქცევდა და რომ ახლა ის ატარებდა სპილენძის ლამაზ საყელურს და გახდებოდა ინ ადამიანის შემოსავლის წყაროდ, რომლისგან ვიყიდე ის და რომელსაც უკანვე დავუბრუნე.

იბოტსონს ისევ ეძინა, კარზე რომ დავაკაკუნე, მაგრამ შემხედა თუ არა, წამოხტა ლოგინიდან, გამოექანა კარისკენ, ფართოდ გააღო ის და გადამეხვია. შემდეგ წუთს ის გარს უვლიდა ავაზას, რომელიც ხალხმა აივანზე დადო.

იბოტსონმა გასცა განკარგულება მოერთმიათ ჩემთვის ჩაი და მოემზადებინათ ცხელი აბაზანა. მან გამოიძახა სტენოგრაფისტი და უკარნახა დეპეშის ტექსტი მთავრობას, პრესას, ჩემს დასა და ჯინის. მას არ მოუცია არც ერთი შეკითხვა, რადგან იცოდა, ავაზა, რომელიც მე მივგვარე ამ დილაადრიან, კაციჭამია იყო და ამიტომ რა საჭირო იყო კიდევ ეკითხა რაიმეზე. სხვა დროს, მიუხედავად მთელი სიცხადისა, რომელსაც თვალნათლივ ვხედავდით, მე ვამტკიცებდი, რომ ხაფანგში მოკლული ავაზა არ იყო კაციჭამია, ახლა კი ვდუმდი, არაფერს ვამბობდი.

დაწყებული გასული წლის ოქტომბრიდან იბოტსონს აწვა დიდი პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ სახელდობრ მას ჰქონდა დაკისრებული გაეცა პასუხი ამომრჩევლებისა და მთავრობის წევრების გულის მოგებით დაინტერესებულ სახელმწიფო საბჭოს დეპუტატებისათვის, რომლებიც სულ უფრო და უფრო ღელავდნენ სიკვდილიანობის სიის მუდმივი ზრდისა და იმ შენიშვნების გამო, რომლებიც ამ საკითხზე ქვეყნდებოდა პრესაში. ეს უკანასკნელი კი აურზაურს ტეხდა და

მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას და კაციჭამიას განადგურებას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში იბოტსონის მდგომარეობა ჰგავდა იმ პოლიციის უფროსის მდგომარეობას, რომელმაც იცის ვინ არის სახელგანთქმული ბოროტმოქმედი. მაგრამ არ შეუძლია არც გამაფრთხილებელი ზომების მიღება და არც შემდგომი დანაშაულისათვის ხელის შეშლა, რის გამო ის ყველას დაცინვისა და გინების საგანი ხდება. ამიტომ სრულებითაც არ არის გასაოცარი, რომ ამ დღეს, 1926 წლის 2 მაისს, იბოტსონი იყო ყველაზე ბედნიერი ადამიანი, რომელიც ოდესმე მინახავს. ახლა მას შეეძლო ეცნობებია ყველასთვის, ვისაც კი ეს ეხებოდა, რომ ბოროტმოქმედი დასჯილია, შეეძლო ეცნობებია ხალხისთვის ბაზრობებზე, გარშემო მდებარე სოფლებში, მლოცველებისათვის და ყველა მათთვის, რომლებიც ამით იყვნენ დაინტერესებული და ტერიტორიალურად შედიოდნენ ადგილობრივი საპოლიციო ინსპექციის მეურვეობაში, რომ ის ბოროტი სული, რომელიც ხალხს ტანჯავდა ხანგრძლივი რვა წლის განმავლობაში, — ახლა მკვდარია.

მთელი ჯამი ჩაის დალევისა და ცხელი აბაზანის მიღების შემდეგ ვცადე დაძინება, მაგრამ კრუნჩხვის განმეორების შიშმა, რომელმაც ერთბაშად გამიკავა ფეხები, — მისგან მიხსნა მხოლოდ იბოტსონის ძლიერმა ჩარევამ, — მაიძულა ავმდგარიყავი ლოგინიდან. მაშინ მე და იბოტსონმა დავიწყეთ ავაზას გაზომვა და ყურადღებით დავათვალიერეთ ის. ჩვენი გაზომვისა და დათვალიერების შედეგი მოცემულია ცხრილში.

მე უსაფუძვლოდ ვერ დავამტკიცებ, რომ ავაზას ენა და ხახა შავი ფერისაა. არის ვარაუდი, რომ კაციჭამიას ხახის ფერი ციანიდის მოქმედების შედეგია, მაგრამ ასეა თუ არა ეს, ვერ ვიტყვი.

რაც შეეხება ნაწილობრივ მოშუშებულ ჭრილობებს თავზე, უკანა მარჯვენა ფეხსა და კუდზე, ისინი მიღებულია ბხენსვარში ავაზასთან შეტაკების დროს. ცოტა ხნის წინათ მოშუშებული ჭრილობა უკანა მარცხენა ფეხის მუხლის სახსარზე მიყენებულია ხაფანგის მიერ, რადგან ჩვენს მიერ ნახული

ბღუჯა ბალანი და ტყავის ნაჭერი ზუსტად უდგებოდა ნაჭრილობებს. ნაჭრილობეები უკანა მარცხენა ფეხზე 1921 წელს არმიის ახალგაზრდა ოფიცრის მიერ ხიდიდან ნასროლი ტყვიის შედეგი იყო. დაბოლოს, როცა ავაზას ტყავს აძრობდნენ, მე ვნახე ფინდიხის ტყვია ტყავში ჩაჭდობილი გულზე; ის მოეხვედრებია ქრისტიან ინდოელს, რომელმაც მრავალი წლის შემდეგ განაცხადა, რომ მან ესროლა თოფი ავაზას იმ წელს, როცა ის კაციჭამია გახდა.

მე და იბოტსონმა გავზომეთ ავაზა, აღვწერეთ ის და დავდეთ ჩრდილში ხის ქვეშ. მთელი დღის განმავლობაში მამაკაცები, ქალები და ბავშვები მოდიოდნენ მის სანახავად.

ზომა:

სიგრძე პალოებს შორის	7 ფუტი 6 დიუმი
სიგრძე მრუდზე	7 ფუტი 10 დიუმ›

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გაზომილია ავაზას სიკვდილიდან თორმეტი საათის შემდეგ.

ა ღ წ ე რ ა:

ფერი — ღია ჩალისფერი;
ბალანი — მოკლე და ნაზი;
კბილები — გაცვეთილი და ყვითელი, ერთი ეშვი მოტეხილი აქვს.
ენა და ხახა — შავი.

ჭრილობები — ერთი ახალი ჭრილობა მარჯვენა ბეჭში; ერთი ძველი ნატყვიარი მარცხენა უკანა თათის ბალიშში; იმავე ფეხზე აკლია თითის ნაწილი და ერთი ფრჩხილი; თავზე რამდენიმე ღრმა და ნაწილობრივ უკვე ნოშუშებული ჭრილობა აქვს; ერთი ღრმა და ნაწილობრივ მოშუშებული ჭრილობა უკანა მარჯვენა ფეხზე; რამდენიმე ნაწილობრივ მოშუშებული ჭრილობა კუდზე; ერთი ნაწილობრივ მოშუშებული ჭრილობა უკანა მარცხენა ფეხის მუხლის სახსარზე.

ჩვენი მთიელი ვინმეს მოსანახულებლად რაიმე განსაკუთრებული საბაბით, მაგალითად, მადლობის სათქმელად ხელცარიელი არ წავა. ვარდი, კალენდულის ყვავილები ანდა თუნდაც ვარდის რამდენიმე ფურცელი, ფიალისმაგვარად მო-

კეცილი ორი ხელით მირთმეული საკმარის ძღვნად ითვლება. როცა მიმღები მარჯვენა ხელის თითების ბოლოებს შეახებს საჩუქარს, მიმრთმევი კაცი ისეთ მოძრაობას აკეთებს, თითქოს მის ფიალისებურად მოკეცილ ხელისგულებში სითხე ესხას და ნაჩუქარს მის ფეხებთან ღვრიდეს.

მე ვიყავი მადლიერების გამოხატვის მოწმე სულ სხვა მდგომარეობის გამო. მაგრამ არასოდეს არაფერი მინახავს იმის მსგავსი, რაც იმ დღეს რუდრაპრაიაგში ვნახე ჯერ ინსპექციის ბუნგალოში, შემდეგ ბაზარში სპეციალურ მიღებაზე.

„ამან მოგვიკლა ერთადერთი შვილი, საიბ, ჩვენ ახლა მოხუცებულები და უნუგეშონი ვართ, ჩვენი ოჯახი დანგრეულია“.

„მაგან შეჭამა დედა ჩემი ხუთი შვილისა, რომელთაგან ყველაზე უმცროსი ხუთი თვის იყო. ახლა სახლში არავინ არის, რომ იზრუნოს ბავშვებზე ან საჭმელი მოამზადოს“.

„შვილი ავად გამიხდა ღამე, და ვერავინ გაბედა საავადმყოფოში წასვლა წამლისათვის... და ის მოკვდა“.

ტრაგედიას დასასრული არ უჩანდა, და იმ დროს, როცა მათ ვუსმენდი, იატაკი ჩემი ფეხების გარშემო ყვავილებით იფარებოდა.

ეპილოგი

შემთხვევები, რომლის შესახებაც გიამბეთ, მოხდა 1925 და 1926 წლებში. თექვსმეტი წლის შემდეგ, 1942 წელს მირუტში სამხედრო დავალებას ვასრულებდი. ერთხელ მე და ჩემი და მიგვიწვია პოლკოვნიკმა ფლაიმ დაჭრილების გასართობად მიღებაზე, რომელიც მათ პატივსაცემად იყო გამართული. როდესაც ჩვენ გამოვცხადდით, ორმოცდაათი თუ სამოცი კაცი — ინდოეთის სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი, — ჩოგბურთის სათამაშო კორტზე ისხდნენ და მშვენიერი ჩაის შემდეგ სიამოვნებით ეწეოდნენ პაპიროსს. მე და ჩემმა დამ მოპირდაპირე მხრიდან შემოვუარეთ მათ. ეს ხალხი ძირითადად ინდოეთის შუა აღმოსავლეთის პროვინციებიდან იყო. დასვენების შემდეგ ისინი სახლებში მიდიოდნენ, ზოგი — შვებულებაში, ზოგს კი სამსახურიდან ითხოვდნენ. ქალბატონმა ფლაიმ და ჩემმა დამ მომართეს გრამაფონი ინდური ფირფიტებით, მე კი მთხოვეს დავრჩენილიყავი, სანამ არ გათავდებოდა მიღება, რომელმაც ორ საათზე მეტ ხანს გასტანა, ამიტომ ჩვენ გვყოფნიდა დრო, რომ ყველა დაჭრილი მოგვენახულებინა.

მე უკვე ნახევარი წრე შემოვიარე და მივედი დაბალ სკამზე მჯდომ ახალგაზრდა კაცთან. ის მძიმედ იყო დაჭრილი და მის ახლო, ორი ყავარჯენი იდო. მე რომ მივუახლოვდი, ის რის ვაივაგლახით ჩამოცოცდა სკამიდან და, როგორც ჩანდა, ცდილობდა ფეხებზე მომხვეოდა. საწყალი ძალიან გამხდარი მეჩვენა, რადგან მრავალი თვე დაეყო ჰოსპიტალში. როცა მე მას შევახე ხელი, ავსწიე და მოხდენილად ჩავსვი სავარძელში, მან მითხრა: „მე ველაპარაკე თქვენს დას და ვუთხარი, რომ ჩემი სამშობლო არის გარვალი. მან მაცნობა

თქვენი ვინაობა. მე მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, თქვენ რომ კაციჭამია მოჰკალით, რადგან ჩვენი სოფელი შორს არის რუდრაპრაიაგიდან და მე ვერ შევძლებდი იქ მოსვლას, მამაჩემი კი იმდენად უძლური იყო, რომ მხარზე შემჯდარი ვერ წამიყვანდა, ამიტომ მე სახლში დარჩენა მომიხდა. მამა რომ დაბრუნდა. თქვა, მკვდარი კაციჭამია ვნახე და საკუთარ თვალით ვიხილე საიბი, რომელმაც ის მოჰკლაო. ის მიამბობდა იჭ ტკბილეულობაზე, რომელიც იმ დღეს დაარიგეს — თავისი წილი მე მომიტანა — და იმ მრავალ ადამიანზე, რომელიც მან იქ იხილა. ახლა, საიბ, მე სახლში წავალ დიდად გახარებული, რადგან შემიძლია ვუთხრა მამას, რომ საკუთარი თვალით გიხილეთ. და თუ ვნახე ისეთი ვინმე, ვინც წამიყვანს ბაზრობაზე, რომელიც ყოველ წელიწადს იმართება რუდრაპრაიაგში კაციჭამიას მოსპობის სამახსოვროდ, იქ შემიძლია ვუამბო ხალხს, რომ შეგხვდით თქვენ, გელაპარაკეთ.

სიჭაბუკეში შესული ყმაწვილი, რომელიც ომიდან დასახიჩრებული დაბრუნდა, იმაზე კი არ ფიქრობდა, თუ როგორ უამბობდა ის თავის გმირულ საქმეებზე, აღსავსე იყო იმის სურვილით, ეცნობებია მაჰისათვის, რომ, როგორც იქნა, საკუთარი თვალით იხილა კაცი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ვერ ნახა, კაცი, რომლის მოგონების მიზეზი მხოლოდ ერთ მოხდენილ ზუსტ გასროლაში მდგომარეობდა.

ეს იყო გარვალის ხალხის, ამ უბრალო და მამაცი ხალხის, და საერთოდ მთელი დიდი ინდოეთის ტიპიური წარმომადგენელი, გარვალისა, რომლის შვილები მათ შორის მცირე რაოდენობით მცხოვრებ ბედნიერ ინგლისელს თუ უნახავს.

ესენი ინდოეთის მხურვალე გულის მქონე შვილებია, რომლებიც, დრო რომ დადგება, მიუხედავად კასტისა და სარწმუნოებისა, გააერთიანებენ ერომანეთის მოქიშპე ქვეყნის ნაწილებს და შექმნიან ინდოეთის ერთ დიდ ერს.

ბოლოსიტყვა

ყველამ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, — და ცხადია, ეს წიგნი მოიპოვებს მკითხველთა ფართო წრეს — როდი იცის ოდესღაც სახელგანთქმული ფრანგი მონადირის, ასი წლის წინათ ალჟირში მეტსახელად „ავაზების გამანადგურებლად" ცნობილი ბომბონელის შესახებ. ბომბონელის წიგნი რამდენადმე წინ უსწრებს ჯ. კორბეტის წიგნს. ცნობილია ავრეთვე ქიუელ ჟერარის მოთხრობები ჩრდილოეთ აფრიკაში ლომებზე ნადირობის შესახებ.

ნადირობას მსხვილ მხეცებზე, პირველ რიგში მტაცებლებზე — იქნება ეს ლომები, ვეფხვები თუ ავაზები, — რაღაც რომანტიკული ხასიათი აქვს. აქ ბევრი სიძნელეა; ხშირად საშიშროება სავსებით რეალურია. როგორი უნდა იყოს ადამიანის დამოკიდებულება ცხოველისადმი? რამდენად უშლიან ისინი ხელს ადამიანის კეთილდღეობას და ამიტომ იმსახურებენ განადგურებას? უნდა ამოვშალოთ თუ არა ისინი დედამიწაზე მობინადრეთა რიცხვიდან? ბოლოს და ბოლოს მოაქვთ თუ არა მათ რაიმე სარგებლობა?

ადამიანი დიდი ხანია იცნობს ეგრეთწოდებულ „მტაცებელ" ცხოველებს, მაგრამ თავის სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია მათი რეალური მნიშვნელობა და თავისი გონიერი დამოკიდებულება მათ მიმართ. რა არის „მტაცებელი", ნიშნავს თუ არა ეს „მავნებელს"? და ის „მავნებელია" ყველგან, თუ განსაზღვრულ ადგილებში და პირობებში?

აი ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრებიან მკითხველის წინაშე ამ წიგნის წაკითხვისას. ეს წიგნი ამ კითხვებზე მეცნიერულად საკმაოდ დასაბუთებულად პასუხობს

ვეფხვები და ავაზები, ისევე როგორც სხვა მტაცებელი ცხოველები, გაურბიან ადამიანთან შეხვედრას. ბომბონელი წერდა, რომ დაუჭრელი ავაზა თავს ესხმის მხოლოდ ოთხფეხს. მაგრამ თუ ნადირობის დროს ავაზას, როგორც იტყვიან, „მიიმწყვდევენ კუთხეში", მაშინ ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უკან დასახევ გზაზე ყველა ხელისშემშლელი სიძნელე გადალახოს. ავაზას დიდი ფიზიკური მონაცემები აქვს. ბუნებრივია, რომ გამოუცდელი ან უცოდინარი მონადირის მიერ დაჭრილი ნადირი საშიში ხდება, მაგრამ არის თუ არა ეს „თავდასხმა" ადამიანზე ავაზას მიერ?

როგორც კორბეტის წიგნიდან ჩანს, იქმნება ისეთი გარემოება, როცა მტაცებელი ცხოველები — ავაზები, ვეფხვები და ლომები — „ეჩვეიან“ ადამიანზე თავდასხმას, თუმცა, საერთოდ რომ ვთქვათ, „ორფეხას“ სიარული და მისი სპეციფიკური სუნი არ აღაგზნებს ამ მხეცებში ნადაელის დევნის (ცეების) რეფლექსებს.

კაციჭამია ნადირი იშვიათი, მაგრამ რეალური გამონაკლისია საერთო წესიდან.

ბუნებრივი ნადავლის, ძირითადად ჩლიქოსან ცხოველთა დევნა, მოითხოვს სრულ ფიზიკურ ძალას, ასე ვთქვათ — სპორტულ ფორმას. მაგრამ თუ ავაზა ან სხვა მტაცებელი თავისი კლანჭებისა და კბილების მოცვეთის გამო დაინვალიდდა ან ტანში გაჩხერილ მაჩეზღარბის ნემსები აუტანელ ტკივილებს აყენებს, მაშინ ის ყოველთვის ვერ ესხმის თავს ბუნებრივ ნადავლს და იძულებულია გადავიდეს ნადირობის ახალ საშუალებებზე. იგივე ითქმის უხეირო ნადირობის შედეგად დაჭრილ მტაცებელ მხეცებზეც. მაშასადამე, ადამიანზე თავდასხმა (შეუიარაღებელი ადამიანი კი იოლი ნადავლია) ნორმიდან გადახრაა.

შესაძლებელია, რომ მხეცის კაციჭამიად „გახდომის“ ხანაში არის შუალედი. ინდოეთში არსებობს გამოთქმა ავაზას შესახებ — „სოფლის ავაზა“. ეს მხეცები არ გაურბიან ადამიანთა დასახლებებს, მის მეზობლობას და ეჩვეიან შინაური პირუტყვით კვებას. ასეთი არაჩვეულებრივი საქციელის ცხოველების გამოჩენა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მათი ბუნებრივი ნადავლი — პირველ რიგში ჩლიქოსანი ცხოველები — ძლიერ განადგურებულია ადამიანის მიერ. ამგვარი „სოფლის“ მტაცებლებიც ჩვენს ქვეყანაში გვხვდება, მაგალითად, თურქმენეთში. იქ უკანასკნელ წლებში მთის ჩლიქოსანთა — არხარებისა და თსების რიცხვი ძალზე შემცირდა. ამან ის გამოიწვია, რომ გახშირდა ავაზების თავდასხმა შინაურ ცხოველებზე და ზოგიერთები ინდოეთის სოფლის ავაზებს დაემსგავსნენ, მიუხედავად ძველი ავტორების (სატუნინი, 1915 წ.) მტკიცებისა, წინათ ეს მოვლენა არ იყო ცნობილი ანდა ის იშვიათად მოვლენად ითვლებოდა.

მტაცებელი ცხოველების (ვეფხვებისა და ავაზების) მსხვერპლთა უმეტესი წილი ჩვეულებრივად ინდოეთზე მოდიოდა. ამას ადასტურებს ჯიმ კორბეტის წიგნებიც. რუდრაპრაიაგის ავაზას ისტორია ამის ნათელი დამამტკიცებელი საბუთია. ადამიანთა დაღუპვა მტაცებელი ცხოველების მიერ ინდოეთში ძალზე შნაშვნელოვანი ყოფილა. მაგალითად, ინდოეთის ცენტრალურ რაიონებში და ბერარაში ვეფხვებისა და ავაზებისაგან მიმდინარე საუკუნის ოცი წლებში ყოველწლიურად ასობით ადამიანი იღუპებოდა. მთელ ინდოეთში 1915 — 1927 წლებში მტაცებლებისაგან ყოველწლიურად დაახლოებით 2000 კაცი იღუპებოდა (მაქსიმალურმა რიცხვმა 1923 წელს 3605 კაცს მიაღწია). იმავე დროის განმავლობაში მსხვერპლმა შხამიანი გველების კბენის გამო წელიწადში 20 ათასს მიაღწია (მაქსიმუმს 1915 წელს — 26406 კაცი). რიცხვები, რასაკვირველია,

ძალზე დიდია. თუმცა ანგლო-ინდოეთის მთავრობის ცნობით, 1927 წლიდან ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მოკრება შეწყდა, რადგან დადგენილი იქნა მისი არასიზუსტე. გადაჭარბება, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინდოეთში კაციჭამია ვეფხვებისა და ავაზების არსებობა უდავოა.

ამ მოელენის შეფასების დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საკითხის სოციალური მხარეც. 1857 წელს სიპაების აჯანყების შემდეგ ინდოეთის მოსახლეობას აკრძალული ჰქონდა იარაღით სარგებლობა. ინგლისელების წასვლამდე ინდოეთში მოქმედებდა იარაღით სარგებლობის აქტი, რომლითაც ინდოელებს ეკრძალებოდათ არა მარტო შაშხანით, არამედ გლუვლულიანი თოფითაც სარგებლობა. ამიტომ სოფლის მოსახლეობა მოკლებული იყო მტაცებელი მხეცებისაგან თავდაცვის საშუალებას.

ამ წიგნის მკითხველი ნამდვილად დაინტერესდება, თუ როგორი მდგომარეობაა ჩვენს ქვეყნაში ავაზების თავდასხმის მხრივ. ამ მოვლენების ოფიციალური სტატისტიკა არ ყოფილა და არც არის. გაზეთებში და განსაკუთრებით მონადირის ჟურნალებში ბევრი მსგავსი ცნობა ქვეყნდება, მაგრამ, როგორც წესი, ის ეხება არა ავაზას თავდასხმას ადამიანებზე, არამედ თეთ ავაზების თავდაცვის საკითხებს მასზე თავდამსხმელი მონადირეებისაგან. რასაკვირველია, ეს ძალზე სხვადასხვა რამაა. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ძალიან ცოტა, თითქმის უმნიშვნელო ცნობებია ამ საკითხზე. ცნობები ძირითადად ეხება შემდეგს. კავკასიის შესახებ რადე[1] გვაცნობებს, რომ სოჭში 1875 წლის ზამთარში ავაზა თავს დაესხა ღია აღგილას მძინარე ადამიანს და სერიოზულად დაჭრა ის. იმავე ავტორის ცნობით, 1881—1882 წლების ზამთარში გროზნის ოლქში მაიურ-ტულის ახლო ავაზამ მოკლა კაცი. დანნიკი[2] წერს, რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში სოფ. პრიშიბსკის ახლო ავაზამ დაგლიჯა მწყემსი ბიჭი. ამ თავდასხმის პირობები სინამდვილეში უცნობი დარჩა. ახალი დამადასტურებელი ცნობები ავაზას არაპროვოცირებული თავდასხმის შესახებ ხალხზე კავკასიაში არ არის. არ არის ის მოყვანილი აგრეთვე სსრ კავშირის ძუძუმწოვართა შესახებ ოგნევის[3] მიერ გამოქვეყნებულ სრულ ცნობებშიც.

ასეთია ფაქტები. მიუხედავად ამისა, ერთი ცნობილი რუსი ზოოლოგი სატუნინი[4] წერდა: „ადამიანზე ჯიქის თავდასხმის შემთხვევები არაა იშვიათი; ძალზე ხშირია ჯიქის თავდასხმები ხალხზე უმიზეზოდ (გვ. 339). ცოტა ქვემოთ იმავე წიგნში წერია: „ჯიქების თავდასხმა ადამიანებზე

---

[1] ი. გ. რადე — კავკასიის მუზეუმის კოლექცია, ტ. I, ზოოლოგია, 1899.
[2] ნ. ი. დანნიკი — კავკასიის მხეცები, 1914.
[3] ოგნევი — სსრკ და ახლომდებარე ქვეყნის ნადირები, ტ. III, 1935.
[4] სატუნინი — კავკასიის ბუნების ძუძუმწოვარები, ტ. I, 1915.

უ?ნიშვნელოა.., სამდვილი კაციკაბია ჯიქების შესახებ ჩვენში არაფერი ისმისო". და იქვეა დასკვნა: „ჯიქი ცნობილ ენდა იქნას ძალიე მაენებელ და საშიშ მტაცებლად". სამწუხაროდ, ასეთი უსაფუძველო, არათანმიმდევრულ და ცალმხრივ შეხედულებებს ქონდა და დღესაც აქვს ადგილი.

ვეფხვი და ავაზა ჩვენს ქვეყანაში გვხვდება შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. უტყუარი ცნობები ავაზების ადამიანზე თავდასხმის შესახებ შუა აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში არ არსებობს. იანკოვსკის[1] ცნობილი მოთხრობა იმის შესახებ, რომ პოსიეტის სრუტის რაიონში ავაზა ცდილობდა ავტორზე თავდასხმას, არაფრით არ არის დადასტურებული; თურმე მონადირის მიერ დევნილი ავაზა ჩაწოლილა ბალახებში მონადირის შიასლოების დროს, თუმცა მხეცის მხრივ თავდასხმა არ მომხდარა. ავაზა კი მოკლულ იქნა. აქედან ობიექტური დასკვნა სათელია.

ასეთია საკითხი ავაზებისა და ვეფხვების კაციკაბობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში.

რამდენიმე საერთო ცნობა ავაზაზე. აზიასა და აფრიკაში ეს ხშირად გავრცელებული მსხვილ კატისებრთა სახეობაა. ცალკეული ადგილმდებარეობის მიხედვით ავაზები ძალზე ცვალებადნი არიან როგორც სიდიდის, ისე ფერის მხრივ — დაწყებული კავკასიისა და შუა აზიის ძალიან მსხვილი მხეცებიდან, გათავებული სომალის ქონდრის ავაზათი.

კავკასიისა და შუა აზიის ავაზებს ზურგი ქვეშისფერ-მონაცრისფრო აქვთ, შორეული აღმოსავლეთის ავაზებს კი ღია-ყვითელი-მოწითალო (მუცლის მხარე ავაზებს თეთრი აქვთ). ყველა ავაზას აქვს დამახასიათებელი ჭრელი დაწინწკლული ტყავი. აფრიკაში ავაზა ძალიან ფართოდ არის გავრცელებული — ალჟირიდან და ეთიოპიიდან სამხრეთ აფრიკის კავშირამდე (კაპის მიწა). აფრიკაში ავაზა ბინადრობს არაბეთში, სირიაში, ირანში, შუა აზიის დასავლეთში, ვაურბის ცენტრალურ აზიას — გვხვდება ის აგრეთვე ჩინეთში, მალაიაში, და ტაილანდში — აღმოსავლეთ ნაწილში. აზიის სამხრეთით იგი ცეილონამდე მიდის და გვხვდება თითქმის ყველგან ინდოეთში (გარდა ჩრდილო-დასავლეთისა) და ბირმაში; ის ბინადრობს აგრეთვე სუმატრასა და იავაზე. ავაზას გავრცელების ჩრდილოეთი საზღვარი (აფრიკა არ არის მხედველობაში) არის საბჭოთა კავშირი— ესაა კავკასია, თურქმენეთი და დასავლეთ ტაჯიკეთი; ზღვისპირეთი და ამურისპირეთი, სადაც ავაზა, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩრდილოეთ განედის 45°-მდე ცხოვრობს. ავაზა, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, აქტიურია ღამღამობით და ბინღში. მისი ძირითადი ნადავლია პირველ რიგში, ჩლიქოსანი ცხოველები, თუმცა ის დიდხანს პატარა ცხოველებზე — თაგვებსა და ფრინველებზეც კი ნადირობს. აფრიკაში ეტანება მაიმუნებს. შუა აზიაში ავაზა ცხოვრობს დიდ ბალახებში, კოპეტ-დაღში, პაროპაპიზის ქედებში, ბადხისა და კარაბილში და ტაჯიკეთის სამხრეთ-დასავლეთში. შორეულ აღმოსავლეთში გვხვდება ბურეინის მთებამდე. ჩვენს ქვეყანაში

[1] აღმოსავლეთ ციმბირის რუსული გეოგრაფიული საზოგადოების ცნობები, 3/XII, 1882.

ბარში ავაზა ჩამოდის შემთხვევით. ავაზების მძიენობა კავკასიაში იწყება ზამთრის ბოლოს და ადრე გაზაფხულზე, შორეულ აღმოსავლეთში კი, როგორც ჩანს, იანვარში. მაკეობა გრძელდება სამი-სამნახევარ თვეს (ზოოპარკში დაკვირვებების მიხედვით). ნამატი არის ორიდან ხუთ ბოკვერამდე.

ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტა დაკვირვებაა ჩატარებული ავაზებისა და ვეფხვების ცხოვრებასა და ჩვევებზე. ისინი მოყვანილია ზემოხსენებული ოგნევის, დანნიკის, სატუნინისა და სხვათა შრომებში. ცნობების ეს სპეციალ აიხსნება პირველ რიგში იმით, რომ ავაზები ჩვენში ცხოვრობენ თავიანთი გავრცელების ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე: მეორე, ის, როგორც წესი, გაურბის ადამიანს, რის გამო ადამიანისათვის საშიში არ არის. გამონაკლისი უკანასკნელი წესიდან გასაგები ხდება კორბეტის წიგნის კითხვის დროს.

კიდევ ერთი შენიშვნა. სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტური მეცნიერებისაგან შემდგარმა ბუნებისა და მისი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირმა ყურადღება მიაქცია ავაზების დაცვის საკითხს. რასაკვირველია, საქმე არ ეხება იშვიათ შემთხვევებში ავაზების მიერ არა მარტო ადამიანზე, არამედ შინაურ პირუტყვზე მიყენებული ზიანის საწინააღმდეგო ბრძოლაზე უარის თქმას. კონკრეტულად ასეთი ზიანის მიყენების შემთხვევებში ბრძოლა მტაცებლის წინააღმდეგ, უეჭველად, მნიშვნელოვანია. მაგრამ საერთოდ გამოირკვა, რომ ავაზა ანადგურებს სოფლის მეურნეობისათვის მავნე ცხოველებს — მაიმუნებს, ჩლიქოსნებს და, პირველ რიგში — გარეულ ღორებს — ამიტომ არის ის სასარგებლო. ეს მოსაზრებები ეხება აფრიკას, ბავრამ შეიძლება მას ჰქონდეს უფრო ფართო და ვრცელი მნიშვნელობაც. მისი უგულვებელყოფა უაზრობაა.

დაბოლოს რამდენიმე ცნობა ამ წიგნის ავტორის შესახებ. ჯიმ კორბეტი დაიბადა 1875 წელს ნაინი-ტალში ინდოეთში, ჰიმალაის მთისწინეთში. იქვე სწავლობდა ინგლისურ სკოლებში. ოცი წლის განმავლობაში მსახურობდა ინდოეთის რკინიგზის სამმართველოში. პირველი იმპერიალისტური ომის დროს ის სარდლობდა ინდოეთის სამოცდამეათე დამხმარე გაერთიანებებს საფრანგეთში. პირველი „კაციჭამია" მოჰკლა 1907 წელს, რეგულარულად კი მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო 1924 წელს, სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შემდეგ. შემდგომში ის ნადირობდა კაციჭამიებზე როგორც ინდოეთში, ისე ბრიტანეთის აღმოსავლეთ აფრიკაში, კილიმანჯაროს მხარეში. ადგილობრივ მოსახლეობაში ჯიმ კორბეტის პოპულარობა, უდავოდ, დიდია. მეორე იმპერიალისტური ომის დროს ის ინდოეთის ცენტრალურ და შეერთებულ პროვინციებში ასწავლიდა მოკავშირეების ჯარებს „ჯუნგლებში" მოქმედებას. სამსახურიდან გასული თადარიგის პოლკოვნიკი, გადასახლდა აფრიკაში და ცხოვრობდა კენიის ქალაქ ნაირობში. ჯიმ კორბეტის წიგნი „რუდრაპრაიაგის კაციჭამია" პირველად გამოსცა ოქსფორდის უნივერსიტეტმა 1948 წელს.

თვით ჯიმ კორბეტზე ლაპარაკის დროს ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ

ქართულ ენაზე გამოსულ მის ნაწარმოებში ავტორი წარმოგვიდგება როგორც ნამდვილი ჰუმანისტი, მოწინავე შეხედულების მქონე ადამიანი. განსაკუთრებით საინტერესოა მისი თვისება—ბუნების დიდი სიყვარული და მონადირის გზნება, რომელსაც თავისუფლად უმორჩილებს ადამიანისა და ცხოველის სიყვარულსა და პატივისცემას.

საერთოდ, ეს წიგნი — გარდა იმისა, რომ ის დიდი ინტერესით იკითხება, — კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს ადამიანის რთულ დამოკიდებულებაზე ცოცხალი ბუნებისადმი და მისი გონივრული, რაციონალური და პერსპექტიული გამოყენების გზებზე.

———————

სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა 3
ჩამპავატის კაციჭამია . 11
რობინი 40
ჩოუგარის ვეფხვები . . 51
„პოვალგარის მარტოხელა“ 105
მოპანის კაციჭამია . . 120
მაცთუნებელი მახსირი . 150
კაციჭამია კანდადან . . 155
ვეფხვი პიპალ-პანიდან 167
კაციჭამია ტაკადან . . 177
ვეფხვები 225
რუდრაპრაიაგის ავაზა . 229
პილიგრიმების გზა . . . 231
კაციჭამია 235
საშინელება 238
ჩამოსვლა 254
გამოკვლევა 257
პირველი მსხვერპლი . . . 261
როგორ აღმოვაჩინოთ ავაზა . . . 264
მეორე მსხვერპლი 267
სამზადისი 273
მაგია 279
ძლივს გადარჩნენ 281
ხაფანგი 292
მონადირენი, რომლებზეც ნადირობენ 290
უკან დახევა 298
მეთევზის ინტერმედია 304
ოხის სიკვდილი 315
მოწამვლა ციანიდით 319

ბეწვზე გადარჩა . . . 33[illegible]
სიფრთხილის გაკვეთილი . 337
ნადირობა გარეულ ღორზე 34[illegible]
ფხიზლობა ფიქვზე 3[illegible]8
საშინელებათა ღამე . . 35[illegible]
ავაზა ებრძვის ავაზას . 357
გასროლა სიბნელეში . . 36[illegible]
ეპილოგი . . . . . 39[illegible]
ბოლოსიტყვა . . . . 40[illegible]

Джим Корбетт

Кумаонские людоеды

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1964

რედაქტორი ნ. მამისაშვილი
მხატვარი თ. გიგაური
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი ნ. თავაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VII-64 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 20,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 18,73.

ტირაჟი 30 000. შეკვ. № 354.

ფასი 1 მან. 11 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5
1964

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.